ს. ს. ს. რ. 323.2(05)
ჩ-38
პროლეტკულტის ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს კომპარტიის და რევოლუციის ისტორიის კომისია

91 69

რევოლუციის მატიანე

№№ 2–3 (7–8)

1924 წ.

3-3312. 358

გამოცემა საქ. პარტიულ-საბჭოთა პრესის ცენტრალური სამმართველოსი.
ტფილისი.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ცირკულიარულად №
24 ივნისი 1924 წ.

ს. კ. პ. მაზრკომებს და ოლკკომებს

საძართველოს კომპარტიის ყველა სამსახურში მუშაფ წევრთ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტისი (კომპარტიისა და რევოლიუციის ისტორიის კომისია) რეგულიარულად სცემს სქელტანიან ისტორიულ ჟურნალ „რევოლიუციის მატიანე"-ს ქართულ ენაზე.

„რევოლიუციის მატიანე"-ში იბეჭდება კომპარტიისა და რევოლიუციის წარსული მუშაობა-მოძრაობის შესახები ისტორიული წერილები, დოკუმენტები, მასალები, რომელნიც პარტიის წევრთათვის საქართველოს მასშტაბით რევოლიუციის ისტორიის შესასწავლად საჭირო და სავალდებულოა.

ჟურნალი „რევოლიუციის მატიანე" გამოდის ორ თვეში ერთხელ.


„რევოლიუციის მატიანე" არის ცეკას ისტორიული ორგანო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი იღებს რა ამას მხედველობაში, პარტიული წესით სავალდებულოდ ხდის ყველა სამსახურში მყოფ (ქართულის მცოდნე) კომუნისტისათვის,—იყოს ამ ჟურნალის მუდმივი ხელის მომწერი, იქონიოს იგი ყველა პარტიულმა ამხანაგმა, რათა ახალგაზრდა რევოლიუციონერებს შესაძლებლობა მიეცეთ რევოლიუციონური წარსულის შესასწავლად.

გამოარკვიეთ და დაუყოვნებლივ გვაცნობეთ მუდმივ ხელის მომწერთა რაოდენობა. აგრეთვე, რამდენი ცალი გამოგიგზავნოთ მომავალი ნომერი, რომელიც 2—3 (7—8), ორი ნომერი ერთად მზად იქნება ივნინის გასულისათვის.

ს. კ. პ. ც. კ-ტის მდივანი ზ. ლომინაძე.

პარტისის გამგე ს. თალაკვაძე.



ამხ. ლენინი.

(გადაღებულია გალობიანზე 1914 წ.)

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
ტფილისი

მ. ტროშელიძე.

ვ. ი. ლენინი.

(პირადი მოგონებანი)

I.

ჩემი პირველი გაცნობა ლენინთან.

პირველად მე ლენინი მისი წიგნის «что делать»-ის შემწეობით გავიცანი. ეს, რა თქმა უნდა, შორეული ნაცნობობა იყო. მიუხედავათ ამისა, მან ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა როგორც ჩემზე, ისე ყველა იმ ამხანაგებზე, რომელთა შორის მე მაშინ ვტრიალებდი.

ეს ამბავი ამ 22 წლის წინად იყო. ჩვენ უკვე ვიცნობდით მარქსისტული აზროვნების ისეთ გოლიათებს, როგორიც ბყვნენ თვით მარქსი, პლეხანოვი, კაუცკი, ლაბრიოლა. ჩვენ ცოტათ თუ ბევრათ უკვე ნაგემები გვქონდა ის ჭეშმარიტი გონებრივი კმაყოფილება, როგორსაც იძლევა ამ მეცნიერთა ანალიტიური ნაწარმოებნი. მიუხედავათ ამის, «что делать»-იდან მიღებული სიამოვნება სულ სხვა ხასიათისა იყო.

ჩვენ ისე გვქონდა წარმოდგენილი, რომ რაც უფრო სერიოზულია ესა თუ ის მოაზრე, მით უფრო დაშორებულია ის პრაქტიკულ ყოველდღიურ ცხოვრებას, დაცილებულია რევოლიუციონურ პრაქტიკას, ის კაბინეტში ზის, ღაღადებს დიად ჭეშმარიტებასა, და ჩვენ კი, უბრალო მომაკვდავნი, მიგვაქვს იგი მუშათა წრეებში და ვანათლებთ მათ იმდენათ, რამდენათაც თვით ჩვენ ამ ჭეშმარიტებაზე ხელი მიგვიწვდება.

როგორ უნდა ვაწარმოვოთ პროპაგანდა და აგიტაცია, როგორ უნდა მოვამზადოთ მებრძოლთა გუნდები და წავიყვანოთ ისინი მტრის შესამუსრაავათ,—ეს არ ესაქმება თეორეთიკოსს, რომლის გონება მოუცავს ღირებულების თეორიას და ეკონომიური მეცნიერების სხვა ძნელ კატეგორიებს.

ასე გვეგონა. გაიხსენეთ ამასთან ერთად ის საორგანიზაციო ქაოსი, რომელშიაც მაშინ ჩვენ ყველანი ვიყავით ჩაფლული და თქვენ ადვილათ წარმოიდგენთ რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ჩვენზე ლენინის წიგნი.

ის ულმობელი კრიტიკა, რომლითაც ის თავს ესხმოდა ჩვენი რევოლიუციონური მოძრაობის ყველა მტკივან ადგილებს, ერთბაშად გვიმორჩილებდა ჩვენ და ვკითხულობდით მას დღე-და-ღამ თავ-აუღებლად.

ლენინი იგივე ილინია,—გვეუბნებოდენ ჩვენ. ნუ თუ ისეთი კაპიტალური შრომების, ისეთი სერიოზულ—მეცნიერული წიგნების ავტორი ასე ახლოს იცნობს ჩვენს ტკივილებს, ასე ახლოს დგას ჩვენთან?

მოაზრე რევოლიუციონერებს ჩვენ უკვე ვიცნობდით, მარა რომ ისინი ყოფილიყვნენ პრაქტიკოსებიც ჩვენებური გაგებით, რომ ისინი წასულიყვნენ ჩვენთან ერთად მუშათა წრეშიაც, დემონსტრაციაზედაც, მიტინგზედაც, მიეღოთ მათ აქტიური მონაწილეობა საჭირო საორგანიზაციო ზომების განხილვასა და გატარებაში,—ეს ჩვენთვის სრულიად ახალი ამბავი იყო.

ლენინის მთელი წიგნი „Что делать"-იც თავიდან ბოლომდე გაჟღენთილი იყო იმ რევოლიუციონერის პრაქტიკით, რომელსაც ჩვენ მანამდე ვიცნობდით მხოლოდ როგორც თეორეტიკოსს, როგორც მოაზრეს

ჩვენ შევიყვარეთ „Что делать"-ის ავტორი, შევიყვარეთ ლენინი და ხანდახან, მოცალების დროს, შეხმატკბილებულად ვმღეროდით პატარა ლექსს, რომელსაც თავის დროზე სახეში ჰყავდა ჩერნიშევსკი, ასეთივე სათაურის წიგნის ავტორი:

„За здоровье того,
кто „что делать" писал,
за геройство его,
за его идеал"!

ყოველი ჩვენგანის იდუმალ ოცნებას წარმოადგენდა—შორიდან ქმაინც, თვალი მოეკრა ლენინისათვის. მე მალე ამისრულდა ეს ოცნება.

1904 წელს მე მომიხდა საზღვარგარეთ, ჟენევაში, ყოფნა, სადაც პირველად გავიცანი სტეფანე შაუმიანი. მე მას გავუმხილე, რომ დიდი სურვილი ჭქონდა ლენინის ნახვისა.

— მაგაზე ადვილი რა არის, მითხრა მან. ხვალვე წავიდეთ მასთან და მე შენ იმას გაგაცნობ.

— ნუ თუ ავრე ადვილია? წავილულლულე და უჩვეულო სიხარულისაგან ყურებამდე გავწითლდი.

სტეფანემ უკვე იცოდა, რომ მე ბუნებით საშინელი მორცხვი ვიყავი და ამიტომ გამამხნევა:—ეს აზროვნების გოლიათი მეტის მეტად უბრალო კაცია, ერთი სიტყვით, როგორც იტყვიან ხოლმე, ჩვენი ამქრისაა რაღა, ნამდვილი „ბოსიაკია"!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტეფანეს ამ პედაგოგიურმა ზომებმა მე ვერაფერი მიშველა.

ბოსიაკი! ეფიქრობდი ჩემთვის: კარგი ბოსიაკია, შენმა მზემ, როცა ამას სტეფანე ამბობს!

სტეფანე კი, მეტადრე მაშინ, თითონ ძალიან ნაკლებათ ჰგავდა „ბოსიაკს“.

მაგრამ რაც გინდ მორცხვი ვყოფილიყავი, ამ სიამოვნებას (ლენინის გაცნობას) ხომ მაინც ვერ დავთმობდი. ჩვენ შეეთანხმდით, რომ ხვალ დილის 10 საათზე პირდაპირ წავალთ ლენინთან.

მაშ, ხვალ ვნახავ ლენინს!

იმ ხანებში მე უკვე ვიცნობდი მარტოვს და დანს, მარა, სწორე გითხრათ, არაეითარი სიამოვნება მე აქედან არ მიგრძენია.

სულ სხვაა ლენინი.

ჩემს გონებაში უკვე დიდი ხანია ჩაბეჭდილი იყო ოცნებით წარმოდგენილი, საესებით ჩამოყალიბებული ფიგურა ლენინისა. ის, ჩემი წარმოდგენით, უნდა ყოფილიყო მაღალი ტანის კაცი, განხდარი სიხისა, ჩაკარდნილი ლოყებით, დიდი გონივრული თვალებით რომლებიც განსაკუთრებულ ელფერს აძლევენ მის მეტად გაფითრებულ სახეს, რომელსაც აზის აშკარა ბეჭედი დიდი ენერგიისა, ზრუნვისა და ერთგვარი დაღლილობისა. ჩერნიშევსკის სურათი ნანახი მქონდა და ამიტომ შესაძლოა ლენინის თმა და წვერი მე ამ სურათის თანახმად მეხატებოდა: მე ვფიქრობდი, რომ ლენინს უნდა ჭრონდეს შავი და თხელი თმა, წვერი და ულვაშები.

რას ვიფიქრებდი, თუ ისეთი კონტრასტი მომელოდა!

დანიშნულ დროს მე და სტეფანე გავემართეთ ლენინის ბინისკენ (ის მაშინ ჭენევის ახლო აგარაკზე ცხოვრობდა).

სახლში რომ შევედით, სტეფანეს უთხრეს, რომ ლენინი თავის ოთახშია და სრულიად მარტოაო.

ჩვენ შევედით ლენინის ოთახში. მე იქ ლენინი ვერ დავინახე. სავარძელზე გაწოლილიყო ვიღაც კაცი, რომელიც გაზეთს კითხულობდა. ვინ უნდა იყოს ის?

— განა ცოტა „ბოსიაკი“ მოხვდება ლენინთან და ნებას აძლევს თავს ასე უცერემონიოთ გაიშხლართოს მის სავარძელზე?!.

ასე ეფიქრობდი... და თვალებით ლენინს ვეძებდი. ეს ძიება მხოლოდ ორი სამი წამი გაგრძელდა. ოთახი პატარა იყო და ერთი თვალის გადავლების შემდეგ მე მალე დავრწმუნდებოდი ლენინის აქ არ ყოფნაში, რომ ამ დროს უცაბედათ ჩემი ყურადღება არ მიეპყრო სხვა გარემოებას. სახელდობრ: შაშმიანი უკვე მისულა სავარძელზე მწოლიარესთან, მორიდებით ართმევს მას ხელს და უკვე აცნობს მას ჩემს თავს:

ამხანაგია, რომელიც ახლა ჩამოვიდა კავკასიიდან...

ის მიწვდის მე ხელს და რაღაცას მეკითხება. მე კითხვა არ მესმის და მოლად განცვიფრებათ ვარ გადაქცეული: მერე და, ეს არის ლენინი?!

შეუძლებელია! ვფიქრობ და შევყურებ მას თვალ-გაშტერებით. რა მიუგავს ლენინს?

მე თანდათან ვერკვევი, მარა ვდგევარ და განვაგრძობ ცქერას მასზე გაშტერებით, გამომცდელი თვალით.

გასაკვირველია, მარა ჩემმა ასეთმა ქცევამ ლენინი შეაკრთო, რაც მე მაშინვე შევატყევ და შემდეგ შაუშიანმაც მითხრა.

მან ჰომარიდა თვალი და შაუმიანს ეუბნება, ისმენდა მის ნაწყვეტ-ნაწყვეტ ფრაზებს: სიმართლე რომ ვთქვათ, საქმე იმასაც არაფერი ჰქონდა ლენინთან.

როგორი ფიგურა წარმოდგა ჩემ თვალწინ?

დიამეტრალურათ წინააღმდეგი იმისა, რომელიც მე მქონდა გონებაში გამოხატული.

ის სრულიად არ იყო მაღალი ტანისა; ცოტა ჩემზე დაბალი იყო, მოხრილი, სახეს არ ამშვენებდა არავითარი განსაკუთრებული გამოხატულება. თავზე ძალიან ცოტა თმა დარჩენოდა და ისიც ძალიან ქერა, ასეთივე ფერისა იყო ულვაშები და პატარა წვერი. თვალები? მერე სად არის თვალები? მართალია, ძალიან ცოცხალი, მარა მაინც პატარა თვალები აქვს ლენინს. და ასეთ ჰურჯელში თავსდება ლენინის გენია!

მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ლენინმა უკვე დაიწყო ლაპარაკი თითონ დაიწყო ლაპარაკი საქმეზე. მე სმენათ გადავიქეცი: ლაპარაკობდა ნამდვილი ლენინი.

ლაპარაკობდა ისეთი რწმენით, ისეთი დაიმედებით და თან ისე უბრალოთ, რომ მაშინვე იცნობდით მასში უდიდესი ნებისყოფის კაცს, „что делать»-ის ჟენშარიტ შემქნელს. იმ დროს ჩვენ უკვე წაკითხული გვქონდა მისი პატარა წერილი „ისკრის“ რედაქციისადმი: „რატომ გამოვედი მე რედაქციიდან?“

ვუყურებდი მე მას სიყვარულით და ვფიქრობდი: აი ვინ არის იდეის და პრინციპის კაცი, რომელმაც მეტად პატივცემულ რევოლიუციონერებს მიახალა მათ მიერ სავსებით დამსახურებული ბრალდება, რომ ისინი პარტიაში განხეთქილებას ქმნიან და ჩხუბობენ გენერლების ადგილებზე. მხოლოდ ამას, რომელსაც თავის თავი გადაუდვია იდეის სამსახურისათვის, შეუძლია შექმნას პარტია და გაუძღვეს მას ბრძოლაში.

და ასე, ჩემთვის სრულიად შეუმჩნევლად, ლენინით აღტაცებულმა მე სრულიად დავკარგე ჩემ მიერ შეთხზული ლენინის ფანტას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიური ფიგურა და სავსებით შეეფერე იმ ეზრს, რომ გარეგნულათაც სწორეთ ეს არის ლენინი!

მახსოვს, რომ მაშინ ლენინმა მკითხა კოსტროვის (ნოე ჟორდანია) შესახებ, რა გავლენა აქვს მას კავკასიელ ამხანაგებზეო. მაშინ კოსტროვს არაელეგალურ მუშაკებზე თითქმის არავითარი გავლენა არა ქონდა (ის მაშინ საზღვარგარეთ იმყოფებოდა) და კავკასიის ყველა ორგანიზაციები მხარს უჭერდენ ძველი „ისკრის“ ე. ი. არსებითად ბოლშევიკურ მიმართულებას.

როცა ჩემს პასუხში მე ასეთი აზრი გავატარე, ლენინმა მაცდურათ მოხუმა თვალი და მხოლოდ ერთი სიტყვა მითხრა:

— ვნახავთო!

მე, ცოტა არ იყოს, კიდეც მეწყინა ეს და დავუწყე მას მტკიცება (სად დაიკარგა ჩემი მორცხვობა!), რომ მას უსამართლო შეხედულება აქვს კავკასიელ ამხანაგებზე.

ის ძალიან ყურადღებით მისმენდა და არ მედავებოდა. ისე მეჩვენა, რომ მე ის დავარწმუნე.

სამწუხაროდ, მალე გამოირკვა, რომ მე ვცდებოდი და არა ლენინი, რომ ის უკეთ აფასებდა კოსტროვის მნიშვნელობას და ის შორიდან ჩემზე უკეთ სჯიდა კავკასიის მდგომარეობაზე: მთელი კავკასია მალე გადაიქცა მენშევიზმის ციხე-სიმაგრეთ.

ჩვენი დარბაზობა დიდხანს არ გაგრძელებულა. მარა ჩვენს შორის უკვე დამყარდა სრულიად უბრალო, ნათესაური ურთიერთობა. მე გადავწყვიტე ხშირად მენახულებია ლენინი. მანაც ასეთივე წინადადება მოგვცა. იქიდან წამოსული მე უბედნიერეს კაცად ვრაცხდი ჩემს თავს: მე უკვე ვიცნობდი ლენინს.

მარა ეს მაინც პირველი გაცნობა იყო, რომელმაც მიუხედავათ ჩემში გამოწვეულ მთელი აღფრთოვანებისა, არ მომცა შეძლება მივწდომოდი მთელ მის სიდიადეს.

საბედნიეროთ, ჩემი ნაცნობობა ამით არ გათავებულა და შემდეგი ჩემი შეხვედრა მასთან შეადგენდა ჩემთვის ჰეშმარიტ ბედნიერებას და წაუშლელ კვალს სტოვებდა მთელ ჩემს არსებაზე. მე ვიცი, რომ ბევრი ჩემი ამხანაგი პირდაპირ შეყვარებული იყო ლენინზე. მე ამაყათ ვაკუთვნებდი ჩემს თავს მათ რიცხვს და ამ „სისუსტისათვის“ ჩემს სიცოცხლეში არასოდეს არ მომისმენია შტრებისაგანაც კი რაიმე დაცინვის მსგავსი. პატრიქით, მე ვიცი ბევრი ჩვენი მოწინააღმდეგე, რომლებიც გულწრფელად აღიარებდენ: მართლაც რომ შეუძლებელია ლენინი კაცს არ უყვარდეს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

II

ლენინის სიტყვა პარიზის კომუნის წლისთავზე 1904 წლის 18 მარტს

ეს მოხდა ჟენევაში.

დღესასწაულის მოწყობა ითავეს ბოლშევიკებმა. მომხსენებლებათ უნდა გამოსულიყვენ ცეკას წარმომადგენელი ამხ. ოლინი (ლეპეშინსკი) და ლენინი.

ეს ამბავი სწრაფად გაიგეს საზღვარ-გარეთ მყოფმა ყველა ემიგრანტებმა და დღესასწაულის დღეს ხალხი ჩამოვიდა არა მარტო მახლობელ, არამედ შორეულ ქალაქებიდანაც.

მე დღესასწაულზე მივედი დანიშნულ დროზე ნახევარი საათით ადრე, მაგრამ მაინც ძლივს შევძელი ადგილის შოვა ტრიბუნიდან საკმაოდ მოშორებით. ჩემს ახლო ისხდენ მარტოვი, დანი, ტროცკი და ვერა ზასულიჩი.

10 წუთის შემდეგ დარბაზი ისე გაიპენდა, რომ ვაშლი აღარ ჩაეარდებოდა შიგ. ლენინის მოხსენების მოსმენის მსურველთა რიცხვი ბევრათ მეტი იყო, ვიდრე, რასაც დაიტევდა ჟენევაში არსებულთა შორის, ეს უდიდესი დარბაზი.

პირველად სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ოლინმა. ის თითქოს შესავალს უკეთებდა ლენინის მოხსენებას და უმთავრესად ეხებოდა 1848 წლის რევოლიუციას; ლაპარაკობდა აზრიანათ და შინაარსიანათ. ასეთი იყო ყველას შთაბეჭდილება, მაგრამ საქმე ამ შთაბეჭდილებას არ გასცილებია. ალბათ, არც ერთ იქ დამსწრეს შემდეგში არასოდეს არ მოუგონებია ეს მოხსენება და არ უთქვამს მის შესახებ არც ავი და არც კარგი. იგი სრულებით დაჩრდილა ლენინმა, როგორც მზე ჩრდილავს ხოლმე ვარსკვლავებს.

ამხ. ოლინის მოხსენების დროს დარბაზში გამეფდა სიჩუმე. ოლინის მოხსენების გათავებისას შეჰქნა ტაშის ცემა, რის შემდეგაც ათასი თვალი მიაჩერდა ერთ წერტილს.

გრძელ მაგიდასთან გამოჩნდა ლენინის სახე.

არავითარი ჟესტი, არავითარი მანერები, ხელებსაც არ აქანებდა. იგი ცოტათი იხრებოდა ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ, რაც თითქოს გამოწვეული იყო მის მიერ გამოთქმულ მოზღვავებულ გრძნობებითა და აზრების ძლიერი ტალღით; ლაპარაკობდა ისე შეუდარებლად, როგორც არავის არ ულაპარაკია დედამიწის ზურგზე ამ თემის შესახებ.

როგორი ღრმა პატივისცემა გამოიხატებოდა ყოველ მის სიტყვაში პარიზის კომუნისა და პირველ დიდ კომუნარებისადმი. როგორ სიყვარულს იგრძნობდით ამ მომავალ კომუნარის ყოველ გამოთქმაში.

დიახ, სიყვარულს. ლენინმა კი იცოდა სიყვარული ლენინისებური. მთელი თავისი სულით და გულით. სიხარულს გრძნობდით იმ კომუნართა მაგიერ, რომელთაც თუმცა ასეთი სასტიკი ბედი ეწვიათ, მაგრამ ახლა ქვეყნად არსებობს თუნდ ერთი კაცი, რომელიც ასე დიდათ აფასებს მათ, ასე ღრმად ესმის მათი სულისკვეთება და ასეთი გრძნობით უყვარს ისინი.

ლენინი ბრძანებითი კილოთი მოგვიწოდებდა მთელი ჩვენის არსებით გაგვეცადა ის დიდი საქმე, რომლის დაცვას ითავი შესწირეს კომუნარებმა. მან, როგორც ჰეშპარიტმა მხატვარმა, გადაგვიშალა წინ უზარმაზარი სურათი დიდი იდეალისათვის ბრძოლისა, რომელიც ხშირად ძალთა უთანასწორობის გამო დასაღუპად არის განწირული და რომელიც, მიუხედავათ ათასი დამარცხებისა კიდევ თავისაკენ იწვევს ახალ გმირებსა და ახალ თაობათ. იგი თითქოს ყოფილიყოს ერთ-ერთი ამ კომუნართაგანი, მაგრამ ყველაზე უფრო ძლიერი, მედგარი და შეუპოვარი, რომელიც ვერ შერიგებია დამარცხების აზრს და თითქო მოგვიწოდებდა პარიზის კომუნის დასახმარებლად. ამ წუთში მთელი აუდიტორია, როგორც ერთი კაცი, მას თან წაყვებოდა ცეცხლსა და წყალში.

ჩვენ ყველამ ვიცოდით პარიზის კომუნა. მაგრამ ლენინმა გვაგრძობია იგი მთელს ჩვენს არსებით. კომუნარები ჩვენს თვალში ერთბაშად ამაღლდენ გოლიათის სიმაღლემდე და კაცობრიობის ისტორიაში დაიკავეს მიუწვდომელი ადგილი, მაგრამ ისინი ეკუთვნიან არა წარსულს, არამედ მომავალს. ესენი არიან ჩვენი ამხანაგები, რომელნიც არახელსაყრელ პირობებში იძულებულნი იყვენ შებრძოლებოდენ კაპიტალს და, რომელნიც გმირულად დაეცენ ამ ბრძოლაში და ეს პირები, ლენინს წყალობით, ასეთი ახლობელი და ასეთი ძვირფასნი შეიქნენ ჩვენთვის.

მაგრამ ლენინი მაშინ ლენინი აღარ იქნებოდა, რომ თუნდ ასეთ საზეიმო დღეს ის მარტო თაყვანს სცემდა დიდ მებრძოლთა ხსოვნას და ამასთანავე არ გააკრიტიკებდა კომუნართა ისეთს პირდაპირობით, როგორც ეს მას ჩვეულებათ ჰქონდა ყველა იმ პირთა მიმართ, რომელნიც გულწრფელად სცდებოდენ.

ის აკრიტიკებდა მათ მეოყეობისათვის, რომ ჩქარა ვერ შეაკავშირეს თავის ძალები და მოულოდნელი შეტევით ვერსალზე ვერ დაამარცხეს მოწინააღმდეგე და ვერ დაანგრიეს მათი ბუდე. აკრიტიკებდა და თითქმის აღელვებულიც იყო იმის გამო, რომ კომუნარებს რაღაც სალთო შიში ჭონდათ სახელმწიფო ბანკისა, რომელსაც ისინი უვლიდენ და იცავდენ იმის მაგიერ, რომ ეს სიმდიდრე სარევოლიუციო საქმისათვის გამოეყენებინათ. არ დავიწყებია მას აგრეთვე ხაზი გაესვა იმ უთანხმოებისათვის, რომელიც არსებობდა კომუნის

უმრავლესობასა და უმცირესობას შორის, რამაც ხელი შეუშალა მათ ძლიერი ცენტრის შექმნაში: ეს კი გადამწყვეტი მოქმედების დროს აუცილებლობას წარმოადგენდა.

თავისი მოხსენება მან გაათავა გრძელი პერიოდული წინადადებით, საიდანაც ჩემს მახსოვრობაში დარჩა მხოლოდ უკანასკნელი სიტყვები: „... კომუნა მუდამ იქნება პროლეტარიატისთვის მნათობელ ვარსკვლავად და საერთაშორისო პროლეტარიატი წავა კაპიტალის წინააღმდეგ საბრძოლველად ყიჟინით: გაუმარჯოს კომუნას, გაუმარჯოს სოციალურ რევოლიუციას"!

დამახასიათებელია ის, რომ ლენინმა ეს უკანასკნელი ლოზუნგი წარმოსთქვა არა ისე, როგორც ჩვეულებრივათ ათავებენ ხოლმე თავის სიტყვებს მთელი ქვეყნის ორატორები, არამედ მან ეს ლოზუნგი წარმოათქმევია კაპიტალის წინააღმდეგ საბრძოლველად აღმდგარ მომავალ პროლეტარიატს.

ამ სიტყვების შემდეგ იგი დაეშვა სკამზე. მხოლოდ მაშინ მივხვდით ჩვენ, რომ ლენინმა, გაათავა, რომ იგი მეტს აღარ ილაპარაკებს.

მაგრამ რა? ჩვენ გაყლეხთილი ვართ ელექტრონით, მთელი ჩვენი არსება ღელავს და გამოსავალს ეძებს და ეს გამოსავალი ვიპოვეთ გიჟურ ტაშის ცემაში. ყველანი ტაშს უკრავდნენ, ვინც კი იყო დარბაზში, რა თქმა უნდა, გარდა ლენინისა. ტაშს უკრავდნენ აგრეთვე ლენინთან შემდურებულნი (ერთმანეთს არ ესალმებოდენ) მარტოვი, დანი, ზასულიჩი. ტაშს უკრავდა აგრეთვე ამხ. ტროცკი, რომელიც როგორც საუკეთესო ორატორი, უკვე ყველას მიერ იყო ცნობილი. ტაშისცემა გაგრძელდა დიდხანს, რამდენიმე წუთს ყოველ შემთხვევაში. მე ასე მომეჩვენა.

ხელები დაიღალა. ტაშის ცემა შეჩერდა, მაგრამ კვლავ გაბრუებული ვიყავით. ყველას სახე უბრწყინავდა, ეს იყო არა ხელოვნური, არამედ ბუნებრივი ხალისი კომუნითა და ლენინით გამოწვეული.

ზასულიჩმა მიირბინა მარტოვთან და აღფრთოვანებულმა, წმინდა ქალური გატაცებით უთხრა:

— რა მშვენიერათ ლაპარაკობს იგი, რა მშვენიერადო.

— დიახ, დიახ, დიახ უპასუხა მარტოვმა, რომლის მთელი სახეც მხიარულ ღიმილით გარდაიქცა. მარტოვთან მიიდა ამხ. ტროცკი, მაგრამ მე არ გამიგონია ისინი რის შესახებ ლაპარაკობდნენ.

მე შევხედე მხოლოდ იმას, თუ რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე ლენინმა.

მე მომესმოდა ლაპარაკი ჩემ გვერდში მჯდომ ფიზიადოვისა, რომელიც იმ წელს ასრულებდა საექიმო ნაწილს და გამიკვირდა: ნუთუ ეს მხიარული კაცი, რომელმაც არავითარი დარდი და მწუხარება არ იცის, ისე გაიტაცა ლენინმა, რომ ასე ტკბილად ლაპარაკობს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვურად აღფრთოვანებული იმეორებს ერთსა და იმავეს: რა მშვენივრად ლაპარაკობდა! ამ ახალგაზრდამ, რომელსაც დამცინავი ენა ჰქონდა, ველარ მოითმინა და თავისებურად ამ სიტყვებში ერთი ქართული უცენზურო სიტყვა ჩაურთო, რაც, ცხადია, მე აქ არ მომყავს.

მე ძლივს-ძლივობით მივდიოდი სადღესასწაულო გუნებაზე გაწყობილ შეჯგუფებულ ხალხში, რომელიც ამ წუთში ბედნიერათ გრძნობდა თავს.

მე მივედი ნოე ჟორდანიასთან. ჩემ კითხვაზე მანა მიპასუხა: ის შესანიშნავათ ლაპარაკობდაო.

მე მინდოდა მეტი გამეგო: ის ხომ ლაპარაკობდა ლენინისებურათ, როგორც უმრავლესობის მომხრე? (ე. ი. როგორც ბოლშევიკი: ეს ეპიგონი მაშინ კიდევ არ იყო განმტკიცებული).

— დიახ. ეს მართალია, მიპასუხა მან, მაგრამ მას, როგორც ორატორს, ბადალი არ ჰყავს; მთელ რუსეთში არ არის მაგისთანა ორატორი.

ამის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადა პლეხანოვის, თაყვანისმცემელმა ქართველმა ქალმა.

— პლეხანოვი? ნუ თუ ლენინი, როგორც ორატორი პლეხანოვზე უკეთესია?

ჟორდანიამ იქაც არ დაიხია უკან.—პლეხანოვი რა ორატორია, სთქვა მან, პლეხანოვი ორატორია ევროპიული გაგებით, მას კარგი მანერები და ჟესტები აქვს; ის (ლენინი) კი—ორატორია რუსული გაგებით, როგორც აგიტატორი და რევოლიუციონერი.

გამოდიოდა, რომ ლენინს ბადალი არა ყავდა არა თუ რუსეთში, არამედ მთელ დედამიწის ზურგზე. მე თავი შევიკავე და ეს აზრი აღარ მიკარნახებია ჩემი თანამოსაუბრისათვის.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. მე ბევრი რამე ვნახე. მინახავს პირველხარისხოვანი არტისტები, რომელნიც მთელ ქვეყანაზე იყვენ განთქმულნი, მინახავს ორატორები, მინახავს ჟორესი, მინახავს თვით ლენინიც სხვა პირობებში, მაგრამ არც ზემოაღნიშნულ დღესასწაულის წინ და არც შემდეგ მე ამგვარი რამ ჩემს ღიღში არ მინახავს. მე არ ვიცი რომელი დიდი არტისტი, ან პირველ ხარისხოვანი ორატორი თვით ისეთი, რომელსაც ეუცხოვება ჩვენი მსოფლმხედველობა, გულის სიღრმემდე არ აღელდებოდა იმ არაჩვეულებრივ სანახაობით, რასაც წარმოადგენდა ლენინი იმ სამახსოვრო დღეს პირადათ ჩემ თვის და, ალბათ, ყველა იქ მყოფთათვის. ლენინი აქ მოსჩანს როგორც ჩანასახი, როგორც მომავალი დიდი კომუნარი, რომელიც გრძნობდა თავის ძალას და თავის დანიშნულებას, რომ განეგრძო პარიზის კომუნა, შური ეძია კომუნარებისა, რომელნიც „ზეცას ანგრევდენ“, მიენიშებია პროლეტარიატისათვის კაპიტალის განთავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა. როგორი სიყვარულით იხსენებს იგი ყველა თავის ნაწერებში პარიზის კომუნას, მიუხედავად მისი ნაკლისა და შეცდომებისა. იგი შეკავშირებული იყო მათთან სულიერად, წმიდა ნათესავური კავშირით და ამას იგრძნობდით თქვენ დიდი ხნით ადრე მის მიერ კომუნის ანდერძი განხორციელებისა.

მე ვგრძნობ, რომ მეტად ფერმკრთალი სურათი დავხატე ჩემ მიერ ნახულისა, ჩემი ძალა მეტად სუსტია იმისათვის, რომ დავხატო ლენინის სიდიადე, რომელიც გამოჩნდა პარიზის კომუნის წლისთავზე. ძალიან მოხარული ვიქნები, თუ იქ დამსწრე სხვა ამხანაგები თავისებურად აღწერენ ამ მართლაც შესანიშნავ საღამოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ბრუნქანოვსკაია.

რამდენიმე მომენტი ლენინის ცხოვრებიდან *)

..მიძნელება ილიჩზე წერა. და ბევრჯერ მიმიცია კითხვა ჩემი თავისთვის: საჭიროა თუ არა, და შემიძლიან თუ არა დავსწერო ისე, რომ ეს ღირსი იყოს ილიჩის სახელის, დავსწერო ისე, რომ ვინიცობაა თითონ წაეკითხა, სახე არ შეჰპუხნოდა, წარბი არ შეჰკროდა?

ბევრი და კარგი უკვე ითქვა. და რამდენი პრწყინვალე, სხარტი და სიყვარულით შედგენილი დახასიათება გვაქვს ამ ჟამად.

ბევრჯერ დავიწყე და მივატოვე, რადგანაც მეტად ძნელია ილიჩზე წერა.

გენიან თვითეული მრუდე ფრაზის, გენიან ბანალური სიტყვების, გენიან არ დაამახინჯო მისი წარმტაცი სახე. ცდილობ იყო ძუნწი, მოერიდო მრავალსიტყვაობას, ცდილობ თავისუფლება არ მისცე გრძნობას, რომელიც სადგისივით გულს გესობა და სულს გიხუთავს, რადგან ჭეშტის მეტად, მეტის მეტად ძნელია გადაფურცლო ყველაფერი, რაც მოხდა, გამოიწვიო წარსულიდან ძვირფასი სახე მეგობრის, ამხანაგის, მასწაელებლის და ამასთან ერთად მოიგონო ოთახი გორკაში, მოიგონო კავშირთა სახლის დარბაზი და წითელი მოედანი...

ვიცი წინდაწინ, რომ ის, რასაც დავსწერ, ოდნავადაც ვერ გამოხატავს იმას, რისი თქმაც მინდა; მაგრამ მაინც ვებედავ აღვადგინო ზოგი რამ ჩემი პირადი მოგონებიდან, ვებედავ იმიტომ, რომ ვფიქრობ შეიძლება სულ მცირე ამბავსაც, ყველასთვის ძვირფასი ადამიანის ცხოვრებიდან, ეკნეს თავისი მნიშვნელობა და ღირებულება.

ჩემი პირველი მკრთალი და ზერელე მოგონება ილიჩზე 1891 წელს ეკუთვნის, როცა იგი პეტროგრადს ჩამოვიდა სახელმწიფო გამოცდების ჩასაბარებლად. ხშირად დადიოდა თავის და ოლასთან: მე და ოლია კი ერთად ვსწავლობდით ქალთა უმაღლეს კურსებზე და ამგვარად ხანდისხან ვხვდებოდი ხოლმე ლენინს. მაშინ მას არ ვიცნობდი. ის კი ვიცოდი, რომ ოლია დიდათ აფასებდა თავის ძმას და სწორედ მისი რჩევა-დარიგებით მუშაობდა. არ შემიძლიან ორიო-

*) ამხ. ზ. კრუპსკაიას წერილიდან ვბეჭდავთ იმ ადგილს, რომელიც ეხება ამხ. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის პირველ ხანას. რ ე დ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დე სიტყვა არა ვსთქვა ლენინის დაზე. უნდა აღვნიშნო, რომ არც ოლღა იყო ჩვეულებრივი ტიპი იმ დროის მოსწავლე ქალებისა: დაბალ დაბალი, შავი, მოკრძალებული, პირველი შეხედვით ჩვეულებრივი, მაგრამ ჭკვიანი, დაჯილდოებული რაღაც წყნარი მძლე ნებისყოფით და შეუდრეკელი სიმტკიცით; ღრმა ბუნების მქონე, უაღრესად სერიოზული (მიუხედავათ იმისა, რომ მაშინ მხოლოდ 19 წლისა იყო) და ამასთანავე შეუდარებელი ამხანაგი. სამწუხაროდ ოლღა გარდაიცვალა იმავე წელს ტიფისგან.

ილიჩი გავიცანი 1893 წ. შემოდგომაზე, როცა პეტროგრადს ჩამოვიდა და მყისვე ენერგიულად შეუდგა ყველა სოც.-დემოკრატიული ჯგუფების აღმოჩენას. იგი სწრაფად ითვისებდა მაშინდელი წრეების ფიზიონომიას და მჭიდრო კავშირი დაიჭირა ტეხნოლოგთა სოც.-დემოკრატიულ ჯგუფთან; სწორედ ამ ჯგუფის საშვალებით (უმთავრესად) დაუახლოვდა იგი პეტროგრადის მუშებს *).

ამხანაგების აღფრთოვანებული აზრი ილიჩზე მე არა ერთხელ მომისმენია ჯერ კიდევ მანამდე, სანამ მას პირველად ვნახავდი, როცა თავის რეფერატს გვიკითხავდა „ბაზრების შესახებ".

სწრაფი და დაკვირვებული, ოდნავ დამცინავი, ცეცხლიანი თვალებით, სავსე სიცოცხლით და ენერგიით,—იგი მაშინაც ნაპერწკალივით ღვიოდა. რეფერატმა „ბაზრების შესახებ" და „ბროშიურამ „Что такое друзья народа" ერთბაშად ცხადყვეს, თუ რა მასშტაბის კაცი იყო ილიჩი. აზრის სიცხადემ, ანალიზის სიღრმემ, უდიდესმა ერუდიციამ, როგორც მარქსის თეორიის სფეროში, ისე რუსეთის სინამდვილის შეფასებაში, ერუდიციამ, რომელსაც ამასთანავე უერთდებოდა შეუდრეკელი რევოლიუციონური ენერგია და უაღრესი შრომის მოყვარეობა, სულ ჩქარა მოუპოვა ლენინს უდიდესი გავლენა ამხანაგებში და იგი ბურგებრივად, როგორღაც თავის თავად, იქცა ჯგუფის ცენტრად და მეთაურად.

ილიჩმა მალე დაარწმუნა ამხანაგები, რომ საჭიროა ტაქტიკის შეცვლა, საჭიროა პროპაგანდის ვიწრო ფორმიდან ფართო აგიტაციაზე გადასვლა, მასების დაპყრობა და მათი ჩაბმა იმ ბრძოლაში, რომელიც მიმართული იყო არსებული, როგორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ წესწყობილების წინააღმდეგ.

და სწორედ მაშინ ჩამოყალიბდა, ჩემის აზრით, ლენინის **სამი** ძირითადი ხაზი. ეს არის, **პირველი**, ბრძოლა მოწინააღმდეგე იდეოლოგიასთან, რომელიც აბნელებდა მუშათა კლასის შეგნებას,—ბრძოლა სა'ტიკი და დაუნდობელი. **მეორე**, შექმნა მტკიცედ შეკავშირე-

*) აღნიშნულ ჯგუფში შედიოდნენ, ს. რადჩენკო, გ. კრჟიჟანოვსკი, ვ. სტარკოვი, პ. ზაპოროჟეცი, ა. ვანეევი, მ. ნაზიმოვი, ა. მალჩენკო, მ. სილვინი, მ. კრუსკაია, ა. იაკუბოვი და მე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული, ერთი თეორეტიული და ტაქტიკური ხაზის მქონე ორგანიზაციისა. და **მესამე**—დამყარება ფართო კავშირისა მუშათა მასებთან და დაახლოება მათთან, რისთვისაც ზედმიწევნით უნდა ყოფილიყო შესწავლილი მათი ცხოვრება, მათი გასაჭირი და ინტერესები. აქედან ახალი მეთოდების გამოძებნა, როგორიც იყო ფურცლები, გაზეთები, პოპულიარული ბროშიურები და სხვ.

და ლენინი იმითი როდი კმაყოფილდება, რომ ქადაგობს ამ სამი ძირითადი ხაზის სასარგებლოდ. არა, იგი თავისი თავბრუდამხმელი სისწრაფით და ენერგიით ანხორციელებს ამ საქმეს პრაქტიკულად. იგი სწერს ბროშიურას—„Что такое друзья народа", გამოდის „ნაროდნიკების" კრებებზე, სადაც სასტიკად და მოულოდნელად ამარცხებს მოწინააღმდეგეთ. იგი იჭერს კავშირს იმ სოც.-დემოკრატიულ ჯგუფებთან, რომელნიც მაშინ ჩნდებოდნენ (პეტროგრადში, მოსკოვში, ნიჟნი-ნოვგოროდში, სამარაში და სხვ.) და ეძებს მათ შორის თანამოაზრეთ, სწერს ფურცლებს და ბროშიურებს „ჯარიმის შესახებ", ხელმძღვანელობას უწევს მუშათა წრეებს და სხვ.

1895 წ. გაზაფხულზე ილიჩი მძიმე ავად გახდა ფილტვების ანთებით. ვიდრე დედა ჩამოუვიდოდა, ჩვენ მორიგეობა დავაწესეთ და ვუვლიდით ავადმყოფს. მწოლიარე ილიჩი სწავლობს „კაპიტალის" მე-III ტომს, გვიხსნის და ცდილობს ჩვენც შეგვასწავლოს. გამომრთელებისას მალე გაემგზავრა საზღვარგარეთ, სადაც 4—5 თვე დაჰყო.

დაბრუნდა აღტაცებული და მხიარული. იქ მჭიდრო კავშირი დაემყარებია „შრომის განთავისუფლების ჯგუფთან" და, გარდა ამისა, თან წამოელო არალეგალური ლიტერატურა და მიმეოგრაფი (მოთავსებული ჩემოდნის ორ ძროს შუა), რომელიც ახალი ტაქტიკის პირობებში ესოდენ საჭირო იყო ჩვენთვის.

1895 წ. შემოდგომა მეტად ცხოველი და შინაარსიანი იყო. პირველად შემუშავდა მუშაობის ორგანიზაციული გეგმა, დანაწილებულ იქნა ძალები ცალკე რაიონებისათვის, შეიქმნა ცენტრალური სარედაქციო ჯგუფი, გაჩნდა გაზეთი „რაბოჩეე დელო". მთავარი ინიციატორი ყველა ამ საქმეებისა იყო „მოხუცი" ილიჩი. თუმცა სულ მალე, იმავე 1895 წ. დეკემბერში, მოხდა პირველი მარცხი და მთავარი ძალები გამომწყვდეულ იქნენ ციხეში 14 თვით.

მაგრამ საქმე უკვე მტკიცედ იყო დაყენებული. გადარჩენილმა ამხანაგებმა მოიწვიეს ახალი ძალები და ამნაირად განაგრძეს დაწყებული მუშაობა. ციხესთან ერთად მუდმივი კავშირი გვქონდა და იქიდან ილიჩი გვაწვდიდა წერილებს, რჩევა-დარიგებას, ფურცლების პროექტებს და სხვ. ერთხელ გამოგზავნა ბროშიურა „გაფიც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ-თა შესახებ", რომელიც, სამწუხაროდ, სამუდამოდ დაგვეკარგა ლახტინის სტამბასთან ერთად.

დაპატიმრების გამო (1896 წ.) თითქმის ორი წლის განმავლობაში მოწყვეტილი ვიყავ პეტროგრადელებისაგან და მხოლოდ 1898 წ. ხელ-ახლა შევხვედი ყველას მინუსინსკის მაზრაში, სადაც გადმოსახლებული იყვნენ ლენინი, ნადეჟდა კონსტანტინეს ასული, კრჟიჟანოვსკი, სტარკოვი, ლეპეშინსკი, პეტროგრადელი მუშები: შაპოვალი, პანინი, ენგბერტი, პოლონელ სოც.-დემოკრატ მუშების ერთი ჯგუფი—ჩეკალსკი, კოვალევსკი, პრომინსკი, ხოლო ცოტა უფრო გვიან, ენისეის მაზრიდან გადმოიყვანეს ლენტნიკი, ვანეევი და სილვინი. ამ გვარად, გაჩნდა მეგობრული ჯგუფი (თუმცა გაფანტული მინუსინსკის მაზრის სხვა და სხვა კუთხეში) მჭიდროდ შეკავშირებული ახლო წარსულის საეროო მუშაობით, განწყობილებით და აზრთა მთელი მიმდინარეობით.

კავშირი ჩვენ შორის არ წყდებოდა იმის წყალობით, რომ მიწერ-მოწერას ვაწარმოებდით. ზოგჯერ ავგრეთვე ვესტუმრებოდით ხოლმე ერთმანეთს და ყრილობებსაც კი ვაწყობდით სხვა და სხვა მიზეზით. გადასახლებულთა ცენტრი, რასაკვირველია, ილიჩი იყო. მას უაღრესად ფართო მიწერ-მოწერა ჰქონდა ამხანაგებთან და ხელში ეჭირა კავშირის ყველა ძაფები. მისივე ინიციატივა იყო, რომ რუსეთიდან მიღებულ წიგნებს, გაზეთებს და ჟურნალებს (როგორც რუსულს, ისე საზღვარგარეთელს) ჩვენ ერთმანეთში ვარიგებდით.

მთელი მისი ცხოვრება ფიცხელი და მომქმედი, საკმაო შინაარსით და ენერგიით, ჩვენც უნებურათ გვაღვიძებდა, გვიკლავდა სიზანტეს და სიზარმაცეს, ქმნიდა ტემპს.

და ჩვენს ცხოვრებაში არ იყო არც მოწყენილობა უსაქმობით გამოწვეული, არც ცუდი სულიერი განწყობილება, არც უაზრო და უშინაარსო ლაყბობა. ვმუშაობდით, ვემზადებოდით მომავლისათვის, ვამეცადინებდით მუშებს, თვალყურს ვადევნებდით რუსეთის საქმეებს. კარგად ვგრძნობდით თავს, იმედიანად ვიყავით.

მახსოვს ერთხელ შუშას გავემგზავრეთ. ზამთარი იყო, სიცივე 25 პროც. ციმბირის სწრაფი ცხენები გვყვანდა. თითქოს თვალის უმალ გადავლახეთ 50 ვერსტი მინუსინსკის ველით და საღამოს უკვე შუშაში ვიყავით. ილიჩი ცხოვრობდა სამ პატარა ოთახში ნადეჟდა კონსტანტინეს ასულთან და მის დედასთან. ილიჩის ოთახი სავსე იყო წიგნებით, გაზეთებით, სტატისტიკური კრებულებით. იგი მაშინ თავდავიწყებით მუშაობდა. სწერდა თავის წიგნს—«Развитие капитализма в России». დღე ისე ჰქონდა განაწილებული, რომ არც ერთ წუთს უსაქმოდ არ დაკარგავდა. ჩვენი ჩასვლით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაკვირველია, დავარღვიეთ მისი წესრიგი და ორი დღის განმავლობაში დიდი არეც-დარეცა შეეტანეთ მის ცხოვრებაში. კარგა ხანი იყო ილიჩი არ გვენახა და ალბად ამის შედეგი იყო ჩვენი გრძელ-გრძელი საუბარი, სეირნობა, ჭადრაკი, რკინის სასრიალო და სხვა, მაგრამ ასეთი, მეტად არა ხშირი გართობა ჩვენს ერთფეროვან ცხოვრებაში საზიანო მაინც არ იყო.

მახსოვს, მეორე დილას გავმართეთ რბენა რკინის სასრიალოებით მდინარეზე. გამოვცხადეთ კონკურსი „ფიგურებისა“ და „სიჩქარისა“. პირველ კონკურსში ილიჩი დაამარცხეს ზოგიერთმა ამხანაგებმა. მაგრამ სიჩქარეში კი ძალიან მოწადინებული იყო პირველობა დარჩენოდა; მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა და მართლაც, ყველას გაუსწრო, პირველი მივიდა დანიშნულ ადგილს.

მზიანი და ცივი დღე იდგა. სარკესავით ბრწყინავდა მდინარეზე გაკრული ყინული თოვლის „ვარდებით“. ყველა ჩვენგანი ხალისობდა, მხიარულობდა, ცხოვრება წინ იყო და ჩვენს „მოხუცში“ კი სდუღდა და გადმოდიოდა მოჭარბებული სასიცოცხლო ძალა.

მაგონდება კიდევ მინუსინსკის მაზრის სოც. დემოკრატთა დიდი ყრილობა, რომელიც ილიჩმა მოიწვია კუსკოვასა და კომპანიის ცნობილი „Credo“-ს (მრწამსი) პასუხის შესადგენად. კუსკოვა და მისი თანამოაზრენი ამტკიცებდნენ—სრულიად ზედმეტია დამოუკიდებელი მუშათა პარტიის დაარსება და საჭიროა მხარი დავუჭიროთ ლიბერალურ ბურჟუაზიასო.

ხელისუფლების თვალის ასახვევად ყრილობის ოფიციალური მოტივი იყო ლეპეშინსკის ქალიშვილის დაბადების დღე და ითქვოს ქალის მშობლებს წვეულება ჰქონდათ. ამიტომ ყრილობა მოწვეულ იყო ერმაკოვსკში, სადაც ლეპეშინსკი ცხოვრობდა.

მინუსინსკიდან გავუარეთ ულთანოვებს შუშაში და გავსწიეთ ერმაკოვსკისკენ, სადაც იმ დროს ლეპეშინსკების გარდა ცხოვრობდნენ ვანეევი ცოლით, სილვინი ცოლით და ბორომზინი. ჩამოვიდნენ აგრეთვე ლენტნიკი და მუშები—შაპოვალი, ენგბერტი და პანინი.

ილიჩმა წარუდგინა ყრილობას პასუხის პროექტი. ზოგიერთი ამხანაგები იჭვს გამოსთქვამდნენ: არ ვიცით, ღირს თუ არა კუსკოვას ლიტერატურული გამოსვლის ასე გაზვიადებაო, მაგრამ ილიჩი გაცხარებით ამტკიცებდა—შეუძლებელია ეს ფაქტი რიგიანად არ შევაფასოთ, რადგან იგი ვეტად სიმპტომატიურია და ნიშნავს ახალ მიმდინარეობათა წარმოშობას, ისეთ მიმდინარეობათა, რომელთაც მუშათა კლასისათვის მეტად საზიანო შედეგები ეკნებაო

პასუხს ყველამ ხელი მოაწერა და გაიგზავნა რუსეთში, როგორც პროტესტი აღნიშნული მიმდინარეობის წინააღმდეგ.

იღიჩი ფხიზლად ადევნებდა თვალყურს თავის იდეურ მტრებს და არ შეარჩენდა ხოლმე მათ არც ერთ შეცდომას.

1900 წელს ლენინი დაბრუნდა რუსეთში და მაშინვე, საზღვარგარეთ გამგზავრების წინ, შეჰკრიბა და დარაზმა ძველი ძალები, განამტკიცა ძალები, შეაგროვა მისამართები და მოაგვარა შიფრის საქმე მიწერ-მოწერისათვის. ამ მიზნით იწვევს თავისთან ზოგიერთ აქხანაგებს (შესტერპინების—ცოლისა და ქმარის—გაწვევა პოდოლსკში) ან თითონ მიემგზავრება სხვა და სხვა ქალაქებში. მაგ. ჩასვლა ნიჟნი-ნოვგოროდში, სადაც ს. პ. შესტერპინის (ნევზოროვის) საშუალებით მოწვეულ იქნა სოციალ-დემოკრატების მთელი ჯგუფი: მაშინ ამ ჯგუფსა და მომავალ „ისკრას“ შორის დამყარებულ იქნა მჭიდრო კავშირი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. თალაქვაძე

ბაქოს ორგანიზაციის ოცდახუთი წლისთავი.

1924 წელს აზერბეიჯანის კომუნისტური პარტიის ბაქოს ორგანიზაციას შეუსრულდა 25 წელი.

ამ წლის 29 აპრილს ბაქოს კომუნისტებმა გადაიხადეს თავიანთი გრძელი, პარტიულ-რევოლიუციონური მუშაობის იუბილე, — 25 წლისთავი.

ამის შესახებ ჩვენი ჟურნალის ამ ნომერში იბეჭდება წერილები და მოგონებები იმ ამხანაგებისა, რომელთაც უმუშავიათ იქ იმ ხანებში, რომელთა შორის ყოფილა კიდეც ამ ორგანიზაციის ერთი დამაარსებელთაგანი.

ჩვენ მას ახალს ვერაფერს დავუმატებთ რა თქმა უნდა; ჩვენ აქ მოკლეთ მოვიყვანთ მხოლოდ ამ ორგანიზაციის ჩასახვის პირობებს, მის ისტორიას.

კავკასია — ამიერ-კავკასიის მასშტაბით უძველეს კომუნისტურ ორგანიზაციათ ითვლება ტფილისის ორგანიზაცია.

კომუნისტური (მაშინ სოციალ-დემოკრატიულად წოდებული) ორგანიზაცია ტფილისში ჩაისახა, სხვებისაგან თითქმის სრულებით დამოუკიდებლათ სწორედ იმ დროს, როცა რუსეთის სამრეწველო ქალაქებში ისახებოდა და ეწყობოდა ეს ორგანიზაციები.

ტფილისის ორგანიზაციის ეს ჩანასახი იწყება ეგნატე ნინოშვილის თაოსნობით მიხა ცხაკაიას და სილიბისტრო ჯიბლაძის აქტიური ჩარევით 1892 წელს ჰიათურაში მოწყობილ პირველ მარქსისტულ კრებიდან — მსგავსად მარქსისტ-ინტელიგენტებისაგან შემდგარ „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფისა, რომელსაც ხელმძღვანელობდენ პლეხანოვი და ვერა ზასულიჩი საზღვარ გარეთ.

შემდეგ ეს მარქსისტული იდეა ისე ვრცელდება და ხდება მისაწვდენი მუშებისათვის, რომ 1894 წელს ტფილისში ეწყობა მუშებისაგან შემდგარი მარქსისტულ-რევოლიუციონური, არსებულ მრავალ მარქსისტულ მუშათა წრეების ხელმძღვანელი ერთი ცენტრი. ერთგვარი კომიტეტი, სადაც შედიოდენ ზაქრო ჩოდრიშვილი, არაქელა ოქუაშვილი, სტანისლავ რენიგერი, ვასო ყაბაძე, იოსებ არაბიშვილი, აფანასიევი და სხვები.

1895, 6 და 7 წლებში ამ ჩონჩხს ორგანიზაციისას საკმაოდ

შეესხა ხიფი, — გაიზარდა, გაძლიერდა იგი შეყვანილ მარქსისტ-ინტელიგენტებით, როგორიც იყვნენ — ლადო კეცხოველი, მიხა ბოჭორიძე, სევერიანე ჯუღელი, სილიბისტრო ჯიბლაძე და რაქდენ ქალაძე. ამით კი, ტფილისის ორგანიზაციამ მიიღო ამოძრავებულ მუშების ხელმძღვანელ კომიტეტის სახე.

1898 წლიდან ამ ორგანიზაციას გარშემო შემოკრებილი თეორეტიკი მარქსისტები ნოე ჟორდანია და ფილიპე მახარაძე, გიორგი წერეთლის ნაციონალ-დემოკრატიულ გაზეთ „კვალს“ ხელში იგდებენ და აქცევენ მას მარქსისტული მიმართულების ლეგალურ ორგანოთ.

1899 წლიდან, მინსკის პირველი ყრილობის შემდეგ ხანებში, პარტიულ და რევოლიუციონურ მუშაობის სარბიელზე, ტფილისის ორგანიზაციაში ჩაბმულ მუშებსა და ინტელიგენტებს შორის ხდება ერთგვარი დაპირდაპირება, იბადება უთანხმოება, აშკარავდება ერთგვარი ოპორტიუნიზმი, რევოლიუციონური და არა რევოლიუციონური სული, ტემპი.

სილიბისტრო ჯიბლაძე, სევერიანე ჯუღელი და სხვები, — ტფილისის ორგანიზაციის ეს გავლენიანი წევრები, იყვნენ მატარებელი ამ ოპორტუნისტული, არა რევოლიუციონური სულისა.

აქ ამხანაგებთა შორის მათდამი ყველაზე უფრო შეურიგებელი შეიქმნა ამ ორგანიზაციის ერთი აქტიური ხელმძღვანელთაგანი — ლადო კეცხოველი, რომელიც ამ ნიადაგზე უმთავრესად იძულებული ხდება დასტოვოს ტფილისი და ესტუმროს ბაქოს.

ბაქოში ხვდება მას 1898 წელს ტფილისიდან გამგზავრებული აბელ ენუქიძე. ეცნობა აგრეთვე იქ მყოფ მარქსისტულათ მოაზროვნე ჭნუნიანცს, კრასინს და აწყობს მათი დახმარებით ბაქოს ორგანიზაციას.

ორგანიზაციაში ბატონდება ლადოსებური მოუსვენარი, შეურიგებელი რევოლიუციონური სული.

ლადო კეცხოველი ორგანიზაციული მუშაობის პროცესში აქ უურის თავს ბაჭრაძეს, ს. თოდრიას, ლ. დუმბაძეს, ვ. ბოლქვაძეს და 1902 წელს თავის მიერ არალეგალურად მოწყობილ სტამბაში ახერხებს გამოსცეს პირველი არალეგალური მუშათა რევოლიუციონური გაზეთი „ბრძოლა“ ქართულ ენაზე, — ტფილისის ლეგალურ მარქსისტულ გაზეთ „კვალთან“ დაპირდაპირებული.

ბაქოს ორგანიზაცია ლადო კეცხოველის ბოლშევიკური სულის გავლენის ქვეშ პოულობს ნათესაობას, შემაერთებელ ძაფს, ლენინის გაზეთ „ისკრასთან“, მთლიანათ იხდის „ისკრას“ თავის სახელმძღვანელო ორგანოდ ლადოს თაოსნობით.

ლადო კეცხოველი, ბაქოს ორგანიზაციის ამ ბოლშევიკური სა-

მიანობა—მოქმედებით ახერხებს გაელენის მოხდენას ტფილისის ორგანიზაციაზეც.—სდევნის ტფილისის ორგანიზაციიდან ოპორტუნისტულ სულს, აწვდის მას ფილიპე მახარაძისა, სტალინისა და სხვების საშუალებით „ისკრას". გაზეთი „ისკრა" ხდება სახელმძღვანელო ორგანოთ ბაქოს ორგანიზაციასთან ერთად ტფილისის ორგანიზაციისთვისაც.

ტფილისის ორგანიზაციაში შთლიანად ისადგურებს შეურიგებელი რევოლიუციონური.—ბოლშევიკური სული.

. . . ამ დროს ჯერ კიდევ არ იყო, რა თქმა უნდა, ლაპარაკი „მენშევიკ-ბოლშევიკებზე"; ასეთი აშკარა დაყოფა ჯერ კიდევ არ არსებობდა, მაგრამ იყო ამის მაგვარი მიმართულება და სხვადასხვა ხაზი ორგანიზაციაში მომუშავე პირებისა; იყო „მენშევიზმის" წინამორბედი ნიშნები, რომელიც არ ეპარებოდა რევოლიუციის ფხიზელ დარაჯს—ლადო კეცხოველს.

. . . ლადო კეცხოველი მოკვდა მანამ, სანამ წარმოიშვებოდა სახელწოდება „ბოლშევიკ-მენშევიკა".

ბაქოს ორგანიზაცია ისე, როგორც ლენინგრადის ორგანიზაცია 94—95 წლებიდან, ლენინის ხელმძღვანელობით იყო ლენინისტური—ბოლშევიკური,—ისევე დაბადებიდანვე ლადო კეცხოველისებური, ლენინისტური იყო.

. . . და ასე უცვლელად შეირჩინა მან ბოლშევიკური, კეცხოველისებური, ლენინისტური რევოლიუციონური სული და ტემპი 25 წლის სიგრძეზე.—დღევანდლამდის.

მას ვერაფერი დააკლო მენშევიზმის გამხრწნელმა ბაცილებმა. ამით არის ბაქოს ორგანიზაციის წარსული და აწმყო აღსანიშნავი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ. მახარაძე

აზერგეიჯანის კომუნისტური პარტიის ბაქოს ორგანიზაციის 25 წლის არსებობის გამო.

ბაქოს ორგანიზაცია, ეჭვს გარეშეა, წარმოადგენს ჩვენი პარტიის არა მარტო ერთ უძველეს, არამედ უმნიშვნელოვანეს ორგანიზაციას. მისი წარმოშობისა და განვითარების ისტორია მეტად მჭიდროთ არის დაკავშირებული ბაქოს ნავთის მრეწველობის განვითარებასთან და ზრდასთან. რამაც მეოცე საუკუნის დასაწყისისათვის უმაღლეს წერტილს მიაღწია.

როგორც ვიცით, ყოფილი რუსეთის იმპერიის მრეწველობის არც ერთი დარგი არ ვითარდებოდა და არ იზრდებოდა ისეთის ჰიროდაპირ თავბრუდამხვევი ტემპით, როგორც სწორედ ბაქოს ნავთის მრეწველობა. ნავთის აუარებელი მარაგი, რომელიც მრავალი საუკუნეების განმავლობაში უსარგებლოთ იყო მიწაში, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში თანდათანობით იპყრობს მთელი ქვეყნის კაპიტალისტების ყურადღებას.

ბაქოს შეერთებამ რკინის გზის ხაზით ჯერ ბათომთან (1883 წ), შემდეგ როსტოვთან (1898 წ). და ამავე დროს ბათომსა და ბაქოს შორის ნავთსადენის მოწყობამ ძალუმად წინ წასწია ბაქოს ნავთის მრეწველობის ზრდა და აზიური, მკვდარი ქალაქის ნაცვლად სწრაფად აღიმართა წმინდა ამერიკული ქალაქი გაცხოველებული სავაჭრო სამრეწველო ცხოვრებით. ერთი სიტყვით, ბაქო სწრაფად ხდება ერთი მსხვილი კაპიტალისტური ცენტრთაგანი არა მარტო მეფის რუსეთში, არამედ მსოფლიო მასშტაბით. მუშების მტაცებლური და ბარბაროსული ექსპლოატაციის საშუალებით მშობლიური და უცხოელი კაპიტალისტების: ნობელების, როტშილდების, მანთაშოვების, ნაგიევის, მილიჭოვების და სხვათა გასამდიდრებლად. მაგრამ, ცხადია, ბაქოს მრეწველობის ზრდას, როგორც ყოველთვის, თან სდევდა მუშათა კლასის ზრდა თვით ბაქოში, და მართლაც, ეს ზრდა სხვანაირათ წარმოუდგენელიც იყო. გაჭირვება ერეკებოდა მუშებს და ისინი თავს იყრიდენ ბაქოში ყოველი მხრიდან, როგორც ამიერ-კავკასიიდან და ჩრდილო კავკასიიდან, ისე რუსეთის ცენტრიდან და აგრეთვე სპარსეთიდან, რომ მომავალში გამოეკვეთათ იარაღი კაპიტალისტური ექსპლოატაციის წინააღმდეგ.

ნავთის მრეწველობა მოითხოვდა და მოითხოვს როგორც მაღალ-კვალიფიციურ მუშებს, ისე უბრალო შავ-მუშებსაც. ყველა ამ გარემოებათა გამო ბაქოში შეიქმნა პროლეტარიატი მეტად ჭრელი შემადგენლობის, როგორც ნაციონალურად, ისე კულტურულად. ასეთი სიჭრელე, რომელიც ახასიათებდა და ნაწილობრივ ახლაც ახასიათებს ბაქოს პროლეტარიატის შემადგენლობას, საეჭვოა, რომ იყოს სხვა რომელიმე ადგილას. ამ გარემოებას ჰქონდა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები.

დადებითი მხარე მდგომარეობდა იმაში, რომ აქ მუშათა კლასი, რომელიც სხვადასხვა ეროვნებათაგან შესდგებოდა, უპირისპირდებოდა ან ეჯახებოდა მყულეფელთა კლასს, რომლებიც ერთნაირად ღრჩობდენ თურქ მუშას, სპარსელ მუშას და რუს მუშასაც. ამრიგად, ბრძოლა კაპიტალსა და შრომას შორის იმ თავიდანვე იღებდა კლასობრივ და არა ნაციონალურ ხასიათს, მაგრამ ჩვენ აქ გვქონდა უარყოფითი მხარეებიც, რომლებიც ხელს უშლიდენ სხვადასხვა ეროვნების მუშათა შორის ინტერნაციონალური სოლიდარობის გრძნობის განვითარებას საქმე იმაშია, რომ მუშა-თურქები და სპარსელები, როგორც ყველაზე ნაკლებ კულტურული და ნაკლებ კვალიფიციური მუშები, თავის დიდ უმრავლესობაში წარმოადგენდენ ბაქოს პროლეტარიატის ყველაზე დაბალ კატეგორიას, სახელდობრ, შავ მუშების კატეგორიას, ე. ი. ისეთებს, რომლებიც ყველაზე ნაკლებ შრომის ჯილდოს იღებდენ და, მაშასადამე, ყველაზე დაჩაგრულები იყვნენ. მეორე მხრით სხვა ეროვნებათა და პირველ ყოვლისა რუს მუშების, რომლებიც მაშინ გაბატონებულ ეროვნებას კუთვნოდენ,—უმრავლესობა წარმოადგენდა ცოტათ თუ ბევრათ კვალიფიციურ ელემენტს და, მაშასადამე, ისინი კარგ შრომის ხელფას იღებდენ. გასაგებია, რომ ამ გარემოებას არ შეეძლო არ გამოეწვია ანტაგონიზმი სხვადასხვა ეროვნების მუშებს შორის, რომელთა მატერიალური მდგომარეობა ბევრათ არ იყო ერთნაირი. კაპიტალისტები კი ყოველმხრივ ცდილობდენ გამოეყენებინათ ეს უთანასწორობა თავის სასარგებლოდ, ისინი ერთი ეროვნების მუშებს უსისიანებდენ მეორე ეროვნების მუშებს, მაგალითად თურქებს, სომხებს და პირიქით, რუსებს—ადგილობრივ მცხოვრებლებს და სხვა. და უნდა ითქვას, რომ ნაციონალური ბრძოლისა და ნაციონალური ანტაგონიზმის გასაღვივებლად ბაქოს პირობები ძლიერ ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენდა. სწორეთ ეს უნდოდათ კაპიტალისტებს, ისე, როგორც მთავრობას, ვინაიდან ამით მათ სურდათ თუ სამუდამოთ არ შეეჩერებინათ, ყოველ შემთხვევაში, დროებით მაინც შეეფერხებინათ რევოლიუციონური მოძრაობა.

მაგრამ ბაქოს მუშათა კლასისათვის, საბედნიეროთ, მეფის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავრობისა და კაპიტალისტების ეს ზრახვები არ გამართლდა. ამისათვის ჩვენ მთლიანად უნდა ვუმადლოდეთ **ბაქოს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას**.

მიუხედავად იმისა, რომ წარსული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში ბაქოში უკვე არსებობდენ ყველა პირობები სოციალ დემოკრატიული მუშათა მოძრაობის წარმოსაშობად, მაინც ეს მოძრაობა წარმოიშვა იქ შედარებით გვიან. ამასთან, სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის პირველი თესლი შეიტანეს იქ ტფილისიდან მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში ან უფრო სწორად, რომ ვსთქვათ მეოცე საუკუნის პირველ წლებში. სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას ამიერ-კავკასიაში საძირკველი ჩაეყარა ტფილისში, სადაც 1897 წლიდან ის უკვე იღებს ცოტათ თუ ბევრათ ჩამოყალიბებულ ფორმებს. ამ დროს პროლეტარულ ბაქოში, სადაც ამ დროისთვის უკვე 60.000 მუშამ—ნამდვილმა პროლეტარებმა მოიყარა თავი, ჯერ არაფერი ისმოდა ამ მოძრაობის შესახებ. და მხოლოდ წარსული საუკუნის დამლევიდან, როცა ტფილისიდან ბაქოში გადავიდენ ჯერ ა. ენუქიძე (1899 წ.), შემდეგ კი ალიოშა (პროკოფი) ჯაფარიძე (1902 წ.) საძირკველი ეყრება სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას ბაქოს მუშებს შორის. მაგრამ დაიწყო თუ არა ეს მოძრაობა, სწრაფად ვითარდება იქ და ვრცელდება მუშების უფრო და უფრო ფართე მასებზე. ჩქარა იქ ჩამოდიან სოციალ-დემოკრატიული მუშაკები რუსეთის სხვა ცენტრებიდან, ისე რომ, უკვე 1903 წ. ბაქოში ჩვენ ვხედავთ მძლავრ მუშათა მოძრაობას გრანდიოზული გაფიცვების სახით, რომელთაც ჰქონდა არა მარტო ეკონომიური, არამედ პოლიტიკური ხასიათი და მოწყობილი იყვენ სოციალ-დემოკრატიის მიერ. ეს საგაფიცვო მოძრაობა ამის შემდეგ თითქმის არ შეწყვეტილა, ის გრძელდება 1904, 1905 წ. წ. და რამდენიმედ სუსტდება 1905 წლის რევოლიუციის დამარცხების შემდეგ, რომ კვლავ აფეთქებულიყო ახალი ძალით იმპერიალისტური ომის წინ 1914 წლის ივლისში. მუშათა მოძრაობის სათავეში მუდამ იდგა სოციალ დემოკრატიული ორგანიზაცია. ეს ორგანიზაცია ისე, როგორც სხვა ორგანიზაციები ამიერ-კავკასიაში. თითქმის 1905 წლის დასაწყისამდე. პარტიის მეორე ყრილობამდე (1903 წ.) მთლიანად იზიარებდენ ძველი „ისკრას“ პოზიციას, მეორე ყრილობის შემდეგ კი, რომელზედაც ბაქოს ორგანიზაციას წარმოადგენდა ამხ. კნუნიანცი (ბოლშევიკი), ის მთლიანად დადგა ბოლშევიკების მხარეზე, ე. ი. სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ, ლენინის პოზიციაზე.

ყველამ კარგათ იცის ბაქოს სოციალ დემოკრატიული ორგანიზაციის უდიდესი გავლენა ბაქოს პროლეტარიატზე. ეს გავლენა განსაკუთრებით გამოაშკარავდა 1905 წ. რევოლიუციის დროს, როდე-

საც ბაქოს პროლეტარიატმა, რომელიც შეცდომაში შეიყვანეს ერთის მხრივ მეფის ჯალათებმა და მეორე მხრივ—კაპიტალისტების აგენტებმა ურთიერთ შორის დაიწყო სისხლის მღვრელი ბრძოლა. მე ვლაპარაკობ **სომეხ—თათართა ელეტის** შესახებ, რომელიც ბაქოში პირველათ დაიწყო 1905 წლის დასაწყისში და შემდეგ განმეორდა კიდევ იმავე წლის აგვისტოში. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ეს ხოცვა-ჟლეტა ხდებოდა რევოლიუციონურ მოძრაობის დროს და მისი მიზანი იყო ამ მოძრაობის სისხლში ჩახრჩობა. ხალხის მტრებს კარგათ ჰქონდათ ამოღებული ნიშანი, მაგრამ ისინი მოსტყუებენ თავის ანგარიშებში და ეს მოხდა სწორეთ **სოციალ-დემოკრატიის აქტიური ჩარევით ამ საქმეში**. სოციალ-დემოკრატიამ ერთბაშათ იგრძნო, თუ რა განსაცდელს უმზადებდა მთელ მუშათა მოძრაობას ეს სისხლისმღვრელი ბრძოლა ძმათა შორის, მან ერთბაშათ გაიგო მეფის მთავრობის ვერაგული და მოღალატური როლი და ის სიტყვით და საქმით მოუწოდებდა გამხეცებულ მასებს თვითგამოფხიზლებისაკენ. სოციალ-დემოკრატია ურჩევდა პროლეტარიატს არ აყოლოდა პროვოკაციას და შეეწყვიტა სისხლის ღვრა და ბაქოს ორგანიზაციამ ბოლოს დაბოლოს შესძლო ეს, მაგრამ ამისათვის მას დიდი ენერგიისა და მსხვერპლის გაღება დასჭირდა.

1905 წ. ბაქოს ორგანიზაციაში ადგილი ჰქონდა შინაპარტიულ და ფრაქციულ ბრძოლას მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის და გასაკვირი არ არის, რომ ბაქოს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაზე, მასში თავისი გავლენის გამტკიცების მიზნით, გაეფთრებული იერიშები მიჰქონდათ, როგორც ბოლშევიკებს, ისე მენშევიკებს.

ამ ფრაქციული ბრძოლის შედეგი იყო ის, რომ გამარჯვებული გამოვიდენ ბოლშევიკები: მუშების დიდი უმრავლესობა, რომელიც გაერთიანებული იყო პარტიაში და კავშირებში, ყოველთვის ბოლშევიკებს მიყვებოდა. განსაკუთრებით გამწვავებულ ბრძოლას ბაქოს ორგანიზაციაში ადგილი ჰქონდა 1906—8 წ.წ. პერიოდში,—1905 წ. რევოლიუციის დამარცხების შემდეგ. ამ დროს იქ, სხვათა შორის, მუშაობდენ **სტალინი, შაუმიანი, მდივანი, ჯაფარიძე** და სხვები. დამახასიათებელია ის, რომ იმ დროს მაშინდელ რუსეთის თითქმის ყველა სოც.-დემოკ. ორგანიზაციები ან დაშლილი იყვენ, ანდა ისინი არალეგალურ მდგომარეობაზე გადადიოდენ, ბაქოში კი ისინი კიდევ განაგრძობდენ ლეგალურ არსებობას.

ეს აიხსნება იმ როლით, რომელსაც თამაშობდა ბაქოს ნავთის მრეწველობა იმ დროს სახელმწიფოს ეკონომიკაში. და ხედავდა რა, თუ როგორი ავტორიტეტით სარგებლობდა მუშებს შორის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, მთავრობა ვერ ბედავდა აშკარა რეპრესიული ზომების მიღებას მის წინააღმდეგ, ის რამოდენიმეთ ეარ-

შიყებოდა კიდეც მუშებს. მოვიგონოთ აქ, მაგალითად, ცნობილი „თათბირები“ მწარმოებლებსა და მუშებს შორის, რომელთაც აწყობდა თვით მთავრობა; ამ თათბირებზე მთავრობა გამოდიოდა შემარიგებელის როლში მუშებსა და მწარმოებლებს შორის.

მაგრამ დროთა მსვლელობაში ბაქოს ორგანიზაციასაც საერთო ბედი ეწვია. დააპატიმრეს ყველა გამოჩენილი სოციალ დემოკრატი მუშაკები, ზოგი ციხეებში ჩაყარეს და ზოგიც გადაასახლეს; ამათ გარდა დაიღუპა კიდევ მრავალი ამხანაგი, მათ შორის, მაგალითად, **მონტინი**, რომელიც მოკლულ იქნა 1905 წ. დამლევს მეფის მთავრობის აგენტების მიერ. ყველა ეს რეპრესიები თავს დაატყდა უმთავრესად ბოლშევიკებს. მენშევიკური ბელადები, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება, ხელუხლებელი დარჩენ რეაქციის საშინელი თარეშის დროსაც კი, 1908—14 წ. წ. ბაქოს ორგანიზაცია დარჩა მათ. მაგრამ მასების სიმპატიების მოპოვება მათ მაინც ვერ შესძლეს. ამ ხანებში ბოლშევიკური და მენშევიკური ორგანიზაციები ბაქოში ცალ-ცალკე არსებობდენ, ბაქოს მენშევიკური ორგანიზაცია წმინდა **ლიკვიდატორული** ორგანიზაცია იყო, ის არ თაკილობდა კავშირის დაწერას არა მარტო ბურჟუაზიასთან, არამედ მთავრობის აგენტებთანაც კი, მისი მიზანი იყო ნდობის დამსახურება. მას ყავდა საკმაოთ დიდი კომპაქტიური ინტელიგენტური წრე. სულ სხვა მდგომარეობა იყო ბოლშევიკურ ორგანიზაციაში; აქ საგრძნობი იყო ხელმძღვანელების ნაკლებობა, რადგან აქ თავი იჩინეს პროვოკატორებმა, რომელნიც სისტემატიურათ აძლევდენ ხელში მთავრობას ხელმძღვანელ ორგანოებს. მაგრამ მიუხედავათ ამისა, მასები მაინც ბოლშევიკებს მიჰყვებოდენ, ეს დაამტკიცა სხვათა შორის ბაქოს მუშების გაფიცვამ 1914 წელში, იმპერიალისტურ ომის წინ, და აგრეთვე შემდეგ მოხდარმა ამბებმაც.

აქ მე ვწყვეტ ბაქოს ორგანიზაციის მეტად მოკლე ისტორიულ მიმოხილვას. აქ მინდა აღვნიშნო ხოლოდ მისი უკანასკნელი მიღწევა—ეს აოის ახალი კადრების ჩაბმა პარტიაში 9 ათასი მუშის სახით, რაც წინანდელ რაოდენობასთან ერთად შეადგენს 16.000. ამ ფაქტის მნიშვნელობის შეფასება ეხლა ძნელია, მაგრამ მას რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვსება როგორც ბაქოს ორგანიზაციისათვის, ისე მთელი პარტიისათვის საერთოდ, ეს ეჭვს გარეშეა.

25 წლისთავისათვის ეს გიგანტური ნაბიჯია წინ.

ვთავებ რა ამ წერილს, მე არ შემიძლია ხაზი არ გავუსვა ერთ მოვლენას. საქმე იმაშია, რომ თუ ჩვენ მივმართავთ ბაქოს ორგანიზაციის და საერთოდ ბაქოს მუშათა მოძრაობის წარსულ ისტორიას, დავინახავთ, რომ არც ეს ორგანიზაცია და არც ეს მოძრაობა უკანასკნელ დრომდე არავითარ გავლენას არ ახდენდენ დანარჩენ

აზერბეიჯანის მშრომელ მასებზე ან თუ ახდენდენ, ძალიან უმნიშვნელოს.

1905 წლის რევოლიუცია, ისე, როგორც 1917 წ. რევოლიუცია, ჩატარდა ამ მასების გარეშე, თითქოს ისინი არც კი არსებობდენ. ცნობილია, რომ ბაქოს მუშების ძლიერი რევოლიუციონური მოძრაობა 1905—6 წლებში არ შეხებია გლეხთა მასებს აზერბეიჯანში მაშინ, როდესაც მეზობელ საქართველოში ამ რევოლიუციონურმა მოძრაობამ ათმოძრავა გლეხობა, რომელიც აჯანყებამდეც კი მივიდა. 1917 წლის როგორც თებერვლის, ისე ოქტომბრის რევოლიუციას პირველ ხანებში არავითარი გავლენა არ მოუხდენია აზერბეიჯანის გლეხთა მასებზე, გარდა იმისა, რომ გააღიძა მასში გნელი ინსტინქტები ძარცვა-გლეჯის და მკლელობისადმი. იგივე უნდა ითქვას თვით ბაქოზედაც და განსაკუთრებით მის თათრულ **მოსახლეობაზე**.

ჩვენ ვიცით, რომ ბაქოს მოსახლეობა მოკლე ხნის განმავლობაში თვალსაჩინოდ გაიზარდა, ჩვენ ვიცით, რომ იქ შექმნილი იყო სიმდიდრის წყარო, რომ იქ ყველა ქვეყნის კაპიტალისტები სულ რამოდენიმე წუთში შოულობდენ ზღაპრულ ქონებას, რომ იქ სდუღდა ცხოვრება; მაგრამ ჩვენ ვიცით აგრეთვე ისიც, რომ ბაქოს აზიური სახე შეიცვალა მხოლოდ გარეგნულად, კაპიტალისტური კულტურა შეეხო მას გარეგნულად, კაპიტალისტური კულტურა შეეხო მას მხოლოდ ზევიდან და სრულიად ხელუხლებელი დასტოვა თათართა მასებში გაუთათლებლობა, სიბნელე და საერთოდ ის აზიური სიზანტე, რომელიც მათ მიიღეს მემკვიდრეობით ფეოდალურ ხან-მემამულეთა მონობისაგან.

ვინც თვალყურს ადევნებდა ბაქოს მაშინდელ ცხოვრებას, ყველაფერი ეს მას თვალში ეცემოდა: კონტრასტი მაღალ კაპიტალისტურ კულტურას და სიბნელეს, გაუთათლებლობას და საშინელ სიბნელეს შორის, სასახლეები და უმაღლესი ტეხნიკური გაუმჯობესებანი და აქვე ადგილობრივ მცხოვრებთა სიღატაკე, სიბნელე და ეს იყო მაშინ სრულიად ბუნებრივი მოვლენა. კაპიტალისტები ფიქრობდენ მხოლოდ თავიანთ გამდიდრებაზე და მთელი ზედმეტი მოგება, რომელსაც საწყალ მუშებს ართმევდენ, გაჰქონდათ სხვა ქვეყნებში. და ამას ადგილი ჰქონდა არა მარტო მეფობის დროს, როცა აზერბეიჯანი და ბაქო შეადგენდენ მეფის იმპერიის უბრალო გუბერნიას არამედ ასეთი მოვლენა ხელუხლებელი დარჩა მუსავატისტების დროსაც, როცა აზერბეიჯანი იყო ვითომდა „დამოუკიდებელი“ სახელმწიფო და მას „განაგებდენ თათრები“. და ესეც საკვირველი გასაგებია— ვინაიდან მეფის ერთი სატრაპის თუნდაც აზერბეიჯანელით შეცვლით, არსებითად არაფერი არ იცვლებოდა.

ყველაფერი ეს შეიცვალა მხოლოდ აზერბეიჯანის გასაბჭოების

შემდეგ, როცა ძალა-უფლება გადავიდა თვით მუშების და გლეხების ხელში კომუნისტურ პარტიის ხელმძღვანელობით. ეხლა ყოველგვარი ძველი ურთიერთობა ძირიან-ფესვიანად უნდა შეიცვალოს და იცვლება კიდეც. კაპიტალისტურ კულტურის ნაცვლად, რომელიც დაუზოგავად ყველფაფვდა და აბუჩად იგდებდა მუშათა მასას, დღეს მტკიცდება კომუნისტური კულტურა, რომელსაც გამოჰყავს მუშები სიბნელიდან და სიღატაკიდან: სიტყვები „ამბალი“ ან „ამშარი“—ადგილობრივ თათარ მუშათა საზიზღარი სახელები, საესებით უნდა გახდეუნოს ხმარებიდან. მართალია, ეს პროცესი ძნელია, არც ისე ადვილია საუკუნოებით და ათასი წლობით განმტკიცებულ ნაშთების აღმოფხვრა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს პროცესი უკვე დაიწყო და იგი მიდის ჩქარის ტემპით.

და ჩვენი პარტიის ბაქოს ორგანიზაციამ ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეში, უნდა ითამაშოს უდიდესი როლი, რათა ბოლომდის მიიყვანოს კომუნისტური რევოლიუცია აზერბეიჯანის პირობებში. და იგი ამ ამოცანას კიდეც შეასრულებს.

ტფილისი, 24 აპრილი 1924 წ.

ა. ენუქიძე

ბაქოს ორგანიზაციის 25 წ. არსებობის გამო

ჩვენი პარტიის ბაქოს ორგანიზაციის 25 წლის არსებობა,—ეს დღესასწაულია რკპ-იისა და უდიდესი სიხარული ყველა იმ ამხანაგებისათვის, რომელთაც ოდესმე უმუშავნიათ ან ახლა მუშაობენ ბაქოს ნავთის მრეწველობის მუშათა შორის.

ბაქოს მუშათა მოძრაობას მეტად თვალსაჩინო ადგილი უჭირავს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პროლეტარიატის რევოლიუციონურ მოძრაობაში უკანასკნელი ოცდაოდე წლის განმავლობაში. ნავთის მრეწველობის პროლეტარიატს სხვა განსაკუთრებულ გარემოებათა გარდა, ეს იმითაც აიხსნება, რომ ნავთის წარმოებას სახელმწიფოს მეურნეობაში ჰქონდა და აქვს უდიდესი ეკონომიური ღნიშვნელობა. ამიტომ იყო, რომ მეფის მთავრობა განსაკუთრებულის ყურადღებით ეპყრობოდა ნავთის მრეწველობის მუშათა ეკონომიურ თუ პოლიტიკურ ბრძოლას და ყოველთვის განსაკუთრებულ ზომებს ღებულობდა ბაქოში გაჩაღებული რევოლიუციონური ბრძოლის წინააღმდეგ.

მიუხედავათ ამისა, ბაქოს პროლეტარიატი ფეხ და ფეხ მიჰყვებოდა ყოფილი რუსეთის იმპერიის სამრეწველო ცენტრების მოწინავე და რევოლიუციონურ მუშებს. ლენინგრადის, მოსკოვისა და სამხრეთის საბრეწველო რაიონებთან ერთად ბაქოს რაიონი 1902—3 წლებში გადაიქცა პროლეტარული მოძრაობის სარევოლიუციო ქერად.

ბაქოს ორგანიზაციის მთავარ საძირკველს ყოველთვის შეადგენდა ნავთის მრეწველობის პროლეტარიატი, კერძოდ მისი საქარხნო ნაწილი. მრეწველობის მუშები პარტიაში გვიან ჩაებენ, როდესაც პარტიულ რევოლიუციონურ მუშაობასთან ერთად გამაგრება-განვითარება იწყო პროფესიონალურმა მოძრაობამ.

ბაქოს ორგანიზაციის ასეთი პროლეტარული შემადგენლობის წყალობით ბაქოს მუშათა მოძრაობის ყველა გადამწყვეტ მომენტებში ბოლშევიკების გავლენა გაცილებით მეტი იყო, ვიდრე მენშევიკებისა და ესერების.

ამას გარდა, თუ 1903 წლამდე კავკასიაში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის გეგემონია ტფილისის ორგანიზაციის ხელთ იყო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის შემდეგ გეგემონია ეკუთვნოდა ბაქოს, როგორც კავკასიის პროლეტარულ მსხვილ ცენტრს.

ნავთის წარმოებას, რომელშიაც ჩაბმული იყო რამდენიმე ათეული ათასი მუშა, ეკავა ქალაქის ცენტრის გარშემო განსაზღვრული, მჭიდროთ დასახლებული სივრცე თავისი ტიპიური კუთხეებით—მსხვილი მრეწველობითა და პროლეტარიატით. ნავთის სუნი, შავი კვამლი, ნავთით გაჟღენთილი მიწა, შავი, გამჭვარტლული შენობები, შავი ხალხი,—თავისებური ხმაური საბურღავი და სხვა მანქანებისა, მილიდან მომდინარე ნავთის ხმაური და სამრეწველო ორთქლის მანქანების შეუზომელი მუშაობა ჰქმნიდა ენერგიის და სიმტკიცის, განუწყვეტელი მუშაობის განსაზღვრულ პირობებს.

ყოველი პარტიული მუშაკი არალეგალური პერიოდისა, რომელიც ბაქოში მოხვდებოდა რუსეთის მსხვილ სამრეწველო ცენტრიდან, აქ თავს ისე გრძნობდა, როგორც თევზი წყალში.

ბაქოს ცხოვრების ყველა პირობები: მცხოვრებთა შემადგენლობის სხვა და სხვა ტომობა, მუშათა ბინების სამრეწველო რაიონებშივე არსებობა, ქალაქის ადგილის ხასიათი—მრუდე, ვიწრო ქუჩებით—ყველაფერი ეს საუკეთესო პირობებსა ჰქმნიდა არალეგალური რევოლიუციონური მუშაობისათვის. რუსეთის არც ერთ მსხვილ ცენტრში არ ყოფილა ისე ხანგრძლივი არალეგალური ამხანაგების მუშაობა, როგორც ეს ბაქოში იყო. ინტენსიურ პარტიულ მუშაობასთან ერთად ყოველთვის ფართო კავშირი იყო გაბმული მუშათა მასსებთან. ამას გარდა, ჩვენს პარტიას ბაქოში ჰქონდა უდიდესი სტამბა ცენტრალური კომიტეტისა, რომლის მსგავსი თავისი სიდიდითა და მოწყობილობით ისტორიას არ ახსოვს რომ ჰქონოდეს რომელიმე რევოლიუციონურ პარტიას არა თუ რუსეთში, არამედ დასავლეთ ევროპაშიაც. ამ მხრით ბაქო, უეჭველია, განსხვავდება რუსეთის სამრეწველო ყველა ცენტრებისაგან და რევოლიუციის წინაშე კოლოსალური დამსახურება მიუძღვის.

რევოლიუციონურმა მოძრაობის სწრაფმა ზრდამ ბაქოში ერთიანად ჩაყლაპა როგორც საიდუმლო, ისე აშკარა პოლიციის მთელი ყურადღება და ამ გარემოებამ ჩამოაშორა ის გულდასმით ედევნებინა თვალყური პარტიის ცენტრალურ არალეგალურ დაწესებულებათათვის. 1901 წლიდან დაწყებული 1906 წლამდე ბაქო აწვდიდა მთელი პარტიას თავის ნაწარმოებს, არალეგალურ ლიტერატურას და აგრეთვე ბათუმით შემოტანილ საზღვარ გართულ ლიტერატურას. მასთან ბაქოში არსებობდა არა-ლეგალური ლიტერატურის გამანაწილებელი და გადამგზავნი უდიდესი ორგანიზაცია.

ამ სტატიის თემას უმთავრესად შეადგენს ბაქოს ორგანიზაციის შთასახვის ისტორია და ჩემი პირდაპირი ამოცანა იმაში მდგომა-

რეობს, რომ ამ სტატიაში აღვადგინო ბაქოს ნავთის მრეწველობის რაიონის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის გაჩენის სურათი ამ 25 წლის წინად.

არა-ლეგალური სოც. დემ. მუშაობა ბაქოში დაიწყო ნავთის მრეწველობის აღორძინებასთან ერთად. როგორც ცნობილია, ნავთის მრეწველობამ 90 წლ. დასაწყისიდან იწყო განვითარება და 1903—4 წლებში მაქსიმალურ საზღვარს მიაღწია. კავკაზის რკინის გზის მაგისტრალის შეერთებამ ამიერ-კავკასიის რკინის გზასთან, ბაქო-ბათუმს შორის ნავთის გადასიზად მილის გაყვანამ გამოიწვია ნავთის ნაწარმოებთა გაძლიერებული გატანა არა მარტო რუსეთის ბაზარზე, არამედ—საზღვარ გარეთ. ნავთის მრეწველობის ასე გამოცოცხლებამ ბუნებრივათ მიიზიდა მუშები რუსეთის სხვადასხვა ცენტრებიდან.

და რდესაც 1898 წლის შემოდგომაზე ბაქოში მოვხვდი, ერთბაშად მივხვდი, რომ ამ პროლეტარულ ცენტრში იმ ჯგუფური მუშაობის წარმოება, რომელსაც მე და ჩემი ამხანაგები ტფილისში ვეწეოდით, აქ უფრო ფართოდ და საფუძვლიანად შეიძლებოდა. მაგრამ მომუშავე ძალები მეტად მცირე იყო. ტფილისის ორგანიზაციაში მიღებული ზოგიერთი მისამართების დახმარებით მე მოვახერხე პირადი კავშირი გამება ბაქოში მცხოვრებ ამხანაგებთან, რომელთა ნაწილი მოსკოვიდან ან რუსეთის სხვა ცენტრებიდან იყვნენ გადმოსახლებულნი ჯერ კიდევ 1899 წლის იანვარში. მე მოვახერხე ბაქოს რკინის გზის დეპოს მუშათა შორის მომეწყო პატარა წრე. ამავე თვეში შევსძელი კავშირი გამება ნავთის რაიონის სხვადასხვა მომუშავე ამხანაგებთან: მაგ., მუშა ლუკაშევიჩი, გადმოსახლებული იყო მოსკოვიდან, მუშაობდა ქარხანა „ვოლკანში“, მუშა ლავროვი—მუშაობდა ბრინჯის გასაწმენდ ფისქვილ „სლონ“-ში და სხ.

სიმონ ენუქიძის დახმარებით, რომელიც მაშინ ზეინკლად მუშაობდა ქარხანა „ვოტან“-ში, ბალახანაში, მოვაწყვე ამავე ქარხანაში მომუშავე ხუთი ამხანაგისაგან წრე, ამას მიემატა ერთი მუშა მანთაშეევის ქარხნიდან, მუშა ზარგაროვი ნობელიდან, მუშა ანდრია სიდოროვი—ქარხანა მოლოტოვიდან, მუშა ბრაგინი, რომელიც საბუნჩაში მუშაობდა, სამი სომეხი მუშა, რომლებიც ხატისოვის ყოფილ მანქანის ასაშენებელ ქარხანაში მუშაობდნენ და ორი-სამი მუშა მირზაბეკიანის თუთუნის ქარხნიდან. იმას გარდა, რომ ამ მუშების საშუალებით კავშირი გვქონდა ჩამოთვლილ ქარხნებთან, დაეუბალოვდით ზოგიერთ ებრაელ ხელოსნებს, უმთავრესად ქალაქში მომუშავე თერძებს. ერთი სიტყვით, 1899 წლის დასაწყისში 20-მდე ამხანაგი იყო შეკავშირებული, რომლებიც ცალკე ჯგუფებათ იკრიბებოდენ ორ კვირაში ერთხელ. ყველა კრებებზე თუ საუბარში ჩვენ უმთავრესად წინ ვაყენებდით ჩვენი კავშირის უფრო გაფართოებას საიმედო ამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანაგებთან იმავე წარმოებებში, სადაც ეს ამხანაგები მუშაობდნენ, ან ნავთის სამრეწველო რაიონის სხვა ქარხნებში მოიწვიდა ამხანაგებთან. ამასთანავე ვცდილობდით ასე თუ ისე მსხვილ ქარხნებში მოგვეწყო მუშათა წრეები პროპაგანდისტული ტიპისა. წრეებში ხელპირ პროპაგანდას ვაწარმოებდით, არავითარი არა-ლეგალური ლიტერატურა იმ ხანებში ჩვენ განკარგულებაში არ ყოფილა გარდა დიკ-შტეინის ცნობილი ბროშიურისა—„ვინ რით ცხოვრობს". ამ ბროშიურის შინაარსს ჩვენ მოვუთხრობდით მუშებს და იქ წამოყენებული კითხვები სხვა კითხვებს გვიყენებდენ, რომლებიც დაკავშირებული იყვენ მუშათა კლასის მდგომარეობასთან. წრეებში ჩვენი საუბარის მთავარ თემას შეადგენდა ეკონომიური კითხვები, მაგრამ მაშინაც კი, რამდენათაც მახსოვს, ჩვენთვის უცხო არ ყოფილა პოლიტიკური კითხვებიც.

იმავე წლის მარტში „ჩვენი" კავშირი ემდენათ გაფართოვდა, რომ უკვე ვეყავდა 5—6 წრე, ამათგან სამი ბალახანა—საბუნჩის რაიონში, ერთი რკინის გზაზე და ორი ქალაქის რაიონში. ჩვენ გამოვყავით სამი ამხანაგი—ორგანიზატორი, რომელთა მოვალეობას შეადგენდა: ყველა არსებული წრეების ერთმანეთთან დაკავშირება, წრის წევრთაგან საწევრო ფულის შეკრება, ამხანაგების წაქეზება სხვა წრეების მოსაწყობათ და ყოველგვარი მასალების შეკრება იმის გამოსარკვევად, თუ როგორ პირობებში უხდებოდა მუშაობა მუშებს სხვა და სხვა ქარხნებში თუ წარმოებებში. პროპაგანდისტების სიმცირის გამო მუშაობა საშინლად ფერხდებოდა. ტფილისის ორგანიზაციას, რომელსაც ჩვენ მივმართეთ, არ შეეძლო ისეთი ამხანაგების მოკემა, ენის უცოდინარობის გამო, რომელთაც შეეძლებოდათ ისეთ წრეებში მეცადინეობა, სადაც დიდი უმეტესობა რუსი მუშები იყვნენ. ზოგიერთი რუსი ამხანაგების, რომლებიც იმ ხანებში ბაქოში ცხოვრობდენ, წრეებში სამუშაოდ გამოყენება არ მოხერხდა და მხოლოდ 1899 წლის გასულს, როცა ტფილისიდან ბაქოში ჩამოვიდა ლადო კეცხოველი, რომელიც თავისი ცოდნით და ტფილისის ორგანიზაციაში მუშაობით გამოჩენილი რეოლიუციონერი იყო, მუშაობას მტკიცე საფუძველი ჩაეყარა, მე ჩქარა გავაცანი მას ყველა ამხანაგები. ისიც ენერგიულად შეუდგა მუშაობას და ჩქარა კავშირი მუშათა შორის გაფართოვა—გააღრმავა. ამის შემდეგ ჩვენ კიდეც უფრო ვიგრძენით მომზადებული ამხანაგების სიმცირე. განსაკუთრებით საჭირწოში გახდა არალეგალური ლიტერატურის უქონლობა. ამხ. კეცხოველი წრეებში მუშაობას გარდა მთელი თავისი ენერგიით შეუდგა არალეგალური სტამბის მოწყობას, რაც შედარებით მოკლე ხანში წარმატებით დაგვირგვინდა. როგორც ეს ჰატარა არალეგალური სტამბა ჩანასახი შეიქნა მომავალი დიდი არალეგალური სტამბისა

ბაქოში, ისე ის ჩვენ მიერ მუშებთან გაბმული უმნიშვნელო კავშირი და მცირე წრეები 1899 წლის დასაწყისისა, ისეთივე ჩანასახი იყო იმ გრანდიოზული რევოლიუციონური მოძრაობისა ბაქოში, რომელსაც, როგორც ზევით იყო ნათქვამი, საპატიო ადგილი უჭირავს ჩვენი პარტიის საერთო განვითარებაში.

ბაქოს ორგანიზაციისა და ბაქოს არალეგალური სტამბის ისტორია ჩემ მიერ დაწვრილებით იყო აღწერილი „პრ. რევოლ." № 14 *). ამიტომ ამაზე აქ აღარ შევჩერდები. აგრეთვე აქ არ შევეხები ჩვენი პარტიის ორგანიზაციის განვითარება-მდგომარეობას 1905 წლის შემდეგ, ვინაიდან, შესაძლოა, ეს თემა უფრო დაწვრილებით სხვა ამბანაგებმა გააშუქონ, მე მსურს მხოლოდ მეხსიერებაში აღვადგინო თვით ბაქოს ორგანიზაციის წარმოშობა სწორედ ამ 25 წლის წინად.

1899 წელი შეიძლება ჩაითვალოს მუშათა ცალკე ჯგუფების ორგანიზაციულად შეკავშირების წლად, რომლებიც განსაზღვრულ ქვე რაიონებში ეწეოდენ მუშაობას, კავშირს იჭერდენ ქარხნებთან და წარმოებებთან, ცდილობდენ მუშების გადმოყვანას წრეებში, რომელნიც შემდეგ ჩვენი არალეგალური ორგანიზაციის მუშაობაში ებმებოდენ. 1900 წლის დასაწყისში, ჩვენ უკვე რამდენიმე წრე გვყავდა, რომლებიც პერიოდულად იკრიბებოდა და სადაც ორგანიზატორები მოხსენებებს აკეთებდენ ქვეყაიერებში საქმეთა მდგომარეობის შესახებ. ამავე დროს არსებობდა ცენტრი, 4 ამხანაგისაგან შემდგარი, რომელიც ბაქოს კომიტეტის როლს ასრულებდა. მთელი 1900 წ. განმავლობაში სწარმოებდა მხოლოდ ძალების მოკრება და არსებული წრეების გამაგრება. ამ წელს ჩვენს ორგანიზაციას, როგორც ასეთს, არ ჰქონია შემთხვევა გამოეჩინა თავისი ინიციატივა არა თუ პოლიტიკურ სფეროში, არამედ—არც ეკონომიურ გამოსვლებში. ერთად ერთი, რითაც ჩვენი საქმიანობა გამოვიჩინეთ, (პოლიტიკურის აზრით) —ეს იყო პირველი მაისობა ბაქოში, რომელსაც თავისი არალეგალური ხასიათისა და მონაწილე პირთა სასაცილო სიმცირისა, უკვალოდ არ ჩაივლია. პირველი მაისი, ახალი სტილით, ჩვენ გადავსწყვიტეთ გვედღესასწაულა წრეებისა და ქვე-რაიონების წარმომადგენელთა სახოგადო კრებაზე, რომელიც მოწვეული იყო ბალახანაში „სტენკა რაზინის" მთის მახლობლათ. სამუშაო დღე იყო და ჩვენ არ მოგვიწოდებია მუშაობის შესაწყვეტად. ჩვენ შევიკრიბენით 12 კაცი. კრებაზე გარკვეულ იქნა პროლეტარული დღესასწაულის მნიშვნელობა და განმარტებულ იქნა საპირველმაისო ლოზუნგები. ამასთან კრების მონაწილეთ დაევალა მოხსენებები გაეკეთებიათ ამ კრების შესახებ ყველა წრეებში.

*) იხ. „რევ. მატ." №№ 5 და 7(6).

ეროვნული ბიბლიოთეკა

1900 წლის გასულს ჩვენ შევძელით მუშაობაში ჩაგვება რამდენიმე ჩამოსული ამხანაგი. წრეების რიცხვი გაიზარდა და 1901 წლის შემოდგომაზე საუცხოოდ გვქონდა დაყენებული მუშაობა რაიონებში. ამ წელს კითხვა დავაყენეთ 1 მაისს აშკარა გამოსვლის შესახებ ზოგიერთი მოსაზრების გამო ჩვენ იძულებული შევიქენით ეს უარგვეყო. მაგრამ მაისობა უფრო მოწყობილათ ჩატარდა, ვიდრე წარსულ წელს და მონაწილეთა რიცხვიც 200-მდე აღწევდა. მაშინ ჩვენ გადავსწყვიტეთ შევსულიყავით ქალაქის მიდამოებში ორ ჯგუფად და შემდეგ გავერთიანებულიყავით ერთ ჯგუფში. ჩვენი ასეთი განზრახვა, ეტყობოდა, გაეგო პოლიციას და ჟანდარმებს და ჩვენ ვხედავდით დილა ადრიან ქალაქის გარეთ და ბალახანაში როგორ გაჩნდენ ცხენოსანი პოლიციელები და ჟანდარმები. მიუხედავათ ამისა, ბალახანის რაიონში ჩვენი ამხანაგების ჯგუფი 128 კაცამდე შეიკრიბა მინდორში წითელი დროშით და რევოლიუციონური სიმღერებით. წარმოთქმული იქნა შესაფერი საპირველმაისო სიტყვები ამხ. ს. ალილუევისა და ჩემ მიერ. ამხანაგების მეორე ჯგუფი შეიკრიბა ქალაქის რაიონში, მაგრამ ჩვენთან შეერთება ვერ მოახერხეს, რადგანაც ცხენოსანი პოლიციელები დათარეშობდენ. მიუხედავათ ამ მაისობის არალეგალური ხასიათისა, მის შესახებ ბევრს ლაპარაკობდენ როგორც მუშათა რაიონებში, ისე ქალაქში. ადგილობრივ ლეგალურ პრესაშიაც კი სწერდენ ამ მაისობის შესახებ და აღნიშნავდენ ფაქტს, რომ პოლიციამ ხელი ვერ შეუშალა მუშებს საპირველმაისო შეკრებაშიო.

1901 წელს რაიონებს შორის მჭიდრო კავშირი შეიკრა; არალეგალურ წრეებში მეცადინეობა რეგულიარულად სწარმოებდა. კომიტეტი, რომელშიაც შედიოდენ ამხანაგები კეცხოველი, გალპერინი, ეიზენბეტი, დ—რ ფაინბერგი და მე, მართლა ხელმძღვანელობდა მთელს მუშაობას. ამ წლის გასულს ჩვენ გვქონდა კარგათ მოწყობილი სტამბა, კავშირი გვქონდა გაბმული არა მარტო ტფილისთან, არამედ—რუსეთის სხვა ორგანიზაციებთან. ჩვენი კომიტეტი იწოდებოდა რ. ს. დ. მ. პ. ბაქოს კომიტეტად. ჩვენ ვემხრობოდით „ისკრას“ და გავიმიჯნეთ „ეკონომიზმის“ გავლენისაგან, რომლის წინააღმდეგ „ისკრამ“ დაარსების დღიდანვე სასტიკი ბრძოლა დაიწყო. ამავე წელს ჩვენ დავაარსეთ „ისკრას“ ჯგუფი, რომელიც მიზნად ისახავდა ყველა არსებული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ურთიერთ დაკავშირებას და პარტიული ყრილობისათვის მზადებას. სოციალ-დემ. ორგანიზაციაზე გავლენის მოპოვებისათვის „ისკრასთან“ ერთად დიდათ ცდილობდა „იუჟნი რაბოჩი-ს ჯგუფი, რომელთანაც ჩვენც გვქონდა კავშირი, მაგრამ რომლისაგანაც ჩვენ ჩქარა გავიმიჯნეთ „ისკრასთან“ დაკავებული კავშირის წყალობით. ამას განსაკუთრებით ხელი შეუწყო ლენინის წერილმა ჩვენი ორგანიზაციის სახელზე ამხ.

კეცხოველის საშვალებით გადმოცემულმა. წერილში ლენინი გვირჩევდა ყოველმხრივ მხარი დაგვეჭირა „კატიასთვის" ე. ი. „ისკრასთვის" და გამოეყენებულიყავით „ენიასაგან" ე. ი. „იუნი რაბოჩი"-საგან ამ ხანებში ჩვენმა კომიტეტმა მუშაობაში ჩააბა ივანოვო-ვოზნესენსკის რაიონიდან ჩამოსული ამხანაგები ალექი ხრუსტალიოვი, ამხ. ლევინი (ბუნდოველი) და ბოგდან კნუნიანცი.

ამას გარდა ლეგალურ ამხანაგებისაგან ჩვენ გვყავდა შემდგარი დამხმარე ჯგუფი, რომელშიაც შედიოდენ ამხ. ლ. ბ. კრასინი, კოჯორენკო, კიცი და სხვა.

1901 წლის შემოდგომაზე და 1902 წლის ზამთარში ჩვენს ორგანიზაციაში მუშაობა ჩქარა გაფართოვდა და ყველა რაიონებს მოედო. ახალი ძალების შემომატება სამრეწველო რაიონებიდან, განსაკუთრებით მოსკოვიდან. ვაიზარდა. ბევრი მუშაკი შეგვეძინა იმათგან, რომლებიც ზუბატოვის მსხვერპლნი შეიქნენ. ჩვენმა მუშაობამ მასიური ხასიათი მიიღო. 1902 წლის შემოდგომიდან ჩვენ ხშირად ვახდენდით ქალაქ გარეთ მასიურ კრებებს, რომელთა მონაწილენი ორგანიზაციის წევრები იყვნენ, რა თქმა უნდა. ამ კრებებზე მოხსენებები კეთდებოდა წარმოებული მუშაობისა და უახლესი პერსპექტივების შესახებ. ამ ხანებში ჩვენ გადაჭრით დავაყენეთ საკითხი 1902 წლის პირველ მაისს აშკარა გამოსვლის შესახებ. ეს საკითხი თავდაპირველად გაირჩა კომიტეტში შემდეგ წრეებში, რაიონულ კრებებზე, რომლებიც ქალაქ გარეთ იმართებოდა, კომიტეტში აშკარა გამოსვლის სასარგებლოთ ხმა მისცა უმნიშვნელო უმრავლესობამ. მაგრამ რაიონულ კრებებზე ორგანიზაციულად შეკავშირებულ ამხანაგების დიდმა უმრავლესობამ გამოსვლის სასარგებლოთ მისცა ხმა და ჩვენც მთელის ძალ-ღონით შევუდექით განსვლისათვის მზადებას.

1902 წლის პირველი მაისის გამოსვლამ, რომელიც კარგათ იყო მოწყობილი და ერთიანად წინასწარ გათვალისწინებული გეგმით ჩატარდა, საფუძველი ჩაუყარა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების დიად გაელენას ბაქოს მუშათა კლასის ფართო მასებზე. ეს გამოსვლა იყო უდიდესი პოლიტიკური გამოღვიძება ბაქოს მუშებისა; ამ გამოსვლით ყველამ დაინახა ჩვენი ორგანიზაციის ძალა და გავლენა. ბაქოს მუშათა ამ გამოსვლის ისტორია ყველას მოეხსენება. დაპატიმრებამ, რომელიც ამ მაისობას მოყვა, ვერ დაშალა ჩვენი რიგები და ციხიდან განთავისუფლების შემდეგ, სადაც 23 დღე გავატარეთ, კიდევ უფრო აღფრთოვანებით შევუდექით მუშაობას და 1902 წლის შემოდგომაზე ჩვენი ორგანიზაცია ორჯერ გაიზარდა. 1902 წლის ზაფხულის თვეებში ჩვენ გამოვიყენეთ დიდი პარტიული კრებებისათვის (100—120 კაცი) „ეოლჩი ვოროტის" და ზაბრატას რაიონში, ბალახანაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1902 წელს სექტემბერში ანხ.ნაგი კეცხოველი და მე დაგვპატიმრეს, წაგვიყვანეს ტფილისში და დაგვამწყვდიეს მეტეხის ციხეში. ამის შემდეგ მე მხოლოდ 1903 წლის ივლისის გასულს დავბრუნდი ბაქოში რამდენიმე დღით და მონაწილეობა მივიღე ბაქოს კომიტეტის იმ თათბირში, სადაც გადაწყდა განსვენებული ამხ. კუნიანცის (რადინი) **რსდმპ** მეორე ყრილობაზე გაგზავნა.

ამავე წლის შემოდგომიდან **ცკ** წინადადებით მე შევუდექი ცენტრალური კომიტეტის დიდ სტამბის ნოწყობას როჟელიც მოწყობილი იყო ბაქოში I-ლ პარტელურ ქუჩაზე. აქ ვმუშაობდი 1905 წლის გასვლამდე.

1906 წლის ნოემბრიდან მე კვლავ საშუალება მომეცა აქტიურად მემუშავნა ბაქოს ორგანიზაციაში. მაშინდელი ბაქოს კომიტეტი (მენშევიკებთან საერთო) შესდგებოდა 7 კაცისაგან. ჩვენი ფრაქციიდან შედიოდა სამი კაცი: სარატოვეცი, აპოსტოლი და მე. მენშევიკებიდან: დევდარიანი, რამიშვილი—მოხუცი, იბრაგიმი და პ. ჩხეიძე. 1906 წლის შემოდგომაზე და 1907 წლის გაზაფხულზე ჩვენ, ბოლშევიკებმა, მეტად ინტენსიური და ფართო მუშაობა გავაჩაღეთ.

ნოემბერში შესდგა საერთო საქალაქო კონფერენცია მომავალი მუშაობის გასათვალისწინებლათ და ძალების გასანაწილებლათ. კონფერენციაზე მონაწილეობას ღებულობდენ ამ ჟამად განსვენებული ამხანაგები: შაუმიანი, სპანდარიანი, კასპაროვი და სხვ. ამავე კონფერენციაზე მოსმენილ იქნა ბაგდატიანის მოხსენება სომხური ს. დ. პარტიის (ეგრ. წოდ. „სპეციფიკების") როლის შესახებ „დაშნაკცუტიუნის" წინააღმდეგ ბრძოლაში და „სპეციფიკების" ბალშევიკებთან გაერთიანება.

მეორე საბელმწიფო სათათბიროს საარჩევნო კამპანიის დროს ჩვენმა ორგანიზაციამ სომხურ ენაზე იწყო ლეგალური გაზეთის გამოცემა.

ჩვენს ორგანიზაციას მაშინ ბევრი მუშაკები ჰყავდა, მაგ. ამხ. სარატოვეცი, აპოსტოლი, პეტერბურგელი, როხლინი, ლეგრანი, სპანდარიანი, სლაკა, პაველ საყვარელიძე, რ. მ. ოკინშევიჩი, ისააკი, ტერ-გაბრიელიანი, ფარო, კარლ რიზელი, მუსა კასუმოვი, სერგეი ალილუევი, სტოპანი, კარტაშევი, სოლოვიევი და ბევრი სხვა.

1907 წლის მაისის 5-ს ბოლშევიკ-აქტიურ მუშათა თათბირი, 19 კაცისაგან შემდგარი, დაპატიმრებულ იქნა ყოფ. „სომხური კაცთმოყვარე საზოგადოების" პირდაპირ მდებარე სახლში.

მუშაობა რაიონებში იმდენათ კარგათ იყო დაყენებული, იმდენა მუშაკები მოგვეპოვებოდა მუშებიდან, რომ ჩვენი ორგანიზაცი-

ის მეთაურების ჩავარდნას საერთოდ დიდი გაელენა არ მოუხდენია ნავთის რაიონში წარმოებულ მუშაობაზე.

როცა ამავე წლის შემოდგომაზე ბაქოში ჩამოველი გადასახლებიდან გამოქცეული, აქ დამხვდნენ ძველი, გამობრძმედილი მუშაკები, რომორც მაგ. ალიოშა ჯაფარიძე, ამხ. სტალინი, ნიკო, ბუდუ და სხ.

1907 წლის ნოემბერში მე გავემგზავრე ფინლიანდიაში—ტამერფორსში ბალშევიკების კონფერენციაზე დასასწრებლათ, მაგრამ ლენინგრადში, ფინლიანდიის სადგურზე, დამაპატიმრეს და 1908 წლის მაისამდე კრესტში გამომწყვდევეს შემდეგ გადამასახლეს არხანგელის გუბერნიაში.

გადასახლების ვადის გათავების შემდეგ, 1910 წლის შემოდგომაზე, დავბრუნდი ბაქოში და სტეფანე შაუმიანთან, სლავა კასპაროვთან, ჩერნომაზოვთან, დოგადოვთან, ვარდინთან და სხვებთან ერთად აღვადგინეთ პარტიული მუშაობა ჩვენს ორგანიზაციებში, რომლებიც დანგრეული იყო „ლიკვიდატორულ“ პერიოდისა და 1908—1910 წლების რეაქციის შემდეგ.

1911 წელს მუშაობა შესამჩნევად გაცხოველდა. დავიწყეთ ლეგალური ყოველკვირეული ჟურნალის—„ვოზროჟდენიე“-ს გამოცემა, რომელიც სამაისო ნომრისათვის დახურულ იქნა. გაზაფხულისათვის მთელი ძალ-ღონით შევუდექით საერთო-პარტიული კონფერენციისათვის მზადებას, რომელიც მოწვეული იყო პრაგაში. ამ დროს ჩვენთან მოვიდენ ცკ წევრები ამხ. ორჯონიკიძე და სპანდარიანი, რომელთაც დავალებული ჰქონდათ ორგანიზაციების ჩამოყრა და მომავალი კონფერენციის დღის წესრიგის გაცნობა.

სექტემბერში დაიწყო ჰერა და ჩვენი ორგანიზაცია თითქმის სრულიად განადგურებულ იქნა. სერგო ორჯონიკიძემ და სპანდარიანმა მოასწრეს წასვლა, დოგადოვი გავგზავნეთ პარტიულ სკოლაში,—პარიზში, დანარჩენი მუშაკები ყველანი დაპატიმრებულ იქნენ. ბაილოვისა და შემახინკის ციხეებში ჯდომის შემდეგ, 1912 წლის ივლისში, ჩვენ გაგვაძევეს კავკასიის საზღვრებიდან. მიუხედავათ სასტიკი რეჟიმისა, ციხეში ჩვენ არ შეგვწყვეტია კავშირი ორგანიზაციასთან. აქედან ჩვენ მოვახერხეთ ამხ. ლენინისთვის ორი წერილის გაგზავნა და მივიღეთ მისგან პასუხი.

ლენაზე მუშების დახვრეტის შემდეგ მუშათა მოძრაობის გამოცოცხლება ბაქოსაც დაეტყო. ჩვენამდე აღწევდა გაზეთი „ზვეზდა“. ციხეში ჩვენ ვეგრძენით პოლიტიკური „გაზაფხულის“ მოახლოება, რომლის შემდეგ დაიწყო ივლისის დღეები და 1914 წელს ასტყდა მსოფლიო ომი. სამი წლის შემდეგ უკვე ოქტომბრის რევოლიუციის ქარიშხალმა დაჰბერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაქოს ორგანიზაციის 25 წლის ისტორია ისევე მდიდარია, როგორც ისტორია ჩვენი გმირი **რკპ**-ისა.

ჩემს ქალამს, რა თქმა უნდა, არ ძალუძს ამ ისტორიის რამდენიმეთ მაინც დამაკმაყოფილებელი სურათის მოცემა.

ეს—კოლექტივის საქმეა, საქმე ყველა იმ ამხანაგებისა, რომელთაც უდიდესი პატივი და ბედნიერება ხვდათ წილად ეკუთვნოდენ ამ ორგანიზაციას და მუშაობდენ მასში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეჯიდ ეფენდიევი.

ფარსულიდან.

(პარტიული მუშაკის მოგონებანი)

1905—17 წლების პარტიული მუშაკები ორ კატეგორიად განიყოფებოდენ: პროფესონალ მუშაკებათ, რომელნიც მთელ თავიანთ ძალ-ღონეს მხოლოდ პარტიას სწირავდნენ, და არა პროფესიონალურად, რომელნიც პარტიულ მუშაობას ცოტა დროს ანდომებდენ.

პირველ ჯგუფში იყვნენ: ალიოშა ჯაფარიძე, კობა სტალინი, ნოე აპოსტოლი, პეტერბურგელი, ბოგდან კნუნიანცი, შაუმიანი და სხ. ნივთიერად პარტია ხელმოკლედ იყო. საჭირო ხდებოდა პროფესიონალთათვის სამუშაოს გამოძებნა. მათი სამსახურისათვის მოხერხებული ადგილები იყო სკოლები, ბიბლიოთეკები, სახალხო სახლები და ნავთის მრეწველთა საბჭოს სასადილოები. ეს დაწესებულებანი მოხერხებულად ითვლებოდნენ ჯერ ერთი იმიტომ, რომ მათ სათავეში უდგნენ სოციალ-დემოკრატიის თანამგრძნობი პირები ან, ყოველ შემთხვევაში, ოპოზიციონურად განწყობილნი, მეორედ—მუშათა რაიონებში სამსახურის მოსურნე პირები ცოტა იყო, ამიტომ ადვილად შეიძლებოდა აქ ადგილის შოვნა და მესამედ—მუშათა რაიონებში მუშაობა ხომ ჩვენი მიზანი იყო, რადგანაც მხოლოდ აქედან შეიძლებოდა მუშებთან ურთიერთობის დამყარება. ამიტომ ტყუილად კი არ ჰქონია დამსახურებული ამათ „ობრანისა", ქანდარმერიის და პოლიციის თვალში კრამოლნიკური დაწესებულების სახელი. განსაკუთრებულის გულდასმით ადევნებდა თვალს ქანდარმერია საბუნჩისა და შავი ქალაქის საავადმყოფოებს, ბალახანის ბიბლიოთეკას და ბალოვის სახალხო სახლს.

მე, როგორც პროფესიონალი, პირველად ვმუშაობდი ბიბი-ეიბათში. წრეები მყავდა შახოვის, მილოვის, თაიროვის, მუხტაროვის და სხ. მუშათა უჯარებში. ბაილოვში ჩვენი შასაკრები ალაგი იყო ასადა კარაევის დუქანი (კარაევი ამ ჟამად ბაქოთალის აღმასკომის თავმჯდომარეა) აქ ჩვენ, ამხანაგები, ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს და ნისიად ვხარჯულობდით.

როდესაც ბალახანაში გადამიყვანეს, აქ გავეცანი ოკინშევიჩს, ფოლეტოვს, სარატოვცევს, მამედიაროვს, იაკუბოვს და სხ. მე ფაქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიურად ჩამრიცხეს მოსკოვის ამხანაგობაში „მასლიონშჩიკად“, თვიურად დამინიშნეს 30 მანეთი. ჩემს სამუშაოს მუშები ურთიერთს შორის ინაწილებდენ და ასე, მე თავისუფალი ვიყავი ფაქტიურად ამისრულებია სასუშაო. ამ საქმეს მეტად შეგნებულად ეჰყრობოდნენ მუშები, თავიც კი მოსწონდათ ამით, იცოდენ, რომ ისინი არაპირდაპირ პარტიისათვის მუშაობდენ.

საბუნჩაში აგიტაციას ვეწეოდი ყაზარმებში, დავდიოდი მუშებთან საბაასოთ, როცა ისინი სამუშაოდან ბრუნდებოდენ. ჩემთან ერთად ჩვეულებრივად დადიოდენ სარატოვცევი, მამედ-იაროვი და ამბულ რაგიმოვი. ყაზარმებში შესელისთანავე მუშები ზვზე დგებოდენ, მოდიოდენ ჩვენთან და გარს გვერტყმოდენ ხოლმე. მუშები ყოველთვის გულღასმით გვიდგებდენ ყურს და თანაგრძნობას გვიცხადებდენ.

მუშებში იმ ხანებში განზე იდგნენ და უმოქმედობას იჩენდენ ლეკები. ამიტომ ნავთის მრეწველები დარაჯებათ მხოლოდ ლეკებს ქირაობდენ, ლეკებს ძალიან მოსწონდათ იარაღის ტარება და უფროსობა. ლეკების ამ სუსტ მხარესთან კარგათ იყვნენ გაცნობილი ნავთის მრეწველები და ხელს არ აკლებდენ ამ მხრით მათი გულის მოსანადირებლად. დარაჯებში შეარაღებული იყვნენ და სამრეწველოებში თავს სრულუფლებიან პატრონებათ გრძნობდნენ. „ხაზეინები“ მათ ინსტრუქციებს აძლევდენ, რომ შეეპყროთ და მოეკლათ აგიტატერები. როცა სამრეწველოებში მივდიოდით, ეს გარემოება ყოველთვის გათვალისწინებული გვქონდა, მაგრამ ერთხელ შეცდომა მოგვევიდა და პირდაპირ ჩასაფრებულ დარაჯებს წავაწყდით თავს.

დანიშნული იყო მუშათა კრება ასადულაევის ყაზარმებში. არავითარი ეჭვი არ გვქონდა ალებული; მივედით, მაგრამ როგორც კი შევდგით ფეხი ყაზარმებში, იმ წამსვე დარაჯებმა დაიკავეს გამოსავალი კარები და აცნობეს პოლიციას. ჩვენ ბევრი ვიარ გვიფიქრნია, გავიქცეთ. წინ დიდი ეზო იყო, მავთულის ხლართით შემოვლებული. გადავალაჯეთ. მამედ-იაროვი თავისი „კურტკით“ თავისუფლად გადავიდა, ჩემი პალტო კი მავთულს მოედო. დარაჯები, ხანჯლებით ხელში, ის იყო უნდა დაგვწეოდენ—მეტი გზა აღარ იყო: იქვე მივატოვე პალტო და გავიქეცი.

მეორე შემთხვევა ასეთი იყო: ერთხელ ქალაქიდან კავშირის ბიუროში პროკლამაციები მივიტანეთ გასავრცელებლათ: ჩემთან იყვნენ აბხ. მამედ ალი რასულ ზადე (მესავატელების ლიდერის, მამედ ემინის ბიძაშვილი) და ალი ტაგი ზადე (მოჰკლეს დაღესტანში 1918 წელს). ჩვენი მისვლის შემდეგ ნახევარი საათიც კი არ იყო გასული, ფურცლები არც კი გაგვეხსნა, რომ პოლიცია დაგვესხა თავს. „გოროდოვოების“ თანხლებით შემოვიდა ბოქაული და შეუდგა ჩხრე-

კას. ჩხრეკა დაიწყეს უკანა ოთახიდან; ბიუროს წინა ნაწილს, რომელიც დარაბს შეიცავდა ქუჩის პირად, ყურადღება არ მიაქციეს. ამხ. ტაგი-ზადე და რასულ-ზადე ახალი მომუშავენი იყვნენ და ამიტომ მათთვის ძნელი სასაშინარო არაფერი იყო. ჩემი და ალიოშას მდგომარეობა უარესი იყო,—დაპატიმრების შემდეგ შეეძლოთ ჩვენი ძველი საქმეების გამოჩხრეკა. ამ დროს არალეგალურად ვცხოვრობდი. პოლიცია დამეძებდა ბაქოში და შემახვიე.

შეუფიქი გასაკვირვათ მზადებას. ამ მიზნით გავჩერდი დარაბის ღია კართან, „გოროდოვოის“ გვერდით და გზატკეცილისკენ დავიწყე ცქერა. ვხედავ გზაზე „შარაბანით“ მოდის ჩემი ნაცნობი მბურლავი დოსტ მამედოვი. ვანიშნე გაჩერებულიყო და, „გოროდოვოისთვის“ სრულიად მოულოდნელათ, გავეშურე პირდაპირ მისკენ.

დღემდე ჩემთვის საიდუმლოებას შეადგენს ის გარემოება, თუ როგორ არ შემაჩერა „გოროდოვოიმ“. ავუხსენი მამედოვს რაშიაც იყო საქმე და ესთხოვე თან წავეყვანე, რაზედაც მან სრული თანხმობა განაცხადა. ჩავუჯექი და როცა „გოროდოვოისკენ“ მივიხედე, ის ისევ იმავე ალაგას იდგა. რამდენიმე წამის შემდეგ ჩვენ მოვეხვიეთ და გავუდექით პირდაპირ სადგურისაკენ. ვიფიქრე, შეიძლება პოლიციელები სადგურში მიცდიან მეთქი, ამიტომ მე გავსწიე ყაზარმებში ნაცრის მუშებთან, დავრჩი იქ დაღამებამდე, შემდეგ გამოვიცვალე ტანისამოსი და დავბრუნდი ქალაქში. ქალაქში გავიგე, რომ ჯაფარიძე, რასულ-ზადე და ტაგი-ზადე დაეპატიმრებიათ. ისინი ციხეში აბყოფეს სამი თვე.

საქმე ამის შესახებ რევოლუციის მუზეუმში ინახება.

იმ ხანებში პარტიის ნივთიერი სახსარი მეტად მცირე იყო. საწევრო გადასახადი ცოტა შემოდიოდა, ამიტომ იძულებული ვიყავით სხვა და სხვა მახინაციებისათვის მიგვემართა. ქალაქის რაიონში მოწყობილი იყო საფინანსო კომისია. კომისიაში შედიოდენ რაღიკალურად განწყობილი მანდილოსნები, რომლებსაც ხელმძღვანელობდენ ამხ. სერებრიაკოვი, დ-რ ფეინბერგი, ასადულ ახუნდოვი და სხ. კომისიის მუშაობა მაინცა და მაინც ნაყოფიერი არ ყოფილა—მთავრობის მხრით მეტად სასტიკი კონტროლი იყო დაწესებული, ამიტომ ძნელი ხდებოდა გამართულ საღამოებიდან და კონცერტებიდან ნაწილის გადადება. საჭირო იყო სხვა გზების გამონახვა.

მე მახსოვს ერთი ორიგინალური შემთხვევა: ჩვენმა ამხანაგებმა, რომლებიც განმანათლებელ საზოგადოება „ნიდჟატ“-ში მუშაობდენ, ამ საზოგადოების სახელით მიხეილის ბაღში მოაწყვეს სახალხო სეირნობა. შემოვიდა 5—6 ათას მანეთამდე. ამ ფულების „ნიდჟატის“ სალაროში წარდგენას არავითარი აზრი არ ჰქონდა, თუმცა „ნიდჟატი“ შემდეგ ჩვენ ამ ფულების გადმოცემაზე უარს არ გვეტყო-

და, მაგრამ როცა „ნიდჟატის“ სალაროში ფული შევიდოდა, შემდეგ მის დახარჯვას თვალ-ყურს ადევნებდა საგუბერნიო სამმართველო ამნაირსავე მდგომარეობაში იყვნენ სხვა ასეთი საზოგადოებებიც. ეს საქმე ასე მოვაგვარეთ: როცა ჩვენს ამხანაგებს სეირნობიდან შემოსული ფული „ნადჟატ“-ში მიჰქონდათ, გზაში მათ უეცრად თავს დაესხენ ვიღაც „ექსპროპრიატორები“, აუტეხეს სროლა, ისარგებლეს არევ-დარევით და ფული გაიტაცეს. ეს ისე მოხერხებულათ დარჩა მოწყობილი, რომ არავის ეჭვიც არ აუღია. გაზეთები კი სწერდნენ, რომ „ნიდჟატს“ გატეხილი ვარცხლი შერჩა – სეირნობიდან შემოსული ფული ექსპროპრიატორებმა წაართვესო.

პოლიცია დაძრწოდა, ყველგან დაგვეძებდენ. ჩემს ძმისწულ ბალასთან ერთად, რომელიც არხალგელსკიდან იყო გამოპარული, გადავსწყვიტე გავშორებოდი ბაქოს. მეტი აქ დამალვა შეუძლებელი იყო. თითქმის ყველა ნაცნობთა ბინები გვქონდა მოვლილი – ა. მ. თოფ-ჩაბაშევის ბინითაც კი ვისარგებლეთ. როცა თოფჩაბაშევი საბაგარე-კოდ იყო წასული, მის ბინაზე მოგვათავსა ჩვენმა მეგობარმა მელი-ქოვმა. გადასწყვიტეთ შემახის მაზრაში წასვლა. აქ ჩვენ შევეუთანხმ-დით ნაცნობთ საფარ ალი ბეკ ბაბა შირინ და ასლანს. ვიცნობ-დით სოფლელთა გემოვნებას და ამიტომ მათთვის ვიყიდეთ ზოგიერთი საჭუჭარი. სოფლად კარგათ ვცხოვრობდით და თავსაც თავისუფლად ვგრძნობდით. საფარ ალი ბეკთან ხშირად მოდიოდენ მთაურობის წარმომადგენლები, რჩებოდენ მასთან სადილათ და სხ. როცა, მაგა-ლითად. ბოქაული მოდიოდა, ჩვენ რამდენიმე დღით გადავდირდით მახლობელ სოფელში.

ერთხელ სტუმრად მოვიდა ახალგაზრდა ტყის მცველი. დამალვა ჩვენ არ ვსცანით საჭიროთ. ერთხელ, სადილის შემდეგ, ჩვენ ყველანი ერთად დარბაზში ვიყავით მოსვენებული. უეცრად ტყის მცველი ადგილიდან წამოიჭრა და მეორე მხარეს გაექანა, სადაც მაგიდის მახლობლათ ბალას პიჯაკი იყო ჩამოკიდებული. მან ცნობის მოყვა-ლობით დაუწყო პიჯაკს თვალიერება.

— როგორ შესძლო ამ პიჯაკმა არხანგელსკიდან აქ მოღწევა?

ჩვენ შევწუხდით, არ ვიცოდით რაში იყო საქმე. თურმე ეს ტყის მცველი ძალიან შორს ხედავდა და პიჯაკის დასაკიდზე წაი-კითხა მაღაზიის ნიშანი—„არხანგელსკი. მაღაზია X“. ჩვენმა მასპინ-ძელმა, სკანდერ ბეგმა ვერაფერი უპასუხა. მე შევეცადე რაღაც ახს-ნა-განმარტება მომეცა, მაგრამ ტყის მცველს ეჭვები მაინც ვერ გავ-ფანტე.

არ გვსურდა ჩვენი მასპინძელის ამ „ისტორიაში“ გახვევა და ამიტომ დრო რომ არ დაგვეკარგა, გავემგზავრეთ ჩვენს ძველ მეგო-ბარ ალი-ბაბესთან სოფ. დიადი-გიღნაშში.

ბაქო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. ზავარიანისა

მუშაობა ბაქოში.

1914 წლის სექტემბერში მეტეხის ციხეში სამი თვის ჯდომის შემდეგ ბაქოში გამგზავრება მომიხდა, ვინაიდან ტფილისში უარი მითხრეს კეთილსაიმედობის მოწმობის მოცემაზე, ურომლისოდ არ შემეძლო სანსახურში შესვლა.

დიდი წვალების შემდეგ, დაბოლოს, თეთრ ქალაქში მომიკეთა ბიბლიოთეკის გამგის ალაგი. ბიბლიოთეკა მოთავსებული იყო შიბაევის ქარხნის პირდაპირ. ამ ქარხანაში მსახურობდა ამხ. სტეფანე შაუმიანი. რამდენიმე დღის შემდეგ მე ალვადგინე ამხ. სტეფანესთან ის კავშირი, რომელიც დიდი ხანია ჩვენს შორის გაწყვეტილი იყო.

ჩვენს ბიბლიოთეკას მკითხველები ყოველთვის ბევრი ჰყავდა. ამიტომ ის ალიარებულ იქნა მეტად მოხერხებულ, კონსპირატიულ ბინათ; ეს ბიბლიოთეკა გადაიქცა შესახვედრ, გამოგზავნილ ლიტერატურის მისაღებ, კრების გასამართავ და სხ. ადგილათ.

ჩვენთან მოჰქონდათ თითქმის მთელი არალეგალური ლიტერატურა, აქედან ნაწილდებოდა ის სხვა და სხვა რაიონებში.

საპირველმაისო პრაკლამაციებს, რომლებიც 1916 წელში ჩვენთან მოიტანა ვალოდია ხუტუნაშვილმა და რომლებიც უნდა გაგვენაწილებია მეორე დღეს, ასეთი ამბავი შეემთხვა: პროკლამაციები ჩვენ გამოვიტანეთ ქალაქში, წავედით რაიონებში, მაგრამ ერთი დღის განმავლობაში ვერ მოვასწარით მთელი ლიტერატურის გავრცელება. დაღამდა თუ არა, ჩვენც იძულებული შევიქენით მოგვეძებნა კონსპირატიული ბინა, სადაც დილამდე შეიძლებოდა ლიტერატურის შენახვა.

ერთი პაკეტთაგანი ჩვენ გადავწყვიტეთ დაგვეტოვებია რაისა მოსეს ასულ ოკინშევიჩთან, მაგრამ მან გადაჭრილი უარი გვითხრა, რადგანაც ჩემს ქმარს, როგორც ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, ეს სახელს შეუბღალავსო და სხ. ამ გარემოებით დაღონებულნი მე და ვალოდია ისევ შევუდექით ქალაქში ხეტიალს, ხელში საეჭვო პაკეტებით. დაბოლოს გადავწყვიტეთ პაკეტების ამხ. ფლორას ბინაზე მიტანა, თუმცა ეს საეჭვებით უხიფათო საქმე არ იყო, რადგანაც ამ ბინაზე ყველა ჩვენი ამხანაგები დადიოდნენ და ის პოლიციას მიზან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში ჰქონდა ამოღებული. ამხ. ფლორამ ვალოდიასთან ერთად ნაწილი პაკეტებისა საკუნაოში გადამალა, დანარჩენი ფურცლები გადავწყვიტეთ ღამით მიგვეგდო ვიღაც სპეკულიანტ მეზობელ მუსულმანისათვის, რომელიც რამდენიმე დღით ქალაქიდან წასული იყო. ჩვენ შერჩეული გასაღებით გავაღეთ მოსაზღვრე ოთახის კარი, პაკეტი ჩავდეთ მაგიდის ყუთში და შემდეგ დავწექით დასაძინებლათ. მაგრამ არც ერთს ჩვენთაგანს არ ეძინებოდა: ცხადია, ყველანი ერთსა და იმავე საგანზე ვფიქრობდით. დაბოლოს, მცირე თათბირის შემდეგ, გადავსწყვიტეთ პაკეტის ულანვე წამოღება. გვეშინოდა, რომ ჩვენი მეზობელი უეცრად არ დაბრუნებულიყო. ასეც მოვიქეცით.

ის იყო დავიძინეთ, რომ სახლის შემოსავალში საშინელი ბრახუნი ატყდა. ყველანი წამოვხტით, საჭაროდ ტანთ ჩავიცვით და თავდასაცავ მზადებას შეეუდექით, მაგრამ როგორი იყო ჩვენი გაკვირვება, როცა გავაღეთ თუ არა კარები, დაინახეთ ჩვენი მეზობლის ცოლი, რომელიც ღამის მატარებლით ტფილისიდან დაბრუნებულიყო. მთელი ღამე ეხარხარებდით, ვლანძღავდით რაისა მოსეს ასულს, რომლის წყალობითაც ასეთ მდგომარეობაში ჩავარდით.

* * *

1917 წლის განმაელობაში მე ვმუშაობდი ბაილოვის კომიტეტში. კომიტეტის სრული შემადგენლობა სისწორით არ მახსოვს, მახსოვს მხოლოდ ზოგიერთები,—მუშა საუდი, ბებასოვი (ბოლშევიკი) მენშევიკებიდან მახსოვს ფაინშტეინი, ინტელიგენტი—ობორონეცი, რომელიც ცდილობდა კომიტეტისათვის ტონის მიცემას.

ალიოშა ჯაფარიძის ჩამოსელის შემდეგ ბაქოში, ბაილოვის სამკითხველოში შესდგა ამ რაიონის უფრო მოწინავე და აქტიურ მომუშავეთა თათბირი. თათბირზე გაირჩა საკითხი ჩვენი მუშაობის შესახებ. მოსმენილ იქნა ალიოშას მოხსენება...

მენშევიკებთან მუშაობა ერთ ორგანიზაციაში აუტანელი შეიქნა, განსაკუთრებით აიოლოს და სადოვსკის გამოსვლების გამო ომის საკითხის, თავისუფლების სესხის და სხ. შესახებ. მათმა ასეთმა გამოსვლებმა კრებებზე თუ კონფერენციებზე, ჩვენ შტურიკებელ მტრებათ გადაგვაქციეს. ჩვენ თითქმის ხმასაც არ ვსცემდით ერთმანეთს.

მაისის თათბირის შემდეგ, რომელიც მოწყობილი იყო ამხ. მიხა ცხაკაიას და ფილიპე მახარაძის მიერ, ჩვენი ორგანიზაცია გაეთიშა მენშევიკებისას.

* * *

იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა ჩვენი და „ობორონცების“ გათიშვა ბაილოვის კომიტეტში, მე ცოტა ვრცლად ვილაპარაკებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თათბირის შედეგი მენშევიკებმა, რასაკვირველია, ჩქარა გაიგეს და რომ მუშებზე გავლენა მოეხდინათ, ეუბნებოდნენ მათ, რომ ბალშევიკებმა პირველებმა გადმოისროლეს ბრძოლის ხელთათმანი, რომ მათ შეაქვთ რასკოლი ჩვენ მთლიან პარტიის რიგებშიო და სხ.

ბაილოვის კომიტეტის მორიგ სხდომაზე ჩვენ პირდაპირ დავაყენეთ საკითხი, რომ უნდა ჩამოვშორდეთ მენშევიკებს, რადგანაც ჩვენ მათ ვშორდებით როგორც ტაქტიკურ, ისე პრინციპიალურ საკითხებში. გამოვაცხადეთ რა ჩვენი შეურყეველი გადაწყვეტილება, შევუდექით „ქონების“ გაყოფას. ურთი-ერთ შორის გავიყავით მაგიდები, სკამები და სხ. ძნელი გადასაწყვეტი დარჩა საკითხი წითელი დროშის შესახებ. პირველად ეფიქრობდით მის გაყოფას ასე: ერთს უნდა წაეღო ჯოხი, მეორეს თვით წითელი დროშა.

მაგრამ კომიტეტის ერთ-ერთმა წევრმა ეს საკითხი მეტად მოხდენილად გადაჭრა.

მან აღიო დროშა, გადასცა ის მენშევიკებს და დაახლოვებით შემდეგი უთხრა: „წაიღეთ ეს დროშა, ის ჩვენ არ გვინდა, ამ დროშაზე გამოხატულია დემოკრატიული რესპუბლიკის ლოზუნგი; ჩვენ ადრე გადავალაგებთ ამ ლოზუნგს; დემოკრატიული რესპუბლიკიდან ჩვენ სოციალისტობში გადავალთო“. მენშევიკებმა დიდის კმაყოფილებით მიიღეს დროშა და ჩაიცინეს რა ირონიულად, მოგვცეს პატიოსანი და კეთილშობილური სიტყვა, რომ წმიდათ დაიცავენ დროშაზე დახატულ ლოზუნგებს.

თუ არ ვცდები, 1917 წლის ივნისში თუ ივლისში დაიწყო ბაქოს კომიტეტის არჩევნებისათვის. ჩვენს ორგანიზაციაში მენშევიკები უკვე აღარ არიან. გაჩაღდა მუშაობა იაჩეიკების მოსაწყობათ.

1917 წლის სექტემბერში დაიწყო კამპანია ქალაქის თვითმართველობის არჩევნების გარშემო. ქალაქის თვითმართველობის საქმეთა მეთაური მაშინ ლიბერალი ფროლოვი იყო ჩვენმა ორგანიზაციამ გადასწყვიტა არჩევნებში მონაწილეობის მიღება და დაიწყო კიდეც აქტიური კამპანია. ამ მიზნით მოწვეულ იქნა საერთო საქალაქო კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 14 დელეგატი. ზოგიერთმა ამხანაგებმა გვირჩიეს ბლოკი შეგვეკრა მენშევიკებთან. ზოგიერთები სრულიად წინააღმდეგს იქავდენ იმ მოსაზრებით, რომ ბლოკი დაშვებელია, ვინაიდან ის არეე-დარეას გამოიწვევს ნაკლებათ შეგნებულ მასებში და ასე დროებით დააბნელებს ჩვენს პრინციპიალურ თანხმობასო.

რამდენიმე დღის შემდეგ პეტერბურგიდან ჩამოვიდა ამხ. სტეფანე. გაეცნო რა საქმის ვითარებას, ის მტკიცედ დაადგა. სეპარა-

ტიულად გამოსვლის გზას—არავითარი ბლოკი მენშევიკებთანო. ამასთანავე ამბ. სტეფანემ წინასწარ სთქვა, რომ თუ აგრე მოვიქცევით, ჩვენი გამარჯვება უზრუნველყოფილიაო. და მართლაც, არჩევნები მთელს ქალაქში შედარებით ბრწყინვალეთ ჩატარდა. ჩვენი სიიდან, რომელშიაც 40 კაცი იყო, ჯარისკაცებისა და მუშების ხმებით ქალაქის საბჭოში გავიყვანეთ 17 წარმომადგენელი.

განყოფილება

=1=2=3=

ისტორიული წერილები

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტრე მელიშვილი

ეგნატე ინგოროყვა (ნინოშვილი)

(მასალები „მეხამე დასის" ისტორიისთვის *)

XVIII

ეგნატე 28—29 წლის იქნებოდა, როცა გაზეთებში წერა დაიწყო. ის სწერდა გაზეთ „ივერიაში" პატარა კორესპონდენციებს და ცდილა კალამს ჰიუმორისტულ ფელეტონებსა და პატარა მოთხრობებზე. ძნელია ახლა აღდგენა ეგნატეს კალმის პირველ ცდის ნაყოფისა, ვინაიდან ის თავის კორესპონდენციებს ხან რას აწერდა და ხან რას. მაგრამ ეგნატეს ერთი კერძო წერილი, რომელიც ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ (იხ. „რევოლუციის მატიანე", № 1 (6) ცოტათი მაინც ნათელს ფენს ამ საკითხს.—„ივერიაში" წერას **მოვუხშირებ**, მაგრამ ამით ხომ პრემიას მაინც არ დამინიშნავენ",—სწერს იგი თავის ადესელ ამხანაგს ალფესი ბარამიძეს 1888 წლის 7 ნოემბერს.

აქედან ჩვენ ცხადათ ვხედავთ, რომ ეგნატე 1888 წელს კი არ **ეპირება „ივერიაში" წერის დაწყებას**, ის ლაპარაკობს წერის **მოხშირებაზე**, ესე იგი, ფიქრობს უფრო ხშირ-ხშირათ წერას, ვიდრე ამდენ ხანს ჭერია. აქედან ცხადია, რომ ის უკვე სწერდა გაზეთში დაახლოვებით იმ დროს, როცა ის სოფლის მწერალთა იყო და შემდეგ,—როცა გრიგოლ გურიელთან მდივნათ მსახურებდა.

როცა ეგნატეს ზემოთ ნაჩვენებ კვალს მივყვებით და მისი კალმის პირველ ცდას „ივერიაში" დავუწყებთ ძებნას, ჩვენ მართლაც ვხედავთ ამ გაზეთში აქა-იქ გაბნეულ კორესპონდენციებს და უფრო იშვიათად ფელეტონებს, რომელთა დაკვირვებული შესწავლა გვარწმუნებს, რომ ისინი უეჭველად ეგნატეს კალამს ეკუთვნიან. მაგალითად, 1887 წლის „ივერიის" 237 ნომერში ჩვენ ვკითხულობთ ერთს ნახევრათ სახუმარო ფელეტონს, რომელსაც სათაურად აქვს: **„ოზურგეთის უოფა-ცხოვრება"** და ქვეშ ფსევდონიმი აქვს მოწერილი: **„ბალდახინის სალდათი"**. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ფელეტონი ეგნატეს კალამს ეკუთვნის, რომ მის დაბეჭდილს, ასე თუ ისე საყურადღებო ფელეტონებში იგი მისი კალმის პირველი ცდაა. ეს ფელეტონი ვერ არის საქმაოთ ქარგათ დაწერილი, მაგრამ იმავე დროს

*) გვგრძელ. იხ. „რევ. მატ." № 1 (6).

დაკვირვებული თვალი ამ ფილეტონში შეამჩნევს ეგნატეს ნიჭის ყვავილა დამახასიათებელ თვისებებს. ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით ამ საკითხს. აქ ვიტყვით მხოლოდ, რომ ეგნატეს კორესპონდენციები წარმოადგენენ მისი მოთხრობების სიუჟეტებს. და ეს გაზეთში გამნეული მისი პატარ-პატარა კორესპონდენციებიც უაღრესად დიდ ინტერესს წარმოადგენენ ჩვენი პოეტის ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესასწავლათ, მისი პოლიტიკურისა და სოციალური სახის აღსადგენათ. მაგრამ, როგორც ამ ჩვენი შრომის სათაურიდანაც ცხადათ სჩანს, ამ დროებით ჩვენს მიზანს არ შეადგენს ეგნატეს ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის **სრული გარჩევა**, მისი ყველა ნაწერების კრიტიკულათ შესწავლა*).

ჩვენ მიერ ზემო დასახელებულ ფელეტონს გურიის ცხოვრებიდან ვერაფერ ლიტერატურულ ღირსებას ვერ მივაკუთვნებთ. ეს მხოლოდ კალმის ცდაა და მას არავითარი ლიტერატურული მნიშვნელობა არა აქვს. სამწუხაროთ, ეგნატეს პირველი მოთხრობა, ყოველ შემთხვევაში, მისი ისეთი ნაწერი, რომელსაც ავტორი აძლევს ლიტერატურულ მნიშვნელობას და მოთხრობას ეძახის, ჩვენთვის ჯერ-ჯერობით მაინც დაკარგულია, თუ სამუდამოთ არა. ეგნატეს იმ კრებულიდან, რომელიც ჩვენ ზემოთ დავასახელეთ, ეტყობილობთ, რომ მას დაწერილი ჰქონია მოთხრობა **„ღვთ...“**, რომლის სათაურიც, სამწუხაროთ, მხოლოდ სამი ასოთი არის ამ წერილში აღნიშნული... **„ჩემი მოთხრობა „ღვთ...“ ხო ჩაილულის წყალს გააყოლეს“**—სწერს ეგნატე იმავე ალფუნი ბარამიძეს. ეს წერილი, როგორც ვთქვით, დაწერილია ამ წელს, გაუგზავნია რედაქციაში და იქ „ჩაილულის წყალისთვის გაუყოლებიათ“. ჩვენ იმედს არ ვკარგავთ, რომ ეგნატეს ამ პირველ მოთხრობის დედანის მონახვა კიდევ შესაძლებელი იქნება. მაგრამ, სამწუხაროთ, ჩვენს მასალებში არა თუ ეს ხელნაწერი არ მოგვეპოება, არ მოგვეპოება მის შესახებ არავითარი ცნობა იმას გარდა, რაც აქ მოვიყვანეთ.

თვითონ ეგნატე გვეუბნება, რომ მას 1888 წლის 21 ნოემბერს დაუწყია რომანი **სამწუხარო შედეგის** წერა და დაუმთავრებია იგი 1889 წლის მაისის უკანასკნელ რიცხვებში. მაგრამ ეს რომანი ეგნატეს სიცოცხლეში არ დაბეჭდილა. ავტორი არაფერს არ გვეუბნება ამის შესახებ. თუ რატომ მოხდა, რომ 1889 წლის მაისში დამთავრებული რომანი, რომელიც ავტორს **„სამხელ“** გადაუწერია, დაბეჭდვა არ ეღირსა, ამის შესახებ მხოლოდ შეიძლება ვიფარაუდოთ.

*) ყოველივე ეს იქნება საგანი ეგნატე ნინოშვილზე და „მესამე დასზე“ ცალკე შრომისა, რომელსაც, თუ გარემოებამ არ გვიშუასთანა, ამ რამდენიმე თვეში ცალკე წიგნით გამოვაქვეყნებთ.

ჩვენის აზრით, ეს იმიტომ მოხდა, რომ ეს რომანი იმდენათ ეწინააღმდეგებოდა ჩვენს იმ დროინდელ ლიტერატურასა და აზროვნებაში გაბატონებულ მიმართულებას, რომ არც ერთი ჭართული გაზეთი მაშინ მის დაბეჭდვასა და გავრცელებას არ იკისრებდა. ამ რომანზე ჩვენ სხვა ადგილას დაწერილებით გვექნება ლაპარაკი და მაზე აქ მხოლოდ იმიტომ შევჩერდით, რომ ეგნატეს ნაწერების ქრონოლოგიაში არ გამოვგრჩენოდა იგი.

ჩვენი მასალების მიხედვით, ეგნატეს პირველი სერიოზული ლიტერატურული შრომა, რომელიც სანახევროთ მაინც დაიბეჭდა, არის მოთხრობა **„ხაახალწლო პურ-ღვინო“** (ამბავი ერთი გლეხის ცხოვრებიდან), რომლის მხოლოდ პირველი ნახევარია დაბეჭდილი 1890 წლის გაზეთ „თეატრის“ თებერვლის ერთ-ერთ ნომერში *). ამ მოთხრობის მეორე ნახევარი ცენზორს დაუჭერია და ის დღეს-დღეობით მაინც დაკარგულათ უნდა ჩაითვალოს. ჩვენ გვაქვს მხოლოდ დაბეჭდილი პირველი ნახევრის დედანი, რომელსაც, ჩვენის აზრით ერთთან დიდი მნიშვნელობა აქვს ეგნატეს ლიტერატურული შემოქმედების მკვლევარისთვის. ამ მოთხრობის პირველი ნახევარი **„თეატრში“** შესწორებით არის დაბეჭდილი. ეს შესწორება ეკუთვნის „თეატრის“ ყოფილ რედაქტორს შიო დავიდოვს, რომელსაც, საბედნიეროთ, უბრალო ყარანდაშით უსწორებია ეგნატეს ხელნაწერი, ასე რომ, მკლევით დაწერილი მოთხრობის დედანი სრულიად დაკარგული და ეს გარემოება კი საშუალებას მისცემს მკვლევარს შეისწავლოს ეგნატეს ეს **პირველი მოთხრობა** ისე, როგორც ის თვითონ ავტორს დაუწერია. ჩვენ კი სანამ ამ მოთხრობის შესახებ რამეს ვიტყოდეთ, საჭიროთ მიგვაჩნია ვაუწყოთ მკითხველს, თუ **როგორ** და **რატომ** გაგზავნა ეგნატემ ეს მოთხრობა გაზეთ **„თეატრში“**.

ჩვენ თითონ ეგნატეს წერილიდან ვიცით, რომ მისი მოთხრობა „ღვთ...“ „ივერიის“ რედაქციამ: „ჩაილუსის. წყალს გააყოლა“. ამის შემდეგ ავტორი ასე ადვილად ვერ მიმართავდა იმ რედაქციას, რომელმაც მისი პირველი ლიტერატურული ნაწარმოები არა თუ არ დაუბეჭდა, მისი დედანიც კი დაუკარგა. რაკი „ივერიამ“ მისი კალმის პირველ ცდას არ გაუწია სტუმართ-მოყვარეობა, ავტორსაც რაღა სხვა გზა უნდა ეძებნა თავისი მოთხრობის დასაბეჭდათ. ასეთი გზა კი იმ დროს „ივერიის“ გარდა კიდევ ერთი იყო. ეს იყო ყოველკვირეული გაზეთი „თეატრი“, რომელიც წარსული საუკუნის 80 წლების დასაწყისში ჩვენმა ნიჭიერმა მსახიობმა ვასო ალექსის ძე

*) ვამბობთ, ერთ-ერთ ნომერში.—ვინაიდან ჩვენ მხოლოდ დაბეჭდილებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ მოთხრობის დაბეჭდვის დროს თვით „თეატრის“ 1890 წლის კომპლექტი ტფილისში ვერსად ვერ ვიშოვეთ.

აბაშიძემ დაარსა. გაზეთში იბეჭდებოდა ორიგინალური და ნათარგმნი პიესები, რეცენზიები, ზოგი პატარა მოთხრობებიც... მგონი 1887 წელს ვასო აბაშიძეს ფულები შემოაკლდა და გაზეთი ალექსანდრე ნებიერიძეს გადასცა. გაზეთი ახალ გამომცემელს საგრძნობ დეფიციტს აძლევდა და 1888 წელს ის იძულებული შეიქნა მის დახურვაზე ეფიქრა. მაგრამ ამ დროს გაზეთის გამოცემა იკისრა ქართველ მწერალთა ერთმა მცირერიცხოვანმა წრემ, რომელშიც, სხვათა შორის, ხომლელიც შედიოდა. ჩვენ არ ვიცით თუ ამ გაზეთის რამდენი ნომერი გამოსცა ამ წრემ, ვიცით მხოლოდ ის, რომ იმავე წლის მიწურულში ამ წრემ გაზეთი შიო დავიდოვს გადასცა. შ. დავიდოვმა გაზეთის ფორმატი უფრო გაადიდა და ტეხნიკურადაც გააუმჯობესა.

ამ რიგათ, იმ დროს „თეატრი“ ერთად-ერთი გაზეთი იყო, რომლისთვისაც „იერიაზე“ გულ-გატეხილ ეგნატეს უნდა მიემართა. მაგრამ ამისთვის ეგნატემ ისარგებლა იმ გარემოებით, რომ მისი მეგობარი ნოე ყორდანია, მაშინ ტფილისის სემინარიის მეექვსე კლასის მოწაფე, შობის უქმეებზე სოფელში (ლანჩხუთში) იყო და მოთხრობა „თეატრის“ რედაქციისთვის მას გამოატანა შემდეგის წერილით:

გაზეთი „თეატრის“ რედაქციას.

ამასთანავე გიგზავნი ჩემ მიერ ლაწერილ მოთხრობას **„საახალწლო პურ ღვინოს“** და გთხოვთ დაბეჭდოთ თქვენი პატივცემული გაზეთ „თეატრის“ ნომერში. უკეთუ რაიმე მიზეზის გამო ჩემი მოთხრობა თქვენს გაზეთში დასაბეჭდათ არ გამოდგება, იმ შემთხვევაში გთხოვთ გარდასცეთ ის სემინარიის მეექვსე კლასის შეგირდს ნოე ნიკოლოზის ძე ყორდანიას, როცა კი ამ უკანასკნელმა მოითხოვოს.

თქვენი ერთგული ეგნატე თომას ძე ინგოროყვა.

9 იანვარი, 1890 წელი“.

როგორც ამ წერილის თარიღიდან, ისე თვითონ მოთხრობის სათაური და მისი შინაარსიდან ცხადათ სჩანს,—ეგნატეს იგი გაზეთის საახალწლო ნომრისთვის დაუწერია, მაგრამ „იერიის“ რედაქციისაგან დაშინებულ ავტორს მოთხრობის ფოსტით გაგზავნა, ეტყობა უნაყოფოთ უცდენია და რადგანაც შობის უქმეებზე სოფელში მყოფი ნოე ყორდანია ტფილისში დაგვიანებით დაბრუნებულა, მოთხრობაც ასე დაგვიანებით გამოუგზავნია. *)

*) ამ მოთხრობის დაბეჭდვისა და სახოგადოდ გაზეთ „თეატრში“ ეგნატეს თანამშრომლობის შესახებ „რევოლიუციის მატიანეში“ (იხ. №2, გვ. 150 151) ვკითხულობთ რომანოზ უანცხავას შემდეგ სტრიქონებს:„... პროვინციიდან მოსული ეგნატე ნინოშვილის ფსევდონიმით ხელმოწერილი მოთხრობა „ოთ არა ქცდები,“ „ბოგრა უიშვილი„. მოთხრობა მოგვწონდა, იგი ცოცხალი, ნიჭიერი, მხატვრული

„თეატრის რედაქტორს ეს მოთხრობა ორ ნაწილათ გაუყვია. პირველი ნაწილი ცენზორს კიდეც გაუშვია და, როგორც ვთქვით, დაბეჭდილია. მეორე ნახევარი კი იმავე ცენზორს დაუჭერია. როგორც დავიდოვმა დაგვარწმუნა, ცენზორისთვის უკვე აწყობილი მასალა წარუდგენია, მაგრამ თვითონ დედანი ამ ცენზორის მიერ დაჭერილი ნაწილისა მაინც დაკარგულია, ალბათ რედაქციაში დაკარგულა. თუმცა შიო დავიდოვი გვეუბნება, რომ ამ მოთხრობის დაუბეჭდავი ნაწილის დედანი ნოე ჟორდანიას გაუგზავნეო, როცა ის თბილისში „ერთ-ერთ სოციალ-დემოკრატიულ გაზეთს ხელმძღვანელობდაო", მაგრამ ჩვენ ეს განცხადება შემცდარათ მიგვაჩნია; თუ ეს ასე ყოფილიყო, ამ მოთხრობის დაკარგული ნაწილის დედანსაც მე მივიღებდი, რადგანაც ყველა ასეთი მასალები მაშინ ყველა ჩვენი პარტიის წევრებიდან და განსაკუთრებით რედაქციებისაგან მე მეგზავნებოდა. ესეც არ იყოს, თუ დავიდოვს ამ მოთხრობის მეორე ნახევარის დედანი ნოესთვის გაეგზავნა, მას იმავე მოთხრობის პირველ ნახევრის დედანსაც თან გაატანდა. ბაგრამ ის ასე არ მოქცეულა; ამ მოთხრობის „თეატრში" დაბეჭდილი ნაწილის დედანი დავიდოვს შეუნახავს და მისგან მე მივიღე. დავიდოვს, ალბათ, ის ახსოვს, რომ მას ეგნატე ნინოშვილის მეორე ხელნაწერი, რომლის დაბეჭდვაც ცენზორის შიშით ვერ გაუბედავს, გადაუცია ნოე ჟორდანიასთვის. ამ უკანასკნელმა კი ეს ხელნაწერი მე გადმომცა ათითორმეტი წლის წინათ, როცა „სოციალ-დემოკრატიის პარტიამ მე დამაკისრა „მესამე დასის" ისტორიის მასალების დაგროვება და და-

---

ენით იყო დაწერილი და ამიტომ მოვათავსე კიდეც „თეატრში". მე აქ უფრო მეტი თან ეგნატე ყურბანელში მედგომე თანამშრომლად მოვიხსენიე, მაგრამ „შვიკა თერმე სხვანაირათ ფიქრობდა. მთავრობას უკვე გაეგო, რომ ეს წერა ყურბანელის თანამშრომლებისა სოციალისტებისაგან შესდგებოდა... ამის შემდეგ გაზეთს დიდხანს არ უბოგინია და დაიხურა".

აქ თავიდან ბოლომდე შეცდომაა. დავიწყოთ იქიდან, რომ ეგნატემ თავისი მოთხრობა „თეატრის" რედაქციას გაუგზავნა არა 1889 წელს, როცა რედაქციას ხელული და მისი წერე განაგებდა, არამედ 1890 წელს, ვის-იგი მაშინ, ჭროცა რედაქციას შიო დავიდოვი განაგებდა. ეს მოთხრობა („ხალხელნური პურ-დენით" და არა „გოგია ფიშვილი") მიიღო შ. დავიდოვმა და კიდეც განიზრახა მისი დაბეჭდვა. როგორც ზემოთაც ვთქვით. ხელთა გვაქვს ამ მოთხრობის დაბეჭდილი ნაწილის თვითონ ეგნატეს ხელ ნაწერი, რომელიც შესწორებულია დავიდოვის და არა ხომლელის ხელით.

რაც შეეხება იმას, რომ „ეშვიკა თერმე სხვანაირათ ფიქრობდა", რომ მთავრობას უკვე გაეგო, რომ ეს წერა ყურბანელის თანამშრომლებისა სოციალისტებისაგან შესდგებოდა და გაზეთი დახურო, ესეც არ არის მართალი. ცენზურა, როგორც ვიცით დიდი ბორიტება იყო, მაგრამ ეს გაზეთი მას არ დაუხურავს, *გი თავისი ჩვენებრივი სიცდილით გარდაიცვალა და გარდაიცვალა დავიდოვის ხელში.

მუშავება. ეგნატეს ამ ხელნაწერს ეწოდება „**საბაასო**“, რომელზედაც ჩვენ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი. აი ამ ხელნაწერს მართლაც ნოე ჯორდანიას ხელი აწერია: „ეს წერილი ჩვენ გადმოგვცა „თეატრის“ ყოფილმა რედაქტორმა შიო დავიდოვმაო“.

ახლა დაუბრუნდეთ თვით ამ მოთხრობის ბედს. იმ დროს ქართული ნაწერების ცენზორათ ჩვენი ცნობილი პოეტი რაფიელ ერისთავი იყო. როცა „თეატრის“ რედაქტორი მასთან მისულა საკითხათ —ნინოშვილის მოთხრობა რატომ დაიჭირეო,—რ. ერისთავს თვითონ დაუსწრია მისთვის და უთქვამს:

— ეს მარჯვენა უნდა მომეკვეთოს, რომ მაგისთანა მოთხრობა დავიჭირე; მაგრამ მისი გაშვება არას გზით არ შეიძლებოდაო.

შიო დავიდოვმა, თითქოს რაფიელ ერისთავის დანაშაულის შენსუბუქება სურსო, მითხრა: იმ დროს საზოგადოთ ქართული ცენზორი უმცროს ცენზორათ ითვლებოდა. უფროსი ცენზორი კი იყო ვინმე ქიშმიშევი, ტფილისელი სომეხი და, მაშასადამე, ქართულის კარგათ მცოდნე, რომელსაც ერთ სიტყვასაც ვერავინ გამოაპარებდა. რაფიელ ერისთავს ძალიანი სურვილიც რომ ჰქონოდა, მაინც ვერაფერს გახდებოდაო.

შინაარსის მხრით „საახალწლო პურ-ღვინო“ თითქმის იგივე **გოგია უიშვილია**. მოქმედი პირებიც ერთი და იგივეა. მაგრამ, როცა ამ ორ მოთხრობას ერთმანეთს ადარებთ, დიდ განსხვავებას ხედავთ მათში. „**საახალწლო პურ-ღვინო**“ უფრო გამოუცდელი. გაუბედავი და განუვითარებელი ხელით არის დაწერილი; ენის მხრით მასში ერთობ ბევრია სტილისტიური და გრამატიკული შეცდომებიც. „**გოგია უიშვილის**“ ავტორში თქვენ უკვე ხედავთ დავაჟკაცებულ მწერალს, რომელსაც თავისი საკუთარი სტილი, თავისი წერის მანერა შეუმუშავებია. „**საახალწლო პურ-ღვინოს**“ ჩვენ ვბეჭდავთ ამ შრომის დამატებათ, ვბეჭდავთ ისე, როგორც იგი ავტორს დაუწერია, ვბეჭდავთ სრულიად უკომენტარიოთ, უკვე დაბეჭდილ „**გოგია უიშვილთან**“ შეუდარებლათ, ვინაიდან ამ ჩვენი შრომის ჩარჩოებში არ შედის ეგნატეს ნაწარმოების ასეთი განხილვა. ვიტყვით მხოლოდ, რომ ეს დედანი ერთობ ძვირფას მასალას წარმოადგენს ლიტერატურული მკვლევარის ხელში ეგნატეს ლიტერატურული ნაჭის ევოლიუციის შესასწავლათ. ეს ხელნაწერი მით უფრო ძვირფასი განძია, რომ, რამდენადაც ჩვენ ვიცით, ეგნატეს მოთხრობის დედნები არც ერთ რედაქციას არ დაუცავს. ესეც არ იყოს, ეგნატეს პირველი ლიტერატურული ცდის დედანი მაინც ყველაზე უფრო დიდ ღირებულებას წარმოადგენს.

93 ეროვნული ბიბლიოთეკა

XIX.

ეგნატე ნინოშვილი, როგორც პუბლიცისტი.

თუ „საბალწულო პურ-ღვინოს“ ეგნატე ნინოშვილის პირველ ლიტერატურულ ცდათ მივიღებთ, გამოდის, რომ ეგნატეს მხოლოდ ოთხიოდე წელიწადი უმოღვაწია სამწერლო ასპარეზზე. ამ დროს განმავლობაში მას დაუწერია ბუთმეტიოდე დიდი და პატარა მოთხრობა და ორი პუბლიცისტური წერილი (იხ. 1893 წლის „კვალი“, №№ 32, 33, 36, 39 და 40). ჩვენ, რა თქმა უნდა, აქ არ ვგულისხმობთ, ეგნატეს მრავალ პატარა კორესპონდენციებსა და ზემოთ დასახელებულ რამდენიმე ფელეტონს.

ეგნატე ნინოშვილის მოთხრობები დღეს ცოტაო თუ ბევრათ შესწავლილია,—ყოველ შემთხვევაში,—ის მოთხრობები, რომლებიც უკვე მონახული და გამოცემულია. ყოველ შემთხვევაში, ქართველი მკითხველი იცნობს ეგნატეს თხზულებათა ივანე გომართისა და ირაკლი წერეთლის საკმაოთ ვრცელ გარჩევას. დასახელებული ავტორების შრომა ჩვენ დამაკმაყოფილებლათ არ მიგვაჩნია, მაგრამ, რაც უნდა იყოს, ის საშუალებას აძლევს მკითხველს გაეცნოს ეგნატეს როგორც მხატვარს, როგორც ბელეტრისტს. სამაგიეროთ ჯერ-ჯერობით სრულიად უყურადღებოთ არის დატოვებული ნინოშვილი, **როგორც პუბლიცისტი.**

ამიტომ ჩვენ აქ ვეცდებით ცოტაოდნათ მაინც დავეხმაროთ დაინტერესებულ მკითხველს ნინოშვილის ამ მხრით შესასწავლათ.

ეგნატეს პირადი მეგობრები ერთხმად აღიარებენ, რომ მას დიდი პუბლიცისტური ნიჭი ჰქონდაო. ყველა, ვისაც ეგნატესთან ერთი დღე მაინც გაუტარებია, ერთხმათ მოწმობენ, რომ მას ცხოვრების მოვლენებზე მხატვრული დაკვირვების გარდა დიდი პუბლიცისტური, მებრძოლი ტემპერამენტი ჰქონდაო.

მიხა ცხაკაია, რომელთანაც ეგნატე ერთ ოთახში ცხოვრობდა მისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში და რომელსაც, ალბათ, თავის გულის ნადებს უზიარებდა, ერთობ დიდი აზრის არის ეგნატეს პუბლიცისტური ნიჭის შესახებ. აი როგორ ახასიათებს მ. ცხაკაია საერთოდ ეგნატეს ლიტერატურულ მოღვაწეობას: „ყოველი დაწერილი უდროოთ დაკარგული ეგნატესი,—არის მხოლოდ მისი მძლავრი ნიჭის ფრთხილად, მაგრამ შეშფოთებით განცდა ქალმისა... ბელეტრისტის ნიჭი გარდა ეგნატე ნინოშვილმა მწერლობაში **პუბლიცისტური-კრიტიკული ნიჭიც გამოიჩინა**... მე მგონია, **ეს ნიჭი მასში ბელეტრისტულ ნიჭზე ნაკლები არ იყო** და ამ მხრივ არა ნაკლებ სამსახურს გაუწევდა ის მწერლობას“. (იხ. გაზეთი „კვალი“, № 21, 1894 წელი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ უფრო შორს მიდის ამ მხრით განსვენებული სილიბისტრო ჯიბლაძე ეგნატეს კუპოსთან წარმოთქმულ სიტყვაში. აი როგორ ახასიათებს ეგნატეს ამ მხრით მისი სიყრმის მეგობარი, სიკვდილამდე განუყრელი სილიბისტრო: „ფართე შეხედულებისა და ეშვიათი ენერგიის პატრონი **ნინოშვილი ვერ კმაყოფილდება ერთმხრივსა და ვიწრო ფარგალში,—მარტო ბელეტრისტული მოღვაწეობით.** განსვენებული ემზადებოდა ახალს, **კრიტიკულ და პუბლიცისტურ ასპარეზზე გამოსვლას. ვინც დაახლოვებით იცნობდა მის ნიჭს, მის გონების სიმახვილეს, კარგათ შეუძლია წარმოიდგინოს, რა ღვაწლსა და სამსახურს გაუწევდა ის ჩვენს მწერლობ.ს ამ ახალს ასპარეზზე.** (იხ. „კვალი" №22, 1894 წელი).

რაკიდენ კალაძის მოყავს თვითონ ეგნატეს სიტყვები ამ საგანზე: ეგნატემ გადაჭრით სთქვა (ეს იყო 1893 წ. სექტემბერში. პ. გ.), რომ მას განზრახული აქვს **ბელეტრისტიკას სულ დაანებოს თავი,** ვინაიდან მისი სიტყვებით **„აქედან არაფერი გამოდის".** „მინდა ახლა **პუბლიცისტური კალამი ვსცადო, იქნება გამოვიდეს რამეო".** (იხ. **„რევოლიუციის მატიანე", №3, 1923 წელი, გვ. 17).**

სამივე ავტორის აზრი სრული ჭეშმარიტებაა. სწორეთ ასეთი აზრის იყო ეგნატეს შესახებ ყველა მისი ამხანაგები. მაგრამ საინტერესოა ვიცოდეთ, თუ როგორ უყურებდა თავის ბელეტრისტულ მოღვაწეობას თვითონ ეგნატე.

იმ დროს, როცა მისმა ნიჭმა ფართოდ გაშალა ფრთები, როცა მის ბელეტრისტულ ნაწარმოებს ყველა რედაქციები სიამოვნებით ბეჭდავდენ, როცა ქართველი მკითხველი გატაცებით ეტანებოდა ყველა მის ნაწერს და ნინოშვილის სახელი ყველას ენაზე ეკერა, იყო ერთი ქართველი მწერალი, რომელიც ერთობ კრიტიკულად უყურებდა ნინოშვილის ბელეტრისტულ მოღვაწეობას. ეს მწერალი თვითონ ეგნატე ნინოშვილი იყო, რომელიც ამ დროს ერთობ კრიტიკულის თვალით უყურებდა როგორც თავის საკუთარ მხატვრულ შემოქმედებას, ისე საერთოდ მხატვრულ ლიტერატურას. ის ყოველ ღონეს ხმარობდა პუბლიცისტური ასპარეზისთვის მომზადებულიყო და თუ მხატვრულ ლიტერატურას სულ ცერ გაანებებდა თავს, მეორე ადგილზე დაეყენებია იგი.

„ბელეტრისტობიდან არაფერი არ გამოდის. მინდა ახლა პუბლიცისტური კალამი ვსცადო, იქნება გამოვიდეს რამეო".

ეგნატე ნინოშვილის ასეთი სურვილი გამომდინარეობდა თვით მისი მებრძოლი ტემპერამენტიდან. ნინოშვილი აქტიური ძალა იყო, რომელიც ცხოვრების ჭიდილის გარეშე ვერ დარჩებოდა, რომელსაც თვით ამ ცხოვრების ჭიდილში უნდა მიეღო აქტიური მონაწილეობა. ეგნატე უპირველეს ყოვლისა მებრძოლი იყო და შემდეგ ბელეტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისტი. ამიტომაც ის უფრო გამოსადეგ იარაღათ თვლიდა პუბლიცისტის მკვეთრ კალამს, ვიდრე მხატვრისას.

თუ ეკნატე ნინოშვილის ასეთ მისწრაფების გაგება გვინდა, ჩვენ ჯერ უნდა გავითვალისწინოთ ის განსხვავება, რომელიც არსებობს მხატვარსა და პუბლიცისტს შორის.

მხატვარი თუ ბელეტრისტი ხატავს, ის ქმნის მშვენიერებას. ის ცდილობს, მისი მიზანია პასუხი გასცეს ადამიანის სულიერსა და ესტეტიურ მოთხოვნილებას. მხატვარი—პასიური ძალაა, ის ბრძოლის გარეშე დგას. მხატვარი სწავლობს იმიტომ, რომ შეიძლება გულ-დადებით მიუკვდეს თავის სამწერლო მაგიდას და თავისი დაკვირვებისა და შესწავლის ნაყოფი ლამაზ სურათებში გამოხატოს. მხატვარი უფრო შორს მიდის ცხოვრების მოვლენათა ანალიზში, ვინაიდან ის ცხოვრების დუღილის გარეშე დგას და უფრო გულ-დადებით შეუძლია მისი შესწავლა. ის ერთნაირად ხედავს ორივე მებრძოლი ბანაკის სუსტსა თუ ძლიერ მხარეს, ავსა თუ კარგს.

სულ სხვაა პუბლიცისტი. ის მებრძოლია. ის თვით ცხოვრების გულში ტრიალებს; ის ბრძოლის აქტიური მონაწილე, მისი მეძროხე და მესაუბრეა. პუბლიცისტი სწავლობს მოვლენას იმიტომ კი არა, რომ შემდეგ, ოდესღაც, მშვიდათ, დასვენებით ხატოს ამ მოვლენის სურათები. ის სწავლობს იმიტომ, რომ იმავე წუთში, ახლავე, დაუყონებლივ შეებრძოლოს ყოველ ამას, რაც კი უარყოფის ღირსია. პუბლიცისტი ეს ნამდვილი დონ-კიხოტია. როცა ხედავს, რომ ბოროტებამ თავი იჩინა, ის მაშინვე მთელი თავისი ძალ-ღონით გაეშურება ბრძოლის ველზე და ყველას საომრათ მოუწოდებს. პუბლიცისტი ებრძვის ბოროტებას **დღეს, აწმყოში**, მხატვარი—**ხვალ**, მომავალში. უკანასკნელი სურათებში ხატავს საზოგადოებრივ მოვლენას, ცდილობს შეაძულოს, ან შეაყვაროს იგი თავის მკითხველებს. პუბლიცისტს ლამაზი სურათებისათვის არა სცალია. ის იმ მეცხოვნე დარაჯსა ჰგავს, რომელიც ხალხს ატყობინებს: **მტერი მოდის, ხელი ხმალსა**! ის თვითონ იწყებს ომს, ის წინ მიუძღვის მებრძოლთა ავანგარდებს.

ასეთი განსხვავებაა პუბლიცისტსა და ბელეტრისტს შორის. ლიტერატურის ისტორიამ ერთთა ბევრი იცის იმის მაგალითები, რომ თვით უდიდეს მხატვარს, მწერალს, რომანისტს უკუ ეგდოს მხატვარის შემოქმედება და პუბლიცისტის მჭრელი კალამისათვის მოეკიდოს ხელი. ვოლტერისა და ზოლას ეპოზოდური გამოსვლები რომ დავივიწყოთ, მარტო ლ. ნ. ტოლსტოის მაგალითი რათა ღირსი ვის არ ახსოვს, რომ ამ ჩვენი დროის მთელ მსოფლიოში უდიდესმა რომანისტმა თითქმის სულ მიანება თავი მხატვრულ მწერლობას და ხელში პუბლიცისტის მკვეთრი კალამი აიღო? რატომ? იმიტომ, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აუტანელი იყო რუსეთის პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების სინამდვილე. ხალხი მონობის უღელში გმინავდა, ის აუტანელ ტანჯვებს განიცდიდა. შავ-ბნელმა თვითმპყრობელობამ მთელი რუსეთი მორწყო ტანჯული ხალხის ინტერესებისათვის მებრძოლთა უმანკო სისხლით. აბა ვის ეცალა ამ დროს ლამაზი სურათებით დატკბობისათვის? ხალხს ახლავე ესაჭიროებოდა წამალი, დახმარება და ტოლსტოიმ ეს კარგად შეიგნო. მან ვერ აიტანა ასეთი მდგომარეობა, მან პირდაპირ უზნეობათ, პირდაპირ დანაშაულათ მიიჩნია ასეთ დროს ცხოვრების გარეშე მაყურებლათ დარჩენა; მან ვერ აიტანა ასეთი ობიექტიური მოწამის, ცხოვრების გარეშე მეთვალყურის როლი. ის ძირს დაეშვა პარნასის მწვერვალებიდან, ხელი მოკიდა პუბლიცისტის მკვეთრ კალამს და საომრათ გამოვიდა. **„არ შემიძლია გავჩუმდეო“**, ლომივით დაიბუქა მან და თვით ცხოვრების ჰიდილში ჩაყრია.

ასეთი იყო ვლადიმერ კოროლენკოს ლიტერატურული შეხედულების ბედიც. რუსეთის ეს ერთი საუკეთესო მწერალი მალე შეიქნა იძულებული მხატვრის კალამი მებრძოლი პუბლიცისტის კალამზე შეეცვალა; რუსეთის სოციალურმა და პოლიტიკურმა ცხოვრების პირობებმა მალე აიძულეს მგრძნობიარე სინდისის მექონე პოეტი თვით ცხოვრების ჰიდილში ჩაეყოდა, როგორც აქტიური მებრძოლ ძალა. საკმაოა დავასახელოთ მისი მულტანების პროცესი, ბეილისის საქმე და სხვა მრავალი ასეთი. კოროლენკო ხედავდა, რომ ყველა ამ ბოროტებას დღესვე უბდოდა ანგარიშის გაწევა, და **„ბრძა მემუსიკეს“** ავტორი ძალა-უნებურათ ეძლეოდა პუბლიცისტურ ბრძოლის ტალღებს, ოაც იგივე პოლიტიკური ბრძოლაა.

თუ რუსეთის პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების სინამდვილემ ასე დარია ხელი მთელ მსოფლიოში ერთ უდიდეს ხელოვანს, დაბადებით მჩაგვრელთა კლასის წევრს, მდიდარ არისტოკრატს, გრაფ ლ. ნ. ტოლსტოის, თუ მან ვერ აიტანა თანამედროვე ცხოვრების გულ-გრილი მაყურებლის როლი, თუ მან უკუ აგდო უდიდესი მხატვრის როლი და ცხოვრების ჰიდილში უბრალო მებრძოლის როლი ირჩია, როგორ უნდა მოქცეულიყო ქართველი გლეხის შვილი, აუტანელ სიღატაკეში აღზრდილი, დაბადებიდანვე ცხოვრების უროსა და გრდემლს შუა მომწყვდეული ეგნატე ნინოშვილი, რომელსაც დაბადებითვე წილათა ხვდა ჯერ თვითმპყრობელობის „ოპრიჩნიკებისა“ და შემდეგ დავით დროიდების მუხრუჭები? რა თქმა უნდა, ასეთი ადამიანი და ისიც უალრესათ მებრძოლი ტემპერამენტის ადამიანი, მარტო ბელეტრისტული მოღვაწეობით, ესე იგი, თვითონ მისგან ტყავ-გამძვრალი ხალხის და თავის საკუთარი ტანჯვების ობიექტიურათ შესწავლითა და მისი ლამაზ სურათებში გამოხატვით ვერ დაკმაყოფილდებოდა. ის ძალა-უნებურათ უნდა შეჭრილიყო თანამე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროვე ცხოვრების ჰიდილში, როგორც აქტიური ძალა, როგორც მებრძოლი და არა როგორც მოწამე, როგორც გარეშე მაყურებელი. ის ძალა-უნებურათ უნდა ამოდგომოდა გვერდში ჩაგრულ მოძმეებს და ამისთვის მას ხელი უნდა მოეკიდა უფრო მჭრელი მახვილისათვის, — პუბლიცისტის მკვეთრი კალამისთვის. და ეგნატეც ასეთი როლისთვის ემზადებოდა ..

ეგნატე ნინოშვილი ბელეტრისტათ იყო დაბადებული, მაგრამ მთლიანი ბუნების ადამიანი იყო და მისი ანალატიური აზროვნება და მგრძნობიარე სინიდისი ასეთივე მთლიანობას მოითხოვდა სიტყვასა და საქმეს შორის. მაგრამ ცხოვრების სინამდვილეში ასეთი მთლიანობა, ასეთი თანხმობა და ჰარმონია არ არსებობდა. ეგნატემ პირველ დღიდანვე დაინახა ამ მთლიანობის დარღვევა, ის სამოღვაწეო სარბიელზე გამოსვლისთანავე დარწმუნდა, რომ

„სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა,
შუა უზის დიდი ზღვარი“

და ეს გარემოება ერთს წუთსაც არ ასვენებს მას. ის შეუჩერებლათ ეზიდება პოეტს ბრძოლისაკენ. ის იძულებულია ახლავე, ამ წუთში, დაუყოვნებლივ შეებრძოლოს ბოროტებას. ჩვენ ზემოთ უკვე დავასახელეთ ორი ეპიზოდი ეგნატეს ცხოვრებიდან: პირველი, როცა ის ხელით სცემს მარგანეცის მუშაებს, რომელმაც მუშა წონაში მოატყუილა; მეორე, როცა ის დელეში იუბევს ლიბერალურათ მოაზროვნე, მაგრამ იმავე დროს უფროსის ბრძანების მორჩილ მოხელეს, რომელიც მუშებსა და მოსამსახურეებს ეკლესიაში ერეკება მტარვალი მეფის სადღეგრძელოთ ილოცონ.

ბევრი მწერლის ბიოგრაფია ვიცით, მაგრამ პირადათ მე არ ვიცი არც ერთი ბელეტრისტი, რომელიც ანალოგიურ შენთხვევაში ისე მოქცეულიყოს როგორც მოიქცა ეგნატე. ასეთ შემთხვევაში ყველა სხვა ბელეტრისტი და მხატვარი, უეჭველათ, მხოლოდ უბის წიგნს ამოიღებდა და შიგ ასეთი ბოროტების ფაქტს, ან მის რაიმე დამახასიათებელ თვისებებს, მის ნიშნობლივ ხაზებს აღნიშნავდა, რომ შემდეგ, ოდესმე ამ ფაქტით ესარგებლა: ლამაზი სურათებით გამოეხატა იგი, თანაგრძნობა გამოეცხადებია დაჩაგრულისთვის, დამჩაგვრელი კი სამარცხვინო ბოძზე მიეკრა. რა თქმა უნდა, ამასაც დიდი მნიშვნელობა, დიდი განმანათლებელი მნიშვნელობა ექნებოდა. მაგრამ, ძალა-უნებურათ იბადება კითხვა: რა სარგებლობას მოუტანდა იგი პირადათ თუ გნებავთ იმ ჰიათურელ გლეხს, რომელიც დღე და ღამე საშინელ პირობებში მუშაობს და მისი შრომის ნაყოფს კი ვიღაც უაზრო ისაკუთრებს? რა სარგებლობას მოუტანდა მათი ადამიანური ღირსების ასე შეგინების ლამაზ სურათებში გამოხატვა პირა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათ იმ მუშებს, რომლებსაც ძალას ატანდნენ ეკლესიაში წასულ-ყენენ და ხალხის მტარვალი მეფის სადღეგრძელოთ ელოცათ?

დეე, მხატვარმა ხატოს მშვენიერება, ხატოს მან ცხოვრების სისაძაგლე, მაგრამ ყველა რომ ხატვას შეუდგეს, ვინღა იბრძოლოს? ვინ გაუმკლავდეს ყოველ-დღიურ ბოროტებას? ვინ გამოექომაგოს, ვინ შეაშროს თვალებზე ცრემლი მაშვრალთა და ტვირთმძიმეთ დღე-სვე, ახლავე, ამ საათშივე? ეგნატემაც სცადა ამ სენის ლამაზ სურა-თებში გაცხოველებით მორჩენა, მაგრამ ის მალე დარწმუნდა, რომ **„ბელეტრისტობიდან არაფერი არ გამოდის“**. და ის ცდის პუ-ბლიცისტურ კალამს: **„იქნება ამ იარაღით გაკეთდეს რამეო“**.

სწორეთ ასე უყურებდა საქმეს ეგნატე, ასე უყურებდა იგი მწერლობასა და მწერლობის როლს. მისთვის **სიტყვა** და **საქმე** ერთი იყო; მისი სინიდისი სრულ თანხმობას, სრულს ჰარმონიას მოითხოვდა ამ ორ მცნების შორის, ეს იყო მისი მრწამსი, მისი სარწმუნოების სიმბოლო, მისი სამუდამო იდეალი. და როცა ამ იდეალის შელახვას ხედავდა, ის იბრძოდა, როგორც ბელეტრისტი, იბრძოდა, როგორც პუბლიცისტი, იბრძოდა გაფთრებული ფიზიკური ძალითაც კი!

სწორეთ აქ უნდა ვეძიოთ იმის მიზეზი, რომ ეგნატეს ნაწერებს ყურო პუბლიცისტური ხასიათი აქვს. ასეთ მებრძოლ ტემპერამენტს, რა თქმა უნდა, ხელი უნდა შეეშალა ეგნატეს ბელეტრისტული შე-მოქმედებისათვის. ჩვენს პოეტს სრული უფლება ქონდა გაემეორებია ნეკრასოვის ლექსი:

> Мне борьба мешала быть поэтом,
> Песни мне мешали быть бойцом*...*)

აქ განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ბრძოლა, მებრძოლი ტემპერამენტი მას მართლაც უშლიდა ხელს, როგორც ბელეტრისტს, მაგრამ პოეზია, „სიმღერა“ კი ხელს არ უშლიდა, ის მასში ვერ **„ანელებდა ბრძოლის წყურვილს“**. და ეს იმიტომ, რომ თვით მისი სიმღერა როდი იყო გამოწვეული თვითონ სიმღერის, „ტკბილი ხმე-ბის“ სიყვარულით, არამედ ის თვითონ ბრძოლის საყვარი, ომის — ყიჟინა იყო.

ასეთი მებრძოლი ტემპერამენტის იყო ეგნატე ნინოშვილი; ასე უყურებდა იგი ლიტერატურასაც, რომელიც ამ ხმოლოდ მარტო ბრძოლის იარაღათ წაიმოედგინა. ამიტომ იყო, რომ იგი მუდამ იმის ცდაში იყო, რომ პუბლიცისტობისათვის მოეკიდა ხელი. ასეთი იყო ეგნატეს სულიერი განწყობილება: მის ბუნებაში მუდამ სწარმოებდა ბრძოლა პუბლიცისტსა და ბელეტრისტს შორის. ამიტომაც თი-თქმის ყველა მისი საუკეთესო ნაწარმოები ამ ორი გრძნობის ერთმა-

*) ბრძოლის წყურვილი ხელს უშლიდა ჩემს პოეზიას,
პოეზია კი ანელებდა ბრძოლისა წყურვილს“..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეთთან შეურიგებელი ჰიდილის ნაყოფს წარმოადგენს. ს. ჯიბლაძის ნალაპარაკევიდან ვიცით, რომ ეგნატეს **„ბალიასტომის ტბის“** დაწერა პუბლიცისტურ სტატიათ უნდოდა, მაგრამ ვერ შესძლო და მოთხრობა გამოიდაო. **„ბალიასტომის“** დაკვირვებულათ წაკითხვის დროს თქვენ ცხადათ გრძნობთ ეგნატეს ასეთი განცხადების სინამდვილეს. ამ მოთხრობის პირველი ორი თავი ნამდვილ პუბლიცისტურათ არის დაწერილი. მაგრამ ეტყობა, ავტორი ჩქარა დაუძლევია მხატვარის ნაჭს და მის კალამს ერთი ჩინებული მოთხრობა მიუძღვნია ჩვენი ლიტერატურისათვის.

რომ ეგნატე ნინოწმიდელი არ სჯერდებოდა ბელეტრისტულ შემოქმედებას და პუბლიცისტურ მოღვაწეობისათვის ემზადებოდა, ამას როგორც ზემოთ მოვიყვანეთ, ეგნატეს ყველა ყოფილი ამხანაგები ერთხმათ მოწმობენ. მაგრამ ასეთ მოწმობას და ზეპირ გადმოცემებს ჩვენ მაინცა და მაინც დიდ მეცნიერულ მნიშვნელობას ვერ მივაკუთვნებთ. ამიტომ ყველა ზემო ნათქვამის დასამტკიცებლათ თვითონ ეგნატეს პატარა კორესპონდენციების შესწავლა იძლევა უფრო უტყუარსა და მეცნიერულათ დამაკმაყოფილებელ საბუთებს.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ეგნატეს პატარა კორესპონდენციები იგივე მისი მოთხრობების სიუჟეტებია. ამ კორრესპონდენციების ამ მხრით შესწავლას ჩვენ ვეცდებით ცალკე შრომაში ეგნატეს შემოქმედების უფრო ვრცელი გარჩევის დროს. ამ დროებით კი დავკმაყოფილდებით ერთი ან ორი კორესპონდენციით.

„ივერიის“ 1888 წლის 236 ნომერში დაბეჭდილია კორესპონდენცია გურიიდან, რომელშიაც ავტორი გულის ტკივილით მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ გაიტაცა სოფლელები ახალი ქვით-კირის ეკლესიის აშენების სურვილმა.—„ოცამდე სოფელი იქნება დღეს გურიაში, რომ ეკლესიების ქვით-კირის შენობების აგებისთვის ფაცი-ფუცობს და ათასობით ფულს აგროვებს ამ საკითხისთვის. თვითეულ კომლს ასი-ორასი მანეთი გააწერეს, თუმცა ღარიბები კი წიწმატობენ—არ შეგვიძლია ამდენი ფულის გადახდა, ამდენი ფული რომ გადაეიხადოთ, ფუტი გაგვიცვდებაო, მაგრამ როგორც ყველგან, ისე ჩვენშიც ღარიბ-უბედურის სურვილი მდიდარ-შეძლებულის კუდი გახლავთ“. ამ კორესპონდენციას ცოტა უფრო ვრცლად ვპოულობთ ჩვენ ეგნატეს მოთხრობა **„სიმონაში“**. წაიკითხეთ ამ მოთხრობის XIII თავის დასაწყისი:

„წაბლისერის წმინდა გიორგის ეკლესიას ზოგიერთმა მდიდარმა კაცმა წუნი დასდო, არ გვეკადრება, ეკლესია კი არა, კარავიაო და „გამოიწყეს“ ახალი ეკლესიის ერთი დიდი ქვის შენობა. მაგრამ ხალხს შეექმნა საეკლესიო ადგილზე ცილობა: ზოგს უნდოდა ეკლესია შუა ადგილზე აშენებულიყო, ზოგი—სადაც ძველი ეკლესია იდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გა, ახალიც იქ უნდა აშენდესო, ამბობდა... კარგა ხნის დავი-დარაბისა და ხარჯების შემდეგ—დამტკიცდა ისევ ის ძველი ადგილი, სადაც ძველი ეკლესია იდგა. ახლა შეუდგენ აშენებას,—ამოირჩიეს „დეპუტატები", რომელნიც მოყვენ და ას-ასი მანეთი შეაწერეს ღატაკ გლეხებს ეკლესიის ასაშენებელი. გეგონებოდათ ჩანგის-ყაინის პოხარკენი მოსულანო, ისეთ ნაირად ბრუნავდენ სოფელში ამ ფულის გადახდის დროს „დეპუტატები", მამასახლისი, ხევისთავები და ყარაულები. ვის ძროხას უყიდდენ, ვის ხარს, ვის სარჩო სიმინდს და ვის რას, ვინ მოსთვლის! ბევრი ღატაკი გლეხი კიდევ უფრო გააღატაკა ამ ეკლესიის აგების ხარჯმა..." (იხ. „სიმონა" წ.-კითხვის საზ. მიერ გამოცემული **ეგნატე ნინოშვილის** თხზულებათა კრებულის I ტ. 112—13 გვ.).

იმავე კორესპონდენციაში ეგნატე გველაპარაკება იმის შესახებ, თუ როგორ აიკლეს გურია ყაჩაღებმა და კორესპონდენციის ეს ნაწილიც თითქმის სიტყვა-სიტყვით არის გამეორებული იმავე **„სიმონაში"**, მაგრამ ჩვენ აქ ვერ შევუდგებით ყველა ადგილების შედარებას, რადგანაც ესეც ცალკე შრომის საგნათ მიგვაჩნია.

ეგნატეს სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლის დროს ფირალობა და მისგან გამოწვეული „ეგზეკუცია" შეადგენდა მთელი გურიის დამლუპველ მოვლენას. ამიტომაც ეგნატე ამ თემას ხშირათ უბრუნდება, როგორც მოთხრობებში, ისე კორესპონდენციებში.

ამ მხრით კიდევ უფრო საყურადღებოა **ეგნატეს** პუბლიცისტური წერილი **„სააჯასო"**, რომელიც ავტორს, როგორც ვთქვით, „თეატრის" რედაქციაში გაუგზავნია დასაბეჭდათ. და როგორც საცენზურო პირობების გამო არ დაუბეჭდიათ. ამ პუბლიცისტურ წერილს, რომელიც დღეს, სამედიცინეროთ, ჩვენ ხელშია, თარიღი აზის **1892 წელი, 13 მარტი**. მკითხველს ვთხოვ დაიხსომოს, რომ ამ დროს ეგნატე უკვე ცნობილი ბელეტრისტი იყო, ის უკვე იყო ავტორი ისეთი მხატვრული მოთხრობებისა, როგორიც არის: **გოგია უიშვილი, უცნაური სენი, არშ-ყნი, პალიასტომის ტბა, სიმონა, ქრისტინე** და სხვები.

ავიღოთ, მაგალითად, **„სიმონა"**. იგი დაბეჭდილია 1892 წლის იანვრისა და თებერვლის „ივერიის" ნომრებში. მაშასადამე, ეგნატეს ის დაუწერია 1891 წლის მიწურულში და 1892 წლის დასაწყისში. **გოგია უიშვილი** კი ავტორს დაუწერია 1889 წელს (პირველი „თეატრში" დაბეჭდილ ვარიანტის მიხედვით), მაგრამ ეგნატე ამას არ ჯერდება, ის არ კმაყოფილდება ისეთი საშინელი, მთელი მხარის დამლუპველ სენის, როგორიც **ფირალობა და ეგზეკუცია**, მოთხრობებში აღწერით. ის იმავე დროს, იმავე ბოროტებათა წინააღმდეგ სწერს პუბლიცისტურ წერილსაც. **„სიმონას"** დაწერის დროს ის

სწერს **„სააბაასოს“**, რომელშიაც ებრძვის იმავე სენს, რაც მას ამ მოთხრობებში აქვს აწერილი.

ჩვენ ვიცით, რომ ეგნატე ისეთის სინამდვილით სწერდა თავის მოთხრობებს, რომ მასში სამარადისოსთან ერთად ყველა იცნობდა თანამედროვეს, დღევანდელ საჭირო-ბოროტო მოვლენას. ეგნატე, როგორც ბელეტრისტი, მეტის-მეტად ახლო იდგა ცხოვრების სინამდვილესთან. ამ გარემოებას ყველაზე უფრო ახასიათებს შემდეგი ფაქტი: ქუთაისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელმა მგონი **მოსე მწერალის** ოინების შესასწავლათ გადასწყვიტა გადაეთარგმნებია რუსულად ეგნატეს მოთხრობა **„მოსე მწერალი“** და მისი საშუალებით შეესწავლა ამ ბოროტი საქმის ყველა ნასკვები. ამ ბრალმდებლის თხოვნით, ჩემმა ყოფილმა მასწავლებელმა, აწ განსვენებულმა **ბესარიონ ლომინიძემ**, როგორც თვითონ მისგან გამიგონია, რუსულად თარგმნა ეგნატეს ეს მოთხრობა. ეგნატეს აწერილი აქვს **სიმონას** მოკვლის ისტორია სწორეთ ისე, როგორც ახლაც გაიგონებთ გურული გლეხებისაგან ამ ყაჩაღის მოკვლის ისტორიას. იქ კიდეც დაგისახელებენ პოლიციის ბოქაულის, მგონი, ჯაფარიძის გვარს, რომელმაც ტყეში იპოვნა მკვდარი **სიმონას** გვამი და რომ ვაჟკაცობით თავი ესახელებია და ორდენი მიეღო, მკვდარი ხმლითა და ტყვიით დასჭრა და მისი დამჭაში მამასახლისის დახმარებით ქათმის სისხლი ჩაასხა შიგ, რომ სამი დღის წინათ მკვდარი **სიმონა** ახალ მოკლულად გაესაღებიაო. ეს ფაქტია... და თუ ეს ასეა, უნდა დავეთანხმოთ, რომ ეგნატე ყოველთვის თვით მის გარშემო ცხოვრებიდან იღებდა თავის მოთხრობების თემებს, რომ იგი, როგორც ბელეტრისტი, ებრძოდა თანამედროვე ცხოვრების სიდუხჭირეს. მაგრამ ის ამას არ ჯერდება და იმავე თემაზე, იმავე დროს, სწერს პუბლიცისტურ, ჰიუმორით სავსე წერილს. ამ წერილში ავტორი ეხება მთავრობის აგენტების მიერ ყაჩაღების დევნასა და ხოცვას და წყარე ირონიით შენიშნავს:

„...გულ-შემატკივარი ადამიანები ქვეყანას არ გამოელევა; ვებრალებით და ჩვენი სიბრალულის გულისთვის ისეც ადამიანების სისხლში ხელებს—ხოცავენ ყაჩაღებს... ჩვენ, რა თქმა უნდა, მუხლმოდრეკით თაყვანი უნდა ვსცეთ ასეთ პატრონებს, მაგრამ ეჭვი გვეპარება... ყოველივე ამ წყეული იჭვის ბრალია!..მოგახსენებთ, საიდან იწყება ჩვენი იჭვი: გასულ წლებს რომ არ გამოვუდგეთ, მარტო შარშან და წრეულს აგერ ათზე მეტი „ფირალი“ მოჰკლეს გურიაში. მერე იცით ვინ არიან ეს ფირალები? ცოლ-შვილიანი კაცები, რომლებიც გუშინ მშვიდი მიწის მუშა იყვნენ, სახელმწიფო ბეგარას იხდიდნენ და თავის მომავებთან ცხოვრების მძიმე უღელს ეწეოდნენ. აი ასეთი ადამიანი, რაღაც უხილავი, უბედური გარემოების მიზეზით

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ტოვებს ცოლ-შვილს, იღებს ხელში თოფს და ნადირობის გარბის ტყეში,—**ფირალდება**! ასეთ ფირალებს უდგებიან კვალში და ხოცავენ „დიტყინობით“. ამ წერილში ავტორი პირდაპირ ასახელებს რამდენამე გულის შემზარავ ფაქტს ამ „ფირალების“ დენისა და ხოცვის ისტორიიდან. ავტორი არ ინდობს და პირდაპირ ასახელებს თ-დ **გურიელსა** და მის დამჭაშებს, რომლებიც თურმე ისე გატაცებული იყვნენ „პრაპორშჩიკობისა“ და „ორდენების“ მიღების სურვილით, რომ არ ინდობდენ ალალ-მართალ ადამიანებს. ეგნატე ასე მწარე ირონიით ეთავებს თავის წერილს:

„დავიჯეროთ, რომ „პრაპორშჩიკობისა“ და ორდენების გულისთვის „ფირალების“ მდევარი ადამიანები ძალით არ ამღვრევენ წყალს—მღვრიე წყალში თევზს უფრო დავიჭერთო? ესეც რომ არ დავიჯეროთ, ის კი მაინც ჰკუასთან ახლოა, რომ გურიაში თუ ასე ხშირ-ხშირათ ინადირეს ადამიანებზე, ისეთ სამსახურს გაუწევენ ამ პროვინციას, როგორც კრილოვის არაკში ერთმა გონიერმა ცხოველმა გაუწია ბოსტნის პატრონს, იმ განსხვავებით, რა თქმა უნდა, რომ გონიერმა ცხოველმა მხოლოდ ბოსტნეული წაუნაწილა გათელა და გურიაში კი გონიერი მცველები ადამიანებს გათელავენ“.

ჩვენ მკითხველს ვთხოვეთ დაეხსომებია, რომ **„ხაბაასო“** და **სიმონა** თითქმის ერთსა და იმავე დროს არის დაწერილი. **სიმონა** დაბეჭდილია 1892 წლის „ივერიის“ იანვრისა და თებერვლის ნომრებში; **ხაბაასო** კი დათარიღებულია იმავე წლის 13 მარტით. ესე იგი, დაწერილა **„სიმონას“** დაბეჭდვის შემდეგ.

აქედან ცხადია, რომ ეგნატე მარტო მხატვრული შემოქმედებით არ კმაყოფილდებოდა, რომ ის ერთსა და იმავე დროს მიმართავდა ხოლმე ორიე იარაღს.

რას ნიშნავს ეს?

ეს იმას ნიშნავს, რომ ეგნატე რაღაც სტიქიური ძალა იყო, რომ ის უალრესად მებრძოლი ტემპერამენტის მწერალი იყო. ეს ფაქტი იმას გვეუბნება, რომ ის არ კმაყოფილდებოდა ბრძოლის ერთი რომელიმე იარაღით: ის ხალხის დამლუპველ მოვლენებს ებრძოდა, როგორც მხატვარი იმიტომ, რომ ის მხატვრათ იყო დაბადებული; მაგრამ მას არ აკმაყოფილებდა ამ ბრძოლის მხოლოდ ასეთი იარაღი იმიტომ, რომ ის იმავე დროს თვით განხორციელებულ ბრძოლათ დაებადებია ბუნებას. პეღეტრისტი **ეგნატე ნინოშვილი**, როგორც ღრუბელი წყალს, ისე ისრუტავდა ხალხის ჭირსა და ვარამს, მის სულის სიღრმეში ყალიბდებოდა ამ ტანჯვა-ვაების საშინელი სურათები, რომლებიც ლამაზ მოთხრობებში ჰოულობდენ გამოსავალს. მაგრამ იმიტომ საჭირო იყო დრო, ხშირად დიდი დროც. და **მებრძოლი ეგნატე ნინოშვილი** კი ამას ვერ მოუცდიდა, მას დღეს-

ვე, ახლავე, ამავე წუთში უნდა ეშველა ხალხისთვის. ესეც არ იყოს, მოთხრობა ხომ პუბლიცისტიკა არ არის; მოთხრობაში ყოველისფერს ხომ თავის სახელს ვერ უწოდებ? მოთხრობა, რაც უნდა ცხოვრების სინამდვილეს ხატავდეს, ის თვითონ ცხოვრება, თვითონ სინამდვილე კი არ არის; ის მხოლოდ ანარეკლია ცხოვრების სინამდვილისა. კიდევ ერთი დეტალი: მებრძოლისთვის საჭიროა მოწინააღმდეგე, ბრძოლის ობიექტი. ეგნატეს სამარცხვინო ბოძზე უნდა გაეკრა არა ვინმე მოგონებული გმირი, არა გამოგონებული მოღალატე ხალხისა, არამედ თვითონ ნამდვილი თ-დი **გურიელი**, რომელიც „პრაპორშჩიკობისა“ და „ორდენის“ მიღებისთვის ქვეყანას აწიოკებდა. მოთხრობაში ხომ ეს შეუძლებელია და ეგნატეც იძულებული იყო მიემართა ლიტერატურის იმ დარგისთვის, რომელშიც ეს შესაძლებელი იყო. ასეთი დარგი პუბლიცისტიკა იყო.

XX.

რა არის ახალი ე. ინგოროყვას ლიტერატურულ შემოქმედებაში.

„**ისტორიული მასალების**“ ავტორის პირდაპირ მოვალეობას არ შეადგენს ეგნატე ნინოშვილის ლიტერატურული მოღვაწეობის გარჩევა. მაგრამ ამხანაგი მკითხველი, ალბათ, სულგრძელობით გვპატიებს, თუ აქ ცოტათი მაინც შევეხერებ მის ყურადღებას იმ საკითხზე, თუ რატომ უწოდა ჩვენმა თაობამ ეგნატეს თავისი მედროშე, რატომ აღიარა იგი **ახალმა საქართველომ** თავის **სულიერ მოძღვრად**? რა არის ახალი იმ მემკვიდრეობაში, რომელიც ჩვენ მივიღეთ ეგნატე ნინოშვილისაგან? რა ღირებულებას წარმოადგენს ეს მემკვიდრეობა?

ჩვენ შემდეგ ვეცდებით დავასურათოთ ეგნატე ნინოშვილი, როგორც „**მესამე დასის**“ დამაარსებელი, როგორც **პირველი მარქსისტი ჩვენში, პირველი სოციალ-დემოკრატი**, რომელმაც თავისი ინტუიციის ძალით შეუმცდარათ გვასწავლა ის გზა, რომლითაც უნდა ევლო მას შემდეგ არა თუ საქართველოს, მთელი რუსეთისა და მთელი მსოფლიოს მუშათა კლასს. ახლა კი გაკვრით მაინც შევეხოთ იმას, თუ რა იყო ახალი ეგნატე ნინოშვილის მხატვრულ შემოქმედებაში

ძველ საქართველოს თავისი იდეოლოგია ჰქონდა, თავისი ძველი იდეოლოგები ჰყავდა. ისინი ქართველ ხალხს გვიხატავდენ, როგორც ერთი ძუძუთი გაზრდილ ძმებს, მამებსა და შვილებს; ჭირსა და ლხინში განუყრელებს, ერთი პოლიტიკური და სოციალური ინტერესების წარმომადგენლებს. ეს იდეოლოგები ამ მხრით ისე შორს მიდიოდენ, რომ პირდაპირ უარსა ყოფდენ ისტორიულ სინამდვილესაც კი... ილია და აკაკი ლექსითა და პროზით, მხატვრულსა და პუბლიცისტურ ნაწარმოებებში ერთმანეთს ეცილებოდენ იმის დამტკი-

ცებაში, რომ ჩვენში ბატონ-ყმობა კი არა, მამა-შვილობა სუფევდაო. ამასავე იმეორებდენ მათი შკოლის პოეტები და პუბლიცისტები...

ახალი საქართველოს, იმ თაობას, რომელმაც თავის დროზე კლასთა ბრძოლა დააწერა, თავისი უტყუარი მხატვარიც უნდა გამოსჩენოდა. ასეთი უტყუარი მხატვარი იყო ეგნატე ნინოშვილი, რომელიც ფოტოგრაფიულის სინამდვილით ხატავდა ახალ საქართველოს, ახალ დროს და ახალს, სხვებისთვის ჯერ უცნობ, მოვლენებს ჩვენი ერის ცხოვრებაში. ნინოშვილი საკვირველს სინამდვილით გეიხატავდა ძველი, პატრიარქალური საქართველოს დაშლას. ის გეიხატავდა ახალი ძალის დაბადებას, რომელსაც დიდი რევოლიუციონური როლი უნდა ეთამაშა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. ნინოშვილმა ჩვენში პირველმა მიაქცია ყურადღება იმ მიზეზებს, რომლებიც აყენებდა გლეხებს გაპროლეტარების გზაზე, ერეკებოდა მას სოფლიდან ქალაქებისაკენ.

ქართული სოფლის პატრიარქალური ცხოვრება დაირღვა, ფული შეიქნა ის ფაქტორი, ურომლისოდაც გლეხი თავიდან ვერ მოიშორებდა კარზე მოსულ ათასგვარ გაჭირვებას. ხელმწიფე, ეკლესია, მღვდელი, ერი—ყველა' ფულს მოითხოვდა; ნათლა, ქორწილი, ავათმყოფობა, სიკვდილი—ყოველისფერს ფული უნდოდა. სად უნდა ეშოვნა გლეხს ამდენი ფული? ის დღე და ღამე მუშაობს, წელებზე ფეხს იდგამს, მაგრამ მაინც ვერაფერს ხდება. მიწა მას საკმაო არ აქვს და, კიდეც რომ ჭონდეს, მაინც ვერ გამოაღებინებს იმდენ ნაყოფს, რომ მით ყოველგვარი მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს.

აიღეთ გოგია უიშვილი. ის თავის ცოლთან ერთად ერთგულათ ეწევა ცხოვრების მძიმე უღელს. დღე და ღამეს ასწორებს, მაგრამ სიმშილისათვის თავი მაინც ვერ დაუღწევია. გოგას ცოლის მზითვებიც საფოსტოსა და სადრამო გადასახადში გაუყიდეს... გოგია მაინც გულს არ იტეხს. მართალია, ჯერ მისთვის ერთხელაც არ გაუღიმებია ბედს, მაგრამ როცა იქნება მისთვისაც ქე შეიცლის ღმერთი. ეს ერთადერთი იმედი ღა ასულდგმულებს გოგია უიშვილს. რა ვუყოთ, რომ მას არაფერი აბადია, რომ ცოლ-შვილი შიშველ-ტიტველი ყავს; ერთი ფუთი თეთრ პურის ფქვილის ყიდვა ხო მოახერხა, რომ ცოლს ხაჭაპურები გამოაცხობიოს და კალანდას მხიარული და კმაყოფილი შეხვდეს. მერე ღმერთი მოწყალეა: სადმე ქირაზე წავა, ფულებს იშოვნის და ოჯახის ათასგვარ გაჭირვებას გაუძღვება.

ხვალ კალანდობაა. ღორი და ქათმები დაკლულია, ხაჭაპურები კეცებზეა დაკრული და ცხვება. გოგია უიშვილის ოჯახი მთელი წლის განმავლობაში პირველათ გრძნობს თავს ბედნიერათ. ბავშვები სიხარულისაგან ლამის არის ჭუჭიდან შეიხლონ!...

მაგრამ უიშვილს სხუმის როდის ქონია ბედი, რომ ახლა ექნას? როცა ის ხვალინდელი „ბედნიერი დღის“ მოლოდინით გატაცებული ათასგვარ ტკბილ ოცნებებში იყო გართული, ეზოში გაისმა ნაცვალის ძახილი: გოგია! გოგია!

უბედურ გოგიას კარგათ ქონდა დაცდილი, თუ რას მოასწავებდა ამ დროს ნაცვალის მობრძანება. ის ჩქარა გამოერკვა თავისი ტკბილი ოცნებებისაგან და კარში გავიდა.

კარებთან ნაცვალი ექვსი ყაზახი რუსის თანხლებით იდგა.

— სოფელს „ეკუცია“ ჩამოუყენეს. შენ ერთი თუმანი უნდა გადაიხადო ახლა ყაზახების შესანახავათ და ხვალ „კანცელარიაზე“ უნდა ჩამოხვიდე და შეშა ზიდოო...

— ივანე, ღმერთს შეხედე, ქრისტიანი კაცი ხარ, გიჩივი არა მაქ მეთქი,—თითქმის ტირილით უპასუხა გოგიამ.

— რა ბევრს ლაყბობთ? ნებით არ გვაძლევეთ, ძალით გამოგართმევთ,—ამ სიტყვებით ყაზახები შეცივდნენ გოგიას სახლში. როცა მან წინააღმდეგობის გაწევა დააპირა, ის დაიჭირეს, სასტიკათ სცემს და მერე უფროსთან წაიყვანეს: წინააღმდეგობა გაგვიწია და უნდა დაისაჯოსო.. უფროსიც, რა თქმა უნდა, ყაზახებს დაუჯერებდა: წამოაჭიეს უბედური გოგია და ოცდა ათი როზგი დაარტყეს წინააღმდეგობის გაწევისათვის... მკვდარი, ადამიანურ ღირსება აყრილი გოგია, თავისი ატირებული ცოლით, დაბრუნდა სახლში. მაგრამ მან ვერ აიტანა ამდენი უბედურება და იმავე ღამეს თოფით თავი მოიკლა. უბედური ცოლიც ჭკუიდან შეიშალა და შვილს დანით ყელი გამოსჭრა.

ასე გაუმტყუნდა გოგია უიშვილს იმედი ღმერთზეც და კანონზეც.

კიდევ უფრო ახასიათებს ახალ დროს ნინოშვილის მეორე მოთხრობა „პალიასტომის ტბა“. ამ მოთხრობის გმირი ივანე იძულებული თავის შვილთან ერთად წავიდეს ტყეში სამუშაოზე: ფიცრები დაამზადოს, ქალაქში გაიტანოს და გაყიდოს. უბედური ივანე თავის შვილით „პალიასტომის ტბაში იღუპება.

მაგრამ არც სიმონას ბედია უკეთესი. ვინ არიან ამ მოთხრობის უმთავრესი გმირები? ესენი არიან დავით დროიძე და სიმონა ძალაძე. დროიძემ დრო იცის! ის ახალი დროის ღვიძლი შვილია. ის ახალი დროის შესაფერათ მოქმედებს: ჩარჩობს, ვაჭრობს, აღებ-მიცემობს. ის დაუნდობლათ ისაკუთრებს მისი კეთილის მყოფელი ვაჭრის ფულებს და მისი საშუალებით მთელ სოფელს ხელში იგდებს. ის ფულების საშუალებით აზანაურობასაც კი შოულობს... მთელი სოფელი მისი ყურ-მოჭრილი მონა-მსახურია. მამასახლისი მის ხელშია, ბოქაული და მომრიგებელი შუამავალი. ყველა ესენი ერთმანეთს

ეცილებიან დროიძის ერთგულებაში. შვილები ზოგი ვაჭრობის გზაზე დაადგა და გვერდში ამოიყენა, რომ უფრო ძლიერათ, შეერთებულის ძალით აძროს ტყავი ხალხს,—ზოგიც სასწავლებელში მიაბარა. ერთი პოლიციის მოხელეა, მეორე იუნკრის სასწავლებელს ათავებს და მალე ოფიცერი იქნება.

დავით დროიძე დიდი კაცია, ის მდიდარია: ის ერთს წუთში მიწასთან გაასწორებს ყველა მის მტერსა და ორგულს. მერე, არ იკითხავთ, თუ ვის თვლის იგი თავის მტრათ და ორგულათ? ყველას, ვინც მას შორიდან ქუდს არ მოუხდის, ვინც მის ბატონობას არ იწამებს, ვინც მისთვის თვალის გასწორებას გაბედავს. ყველა ასეთ ადამიანში ის ხედავს თავის დაუძინებელ მტერს, მისი ბატონობისათვის საშიშარს. ასეთად თვლის იგი თავისი საწყალი მეზობლის ქეთევანა ქერიევის ერთათ-ერთ ბიჭს, სიმონას, რომელიც დავითმა იმ თავიდანვე შეიძულა და ათასი ხრიკებითა და ცილისწამებით ციმბირში გაგზავნა.

მაგრამ სიმონას ესეც არ აკმარეს: დავითის იუნკერმა შვილმა, ტიტიკომ, სიმონას უპატრონოთ დარჩენილი ცოლი მოიტაცა და გააუპატიურა. დედაკაცმა ვერ აიტანა მისი ადამიანური ღირსების დამცირება და მდინარეში თავი დაიხრჩო... მაგრამ სიმონა ბრუნდება ციმბირიდან და თავისი უბედურების მიზეზს—ტიტიკოს სიცოცხლეს უსპობს... დავით დროიძის სამდიდრეს ცეცხლს წაუკიდებს.

ამრიგათ ნინოშვილმა დაგვანახა, რომ ქართველ ხალხში არც ისეთი მამაშვილური დამოკიდებულება ყოფილა, როგორც **ძველი საქართველოს** იდეოლოგები გვასწავლიდენ. ნინოშვილმა დაგვანახა, რომ ქართველი ხალხი უკვე დაყოფილა კლასებათ. ნინოშვილმა დაგვანახა, რომ ქართველი ხალხი ორი ერთი მეორეს მოწინააღმდეგე ბანაკათ არის გაყოფილი. ერთ მხარეზე დგანან დავით დროიძეები, თავისი პოლიციელებით, „ქრისტეს მოყვარე მხედრობით“, ხუცებთა და ეკლესიებით. მეორე ბანაკში ჩვენ ვხედავთ: გოგია უშვილებს, სიმონებს, ქრისტიანეებს... პირველები მდიდრდებიან, უკანასკნელები, თავის ჯერ-მიდამოდან გაძევებულნი, იძულებული არიან სიმშილსა და გაჭირვებას ებრძოლონ.

ასეთია ქართული სოფლის სურათი.

ამას ვერ ამჩნევდენ ქართველი მწერლები ნინოშვილამდე, ან უკეთ რომა ვთქვათ, არ უნდოდათ ამის შემჩნევა. ისინი ყველას ასე უქადაგებდენ: ქართველი მდიდარი და ღარიბი—ერთია; დავით დროიძე და სიმონა ძალაძე ორივე ერთი ქართველი დედის შვილებია, ერთი ქართველი დედის ძუძუთი არიან გაზრდილი. რაც უნდა იყოს, ისინი ერთმანეთის ძმები არიანო. ამას ქადაგებდა ჩვენში როგორც პუბლიცისტიკა, ისე მხატვრული ლიტერატურა.

მხოლოდ ეგნატემ გაბედა ამ გზიდან გადახვევა. მხოლოდ მან დაგვიხატა ქართული სოფლის დაყოფა, მისი კლასებათ დანაწილება. მხოლოდ ეგნატემ დაგვანახა ამის უტყუარი მიზეზები. მან დაგვანახა ახალი ტიპის გაჩენა ჩვენში *).

ეგნატე ნინოშვილის გლეხი უბრალო ტიკინა როდია. ის მოაზროვნე, გონიერი, ცოცხალი არსებაა. აბა ყური დაუგდეთ, რას ამბობს გოგია უიშვილი დასაკლავათ გამზადებულ პირუტყვების შესახებ, როგორ ებრალება ამ ძალ-მომრეობისა და უსამართლობის მსხვერპლს პირუტყვიც კი.

— ...საწყლები! სულ ორი საათის სიცოცხლე დარჩენიათ!.. ძალიან ცოდვა კი უნდა იყოს, მარინე, ამდონ სულდგმულს რომ ხოცავს ადამიანი?..

— ცოდვაა? რა ვიცი, ღმერთს ასე გაუჩენია და ჩვენი რა ბრალია? უპასუხებს ცოლი.

— სხვაფერ რომ გეჩინა იმ დალოცვილს, უკეთესი იქნებოდა. აბა ერთი იფიქრე, უნდა წამოვაქციო იმ სისხო ღორი და დავკლა! კას უწევს იმისი ჭყვირილი! ჩაფიქრებით ამბობს გოგია.

გოგია მარინესავით ცრუ-მორწმუნეა; მასაც ეტლი სწამს, მასაც დედის ძოძუსთან შეუსისხლხორცება ის აზრი, რომ თუ კალანდას ბედნიერათ და კმაყოფილათ გაატარებს, ის მთელი წელიწადი ბედნიერი და კმაყოფილი იქნება. მაგრამ ამ ცრუ-მორწმუნეობას თანდათან უნელებს და უქრწყლებს გოგიას ცხოვრების სინამდვილე. ის თანდათან იგნებს ამ რწმენის უსაფუძვლობას, მის გულს უკვე დაუფარებია გულის მომწყვლელი ეჭვი. „**ბედნიერი დღის**“ მოახლოვებით გახარებულ ცოლს ის სკეპტიკურათ ეუბნება:

— აგია, მარინე, რომ იტყვიან გლეხი კაცი სიხარულში მოკვდებაო. ერთი ფუთი ყირმული პური ვიყიდეთ, ერთი ღორი ვიშოვნეთ დასაკლავათ და ქვეყანა ჩვენი გვგონია!—ნაღვლიანათ ეუბნება ცოლს გოგია.

ეგნატეს გლეხი მებრძოლია, ის ნამდვილი პროტესტანტია, რომ რევოლიუციონერი არა ვთქვათ. გუშინდელი ცრუ-მორწმუნე, ეტლის მოიმედე გოგია უიშვილი ცხოვრებას უკვე გაუპროტესტანტებია. მიუხედავათ მისი გონებრივი ჩამორჩენილობისა, ის მაინც ვერ მოუხრია ცხოვრების სიმძიმეს, ვერ გადაუქცევია იგი გამგონე ფინიათ, რომელიც მორჩილებით ულოკავს ფეხებს თავის მტარვალებს. პი-

*) უნდა აღვნიშნოთ, რომ ეგნატესთან ერთად გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე არსენ მამულაიშვილი (კლაონი), რომელიც სრულიად დამოუკიდებლად შეეხო ამავე თემას და მოგვცა ჩინებული ნაწარმოები—ფორალი დავლაძე. ამ მოსაზრებას და სიზოგადოთ არსენ მამულაიშვილის ლიტერატურულ მოღვაწეობას გვერდს ვერ აუვლის ეგნატე ნინოშვილისა და მისამე დასის მემატიანე.

რიჭით, იგი ებრძვის თავის მტარვალებს, კრიტიკის ჭარ-ცეცხლში ატარებს მთელ მათ პოლიტიკას.

— არ იყვენ რომ დაგვაძვრეს ტყავი? ფირალი გეიქცაო! რა ექნა მე, რომ გეიქცა? არა, მე სადაური ფირალის გამოქცევარი ვარ? თუ გაქცევა შემეძლოს, ჩემ თავს გავაქცევდი და გადავრჩებოდი ამ წვალებას!... რა გონია, თითონ აქცევენ იმ ფირალებს, მერე აი ფირალებიდან უნდა დაგიფაროთო, ტყავს ქე გვაძრობენ! იმდენს ვერც ფირალი გვიზამდა და ვერც სხვაი!... ბარემ ამოგვხადონ სული და იგია!"

გოგია არც მაშინ ცხრება, როცა ის მაზრის უფროსთან მიყავთ ყაზახებს.

— ჩვენდა ქვეყანაზე სამართალი არ ყოფილა! მომთხარეს, დამაქცეს, გამლახეს! სამართლის კარზე მოვედი მეგონა, და აქანაი უარესი მიყვეს! სად ხარ სამართალო, ღმერთო, ხატო, რჯულო! ყვიროდა გოგია, როცა ის უფროსთან მიიყვანეს.

რა მოხდა? რამ გარდაქმნა ასე ეს ცრუ-მორწმუნე, გაუნათლებელი და შეუგნებელი ადამიანი? რამ გახადა იგი ასე პროტესტანტათ?

ამაზე ეგნატე ასე გვიპასუხებს:

— უწუგეშო მდგომარეობამ შეაძულა გოგიას სიცოცხლე და ანატრებინა სიკვდილი... გოგია ხშირად ისეთ რამეებს იტყოდა, რომ მაყურებლები ამბობდენ: ადგილზე რომ მიაწიოს ამ სიტყვებმა, გოგიას უცამბირათ არ დაარჩენენო.

ეგნატეს საკვირველის სინამდვილით აქვს აწერილი გურიაში „ფირალობის" გაჩენის მიზეზი. ხალხი ისეთ მდგომარეობაში ჩააყენეს, როგორშიც არის ხოლმე წყალი მაგრათ თავ-დაცულ ჭურჭელში, რომელსაც ქვეშ ცეცხლი უნთია. ჭურჭელს თავს არ ხდიან და ცეცხლს კი თანდათან უფრო და უფრო უკეთებენ. ორთქლი ეძებს გამოსავალს და რაკი მას ვერ პოულობს, ის ხეთქავს ჭურჭელს. ასეთია ბუნების კანონი. ამ აუტანელ ტანჯვას, რომელსაც ხალხი განიცდიდა, უნდა გამოენახა რამე გამოსავალი და იმ დროს ფირალობა ერთად-ერთი გამოსავალი იყო. ეს ერთად-ერთი საშუალება იყო შეურაცყოფილი ადამიანის ღირსების აღსადგენათ.

ნინოშვილის გლეხმა ისიც კი იცის, თუ სად არის წამალი მისი სოციალური და პოლიტიკური წყლულების განსაკურნებლათ, რა უშველის მას. აბა ყური დაუგდეთ, რას ამბობს ივანე **„პალიასტომის ტბაში"**.

— ეი, ჰაი, ბიჭო, სად არის პირი და ერთობა!. ჩვენსვე მოძმეს რომ არ ეღალატებია, ვის რა ხელი ჭონდა! ეჰ, მაშინ რომ მხრიდან არ გამოგველოდნენ!... ყაზახებმა რომ **ერთ-პირობა** იცოდეს და **ერთ-მანეთის ფხარის მიცემა**, მაშინ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ერთ-პირობა და ერთმანეთის ფხარის მიცემა!" აი რა არის ნინოშვილის გლეხის ივანეს იდეალი! ნუ თუ ეს არ არის ერთათ-ერთი გზა, ერთათ ერთი საშუალება მაშვრალთა და ტვირთ-მძიმეთა სიცოცხლის პირობების გაუმჯობესებლათ, ჩაგრულთა ძალების ერთად თავის მოყრა, მათში სოლიდარობის გრძნობის აღორძინება! თანამედროვე კაცობრიობამ ჯერ ამაზე კარგი გზა არ იცის.

აი ამ **ჩაგრულთა ძალების** ერთად დარაზმის, მათში სოლიდარობის პირველი მოციქული იყო ჩვენში ეგნატე ნინოშვილი. ამ ძალების შეერთების საჭიროება, მათი საერთო მტრის წინააღმდეგ დარაზმვა პირველათ იქადაგა ჩვენში ნინოშვილმა. მაშვრალთა ასეთი შეერთებისა და სოლიდარობის საჭიროება კარგათ ქონდა შეგნებული ეგნატეს გლეხებსაც

ზოგიერთებმა შეიძლება ამაში დაინახონ ეგნატეს ტენდეციოზობა, მაგრამ ეს შემცდარი აზრი იქნება. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ნინოშვილი თავის ტიპებს იღებდა გურიის ცხოვრებიდან. ვისაც საქართველოს ამ კუთხეში უცხოვრია ან უმოგზაურია, ის უეჭველათ დაგვეთანხმება, რომ ნინოშვილს არ გამოუგონია თავისი მოაზროვნე და პროტესტანტი გლეხები.

მოაზროვნე იყვნენ გურულები ნინოშვილის დროს. ასეთები იყვნენ ისინი 1905 წელს, როცა **კრიმ-გირეი's** მოთხოვნილებებს უყენებდენ და როცა **ნარაკირალზე** იარაღით ხელში თავს ესხმოდენ ქვეყნის ასაკლებლათ მოსულ დამსჯელ რაზმებს.

აქ არსებითად არაფერი არ შეცვლილა; გურული გლეხი თავიდ-ნ იყო პროტესტანტი: ის ყველა ქვეყნის ჭამიას ყოველთვის კრიტიკულის თვალით უყურებდა და ებრძოდა.

XXI.

ეგნატე ნინოშვილი, როგორც პირველი მარქსისტი საქართველოში

დაახლოვებით ასეთია ეგნატე ნინოშვილის ლიტერატურული შემოქმედების ხასიათი.

მაგრამ ჩვენთვის ყველაზე უფრო საინტერესოა მისი სოციალური რომანი „**სამწუხარო შედეგი**" (ანუ „ჯანყი გურიაში"). თუ ქართული ლიტერატურაში ეს **პირველი** სოციალური რომანი არ არის, ყოველ შემთხვევაში, იგი პირველი ნაწარმოებია, ის პირველი და—გადაჭრეტებული არ იქნება თუ ვიტყვით ჯერ-ჯერობით ერთად-ერთი ნაწარმოებია, რომელშიც ნათ[illegible] არის გატარებული მეცნიერული სოციალიზმის [illegible] ქართულ ლიტერატურაში იმ თვიდან იყო გამეფებული [illegible] რომლის ძალითაც დაუშვებელათ იყო მიჩნეული საქართველოს ტერიტორიის სხვა და სხვა ნაწილებში მობინადრე ხალხების [illegible] ბრძოლისა და

მტრობის გამოხატვა წარსულშიც კი. ქართულ ნაციონალისტურ ლიტერატურაში დღემდე უარყოფილი იყო ქართველ ხალხის კლასებათ დაყოფისა და მათ შორის კლასობრივი ბრძოლის აღიარება. მაგრამ აქ კიდევ უფრო განმტკიცებული იყო ის აზრი, რომ არავინ არ უნდა შეხებოდა ჩვენი ისტორიის ისეთ მტკივან ადგილს, როგორიც იყო შეუწყვეტელი და ჩვენი ქვეყნის დამლუპველი ბრძოლა თვით საქართველოს სხვა და სხვა ნაწილებს შორის, მაგალ.: იმერეთსა და გურიას შორის, ან აფხაზეთსა და სამეგრელოს შორის, იმერეთის მეფის ყველა ამათ წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, ან და ყველა ამ სამთავროების იმერეთის სამეფოს წინააღმდეგ ბრძოლა და სხვ. ჩვენი ისტორია სავსეა იმის აღწერით, თუ როგორ მოაგროვებდა ჯარებს ესა თუ ის მეფე, მთავარი თუ თავადი, როგორ ესხმოდა თავის მეზობელ სამეფოს ან სამთავროს, როგორ სწვავდა და ანადგურებდა სოფლებს, როგორ ხოცავდა და ტყვეთ მიჰყავდა საქართველოში ბატონ-ყმობის უარყოფილების სიტყვებით რომ ვთქვათ: **„მისივე მოძმე მისი სისხლი და ხორცი, მისი საერთო დედის ძუძუთი გაზრდილი ქართველ ხალხი“**.

მაგრამ ჩვენი ლიტერატურა გაურბოდა ასეთ თემებს და თუ ჩვენმა ისტორიამ ეს ფაკტები მშრალათ და დაუმუშავებლათ მაინც შეინახა, მხატვრული ლიტერატურა ყოველთვის გვერდს უვლიდა ამ საშინელი ფაკტების დამუშავებას. პუბლიცისტიკა კი პირდაპირ ცდილობდა მის უარის ყოფას, ალბათ იმ ყალბი მოსაზრებით, რომ ერთი ქართველი ერის სხვა და სხვა შემადგენლობათა შორის ასეთი მტარული განწყობილების გახსენებას უფრთხოდა. ქართულმა ნაციონალისტურმა ლიტერატურამ ერთხელ და სამუდამოთ შეიმუშავა ის შეხედულება, რომელიც აკაკიმ თავის ცნობილ ლექსში გამოხატა:

„ჩონგური საქართველოა,
სიმები ჩვენ ვართ ყველანი:
ერთი მთოგანი რომ გაწყდეს,
მაშინვე უხდა შველანი...
მტერს „ეჰეი დედა!“ ეძახოთ,
ჩვენ კი ვთქვათ დელა-დელაო!“

სწორედ ამ პოლიტიკური მოძღვრებიდან გამომდიოდენ ის პუბლიცისტები, რომლებიც შემდეგ უარსა ყოფდენ ჩვენში კლასთა ბრძოლის არსებობასაც.

კლასთა ბრძოლის უარყოფა ჩვენში პირდაპირ გამომდინარეობდა ამ პირველ დებულებიდან. თუ საქართველოს ყოველი ნაწილი ერთს, ჭირსა და ლხინში, განუყოფელ მთელს წარმოადგენდა, თუ მისი ყველა ნაწილები ყოველთვის ასე მწყობრათ და თანხმობით მოქმედებდენ, თუ მათში ისეთი ჰარმონია არსებობდა, როგორც აწყობილ

ჩანგურის სიმებს შორის, თუ კი გურია, იმერეთი, სამეგრელო, აფხაზეთი, ქართლი, კახეთი და საქართველოს ყველა სხვა ნაწილები ერთ ჰარმონიულათ შეთანხმებულს, ერთი აზრით გამსჭვალულს მთელს წარმოადგენდენ, თავის თავად იგულისხმება, რომ ასეთივე გაწყობილება უნდა არსებულიყო ბატონებსა და ყმებს შორის, დიდებსა და პატარებს შორის, მდიდარსა და ღარიბებს შორის. თუ საქართველოს ყოველი ნაწილი ასეთ იდეალურათ მთლიან სხეულს წარმოადგენდა, იქ არც კლასთა ბრძოლას ექნებოდა ადგილი.

ეს აზრი შეადგენდა ქართული ნაციონალისტური აზროვნების დედა ბოძს, მის განმტკიცებას ცდილობდა ქართული ლიტერატურა როგორც მხატვრული, ისე პუბლიცისტური.

ეგნატე ნინოშვილი პირველი იყო ჩვენში, რომელმაც გაბედა ქართულ ლიტერატურაში ასე გაბატონებულ შეხედულების უარყოფა. მან პირველმა მოკიდა ხელი ამ, ჩვენი ნაციონალისტების აზრით,— მეტი რომ არა ვთქვათ,—არა სასიამოვნოსა და სახიფათო თემას, ის სულაც არ შეუშინდა გაბატონებული აზროვნების წინააღმდეგ გამოსვლას და საკვირველის რეალობით დაგვიხატა ის საშინელი სენი, რომელმაც თავდადმა დასცა საქართველოს სახელმწიფობრივი დამოუკიდებლობა, რომელმაც ასე შეაჩერა ჩვენი ხალხის კულტურული ზრდა და ქვეყანა დაღუპვის კარებამდე მიიყვანა. ეგნატემ პირველმა დაგვიხატა, თუ როგორ იცლიტებოდა ქართველი ხალხი ამა თუ იმ იმპერიალისტური სახელმწიფოს აგენტების მიერ მოსყიდული მებატონეებისაგან. **„სამწუხარო შედეგი"**—პირველი მხატვრული ნაწარმოებია, რომელიც შეეხო ამ ჩვენი წარსულის უაღრესათ მტკივან ადგილს. ეს ნაწარმოები ეგნატეს—თუ არა პირველი,—ერთი პირველთაგანი ლიტერატურული ცდაა. და ის თავისი ლიტერატურული ღირსებით ვერ დააკმაყოფილებს ესტეტიურ კრიტიკის ყველა მოთხოვნილებას, მაგრამ, სამაგიეროთ, ის ფას დაუდებელია, როგორც სოციალური რომანი, ის ფას-დაუდებელია თავისი ქართულ ლიტერატურაში,— როგორც მხატვრულში, ისე პუბლიცისტურ ლიტერატურაში,—ჯერ სრულიად უცნობი, გარკვეული სოციალური მსოფლმხედველობით, რომელიც საფუძვლათ დაედო **ახალ საქართველოს** აზროვნებასა და პოლიტიკურ მოძღვრებას.

ამ რომანში ჩვენ პირველათ ვხედავთ ქართველი ხალხის მოძრაობის ნამდვილ სურათს. აქ საკვირველის რეალობით არის გამოხატული ხალხის ბრძოლის სურათი, თქვენ აქ ცხადათ ხედავთ საბრძოლველათ გამოსულ ქართველ ხალხს, პირველათ გესმით მისი ბრძოლის ყიჟინა. რა ვუყოთ, რომ ჯერ ეს ხალხი გამოუცდელია, რომ მან ჯერ არ იცის, თუ ვის და რა ებრძოლოს საყვეთესო მერმისის მოსაპოვებლათ, რომ მან ჯერ კარგათ არ იცის ვინ არის მისი მო-

სისხლე მტერი, რომ ის ჯერ კიდევ სათათრეთის აგენტების ვიღაც ხასან ბეგებისა და თავზე ხელ-აღებულ მოსყიდული აზნაური ივანეს მახეშია გაბმული. ჯერ-ჯერობით ისიც საკმაოა, რომ ამ ხალხს შეუგნია არსებულ ცხოვრების პირობების აუტანლობა, რომ მას გადაუწყვეტია იარაღით ხელში მოიპოვოს თავისი აუტანელი ცხოვრების პირობების გაუმჯობესება...

აქ ჩვენ ვხედავთ, რომ ხალხი აჯანყებულია, რომ ის ფიცსა სდებს, რომ ან მოკვდება, ან მტერს დაამარცხებს. მართალია, აჯანყებულთა დიდმა უმეტესობამ არ იცის, თუ რა გზას დაადგეს, რა გზა ჯობია მისთვის. მაგრამ მათ მეთაურობს **გლეხი ბესია**, რომელმაც რაღაც იცის ამ საუკეთესო გზის შესახებ, რომელსაც ამდენი აქვს განათლებულ, ახალგაზრდა, რეპოლუციონერი გიორგისა. და **ბესია**, როცა ხედავს, რომ ისეთ საბედისწერო გადაწყვეტილების მიღების დროს, როგორიც არის რუსების მუდმივი ჯარების წინააღმდეგ გამოსვლა, აჯანყებულები მარტო მას არ დაუჯერებენ, რომ აჯანყებულებზე კიდევ დიდი გავლენა აქვს გაიძვერა, თათრების ოქროთი მოსყიდულ აზნაურს ივანეს, ის აჩერებს აჯანყებულებს, ურჩევს მათ მოუფიქრებლათ საქმე არ დაიწყონ და განათლებულ, ხალხისათვის გულშემატკივარ გიორგის რჩევა-დარიგება კითხონ.

მაგრამ სანამ ამ რომანს გავარჩევდეთ, მკითხველის ყურადღება უნდა შევაჩეროთ ერთ გარემოებაზე.

XXII

როცა **ნინოშვილის** ამ რომანს ვსწავლობთ, თავის თავათ გვებადება თავში ერთი ლიტერატურული პარალელი, რომელიც მდგომარეობს **ნინოშვილის „ხამწუხარო შუდეგისა“** და **ილია ჭავჭავაძის „თთარაანთ ქვრივის“** ერთმანეთთან დაპირდაპირებაში. ეს ორი თხზულება ყველაზე უფრო ახასიათებს ამ ორ მწერალს და ამ ორი ნაწარმოების შედარება საშუალებას მოგვცემს ამ ორი მწერლისა და, მაშასადამე, მათი პარტიებისაც,—სოციალისტებისა და პოლიტიკურ-სოციალური იდეალების შესასწავლათ.

როგორც თვითონ **ნინოშვილის** რემარკიდან ვტყობილობთ, **„ხამწუხარო შედეგის“** პირველი ექვსი თავი, რომელსაც ჩვენთვის ყველაზე უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ავტორს დაუსრულებია 1888 წლის მოწურულში (21 მაისიდან ნოემბრის დამლევამდე) **სწორეთ** იმავე 1888 წლის პირველ ნახევარში დაიბეჭდა გაზეთ "ივერიაში" **ილია ჭავჭავაძის** შესანიშნავი რომანი **„თთარაანთ ქვრივი“**. ვინც ეგნატეს მებრძოლ ტემპერამენტს იცნობს, ის უეჭველათ დაგვითანხმება თუ ვიტყვით, რომ **„ხამწუხარო შედეგი“** ავტორს დაუწერია „თთარაანთ ქვრივის“ საპასუხოთ. თქვენ აქ ცხადათ ხედავთ,

რომ თ-დი ილია ჭავჭავაძე და გლეხი ეგნატე ნინოშვილი სწერენ ერთსა და იმავე თემაზე, ეხებიან ერთსა და იმავე საკითხს და იძლევიან მასზე სულ სხვა და სხვა, ერთი მეორეს მოწინააღმდეგე პასუხებს.

რაში მდგომარეობდა ეს საკითხი? ეს იყო მბატონებისა და ყმების დამოკიდებულების საკითხი. ორივე ეს ნაწარმოები იყო პასუხი იმ კითხვაზე—არსებობდა თუ არა ჩვენში ბატონ-ყმობა? ეს საკითხი ეგნატემ გააფართოვა თავის რომანში, ამ პირველ საკითხს დაუმატა მეორე: არსებობდა და არსებობს თუ არა ჩვენში კლასთა ბრძოლა? აი დედა-აზრი, რომლის ირგვლივაც ტრიალებენ ორივე ავტორები.

ილიას იდეალების მატარებელი გმირები—რუსეთში უმაღლესი სწავლა მიღებული თავადი არჩილი და გლეხი გიორგია. **ნინოშვილს** მისი იდეალების მატარებლათ გამოყავს ისეთივე უმაღლეს სასწავლებელში კურს დამთავრებული გიორგი და გლეხი ბესია.

— გავეცნათ დაახლოებით ამ გმირებს და ჩვენ გავეცნობით თვით მათ სულიერ მამებს, **ილიასა** და **ეგნატეს** და, მაშასადამე, მათი პარტიების იდეალებსა და სოფლმხედველობას.

რა იყო ილიას იდეალი?

მისი იდეალი იყო საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენა. ამიტომ ის ცდილობდა თვით ქართველი ერის მთლიანობის შენახვას, მისი ყველა წოდებისა და კლასების ერთად შეკავშირებას, ერთი მიზნით გატაცებას.

მან გამოიკვლია და აღმოაჩინა ქართველი ერის საფუძველი—ხმალი და გუთანი, უმაღლესი წოდება და გლეხ-კაცობა. მან ხმა-ამაღლა აღიარა ამ ორი წოდების შენახვის აუცილებელი საჭიროება. ილიას სულაც არ აშინებდა ის გარემოება, რომ ეს ორი წოდება უწინაც არსებობდა, რომ საუკუნეთა განმავლობაში ისინი შეადგენდენ ერთ ერს, რომელსაც თავისი **„საკუთარი თავიც ეყუდნა“**, მაგრამ ამისდა მიუხედავათ ამ ორ წოდებას შორის ისეთი იდეალური ჰარმონიული კავშირი არ არსებობდა, როგორც ილიასა სურს. ილიამ ეს იცის, მაგრამ ის ამას არ უფრთხის. არ არსებობდა,—ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ არ იარსებებს. ამ ორ წოდებას შორის მჭიდრო კავშირისა და სოლიდარობის განსამტკიცებლათ, ილიას აზრით, საჭიროა მხოლოდ ახალი საშუალების მონახვა. და ილიაც თავ-გამოდებით ეძებს ამ ჯადო საშუალებას, რომელმაც უნდა მოახდინოს სასწაული და ეს ორი, თავისი სოციალური ბუნებით, ერთი მეორეს მოწინააღმდეგეთ შექმნილი წოდება ერთმანეთში მოარიგოს, რომელმაც უნდა შეაგნებინოს მათ თავისი დიდი დანიშნულება, რომელმაც **ბატონი და ყმა მამა-შვილათ** უნდა აქციოს, ესე-იგი, მოურიგებელი მოარიგოს, თხა და მგელი ერთათ აძოვოს...

დიდი კვლევა-ძიების შემდეგ **ჰავჰავაძემ** მიაგნო ამ უებარ საშუალებას. ეს საშუალება—**ნამუსია, ნამუსის ქუდი** ქვია სახელათ ამ ჯადო წამალს! თუ ორივე ამ წოდებას **ნამუსის ქუდი** ხურავს, თუ მათ ეს ქუდი არ მოუხდიათ და ლაფში არ გადაუგდიათ, ისინი თვითონაც ბედნიერები იქმნებიან და საქართველოც მკვდრეთით აღსდგება!

რა არის ეს ჯადო-ნამუსი? რაში მდგომარეობს იგი?

იგი იმაში მდგომარეობს, რომ გლეხმა პირიანათ უნდა შეასრულოს თავისი ისტორიული და სოციალური მოვალეობა: გული გადაუშალოს მიწას და ქვეყანას საზრდო მიაწოდოს.

ასევე უნდა მოიქცეს უმაღლესი წოდებაც: იმანაც პირიანათ უნდა შეასრულოს თავისი ისტორიული და სოციალური მოვალეობა: მარჯვედ და ერთგულათ იხმაროს ქვეყნის მხსნელი ხმალი, ხან „აფაროს", ხან „ასატეროს" იგი და ქვეყნის დაუძინებელ დარაჯათ იყოს. ორივე წოდებას **ნამუსის ქუდი** უნდა ეხუროს თავზე; ორივე წოდება უნდა გრძნობდეს, რომ მათ მიერ მათი როლების კარგათ შესრულებაზეა დამოკიდებული მთელი ქვეყნის ბედ-იღბალი, მისი ყოფა—არ ყოფნის საკითხი...

ამ აზრს შესანიშნავის მჭევრ-მეტყველებით იცავს ილია თავის ცნობილ პუბლიცისტურ წერილებში (იხ. ჟურნალი „იერია", № 11, 881 წელი და კიდევ უფრო **„ცხოვრება და კანონი"**, არის ქ. წ. კითხვის საზოგადოების ცალკე გამოცემა).

XXIII

მაგრამ ილია ჭავჭავაძე **თავისი ასეთი იდეების საქადაგებლათ** პუბლიცისტიკას არ ჯერდება; იგი მხატვრულ ფორმებში აყალიბებს თავის ასეთ აღმოჩენას.

ილიას **„ოთარაანთ ქვრივი"**, ეს **ნამუსისა** და **სინდისის** ფილოსოფიაა. ამ ფილოსოფიის მატარებლები არიან თავადი არჩილი და გლეხი გიორგი.

არჩილი, რუსეთში უმაღლესი სასწავლებელის დამთავრების შემდეგ, სოფელს უბრუნდება. გლეხებთან დამოკიდებულებაში მას პრაფრის შეცდა და დარღვევა არ უნდა. არჩილის აზრით, ქვეყნის უბედურება წოდებრივს და ქონებრივ უსწორ-მასწორობაში კი არ არის; ეს უსწორ-მასწორობა გამოწვეულია თვით შრომის განაწილების საჭიროებით. უამისოთ ქვეყანა დაიღუპებოდა. უბედურება მხოლოდ ადამიანის **უპირულობასა** და **უსინდისობაშია**.

გავასწოროთ ეს ადამიანები! განვაკაცოთ ისინი! დავახუროთ მათ **ნამუსის ქუდები**! აღვადგინოთ **სინდისი** და **ნამუსი** და ადამიანებიც გაკეთილშობილდებიან, თავის დიად დანიშნულებას შეი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გნებენ, კარგათ შეასრულებენ თავის სოციალურ როლებს და მაშინ ქვეყანაც გაკეთდება, გაბედნიერდება.

როცა ილია პუბლიცისტიკაში ავრცელებდა თავის ასეთ აზრებს, მაშინ მას მოწინააღმდეგე, სიტყვის შემბრუნებელი არ ყავდა. პირიქით, მას ტაშს უკრავდენ, ხოტბას ასხამდენ, მას ბაძავდენ, მისი გავლენა ამ მხრით ისეთი დიდი იყო, რომ მის მიერ 70 წლებში წარმოთქმულ აზრებს, რომელშიც ის სრულიად უარს ყოფდა ჩვენში ბატონ-ყმობის არსებობას, საცოდავ ქართულ ლიტერატურაში იმეორებდენ მაშინაც კი, როცა ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში უკვე შეიჭრა ახალი ტალღა **„მესამე დასიზმის“** სახელით და ძველ აზროვნების სამკვიდრო-სასიკეთლო ომი გამოუცხადა. საკმაოა დავასახელოთ ნ. ნიკოლაძის ცნობილი წერილი: **„რა უშველის თავადაზნაურობას?“**, რომელიც მან 1894 წლის დასასრულს ჟურნალ **„მოამბის“** № 9 დაიბეჭდა; ეს იყო სექტემბრის დასასრულს, ესე იგი, ოთხი თვის შემდეგ **მესამე დასის** პროგრამის გამოქვეყნების დღიდან, მაშინ, როცა ქართველ მარქსისტებსა და ქართველ ნაციონალისტებს შორის სამკვდრო-სასიკეთლო ბრძოლა სწარმოებდა. ნ. ნიკოლაძემ, თითქოს აქ არაფერიაო, იმავე ილიას აზრებს დაუწყო ხელახლა ღეჭვა და ქართველ ჭმაღლეს წოდების, როგორც წოდების ფეხზე წამოყენებისა და შენახვაზე ზრუნავდა...

მაგრამ, როცა ილია ასეთი აზრების გასავრცელებლათ პუბლიცისტიკით არ დაკმაყოფილდა, როცა მან მხატვრულ სახეებში ჩამოასხა თავისი ასეთი იდეალების მატარებელი ტიპები, მხოლოდ მაშინ გამოუჩნდა მას მოწინააღმდეგე, მაშინ გამოუჩნდა მას სიტყვის შემბრუნებელი, რომელმაც სულ ერთიანად დაამსხვრია როგორც ბატონ-ყმობის იდეალიზაცია, ისე კლასთა ბრძოლის **უარყოფის** იდეა ჩვენში.

ილია ჭავჭავაძის ასეთი მოწინააღმდეგე ეგნატე ნინოწმილი იყო: **„ოთარანთ ქვრივის“** პასუხი **„სამწუხარო შედეგი“** იყო.

ვინც ეგნატეს შეურიგებელ, მებრძოლ ტემპერამენტს იცნობდა, მას ადვილათ შეუძლია წარმოიდგინოს, რომ იგი ვერ შეურიგდებოდა **„ოთარაანთ ქვრივს“**, ვერ შეურიგდებოდა მასში გამოთქმულ ფილოსოფიას და ეგნატემ მართლაც გადასწყვიტა მის წინააღმდეგ გამოსვლა. თუ მხედველობაში მივიღებთ ამ ორი მოწინააღმდეგის იმ დროინდელ საზოგადოებრივ მდგომარეობას, თუ მოვიგონებთ, რომ ამ ბრძოლაში ერთმანეთს უნდა შებმოდენ ერთის მხრით ყოვლის შემძლებელი, ქართული ლიტერატურისა და აზროვნების უდიდესი ქურუმი ილია ჭავჭავაძე და მეორეს მხრით ქართველი საზოგადოებისათვის სრულიად უცნობი, ვიღაც ნინოწმილი, მკითხველი დამეთანხმება თუ ვიტყვი, რომ ეგნატეს გაბედულობა, მისი ბრძო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის სურვილით გატაცება არ იყო პატარა, უბრალო მწყემსის და-ვითის, დიდი გოლიათის წინააღმდეგ გამოსვლაზე ნაკლებ საკვირველი.

ილიასთან საკამათოთ ეგნატეს უნდა აეღო ბატონებისა და გლეხების დამოკიდებულება წარსულში და კლასთა შორის დამოკიდებულება. მას ბედნიერი აზრი მოუვიდა ესარგებლა წარსულ საუკუნის 40 წლებში გურიაში მომხდარი გლეხების აჯანყებით. ილიას რომანის გმირებს: არჩილს, კესოს, გიორგის ეგნატემ დაუპირდაპირა სრულიად მათი მოწინააღმდეგე გმირები: გიორგი, ბესია, სიმონა, გულო.

XXIV.

ილიას იდეალური გლეხი გიორგია. იგი **ნამუსის** ნამდვილი განხორციელებაა. იგი თვით **ნამუსის ქუდია**, რომელიც, უნდა არ უნდა, ყველას ძალათ ეხურება თავზე. ამ **ნამუსის** გატაცებულ მოციქულს ვერ წარმოუდგენია უპირობა, ვისიმე მოტყუილება, მებატონეა იგი თუ გლეხი. ის დღე და ღამე მუშაობს ბატონის საქმეზე და ამასვე მოითხოვს ყველა სხვა გლეხებისაგანაც.

გიორგი ხელითა სცემს ომარაანთ მოჯამაგირეს მხოლოდ იმიტომ, რომ მას მებატონისაგან შეშის საჭრელად გატანებული ურემი ტყეში დაუგდია, თვითონ კი წამოწოლილა და არხეინად ხვრინავს.

— აი შე უნამუსო! აქაო-და არავინ მხედავსო. ნამუსის ქუდი აგიხდია და ლაფში გადაგიგდია. შენ ღმერთს რას ეუბნები!

ასეთივე დღე დააყენა გიორგიმ ბეჟანიშვილის მოჯამაგირესაც, რომელსაც ურემზე საფქვავი ცუდათ დაედო:

— შენ ადრე და მალე დასამიწებელო, ვერა ხედავდი, კამეჩები იხრჩობოდენ! რა პირით მიდიოდი პატრონთან?

— ბიჭო და, შენ რა დავა გჭონდა?—ეკითხებოდენ გიორგის სოფლის მოსამართლეები, რომელთანაც მას მისგან შეურაცყოფილნი გლეხნი უჩივლა.

— ის დავა მჭონდა, რომ მაგისთანა ნამუს ახდილი კაცებისაგან ქვეყანაა დაღუპული. კაცი კაცს ვერ ნდობია მაგათ გამოისობით. კარგს მოჯამაგირესაც სახელი აქვს გატეხილი,—უპასუხებს გიორგი.

მსაჯულებმა გიორგი გაამართლეს, რადგანაც მათ ერთის მხრით გიორგი დედის—**ომარაანთ ქვრივის** ეშინოდათ, მეორეც იმიტომ, რომ მის გამართლებას მოითხოვდა თვითონ გალახული მოჯამაგირის მებატონე, რომელსაც გიორგი ძალიან მოეწონა და რომელიც „ყოჩაღის“ სახელით დააჯილდოვა.

მაგრამ გიორგის დონ-კიხოტობა ამით როდი თავდება. არჩილთან მოჯამაგირეთ დადგომის პირველ დღესვე მან გადააბრუნა და ძალზე მისტყეპა არჩილის მეჯინიბე, მოჯამაგირე გლეხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატომ? რას ემართლებოდა?

აი რა პასუხს აძლევს გიორგი თავის ბატონს არჩილს:

— შენი ცხენი ოფლიანი დაება თავლაში; რომ შევედი, თვითონ პირ-აღმა შემოწოლილიყო ტახტზე და ყალიონს ეწეოდა... მე ვუთხარი: ცოდო არ არის ოფლიანი ცხენი დაგიბამს, ცოტა ხანს მაინც ატარებდი, ზურგზე წყალს მაინც გადაასხამდი მეთქი...—არამ მკითხე მოამბეო, მისტყეპე და მიაგდეო,—მითხრა და არხეინათ ძალზე **ყალიონი გააბოლა**"...

რატომ სჩადის გიორგი ასეთ დონ-კიხოტობას? რატომ სცემს იგი მასავით მოჯამაგირე გლეხებს?

იმიტომ, რომ იგი **ნამუსის** მოციქულია. იმიტომ, რომ მას **ნამუსის ქუდი** დაატანა თან მისმა სულიერმა მამამ. სხვა გლეხებს კი ეს **ქუდი მოუხდიათ და ლაფში გადაუსვრიათ**; თავიანთ მოვალეობას პირ-ნათლად არ ასრულებენ და მით ქვეყნის დაღუპვას ხელს უწყობენ... იმიტომ, რომ ასეთმა **ნამუს ახდილმა** ადამიანებმა დაღუპეს ქვეყანა... გავასწოროთ ეს ადამიანები! დავხუროთ მათ **ნამუსის ქუდები** და ქვეყანაც გასწორდება და მაშინ ყველა ბედნიერი იქნება!..

ასეთია **ილია ჭავჭავაძის** ქვეყნის მხსნელი ნამუსი!

ილია ხედავს უდიდეს სოციალურ ბოროტებას,—ერთი წოდების მეორეზე ბატონობას და მას ისეთი პოლიტიკოსებით, როგორც **სინიდისი** და **ნამუსია** სურს ამ ბოროტების სამუდამოთ მოსპობა. ის ებრძვის ამ ბოროტების შედეგებს და სულაც არ ეწინააღმდეგება ამ ბოროტების წარმომშობ-მიზეზებს. პირიქით, იგი ამ მიზეზების შენახვას, მის უფრო გაღრმავებასაა და განმტკიცებას ცდილობს!

გიორგი სცემს მოჯამაგირე ბიჭს და ერთხელაც არ ეკითხება თავის თავს: სად არის ამ სიზარმაცის მიზეზი.

არჩილი? ეს ხომ აღტაცებაში მოდის გიორგის დონ-კიხოტობით. აი როგორ დიალოგს ეკითხულობთ ამის შესახებ „ოთარაანთ ქვრივში":

— როგორ მოგწონს ეს ამბავი?—ეკითხება არჩილი თავის დას კესოს გიორგის დონ-კიხოტობის შესახებ.

— ახირებული გული ქონია,—უპასუხებს კესო.

— ეგ ცოტაა! **ნამუსი ქონია, ნამუსი... ის დიდი ნამუსი, რომელიც სხვისაც ისთე ერჩის, როგორც თავისას!**

ამ „**დიდი ნამუსის**" მოციქული გიორგი ბატონის ერთგულებაში კვდება. ბატონმა მით გადაუხადა მას დიდი ამაგი, რომ სამაგალითო დამარხვა აღირსა. მთელი ადგილობრივი სამღვდელოება მოწვია მის დასაფლავებაზე და თვითონაც კესოსთან ერთად ცრემლები დააპკურა მის ცხედარს...

მაგრამ ამით ხალხის გული მაინც ვერ მოიგო:

— კაცი მოიდნეს და ქვეყანას ამით უბმენ თვალებსო,—იძახოდა ხალხი...

ამრიგად ილია დარწმუნდა, რომ ამ ორ წოდებას შორის სოლიდარობა დარღვეულია, რომ მათ შორის **„ხიდი ჩატეხილია“**.

მაგრამ ილია გულს მაინც არ იტეხს. ის ისევ დარწმუნებულია, რომ ამ ხიდის გამრთელება შესაძლებელიც არის და აუცილებელი საჭიროც.

აი რას ალაპარაკებს იგი არჩილსა და კესოს ამის შესახებ:

— არჩილ! წინ რაღაა, წინ!—შებღალა უეცრად კესომ და ორისავე ხელით თითები ერთმანეთში ჩაიწნა და ფშვნეტა და მტვრევა დაუწყო.

— ეგ ცრემლიანი ცოდნა უკანას სწვავს და ჰბუგავს, წინა ნამავს და ამწუანებს. ეგ ნამი რომ გაბევრდება, მდინარე წყლათ იქცევა და მთელს ტიეს მოიტანს, რომ ჩვენს შორის ჩატეხილი ხიდი გამრთელოს და აგრე ორსავე ნაპირს გააერთებს“.

აეთი იყო **ილიას**, თუ ასე შეიძლება ვუწოდოთ, განათლებული მებატონის იდეალი, მისი იდეალური გლეხის ტიპი. ეს იყო ორივე წოდებათა შორის სრულიად შეგნებული და საზრიანი თანამშრომლობა, ორივე წოდების მიერ მათ-მათი ისტორიული მისიის შეგნება, მათი სოციალური როლების **სინდისიანათ** და **ნამუსიანათ** შესრულება.

ეს ერთობ ტლანქი და ფეხ მძიმე კიდევ უფრო მძიმე და დინჯ ცხენზე შემჯდარი ნამუსის ქუდოსანი საშუალო საუკუნის რაინდი, თავისი ორ-ფეროვანი დროშით, რომელზეც გამოხატული იყო ხმალი და გუთანი, ქართულ ლიტერატურასა და საზოგადოებრივ აზროვნებას მოევლინა პოეზიის პარნასიდან. აი ეს იყო გოლიათი, რომელსაც უნდა შებმოდენ ეგნატეს **გიორგი** და **ბესია**.

XXV

ეგნატეს **გიორგი** სრული წინააღმდეგობაა ილიას აჩრილისა.

საყურადღებოა გავეცნოთ **გიორგის** პოლიტიკურ იდეალებს. ის, როგორც მისი ავტორი, მომხრეა საქართველოს დამოუკიდებლობისა; მას მხოლოდ აშინებს საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა: მას შიში აქვს სპარსელების, თათრების, ლეკების; მას აშინებს ის პოლიტიკური პირობები, რომლებმაც აიძულეს მეფე ერეკლე II რუსეთისათვის გადაეცა თავისი ქვეყანა. ვისი იმედი უნდა ჰქონდეს საქართველოს, თუ არა რუსეთისა? მართალია, თვითონ რუსეთში ხალხი დაჩაგრულია, იქაც ბატონ-ყმობა მძვინვარებს, მაგრამ, სამაგიეროთ, იქ გაცხარებული მუშაობა სწარმოებს ამ სენის მოსასპობად. ჩვენს ქვეყანას ყოველის მხრით მტრები ახვევია. მარტო ჩვენის ძალით ვე-

რაფერს გავხდებით. **გიორგიმ** მხოლოდ ერთი გზა იცის ქვეყნის სახსნელად და ამ გზას რუსეთისაკენ მივყეთართ.

„გლეხ-კაცი ცუდ მდგომარეობაშია,—ამბობს გიორგი,—ცალკე თავად აზნაურობა იმსახურებს და ცალკე მთავრობა.. არც ერთ რიგიან სახელმწიფოში, **გარდა რუსეთისა**, ბატონ-ყმობა არ არსებობს. მაგრამ... ადრე თუ გვიან... რუსეთშიც მიენიჭება გლეხებს თავისუფლება... მაშინ ჩვენს გლეხებსაც ეშველება და გადაეღება კისრიდან მონობის უღელი".

„...ჩვენი გლეხ-კაცობა უნდა იყვეს შემყურე რუსეთისა და უნდა მოელოდეს იმავე ბედს, რასაც რუსეთის გლეხ-კაცობა. **ვინიცობაა რუსეთის გლეხ-კაცობამ ნება-ყოფლობით ვერა რა გამოიტანოს და აჯანყდეს, მაშინ, რა თქმა უნდა, ჩვენი გლეხ-კაცობაც ვერ დარჩება გულ-ხელ დაკრეფილი, მიხედავს რუსეთის მაგალითს და იოგბს თავისუფლების მოსაპოვებლათ.**" (იხ. **„სამწუხარო შედეგი"**, გვ. 98. ტ. III. ციტატები მოგვყავს წ.-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემიდან). ასეთ დარიგებას აძლევს გიორგი რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებული გლეხების დელეგატებს.

აჯანყებული ხალხის დელეგატების უმეტესობამ არ მიიღო გიორგის რჩევა. მაგრამ გიორგი თავისას არ იშლის. რა კი ხედავს, რომ ხალხი ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულა თავის მოქმედებაში, რომ იგი ჯერ კიდევ უჯერის სათათრეთის მიერ მოსყიდულ აგენტებს, გიორგი თვითონ იღებს აქტიურ მონაწილეობას ამ საქმეში მხოლოდ იმ მიზნით, რომ სათათრეთის მილიტარულ მიზნით რუსეთის წინააღმდეგ მრწყობილი აჯანყება იმავე სათათრეთის მომხრე გურული მებატონეების წინააღმდეგ მიმართოს და გლეხებს სრული თავისუფლება მოუპოვოს.

ამრიგათ **გიორგიმ** გადაწყვიტა აჯანყებულებს უხელმძღვანელოს და „ჯანყის" მიზანი შესცვალოს. მაგრამ ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა ადვილი საქმე როდია, მით უმეტეს, როცა ის ხედავს, რომ თვით აჯანყებულების დელეგატებშიც კი ურევია გამცემლები. ის ყველაზე უფრო არ უნდობა ქლესა აზნაურ ივანეს, რომელიც პროვოკატორულის მიზნით მიტმასნებია აჯანყებულ გლეხებს.

— ივანე არ უნდა იყოს პატიოსანი კაცი. თამარამ სთქვა ბევრი ადამიანის სისხლი ადევს კისერზეო. ახლა კი ხალხის მეთაურობას აპირებს. ღმერთმა დაიფაროს. (III, 114—115).

გიორგი არ სცდებოდა. აი რას ეუბნება ივანე თავის ერთგულ ყმას, ზნე-დაცემულ, გადაგვარებულ გლეხს, კოზიას.

— აი გიორგია თუ ვინცხა უსჯულო ყაჩილარი, ძაან გამაკუჭა იმის სიტყვებმა.. გვიგონე ხომ ბატონ ყმობას რაება წამოკრა ხელი?

ჰაი, ჰაი, სად არის კაცი, თუ არა იმისი ენა მწვადათ უნდა შეწვა! ადამს აქეთ ქვეყანაზე ბატონ-ყმობაა და ახლა იმისთანა ნათრევი ყაზილარი უპირობს დაქცევას.

ივანე გარყვნილ გლეხ კოზიასთან ლაპარაკის დროს სულაც არ მალავს თავის ნამდვილ შეხედულებას აჯანყებაზე. აი რას უპასუხებს იგი კოზიას, რომელიც ეთანხმება გიორგის იმ აზრს, რომ რუსის ჯარებს უიარაღო და ომში გამოუცდელი აჯანყებულები ვე რაფერს ვერ დააკლებენო.

— აგი უმისოთაც ქე ვიცოდი მე. მარა ხომ გაგიგონია, შენ აბდალავ, ამღვრეულ წყალში თევზი უფრო დეიჭირებაო! ქვეყანა ჰაწას ეირევ-დეირევა და ჩვენც რამეს გამოვლტებით... ქვეყანა თუ დაჭკვიანდა, ბატონები შიშმილით მოკვტებიენ..." (III. 102).

შაგრამ გიორგის ასეთების არ ეშინია, ის მაგრათ ადგას თავის გადაწყვეტილებას. ის თავის გადაწყვეტილებას ანდობს თავის მეგობრებს გლეხს **ბესიას** და აზნაურ **სიმონას**.

XXVI

„გლეხების გენერალი".

ახლა გავეცნოთ **ეგნატეს** გლეხს **ბესიას**. გავეცნოთ იმ იარაღს, იმ საშუალებას, რომლითაც ის გამოდის ამ **საშუალო საუკუნის** რაინდულ იდეასთან საბრძოლველათ.

ეგნატეს **ბესია** ილიას გიორგის სრული წინააღმდეგობაა. თუ ილიას გიორგი თავის მონურ ბუნებას **ნამუსისა** და **სინიდისის** ქუდით ფარავს და ბატონის ერთგულებაში კვდება, ბესია აშკარად გამოდის ყოველგვარი მონობისა და უპირველესად ყოვლისა ბატონყმობის წინააღმდეგ. ბესია ბატონს კი არა, ღმერთსაც არ ემორჩილება.

— რავა გაბედე ბატონის წინააღმდეგობაო! რავა გავბედე რას მიქვია! დიდი საქმეა? იგი არა, ღმერთიც რომ იარებოდეს ფეხ და ფეხ, თუ არ დამიჯდა, იმასაც კი გავუბედავ, თვარა კაცის რავა შეშინდება!—უპასუხებს ბესია მაზე შეყვარებულ აზნაურის ახალგაზდა ქალს მელანიას.

— რაც თავს მოვესწარი, მერე ბატონს ჩვენი ოჯახიდან არც შინაყმა გაუყვანია და არც რაი,—ეუბნება იგი იმავე მელანიას.

აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ **ბესია** ბუნებით ყოფილა რეველიუციონერი. მაგრამ მის მერე, რაც **გიორგი** რუსეთიდან დაბრუნდა და **ბესია** მას დაუახლოვდა, მისმა მებრძოლმა ბუნებამ უფრო მეტი საზრდო და შეგნება მოიპოვა. მანამდე ის იბრძოდა სხვებთან ერთად და არც კი იცოდა, თუ რა სარჩული ედო მებატონეებისაგან რუსეთის წინააღმდეგ ხალხის გაღიზიანებას. ის სხვებთან ერთად იბრძო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სრულიად ინსტინქტიურად, უგეგმოთ, მიზნების გამოურკვეველად. გიორგისთან დაახლოების შემდეგ ბესიამ უფრო ნათლად შეიგნო თავისი კლასობრივი ინტერესები. ამ დღიდან ის თავის მეგობარ სიმონთან ერთად ეწევა ხალხში აგიტაციას, ყოველს ღონით ცდილობს შეაგნებინოს მას თავისი კლასობრივი ინტერესები. ეს ერთობ ძნელი საქმე იყო იმ დროს, როცა გურულ გლეხებს კიდევ სჯეროდათ, რომ ბატონ-ყმობა ღვთის გაჩენილია, რომ გლეხი უბატონოთ არ ვარგა. თვით აჯანყებული, იარაღით ხელში სამკვდრო-სასიცოცხლო საბრძოლველად გამოსული გლეხებიც კი უჯერიან ისეთ სინდისზე-ხელ-აღებულ აზნაურებს, როგორიც არის ივანე, რომელიც მხოლოდ პროვოკატორულის მიზნით, მხოლოდ „ამღვრეულ წყალში თევზის დასაჭერად". – როგორც თვითონ ამბობს, – ტრიალებს აჯანყებულ ხალხში.

ავტორი გვიხატავს აჯანყებულების ყრილობას. ამ ყრილობაზე მთელი დისპუტი სწარმოებს გაიძვერა აზნაურ ივანესა და გლეხ ბესიას შორის. ამ დისპუტში გამარჯვება **ბესიას** რჩება. ბესია უხსნის ხალხს საქმის ვითარებას, ურჩევს არ მიენდოს იგი მებატონეებს, არ აყვეს მათ რჩევას და ყურადღებით მოეპყრას ხალხისათვის ისეთი გულშემატკივარი ადამიანების რჩევას, როგორიც **გიორგია**. როცა ამ უკანასკნელს ივანე ცუდათ იხსენიებს, ბესია გულდამშვიდებით უხსნის ხალხს:

— გიორგიმ გვიღალატოო, რომ ბრძანებს ივანე, იმიზაა, რომ გიორგი ჩვენს ფხარეზეა, ყაზახების მწუხარებას ჩივა, უნდა რამე სანშველი მოგვცეს, რომ მებატონე არ გვჭამდეს... ამის გულიზაა, ლანძღავს ივანე!

— ღმერთმა უშველოს ჩვენი შველიზა! –გრიალებს ხალხი.

— ეყოფიან რაც აქამდი გვატყუეს და გვჭამეს; დღეს გათაველდემეფხო ბატონობა! — უყვირის ხალხს ბესია.

— დეიმეფხო, დეიმეფხო! აღარ გვყავს ბატონი და აღარც გვინდა!—გრიალებს ხალხი **ბესიის** სიტყვების საპასუხოთ.

მაგრამ აზნაური ივანე რისი მოსყიდული აგენტი იქნებოდა, რომ ასე ადვილად დაეთმო გამარჯვება ბესიისთვის? ის ცდილობს მოაგონოს მონობაში დაბადებულს და აღზრდილ ხალხს, რომ მებატონეები მათი ნამდვილი მამებია, რომ გლეხი უბატონოთ დაიღუპება.

— ბატონის წინააღმდეგობა არაეინ იფიქროთ, თვარა დევიღუპებით... დიდი სისხლი მოყობა ბატონის უარის ყოფას. აგი აზრი იმიზა დათესა იმ ურჯულო გიორგიმ, რომ უნდა რამე ნაირათ ჩვენში განხეთქილება მოაზითინოს, ჩვენ ერთმანეთს შეგვეტაკოს და ამით ჩვენს მტერს ჩვენზე გაამარჯვებინოს. არ შეცდეთ, ბატონის უარის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფა არ იფიქროთ. ჩვენ მტერს უნდა ვადინოთ სისხლი და არა მას...

— არ იჭნება, ივანე, ტყუილათ ნუ ჩიე, გათავდა დღეს ბატონ-ყმობა!—გრგვინავს ხალხი.

— დიდი სისხლი მოყვება, არ ივარგებს!

— მოყვეს, მოყვეს, ჩვენც ეგ გვწყურია! უპასუხებს ხალხი.

გამარჯვებული ბესია თავის ამხანაგ გლეხს **თოლიკას** არჩევინებს ხალხს მედროშეთ და თვითონაც საბრძოლველად წინ მიუძღვის...

ამის შემდეგ გურიის გლეხ-კაცობამ უკვე შეიგნო თავისი ბრძოლის საგანი; ის უკვე მიხვდა, თუ ვინ იყო მისი მოსისხლე მტერი და მისი მოყვარე.

-ეხლა მცირე ნაწილს გარდა, უველამ იცოდა, რომ მათი აჯანყების მიზანი ბატონ-ყმობის დარღვევა იყო.

ამრიგათ **გიორგიმ** ბესიასა და რამდენიმე მისი ამხანაგების დახმარებით თავის მიზანს მიაღწია. თათრების აგენტების მიერ მოსყიდულ გურიის მებატონეების მიერ რუსების წინააღმდეგ დაწყებულ აჯანყებას მან სამოქალაქო ომის ხასიათი მისცა. ამ გარემოებამ თავზარი დასცა გურიის თავად-აზნაურობას, რომელმაც ამ „უცნაური ჭირის“ თავიდან ასაცილებლათ ისევ რუსების დახმარებას მიმართა. გურული გლეხების ასეთმა რევოლიუციონურმა გამოსვლამ ძილი დაუფრთხო იმერეთის და სამეგრელოს მებატონეებსაც. მათ ამჯობინეს იქვე, გურიაშივე ჩაექროთ ეს მოძრაობა, ვიდრე ეცადათ, სანამ იგი მათ საყმოებსაც მოედებოდა. ამიტომ დადიანი და იმერეთის თავადები სიხარულით დაეთანხმენ მათი გურული მოძმეების მოწოდებას. შეკრიბეს ჯარები და რუსის ჯარებთან ერთათ ორივე მხრიდან თავს დაესხენ აჯანყებულ ხალხს. დამარცხდა ყოველის მხრიდან ალყა შემორტყმული გურული გლეხები... და როცა დამფრთხალი ხალხი შედრკა და გასაქცევათ ზურგი იბრუნა, „მაშინ გაისმა ბესიას მჭუხარე ხმა:

— თოფი, ბიჭებო, თოფი! თხებსავით დავფანტოთ მტერი! —და მან ვეფხვსავით გასწია წინ, ამოეფარა ხეს და აუტეხა მტერს სროლა.

ბესიას თან ახლდა თავის მეგობარი სიმონი და რამდენიმე ახალგაზრდა.

მათ მაგალითს მიბაძა ხალხმა, მტრისაკენ პირი იბრუნა და ომი გააღდა.

მაგრამ ამ დროს იუდას არ ეძინა. ჩვენი ნაცნობი აზნაური ივანე თავის ერთგულ ბიჭ კოზიასთან ერთად მიეპარა უკანიდან აჯანყებულების მეთოფურებს, დაუმიზნეს თოფები: ტყვია ბესიას მოხვდა ზურგში, სიმონს მხარში.

ბელადების სიკვდილმა გასტეხა ხალხი და მან მტერს ზურგი აჩვენა.

გაქცეულ ხალხს უშიშრად დაედევნა უკან მტერი და სულ მუსრი გაავლო.

გამარჯვებულმა მებატონეებმა სიხარულით დაინახეს დახოცილებში თავისი საშინელი მტრის წესიას გვამი და გული იყვირეს მაზე დაცინვით:

— აი **გლეხების გენერალი** მოუკლავთ!.. აჰ, შენ გვართმევდი ყმებს! არ გერჩია შენი ბატონისთვის გემსახურებია და ცოცხალი ყოფილიყავი? შეგჭამონ აქ ტურებმა და მგლებმა!—დაუწყო წესიას ნიშნის მოგება თავადმა დათომ.

გლეხების გენერალი!

აი ვინ იყო ე. ნინოშვილის იდეალური გლეხი **ბესია**!

მონა,—თავისი „მოვალეობის" ნამუსიანად აღმსრულებელი,

აი როგორი იყო **ილიას** იდეალური გლეხი გიორგი!

მათ სიკვდილიც მათი შესაფერი ხვედათ წილათ. **ილიას** გიორგი მოკვდა ბატონის ერთგულებაში, მაღლიდან გადმოვარდნილი სარზე დაეცა და სული განუტევა.

ბესია კვდება იარაღით ხელში, როგორც ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლი, როგორც **გლეხების გენერალი**!

XXVII.

სანამ ეგნატეს რომანის უდიდეს გმირს გიორგის დაუბრუნდებოდეთ, მეტი არ იქნება ამ რომანის, ასე ვსთქვად, მეორე ხარისხოვან გმირებზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა.

თუ ეგნატეს გიორგი და ბესია ილიას არჩილისა და გიორგის სრული წინააღმდეგობა არიან, ეგნატეს **გულოც** ილიას **კესოს** ასეთივე წინააღმდეგობას წარმოადგენს.

განათლებული თავადის ქალი **კესო** ისევე უცქერის ბატონებისა და ყმების დამოკიდებულებას, როგორც მისი ძმა არჩილი. ისიც ამ ორი წოდების ერთმანეთში მორიგებას, მათ შორის ნამუსისა და სინდისის ხიდის გადებას ცდილობს.

ეგნატეს მდიდარი თავადის ქალი გულო ისევე იცავს აჯანყებული გლეხების ინტერესებს, როგორც თვითონ გიორგი. აი რას ეუბნება იგი თავის დედას, რომელიც ჯავრობს, შინაყმებმა როგორ გაბედეს და აჯანყებულებს როგორ მიემხრენო:

— რას ჯავრობ დედავ? მინყმები თავის ოჯახში წავიდოდნენ, იგინისაც აქვენ ოჯახი... **„გლეხებიც იმისთანა ადამიანები არიან**, როგორც ჩვენ და **სულაც არ არიან ვალ დებული გვემსახურონ. ისიც სულელობა იყო მათგან, რომ აქამდის ვერ მიხვდნენ ამას და გვემსახურებოდნენ.** (III. 143).

გულო ყოველის ღონით ცდილობს გიორგის დაეხმაროს და მშობლებთან ლაპარაკის დროს მას თავიდან ააცდინოს უსიამოვნება. როცა მოხუცი კნინა გიორგის ეკითხება: ქვეყანა იქცევა, შენ მთელი ქვეყანა მოგვილია და ხომ არასად გაგიგონია, რომ გლეხები მებატონეების წინააღმდეგ აჯანყებულიყოსო, გულო ასწრებს გიორგის და დედას უპასუხებს:

— გიორგისთანა განათლებულ კაცს სულაც არ გაუკვირდება, დედა, რომ ადამიანი ადამიანს პირუტყვივით არ ემსახუროს. ეს მარტო ჩვენისთანა უსწავლელებისათვის არის გასაკვირველი.

ილიას განათლებული **კესო**, მართალია ძველ ქალბატონებს გაცილებით სჯობია: ის გლეხებს ხელით არ შეურაცყოფს, მაგრამ ჩვენ მისგან ამის მეტს ვერაფერ დადებით მოქმედებასაც ვერ ვხედავთ, თუ ასეთად იმას არ მივიღებთ, რომ ის მამა-პაპისეულ ბაღს არ ჯერდება და ეარდ-ყვავილების რგვითა და მათი მოვლა-მოშენებით ერთობა.

სულ სხვაა ეგნატეს **გული**, ის, სხვათა შორის, სწავლობს საფრანგეთის დიდი რევოლიუციის ისტორიას. ის ემზადება აქტიური მოქმედებისთვის, რომ გიორგის ღირსეული დამხმარე იყოს, რომ მანაც შესძლოს აქტიური მონაწილეობა მიიღოს ხალხის ბატონების მძიმე უღლიდან გამოსახსნელათ.

* * *

ეგნატესა და **ილიას** გმირები არც სიყვარულის საქმეში გვანან ერთმანეთს: ილიას გმირს, გლეხს გიორგის თავისი ბატონის ქალი კესო უყვარს, უყვარს თავ დავიწყებით. მაგრამ ის ამის თქმას ენას როგორ გააბედვინებს? რატომ? იმიტომ, რომ ის გლეხია, მისი სიყვარულის სამაგიერო კი — **თავადი**. გიორგი ამ შემთხვევაშიც ერთგული აღმასრულებელი რჩება თავისი ახირებული რწმენისა. როგორ შეიძლება, რომ გლეხმა თავადის ქალის სიყვარული გაბედოს?

არ იფიქროთ, რომ გიორგის ეს გაუნათლებლობით მოდიოდეს. არა, აქ განათლება არაფერ შუაშია. კესო ხომ განათლებული ქალია, მაგრამ ისიც გლეხი გიორგის თვალებით უცქერის საქმეს. კესო არა თუ გრძნობს, რომ გიორგის ის თავდავიწყებით უყვარს — სიყვარულს ხომ ენა არ ესაჭიროება მოციქულად და განათლებულ, რომანების კითხვაში დახელოვნებულ ქალს ამის შესახებ გიორგის სიტყვები რათ დასჭირდება? — კესო თავის სულის სიღრმეში თვითონაც გიორგისადმი სიყვარულს გრძნობს. მაგრამ აბა ასეთ გრძნობას იგი დიდხანს როგორ დაიბუდებს გულში? რატომ? იმიტომ, რომ ის ბატონის ქალია და აბა სად გაგონილა, რომ ბატონის ქალი გლეხს, თავის მოჯამაგირეს, ცოლათ გაყვეს? ეს ხომ დარღვევა იქნებოდა წესის, საუკუნეებით განმტკიცებული კანონისა?

აქ სიყვარულიც კი წინ გამომუშავებულ კანონს ემორჩილება: არ არის მიღებული, შეუძლებელია, რომ გლეხმა თავადის ქალის სიყვარული გაბედოს, ან თავადის ქალმა გლეხს ცოლად გაყვეს,—მორჩა და გათავდა! აქ რა შუაშია თავისუფალი გრძნობა? აქ ბატონ-ყმობის მკაცრი კანონია, მას ვერავინ ვერ დაარღვევს.

სრულიად წინააღმდეგ სჩვიან ამ საკითხს ეგნატეს გმირები: **სიმონი** თავ-აღებული აზნაურია, მისი სიყვარულის საგანი—**მანა**, ღარიბი გლეხის ქალია. იმათ ერთმანეთი უყვართ თავ-დავიწყებით. და სიმონი სულაც არ ფიქრობს იმაზე, რომ მას მისი ტოლ-სწორი თავადაზნაურები დასცინებენ—ჩვეულებას როგორ უღალატე და გლეხის გოგო,—რომელიც მხოლოდ მებატონეს ჟინის მოსაკლავათ არის გაჩენილი და არა საცოლოთ,—როგორ შეირთეო. სიმონი, პირ-იქით, მოუთმენელათ მოელის იმ ბედნიერ დღეს, როცა **მანაზე** ჯვარის დაწერას მოახერხებს და მშობლებს სახლში მოჰგვრის, როგორც თავის სწორსა და ტოლ-ამხანაგს. ნუ იფიქრებთ, რომ ვითომ, გურიაში ნაკლებათ ჰქონდა გადგმული ფეხი იმ ტრადიციას, რომლის ძალითაც ქართველი თუ კახელი გლეხი გიორგი ფიქრსაც ვერ ბედავს თავადის ქალის სიყვარულზე. პირ-იქით, გურიაში ეს ტრადიცია იმდენათ ძლიერი ყოფილა, რომ თვით ბატონების წინააღმდეგ აჯანყებული გლეხების ყრილობაზე აზნაური აზნაურის წინააღმდეგ ბედავს ისარგებლოს სწორეთ ამ გარემოებით. მოიგონეთ ეგნატეს რომანში ჩინებულათ დასურათებულ გლეხების ერთ-ერთი ბელადის აზნაური **სიმონისა** და იუდა გამცემელი **ივანეს** შორის ბრძოლის სცენა.

როცა სიმონი გვერდში ამოუდგა ივანეს მიერ კინაღამ გაწბილებულ **ბესიას**, როცა მან თავისი ლამაზი გამოსაყვითი გლეხებს დაუმტკიცა ბატონ-ყმობის სრული უსამართლობა, როცა მან განაცხადა, რომ ის უარყოფს თავის ყოველგვარ უპირატესობას და ანთავისუფლებს თავის გლეხებს, როცა მან გლეხი დაითანხმა ბატონების წინააღმდეგ საბრძოლველათ, ივანემ სიმონის დასამდაბლებლათ, ხალხის თვალში მისთვის აბრუს გასატეხათ სიმონის უთანასწორო ქორწილი გამოიყენა:—ის გლეხის გოგოს საქმროა და იგი აბა რა აზნაური უნდა იყოსო. აქ მარტო ის კი არ არის საკვირველი, რომ ივანე აჯანყებულ გლეხებში ასეთი არგუმენტით გამოსვლას ბედავს, საკვირველი ის არის, რომ ივანე იქვე არ ჩაჰყლა აჯანყებულებმა, რომლებიც სწორეთ წოდებათა შორის ასეთ უსწორ-მასწორობის წინააღმდეგ იბრძოდენ!

* * *

აჯანყებული გლეხების მეორე გმირი, **სიმონი**, აზნაურია. ის, როგორც ხედავთ, უარს აცხადებს თვის წოდებრივ უპირატესობაზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვერდში უდგება „**გლეხების გენერალს**“ ბესიას და იარაღით ხელში ხალხის მტრებთან ბრძოლაში ბესიასთან ერთად ღუვს სულს.

რატომ დასჭირდა ეგნატეს აზნაურებიდან გლეხებისთვის ასეთი თავდადებული გმირის გამოყვანა?

პასუხი ერთია. ეგნატემ იცოდა, რომ ამ ორ წოდებას შორის **ხიდი ჩატეხილია**, მაგრამ ეს **მხოლოდ წოდებებს შორის**. სულ სხვაა პოლიტიკური ბრძოლა. განა დღეს ჩვენი თვალებით არ დავინახეთ, რომ პოლიტიკურმა ბრძოლამ არ იცის არც წოდებრივი, არც სისხლით ნათესაური კავშირი, მან იცის მხოლოდ ერთი კავშირი— **ინტერესებისა** და **იდეური კავშირი**. დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ ეს პრინციპი სხვა და სხვა ბანაკში აყენებს მამასა და შვილს, ერთმანეთს გულიდან ჰგლეჯს ღვიძლ ძმებს. კლასობრივი ბრძოლის ეულგალური გაგებით რომ ვიხელმძღვანელოთ, რუსეთის მუშათა კლასს არ ეყოლებოდა არც ყოფილი ტამბოელი აზნაური პლეხანოვი, რომელიც სამართლიანათ ითვლება რუსეთის ს.-დ. მუშათა პარტიის მამამთავრათ და არც მარქსი და ენგელსი, რომლებიც თავის სოციალური მდგომარეობით სულაც არ ეკუთვნოდენ მუშათა კლასს.

ეტყობა, ეგნატეს სწორედ ამ გარემოებისთვის უნდოდა ხაზი გაესვა, როცა გლეხების განთავისუფლებისათვის თავდადებული აზნაურ **სიმონის** ტიპს ხატავდა.

XXVIII.

ერთხელ კიდევ დაეუბრუნდეთ ეგნატეს **გიორგის**, ერთხელ კიდევ გავითვალისწინოთ მისი პოლიტიკური credo.

გიორგი ტიპიური რევოლიუციონერია. მას ჩინებულათაც აქვს წარმოდგენილი, თუ რა საშინელებაა რევოლიუცია. მან კარგათ იცის, თუ რა მკაცრი და სისხლის მოყვარეა იგი, მაგრამ ის მაინც ადგება რევოლიუციის გზას, რადგანაც კარგათ იცის, რომ ხალხის მონობიდან განსათავისუფლებლად სხვა საშუალება არ არის.

— თუ კანონი და დაწესებულება მოსაწონი და საკეთილო არ არის, გლეხ-კაცებს შეუძლიათ იმისი უარყოფა და შეცვლა... მძლავრი და საშიშია, როცა ამოდენა ხალხი ხმას ამოიღებს, ხელს გაანძრევს. **ვაი მათ, ვისაც იმათთვის უსამართლობა რამ უყვიათ! მოკითხვენ ძველს და ახალს ცოდვებს, მწარეთ მოანანებენ ყველა დანაშაულს.** (III. 145).

ეგნატეს **გიორგიმ** ეს იცის და მაინც არ უფრთხის ამ გზას. აქ ის გაცილებით შორს მიდის თებერვლის რევოლიუციის ბელადებზე, რომლებიც დაფრთხენ რევოლიუციის დანახვაზე და ლამაზი სიტყვებით, მოფერებით და დაყვავებით აპირებდენ მის დამშვიდებას.

ეგნატეს გიორგი ასე არ იქცევა. ის აჯანყებულების დაწყნარებასა და დამშვიდებას კი არ ცდილობს, ის, პირ-იქით, იმის ცდაშია,

რომ მათ რაც შეიძლება მეტი ძალა მოუპოვოს, მეტი ენერგია გაღვიძოს. აქ გიორგი დიპლომატობასაც იჩენს. მან კარგად იცის, რომ ცუდათ შეიარაღებული, ომს დაუჩვეველი გლეხები ვერ შესძლებენ მტერზე გამარჯვებას, მაგრამ გიორგი წინდახედული ია; ის ცდილობს ამ უსწორო ბრძოლაში ისე წაიყვანოს საქმე, რომ რუსები კი არ გადამტეროს ხალხს, პირიქით, ის ყოველის ღონით ცდილობს საქმე ისე მოაწყოს, რომ ისინი კიდეც დაიბრაზოს აჯანყებულებს. „გიორგის მეცადინეობა იმაში მდგომარეობდა, რომ შეეცვალა ჯანყის მიმართულება, ესე იგი, აჯანყებულ გლეხებს რუსების განდევნაზე უარი ეთქვათ და მხოლოდ ბატონ-ყმობაზე და გადასახადის შემცირებაზე ემეცადინათ. რუსები—ამბობდა გიორგი,—როცა გაიგებენ, რომ ჩვენი აჯანყება მარტო ამ მიზნით არის და არა ჩვენი ქვეყნიდან იმათ განსადევნათ, ადრე შემოგვირიგდებიან, გაანთავისუფლებენ გლეხებს... და შეუმსუბუქებენ გადასახადსაც". (III. 201).

სწორეთ აქეთ არის მიმართული გიორგის მეცადინეობა.

მთელი მისი პოლიტიკური მრწამსი შემდეგ სტროფონებშია გამოთქმული:

„... ყოველ ღონისძიებას ვიხმარ, რომ ჯანყის მიზანი შესცვალონ, ესე იგი ჩვენმა ხალხმა რუსებს კი არ გაუწიროს წინააღმდეგობა, არამედ მონობას, ანუ ბატონ-ყმობას. დიაღ, გლეხ-კაცობის განთავისუფლება, მისი მდგომარეობის გუმჯობესება უნდა ქონდეს მიზნათ აჯანყებას და არა რუსების განდევნა. მართალია, გაუნათლებელი, გლეხკაცის შრომით ცხოვრებას დაჩვეული თავად-აზნაურობა, დიდ წინააღმდეგობას გაუწევს ამ აზრს! იმათი ლტოლვილება ის არის, რომ ჩვენი ქვეყნიდან განდევნონ რუსები და შემდეგ წინანდებურად **გაამთავრონ რომელიმე არამზადა, ხალხის შრომით გახუჭებული თავადი, რომელიც თავის დღეში მონობის ქვეშ დაიჭერს გლეხ-კაცობას, რომ ამით ჰპოიგოს თავისი ბოძის, თავად-აზნაურობის გული.** დიახ, ეს არის ჩვენი... თავად აზნაურობის ლტოლვილება, მაგრამ ამას ადვილად მოეპრება კბილი: საჭიროა მხოლოდ ხალხს ჩააგონოს კაცმა ჩვენი თავად-აზნაურობის ამგვარ მოქმედებას და გაგლეჯენ დიდის ხნიდან გაჭედილს, გლეხ-კაცობის ყელზე მოხვეულ ჯაჭვს". (III. 113—114).

ასეთია ეგნატე ნინოშვილის პოლიტიკური და სოციალური მრწამსი.

1888 წელს, ესე-იგი, „მესამე დასის" პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლის ექვსი წლით ადრე, გამოვიდა ეგნატე ასეთი პოლიტიკური პროგრამით, რომელიც შემდეგ საფუძვლად მიიღო „მესამე დასმა". ეგნატეს საყვარელი გმირი გიორგის ზემოთ მოყვანილი აზრები შეადგენდენ „მესამე დასის" მოღვაწეობის მთელს შინაარსს, ეს იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი სოციალ-დემოკრატების ბრძოლის საგანი, მათი პოლიტიკური მრწამსი. და ეგნატეს ეს პროგრამა ნამდვილი მარქსისტულია. მაგრამ აქ პირდაპირ საკვირველია ის გარემოება, რომ ეგნატე, რომელიც ასე ადრე, ასე მარტოთ-მარტო გამოვიდა პოლიტიკურ ასპარეზზე, გაცილებით შორს მიდის „მესამე დასელებზე". მკითხველს ნუ გაუკვირდება თუ ვიტყვით, რომ „სამწუხარო შედეგში" გამოთქმული ეგნატეს აზრები სულ ერთიანად შეიცავს ჩვენი კარგათ ნაცნობი ციმერვალდის პროგრამას, ის უახლოვდება ციმერვალდელების მემარცხენე ფრთას. ჩვენ სრულიად სერიოზულად ვამტკიცებთ, რომ ეგნატე ნინოშვილი სწორედ 1888 წელს, ესე იგი 27 წლით ციმერვალდზე ადრე გამოვიდა მწერლობაში იმ აზრების მქადაგებლად, რომელიც თავის მანიფესტში გამოთქვა ციმერვალდის ყრილობამ.

ეს მხედველობით ცხადია, იმედვით აშკარაა, რომ ეგნატე ნინოშვილს რომ თავისი რომანი ციმერვალდის ყრილობის შემდეგ დაეწერა, ჩვენ სრული უფლება გვექნებოდა გვეთქვა: ეგნატემ თავისი რომანი ციმერვალდის მანიფესტის გავლენის ქვეშ დასწერა და მისი გიორგი კარლ ლიბკნეხტის ასლიაო.

რაში მდგომარეობდა ციმერვალდის მანიფესტის მთელი შინაარსი? ეს იმაში მდგომარეობდა, რომ იმპერიალისტური მსოფლიო ომი სამოქალაქო ომათ გადაექციათ, რომ ომი გამოეცხადებიათ თვით იმპერიალისტური ომისთვის, რომ თოფ-იარაღში ჩამჯდარს ბურჟუაზიის მიერ მისი მტაცებლური იდეალების განსახორციელებლათ, სხვისი ქვეყნების დასაპყრობათ, სხვა ერების დასამონებლათ, ბრძოლის ველზე გამოყვანილ ხალხს ეს თოფ-იარაღი **თავისი** ბურჟუაზიის, თავისი კლასობრივი მტერის წინააღმდეგ მოეხმარა და არა მისიე მოძმე. იმავე ბურჟუაზიის მიერ მასავით მოტყუებული და ტყავ-გამძვრალი სხვა სახელმწიფოების პროლეტარიატის წინააღმდეგ.

რაში მდგომარეობდა უფრო კონკრეტულათ, ერთი ფრაზით რომ გამოვთქვათ, ციმერვალდის პრინციპი? რას ეუბნებოდა იგი ბრძოლის ველზე გამოსულ, იარაღში ჩამჯდარ პროლეტარიატს?

— დაბრუნდი სახლში. შენ მტერი აქ, ბრძოლის ველზე, კი არა გყავს, შენი უდიდესი მტერი თავის საკუთარ სახელმწიფოში გყავსო. (главный враг в собственной стране!).

* * *

ასეთი იყო ეგნატე ნინოშვილის პოლიტიკური და სოციალური მრწამსი.

ამ შემთხვევაში ჩვენ პირდაპირ განსაცვიფრებელ მოვლენასთან გვაქვს საქმე. ეგნატე ნინოშვილი, რომელსაც ჩვენში ამ მხრით არა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ წინამორბედი არ ჰყოლია, რომელსაც არა თუ არ შეეძლო ვისიმე მიბაძვა, ისეთიც კი არავინ ჰყავდა, რომ თავისი აზრები გაეზიარებია. რჩევა ეკითხა, 1888 წელს, „მესამე დასის“ გაჩენამდე ექვსი წლით ადრე, არა თუ თავში ატარებს წმინდა მარქსისტულ აზრებს, ამ აზრებს იმდენად დაურევია ხელი მისთვის, იმდენად გაუტაცია მთელი მისი არსება, რომ ისინი თავის-თავად ყალიბდებიან პოეტურ ფორმებში და შესანიშნავი მებრძოლი მარქსისტი გიორგის სახით გამოდის ჩვენს წინაშე.

სად უნდა ვეძებოთ ამ გასაოცარი მოვლენის საფუძველი?

ძნელია, საერთოდ, იმისი გამოკვლევა, თუ სად, როგორ, რა ადგილზე, რა პირობებში, რა აზრი დაებადა მწერალს, მაგრამ ამ შემთხვევაში ერთი რამ კი ეჭვს გარეშეა: იმ ექვს თვეს, რომელიც ეგნატე ნინოშვილმა საფრანგეთში გაატარა, არც ისე უქმად ჩაუვლია მისთვის, როგორც ეს ეგნატეს ამხანაგების დიდ უმეტესობას ჰგონია და ეგნატეს ბიოგრაფი იძულებული იქნება რაც შეიძლება მეტის ყურადღებით გამოიკვლიოს და შეისწავლოს სწორეთ ეს ექვსი თვე პოეტის სიცოცხლისა. უამისოთ ეგნატეს ბიოგრაფია არ შეიძლება ჩაითვალოს ასე თუ ისე სრულად, ასე თუ ისე დამაკმაყოფილებლათ. ეგნატე ისეთი მწერალია, რომლის ხან-მოკლე სიცოცხლის ყოველი საათი, ყოველი წუთი უდიდეს ინტერესს წარმოადგენს ჩვენი სოციალისტური აზროვნების ისტორიაში. ამიტომ, ვისაც ამ ისტორიის შესწავლა სურს, მან უეჭველად უნდა შეისწავლოს ეგნატეს საზოგადოებრივი და სამწერლო მოღვაწეობა, მისი ხან-მოკლე სიცოცხლის ყოველი წუთი, მისი გონებრივი განვითარების ყველა ეტაპები...

სანამ ჩვენ ასე არ შეგვისწავლია **ეგნატე ნინოშვილი**, სანამ არ გამოგვეჩინდაკებია მისი უცდავი სახე, როგორც საქართველოში **პირველი** მარქსისტისა, როგორც ახალი საქართველოს პირველი მოციქულისა, მანამ ჩვენი ლიტერატურული ძიებანაგების დიდი უმრავლესობა ვერ გაიგებს, ვერ მიხვდება, თუ რატომ დაედგა ძეგლი საქართველოს დედა ქალაქის საუკეთესო ადგილზე **ეგნატე ნინოშვილს**.

„მესამე დასის“ ისტორია ჯერ არ დაიწერება. ჯერ კიდევ არ დამთავრებულა რევოლიუცია და უამისოთ კი ძნელია სრული ობიექტიურობით, ისტორიულის მიუკერძოებლობით ისტორიის დაწერა. მაგრამ ეგნატეს საზოგადოებრივი და პოლიტიკური ღვაწლის ობიექტიურათ გამოხატვა კი, ჩვენის აზრით, შესაძლებელია და ეს **არა მარტო** იმიტომ, რომ ის ჩვენში პირველი მარქსისტი იყო, არა მარტო იმისთვის, რომ ის პირველი გრიგალა იყო, რომელიც მედგრათ ნავარდობდა ცხოვრების ბრძოლის ტალღებში, რომელიც მედგრათ უყივოდა მომავალ რევოლიუციას: კიდევ **უფრო იმიტომ**, რომ ის მაშინ გარდაიცვალა, როცა ჩვენში არ არსებობდა არც **ელლინი**,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც **ებრაელი**, როცა ყველანი მარქსისტები ვიყავით, როცა ყველას ერთნაირათ გვახარებდა და გვაფრთოვანებდა, როგორც ჟორდანიას ისე ფილიპე მახარაძის ლიტერატურული გამოსვლები.

და ეს გარემოება კი ისეთ ატმოსფერას ქმნის **ნინოშვილის** სახელის ირგვლივ, რომელშიაც შესაძლებელია მისი ლიტერატურული და რევოლიუციონური მოღვაწეობის გამოკვლევა და შესწავლა...

არ ვიცი საჭიროა თუ არა ბოდიშის მოხდა **„რევოლიუციის მატიანეს“** მკითხველების წინაშე იმაში, რომ მე ვერ გაბედვიხინე საკმაო ობიექტიურობა და „ისტორიული მასალების“ ნაცვლად ლიტერატურული კრიტიკის სფეროში შევეხეთ.

მაგრამ ჩემთვის, ძველი მესამე დასელისათვის, პირდაპირ შეუძლებელია ეგნატეზე ისე ობიექტიურათ ფიქრი და წერა, როგორც ეს **მემატიანეს** შეეფერება.

ესეც არ იყოს, გამოვტყდები და ვიტყვი, რომ ამ შემთხვევაში არც ვცდილობ ასეთი **მემატიანეს** მოვალეობის ჩარჩოებში დავრჩენილიყავი. ჩემი მიზანი იყო ახლავე, დღესვე, დაუყოვნებლათ, დაახლოვებით მაინც დამეხასიათებია **ეგნატე ნინოშვილის** პოლიტიკური პრწყალი, დღესვე გამეცნო იგი მკითხველებისათვის.

(დასასრული იქნება)

დამატება № 1.

ეგნატე ნინოშვილის პირველი მოთხრობა

სააბალღო კუთ-ღვინო

(ამბავი გლეხის ცხოვრებიდან)

გოგია უიშვილისას რომ მიჩრძანებულიყავით, მკითხველო, აი რა გვარ მოსახლეობას ნახავდით: ერთ დაბლობ-ჭაობიან მიდამოში იდგა ისლით დახურული ძველი სახლი, რომელიც ისე პატარა იყო, რომ ზორბა ტანის ადამიანი კარგა ვერც ქე მოთავსდებოდა შიგ. ამ სახლს უკან ჭონდა მოდგმული თხმელას წკნელისაგან დაღობილი, ღომის ჩალით დახურვილი ფაცხა; აეთხე ცოტა მოშორებით იდგა მრუდე ბოძებზედ აშენებული სასიმინდე, როგორც იმ სოფელში ეძახიან, „ნალია“. ეზო, რომელშიაც იდგნენ ეს უბადრუკნი შენობები, იყო შეუღობავი. საჭონელი თავისუფლათ დადიოდა შიგ, რომლის გამოც სახლის გარეშემო მუდამ იდგა წუმპე—ტალახი. ერთი-ორი ელების სიმაღლეზე სახლის კედლები ისე იყო დაჩითმათებული, რომ საქონლის ფეხთა მიერ შენაშხეპები ტალახით, რომ გეგონებოდათ ვისმეს განზრახ უმუშავებია ზედო. სახლის გარეგან შე-

ხედულობას ებადღებოდა იმისი შინაგანი მოწყობილებაც: სახლის მარჯვენა კუთხეში, კედლთან ცწყვნენ ორი კონა ღომის ჩალა, ერთი ძველი, დაძონძილ სამანი, ერთი გაჯუჯყიანებული ჭილობი, ერთი ძველი ბალიში—ესენი შეადგენდნენ გოგიასი და მისი ცოლ-შვილის ლოგინს: კერას პირდაპირ გამჭვარტლიანებული ბაწრით, საკიდელი—ჯაჭვის მაგივრად, ეკიდა ხის კავი. სახლის დანარჩენ კუთხეებში ერთმანეთში არეულიყვნენ: თუჯის კარდალი, ორი პირ-მოტეხილი კოკა, თიხის ქოთნები, ათიოდ ხის ჯამი, ფილი, კალათა, გოდორი, პირბლავენი ცული და წალდი,—აი ამითი თავდებოდა გოგიას სახლის აეჯ-სამკაული. ზოლები, რომლებიც დაჰყვებოდნენ გაჭვარტლიანებულ კედლებს და ღობის თავ-თავებივით სახლის სახურავ ქვეშ გამოკიდულნი მჭვარტლები ამტკიცებდნენ, რომ გოგიას სახლის სახურავი ისე დაძველებულიყო, რომ წვიმის ნამებს ველარ იჭერდა.

ზემო აღწერილი სახლ-კარის პატრონი, გოგია უიშვილი, ერთი ნაღლიანი, მუდამ მოღუშულ—წარბ-გაუხსნელი ადამიანი იყო; ის მუდამ საჩივარს და ოკმაყოფილებას აცხადებდა თავის თავზედ:

— რა სიცოცხლეა ჩემი სიცოცხლე!—იტყოდა ხშირად გოგია—ერთი წელში ვერ გავმართულვარ, ცოლ-შვილი ვერ დამიმოსავს და გამიძღია!. სიკვდილი ათასჯერ ჯობია ამ სიცოცხლეს!..

— ნუ სკოდავ ღმერთს, ნუ! დღეი და ღამე ოფლს ღვრი და მაინც მუდამ მშიერი და მწყურვალი ვართ! ერთი რომ ღმერთმა იწყინოს შენი უგუნური საყვედური და რაზე დაგემართოს, მაშინ რაღა ეშველება იმ ცოდვის შვილებს!—ეტყოდა გოგიას მისი მეუღლე, მარინე და მიუშვერდა ხელს თავის შვილებისკენ, რომლებშიაც უფროსი იყო ცხრა წლის ქალი.

ამას მოჰყვებოდა გოგიასა და მისი მეუღლის შორის უსიამოვნო ბაასი, მაგალითად შემდეგის მზგავსი:

— შენ არ იცი, დედა-კაცო, მუშა-კაცის სატანჯველი!.. არც გზის სამუშაოზე მიჰყავხარ ვინმეს და არც მამასახლისთან! მუშა კაცს, ვინ მოთვლის, სად არ ათრევენ!..

— რეიზა არ ვიცი, ნეტაი! რომ არ მივჰყავარ და შინ ვარ იმიზა მე არ მადგია, გგონია ჯაფა! ხან წისქვილზე დავრბივარ, ხან ძროხიზა და არ ვიცი!.. იმისთანა ყინვაში, იმისთანა კოხში და სიცივეში კი ვთრგუნვარ რომ... არ გახსოვს, შენ რომ გზის სამუშაოზე გაგაწვიეს, მე წისქვილზე წევედი ფქვილის მოსატანათ.. უფ, რა თოვლ-ჭყაპი იყო, იმისთანა დამისისხლიანა ტიტველი ფეხები, რომ ხიდეზე გადავარდი და მეზობლის ქალებმა ძლივა გადამარჩინეს! მარა კაცებს სულ ისე გონიან, ქალები ტყუილა არიან, აფერს აკეთებენო!

— ჭალო, რომ გააბამ ტი-ტი-ტის და აღარ მეიხედავ, მეც ამას ვტირი. მეც წვალებაში ვარ და ჩემი ცოლ-შვილიც მეთჭი!

— რომ ვართ, მერე რა ვქნათ! ვითომ სულ რომ ვიტიროთ, ამით რა გაგვიკეთდება! მამა ჩვენებიც ჩვენსავით ღატაკები იყვენ, მარა თავი არ დაუკვლან.

— დედა-კაცო ვერ მიხდები მეთჭი გიჩივი! უწინ სხვა დრო იყო, ბატონ-ყმობა და იმიზა იყვენ ასე, ახლა რაღა ჯოჯოხეთია, რომ წინ ვერ წევიწიეთ!

— უწინ თუ ბატონობა იყო, მაგიორში ახლა მამასახლისობაა, ნადელობაა.

— უი, შენ დაგწყეველოს ღმერთმა! ახლა შენ რომ ენაში გაგყვე ქვეყანას შემომარბენინებ და შენ მაინც არ მეიღალვი.

შესწყრებოდა გოგია თავის მეუღლეს, უკანასკნელ, შეაქცევდა ზურგს, ერთს კიდევ მძლავრად ამოიხვნეშავდა და მოუხშირებდა თუთუნის წევას (ჩიბუხი გოგიას, მუშაობაში იქნებოდა თუ სიარულში, მაინც მუდამ ჰქონდა კბილებში გამოჩრილი).

გოგიას ჩვილი და დრტვინვა, რომ სთქვას კაცმა, არ იყო უმიზეზო: ამ ბოგანა გლეხს მართლაც რომ ხვირი არ ეყრებოდა წუთი და მუხანათი სოფლისაგან. როგორც ჩვენში იტყვიან, ის (გოგია) ისეთ უბედურ ვარსკვლავზე დაბადებულიყო, რომ ყოველივეში მისი საქმე ცუდათ მიდიოდა. როგორც თვითონ ჩიოდა, გოგია დღითი და ღამით, შრომობდა, ოფლს ღვრიდა, მაგრამ ისა და მისი ჯალაბი მუდამ ჩაძონძილი დადიოდნენ, ზაფხულობით ხშირად საზრდოს უჭონლობა აწვალებდა. მარტო ერთი ნუგეშიანი ფიქრი რა არის, ისიც კი დიდხანს არ შერჩებოდა გოგიას!.. ერთხელ ერთი უღელი მოზვრები (ხარები), რომლების შემწეობით ის მოელოდა „დასახლებას". აწი ნუღარ გეშინიან,—აიმედებდა ამ დროს გოგია ცოლ-შვილს,—აგერ ჩემი ლომა და ტიგუცა (ხარების სახელია) ძმებივით ამომიდგებიან მხარში თავის რჩენა აღარ „გაგვიჭირდება"-ო. მაგრამ ვერ მოასწრო გოგიამ თავისი „მოზვრების" კარგა უღელში გაჩვეება, რომ ლომა მგელმა შეუჭამა და ტიგუცა კი „ნადელის ფულში" გაუყიდეს! დიდხანს არ დაუვიწყია გოგიას თავისი ძმა—ხარები.—ღმერთო, შენ დააჭციე იმ მგლის და იმ ნადელის გაჩენა! იმას რომ არ დავეღუპე და არ გამოვთხარა თვალები, აწი ჩემს ბედს ძაღლი აღარ დაჰყეფდა,—თვალებზე ცრემლ-მოდენით ხშირ ხშირად ამბობდა გოგია შემდეგ. ხარების მზგავსად ჩაეღუპა გოგიას ხბოიანი ძროხა, რომელიც მარინეს (გოგიას მეუღლეს) მამამ აჩუქა, და ფიცრები, რომლებიც გოგიამ დათალა ერთ ზამთარში და რომლებისგან აპირებდა ის აეშენებინა ერთი პეღელი და ერთი „სასტუმრო" (სახლი),—ძროხა კლდეზე გადავარდა, ძელები კი ვალებში გაჰყიდა.

თავიანთ სიღატაკეში გოგია და მარინე ბრალს სდებდენ იმ მიდამოს, რომელშიაც სახლობდნენ.—„ყველა მარჩიელი (მკითხავი) იმას გვეუბნება, რომ იქ ეზო უნდა დატიოთ, თვარა ხეირი არ დაგემართებიანო, რეზა არ ვიჯერებთ?—ჩაუჩემებოდა მარინე ხშირად თავის მეუღლეს—გადვიაროთ ამ ეზოდან და ნახავ რავაც კარგათ წევიდეს ჩვენი საქმე! საეტლოც ხომ გიჩივა—ჯერ სიღარიბე და ბოლოს ტკბილი ცხოვრებაო. ამ სიტყვებზედ გოგიაც ეთანხმებოდა თავის მეუღლეს და ზრუნავდა სხვა ადგილზედ გადაეტანა თავისი მოსახლობა, მაგრამ სისრულეში კი ვერ მოჰყავდა ეს განზრახვა. ერთხელ ეგონა ეს არის მოვათავ-კუდე საქმეო, მეზობლებიც სულ მოჰპატიჟა მოსახმარებლად, იამთი ჰურ-ღვინოც დაამზადა, მაგრამ იმ დღის წინედ, როცა გოგიას თავისი სახლი უნდა გადაეტანა, სოფელში ჩამოირბინა ნაცვალმა (გზირია) და მთელი სოფელი, თან გოგიაც, გზის სამუშეკარზე გარეკა. მთელი მესამედი თვე ამ სამუშეკარს მოუნდა გოგია; რა იქიდან დაბრუნდა, ცივება დაუწყო. აქვეგვარად განზრახვა ჩაიფუშა,—იმისი უბადრუკი ქოხი ისევ ადრინდელ ეზოში დარჩა.

რადგანაც გოგიას საქმე ყოველივეში ასე უკუღმა მიდიოდა, გასაკვირალიც არ არის, რომ გოგიას ყოველივე შემთხვევა აშინებდა, ყოველივე საქმე ემძიმებოდა. ვინ მოსთვლის, რავდენჯერ გაატეხლებ-გააცივებდა გოგიას ნაცვლის დანახვა. ეს კაცი (ნაცვალი) მას იმდენზედ სძულდა, რომ ყოველივე გადასახადის გამოგონებას მას აწერდა.—„იმ ენა ჩასავარდნს რეზა არ ვეცოდვები სულ იმას რომ ჩამომძახის ფული, ფული, გადასახადიო“! იტყოდა ხშირად გოგია.

ერთ მძიმე ვალთაგანათ, ანუ გადასახადათ კიდევ მიაჩნდათ გოგიას და მის მეუღლეს საახალწლო (პირველი იანვრის) ჰურ-ღვინო. მთელი ის სოფელი, რომელშიაც გოგია ცხოვრობდა, დიდის მომზადებით და ჰურ-ღვინით ეგებებოდა ამ დღესასწაულს.—იმათი ჭკუით ვისაც ახალ-წელ დღეს კარგი—დაქებული ჰურ-ღვინო არ ექნებოდა, ის მთელ იმ წელს ნაკლულებით გაატარებდა. იმასაც ამბობდნენ, რომ ახალი წელი თუ ვისმეს გაუჯავრდა სნებას შეჰყრის და მთელ ოჯახს ამოსწყვეტავსო. გოგია სამი-ოთხი თვით წინ და წინ შეუდგებოდა საახალწლო ჰურ ღვინოზე ზრუნვას:—„ი დასაქცევი, მგონია, ავდრებს აპირობს და მე კი ჯერ საახალწლოზე ხელ ცარიელი ვარ! ერთი ხუთი ჭვირთი სიმინდის გაყიდვას მაინც მოვასწრობდე, ჰურის ფასი ხომ ერთი გროში არ მაბადია! დაიწყებდა ის ლაპარაკს თვით შემოდგომის დასაწყისში და ასე ამ გვარის ჭინჭილით გაატარებდა მთელ მესამედ წელს. ნეტავ მაინც და ბევრი რამ სდომოდეს გოგიას საახალწლოდ! ერთი ფუთი ფქვილი „ყირიმელი“ ჰური სახაჭაპურედ, ერთი-ორი საწყაო ღვინო, ქათმები და ღორი ხომ ყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველთვის თავის სახლში მოეპოვებოდა,—ეს არის სულ იმისი საახალწლო; როცა აქ დასახელებს თავს მოუყრიდა მზათ იყო. ცოტათი ნივთებრივათ შეძლებული კაცისთვის აბა ეგ რა გასაჭირია? საღმეზე დაბარჯავს იმდენ ფულს, რამდენიც გოგაის საახალწლოდ მოუნდებოდა. მაგრამ ბოვანა და ჯან-გულ გატეხილ გოგაის, როგორც ვსთქვით, მთელი მესამედი წლის განმავლობაში აჭინჭილებდა ეს „საახალწლო პურ-ღვინო". ხშირათ მოხთებოდა, რომ თვით ახალი წლის წინა დღეს დარბოდა გოგია ხსენებული „პურ-ღვინისთვის". ეს კი რომ პირზე ტყავს აიხდიდნენ, როგორც ჩვენში იტყვიან, და რაც ახალ წელს დებულებად ჰქონდათ, გოგია და მისი მეუღლე იმაზე არ მოიკლებდნენ.

II.

ახალი წლის გათენებას ერთი დღე ღა უკლდა. ზამთრის მზე ის იყო ნელ-ნელა მოჩოჩავდა აღმოსავლეთიდან, აძრენდა მორცხვად დატივტივებული ხეების ტოტებში სხივებს და უპირებდა გათბობას ყინვისაგან მოცულ. არე-მარეს. გოგია უთშვილი არა ჩვეულებრივად მხიარულად მასლაათობდა და ხუმრობდა თავის ცოლ-შვილთან. იმისი გამხიარულების მიზეზი ის იყო, რომ ამ წელს „საახალწლო პურ-ღვინო"-ს მომზადება ძლიერ ადვილად მოახერხა მარინე (გოგაის მეუღლე), რომელსაც იშვიათად ენახა თავისი ქმარი ასეთ მხიარულ გუნებაზედ, აღტაცებაში იყო მოსული და სიყვარულის თვალებით შესცქეროდა გოგაის. ბავშვები, გოგაის შვილები, მერცხალივით ჰიკჰიკებდნენ და ცელქობდნენ; ამ ოჯახასკნელების სიხარულს ბეერგვარი მიზეზი ჰქონდა: პირველი ისა, რომ თავიანთ მშობლებს მხიარულ მდგომარეობაში ხედავდნენ; მეორე ისა, რომ ახალი წელი—„კალანდა" თენდებოდა. ოჰ, ვერ წარმოიდგენ, მკითხველო, იმ უსაზომო, ფანტატკურ სიხარულს, რომელსაც გრძნობს სოფლელი ბავშვი შობას, ახალი წლის და ქრისტე აღდგომის დღეების მოახლოების დროს! მესამე მიზეზი გოგაის ბავშვების მხიარულებისა კიდევ ის იყო, რომ ამათთვინ მამას ახალ-ახალი პერანგები ეყიდნა. რა თქმა უნდა, რომ იმ ბავშვს ძონძებს გარდა ტან-საცმელი იშვიათად ღირსებია, ახალი მიტკლის პერანგის ჩაცმა აღტაცებაში მოიყვანს. გოგაის ბავშვები, როგორც ვსთქვით, შედამ ძონძებში, ბაწრით წელზე შერტყმული ატარებდნენ. მხოლოდ ის იყო იმ საახალწლოდ გოგამ სიმინდი გაჰყიდა, „პურ-ღვინო"-ც გაამზადა და თვითო პერანგი თავის ბავშვებსაც გამოურჩინა.

— აბა, მარინე, გადავრჩეთ ბარემ ერთი იი ქათმების და ღორის დაკვლას, უთხრა ცოლს გოგიამ, რა დაინახა ეზოში მზემ შემოანათაო.

— რა, იქნა, კაცო, რა გაჩქარებს! გვაქვს თუ არ გვაქ ყოველთვის სულ წასულობა როის უნდა. აცალე, ეზოში მოთბება. ერთი

რომ მოისვენო, ღმერთს როის ეწყინება! აგერ ხაჭაპური გიცხობა იი შეჭამე, ღვინო დაატანე და მერეც კი მეესწრობი საქმეს. ტკბილად უპასუხა ქმარს მარინემ და შეაბრუნა ცეცხლის პირას კეცზედ აყუდებული ხაჭაპური.

გოგიამ დაუჯერა რჩევა თავის მეუღლეს. ეხლა ის მიუბრუნდა ძარს, შეხედა შით დამწუვდეულთ გასუქებულ ქათმებს და სიამოვნებით სთქვა:

— ძაან კი გაუწითლებია და გადმოუბრუნებია დუდი იმ ჯაჭვედა დედალს! ძაან სუქანი უნდა იყოს, იი ყველრულიც ძაან გამსკდარა, ეტყობა! საწყლები, სულ ცირი საათის სიცოცხლე აღარ აქვან! ძაან ცოდვა კი უნდა იყოს, მარინე, ამდენ სულ-დგმულს რომ ვსწყვეტთ ადამიანები!

— ცოდვა? რა ვიცი, ღმერთს ესე გუუჩენია და ჩვენი რა ბრალია! უპასუხა მარინემ.

— სხვაფერ რომ გეეჩინა იმ დალოცვილს, უკეთესი იქნებოდა. აბა იფიქრე, წამოვაქცია უნდა იმისახო ღორი და დავკლა! მერე არ იტყვი რავა უჭირს სიცოცხლის გაყრა? ცას ხვრეტს იმის ჭყვირილი! ჩაფიქრებით სთქვა გოგიამ და შემდეგ შესცქერა ლაპარაკის საგნი: ძაან მარჯვეთ ვიყავთ, მარინე, წროულს! ასე უკლებად და ადვილად სხომის ვერ ვახერხებდით საახალწლოს. აი წმინდაო ბასილე, თუ გაამართლო საეტლო რომ მიჩივა—ბოლო ჟამს კაი ცხოვრებაო და აწი წაღმა წევიდეს ჩემი საქმე!

— ღვთის მადლით, ღვთის მადლით! ან რა გასაკვირალი იქნება? ჯაფას შენ არ აკლებ და ოფლს! მიატანა იმედიანათ მარინემ.

ამ დროს გარეთ გოგიას ერთგულმა ძაღლმა, წავიამ (სახელი ძაღლისა), გააბა თავისებური გაცხარებული ყეფა, რომელიც საჩქაროდ შესცვალა კივილზე და ეს უკანასკნელი—ისეთგვარ ჩახრინწიანებულ ბრიალზე, რომელიც აუცილებლად სჭირს სიკვდილის დროს ყოველ ძაღათ მოკლულ სულდგმულს.

— კაცო, ვინცხამ ძაღლი მოგვიკლა! წამოიძახა გაკვირვებით მარინემ.

„გოგიავ, გოგიავ"! მოისმა ამ დროს თანისთან მოყოლებული ძახილი.

— უი, ნაცვლის ხმაია! სთქვა ისევ მარინემ და გაფითრდა, რადგანაც კარგად იცოდა, რომ ნაცვალი (გზირი) ისე არ მოვიდოდა მისას, თუ არ რაიმე ვალის, „გადასახადის მოსათხოვნათ.

— ახლა ნაცვალს რა ხელი აქ კალანდა აგერ გათენებულია! სთქვა მარინეზე არა ნაკლებ გაფითრებულმა გოგიამ და წელ მოწყვეტილი მიდგა კარებზე, საიდანაც დაინახა, რომ მის სახლს უახლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვდებოდნენ ჩქარის ნაბიჯით ნაცვალი და ოთხი ყაზახ რუსი. ჭისკართან კი გაშოთვილი იყო წვავი, შიმავდა სასიკვდილოთ ფეხებს და ხრიალებდა. ის (ძაღლი) მოჰკლა ერთმა რუსმა ხიშტით.

(დასასრული იქნება) *)

დამატება № 2.

ეგნატე ნინოშვილის ჯერ დაუბეჭდავი პუბლიცისტური წერილი

საგაასო.

— ეშველა, მოჰკლეს! —მოდის გურიიდან თანისთან ამბავი. ვინ მოჰკლეს? აი ღლონტი, მუხუზლაი, დაოუნაიშვილი, გოგიტიძე, დარჩია და, რა ვიცი, რავდენი კიდევ სხვაი.—მერე ვინ არის ეს ღლონტი, მეხუზლაი, დარჩია, თათრები, „ბურსუმანები", თუ ჩვენივე მოძმენი?—ყაჩაღები გახლავთ. ჰო, ყაჩაღი,—ღმერთმა სიკეთე უყოს იმ ჩვენს მფარველებას, რომლებიც ასე გვიფრთხილდებიან და გვცავენ ჩვენ, მოხუც-მცირე წლოვნებს, ყაჩაღებისაგან! თუ არ ეს კეთილის მეოფელნი, სულ გაგვანადგურებდნენ ის ვიღაც თავზე ხელ-აღებული ყაჩაღებია, თუ ფირალები! მაგრამ გულ-შემატკივარი ადამიანი ქვეყანას არ გამოელევა; ეებრალებით და ჩვენი სიბრალულის გულისთვის სჯიან ადამიანის სისხლში ხელებს—ხოცავენ ყაჩაღებს. კეთილი ეწიოთ! ჩვენ რომ დავივიწყოთ ამოდენა ამაგი, ისტორია არ დაიდუმებს.

მაგრამ... მართალია, ასეთ ნათელ საქმესთან „მაგრამი" ძნელი გასაბედავია, (მაგრამ კიდევ ის წყეული „მაგრამი") ადამიანი ცოდვილნი ვართ, რაც გინდა ნათელი საქმე იყოს, ბევრი ჩვენგანი მაინც იპვის თვალით უყურებს და, უნდა მოგახსენოთ, ხანდახან არც მე ვარ თავისუფალი ამ ცოდვილი იპვისაგან. აი თუნდა ეხლაც: კაცს თავზე ხელი აუღია, გავარდნილა ყაჩაღად და დღეს-ხვალობით მოკვლა გაძარცვას გვიქადის; იმათი სიშით ერთი ტყბილად ვერ დაუძინია ადამიანს; თუ კი ვინმე პატრონი გამოგვეჩნდება და საიქიოს გაისტუმრებს იმ სისხლის მსმელ ფირალებს, ჩვენ, რა თქმა უნდა, მუხლმოდრეკით თაყვანი უნდა ვსცეთ ასეთ პატრონებს; ამას რაღა ლარი და ხახი ეჭივრება! მაგრამ ყოველივე იმ წყეული იპვის ბრალია! მოგახსენოთ საიდან იწყება ჩემი იპვი: გასულ წლებისას, რომ

*) ამ მოთხრობის მეორე ნაწილი ცენზორს არ გაუშვია და სამწუხაროდ ხელნაწერიც დაკარგულა. პ. გ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible]

[illegible]

. . . .

[illegible]

ე. ნინოშვილი.

13 ივლისი 1892 წ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიებანი ძველი ქართული ენის ისტორიიდან

ქართული (ქართველური) ტომობრივი ენების ისტორიული ფონეტიკა

(ა)

ქართული ენა ენათა ქართველურ ოჯახს ეკუთვნის. ამ ოჯახის სხვა ენებია: მეგრული, ჭანური და სვანური. ქართველურ ენათა ურთიერთობა ინდოევროპული ენების ანალოგიურ ურთიერთობას ჰგავს. ამ ენებს შორის ყველაზე ახლოს ერთმანეთთან მეგრული და ჭანური დგანან, ქართული და სვანური კი ამ ორი ენისაგან საკმაოდ დაშორებულია.

არ გამოვუდგეთ, მარტო შარშან და წრეულს აგერ ჯოზე მეტი „ფირალი“ მოჰკლეს გურიაში. მერე იცით ვინ არიან ეს ფირალები? ცოლ-შვილიანი კაცები, რომლებიც გუშინ მშვიდი მიწის მუშები ივნენ, სახელმწიფო ბეგარას იხდიდნენ და თავის მოძმეებთან ცხოვრების მძიმე უღელს ეწეოდნენ. აი ასეთი ადამიანი, რალაც უხილავი უბედური გარემოების მიზეზით დღეს ტოვებს ცოლ-შვილს, იღებს ხელში თოფს და ნადირივით გარბის ტყეში,—ფირალდება! ასეთ ფირალებს უდგებიან კვალდაკვალში და ხოცავენ „დიუტინობით“. ეს ფირალების ქლეტა ისეთი ჩვეულებრივი მოვლენა შეიქნა დღეს გურიაში, რომ არ შეიძლება ადამიანს იჯვი არ დაგებადოს—ბიჭოს, ასე წამ და უწუხ თუ ქლიტეს ეს „ფირალები“, ადრე ხალხიდან დაცლიან გურიას და დასაცავიც აღარავინ დარჩებათო.—აბა ეს რა საფიქრებელია, მხოლოდ ყაჩაღებს სწყვეტავენ და არა მშვიდ ხალხს,—მეტყვიან ამ ნერნშვნაზე. მართალია, ყაჩაღებს ხოცავენ და არა მშვიდ ხალხს, მაგრამ მოგახსენეთ რა ხალხიდანაც მოდის ეს ყაჩაღები, ანუ როგორც გურიაში ეძახიან „ფირალები“,—უმეტესი ნაწილი ცოლ-შვილიანი მუშა კაცია. ესეც რომ არ მიეიღოთ მხედველობაში, დღეს ისეთ ერთგულებამდე მივიდა გურიაში ყაჩაღის დევნა, რომ ძნელად თუ ერთ მტყვანს ორი ალალ-მართალი ადამიანი არ წაატანონ თან. აბა წარმოიდგინეთ, იქ, სადაც ფირალების მდევარნი ასე გატაცებულნი არიან თავისი საყვარელი ხელობით, რომ ღვთის მონა ამბერკა ბერი და აფიცერი ტომიჩიკ კი ფირალი ეგონათ,—პირველს (ამბერკა ბერს) თავისი სენაკში (ჯუმათის მონასტერზე) სული გააგდებინეს და მეორეს (აფიცერს ტომიჩს) თავისივე სახლში გვერდი გაუხვრიტეს, რაღას უნდა მოელოდეს სხვები? განა ყოველ წამში არ უნდა ფიქრობდეს—ვინ იცის, ეგებ, მეც ფირალის სახელით საიქიოს გამისტუმრონო?

ეხლა გადავხედოთ რაები გამოაშკარავდა თავადი ლევან იესეს ძე გურიელის საქმის გარჩევის დროს. დახე თურმე რისთვის გამოასალმეს სიცოცხლე მამის ერთაი მიხელ გოგიტიძე: ქ. ბათომში ვიღაც ლებედევი გაუცარცვავთ; ორი ამ გამცარცველთაგანი შეუპყრიათ; ამათ უთქვამთ, რომ ჩვენთან ლებედევის გაცარცვის დროს მესამეც იყო და ამ მესამეს მიხაკო ჰქვიან სახელადო. ამ სახელისთვის ყური მოუკრავთ გურიაში ფირალების მდევრებს და მაშინვე გამოუცვანიათ დასკვნა: მიხაკო, რა თქმა უნდა, გოგიტიძე იქნებაო. ამდგარან და დაუწუყიან გოგიტიძის ძებნა; შეუმწყვდევიათ ვიღაც ერთი გლეხის სახლში და მოუკლავთ. მოუკლავთ, მაგრამ ცოდნით დღესაც არავინ იცის—ის მიხაკო იყო ლებედევის გამცარცველების ამხანაგი, თუ სხვა მიხაკო. მხოლოდ ეს კი ვიცით, რომ ლებედევის გამცარცველებმა აჩვენეს: ჩვენი მესამე ამხანაგი მიხაკო, სომეხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყოო. ვინ იცის, იქნება, ვიღაც განჯელი სომხის ბრალი ეკითხა საბრალო გურულ გოგიტიძეს? თავადი გურიელი ისე გატაცებული ყოფილა—„პრაპორშჩიკობა“ მივიღოვო, რომ გასაკვირალი არ არის, ამ მიზნის მისაღწევად გოგიტიძე ძალად გაეყაჩაღებინა. მართალია თავად გურიელს ხელი შეუწყვია და „პრაპორშჩიკობის“ მიღების მაგიერ, საცომბიროთ გაუხდა თავი, მაგრამ ეს, უეჭველად, მეტის სიცხარით და გამოუცდელობით მოუვიდა თავად გურიელს. ან ჩვენ რაში გვეკითხება ეს უკანასკნელი გარემოება. მე მხოლოდ იმას მოგახსენებთ: „ფირალის“ მდევარნი, რომლებიც ისე თავ-გადადებულნი არიან „პრაპორშჩიკობის“ და „ორდენების“ მიღებისათვის, არ იმსხვერპლებენ ალალ-მართალ ადამიანს თავიანთი მიზნის მისაღწევად? ჯერ არ შეუწყობენ ხელს რომელიმე გოგიტიძის, ან დარჩიას გაფირალებას და მერე არ დაუწყებენ დევნას—მოვჭკლაოთ და „ჩინს“ მოგვცემენო? დავიჯეროთ, რომ „პრაპორშჩიკობის“ და „ორდენების“ გულისთვის „ფირალების“ მდევარნი ადამიანები ძალად არ ამღერებენ წყალს—მღერიე წყალში თევზს ჟურო დავიჭერთო? ესეც რომ არ დავიჯეროთ, ეს კი მაინც ჰკუასთან ახლოა, რომ გურიაში თუ ასე ხშირ-ხშირად ინადირეს ადამიანზე, ისეთ სამსახურს გაუწევენ ამ პროვინციას, როგორც კრილოვის არაკში ერთმა გონიერმა ცხოველმა გაუწია ბოსტანის პატრონს, იმ განსხვავებით, რა თქმა უნდა, რომ გონიერმა ცხოველმა მხოლოდ ბოსტნეული მწვანილი გათელა და გურიაში კი გონიერი მცენელები ადამიანს გათელავენ.

ე. ნინოშვილი.

13 მარტს 1892 წ.

ი. ჯორჯაძე.

ა. ფურცელაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოტიკე ჩიქვილაძე

ტფილისის სასულიერო სემინარია გასული საუკუნის მე-80 წლებში.

სემინარიის რექტორის ჩუდეცკის მოკვლა ლალიაშვილის მიერ.

ალექსანდრე II მკვლელობამ ვერ გაამართლა ნაროდნიკების იმედები და აშკარა შეიქნა რევოლიუციის მ'ველობა სრულიად სხვა, ახალი გზით.

ამ მკვლელობამ რუსეთის ფართო საზოგადოება მარჯვნივ გადახარა. ალექსანდრე III-ის ტახტზე ასვლა,—ეს ძლევა-მოსილი რეაქციის მეჯლისი იყო. ამ დღიდან უარყოფილ იქნა ალექსანდრე II-ს დროის ევრეთ წოდებული „რეფორმების პოლიტიკა“, მთავრობა დაადგა უკიდურეს რეაქციის გზას, აიღო სასტიკი და მაგარი კურსი, რომლისთვისაც შემდეგში ერთხელაც არა უღალატნია.

ამ რეაქციის სუსხს, უეჭველია, ვერც საქართველო ასცდებოდა. და აი, ისარგებლეს დროთი სხვადასხვა ჯურის შავრა ყორნება და შეუდგენ გაძვალ-ტყავებულ ქართველი მშრომელი ხალხის ძიძგნას.

გარუსების პოლიტიკას თუმცა ფრთხილად, მორცხვად, მაგრამ მაინც ყოველთვის ატარებდა ჩვენში თვითმპყრობილი ხელისუფლება. ალექსანდრე III-ს ტახტზე ასვლისთანავე თვითმპყრობელობამ ნიღაბი ჩამოიხსნა და გარუსების პოლიტიკა მართვა-გამგეობის საფუძვლათ აღიარა. ამას მოყვა ეკონომიური და იურიდიული შევიწროების გაძლიერებაც. „ოკრაინნაია პოლიტიკა“ არსად არა ტარდებოდა რუსითის სახელმწიფო ფარგლებში ისე სასტიკად, ულმობელად და უხეშად, როგორც საქართველოში

იდევნებოდა ყოველივე არა რუსული! ენა, მწერლობა, კულტურა და ხალხიც, როგორც არა რუსი—„ინოროდცები“. დევნიდენ ქართველ მოღვაწეებს და მწერლებს იმიტომ, რომ ისინი ქართველები იყვნენ.

იღია ჭავჭავაძეც საეჭვო და მავნებელ პირად იყო მიჩნეული. აკაკი წერეთელი და ნიკო ნიკოლაძე—„კრამოლონიკებათ“; სათავად—აზნაურო ბანკს და მის მოხელეთაც ეჭვის თვალით უცქეროდენ, რადგან აქ ქართული კულტურის დაცვა ელანდებოდათ.

წერა-კითხვის საზოგადოება მიაჩნდათ შეუწყნარებლად, როგორც ქართული ენის დამცველი და ქართული წერა-კითხვის გამავრცელე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელი ორგანო, სიტყვა „საქართველოს" ხსენებაც კი რევოლიუციონურ დანაშაულებათ ითვლებოდა.

ამ პოლიტიკის მთელი სიმძიმე და სიმკაცრე სასწავლებლებს ატყდებოდა თავს და ყველაზე მეტი რისხვა—სასულიერო სემინარიაში მომწყვდეულ მოწაფეთ.

გაწურთნილი რუსი—ბერები ცდილობდენ „მამულიშვილობაში" არა ჩამორჩენოდენ სხვა უწყების „გმირებს".

სემინარიაში მაშინ სწავლობდა განსაკუთრებით ქართველი მოწაფეობა, რომელნიც სწავლის დამთავრების შემდეგ უნდა დარიგებულიყვნენ ჭერთულ სოფლებში მღვდლებათ.

თუ კი ქართველ ინტელიგენტს საერო უწყება არ ენდობოდა და საქართველოში მას დაბალ თანამდებობასაც არ აძლევდა, მით უფრო არ იყო სანდო და გამოსადეგი საშუალო განათლებით აღჭურვილი ქართველი მღვდელი, უკეთუ იგი არ იქნებოდა ჯეროვნათ გაწვრთნილი. მათი აზრით, საჭირო იყო დავიწუება და შეძულება ქართულის *), მშობლიურის და თავის „ძაღლური" **) ენისაც. ამიტომ რუსის ბერებმა გაიხადეს თავის მოღვაწეობის საგნათ ამ „ინოროდცების" ისე აღზრდა და გარდაქმნა, რომ იგინი გამოსულიყვნენ ღირსეული, ანაფორაში გახვეული, რუსის აგენტები. ქართული ენის სწავლება, როგორც საგნის, საქართველოს საერო სასწავლებლებში თუ მეტ ბარგათ იყო მიჩნეული და ადვილათ განდევნილი, სემინარიიდან მისი სრულიად განდევნა ერთგვარ უხერხულობას იწვევდა.

საქმე იმაში იყო, რომ არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა სემინარიაში კურს-დამთავრებულთ კითხვა სამშობლო ენაზე დავითნისა, მარხვნისა და ზადიკისა—იმ საეკლესიო წიგნებისა, რომელნიც წირვა-ლოცვაზე იკითხებიან. ამიტომ საკითხი ქართული ენის სასარგებლოთ გადაწყდა და დაშვებულ იქნა მისი სწავლება რუსულის საშუალებით. სჩვადასხვა საგალობელს მარხვან-ზადიკიდან გვიხსნიდენ და გვასწავლიდენ რუსულად, ხოლო შიგადაშიგ უნდა დაგვესწავლა ზეპირად ქართულად ამა თუ იმ საგალობელის ადგილები. ეს ისეთი თავსამტვრევი და გონების დამაჩლუნგებელი მეთოდი გამოდგა, რომ,

*) სიონის სობორის დეკანოზს ვლიღეს ჰკითხა ახლათ დანიშნულმა ეგზარხოსმა, მკონი, პავლემ: вы, отец протоиерей—грузин или русский? К сожалению родился грузином, Ваше Высокопреосвященство—მიუგო დეკანოზმა ვლიღემ. ეს დეკანოზი ითვლებოდა ყველაზე წარჩინებულ დეკანოზათ ჩვენს სამღვდელოებაში მაშინ.

**) ეგზარხოსს პავლეს ვიღაცამ მიართვა ქართულად ღაწერილი თხოვნა. ეგზარხოსი განრისხდა და წამოიძახა: „Кто осмеливается подат прошение на собачьем языке"-ო.

ავტ.

მახსოვს, ვერც ერთი ჩვენთაგანი ვერ ვახერხებდით კლასში სწავლ-ს. რამდენიმე კვირის და თვის განმავლობაში მასწავლებელი გვისვამდა 1-ს, ყოფაქცევაშიც შეგვიმცირეს ნიშანი, ბევრიც დაგვტუქსეს, მაგრამ ჩვენზედ ვერ იმოქმედა და ვერ შეკვეგნებია ეს მეთოდი.

შეამოკლეს ფილოსოფიის, პსიქოლოგიის და სხვა განვითარებისათვის საჭირო საგნების გაკვეთილები და გააძლიერეს საღვთისმეტყველო საგნების გაკვეთილები.

ფრანგული ენის სწავლება სრულიად მოსპეს და გაადიდეს ლათინურ-ბერძნულის გაკვეთილები.

შემოიღეს ძველი, მონასტრული წირვა-ლოცვის წესები: დილას ლოცვა, მესამე გაკვეთილის შემდეგ—ლოცვა, სადილის წინ და შემდგომ—ლოცვა, საღამოს—ლოცვა. სულ ლოცვა და ლოცვა, რომლის დროსაც საჭირო იყო მარტო ფეხზე დგომა კი არა, სასოების გამოხატვაც თავ-თავის დროზე მეტანიით და დაუმთავრებელი პირჯვრის წერით.

რომ ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ რუსი ბერების მოღვაწეობისა, ამის შესახებ მოუსმინოთ თვით სემინარიის ინსპექტორს სტეფანოვს. ბ-ნი სტეფანოვი თავის მოხსენებაში ქანდარმის სამმართველოს უფროსის სახელზე რექტორ ჩუდეცკის მკვლელობისა გამო. სწერს შემდეგს:*)

„ტფილისის სასულიერო სემინარია რუსეთის სემინარიებთან შედარებით ძლიერ სამწუხარო პირობებშია. სასულიერო სასწავლებლები, საიდანაც გადმოდიან სემინარიაში მოწაფენი, აგზავნიან, უფრო ხშირათ, პირებს თავხედური მიდრეკილებით, თვითნებობის და უზნეობის შთანასახით, სარწმუნოების საწინააღმდეგო მიდრეკილებით და რუსის ელემენტების მოძულეთ.

„სასწავლებლის უფროსების და მასწავლებლების მუშტ-კრივით გამასპინძლება მოწაფეებს ხშირად, უმეტეს ნაწილად ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. სახელდობრ, 1876 წ. სემინარიის სამმართველოს რევიზორს პავლოვსკის მოუხდა განხილვა საქმისა არითმეტიკის მასწავლებლის ცქიტიშვილზე და ლათინურის მასწავლებელზე თავდასხმისა გამო, დღისით, კეტებით, მოწაფეთა ერთი ნაწილის მიერ. იმავე სასწავლებელში 1881 წ. სცემა მეორე კლასის ორმა მოწაფემ სასწაელებლის ზედამხედველის თანაშემწეს ი. გაფრინდაშვილს. ამ საქმის გამო სემინარიის სამმართველომ დანიშნა რევიზია და გაგზავნა მასწავლებელი ფედოროვსკი. ამ რევიზიის დროს სასწავლებლიდან დათხოვნილმა მოწაფემ სცემა სასწავლებლის ზედამხედველს ფხაკაძეს, რომელი საქმეც გაირჩა ქუთაისის ოლქის

*) საქართ. ცენტრარქივის საქმე—Дѣло по обвинению И. Лагиева и др. 6 июня 1886 г. № 58—31.

სასამართლოში. იმავე სასწავლებელში 1878 წ. ქართველმა მასწავლებელმა მოკლა სასწავლებლის ზედამხედველი ასათიანი. 1876 წ. იმავე სასწავლებლის მოწაფეებმა განიზრახეს სასწავლებლის დაწვა. ეს საქმე განიხილა რევიზორმა პოტოცკიმ. ეს სასწავლებელი იმავ წელში დასწვეს სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მოწაფეებმა, რომელნიც დროებით იყვნენ მოთავსებული ჭუთაისის სასულიერო სასწავლებელში. ჭუთაისის, ოზურგეთის და სხვა სასულიერო სასწავლებლის მოწაფენი ასობით აკლდებიან ყოველ დღე გაკვეთილებს სრულიად უმიზეზოთ და ნება დაურთველად. ეკლესიაში წირვა-ლოცვაზე იშვიათად დადიან, თუმცა სასწავლებლის უფროსები ღებულობენ სათანადო ზომებს ამის შესახებ. დამუქრება და იარაღით თავდასხმა მოწაფეების მხრით სასწავლებლების უფროსებზე და მასწავლებლებზე რევიზიის მიერ დადასტურებულია საეგზარხოსოს დანარჩენ სასწავლებლებშიაც.

„აი, ასეთი შთანაბეჭდით გადმოდიან მოწაფეები სასულიერო სასწავლებლებიდან სემინარიაში. ადვილი გასაგებია, რომ ასეთი მოწაფეების გასწორება, მიუხედავად აღმზრდელ-მასწავლებელთა მეყიათობისა, ენერგიის და შრომის დახარჯვისა, არამც თუ ძნელია, უფრო ხშირათ შეუძლებელიცაა, თუ სახეში მივიღებთ სიფიცხეს, დიდგულობას და ავათმყოფურ თავმოყვარეობას იმ ადგილობრივი ერისას, რომელსაც ეს მოწაფენი ეკუთვნიან. ზემოთ დასახელებულ ტფილისის სემინარიის მოწაფეთა აღზრდის საქმის ხელის შემშლელ პირობებს ზედ ერთვის კიდევ შემდეგი დაბრკოლებანი: მავნებელი გავლენა მოწაფეებზე ქართული პრესისა და „ქართველი პატრიოტებისა“, რომელთაც სძაგთ საერთოდ რუსები. იქ—70 წლების ნახევარში ტფილისში გამოდიოდა სამი ადგილობრივი გაზეთი, რომელნიც უკიდურესობამდე აძაგებდენ საერთოდ რუსებს და განსაკუთრებით სასულიერო სემინარიას. „ტუზემცებს“ ეს გაზეთები თავის მფარველ-დამცველათ მიაჩნდათ. ეს გაზეთები იყვნენ: «Тифлисский Вестник»-ი, «Обзор»-ი და „დროება“,—ამ ჟამად აკრძალული მთავრობის მიერ მავნე მიმართულებისათვის. ამ გაზეთებში თითქმის ყოველ დღე იბეჭდებოდა ამასგვარი შეუფერებელი ჭორები სემინარიის რუსი მასწავლებლების წინააღმდეგ, რათა დაეცათ სემინარიის უფროსების და მასწავლებლთა ავტორიტეტი მოწაფეთა შორის“.

იმ ნაკლების მიუღებლობას და შეუთვისებლობას, რომელსაც რუსი ბერები მოწაფეებს აწყდებოდენ, როგორც ხედავთ, ქართველების ეკლერობათ და უკულტურობათ ხსნიან... მოწაფეებიც იბრძოდენ ამ დუხჭირი პირობების წინააღმდეგ. პირველ ხანებში ბრძოლას სტიქიური ხასიათი ჰქონდა, რომელიც ადრე თუ გვიან უნდა ჩამოყალიბებულიყო და გარკვეული სახე მიეღო. ამისათვის კი საჭირო იყო მუ-

შაობა, მოზარდი თაობისათვის იმ საზრდოს მიწოდება, რომელსაც ის ინსტინქტიურად ეძებდა.

სწორედ ამნაირ მუშაობას ვხედავთ ჩვენ მე-80-ცე წლებში სასულიერო სემინარიის მოწაფეთა შორის.

სემინარიის მთავრობასაც არ ეძინა. რომ სემინარიაში „კრამოლას“ ფეხი არ მოეკიდებია, იგი არავითარ ზომას არ იშურებდა. მისი აზრით მოწაფეებს, გარდა სასულიერო შინაარსის წიგნებისა, სხვა წიგნები, ვერ უნდა ეშოვა წასაკითხად. ამიტომ სემინარიასთან არსებული მდიდარი წიგნთ-საცავი დაკეტეს და ამნაირად მოწაფეებს ამ წიგნთსაცავიდან მოუსპეს საშუალება წიგნების გამოტანის და სარგებლობისა. რომ მოწაფეებს გარედან არ შემოეტანათ აღკრძალული წიგნები, სემინარიის მთავრობამ შემოიღო ჩხრეკა. ჩხრეკდენ მოწაფეთა მაგიდის უჯრებს, სადაც მოწაფეები ინახავდენ სასწავლო წიგნებს. ჩხრეკდენ ღამ-ღამობით მოწაფეთა ყუთებს, რომელნიც ერთ დიდ ოთახში ინახებოდა დაკეტილი და რომელშიაც ინახავდენ საკუთარ ნივთებს. ჩხრეკდენ საწოლ ოთახებში მოწაფეთა ლოგინებს გაკვეთილების დროს. ჩხრეკდენ ყველაფერს და ამ ჩხრეკას დასასრული არ უჩნდა.

გარედან მოსიარულე მოწაფეებიც არ იყვნენ უკეთეს დღეში. კვირაში ორჯერ მაინც, სრულიად მოულოდნელად, თავს დაესხმოდა მათ ინსპექცია და ყველაფერ „საეჭვოს“ არომევდენ. ამასთან ერთად მოწაფეთა შორის გაიჩინეს ჯაშუშთა გუნდი. მიუხედავად ყოველგვარი დევნა-შევიწროებისა მოწაფეები მაინც ახერხებდენ წრეებში მუშაობას. ამ ხანებში ინსტიტუტელებთან ერთად გვქონდა რამდენიმე წრე. წრეებში ვიკრიბებოდით კვირაში ორჯერ და გამოცდილი ამხანაგების ხელმძღვანელობით სწარმოებდა მუშაობა. ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, პისარევი და მიხაილოვსკი იყო ჩვენი სათაყვანებელი მწერლები. ჩუღურეთში მოწყობილი იყო არა-ლეგალური წიგნთ საცავი, რომლის არსებობა სულ რამდენიმე კაცმა იცოდა.

რამდენათ მოწაფეები აფართოვებდენ არალეგალურ მუშაობას, იმდენათ სემინარიის მთავრობა აძლიერებდა „კრამოლასთან“ ბრძოლას. ბრძოლა იყო სასტიკი და ულმობელი. ამ ბრძოლამ ბევრი თავდადებული რევოლიუციონერი მისცა ჩვენს ქვეყანას. სილიბისტრო ჯიბლაძე, მიხა ცხაკაია, ისიდორე რამიშვილი, ნოე ჯორდანია, ფილიპე მახარაძე, სევერიანე ჯუღელი და მრავალი სხვანი ამ ბრძოლაში გაიწვრთნენ. ამ ბრძოლამ იმსხვერპლა ბევრი კარგი ამხანაგიც. ამათ რიცხვს ეკუთვნის სემინარიის რექტორის ჩუდეცკის მკვლელი იოსებ იაკობის-ძე ლაღიაშვილი.

იოსებ ლაღიაშვილი იყო ახალგაზრდა, 18—19 წლის ყმაწვილი. შავგვრემანი სახით და თავისი აკოკრებული წვერ-ულვაშით გარეგნუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად კარგს შთაბეჭდილებას სტოვებდა. იყო ძლიერ მშვიდი და უწყინარი ადამიანი, მასთან ბეჯითი და ნიჭიერი. ცოტას ლაპარაკობდა და ბევრს მუშაობდა. როგორც ნიჭიერ ადამიანს, გაკვეთილების სწავლაზე არ სჭიროდა ბევრი დროს დაკარგვა და მთელ თავისუფალ დროს აკრძალულ წიგნების კითხვას ანდომებდა.

1885 წლის დეკემბერში ჩხრეკის დროს ი. ლაღიაშვილს უპოვეს დღიური შემდეგი წარწერით: „ცოდვა სინათლეა, თავისუფლებას ანიჭებს ადამიანს, თუ ცოდვა არა გაქვს, არც თავისუფალი ხარ".

მხოლოდ ამ დღიურიდან გაიგო სემინარიის მთავრობამ არალეგალური ჟურნალის არსებობა, აკრძალული წიგნებით სარგებლობა და ვინაობა წერაში მომუშავე ზოგიერთ პირთა. აქ თავის მართლება მოუხერხებელი იყო. ჩვენ მაინც ვსცადეთ მათი მოტყუება: ერთ ღამეს დავსვით ილია ფერაძე, რომელსაც თითქმის მთელი დავითნის ფსალმუნები ჰქონდა გალექსული და ორი რეული ავავსებიეთ გალექსული ფსალმუნებით. დავაწერეთ გარედან მსხვილი ასოებით—„ტურნალი-ყვავილი"-თქო, მივართვით რექტორს და მოვახსენეთ: „აი, ბატონო, ჩვენი ჟურნალი „ყვავილი",—ამისთვის რათა გვსჯით, დღეიდან ვიჩერებთ მის გამოშვებას-თქო. რაც შეეხება წრის არსებობას, ამაზე დიდი უარი განვაცხადეთ.

ჩვენ არც ერთი დაგვიჯერეს და არც მეორე. მოგვისპეს სახელმწიფო ხარჯი, პირველ რიგში ლაღიაშვილს, შემდეგ „პანსიონიდან" გამოგვიძახეს. მე, უხნაძემ, ბარნაბიშვილმა და მენაბდემ ჩუღურეთში ვიშოვეთ ოთახი და დავბინავდით, ლაღიაშვილი ორთაჭალაში მცხოვრებმა ვინმე რუსის ფელეფებელმა მიიწვია ბავშვების მოსამზადებლოთ და იმასთან დაბინავდა.

ამცირედ ჩვენი ბინა თავშესაყარ ადგილათ გადაიქცა. აქ იკრიბებოდენ ყველა ამხანაგები. ლაღიაშვილი ხომ ნახევარჯერ ჩვენთან იყო.

სემინარიის „პანსიონიდან" დათხოვნის გამო ჩვენ სრულიადაც არ ვსწუხდით,—სემინარიის ინსპექციის ჩხრეკის ჩვენ არ გვეშინოდა. რადგანაც ღამ-ღამობით ყველა აკრძალულ წიგნებს სახლის პატრონის ბინაზე ვინახავდით. ეკონომიურადაც სრულიად კმაყოფილად ეგრძნობდით თავს. თითეულს ჩვენგანს 5 მან. დახმარებას აძლევდა სემინარიის მთავრობა და ეს ფული გვყოფნიდა. სასწავლებელში ყოველდღე დავდიოდით და გვეკეირდა მასწავლებლების ადამიანური მოპყრობა ჩვენდამი. ინსპექციაც ჩვენთან საჭირეკათ არ მოდიოდა თუმცა ყოველდღე ველოდით მას. ამავე დროს სემინარიაში დიდ შევიწროებას და დევნას ჰქონდა ადგილი და ჩვენ ვერ აგვეხსნა ჩვენდამი შედარებით კარგი დამოკიდებულება. რა ვიცოდით, თუ ჩვენ გვითვალთვალებდენ, ცნობებს კრებდენ, ეძებდენ მიზეზს და დროს ჩვენ დასასჯელად. ასეთი მიზეზიც აღმოჩნდა.

ინსპექტორმა სტეფანოვმა მარტში გაჩხრიკა ლალიაშვილის ბინა. უპოვა მას ჟურნალი „Отечественныя Записки“ და დღიურის მეორე რვეული.

ჟურნალი ლალიაშვილმა არ დაანება, დღიური კი წაიღეს. ამ დღიურის გარდა ჩვენს. წინააღმდეგ სხვა მასალა არც სჭიროდათ. ამ დღიურში სხვათა შორის ეწერა: „მე, შამატავა, ზ. ჩიქვილაძე, მატათაშვილი, სახუტაშვილი და უზნაზე ვიყავით კრებაზე კუკიაში“. „Материалы для биографии Нечаева вечером передал хозяину“.— განა ეს არა კმაროდა? პირველ რიგში ლალიაშვილი იდგა და ის გაისტუმრეს. შემდეგ კი ჩვენც—მე, უზნაძე, მენაბდე, ბარნაბაშვილი და სხვები მიგვაყოლეს.

სემინარიის მთავრობა ათვალწუნებულ მოწაფეთ არც დათხოვნის შემდეგ აძლევდა მოსვენებას...

დათხოვნილ მოწაფის ბათლომე მოსაშვილის მეთაურობით რამდენიმე გამორიცხულმა სემინარიელმა 1886 წლის თებერვლიდან აიღო სათანადო პატენტი და რუსთაველის (მაშინ გოლოვინის პროსპექტზე, იქ სადაც დღეს „ქიმერიონია“, ლუდით ვაჭრობას შეუდგენ. ეს შენობა მაშინ არ იყო მოთავებული, თან ცივი გაზაფხული დაიჭირა და მიტომ მუშტარი მათ მაინც და მაინც არ აწუხებდა. დადიოდენ მხოლოდ სემინარიელები, განსაკუთრებით საღამოობით იყო სავსე სავაჭრო მოწაფეებით. სემინარიის მთავრობამ მალე შენიშნა ეს და მისი განკარგულებით სავაჭრო დახურეს. ამის შემდეგ მე გამოვართვი პატენტი, შევამოწმებიეთ ნოტარიუსს გადმოცემა და ლალიაშვილთან ერთად გაეხსენით ალექსანდრეს ბაღის ახლოს ლუდხანა აპრილის დამლევში, ეერც კი მოვასწარით მუშაობის დაწყება, რომ სემინარიის მთავრობის ბრძანებით მიგვიხურეს იგი.

ჩვენი დათხოვნის შემდეგ სემინარიაში მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდა. იდევნებოდა საუკეთესო მაჯი ძალები. სასწავლებელი ღელავდა და რჩევას დათხოვნილ ამხანაგებისაგან ელოდენ. და აი, ამ დროს იელვა მოწაფის ხელში ხანჯალმა, რომელმაც განგმირა სემინარიის რექტორი. ეს პირი გახლდათ ი. ლალიაშვილი. მან 24 მაისს, 1886 წ. მოჰკლა სემინარიის რექტორი ჩუდეცკი, და ასე საშუალება მისცა ფართო საზოგადოებას გასცნობოდა სემინარიის აშმორებულ ჯაჭას.

ამ მკვლელობამ თავის დროზე დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია საერთოდ და „ჯეშმარიტებში“ კერძოდ.

თუ რამდენათ მდგომარეობა საშიშო იყო, ამას ჩვენ ვტყობილობთ ტფილისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის მოხსენებიდან პოლიციის დეპარტამენტისადმი 6 ივნისიდან 1886 წ. № 468*).

*) ცენტრალური არქივის საქმე № 58—31.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეანდარმის უფროსი მოახსენებს პოლიციის დეპარტამენტს საიდუმლოთ შემდეგს: „ა | წ. 24 მაისს სამოსამართლო პალატის ბრალმდებელმა წერილობით მაცნობა სასულიერო სემინარიის რექტორის ჩუდეცკის მკვლელობის შესახებ იმავე სემინარიის ყოფილ მოწაფის ლალიაშვილის მიერ და მთხოვა გამეგზავნა რწმუნებულ ჩემდამო ჟანდარმის სამმართველოს ერთ-ერთი ოფიცერი ამ საქმის შესახებ გამოკითხვის მოსახდენათ და ცნობების შესაკრებათ. ამ საქმისათვის ჩემ მიერ გაგზავნილმა როტმისტრმა კლიკოვმა მომახსენა, რომ, როგორც გადასცა მას ბრალმდებელმა, კავკასიის მთავარმართებელი თავადი დონდუკოვ-კორსაკოვი ამ საქმეზე შემდეგი შეხედულობისაა: სემინარიის რექტორი ჩუდეცკის მკვლელობა არ არის საქმე მარტო იმ ერთი პირისა, რომელმაც ბოროტმოქმედება ჩაიდინა, არამედ — ეს არის **გადაწყვეტილება მთელი ჯგუფისა სემინარიის იმ არა-კეთილ საიმედო ყოფილ მოწაფეთა, რომელნიც სხვადასხვა დროს გამორიცხული იყვნენ სემინარიიდან ცუდი ყოფა-ქცევის და ამხანაგებზე მავნე გავლენის მოხდენისათვის.** გარდა ამისა, მისი ბრწყინვალება ხედავს კავშირს აღნიშნულ ბოროტმოქმედებისა და იმ შეურაცყოფას შორის, რომელიც მიაყენა რექტორს ჩუდეცკის 1885 წ. მარტის თვეში სემინარიიდან დათხოვნილმა მოწაფე ჯიბლაძემ**), რომ თეიალის მცხოვრებ სემინარიის ყოფილმა მოწაფეებმა შექმნეს **საიდუმლო ჯგუფი სოციალისტურ მოძღვრების გასავრცელებლად, ხოლო რექტორ ჩუდეცკის მკვლელობის ფაქტს აძლევს ტერორისტულ აკტის მნიშვნელობას.**

„თითქმის ასეთივე შეხედულება გამოსთქვა მისმა ყოვლადუსამღვდელოესობამ, საქართველოს ეგზარხოსმა პაველ რექტორ ჩუდეცკის მკვლელობისა გამო როტმისტრ კლიკოვთან და თან დასძინა, რომ მან, ეგზარხოსმა, იცის ტყილისში ერთი ბინა, სადაც იმართება არა საიმედო პირების კრებები და რომ მან კარგა ხანია რაც

**) სილიბისტრო ჯიბლაძე იწვა საავადმყოფოში (ფეხი სტკიოდა). მას საავადმყოფოში გამოუცხადეს დათხოვნის შესახებ და მოსთხოვეს საავადმყოფოდან წასვლა. კარგათ არ მახსოვს დათხოვნის მიზეზი. მგონი თბილელებში არა სასურველი ახრის გატარებისათვის დათხოვეს. შეიძლება ასე არ იყო, მაგრამ ის კი მაგონდება, რომ მიზეზი სრულიად უსაფუძვლო იყო. იგი სემინარიაში ერთი თვალსაჩინო პირთაგანი იყო, ეს იცოდა სემინარიის მთავრობამ და ამიტომ დათხოვა იგი. სილიბისტრო ძლიერ გაჯავრდა, მაგრამ რა უნდა ექნა. დაიბარებდა ჯობი და ასე გამოვიდა საავადმყოფოდან და გაუდგა გზას. სწორეთ კიბეზე წინ შეეფეთა რექტორი. მას შეეძინა არც უფიქრია, არც ულანაბრაკნია და არც ფეხის ტკივილი გახსენებია. ერთი სილა უთავაზა, დაგორა კიბეზე და ლახვითანად დახვილა. ამისათვის გასამართლეს იგი და გამასწორებელ რაზმში გაგზავნეს სამი წლით.

სთხოვა ქალაქის პოლიციმეისტერს ყურადღება მიექცია ამ ბინისათვის და თვალყური ედევნებია მისთვის".

აქ ჩვენთვის საყურადღებო მარტო ის კი არაა, რომ უმაღლესი მთავრობა უბრძანებს თავის ხელქვეით მოხელეთ მკვლელობა მოახვიონ თავს სემინარიის დათხოვნილ მოწაფეთ, არამედ ისიც, რომ მათ ძალიან კარგათ იციან სემინარიის ცხოვრებიდან წვრილმანიც კი იმ დროს, როდესაც ჟანდარმერიას სემინარიაში, „კრამოლის" დაბუდების შესახებ არავითარი ცნობა არ აქვს.

ამნაირად გაიცა განკარგულება მიეცათ პასუხისგებაში ყველა სემინარიიდან გამორიცხულნი.

ჟანდარმთა უფროსის იმავე მოხსენებაში (გვერ. 235) ვკითხულობთ სემინარიის ინსპექტორის წერილობით განცხადებიდან შემდეგ ადგილს: „სემინარიის ყოფილ მოწაფეებიდან პროპაგანდას ეწეოდენ მოწაფეებში: მოსეშვილი ბართლომე, ჩიტაძე გრიგოლი, მენაბდე ნესტორი, თუთბერიძე თომა, სახოკია თედორე, ჯუხიანიძე კონსტანტინე, ჩიქვილაძე ზოტიკე, ბარნაბიშვილი ივანე, სიდამონიძე ნესტორი და უზნაძე ზაქარია. იმ მოწაფეთა რიცხვს, რომელნიც დაუყონებლივ უნდა იქნენ დათხოვნილნი სემინარიიდან ეკუთვნიან: მე-VI კლასის მოწაფე ცხაკაია მიხეილ, მე-IV კლ-სა ხახუტაშვილი ნიკოლოზ და მე-II კლასისა—ჩიკვაიძე როსტომი, ჰხოვილიშვილი იოსები და მეედლოვი ნიკოლოზ".

ზოგიერთი საზოგადო მოღვაწენი და მასწავლებელნიც არ იყვნენ ამ შეხთხევაში დაზღვეულნი. იმავე განცხადებაში სემინარიის ინსპექტორი ასახელებს: ზაქარია ჰიჰინაძეს, ვიღაც პროტესტანტების სასწავლებლის ინსპექტორს აგინებს და თავად მელიქიშვილს, რომელნიც ვითომ მავნე პროპაგანდას ეწეოდენ სემინარიის მოწაფეებში.

ყველა ხედავდა ამ მკვლელობაში დიდ ტერორისტულ აქტს. საზოგადოება შიშში შეიპყრო. დაფრთხა გაზეთებიც. ქართულმა გაგეთებმა ლაღიაშვილის ქართველობაზედაც კი უარი განაცხადეს და იგი ოსებს მიუგდეს.

„ივერიის" № 111-ში (25 მაისი 1886 წ.) ქრონიკაში ვკითხულობთ:

„გუშინ სემინარიაში ერთი უბედური შემთხვევა მოხდა; ერთ სემინარიიდან გამორიცხულ შეგირდს ლაღიევს, მოდგმით ოსსა, ხანჯალი დაუკია რექტორისათვის და ძალიან მძიმეთ დაუჭრია მუცელში და კისერში. რექტორი ორ-სამ საათის შემდეგ გადაცვლილა".

რექტორ ჩუდეცკის მკვლელობა ცოტა უფრო ადრე იყო განზრახული. სახელდობრ, აღდგომის წინ, აპრილის პირველ რიცხვებში, იმავე 1886 წლისა. ეს განზრახვა შენიშნულ მოწაფეთა დიდმა ნაწილმა იცოდა. ეს გეგმა, როგორც უკვე ვთქვით, უარყოფილ იქნა. იმ

ხანებში ისეთი ატმოსფერა ტრიალებდა სემინარიაში, ისეთი აღელვებული იყო მოწაფეთა მოწინავე ნაწილი. რომ თუ ლაღიაშვილს ხანჯალი არ ეშიშვლა, შესაძლო იყო მოწაფეთა გამოსვლა, რომელიც უსათუოდ დიდ მსხვერპლს შეიწირავდა.

დიახ, ჩუდეცკის მკვლელობა იყო საპროტესტო აქტი იმ პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც აწარმოებდა ჩვენში დონდუკოვ-კორსაკოვი, საქართველოს ეგზარხოსი პაველ და რომლის გატარებაშიაც ხელს უწყობდა მათ სემინარიის რექტორი ჩუდეცკი.

ეს აქტი მოსწავლე ახალგაზრდობის პროტესტი იყო ქართული ენის, კულტურის აბუჩად აგდებისა და დევნისათვის.

ლაღიაშვილს ამ შემთხვევაში არა ამოძრავებდა შურისძიება, პირადი ინტერესები. ის იმდენად სპეტაკი და მშვიდობიანი იყო, რომ პირად საქმეების გამო შურისძიებამდის .მას ჩამოქვეითება არ შეეძლო.

სიმართლეს მოკლებულია ლაღიაშვილის ის განცხადებაც, თითქო ხანჯალი მისი საკუთარი ფულით ყოფილიყოს ნაყიდი. ხანჯალის შესაძენათ ერთმა ამხანაგთაგანმა გაიღო 4 მანეთი და თუ სასამართლოში ლაღიაშვილმა ეს დაფიცა და თავის თავზე მიიღო, მხოლოდ იმიტომ, რომ ამხანაგებისათვის აეშორებია სასჯელი.

ამნაირად ჩუდეცკის სიკვდილი იყო პოლიტიკური აქტი, ასე უყურებდა მას მთავრობა. მოსალოდნელი იყო დიდი მსხვერპლი და თუ ეს არ მოხდა მხოლოდ იმიტომ, რომ ლაღიაშვილი იყო უშიშარი და მტკიცე ხასიათის ადამიანი. მას თითეული სიტყვა, თითეული ნაბიჯი წინდაწინ გაზომილი, მოფიქრებული და აწონილ-დაწონილი ჰქონდა.

თუ როგორ მტკიცედ ჩაატარა დასახული გეგმა ლაღიაშვილმა და რანაირათ ააშორა სასჯელი სხვა მოწაფეებს იმ დროს, როდესაც საქმის ვითარება საშუალებას აძლევდა გამომძიებელს სისრულეში მოეყვანა მთავარმართებლის განკარგულება, აჰას ჩვენ გვეტყვის სა-ბრალდებლო ოქმი.

(დასასრული იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. თალაკვაძე.

პირველი მაისობა საქართველოში წინათ და ახლა

(პატარა ისტორიული მიმოხილვა)

1898 წ. მინსკის პარტიული ყრილობის შემდეგ ტფილისის სოციალ-დემოკრატიულმა ჯგუფმა ლენინის უბნის (ყოფილი ნაძალადევი) ქედის გადაღმა, ქალაქიდან 3—4 ვერსის მოშორებით, არა-ლეგარულარად მოაწყო შრომისა და რევოლიუციონური მოძრაობის სადღესასწაულო 1-ლი მაისობა.

დემონსტრაციაში მონაწილეობდა 20—25 კაცამდე.

მაისობის მნიშვნელობაზე სიტყვები წარმოსთქვეს: მიხო ბოჟორიძემ, ზაქრო ჩოდრიშვილმა და სევ. ჯუღელმა.

ეს იყო პირველი სამაისო დემონსტრაცია, პირველი გამოსვლა ორგანიზაციებში ჩაბმულ ტფილისის მოწინავე მუშებისა და რევოლიუციონერ ინტელიგენტებისა.

1-ლი მაისობის საზეიმო დემონსტრაცია, უფრო ფართე და მრავალრიცხოვანი, გაიმართა მეორეჯერ, 1899 წელს, ლენინის უბნის ქედის გადაღმა, ეგრეთ წოდებულ „მლაშე ტბასთან“, სადაც ბრძოლის წყურვილით აღსავსე მოწინავე მუშები წითელი დროშებით მოსულნი ამშვენებდნენ შრომის სადღესასწაულო რევოლიუციონურ დემონსტრაციას და ქმნიდენ რევოლიუციონურ ატმოსფერას.

თუ პირველად, 1898 წელს, მაისობაზე მონაწილეობა მიიღო არა უმეტეს 20—25 მუშამ და ინტელიგენტმა და ისიც ერთმა ერმა, განსაკუთრებით ქართველობამ—გარდა ორი-სამი კაცისა—1899 წელს, მეორე მაისობაზე, ეს რიცხვი გაიზარდა 3—4-ჯერ; მონაწილეთა რიცხვი ახლა აღწევდა 70—80 კაცამდე. აქ იყვნენ ტფილისში მცხოვრები თითქმის ყველა ერების მშრომელი ნაწილის წარმომადგენელნი,—ქართველი, სომეხი, რუსი, თათარი და სხვა.

მაისობის მოწყობის ინიციატორი როგორც პირველის, ისე მეორის იყო მარტოდ და მხოლოდ სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ტფილისის ორგანიზაცია, რომელიც თავისი დაუღალავი პარტიული რევოლიუციონური მუშაობით ერთად-ერთი იკრებდა თავის გარშემო მუშებს და მებრძოლ რევოლიუციონურ ინტელიგენციას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორედ სიტყვები წარმოსთქვეს: ლადო კეცხოველმა, ზაქრო ჩოდრიშვილმა, მიხო ბოჭორიძემ, რაჟდენ ქალაძემ და სევერიანე ჯუღელმა.

მესამედ, 1900 წელს სამისო დემონსტრაცია მოეწყო ქალაქ გარეთ ლენინის უბნის ქედის გადმოღმა მხარეს, სამხრეთ-დასავლეთით, რკინის გზის გასწვრივ, ავჭალის სადგურის მახლობლათ, ტფილისიდან 5—6 ვერსის მანძილზე.

ეს დემონსტრაციაც ისე, როგორც პირველი და მეორე, არალეგალურად, ფარულად იქნა ჩატარებული.

ტფილისის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის შეხედულებით ჯერ კიდევ ამ წელსაც ფართო მუშათა მასსა არ იყო ისე გათვითცნობიერებული რევოლიუციონურად, იმდენათ საკმაოდ მომზადებული პოლიტიკურად, რომ მთავრობის წინააღმდეგ ქალაქის ქუჩებში აშკარად, გაბედულათ, რევოლიუციონური შეგნებით გამოსულიყვნენ და ამ გამოსვლას ჰქონებოდა შედეგათ რევოლიუციონური აღმზრდელობითი მნიშვნელობა ხალხისთვის,—ნაცვლად დანგრევა-განადგურებისა ჯერ კიდევ მასსასთან შეუკავშირებელ სუსტი რევოლიუციონური ორგანიზაციისა,—ეს პირველი, მეორე,—ამ ხანად კიდევ საჭირო იყო ფართო მუშათა მასსა შესჩვეოდა მტრებთან საიდუმლოთ, ფარულ პირობებში პირველ მაისობის ჩატარებას და სხვა ამგვარ რევოლიუციონურ ატმოსფერის შემქმნელ პოლიტიკურ გამოსვლებს; საჭირო იყო გასცნობოდენ ერთი მეორეს, აეწონათ, შეემოწმებიათ ერთმანეთი ერთად თავის შეყრის დროს. ამიტომ იყო, რომ კომიტეტს, პირიქით, დაედგინა—ამ დემონსტრაციაზე ქალაქ გარეთ კომიტეტის წევრნი ინტელიგენტური ძალები არ წასულიყვნენ, მტრებისაგან მოწყობილ რაიმე მახეს არ გადაყროდენ იქ და შემოენახათ თავი უფრო რთული, უფრო მნიშვნელოვან და საჭირო ორგანიზაციულ-პარტიულ მუშაობისათვის. ამის მოტივი ის იყო, რომ ორგანიზაციის მცოდნე, მარქსისტულად და რევოლიუციონურად მომზადებული ინტელიგენტური ძალები ისეც ერთობ ცოტა ყავდათ.

წევნებული მუშები და თვით კომიტეტის წევრები ამ ღია გამოსვლას ქუჩებში ეხლაც წინ აღუდგენ და დემოსტრაციის მონაწილე მრავალ-რიცხოვანი მუშები კიდევ ერთხელ დაითანხმეს იმაზე, რომ ქალაქის ქუჩებში მომავალი წლის მაისობაზე გაემართათ ღია დემონსტრაცია. ხოლო ეხლა ამ კონსპირატიული ფარული დემონსტრაციით დაკმაყოფილებულიყვნენ.

დემონსტრაციის მონაწილე მუშების რიცხვი აღემატებოდა 400—500 კაცს. უკან დაბრუნებული დემოსტრანტი მუშები ჯგუფ-ჯგუფობით, რევოლიუციონური სიმღერებით მოდიოდენ თავიანთ ბინებზე და ისე შორდებოდნენ ერთმანეთს.

ეს დემონსტრაცია 1-ლ მაისობისა 1900 წელს ისე ბრწყინვალეთ იქნა ჩატარებული, რომ მასზე დიდხანს ლაპარაკობდენ ტფილისის მშრომელ ხალხში ისინიც კი, რომელთათვისაც შემთხვევას არ ერგუნებია მასში მონაწილეობის მიღება.

1901 წელს ტფილისში კომიტეტი განსაკუთრებით ემზადებოდა მოახლოვებულ 1-ლ მაისობის დემონსტრაციის მეოთხეჯერ ჩასატარებისთვის.

ამ წელს, მეოთხეჯერ, წარსული წლის ფარულად ჩატარებულ მაისობაზე მიღებულ გადაწყვეტილებისამებრ მაისობის დემონსტრაცია უნდა გამართულიყო ღიად, საჯაროდ, ტფილისის ცენტრალურ ქუჩებში გამოსვლით. ამ წლის მაისობის დემონსტრაციას უნდა ეჩვენებინა პროლეტარიატის მტრებისათვის მტკიცე რევოლიუციონურ ნებაში გამოხატული შიშის-მგვრელი ძალა ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ მებრძოლი პროლეტარიატი მას კიდევ უფრო უნდა აღეფრთოვანებია, წაეხალისებია, კიდევ უფრო მჭიდროთ და მრავალათ უნდა შემოკრიბნა მას თავის რევოლიუციონურ ორგანიზაციის გარშემო მშრომელი რევოლიუციონური ელემენტები.

პოლიცია-ჟანდარმებმა, თავიანთი აგენტების შემწეობით იცოდენ რა რევოლიუციონურ ორგანიზაციებში ჩაბმულ მუშების განზრახვა საპრველმაისო გრანდიოზული დემონსტრაციის მოწყობის შესახებ, წინდაწინ შეეცადენ, რევოლიუციონური ორგანიზაციის წევრების მისიური დაჭერით ეს განზრახვა დასაწყისშივე ჩაეკლათ. წინა დღეებში ჰქონდა ადგილი საყოველთაო დაჭერა-დაპატიმრებას; დაპატიმრებულთა რიცხვში მოხვდენ: ფილიპე მახარაძე, ფრანჩესკო სილჯიბაძე, გ. ყარაჯიანი, გიგო წულუკიძე, ასალო ვადაჭკორია და მრავალი სხვები, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, განზრახული დემონსტრაცია მაინც არ ჩაიშალა. იგი გაიმართა ხალხით მუდამ სავსე ქალაქის ცენტრში—სალდათის ბაზარში.

. . . რევოლიუციონური ცეცხლით ანთებული ტფილისის მუშები მოუთმენლად ელოდენ ამ დღეს.

ტფილისის კომიტეტს აღარ შესწევდა ძალა შეეკავებია სადემონსტრაციოთ აზღვაებული მუშები...

ამ დემონსტრაციის გმირი მედროშეები იყვნენ არაქელა ოქუაშვილი, გ. თათანაშვილი და მამალაძე.

1901 წლის მაისობის დემონსტრაცია ტფილისის რევოლიუციონურმა მუშებმა სამაგალითოდ ჩაატარეს. ამ დემონსტრაციამ გამოაფხიზლა და მოძრაობაში მოიყვანა კავკასია ამიერ-კავკასიის ყველა მუშები ერთი მხრით, ხოლო ჩააფიქრა, დაუკარგა სიმშვიდე და რევოლიუციონურ მუშებთან საბრძოლველად დარაზმა ბურჟუაზია და მისი დამცველი ჟანდარმერია.

. . . ტფილისში 1902 წელს პირველი მაისობა ვერ იქნა ჩატარებული, რადგანაც დემოკრატიული პრინციპით, „საჯაროდ“ არჩეული ტფილისის კომიტეტი შეპარულ პროფოკატორ სტაროსენკოს მეთხუთით თებერვალში დაპერილ და განადგურებული იქნა. პირველ მაისობის დემონსტრაცია მოეწყო ამ წელს მაისში პირველად, სადაც მან ნავთის სამრეწველო ქარხანაში ჩაბმული მრავალი მუშა გამოიყვანა ქუჩაზე.

1903, 4, 5 და 6 წლებში, ა ცხრაას ხუთი წლის რევოლიუციის გაზრდა-მოშწიფების პროცესში, 1-ლ მაისობა იქნა ჩატარებული არა თუ საქართველოს მარტო მთავარ ქალაქებში—ტფილისში, ბათუმში და ქუთაისში,—იგი მოწყობილ იქნა მივარდნილ სოფლებში, პატარა დაბა-ქალაქებშიც კი მშრომელი გლეხკაცობის მიერ.

1906 წ. დასასრულიდან და 1907 წლის დასაწყისიდან საბოლოოთ ირკვევა რევოლიუციის დამარცხება.

მონარქიული მთავრობის მიერ მოწვეული სახელმწიფო სათათბირო რევოლიუციონერთათ განწყობილ მშრომელ ხალხს არ აძლევდა საკუთარი კლასობრივი ინტერესებისათვის სამოქმედოთ მინიმალურ თავისუფლებასაც კი.

სახელმწიფო სათათბირო არ სცვლიდა მდგომარეობას...

ყველაფერი ძველებურათ რჩებოდა...

1907 წლიდან დაიწყო მძაფრი რეაქცია.

1—ლ სამაისო დემონსტრაციის მოწყობა ლეგალურათ შეუძლებელი ხდებოდა .. ყველა ძველი რევოლიუციონერები, ყველა ორგანიზატორები, გამოცდილი ამხანაგები, ციხეებში ისხდენ, კატორღას იხდიდენ, შორეულ ციმბირში იყვნენ გადასახლებულნი. თუ ვინმე გამონაკლისნი მათ შორის კიდევ იყვნენ თავისუფალნი, კიდევ შერჩენოდენ არალეგალურ ორგანიზაციულ-რევოლიუციონურ მუშაობას, ისინი ჟანდარმერია—ოხრანას აღრიცხვაში აეყვანა და ყოველ 1-ელ მაისს წინა დღეებში იჭერდენ, რომ ხელი შეეშალათ 1—ლ მაისის დღესასწაულისათვის.

ასეთ პირობებში დანგრეულ ორგანიზაციის ამა თუ იმ წევრს ის დარჩენოდა მხოლოდ, რომ ჭალაქ გარეთ, არალეგალურათ, ვიწრო ამხანაგების ჯგუფის თავმოყრით ჩაეტარებია 1—ლ მაისობის დღესასწაული.

ასეთ 1—ლ მაისობას ჰქონდა ადგილი ყოველ წლობით თითქმის ლენინის უბნის ქედზე—„ხუდადოვის“ ტყეში და ბოტანიკურ ბაღში: უმეტესათ ეს უკანასკნელი ადგილი გაეხადა ამხანაგებს 1-ლ მაისობის ჩასატარებლათ.

ასე გრძელდებოდა 1-ლ მაისის ჩატარება 1917 წლის რევოლიუციამდე.

1917 წელს, რევოლიუციის პირველ დღეებში. „თაფლის თვეში“ მყოფ „რევოლიუციონურათ“ მონათლულ ბურჟუაზიულ მთავრობის მფარველობით და ლოცვა-კურთხევით, როგორც ტფილისში, ისე მთელ საქართველოში პირველათ იმართება „ნება დართული“, ღია, საყოველთაო გრანდიოზული 1-ელი მაისობის დღესასწაული.

აჰ, ამ პირველ ღია, საჯარო, საყოველთაო „ნება დართულ“ დღესასწაულში გაერთიანებული ფრონტით ერთნაირათ ღებულობდენ მონაწილეობას ბოლშევიკები, მენშევიკები, ფედერალისტები, ესერები და სხვები.

შემდეგ 1918 წელში, მენშევიკების რეჟიმის დასაწყისიდან, ბოლშევიკები შეეცადენ ცალკე, ბურჟუაზიულ მთავრობაში გაბატონებულ მენშევიკურ პარტიისაგან განცალკევებით მოეწყოთ მაისობის მუშათა-დემონსტრაცია, მაგრამ აჰ შეეხეწენ მენშევიკების ქანდარმერიის წინააღმდეგობას... შენობა, სადაც განზრახული იყო 1 ელ მაისობის დღესასწაულის გადახდა, დაიკეტათ... წინასწარი ზომები მიეღო მთავრობას ბოლშევიკების მიერ ცალკე გამოსვლის მოწყობის წინააღმდეგ ამ დღეს.

კიდევ უარესი მდგომარეობა შეიქმნა ბოლშევიკებისათვის შემდეგ წლებში...

მხოლოდ 1921 წლიდან, საქართველოს გასაბჭოების დღიდან, მიეცა საქართველოს მშრომელ ხალხს კომპარტიის ხელმძღვანელობით ედღესასწაულა ფართოდ და საყოველთაოდ 1-ელი მაისი.

ამ დღიდან ეკონომიურად განთავისუფლებული და პოლიტიკურად გაბატონებული საქართველოს პროლეტარიატი დღესასწაულობს მას თვით პროლეტარული მთავრობის დაკანონებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(საქართველოს რესპუბლიკის მუზეუმის მასალებიდან).

მთავრობა და პირველი მაისობა

(1914 წლის ერთი სურათთაგანი)

არ მისცეთ მუშებს საშუალება იდღესასწაულონ პირველი მაისი...

მეფის მოადგილის თანაშემწის შიფრიანი დეპეშის ასლი (№ 693 1914 წ. აპრილის 24 თარიღით) ბათუმის სამხედრო გუბერნატორისადმი.

„კეთილ ინებეთ მიიღოთ საჭირო ზომები, რათა არ მისცეთ საშუალება მუშებს იდღესასწაულონ პირველი მაისი ქუჩებში მასსიური გამოსვლის, მიტინგების მოწყობისა და დემონსტრაციების გამართვის სახით. დეპეშით მაცნობეთ როგორ ჩატარდეს ეს დღე".

ხელს აწერს მეფის მოადგილის თანაშემწე **პეტერსონი.**

მოგიწერ მომახსენო დეპეშით...

ჩემს თანაშემწეს ბათომის ოლქში,

„თუ როგორ ჩატარდეს პირველი მაისი, მოგიწერ მომახსენო დეპეშით".

ქუთაისის საგუბერნ. ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი, პოლკოვნიკი (ხელს აწერს).

24 აპრილი 1914 წ. № 2629. ქუთაისი.

ფოთში პროკლამაციები და პლაკატები გაავრცელეს, მუშები სამუშაოდ არ გამოსულან.

ფოთის პოლიციმეისტერის რაპორტი ქუთაისის გუბერნატორისადმი (2 მაისის 1914 წლის თარიღით, № 230)...

„ჩემი დეპეშის დამატებათ ამა 2 მაისის თარიღით № 230—მოგახსენებ, რომ 1 მაისის წინა ღამით პოლიციის მოხელეებმა 1 საპოლიციო უბანში აღმოაჩინეს სხვა და სხვა ალაგას 28 პროკლამაცია და 6 წითელი პატარა ბაირაღი; მეორე საპოლიციო რაიონში—4 პროკლამაცია და 1 პატარა წითელი ბაირაღი, მეოთხე საპოლიციო ნაწილში—8 პროკლამაცია და სამი პატარა წითელი ბაირაღი, პროკლამაციები ყველა ქართულ ენაზეა დაბეჭდილი და შეიცავს მოწოდებას მუშებისადმი, რომ პირველი მაისი იდღესასწაულონ, ბაირაღები პატარა ზომისაა ქართული წარწერით: — „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!".

„დილით, 4 მაისს, სამუშაოდ არ გამოსულან რუსთა და რუსეთის გემთა მიმოსვლის საზოგადოების და სბროიავაკკას მუშები, რიცხვით

650 კაცი. 2 საათიდან მუშაობა აღკვეთეს ფოთის ნავსადგურის სამმართველოს სახელოსნოს მუშებმა, რიცხვით 20 კაცმა.

„რკინის გზაზე და შავი ქვის დატვირთვის საქმეზე მუშები მთელი დღე განუწყვეტლივ მუშაობდენ. არავითარ გამოსვლას, მიტინგებს და დემონსტრაციებს ამ დღეს ადგილი არ ჰქონია მუშების მხრით და დღეც მშვიდობიანათ ჩატარდა. აღმოჩენილი პროკლამაციები, 40 ცალი და 10 წითელი პატარა დროშა მე წარკუდგინე ქუთაისის გუბერ. ჯანდა სამმართველოს უფროსის თანაშემწეს ბათუმის ოლქში“.

ფურცლები ძანსულში. ეჭვით შეიპყრეს ექვსი მუშა.

ბათომის ჯანდარმთა სამმართველოს განყოფილების მოხსენება ქუთაისის ჯანდარმერიისადმი (2 მაისი, № 907).

„ძანსულში ფურცლების გავრცელებისათვის ეჭვით შეიპყრეს ექვსი. მივეგზავნეთ საქმის გამოსაძიებლათ“.

სრულიად მშვიდობიანათ... მხოლოდ ფურცლები და პლაკატები ბლომათ გაავრცელეს.

(2 მაისი, № 912)

„2 მაისს გამოგზავნილი დეპეშის დამატებათ მოგახსენებ, რომ პირველი მაისი ბათომში ჩატარდა სრულიად მშვიდობიანათ. მუშაობა სხვადასხვა წარმოებებში და აგრეთვე პორტში არ შეწერებულა. მუშები ყველანი თავ-თავიანთ ალაგებზე დარჩნენ. 1 მაისის წინა ღამით ქალაქში და ბარაკების რაიონში ცოტაოდენი პროკლამაციაგავრცელეს რ. ს. დ. მ. პარტიის ბათომის კომიტეტის სახელით ქართულ და რუსულ ენებზე და ქართულ ენაზე — რსდმპ კავკასიის საოლქო კომიტეტის სახელით (სტამბა საოლქო კომიტეტისა). ამ შინაარსისვე ფურცლები გავრცელებულ იქნა ძანსულის ქარხნებში და ქ. ფოთში. როგორც უნტერ-ოფიცრის ჩურკინის მოხსენებიდან სჩანს, ფოთის წარმოებებში მუშაობა არ შეწყვეტილა, გარდა რუსთა და რუსეთის სანაოსნო საზოგადოებათა მტვირთავი მუშებისა, რომლებიც სამუშაოდ არ გამოსულან. არავითარი დემოსტრაცია ან სხვა გვარი გამოსვლა არ ყოფილა. პორტში გავრცელებულ იქნა პროკლამაციები, 42 ცალი, რომლებიც პოლიციის მოხელეებმა შეაგროვეს. ამას გარდა, პორტშივე ჩამოხვნილ იქნა 10 პატარა ბაირალი — ზომით თითეული საწერ ქაღალდის ნახევარ ფურცელზე ცოტა უფროსი, წითელი მატერიისა, წარწერით ქართულად — „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“!

„თუ როგორ ჩატარდა 1 მაისი ქალ. ფოთში, მოგახსენებ პოლიცმეისტარისაგან მოხსენების მიღების შემდეგ. პოლიციის დეპარტამენტისათვის არ მომიხსენებია.

„ზემოხსენებული პროკლამაციების თითო ეგზემპლიარს ამასთან ერთად მოგართმევთ“. პოლკოვნიკი **გავრილოვი**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოკიდებული იყო ელექტრონის ბოძზე წარწერით: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის ბათომის განყოფილების მოხსენება (№ 508—1914 წ. 2 მაისის თარიღით).

„პირველი მაისი რკინის გზის განყოფილების რაიონში ისე ჩატარდა, როგორც ჩვეულებრივი დღე. სხვა და სხვა სახელოსნოების როგორც ხელოსნებმა და მუშებმა, აგრეთვე ტვირთის მზიდავმა მუშებმაც იმუშავეს დაწესებულ საათებში. ქალაქ ფოთში, ნაეთსადგურში ზოგიერთ ალაგას გამოჰკიდეს წითელი, პატარა დროშები ზომით 6-ერ. ×6 და გაკრულ იქნა ქართულ ენაზე პროკლამაციები. დილით ადრე ნავსადგურის სამმართველოს ჩამოვლის დროს ჟანტერ-ოფიცერმა პოპოვმა ჩამოხსნა ოთხი ასეთი ერთნაირი ზომის წითელი ბაირაღი. ასეთივე ბაირაღები გამოკიდებული იყო ელექტრონის ბოძებზე ქართული წარწერით—„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“. როგორც რუსთა, ისე რუსეთის სახელოსნო საზოგადოების მუშები სამუშაოდ არ გამოსულან სრულიად და გემები „ტრუვორი“ და „მარია“ დაუცლელი დარჩა. ვარდგენ რა ამასთან ერთად, ზემოხსენებულ სამ ბაირაღს, მოგახსენებთ, რომ მეოთხე ბაირაღი წარვუდგინე პოლ. გავრილოვს ამ მოხსენების ასლთან ერთად“.

ურიადნიკის მიერ დაჭერილი პროკლამაციები.

ბათომის ოლქის უფროსი „საიდუმლოთ“ ატყობინებს ქანდარმთა სამმართველოს (№ 157—1914 წ. 1 მაისის თარიღით).

„სლობოდა ხოლოდანაის სადარაჯოს ურიადნიკმა რაპორტთან ერთად (№ 74) წარმომიდგინა მთავრობის საწინააღმდეგო სამი დაბეჭდილი პროკლამაცია მუშათა სოციალისტური პარტიისა.—ორი რუსულ ენაზეა დაბეჭდილი, ერთი ქართულზე და მომახსენა, რომ ეს ფურცლები მან გათენებისას მოკრიფა ბარცხანის ტბეზე.

„ვაცნობებ რა ზემოხსენებულის შესახებ თქვენს მაღალკეთილშობილებას ორი პროკლამაციის წარმოდგენით, გაუწყებთ, რომ მესამე პროკლამაცია (რუსული) ამავე შინაარსისა დღეს მე წარვუდგინე ბათომის ოლქის სამხედრო გუბერნატორს. ოლქის მმართველი, პოლკოვნიკი (ხელს აწერს).

ბოჭაულ ლანდიას ზომები...

დეპეშა ორი მისამართით. ქუთაისის ქანდარმთა სამმართველოს თანაშემწეს, ასლი პროკურორის ამხანაგს.

„30-ს ღამით უცნობმა პირებმა ქარხნებში გააკრეს პროკლამაციები. ზომები მიღებულია. წესიერება არ დარღვეულა. მუშები ყველანი სამუშაოზე არიანთ. ძანსულის ბოჭაული **ლანდია**.

ჟანდარმ ჩურკინის დეპეშა.

ფოთიდან ბათომში (დეპეშა). 1 მაისი 1914 წ. ჟანდარმთა პოდპოლ. გავრილოვს.

„სიმშვიდეა. დაწვრილებით ფოსტით გაცნობებთ“. **ჩურკინი.**

ექვსი ცალი პროკლამაცია „მაღალკეთილშობილების" განკარგულებაში.

ბათომის პოლიციმეისტერი—ქუთაისის, გუბ. ქანდ. სამმართველოს უფროსის თანაშემწეს. (№ 265—1 მაისი 1914 წ.)

„ამასთან ერთად ვგზავნი თქვენი მაღალ კეთილშობილების განკარგულებაში ექვს ცალ პროკლამაციას რუსულსა და ქართულს ენებზე, რომლებიც ნაპოვნია ამ ღამით მეოთხე საპოლიციო უბანში, პუშკინის პროსპექტზე". პოლიციმეისტერი (ხელს აწერს).

ქუთაისის ჟანდარმერიის აზრით პროკლამაციები ბათომის რაიონში იბეჭდება.

ქუთაისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი—თავის თანაშემწეს ბათომის ოლქში (№ 3015—12 მაისი 1914 წ.) სწერს:

„მოგიწერ მომახსენო რა ზემიება თქვენ მიერ მიღებული იმ პირთა აღმოსაჩენად, რომელნიც დამნაშავენი არიან საპირველმაისო ფურცლებისა და პლაკატების—წითელი მატერიისაგან, წარწერით,—„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდითო", 1 მაისის წინა ღამით ქალაქ ფოთში მოფანტვისა და კედლებზე გაკერაში". პოლკოვნიკი (ხელს აწერს).

ფურცლები კი, თურმე ქუთაისში იბეჭდება და იჭიდანვე ვრცელდება. ასე ფიქრობს ბათომის ჟანდარმერია..

№ 1040

მაისის 18—1914 წ.

სრულიად საიდუმლოთ.

„შემთხვევით მიღებული ცნობების თანახმად საპირველმაისო ფურცლები რუსულ და ქართულ ენებზე თითქოს დაიბეჭდა იმ სტამბაში, სადაც იბეჭდება ქართული გაზეთი „ბაზრი", რომლის რედაქტორ-გამომცემელი რსდმ. ქუთაისის ორგანიზაციაში თვალსაჩინო როლს ასრულებს, დადის ქუთაისის გუბერნიის პატარა ქალაქებში, სადაც თითქოს ლექციებს კითხულობს და ასე გამბული აქვს კავშირი ამავე პარტიის ადგილობრივ ძალებთან.

„საპირველმაისო ფურცლებიც თითქოს დაგზავნილია ქუთაისიდან: ფოთში—რუსეთის სანავსნო საზოგადოების მუშის ურუშაძის სახელზე, სამტრედიაში—ბიბლიოთეკა სამკითხველოს გამგის სახელზე, და სენაკში—რკინის გზის გაზეთის კიოსკის პატრონის სახელზე.

„მოგახსენებ რა ზემოხსენებულს, გთხოვთ მოახდინოთ განკარგულება და შეამოწმოთ ეს ცნობები, თუ რამდენათ საიმედონი არიან ისინი".

პოდპოლკოვნიკი: (ხელს აწერს).

განყოფილება

= II =

პირველი რევოლუციის 1905 წ. ხანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

1905 წლის მოძრაობა მთავრობის ცნობათა მიხედვით.

ჩვენ შევეცადეთ 1905 წლის გაზეთების მიხედვით დაგვეხატა, თუ გინდ მკრთალი სურათი იმისა, რაც იანვრის 9-ს პეტროგრადში მომხდარი ამბებით იყო გამოწვეული ჩვენში--საქართველოში და ამიერ-კავკასიაში.

გადავათვალიერეთ ამ წლის ზოგიერთ გამოცემათა კომპლექტები და ასეთი კითხვა დაგვებადა—9 იანვარი რომ არ ყოფილიყო, რა გამოძახილს ჰპოვებდა ჩვენში 1904 წლის გასულს ბაქოში მომხდარი მუშათა გრანდიოზული გაფიცვა?

ცხადია, 9 იანვარმა დიდათ გააღვივა რევოლიუციონური ცეცხლი, საყოველთაო აღფრთოვანება-აღტაცება გამოიწვია, მაგრამ რევოლიუციონური ნაპერწკალის მისაღებათ 1905 წელს უიმისოდაც კარგად მომზადებული, ადგილი ასაფეთქებელი იყო ბაქო, საქართველო და საერთოდ მთელი ამიერ-კავკასია.

ბაქოს პროლეტარიატის გრანდიოზული გაფიცვა—ეს ისეთი ძლიერი მეხი იყო მთავრობის თავზე, რომელმაც დაარტიანა როგორც მსხვილი, ისე წვრილ-ფეხა ბობოლები,

და მთავრობაც, მისი აგენტები შეუდგენ საქმეს...

განმათავისუფლებელ მოძრაობასთან საბრძოლველად რუსეთში დაცდილი საშვალება იყო ებრაელების დარბევა—„პოგრომი". და რადგანაც ამ ზომას ჩვენში ისეთი გასავალი არ ექნებოდა, მთავრობამაც სხვა ხერხს მიმართა,

ეს იყო სომეხ-თათართა შორის ხოცვა-ჟლეტის გამოწვევა და ასე, რევოლიუციონური მოძრაობის, შესუსტება იმისი განადგურება.

მთავრობის მოხელეები თუ აგენტები ორ ჯგუფად გაიყვნენ—ერთი თათრებს ემხრობოდა სომხების წინააღმდეგ (გუბერნატორი ნაკაშიძე ბაქოში, გენ. თაყაიშვილი—განჯაში და სხ.) მეორე ჯგუფი სომხებს—თათრების წინააღმდეგ.

ბაქოს დეკემბრის გაფიცვით დამფრთხალი მთავრობა ჯერ კიდევ 9 იანვრამდე შეუდგა „მზადებას"...

რას აკეთებდენ ამ დროს სხვა და სხვა პოლიტიკური პარტიები?

როგორც სომხური, ისე თათრული ნაციონალისტური პარტიები თითქოს ბევრს ყვიროდენ ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგ, მაგრამ მათი მოქმედება ობიექტიურად ხელს უწყობდა ამ ხოცვა-ჟლეტას...

ერთად ერთი პარტია—სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, ებრძოდა ამ უბედურებას, ბევრი მსხვერპლი შესწირა მან ამ ბრძოლას და მისი წვლილი ამ საქმეში არც უმნიშვნელო ყოფილა.

მაგრამ საერთოდ მთავრობამ მაინც მიზანს მიაღწია: სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტის გამოწვევით, მისთვის ხელის შეწყობით, მან სრულიად გაანადგურა რევოლიუციონური მოძრაობა, სავსებით ჩაჰკლა ის აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში. ეს თავის დროზე უკვე იყო აღნიშნული და მომავალი ისტორიკოსიც მას, უეჭველია, უფრო დაწვრილებით გამოიკვლევს.

შეეცღებით მომავალში აღვადგინოთ რამდენიმეთ მაინც ამ სამარცხვინო ძმათა ჟლეტის სურათი, ახლა კი ჩვენ გვაინტერესებს რევოლიუციონური მოძრაობა.

მაშასადამე, 1905 წლის რევოლიუციონური მოძრაობა იყო მხოლოდ საქართველოში.

მხოლოდ საქართველოში პოულობდა გამოძახილს რუსეთის პირველი რევოლიუციის ამბები.

გადაათვალიერეთ იმ დროის გაზეთები და თქვენ იქ ამოიკითხავთ ამის დამადასტურებელ ცნობებს—მთავრობის განკარგულებათა თუ კერძო ცნობათა სახით: აქ მუშები და გლეხები ებრძვიან კაპიტალისტებს და მემამულეებს, ებრძვიან თვითმპყრობელობას...

ჩვენ განზრახ მოგვყავს აქ ცნობები უმთავრესად ოფიციალური ხასიათისა. ეს იმის დასასურათებლათ, თუ როგორ ეჭირა თავი მთავრობას, როგორ ებრძოდა ის განმათავისუფლებელ მოძრაობას, როგორ ზომებს ხმარობდა და სხ.

ამ ოფიციალურ ცნობათა შორის ჩვენ ვათავსებთ კერძო ცნობასაც, რომელიც ეხება ქუთაისში 14 თებერვალს (1905 წ.) მომხდარ გამოსვლას, რაც ჩვენის აზრით კარგი სახელმძღვანელო მაგალითი იქნება იმ ამხანაგებისათვის, რომელნიც ამა თუ იმ გამოსვლაში თავიანთ ან სხვათა მონაწილეობის შესახებ მოგონებებს მოგვაწვდიან.

ჩვენი ქრონიკა ჯერ-ჯერობით აღწევს მხოლდ 17 ოქტომბრამდე. მომავალში შევეცდებით მის განგრძობას.

მომავალში ჩვენ, როგორც ვთქვით, აგრეთვე ზოგიერთ მასალებს მოვათავსებთ სომეხ-თათართა დამოკიდებულების შესახებ, ამ ჟამად კი ქვემოდ ვათავსებთ ერთს დოკუმენტს, რომელიც ეხება დაშნაკცუტიუნის პარტიას.

* * *

ბაქოს მუშათა გაფიცვა

(„მოგზაურები" № 2—1905 წ.)

გასული წლის (1904 წ.) 13 დეკემბერს ბაქოს მუშებმა გაფიცვა დაიწყეს. თითქმის ყველა სამრეწველო რაიონებში, ფაბრიკებში, სტამბებსა და სახელოსნოებში მუშაობა შეჩერდა. ხელოსნები და მუშები ჯგუფ-ჯგუფათ შეგროვილნი გადადიოდნენ ერთი სამრეწველო ადგილიდან მეორეში, აჩერებდენ მუშაობას და „სტანკებს". ზოგიერთი სახელოსნოები, როგორც მაგალითად როტშილდისა, რომლებშიაც მუშაობის განახლებას აპირებდენ, გაფიცულთა ბრბომ დალეწ-დაანგრია.

გაფიცვა მეორე დღესაც გაგრძელდა და თანაც გაძლიერდა, რის გამო აღარ გამოსულა ადგილობრივი გაზეთები. ორთქლის უქონლობის გამო ელექტრონის სადგურმაც შესწყვიტა მუშაობა და მთელი ეს ადგილი სიბნელემ მოიცო. შეწყვეტილ იქნა აგრეთვე ტელეფონი ქალაქსა და სამრეწველო რაიონებს შუა.

წესიერების აღსადგენათ და არეულობის მოსასპობათ თფილისიდან ჯარი ჩამოვიდა, რომელმაც დაიჭირა ადგილი ქარხნების რაიონში და რკინის გზის დაყოლებაზე.

მუშების მოთხოვნილებანი დაახლოებით შეეხებოდა: სამუშაო დღის შემცირებას, სამუშაო ქარის მომატებას, ზედმეტ მუშაობის მოსპობას, მუშათა ბინის მოწესრიგებას, მუშებთან ზრდილობიან მოპყრობას, რიგიან აბანოების გამართვას და სხ.

14 დეკემბერს ნავთის მწარმოებელთა სხდომამ დაადგინა ცალკე კომისიის შედგენა, რომელსაც მუშათა წარმომადგენლებთან ერთად უნდა განეხილა გაფიცულთა მოთხოვნილებანი და ერთმანეთთან შეთანხმებით შეწყვეტილი მუშაობა აღედგინათ. მოლაპარაკებამ უნაყოფოთ ჩაიარა. ბოლოს საქმე იმდენთ გამწვავდა, რომ გაფიცულ მუშებსა და პოლიცია-ჟანდარმებს შორის სასტიკი შეტაკება მოხდა, რამაც რამდენიმე კაცი იმსხვერპლა.

როგორ გათავდა ეს გაფიცვა?

ბაქოს გაფიცვა ასე დამთავრდა: 1) შემოღებულ იქნა 9 საათის სამუშაო დრო; 2) ერთი თვისუფალი დღე კვირაში (ხელფასის მიუცემლად) 3) ოთხი დღით დასვენება ერთი თვის განმავლობაში; 4) უქმეების წინა დღეებში 8 საათის სამუშაო დღე; 5) ზედმეტი მუშაობის მოსპობა; ღამის „სმენა" 8 საათის სამუშაო დღით; 7) სამი „სმენის" დაწესება ჭების მთხრელ მუშათათვის; 8) სამი „სმენის" შემოღება კოჩეგარების, მასლიორშჩიკების და სხ. სამუშაოზე, სამუშაო ქირის მომატება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭის მთხრელებისათვის (თვიურად)	20	მ.	ნაცვლად	18	მანეთისა
„ტარლტალ შჩიკებისათვის“	„	21	„	„	17	„
„ვედერშჩიკებისათვის“	„	18	„	„	15	„
„კოჩეგარებისათვის“	„	22	„	„	19	„
„მასლიონშჩიკებისათვის“	„	21	„	„	18	„
შავი მუშებისთვის	„	20	„	„	18	„
უროს დამრტყმელისთვის (დღიურად)	1	მ.	20	კ.	80—90	კ.
შეგირდებისთვის	„		40	„	„ 20	„

10) ავადმყოფობის დროის ქირის მიცემა სამი თვის განმავლობაში; 11) მრეწველთა მიზეზით გაცდენილი დღეების ქირის მიცემა მუშებისათვის; 12) ბინის ქირის გადიდება, ბალახანაში.

ოჯახის პატრონ ხელოსნებისთვის	13	მ.	ნაცვლად	7—8	მ.
მარტოხელთ . . .	7	„	„	4—3	„
უროს დამრტყმელ ოჯახის პატრონთ	6	„	„	3—	
მარტოხელთ . . .	3	„	„	1½	„
შავ და თეთრ ქალაქში ხელოსანთ ოჯახის პატრონთ . .	8	„	„	6	„
მარტოხელთ . . .	4	„	„	2—3	„

13) უფასოდ მიცემა მუშებისთვის (ბინაზე მიტანით) ნავთისა. წყლისა და კეროსინისა (1 ფუთი ოჯახის პატრონთ, ½ ფუთი მარტო ხელთ); 14) უფასო აბანო ყოველკვირეულად; 15) ჩხრეკის მოსპობა; 16) განცხადების გამოკიდება მუშაობის მაძებართათვის, რითაც მუშების მიღების დროს ალაგმული იქნება მმართველთა თვით-ნებობა; 17) საიჯარო მუშაობის ნაცვლად საარტელო მუშაობის შემოღება; 18) გაფიცვის დროს სრული ხელფასის მიცემა ოჯახის პატრონ მუშათათვის ერთი თვის, მარტოხელთათვის — ნახევარი თვისა.

იანვრის პირველს სამრეწველოებში შეუდგენ ჭების თხრას, იანვრის 2 ს ამუშავდა მექანიკური სახელოსნოები და იანვრის 3-ს ადგილობრივმა მთავრობამაც თავისუფლად ამოისუნთქა და მეფეს მოახსენა, რომ ბაქომ ჩვეულებრივი სახე მიიღოო *)

მთავრობის პირველი ცდა ხომეხ-თათართა შორის შეტაკების გამოსაწვევად.

გაზ „კავკაზში“ დაბეჭდილია: „12 იანვარს ბაქოში, როდესაც ტუსაღი ბალა-აღა-მეშედ-რიზა-ოღლი, რომელსაც მკელლობა ბრალ-

*) ეს ცნობები ამოღებულია ამხ. ე. ნევსკის სტატიიდან—„1904 წლის დეკემბრის გაფიცვა ბაქოში“, რომელშიაც ავტორს მრავალი სახმობები მოუყვას პოლიციის დეპარტამენტის ხელმეგობიდან“. იხ. „Проп. Рев.“ № 2 (25)—1924. რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებოდა, გამომძიებლიდან ბრუნდებოდა, მოიწადინა გაქცევა. ტუსაღს თან ახლდენ სალიანის მე-262 პოლკის სალდათები ნიკოლოზ არუთინიანცი და კარაპეტ ბაბახანოვი. როდესაც ზემოხსენებული ტუსაღი გაიქცა, სალდათები გამოუდგნენ და უსროლელათ რამდენსამე ადგილს დასჭრეს, რის გამოც ტუსაღი გზაში მოკვდა. ამის შემდეგ ადგილობრივ მცხოვრებთა შორის ხმა გავარდა,—ძალათ მოკლეს ტუსაღიო. ბაბაღლის ძმამ ქერბალაი ფარუხმა ფორმალური თხოვნა გადასცა ბაქოს გუბერნატორს; ამის გამო ამ ჟამად გამოძიება სწარმოებს, მაგრამ ვიდრე საქმის ნამდვილი ვითარება გამოირკვეოდა, 6 თებერვალს მომხდარ ამბის გამო ქ. ბაქოში, მოედანზე, ორ ადგილობრივ მცხოვრებთა შორის მოხდა შეტაკება, რომლის დროსაც ერთი მძიმედ დაიჭრა. ამან მცხოვრებთა შორის მძრაობა გამოიწვია, რასაც ძალმომრეობა მოყვა. სულ მოკლულ და დაჭრილ იქნა 35 კაცი. 7 თებერვალს საქმე გამწვავდა და შეიარაღებული თავდასხმა განაგრძეს. წესიერებისა და მშვიდობიანობის აღსადგენათ ბაქოში მიღებულ იქნა საჭირო ზომები".

ოფიციალური განცხადება კავკასიაში მომხდარ მუშათა გაფიცვის შესახებ

(გაზ. „კავკაზი"-დან).

ბაქოს მუშათა შორის დაწყებული მღელვარება გასული წლის დეკემბერში გადაედგა ბათუმის მუშებს. ბაქოდან ჩამოსული აგიტატორთა გავლენით როტშილდის და მანთაშევის ქარხნების მუშები, რიცხვით 300-დან 400-კაცამდე, შეიკრიბენ ბარცხანის ხიდზე, საქონლის სადგურის მახლობლათ, ააფრიალეს რამდენიმე წითელი დროშა რევოლიუციონური წარწერებით და რევოლვერების სროლით, რკინის გზის ლიანდაგის დაყოლებით გაემართენ დეპოსაკენ, თანაც პროკლამაციებს აბნევდენ. ათი წუთის შემდეგ, შენიშნეს რა ყაზახ-რუსთა მოახლოვება, დაიშალნენ წინააღმდეგობის გაუწევლათ. არავითარი განსაკუთრებული ზომა არ უხმარიათ და მეორე დღეს ყველა ქარხნის მუშები მშვიდობიანათ შეუდგნენ საქმეს. მაგრამ მღელვარება ამით არ დასრულებულა.

17 იანვარს დილით ბათუმის ზღვის სადგურზე გაჩნდა ხუთასამდე მუშა და ძალით შეაწყვეტინა მუშაობა რკინის გზის, რუსეთისა და რუსიის სანავოსნო საზოგადოებათა მუშებს, თანაც სიკვდილით დაემუქრენ მუშაობის დამწყებთ. საქონლის დასაცავათ დატოვეს დარაჯები. უწესოება არაფერი მოუხდენიათ. გაფიცულები თხოულობდენ ხელფასის მომატებას.

ამავე დღეს გაიფიცნენ სადგურ რიონის ბუფეტში • მოსამსახურენი, რომელნიც თხოულობდენ ერთ ხახვად ჯერ ჯამაგირის გადი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებას და ბინას. სადგურის უფროსის თხოვნით მოსამსახურენი დარჩენ ალაგზე 20 იანვრამდე.

18 იანვარს გაიფიცენ რემონტის ყველა მუშები ბათუმის ნაწილისა (ბათუმიდან-საჯევახომდე); ამათაც მიატოვეს თავისი თანამდებობის ასრულება და თხოულობდენ ქირის მომატებას.

19 იანვარს ბათუმის ქარხნებში სულ მცირე მუშაობა სწარმოებდა. კინის გზის ყველა კანტორის მოხელეებმა და ამწყრლებმა მიიღეს არის ბარათები და მუშაობა აღკვეთეს. პოლიციის ძალდატანებით გამოსული მეეტლები ისევ დაბრუნდნენ უკან, გაფიცულთაგან გაფრთხილებულნი.

გაფიცვა არც ტფილისს ასცილდა. აქ ის დაიწყო 18 იანვარს რკინის გზის სახელოსნოებსა, მექანიკურ ქარხნებსა და კერძო სტამბებში მუშაობის შეწყვეტით. საერთოდ გაფიცულთა რიცხვი 3000—4000-მდე ადიოდა. გამოდიოდა მხოლოდ გაზეთი „კაკაჯი". 19 იანვარს გაფიცულთა რიცხვს მიემატა ადელხანოვის ფაბრიკის მუშები, თამბაქოს ფაბრიკის „მირ"-ის მომუშავენი და ყველა ნოქრები თამამშევის ქარვასლისა. საერთო რიცხვი ამ დღეს გაფიცულთა 4000 კაცამდე ადიოდა.

ნაშუადღევის სამ საათზე დიდუბეში, ბათუმის მოედანზე, შეგროვდა 200-მდე რკინის გზის მუშა, რომლებმაც განუცხადეს ბოქაულს სურვილი დეპუტატთა ხელუხლებლობა. მუშათა ეს მოთხოვნილება დაკმაყოფილებულ იქნა მხოლოდ იმ პირობით, თუ ამორჩეული დეპუტატები იქონიებენ მსჯელობას მარტო ეკონომიურ მოთხოვნილებათა შესახებ და არ გადაცდებოდენ ამ ფარგალს. მიუხედავად ამისა მუშებმა არ მოისურვეს დეპუტატთა ამორჩევა და მოითხოვეს წინა დღით დატყვევებულთა განთავისუფლება.

დღის განმავლობაში დატყვევებულ იქნა რამოდენიმე აგიტატორი რკინის გზის მუშათა შორის, აგრეთვე რამოდენიმე მუშა, რომელნიც ცდილობდენ ძალით მოეშორებინათ მუშაობის მსურველნი ან სიტყვის წარმოთქმა უნდოდა.

20 იანვარს მუშაობა აღკვეთეს „კონკისა" და ელექტრონის ტრამვაის მუშებმა, მაგრამ მიღებული ზომების გამო პირველი საათიდან მოძრაობა რამოდენიმეთ აღდგენილ იქნა სამხედრო დარაჯების თანახლებით.

უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში ტფილისში თანდათან ვრცელდებოდა მუშათა გაფიცვა. გაფიცვას შეუერთდენ ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკის, ტოლლეს, თაიროვის და ალიხანოვის საპონის ქარხნების მუშები, მაგრამ პოლიციასა და გაფიცულებს მაინცა და მაინც მწვავე შეტაკება არ მოსვლიათ. „კონკის" ვაგონების მოძრაობა ისევ სამხედრო დარაჯების თანახლებით ხდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

20 იანვარს, დილით, მუშათა მცირე ჯგუფი თავს დაესხა ავჭალის „კონკის“ ერთ ვაგონს, ქალაქის გარე უბანში, ჩამოსხა მგზავრები და დაუწყო მტვრევა ვაგონს, მაგრამ ამ დროს მივიდა ექვსი სალდათი და მუშები შეაჩერეს. ამ სალდათებს შემოეხვივნენ მუშები და მომხდარ შეტაკების დროს ერთ სალდათს მსუბუქათ დაუშავდა თავი და ხელი. სალდათები შეუდგენ თოფის კონდახებით ხალხის გაფანტვას და ამ დროს მოსულ დრაგუნთა „ვზვოდის“ დახმარებით გაფანტეს კიდეც გაფიცულნი. შეპყრობილ იქნა ექვსი კაცი.

იმ მუშების დასაცველათ, რომელთაც მუშაობის დაწყება სურდათ, მიღებულ იქნა ყოველივე საჭირო ზომა, რის წყალობით რკინის გზის მუშათა ნაწილმა დაიწყო კიდეც მუშაობა.

ბათუმშიაც გაგრძელდა გაფიცვა. ახლათ გაიფიცნენ ამწონლები.

21 იანვარს სად. სამტრედიაში მუშები, რიცხვით 300-მდე, ყირინით, სტვენით და თოფის სროლით მივიდენ რკინის გზის სადგურზე, ძალით წამოასხეს ყველა მეისრეები, ვაგონების გადამბმელნი, მატარებლების შემდგენელნი; შეცვივდენ ავრეთვე სადგურის კანტორებში და გამოიყვანეს კანტორის ყველა მოსამსახურეები,—ამწონელები, ტელეგრაფის მოხელეები და აუყრძალეს მათ მუშაობა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი სიკვდილით ემუქრებოდენ. სადგურიდან ხალხი გაემართა იქვე მდებარე სოფელ სამტრედიის ბაზრისაკენ, სადაც ძალით დააკეტვინეს დუქნები, მაღაზიები და სხვა საჭირო დაწესებულებანი. აქ წესიერების დამცველთ შეუერთდენ სოფელ სამტრედიის მცხოვრებნი. ამის შემდეგ მომხდარ შეტაკების დროს მოკლეს სოფლის მამასახლისი და სოფელსაც ცეცხლი წაუკიდეს; იწრდა მაღაზიები. იმავე ღამის ბათუმისაკენ მესამე ვერსტზედ ბოროტ-გამზრახველთ აჰყარეს რკინის გზის ლიანდაგი, მაგრამ გზის წახდენა დროზე იქნა შემჩნეული. გზა უკვე შეკეთებულია.

ქ. ფოთში გაიფიცნენ ნავსადგურის მუშები და ბარგის ყოველგვარი ოპერაციები შეჩერებულია.

21 იანვრს, საღამოს, გაფიცულთა აგიტატორები ქ. ტფილისში გულმოდგინეთ ავრცელებდენ მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციებს. რამდენიმე აგიტატორი პოლიციამ შეიპყრო.

22 გაფიცება გაგრძელდა, მაგრამ დღემ მშვიდობიანათ ჩაიარა კვირას, 23 იანვარს, შეამჩნიეს, რომ მუშებმა იწყეს სვლა გოლოვინის პროსპექტზე, სალდათის ბაზარში და ერევნის მოედანზე. შუადღის 12 საათი იქნებოდა, როცა თეატრის ვიწრო ქუჩიდან, რო, მელიც სახაზინო თეატრის გვერდით არის, უეცრად გამოვიდა გოლოვინის პროსპექტზე მუშათა ჯგუფი, რომელსაც შეუერთდენ ახლო მახლო მყოფი სხვა მუშებიც. მანიფესტანტებმა, რიცხვით სამასამდე, ააფრიალეს წითელი დროშა, შეუდგენ პროკლამაციების მობნევას

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რევოლვერების სროლა დაუწყეს პოლიციის მოხელეებს; რომლებსაც უწდოდათ დროშის წართმევა; ის პოლიციელი, რომელმაც მანიფესტანტებს დროშა გამოსტაცა, რევოლვერით დასჭრეს სერიოზულად ორ ადგილს და ის დაეცა კიდეც; დასჭრეს და წაიქცა აგრეთვე მეორე პოლიციელი, რომელმაც კვლავ გამოსტაცა დროშა მანიფესტანტებს, ხოლო მესამე, რომელმაც საბოლოოთ წაართვა დროშა და დაიჭირა მედროშე, დასჭრეს ხანჯლით. არეულობა გაგრძელდა არა უმეტეს ხუთი წუთისა. მანიფესტანტები, რომელთაგან ბევრი შეიარაღებული იყო, მალე გაფანტა ქალაქის პოლიციამ და საპოლიციო დარაჯთა რაზმმა. ოცდაათი მანიფესტანტი დაიჭირეს. აკრიფეს ორი ტომარა პროკლამაცია. ამ დროს მოვიდა ყაზახები და მხედრობა, მაგრამ იარაღის ხმარება აღარ დაჭირვებიათ. მანიფესტანტების ის ნაწილი, რომელსაც ცხენოსანი დარაჯები (სტრაჟნიკები) და ყაზახები დაედევნენ, შეიდგა ბარიათინსკის ქუჩის ბოლოში მოთავსებულ ყაზახების ეზოში და ალაყაფის კარები ჩაკეტა. როცა პოლიციელებმა მოუარეს და სხვა გზით ეზოში შეიდენ, მუშები თავს დაესხენ საპოლიციო დარაჯს, რამდენიმე ადგილას დასჭრეს თავში ხანჯლით და დასცეს. ეზოში გამაგრებულ მანიფესტანტთა ჯგუფი მალე გაფანტულ იქნა და სხვა და სხვა მხარეს გაიქცა. გაფანტულ მანიფესტანტებს, როგორც ჩანდა, კიდევ უნდოდათ თავი მოეყარათ ბაზრის მოედანზე, მაგრამ პოლიციამ დაუშალა.

თუ რამდენი დაშავდა მანიფესტანტებიდან, ჯერ დანამდვილებით არ არის გამოკვლეული, მაგრამ ვიცით, რომ საავადმყოფოში მიყვანილია ათი, ამათგან ერთი მძიმეთ არის დაშავებული. პოლიციის დაბალ მოხელეთაგან დაჭრილია ოთხი, ამათგან ერთი მძიმეთ, გარდა ამისა, რამდენიმე მსუმბუქად არის დაშავებული და გაკრული.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის ლიანდაგზე ამ უკანასკნელ დღეებში გაფიცება უფრო და უფრო ერცელდება. 22 იანვარს გაიფიცენ ყველა მეისრეები და დარაჯები სადგურებზე: ქვალონი, ნიგოითი, საკვევახო, კოპიტნარი, ბაბაში და ჭალადიდი. ფოთის სადგურზე იმავე რიცხვიდან გაიფიცენ ნავთსადგურის მუშების გარდა შავი-ქვის მტვირთავი მუშებიც, ხოლო 23-დან კი ყველა სამანევრო ორთქლმავლების მემანქანენი, ორთქლმავალები კი ლიანდაგზე და დეპოში დაადგეს.

22 იანვარს, სადგურ სამტრედიის მახლობლად ბოროტგამზრახველთ დაუხსნათ რელსები და ამის გამო მიმავალი სამხედრო მატარებელი, რომელსაც ბათუმში მიყავდა კურინსკი პოლკის რაზმი (კომანდა), რელსებს გადასცდა ტენდერით და ათი შავი ქვით დატვირთული ვაგონით. ადამიანებს უბედურება არა შემთხვეოდათ-რა.

უკანასკნელ დღეებში ტფილისში გაიფიცენ საყარაულოს სალახები, ხოლო 25 იანვარს გაფიცება დაიწყეს აფთიაქებში ფარმაცევტებმა და

აფთიაქების მოწაფეებმა. პოლიციამ დაატუსაღა 12 აგიტატორი, რომელნიც აფთიაქების დაკეტვისათვის მუშაობდენ.

დილის 7 საათზე, 24 იანვარს, გაფიცულთა მუქარითა და წაქეზებით მუშაობა შეწყვიტეს აგრეთვე რკინის გზის ბათუმის დეპოს მსახურებმა, ოსტატებმა და მუშებმა.

25 იანვრიდან გაიფიცენ: ტყვიბულის ქვა-ნახშირის მუშები, ყვირილისა და შორაპნის დეპოების მუშები, შორაპნის სადგურზე ბარგისა და ტვირთის მზიდავები; ყველა ესენი, წესიერების დაურღვეველად დაიშალენ და თავ-თავიანთ სახლებში წავიდენ. ამავე დღეს მუშაობა შესწყვიტეს რკინის გზის განჯის დეპოს მუშებმა, რიცხვით 200-მდე; მათ წარადგინეს სხვა და სხვა მოთხოვნა თავის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ; საღამოს გაფიცულ მუშათა მუქარით მუშაობა შესწყვიტეს განჯის სადგურის სხვა და სხვა დაბალ მოხელეებმა.

26 იანვარს გაფიცვა დაიწყო ჰიათორაშიც.

28 იანვარს დილას ყვირილაში გაფიცულებმა მოიწადინეს მანიფესტაციის მოხდენა; გამოვიდენ ქუჩაში, მაგრამ წინ გადაეღობა პოლიციის დარაჯი, რომელმაც ორჯერ გაისროლა თოფი და მძიმედ დასჭრა ერთი მანიფესტანტი; ამის შემდეგ გაფიცულნი გაიფანტენ.

28 იანვარს ღამე დარაჯებმა შეამჩნიეს სადგურ ლანჩხუთთან, რომ რკინის გზის ერთ-ერთ ხიდზე ვიღაცეებს რელსი აეღო და შპალები გაეფუჭებინათ; გზა იმ წამსვე შეაკეთეს.

26 იანვრიდან ბაქოში ხელმეორედ გაიფიცენ ადგილობრივ სტამბების მომუშავეები, რის გამო გაზეთები აღარ გამოსულა. 28 იანვარს ასოთამწყობთა შეუერთდა ორი ქარხნის მუშები; უწესოება არ მომხდარა.

ბათუმში 25 იანვარს გაიფიცენ ყველა ქარხნების მუშები; ადმინისტრაციის ღონისძიებით მაღაზიები და დუქნები, რომლებიც დილიდან დახურული იყვენ, ისევ გააღეს; მეეტლეები ბაქანზე არ გამოსულან, მაგრამ 26 იანვარს პოლიციამ ღონე იღონა და მეეტლები გამოვიდენ; ერთ-ერთ გემზე რუსმა მუშებმა დაიწყეს მუშაობა, როცა ჯარისკაცები დაუყენეს დარაჯად. იმავე დღეს საღამოს ექვს საათზე, სამმა ახალ მოსულმა მუშამ მოჰკლა უფროსი პოლიციელი კონდრატოვიჩი. მკვლელნი გაიქცნენ. 28 იანვარს გაიფიცენ ოჯახების და სასტუმროების კერძო მოსამსახურენი. იმავე დღეს უცნობმა ბოროტმოქმედებმა მოჰკლეს რკინის გზის კონდუქტორი იუხნიჩუკი.

ქუთაისში უწესოებანი დაიწყო 19 იანვრიდან, როდესაც საღამოს ექვს საათზე ქალაქის ბაღიდან გამომავალ ხალხს (გამოსვლამდე ბაღში ცურაობა იყო ყინულზე და გუნდაობა) მოშორდა ახალგაზრდათა ჯგუფი, რომელიც ასი კაცისაგან შესდგებოდა. ეს ჯგუფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მარსელეზას“ სიმღერით, ყვირილითა და სტვენით წავიდა გიმნაზიის ქუჩით, გადაუხვია მიხეილის ქუჩაზე, გაიარა ქალაქის გამგეობის წინ და გაემართა პასაჟისაკენ. აქ მანიფესტანტებს დახვდა პოლიცია. მანიფესტანტებმა გადაუხვიეს მწვანე ბაზრისაკენ და გადავიდენ სილაზე, სადაც გაფანტულ იქნენ. გზაზე მანიფესტანტებმა დალეწეს ფარნები და ფანჯრები მაღაზიებისა, ქალაქის გამგეობასა, თეატრისა, ვაჟთა გიმნაზიასა და რელიგიონის აფთიაქში. მანიფესტანტთაგან დაპატიმრებულ იქნა 7 კაცი. მეორე დღეს ახალგაზდათაგან შემდგარმა ასეთმა ჯგუფმა სცადა წინა დღის ამბების განმეორება, მაგრამ „როსსიას“ სასტუმროს მახლობლად წინათვე მომზადებულმა დარაჯებმა ისინი გაფანტა. მანიფესტანტებმა მოასწრეს მხოლოდ რამდენიმე ფარნის დალეწა. ამ შეტაკების დროს რევოლვერის ტყვიით მსუბუქად თავში დაიჭრა ერთი პოლიციელი. დაპატიმრებულ იქნა 40 კაცი. დამნაშავენი სპართალში იქნენ მიცემულნი.

25 იანვარს ქუთაისში ხელახლა მოხდა უწესოება, მაგრამ პოლიციამ დაუყონებლივ მოსპო ის.

თბილისში მუშები გაფიცვაზე თანდათან ხელს იღებდენ. მუშაობა დაიწყეს ლუდის ქარხნებმა, კამფეტების ფაბრიკებმა, სამხერხაოებმა, არყის ქარხნებმა და ელექტრონის სადგურმა. თამბაქოს ქარხნებმა და ქართველთა ამხანაგობის სტამბის საკაზმავ განყოფილებაში მუშაობას შეუდგა მუშების ერთი ნაწილი. არ მუშაობდენ: სამექანიკო, ფეხსაცმელებისა და საპნის ქარხნები და ადელხანოვის ფაბრიკები და ყველა სტამბები, გარდა ერთისა. 28 იანვარს დილით დაიწყო მუშაობა საკანდიტეროებსა, პურის საცხობებში და „მირის“ თუთუნის ქარხანაში. 29 იანვარს, აგრეთვე დაიწყო მუშაობა საყას-ბოებში, ორთაჭალის ტრამვაის საზოგადოებაში, სტამბების უმეტეს ნაწილში, ზოგიერთ სახელოსნოებში და სხვაგვარ დაწესებულებებში. რკინის გზის სახელოსნოებში 320-ზე მეტი კაცი მუშაობდა. საქონლის დამტვირთველ დეპოში ყველამ დაიწყო მუშაობა. ორშაბათს, 31 იანვარს, მუშაობა დაიწყეს ყველა სტამბებში და თუთუნის ქარხნებში; აქ მუშაობა ისევ ძველი პირობებით დაიწყო. ამ დღეს არ მუშაობდა სამექანიკო ქარხნები, ფეხსაცმელების ქარხნები ზარგარიანცისა და არუთინოვისა, საპნის ქარხანა ალიხანოვისა და ტოლესი და ადელხანოვის ფაბრიკა. ქალაქის საყასბოში ხელმეორედ დაიწყო გაფიცვა. 1 თებერვალს, ორი კვირის შეჩერების შემდეგ, ყველა ადგილობრივი გაზეთები გამოვიდა.

30 იანვარს, კუკიის სასაფლაოზე, ნინო გოგიაშვილის დასაფლავების დროს, ხალხში ვიღაც უცნობმა წარმოსთქვა სიტყვა, რომლითაც მთავრობას კიცხავდა და განსვენებულს აქებდა, რადგანაც განსვენებული ამხანაგების განთავისუფლებაში დიდ მონაწილეობას

იღებდაო. სიტყვის დამთავრების შემდეგ უკნობი მიიმალა. რადგან განსვენებულის დამარხვის შემდეგ ხალხი არ დაიშალა, „ურას“ ყვიროდა, ამიტომ პოლიციამ მოითხოვა, ეხლავე დაიშალენითო, მაგრამ ხალხმა პოლიციას ქვები დაუშინა. ერთი ქვა მოხვდა ყაზახს, რომელიც ცხენიდან გადმოვარდა. თოფების სროლაც დაიწყო. ამას შემდეგ პოლიციამ და ყაზახებმა ხალხი გაფანტეს და 6 კაცი შეიპყრეს. აგიტატორებს უნდოდათ განსვენებულის დამარხვით ესარგებლათ და ხალხს ატყობინებდენ, ნინო გოგიაშვილი თავის ამხანაგებისათვის დაისაჯაო და იმასაც კი ამბობდნენ, რომ იგი 23 იანვარს გოლოვინის პროსპექტზე არეულობის დროს მოკლესო, მაგრამ გამოძიებიდან აღმოჩნდა, რომ განსვენებული ჭლექისაგან გარდაიცვალა და თითქმის ხუთი წლის განმავლობაში სახლიდან არ გამოსულა.

26 იანვარს, სოფელ დიდ ჯიხაიშში, ქუთაისის მაზრაში, სოფლელებმა და ადგილობრივ სასოფლო სკოლის მოსწავლეებმა ბაზარში მთავრობის წინააღმდეგ დემონსტრაციის გამართვა სცადეს. მთავრობის განკარგულებით ბაზარში გაიგზავნა ა ყაზახი და ერთი ურიადნიკი, რომელთაც ხალხს დაშლა მოთხოვეს. ხალხმა ყაზახებს თოფებიდან დაუშინა, მივარდა და იარაღის წართმევა უნდოდა. ყაზახებმა თავის დასაცავად ხალხს რვაჯერ ესროლეს. მოკლულ იქნა ერთი გლეხი ვაშაკიძე და დაიჭრა რამდენიმე. დაჭრილთა რაოდენობა გამორკვეული არ არის. ამის შემდეგ წესიერება აღდგენილ იქნა.

მოსწავლეთა გამოსვლა ტფილისში.

(მთავრობის განცხადება).

კვირას, 20 თებერვალს, დღისით, მოსწავლე ახალგაზრდობის ნაწილმა დაარღვია წესიერება გოლოვინის პროსპექტზე. ქაშვეთის ეკლესიაში პანაშვიდის შემდეგ, რომელიც გადახდილ იქნა ბაქოში მოკლულთა სულის მოსახსენებლათ, მოსწავლეთა ჯგუფი ყვირილით გოლოვინის პროსპექტით გაემართა. პოლიცია ურჩევდა დაშლილიყვნენ, მაგრამ მოსწავლენი თავისას არ იშლიდენ და დემონსტრატიულათ შუა ქუჩაში მიდიოდენ. დაიშალენ მხოლოდ, როცა ყაზახ-რუსები მოახლოვდნენ. თუმცა ასე აშკარათ დაირღვა წესრიგი, მაგრამ რადგან ბრბო მცირე-წლოვანთაგან შესდგებოდა, მე პოლიციას ეუბრანე შეკრებილნი დარიგებით დაეშალა და ძალა არ ეხმარა. პოლიციამ ჩემი ბრძანება სავსებით შეასრულა.

რათა შემდეგში არ განმეორდეს ასეთი ამბავი, ზნეობრივ მოვალეობათ ვთვლი მივმართო მოსწავლეთა მშობლებს და ვთხოვო დაარიგონ თავიანთი შვილები, რომ უწესოებებში მონაწილეობა არ მიიღონ. დარწმუნებული ვარ მოსწავლენი შეიგნებენ მშობელთა დარიგებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერიდან ასეთ ბრბოების გასაფანტავად პოლიცია კანონში აღნიშნულ ზომებს მიმართავს. ტფილისის გუბერნატორი, გენერალ-მაიორი **სვეჩინი**.

• —— •

თოფის სროლის აკრძალვა ბათომში.

წეს-რიგისა და საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დასაცველათ ვცან 1903 წელს მთავარ მართებლის მიერ ქალაქ ბათუმისთვის გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა დასამტკიცებლათ გამოვაცხადო:

1. ქალაქ ბათუმში ქუჩებსა და მოედნებზე, აგრეთვე სახლებიდან და სხვა შენობებიდან აკრძალულია თოფის, რევოლვერის ან სხვა იარაღის სროლა.

2. ვინც პირველ მუხლში აკრძალულ სავალდებულო დადგენილებას დაარღვევს, იმას ან 500 მანეთამდე ჯარიმა გადახდება ადმინისტრატიული წესით, ან სამ თვემდე დაპატიმრებული იქნება. ასეთ სასჯელის დადების უფლებას ვაძლევ ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს.

3. ეს სავალდებულო დადგენილება ძალაში შევა გამოქვეყნების დროიდან. კავკასიის მთავარმართ. თანამ. აღმ. გენ.-ლეიტ. **მალამა**.

—

გურიის ვითარების შესახებ

(„მოგზაური“ № 6—1905 წ).

ამ დღეებში გურიაში გენერალ ალიხანოვ-ავარსკის უფროსობით გაიგზავნა რამდენიმე ათასი ჯარის-კაცი, არტილერია და სანგზავრო სამხედრო ლაზარეთი. ნატანების სადგურზე უკვე მივიდა გრენადერთა არტილერიის ნაწილი სამი ოფიცრით, ასი კაზაკი და რამდენიმე ზარბაზანი. იქვე ჩასულა განჯის პოლკის ეკვსი როტა და პლასტუნების მთელი პოლკი. გენერალ ალიხანოვს განსაკუთრებული უფლებები ჰქონდა მინიჭებული, რაც საჭიროა ომიანობის დროს. ამ ამბავმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოების ზოგიერთ ნაწილზე. ყველა დაფიქრდა, რომ გურიას დიდი განსაცდელი მოელისო. ამიტომ საჩქაროდ შესდგა დეპუტაცია სხვადასხვა საზოგადოებრივ დაწესებულებათა და პრესის წარმომადგენელთაგან, რომელშიაც მოყვენ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ. დი მელიქიშვილი, ქუთაისის თავ.-აზნაურთა წინამძღოლის მოადგილე თ-დი ნიჟარაძე, ტფილ. გუბერნიის მაზრების მარშლები, ბათომის ქალაქის მოურავი ანდრონიკაშვილი, ქუთაისის ქალაქის თავის მოადგილე გვეულესიანი, გურიის მცხოვრებნი თ. თ. თავდგირიძე და მ. ფუმანიშვილი, ჟურნალ „მოგზაურის“ რედაქტორის მაგიერი კ. ჯაფარიძე და „ცნ.-ფურც.“ რედაქტორი ჯაბადარი. ეს დეპუტაცია უნდა მისულიყო მთა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარმართლებლის თანამდებობის აღმასრულებელ გენ. მალამასთან და ეშუამდგომლა: გურიაში გაგზავნილ ჯარების უკან დაბრუნება; ნება მიეცეს გურულ ხალხს ყრილობების მოხდენისა თავის საჭიროებათა გამოსარკვევად და თავის მიერ აჩორჩეულ დეპუტატების საშუალებით ეს საჭიროებანი მთავრობას გააგებინოს; დაცულ იქნას ამ დეპუტატების სრული ხელუხლებლობა. გარდა ამისა ხსენებულ დეპუტაციას უნდა ეშუამდგომლა: მთავრობის წარმომადგენელთა გურიაში გაგზავნოს მთავარმართებლის საბჭოს წევრი ბ-ნი სულთან-კრიმ-გირეი და ამასთანავე ნება მიეცეს ადგილობრივ პრესას თავისუფალი მსჯელობა იქონიოს გურიის საქმეების შესახებ. დეპუტაცია მივიდა მთავარმართებლის მოადგილესთან 16 თებერვალს, ხოლო ავადმყოფობის გამო გენ. მალამამ მიიღო მხოლოდ თ-დი მელიქიშვილი, კ. ჯაფარიძე და მ. თუმანიშვილი, დანარჩენმა წევრებმა მსჯელობა იქონიეს მთავარმართებლის კანცელარიის დირექტორ ტროფიმოვთან. პასუხი ყველა ამ შუამდგომლობათა შესახებ დეპუტაციამ მიიღო მეორე დღეს, 17 თებერვალს. მთავრობამ შეიწყნარა თითქმის ყველა შუამდგომლობა, სახელდობრ: ჯარი თვით გურიაში აღარ გაიგზავნება, არამედ ნატანების სადგურზე დარჩება, მთავრობის წარმომადგენელთ გურიაში გაიგზავნება ბ-ნი სულთან-კრიმ-კირეი, ცნობილი თავისი მაღალ კაცთმოყვარული ჰუმანიური აზროვნებით, გურულ ხალხს ნება ეძლევა თავისუფლად შეიკრიბოს თავის საჭიროებათა გამოსარკვევად; გარდა ამისა კრიმ-გირეისთან მოსალაპარაკებლად იმათ უნდა აირჩიონ დეპუტატები, რომლებისთვის პიროვნების ხელუხლებლობა სალტიკად დაცული იქნება. ამასთანავე ადგილობრივ პრესას საშუალება ეძლევა თავისუფალი მსჯელობა იქონიოს გურიის დღევანდელ ვითარების შესახებ, იმ პირობით კი, რომ ეს მსჯელობა ლეგალურ საზღვარს არ გადასცდეს. 17 თებერვალს ბ-ნი კრიმ გირეი უკვე გაემგზავრა გურიაში.

ამნაირად ამიერიდან შეძლება ეძლევა, როგორც გურულ ხალხს, ისე მწერლობას ფარდა ახადოს ყოველივე იმას, რაც ეს რამდენიმე ხანია გურიაში ხდება. ყველა უნდა ეცადოს რაც შეიძლება ამ მძიმე საქმეში მეტი წინდახედულობა და გამჩრიახობა გამოიჩინოს, ვინაიდან ამას მარტო გურიისთვის როდი აქვს მნიშვნელობა. სრული წარმატება უსურვოთ ამ ფრიად დიდ-მნიშვნელოვან საქმეს.

ქუთაისში მომხდარ დემონსტრაციის შესახებ.

(ოფიციალური ცნობა)

14 თებერვალს დილით ქალ. ქუთაისში ადგილობრივ ვაჟთა გიმნაზიის მოსწავლენი გიმნაზიის შენობასთან შეიკრიბენ. როცა გაიგეს, რომ სწავლა შეწყვეტილიაო, ყვირილით თა-

ვიანთი უკმაყოფილება განაცხადეს და მერე დაიშალნენ. ამასთან ვიღაცამ ორი ფანჯარა ჩაამტვრია შესავალ კარებში. რეალურ სასწავლებლის მოსწავლენი-კი, როცა იმათ სწავლის შეწყვეტა გამოუცხადეს, სასწავლებლის ეზოში შევიდნენ, ორას კაცამდე შეიკრიბენ და „ურა“-ს ძახილით ორი წითელი დროშა ააფრიალეს, თან რევოლვერების სროლა დაიწყეს. ერთი ტყვიით უცაბედათ მსუბუქად დაიჭრა მე-6 კლასის მოსწავლე ალექსანდრე კოსიანოვი. იქვე მყოფმა პოლიციის ბოქაულმა პოლიციელებით მოინდომა სასწავლებლის ეზოში შესვლა, მაგრამ დირექტორმა სთხოვა არ შესულიყო და პირობა მისცა,—მე თვითონ დავამშვიდებ მოსწავლეებსო. ეზოდან გამოსვლისას მოსწავლეებმა ბალახვანის ქუჩაზე მოიყარეს თავი. შეიკრიბა 200 კაცამდე. ამათ გიმნაზიელნიც მიემხრენ. ეს ამოდენა ხალხი სიმღერითა და ყვირილით გაემართა წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლისაკენ, სადაც მათ დახვდენ პოლიცმეისტერი და ბოქაული. ერთი ნაწილი მოსწავლეებისა გაიფანტა, ხოლო დანარჩენნი, 70 კაცამდე შეიპყრეს და გიმნაზიის და რეალურ სასწავლებლის დირექტორებს გადასცეს, რომელთაც მოსწავლენი სახლებში დაითხოვეს და პატიოსანი სიტყვა ჩამოართვეს, რომ არავითარ უწესოებას არ მოახდენენ. მთელი დღე და საღამო რეალურ სასწავლებლის მოსწავლენი ბულვარსა და უმთავრეს ქუჩებზე შეჯგუფებულნი დადიოდენ. თან რევოლვერებს ისროდენ და პოლიციის ბრძანებას არ ემორჩილებოდნენ.

საღამოს 5 საათზე ახალგაზდათა ჯგუფმა, რომელსაც ზოგიერთი ნოქრებიც შეუერთდენ, სულ 200 კაცამდე, ქვებისა და რევოლვერების სროლა დაუწყო საპოლიციო დარაჯთა რაზმს, დასჭრეს ორი ცხენი. ერთი დარაჯის ფარაჯა ხუთ ადგილას აღმოჩნდა ტყვიით გახვრეტილი. თავის მხრით დარაჯთაც ნება-უნებურად სროლა დაუწყეს დემონსტრანტებს. მთელი საღამო ბულვარიდან, საცხოვრებელ სახლებიდან და აივნებიდან ესროდენ ყაზახ-რუსებსა და საპოლიციო დარაჯებს. ამის გამო ყაზახებმა და დარაჯებმა იარაღს მიმართეს. ამასთან ზოგიერთი ყაზახი და დარაჯი დაშავდა ქვებისაგან, ხოლო ერთი დემონსტრანტთაგანი, ნოქარი თეოდორაძე მოკლულ იქნა. მძიმედ დაიჭრენ: ხელოსანი ხაბურზანია და ნოქარი ბოკერია; მსუბუქად დაიჭრენ: გიმნაზიელი ლოლობერიძე, რეალურ სასწავლებლის მოსწავლე ჩიჩუა და დარაჯი ბაბუნიშვილი.

„ქუთაისის ამბები დამახინჯებულათაა აწერილი“.

(„მოგზაური“ № 9—1905)

ქუთაისიდან ჩვენ შემდეგს გვწერენ: ესაცაა გადავიკითხეთ „მოგზაურის“ უკანასკნელი ნომერი და ძალიან გვეწყინა, რომ აქაც ისე დამახინჯებით აწერილია ქუთაისში 14 თებერვალს მომხდარი ამბე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი, როგორც სხვა გაზეთებში. რადგანაც 14 თებერვალს ჩვენ დილიდან საღამომდე ქუჩაში ვიყავით და ყველაფერს ჩვენი თვალით ვუყურეთ, გვინდა უტყუარი ცნობები მოგაწოდოთ.

14 თებერ. გიმნაზიელებს და რეალური სასწავლებლის მოწაფეებს სასწავლებლების კარები დაკეტილი დაუხვდათ. ამის გამო მრავალმა მოწაფემ მოიყარა თავი სასწავლებლების კარებთან. კარები აღარ გაუღეს და მოწაფეები ჯგუფად გამობრუნდენ სასწავლებლებიდან. ფოსტასთან გიმნაზიელები და რეალური სასწავლებლის მოწაფეები ერთმანეთს შეხვდენ და ერთად გაემართენ ბულვარისაკენ, სადაც იმათ შეუერთდენ საბაღოსნო სკოლის შეგირდები. როცა დემონსტრანტები ქალების გიმნაზიას. უახლოვდებოდენ, რამდენიმე ცხენოსანმა კაზაკმა მოსჭრა ერთი ჯგუფი მოსწავლეებისა და დუქანში დაამწყვდია, ის იყო უნდა დაეწყოთ თავისი მხეცური ხელობა, მაგრამ გაჩნდა პოლიციელისტერი და დიდი ვაი-ვაგლახით იხსნა მოსწავლეები გამათრახებისაგან. მალე მოვიდა გუბერნატორი, დირექტორები: ბაბანსკი და ჩებიში. პოლიციელისტერის შუამდგომლობით მოსწავლეები გაანთავისუფლეს.

შუადღის პირველ საათზე ბაქოში დახოცილების პატივსაცემათ სომხების ეკლესიაში პანაშვიდი გადაიხადეს. პანაშვიდს დაესწრენ მოსწავლეებიც. პანაშვიდის შემდეგ მოსწავლეები სიმღერით ბულვარისკენ გაემართენ. აქ იმათ შეუერთდა მოსეირნე ხალხი. ვიღაცამ ჰაერში რევოლვერი ისროლა. ამ დროს მოისმა ცხენების თქარათქური და რამდენიმე კაზაკი შემოერტყა ბულვარს, მარა კარების დაკეტვა მოასწრეს და კაზაკები ისევ პირლია დარჩენ. ხალხი მშვიდობიანად დაიშალა. ნასადილევს ბულვარის მიდამო გავსებული იყო მოსეირნეებით, რომლების უმრავლესობას მოსწავლეები შეადგენდენ. ასე ხუთ საათზე, ბულვართან რამდენიმე ეტლმა ჩაიარა. შიგ ისხდენ მოსწავლეები. თუმცა ძხიარულობა ეტყობოდათ, მარა არაფერი უწუხებია არ ჩაუდენიათ. გაიარა ერთმა ეტლმა, მეორემ და უცბათ ჩვენ თვალებს გულის შემზარავი სურათი წარმოუდგა: ერთ ეტლს შემოხვეოდა ათამდე კაზაკი და უწყალოთ სცემდენ შიგ მჯდომ მოსწავლეებს. მოსეირნე ხალხმა ერთ წუთს უკან დაიწია; სურათი იმდენად ამაღელვებელი იყო, რომ ჩვენ ვერ მოვითმინეთ და მივვარდით კაზაკებს; ვიფიქრეთ იქნება ხელწერით გავხდეთ რასმეო. სანამ ჩვენ ვეხვეწებოდით, იქვე გაჩნდა ნაფიცი ვექილი მოსე ქიქოძე და პრისტავი ჩაჩავა. ორივე მივარდენ კაზაკებს და თხოვეს თავი დაენებებინათ საბრალოებისათვის, მაგრამ კაზაკებმა უპასუხეს: „Вы нам мешаете, мы застрелим вас" და თოფები დაუმიზნეს. ამ დროს ვიღაცამ ქვა ესროლა კაზაკებს; პირველი ქვა და პირველი ტყვია კაზაკებისა ერთად გავარდა; პირველ ტყვიას სხვა ბევრი მოყვა, კაზაკები განურჩევლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესროდენ ყველას. ერთი ქალი გაჩერებული იყო მაღაზიის კარებთან; ტყვიამ სწორეთ გვერდთან გაუარა და კაბა გაუგლიჯა. საწყალი ერთი ნოქარი მაშინ მოკლეს, როცა კარებს კეტავდა. ხარაზი ხაბურზანიას გული გაუგმირეს, როცა დუქანში იჯდა და თავის საქმეს აკეთებდა; მარა ყველაფერი ეს შედარებით არაფერია იმასთან შედარებით, რასაც ჩადიოდენ კაზაკები ღამის 9—12 საათამდის. ერთი მეღვინე გაცარცვეს და იმდენი სცემეს, რომ ახლა სისხლიანს აფურთხებს და მკონი კიდევაც მოკვდა. ვიღაც „სტოროჟს“ თითი წასჭრეს, რამდენიმე კაცს ას მანეთამდე ფული წაართვეს, საათებს ხომ თელაც არა აქვს. რამდენიმე მოსწავლე დასახიჩრებულია.

—

ომიანობის დროის წესები.

(ოფიციალური ცნობა).

უმაღლესად დამტკიცებული მინისტრთა კომიტეტის დადგენილება:

1. შემოღებულ იქნას საომარი დროის წესები ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის, ქუთაისის და სერაკის მაზრებში და ბათომის ოლქის კონტრაშის საბოქაულოში; 2. მომენიჭოს მე ის უფლებანი, რომელიც აქვს ომიანობის დროის ჯართა უფროსებს და აგრეთვე სამოქალაქო უწყების განსაკუთრებული უფლებანი და მოვალეობანი სახელმწიფო წეს რიგისა და საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დაცვის საქმეში; 3. ნება მომეცეს ზემოთ ჩამოთვლილი უფლებანი მიუანიჭო ამისათვის განსაკუთრებულთ დანიშნულ კაცს იმ პირობით კი, რომ მთავარმართებელს უფლება ჰქონდეს გააუქმოს იმისი განკარგულებანი წეს-რიგისა და მშვიდობიანობის შესახებ.

ვაცხადებ რა ზემო აღნიშნულს, ჩემ წინანდელ განკარგულებების დასამატებლად. წინადადებას ვაძლევ **გენერალ-გუბერნატორს ალიხანოვს** შეუდგეს იმ ადგილების მართვა-გამგეობას, სადაც შემოღებული იქნა საომარ დროის წესები, ამასთან მიენიჭოს მას შესაფერისი უფლებანიც. მთავარმართებლის თანამ. აღმ. გენერალ-ლეიტენანტი **მალამა**.

—

აბაშის და სამტრედიის საბოქაულოების გამოყოფა ქუთაისის გუბერნიისაგან.

(მთავრობის განკარგულება).

26 თებერვალი. ქ. ტფილისი. ბრძანება კავკასიის სამოქალაქო ნაწილისადმი № 19. საჭიროდ ვსცანი, რომ აბაშის საბოქაულო (სენაკის მაზრა) და სამტრედიის საბოქაულო (ქუთაისის მაზრა) გამოყოფილ იქნას ქუთაისის გუბერნიისაგან და სამოქალაქო მართვა-გამგეობის მხრივ სანამ ხსენებულ ადგილებში სრული წესიერება და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესროდენ ყველას. ერთი ქალი გაჩერებული იყო მაღაზიის კარებთან; ტყვიამ სწორედ გვერდთან გაუარა და კაბა გაუგლიჯა. საწყალი ერთი ნოქარი მაშინ მოკლეს, როცა კარებს ეტაკვდა. ხარაზი ხაბურზანიას გული გაუგმირეს, როცა დუქანში იჯდა და თავის საქმეს აკეთებდა; მარა ყველაფერი ეს შედარებით არაფერია იმასთან შედარებით, რასაც ჩადიოდენ კაზაკები ღამის 9—12 საათამდის. ერთი მეღვინე გაცარცვეს და იმდენი სცემეს, რომ ახლა სისხლიანს აფურთხებს და მკონი კიდევაც მოკვდა. ვიღაც „სტოროჟს“ თითი წასჭრეს, რამდენიმე კაცს ას მანეთამდე ფული წაართვეს, საათებს ხომ თვლაც არა აქვს. რამდენიმე მოსწყვიტეს დასახიჩრებულია.

—

ომიანობის დროის წესები.

(ოფიციალური ცნობა).

უმაღლესად დამტკიცებული მინისტრთა კომიტეტის დადგენილება:

1. შემოღებულ იქნას საომარი დროის წესები ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის, ქუთაისის და სენაკის მაზრებში და ბათომის ოლქის კინტრიშის საბოქაულოში; 2. მომენიჭოს მე ის უფლებანი, რომელიც აქვს ომიანობის დროის ჯართა უფროსებს და აგრეთვე სამოქალაქო უწყების განსაკუთრებული უფლებანი და მოვალეობანი სახელმწიფო წეს რიგისა და საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დაცვის საქმეში; 3. ნება მომეცეს ზემოთ ჩამოთვლილი უფლებანი მივანიჭო ამისათვის განსაკუთრებულათ დანიშნულ კაცს იმ პირობით კი, რომ მთავარმართებელს უფლება ჰქონდეს გააუქმოს იმისი განკარგულებანი წეს-რიგისა და მშვიდობიანობის შესახებ.

ვაცხადებ რა ზემო აღნიშნულს, ჩემ წინანდელ განკარგულებების დასამატებლად, წინადადებას ვაძლევ **გენერალ-გუბერნატორს ალიხანოვს** შეუდგეს იმ ადგილების მართვა-გამგეობას, სადაც შემოღებული იქნა საომარ დროის წესები, ამასთან მიენიჭოს მას შესაფერისი უფლებანიც. მთავარმართებლის თანამ. აღ. გენერალ-ლეიტენანტი **მალამა**.

—

აბაშის და სამტრედიის საბოქაულოების გამოყოფა ქუთაისის გუბერნიისაგან.

(მთავრობის განკარგულება).

26 თებერვალი. ქ. ტფილისი. ბრძანება კავკასიის სამოქალაქო ნაწილისადმი № 19. საჭიროდ ესცანი, რომ აბაშის საბოქაულო (სენაკის მაზრა) და სამტრედიის საბოქაულო (ქუთაისის მაზრა) გამოყოფილ იქნას ქუთაისის გუბერნიისაგან და სამოქალაქო მართვა-გამგეობის მხრივ—სანამ ხსენებულ ადგილებში სრული წესიერება და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესროდენ ყველას. ერთი ქალი გაჩერებული იყო მაღაზიის კარებთან; ტყვიამ სწორეთ გვერდთან გაუარა და კაბა გაუგლიჯა. საწყალი ერთი ნოჩარი მაშინ მოკლეს, როცა კარებს კეტავდა. ხარაზი ხაბურზანიას გული გაუგმირეს, როცა დუქანში იჯდა და თავის საქმეს აკეთებდა; მარა ყველაფერი ეს შედარებით არაფერია იმასთან შედარებით, რასაც ჩადიოდენ კაზაკები ღამის 9—12 საათამდის. ერთი მეღვინე გაცარცეს და იმდენი სცემეს, რომ ახლა სისხლიანს აფურთხებს და მკონი კიდევაც მოკვდა. ვიღაც „სტოროჟს“ თითი წასჭრეს, რამდენიმე კაცს ას მანეთამდე ფული წაართვეს, საათებს ხომ თელაც არა აქვს. რამდენიმე მოსწავლე დასახიჩრებულია.

—

ომიანობის დროის წესები.

(ოფიციალური ცნობა).

უმაღლესად დამტკიცებული მინისტრთა კომიტეტის დადგენილება:

1. შემოღებულ იქნას საომარი დროის წესები ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის, ქუთაისის და სენაკის მაზრებში და ბათომის ოლქის კონტრაშის საბოქაულოში; 2. მომენიჭოს მე ის უფლებანი, რომელიც აქვს ომიანობის დროის ჯართა უფროსებს და აგრეთვე სამოქალაქო უწყების განსაკუთრებული უფლებანი და მოვალეობანი საბელმწიფო წეს რიგისა და საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დაცვის საქმეში; 3. ნება მომეცეს ზემოთ ჩამოთვლილი უფლებანი მივანიჭო ამისათვის განსაკუთრებულათ დანიშნულ კაცს იმ პირობით კი, რომ მთავარმართებელს უფლება ჰქონდეს გააუქმოს იმისი განკარგულებანი წეს-რიგისა და მშვიდობიანობის შესახებ.

ვაცხადებ რა ზემო აღნიშნულს, ჩემ წინანდელ განკარგულებების დასამატებლად, წინადადებას ვაძლევ **გენერალ-გუბერნატორს ალიხანოვს** შეუდგეს იმ ადგილების მართვა-გამგეობას, სადაც შემოღებული იქნა საომარ დროის წესები, ამასთან მიენიჭოს მას შესაფერისი უფლებანიც. მთავარმართებლის თანამ. აღმ. გენერალ-ლეიტენანტი **მალამა**.

—

აბაშის და სამტრედიის საბოქაულოების გამოყოფა ქუთაისის გუბერნიისაგან.

(მთავრობის განკარგულება).

26 თებერვალი. ქ. ტფილისი. ბრძანება კავკასიის სამოქალაქო ნაწილისადმი № 19. საჭიროდ ვსცანი, რომ აბაშის საბოქაულო (სენაკის მაზრა) და სამტრედიის საბოქაულო (ქუთაისის მაზრა) გამოყოფილ იქნას ქუთაისის გუბერნიისაგან და სამოქალაქო მართვა-გამგეობის მხრივ—სანამ ხსენებულ ადგილებში სრული წესიერება და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესროდენ ყველას. ერთი ქალი გაჩერებული იყო მაღაზიის კარებთან; ტყვიამ სწორეთ გვერდთან გაუარა და კაბა გაუგლიჯა. საწყალი ერთი ნოქარი მაშინ მოკლეს, როცა კარებს კეტავდა. ხარაზი ბაბურზანიას გული გაუგმირეს, როცა დუქანში იჯდა და თავის საქმეს აკეთებდა; მარა ყველაფერი ეს შედარებით არაფერია იმასთან შედარებით, რასაც ჩადიოდენ კაზაკები ღამის 9—12 საათამდის. ერთი მეღვინე გაკაცვეს და იმდენი სცემეს, რომ ახლა სისხლიანს აფურთხებს და მკონი ჯიდეაც მოკვდა. ვიღაც „სტოროჟს“ თითი წასჭრეს, რამდენიმე კაცს ის მანეთამდე ფული წაართვეს, საათებს ხომ თვლაც არა აქვს. რამდენიმე მოსწავლე დასახიჩრებულია.

—

ომიანობის დროის წესები.

(ოფიციალური ცნობა).

უმაღლესად დამტკიცებული მინისტრთა კომიტეტის დადგენილება:

1. შემოღებულ იქნას საომარი დროის წესები ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის, ქუთაისის და სერაკის მაზრებში და ბათომის ოლქის კონტრაბანდის საბოქაულოში; 2. მომენიჭოს მე ის უფლებანი, რომელიც აქვს ომიანობის დროის ჯართა უფროსებს და აგრეთვე სამოქალაქო უწყების განსაკუთრებული უფლებანი და მოვალეობანი სახელმწიფო წეს რიგისა და საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დაცვის საქმეში; 3. ნება მომეცეს ზემოთ ჩამოთვლილი უფლებანი მივანიჭო ამისათვის განსაკუთრებულათ დანიშნულ კაცს იმ პირობით კი, რომ მთავარმართებელს უფლება ჰქონდეს გააუქმოს იმისი განკარგულებანი წეს-რიგისა და მშვიდობიანობის შესახებ.

ვაცხადებ რა ზემო აღნიშნულს, ჩემ წინანდელ განკარგულებების დასამატებლად, წინადადებას ვაძლევ **გენერალ-გუბერნატორს ალიხანოვს** შეუდგეს იმ ადგილების მართვა-გამგეობას, სადაც შემოღებული იქნა საომარ დროის წესები, ამასთან მიენიჭოს მას შესაფერისი უფლებანიც. მთავარმართებლის თანამ. აღრ. გენერალ-ლეიტენანტი **მალამა**.

—

აბაშის და სამტრედიის საბოქაულოების გამოყოფა ქუთაისის გუბერნიისაგან.

(მთავრობის განკარგულება).

26 თებერვალი. ქ. ტფილისი. მრძანება კავკასიის სამოქალაქო ნაწილისადმი № 19. საჭიროდ ვსცანი, რომ აბაშის საბოქაულო (სენაკის მაზრა) და სამტრედიის საბოქაულო (ქუთაისის მაზრა) გამოყოფილ იქნას ქუთაისის გუბერნიისაგან და სამოქალაქო მართვა-გამგეობის მხრივ—სანამ ხსენებულ ადგილებში სრული წესიერება და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესროდენ ყველას. ერთი ქალი გაჩერებული იყო მაღაზიის კარებთან; ტყვიამ სწორეთ გვერდთან გაუარა და კაბა გაუგლიჯა. საწყალი ერთი ნოქარი მაშინ მოკლეს, როცა კარებს კეტავდა. ხარაზი ხაბურზანიას გული გაუგმირეს, როცა დუქანში იჯდა და თავის საქმეს აკეთებდა; მარა ყველაფერი ეს შედარებით არაფერია იმასთან შედარებით, რასაც ჩადიოდენ კაზაკები ღამის 9—12 საათამდის. ერთი მეღვინე გაცარცვეს და იმდენი სცემეს, რომ ახლა სისხლიანს აფურთხებს და მკონი კიდევაც მოკვდა. ვიღაც „სტოროჟს“ თითი წასჭრეს, რამდენიმე კაცს ას მანეთამდე ფული წაართვეს, საათებს ხომ თვლაც არა აქვს. რამდენიმე მოსწყვიტეს დასახიჩრებულია.

—

ომიანობის დროის წესები.

(ოფიციალური ცნობა).

უმაღლესად დამტკიცებული მინისტრთა კომიტეტის დადგენილება:

1. შემოღებულ იქნას საომარი დროის წესები ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის, ქუთაისის და სენაკის მაზრებში და ბათომის ოლქის კონტრიშის საბოქაულოში; 2. მომენიჭოს მე ის უფლებანი, რომელიც აქვს ომიანობის დროის ჯართა უფროსებს და აგრეთვე სამოქალაქო უწყების განსაკუთრებული უფლებანი და მოვალეობანი სახელმწიფო წეს რიგისა და საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დაცვის საქმეში; 3. ნება მომეცეს ზემოთ ჩამოთვლილი უფლებანი მივანიჭო ამისათვის განსაკუთრებულათ დანიშნულ კაცს იმ პირობით კი, რომ მთავარმართებელს უფლება ჰქონდეს გააუქმოს იმისი განკარგულებანი წეს-რიგისა და მშვიდობიანობის შესახებ.

ვაცხადებ რა ზემო აღნიშნულს, ჩემ წინანდელ განკარგულების დასამატებლად. წინადადებას ვაძლევ **გენერალ-გუბერნატორს ალიხანოვს** შეუდგეს იმ ადგილების მართვა-გამგეობას, სადაც შემოღებული იქნა საომარ დროის წესები, ამასთან მიენიჭოს მას შესაფერისი უფლებანიც. მთავარმართებლის თანამ. აღ. გენერალ-ლეიტენანტი **მალამა**.

—

აბაშის და სამტრედიის საბოქაულოების გამოყოფა ქუთაისის გუბერნიისაგან.

(მთავრობის განკარგულება).

26 თებერვალი. ქ. ტფილისი. ბრძანება კავკასიის სამოქალაქო ნაწილისადმი № 19. საჭიროდ ვსცანი, რომ აბაშის საბოქაულო (სენაკის მაზრა) და სამტრედიის საბოქაულო (ქუთაისის მაზრა) გამოყოფილ იქნას ქუთაისის გუბერნიისაგან და სამოქალაქო მართვა-გამგეობის მხრივ—სანამ ხსენებულ ადგილებში სრული წესიერება და

ეროვნული ბიბლიოთეკა

თალიონი ქვეითა ჯარი და ამ ჯარის შენახვა უნდა დაევალოს სამ სოფელს (წილკანს, ძალისსა და მჭადის-ჯვარს—სულ 350 მკხოვრებს), რომელნიც ამ საქმეში უფრო დამნაშავე აღმოჩნდენ.

გლეხთა მოძრაობა გორის მაზრაში თანდათან იზრდება და მწვავდება. წარსულ კვირას სოფ. ზემო-გომში მოხდა გლეხთა ყრილობა, რომელმაც გადასწყვიტა უსასყიდლოთ ისარგებლოს მემამულეთა მიწებით, აღარ მიმართოს ადმინისტრაციის დახმარებას და ყველა საქმე თვითონ გაარჩიოს არჩეულ კაცების მეოხებით. ასეთივე ყრილობა მოხდა სადგურ მიხაილოვთან დიპოს მუშების მონაწილეობით. ამასთან ყრილობამ თავის მოთხოვნილებათა სისრულეში მოსაყვანად საჭიროთ დაინახა ძალა იხმაროს ადმინისტრაციის მოხელეთა წინააღმდეგ და გადაწვას სასოფლო სამმართველოები.

7 მარტს სოფელ კარაღეთში მახლობელ სოფლებიდან შეიკრიბა გლეხობა წითელი დროშებით. გლეხობამ უწესოება მოახდინა და დააზიანა სოფლის კანცელარია. რადგან კარაღეთის საზოგადოებამ არ იკისრა თავის კანცელარიის დაცვა, საქმეები გადატანილ იქნა მემამულის თავ. ერისთავის სახლში.

ცხინვალში ხალხი ჭურჭა-ჭურჭა დადიოდა, იძახდა „ურა“-სა და „ერთობას“ და რევოლვერებს ისროდა.

11 მარტს დაიწყო თავდასხმა ქარელში თავ. ციციშვილის ტყეებსა და სახლკარზე. ამასთან გლეხები უშლიან სოფლის მოხელეებს თავიანთ თანამდებობის ასრულებას და ითხოვენ მემამულეთა მოსამსახურეებს.

სოფ. რუისში, 11 მარტს ხალხმა ჩაიგდო სკოლისა და სასოფლო სამმართველოს შუშები. შემდეგ დააზიანა ოთხი ქარის წისქვილი. ეს წისქვილები სადაოა გლეხთა და მემამულეთა შორის.

ჩამოთვლილ ადგილებს გარდა მოძრაობამ თავი იჩინა აგრეთვე ბაკურიანშიაც. თითქმის ყველა სასოფლო სამმართველოში საქმის წარმოება შეჩერდა.

გორის მაზრის გლეხთა საჭიროებების გამოსარკვევად კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ მარტის პირველ რიცხვებში ადგილობრივ გაგზავნა დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი ე. გ. ვეიდენბაუმი, რომელიც კარგად იცნობს ადგილობრივ გლეხთა ყოფა-მდგომარეობას. რადგან მოძრაობამ საშიში ხასიათი მიიღო, ადმინისტრაციის დასახმარებლად გორის მაზრის სხვა და სხვა ადგილას გაიგზავნა ჯარი.

ოფიციალური ცნობები გლეხთა მოძრაობის შესახებ.

(„კავკაზი“ № 74).

12 მარტიდან დაწყებული გორის მაზრაში გლეხთა მოძრაობა დღითი-დღე მწვავდება. გორის მაზრის დასაწყისში და შუაგული ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წილების ოსებმაც დაიწყეს მთის სოფლებიდან ჩამოსვლა და დიდრონ ჯგუფებათ თავმოყრილნი დათარეშობენ მემამულეთა სახლ-კარსა და ადგილებში, რითაც ადგილობრივ გლეხებთან ერთად უფრო აძლიერებენ უწესოებას, რადგანაც ოსთა უმეტესობა ადგილობრივ ხდის არაყსა და იქვე სვამს

სოფლის მოხელენი ვერაფერს არიგებენ, რადგანაც გლეხებმა ისინი თანამდებობიდან დაითხოვეს. ბევრგან სოფლის კანცელარიებში საბეჭდის ქაღალდები გაანადგურეს; სოფლის ფოსტა ან სულ არ მოჭმედობს, ან და დიდის გაჭირვებით. წერილები ხან დახეული მოაქვთ და ხან გახსნილი. დაბა ცხინვალში თავი მოიყარა მახლობელ სოფლებიდან რამდენიმე ათასმა კაცმა და მოითხოვა ადგილობრივ მომრიგებელ მოსამაროლისა და სასოფლო ექიმის გაძევება. გლეხები მემამულეებისაგან თხოულობენ ხელწერილს, რომ სახნავი მიწები უფასოთ დაეთმოთ და ტყით სარგებლობის ნებაც უფასოდ ქონდეთ. მემამულეთა მოსამახურეებსა და ჴუშებს ეუბნებიან, — „ამიერიდან აღარ ემსახუროთ მაგათ, თორემ მოგკლავთო“. ამის გამო მემამულეთა სახლ-კარი, ცხვრის ფარა და სხვა საქონლის ჯოგი უპატრონოთ არის მიტოვებული, ხოლო მემამულეთა უმრავლესობა იძულებულია სახლ-კარი მიატოვოს, რის გამო ზარალი მოსდით.

მოძრაობა იმდენად გამწვავდა, რომ უკანასკნელ დღეებში იმ კომისიას, რომელიც კავკასიის უმაღლესი მთავრობის განკარგულებით იყო გაგზავნილი გორის მაზრაში და რომელსაც ბ-ნი ვეიდენბაუმი მეთაურობდა, გლეხებმა მხოლოდ პოლიტიკური ხასიათის მოთხოვნილებანი წარუდგინეს, ბოლოს კი სულ უარი განაცხადეს, — კომისიის მოწვევით არ შევიკრიბებითო.

14 მარტს ქ. გორში ჯოხებით შეიარაღებულმა დიდძალმა ხალხმა უწეობა მოახდინა: სახლებსა და სავაჭროებში ფანჯრები ჩაულეწა, ამართეს წითელი დროშა მთავრობის საწინააღმდეგო წარწერით. ერთ ქუჩაში ხალხმა წრე შემოავლო ნ ჯარისკაცისაგან შემდგარ პატრულს და თოფების წართმევა მოუნდომა. პატრული იძულებული იყო ბრძო მოეგერებინა და თავის დასაცველად ჯარისკაცებმა თოფები ისროლეს. ბრბოდან დაიჭრა 10 კაცი, რომელთაგან ერთი მოკვდა. ხალხი დაიშალა.

დარღვეულ წესიერების ასადგენად გორის მაზრაში გაიგზავნა კიდევ წინათ გაგზავნილ ჯარებს გარდა, ქაზაკთა ორი ასეული და ქვეითი ჯარის ერთი როტა; ამასთანავე, უკვე შემუშავებულია საჭირო ღონისძიებანი აღელვებულ გლეხთა და იმათ მეთაურთა დასასჯელად.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხის მოსატყუებლად...

გაზ. „კავკაზში" გამოცხადებულია კავკასიის მცხოვრებთა მიმართ: „ხელმწიფე იმპერატორის ნებით მოწვეული ვარ ჩემთვის ძვირფას კავკასიის მშართველად. სამწუხაროდ სამსახური მიწევს მაშინ, როდესაც მუდამ დღე მოდის ახალ-ახალი ცნობა უწესოებისა, ცარცვა-გლეჯისა და ძალ-მომრეობის შესახებ. როგორც ძველს სალდათს, შეუძლებლათ მიმაჩნია მოწვევაზე უარის თქმა ასეთი ბრძოლის დროს; მე მამხნევებს მხოლოდ ის ღრმა იმედი, რომ შესაძლებელია სრული დამშვიდება კავკასიისა. მე მწამს ხელმწიფისადმი კავკასიულთა ერთგულება. ეროვნებისა და სარწმუნოების განურჩევლათ მივმართავ ყველა მცხოვრებთ, შემწეობისათვის, რადგანაც ხალხის მშვიდობიანათ დაწყნარებისათვის საჭირო არის მცხოვრებთა რჩევა-დახმარება. მე მრწამს სიბრძნე ხალხისა, მწამს, რომ კეთილ-გონიერ უმეტესობის ძალას ვერ გაუძლებს ხალხის დაუდგრომელი ნაწილი. ხელმწიფე იმპერატორისაგან ბოძებული დარიგების ძალით მე მოვიწვევ ადგილობრივ მცხოვრებთა წარმომადგენლობის რჩევას. რჩევაში მონაწილეობას მიიღებენ: თავად-აზნაურთა, მოქალაქეთა და სოფლის საზოგადოებათა წარმომადგენელნი მართლ-მადიდებული, სომეხ-გრიგორიანთა და მაჰმადიანთა სამღვდელოებისა. წარმომადგენელთა რჩევა განიხილავს: რა ზომები უნდა იქნას მიღებული ცარცვა-გლეჯისა და უწესოების მოსასპობათ, რა გვარი ცვლილება ესაჭიროება სასამართლოებს და რამდენათ საჭიროა ერობათა შემოღება; გარდა ამისა, ვიღონებ ყოველ საშვალებას მამულების დროზე გასამოჯნავათ და სახელმწიფო ადგილების რაოდენობის გამოსარკვევათ, რომ შეძლება გვქონდეს მიწის სიუხვისაგან გაჭირვებული ადგილობრივი მცხოვრებნი დავასახლოთ. სრულიად სომეხთა კათალიკოსის უწყებერვრდომილესი თხოვნის თანახმად, სომხების საეკლესიო მამულების ხაზინისათვის გადაცემა ხელმეორეთ განიხილება.

დარწმუნებული ვარ, რომ ყველა, მთავრობის დაწესებულებაში მოსამსახურე, განიმსჭვალება იმ რწმენით, რომ საჭირო არის ქვეყნის დამშვიდება და კეთილ-დღეობა, ხელმწიფე იმპერატორის მიერ ჩემს სახელზე ბოძებულ რესკრიპტრის საფუძველზე დამყარებული.

გრაფი **ვორონცოვ დაშკოვი**.

„უწესოების ჩამდენი უნდა ეხროლოთ პირდაპირ".

(ბრძანება ტფილისში დაბანაკებულ არმიისადმი).

I.

გაზეთ „ივერია"-ში (№ 48) დაბეჭდილი იყო ცნობა, ვითომ ოლქის ჯარების უფროსის მოადგილეს ჯარებისათვის ებრძანებინოს, ქუჩაში მომხდარ არეულობის დროს იარაღი არ იხმაროთო. ეს ცნო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა უსაფუძვლოა. ამიტომ, ოლქის ჯარების უფროსის ბრძანებით მომყავს უკანასკნელი სიტყვები ჯარების უფროსის ცირკულიარულ განკარგულებისა, 1903 წლის 11 მარიამობისთვის თარიღით: „თუ მიღებული ჩემები მიზანს ვერ მიაღწევს და წესიერება აღდგენილი არ იქნება, სამჯერ უნდა გააფრთხილოთ, რომ იარაღს იხმართ, და თუ უწესობა მაინც არ მოისპობა და იარაღის ხმარება საჭირო იქნება, ჰაერში კი არ უნდა გაისროლოთ, უნდა ესროლოთ პირდაპირ უწესოების ჩამდენლებს, ან ცალ-ცალკე, ან ერთად, გარემოებისა დაგვარათ".

ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ ბრბო ვისმე დაეცემა, გაცარცავს, ან გადასწვავს, ჯარებმა იარაღი უნდა იხმარონ უფროსის ნების და გარემოების დაგვარათ.

ვინც ამ ბრძანებას არ ასრულებს, კანონით სასტიკათ დაისჯება. ხელს აწერს: ტფილისის კომენდანტის მოადგილე, გენერალ მაიორი **ტიმოფეევი**.

II.

„იარაღის ტარების აკრძალვა არა თუ გაუქმდა, პირიქით, რეპრესიები უფრო გაძლიერდა".

გაზეთ „ცნობის ფურცლის" მე-2794 ნომერში მოთავსებულია შენიშვნა კავკასიის ნამესტნიკის თანამდებობის აღმასრულებელის გენერალ მალამას მიერ „კავ.-ში დაბეჭდილ სავალდებულო დადგენილების გაუქმების შესახებ, რომელიც შეეხება ტფილისში იარაღის ტარების აკრძალვას.

როგორც სჩანს, კავკასიის უმაღლესი მთავრობის განკარგულება სწორეთ ვერ გაუგიათ. გაზეთ „კავკაზ"-ის მე-21 ნომერში მართლაც გამოქვეყნებული იყო გენერალ-ლეიტენანტ მალამას მიერ გაძლიერებულ დაცვის წესების ძალით, 8 მდგომარე აპრილს დაბეჭდილი სავალდებულო დადგენილება იარაღის ტარების, შენახვის და ვაჭრობის აკრძალვის შესახებ. ეს სავალდებულო დადგენილება გამოცემულ იქნა ნაცვლად ტფილისის გუბერნატორის მიერ ამავე საგნის შესახებ გამოცემულ სავალდებულო დადგენილებისა. განსხვავება ამ ორ დადგენილებას შორის მხოლოდ ის არის, რომ სხვა და სხვა წესია დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემისა. გუბერნატორის სავალდებულო დადგენილებათა ძალით, დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემა შეიძლება სასამართლოს წესით, ამასთან უდიდესი ჯარიმა 25 მანეთს არ აღემატებოდა. ნამესტნიკის თანამდებობის აღმასრულებელის მიერს გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა ძალით-კი დამნაშავენი დაისჯებიან ადმინისტრატიულ წესით, როგორც ამას გაძლიერებულ დაცვის კანონები მოითხოვს, ამასთან ასეთი დამნა-

შავენი შეიძლება დაჯარიმებულ იქნან 500 მანეთამდე ან დაპატიმრებულ იქნან სამ თვემდე.

ამ რიგათ აკრძალვა იარაღის ტარებისა, შენახვისა და გაყიდვისა იმათთვის, ვისაც ამის უფლება არა აქვთ, არა თუ გაუქმდა, პირიქით, რეპრესია ამ ჟამად უფრო გაძლიერდა.

ბელაგორის ხიდის აფეთქების განზრახვა.

(ოფიციალური ცნობა)

30 აპრილს, საღამოს ათ საათზე, როცა სადგ. მარელისში მოვიდა საჭონლის მატარებელი, თენგინის პოლკის უნტერ-ოფიცერმა (ეს პოლკი ლიანდაგს იცავს) დაიჭირა უბილეთო მგზავრი, რომელმაც უთხრა, სადგურ ბელაგორის ახლოს ხიდის ქვეშ ხალხია თავმოყრილი და ხიდის აფეთქებას აპირებსო. საჭონლის მატაროებლის ობერ-კონდუქტორმაც დასძინა, როცა მატარებელი სადგ. ბელაგორიდან მარელისისაკენ მიდიოდა, გზაში ჩამოხტა ხუთი უცნობი კაცი და იმ ხიდს ქვეშ ჩავიდა, რომელიც ამ დაჭერილმა მგზავრმა მოიხსენიაო. მგზავრისა და ობერ-კონდუქტორის სიტყვები ტელეფონით გადასცეს სადგ. ბელაგორის მორიგე მოსაძსახურეს და იქ მყოფ სამხედრო როტის უფროსს, რომელმაც გაგზავნა ექვსი სალდათი უნტერ ოფიცრის უფროსობით, რათა გაეფხანტათ ხიდს ქვეშ თავმოყრილი ხალხი და, თუ საჭიროება მოითხოვდა, იარაღიც ეხმარათ. როცა სალდათები ერთი ვერსის მანძილზე მოუახლოვდენ ხიდს, გაიგონეს მოახლოვებულ მატარებლის გამაფრთხილებელი სტვენა. სალდათები ჩამოსცილდენ ლიანდაგს და დაინახეს, რომ მატარებელმა სიარულს უკლო და გაჩერდა. სალდათები საჩქაროდ წავიდენ წინ, 200 ნაბიჯის მანძილზე მიუახლოვდენ ხიდს და დაინახეს დაახლოებით ასი კაცისაგან შემდგარი ბრბო და შორიდან დაუყვირეს — „დაიშალენით, თორემ თოფს გესვრითო“. სალდათები 150 ნაბიჯზე მიუახლოვდენ ხიდს. მთვარიანი ღამე იყო. გარკვევით დაინახეს მდინარე ლაპარნას ნაპირზე თავმოყრილი ხალხი და კიდევ დაუყვირეს, „დაიშალენითო“. პასუხად ხალხიდან თოფი გავარდა. მაშინ უნტერ-ოფიცერმა უბრძანა სალდათებს სროლა დაეწყოთ. ამის შემდეგ ხალხი ერთბაშათ არ დაიშალა. მხოლოდ მაშინ გაიფანტა, როცა სალდათებმა მოუხშირეს თოფის სროლა. თოფებით შეიარაღებული სამი კაცი შეხტა ვაგონის პლატფორმაზე, გადმოაგდეს იქიდან კონდუქტორი და გაიქცენ.

სროლა რომ შეწყდა, აღმოჩნდა სამი მოკლული; სამივე ადგილობრივი გლეხი და შვიდი მსუბუქად დაჭრილი. მათ შორის ორი ადგილობრივი რემონტის მუშა და ერთი მძიმეთ დაჭრილი ბაქოს სადგურის ბაგაჟის კონდუქტორათ ნამყოფი. გარდა ამისა, სალდა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებმა დაიჭირეს ხუთი კაცი; მათ შორის სამი ადგილობრივი გლეხი და ორი გლეხი (ძმები) შორაპნის მაზრის სოფ სერბაისიდან.

საომარი დროის წესები ქალაქ ტფილისში და მაზრაში.

(მთავრობის განკარგულება).

უმაღლესი ბრძანებით, ამა ივნისის 27-ს, ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და საჭიროთ სცნო:

1) ქალაქ ტფილისსა და ტფილისის მაზრაში შემოღებულ იქნა საომარი დროის წესები, თანახმად კანონთა კრებ. მე-II ტ. 23 მუხლის დამატებისა და გუბერნ. საზოგ. წესდებისა 1893 წ. გამოცემისა;

2) მომენიჭოს მე ის განსაკუთრებული სამხედრო და სამოქალაქო უფლება-მოვალეობანი, რომელნიც ეკისრება სამხედრო მმართველთ სახელმწიფო წეს-რიგის დაცვისა და საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დამყარებისათვის იმ ადგილებში, სადაც საომარი დროის წესებია შემოღებული და

3) ნება მომეცეს მე გადავცე ჩემი უფლება-მოვალეობანი, რომელნიც მენიჭება ზემოხსენებულ წესების მე-19 მუხლის თანახმად, განსაკუთრებით ამისათვის არჩეულ პირს, იმ პირობით კი, რომ მე უფლებას ვიტოვებ გავაუქმო, როცა საჭირო იქნება მისი განკარგულებანი, სახელმწიფო წეს-რიგის დაცვის შესახებ გამოცემული.

ვაცხადებ ამა უმაღლეს ნებას საყოველთაოდ და წინადადებას ვაძლევ კავკასიის არმიის 1-ლ კორპუსის უფროსს გენ.—ლეიტენანტს იაკუბოვიჩს, დაუყოვნებლივ შეუდგეს ტფილისისა და ტფილისის მაზრის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობის აღსრულებას".

მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ნამუსტნიკი კავკასიაში, გენ.-ადიუტანტი გრაფი **ვორონცოვ-დაშკოვი**.

შეიარაღებული გამოსვლები ტფილისში.

ოფიციალური ცნობა ტფილისში მომხდარ ამბების შესახებ 20 ივნისიდან 28-მდე.

23, 24 და 25 ივნისს ტფილისში სხვადასხვა ნაწილში ბოროტმოქმედთაგან გადაგდებულ იქნა 5 ყუმბარა; ზოგი მათგანი გასკდა და რამდენიმე კაცი მოკლულ ან დაჭრილ იქნა.

23 ივნისს, საღამოს მეცხრე საათზე; უცნობ ბოროტმოქმედმა საარტილერიო მოედანზე გადააგდო პეტარდა, რომელიც აფეთქდა და მსუბუქად დაშავა ორი ბავშვი. ხმაურობაზე თავიანთ ბინიდან გამოვარდენ პოლიციის პოლკის ყაზახ-რუსები, რომელთაც ვიღაცამ მაშინვე ესროლა ყუმბარა, მაგრამ ტყლახში ჩავარდა და არ გასკდა. მეორე დღეს, საღამოს ექვს-ნახევარ საათზე, ყუმბარა გადაგდეს სალდათის

ბაზარზე, გრაფის ქუჩის კუთხეში, ცარიელ სახლის მეორე სართულიდან. ყუმბარა გასკდა და მოხვდა იქვე დარაჯათ მდგომ ყაზახებს; ერთი მათგანი ლუკმა-ლუკმა დაგლეჯა, მეორე (ნიკ. ბელიხ) მძიმედ იქნა დაჭრილი თავსა, ზურგსა და ფეხებში; ეს ყაზახი იმავე ღამეს გარდაიცვალა მიხეილის საავადმყოფოში. გარდა ამისა, ყუმბარის ნამტვრევებისაგან დაჭრილ იქნენ მძიმეთ—მუშა ბაბა თემრაზოვი და მსუბუქად—მეეზოვენი ვასილ სალამატინი და პროკოფი მიხეევი; უკანასკნელი მეორე დღესვე გამოვიდა საავადმყოფოდან, ხოლო პირველნი ისევ ავად არიან. იქვე მოკლულ იქნა ყუმბარისაგან ყაზახის ერთი ცხენი. გადარჩენილმა ყაზახებმა მაშინვე სროლა დაუწყეს ბოროტმომქმედთ, რომელნიც იმ სახლის სახურავზე ავარდენ, რათა მახლობელ ეზოში გადამხტარიყვენ და ისე დამალულიყვენ; ბოროტმომქმედნი პოლიციამ დატუსაღა.

იმავე საღამოს, რვა საათზე, ყუმბარა ისროლეს თათრების მოედანზე, ვორონკოვის ქუჩის კუთხეში, სადაც იდგენ: მე-6-ე ნაწილის ბოქაული გლებოვი, მისი თანაშემწე მორგაევსკი, უბნის ზედამხედველი ჩიკვაიძე და პოლიციელი. ყუმბარისაგან დაჭრილ იქნა, არა საშიშრად, ბოქაული გლებოვი (უკვე რჩება კოდეც); მისი თანაშემწე მხოლოდ დაშავდა; უბნის ზედამხედველი ჩიკვაიძე მძიმედ არის დაჭრილი ფეხში (პეტერბ. სააგენტოს ცნობა, ვითომც ჩიკვაიძე გარდაიცვალაო კოდეც, ტყუილია); პოლიციელი უვნებლათ გადარჩა. აქვე უცხო პირებიც დაზარალდენ. ეაჭარს ნავთიკოვს, რომელიც ჯრწანისის ბაღებიდან მოდიოდა ომნიბუსით, ყუმბარის ნამტვრევმა თეძო დაუმტვრია.[1] იმავე საღამოს, საავადმყოფოში, ამ საბრალოს ძვლის 25 ნატეხი ამოუღეს ჭრილობიდან; მისი მორჩენა საეჭვოა. ომნიბუსის დანარჩენი მგზავრები უვნებლათ გადარჩენ. მსუბუქად დაჭრილ იქნა იქვე გზათ მიმავალი ხარაზი მიხ. ტოროსიანცი, ხოლო მეორე—სერგო კიკნაძე მძიმეთ დაიჭრა მუხლის თავში. იქვე ახლოს იპოვეს ქარვასლაში დამალული ყმაწვილი პეტროს შახბატოვი, რომელიც ყუმბარისაგან დაჭრილიყო მძიმეთ; ყმაწვილი იმავე ღამეს გარდაიცვალა სავდმყოფოში.

იმავე საღამოს მესამე ყუმბარა გაისროლეს ავლაბარში, მაგრამ არ გამსკდარა.

შაბათს, 25 ივნისს, საღამოს 6 ნახ. საათზე, ავლაბარშივე, კახეთის მოედანზე, უცნობმა ბოროტმომქმედმა ორჯერ ესროლა რევოლვერი მე-7 ნაწილის უბნის უბნის ზედამხედველს ილინს; ზედამხედველი მძიმეთ არის დაჭრილი ზურგში. ყაზახი დაეწია ბოროტმომქმედს და ხმლით თავი მოსჭრა. როცა ეს დაინახეს ავლაბრის მცხოვრებლებმა, ყაზახებს რევოლვერი დაუშინეს სახლის სახურავებიდან; ყაზახებმა თავის მხრივ თოფები დაუშინეს. გაისროლეს 23-ჯერ. ამ

სროლის დროს, სხვათა შორის, მოკლულ იქნა ლაზარევის ქუჩაზე, სახლის ბალკონზე გამოსული ახალგაზრდა ქალი ო. დ. იშხანოვისა, რომელმაც ეხლახან დაასრულა საექიმო კურსები და სახელმწიფო ეგზამინებისათვის ემზადებოდა. რამდენიმე კაციც დაჭრილ იქნა მსუბუქათ, ხოლო ქ ბ. ჯაფარიძისა და ბ. გოგინაშვილი მძიმეთ დაიჭრენ და მიხეილის საავადმყოფოში გაიგზავნენენ: პირველს ტყვია მუცელში მოხვდა, მეორეს თეძოში. იმავე საღამოს ყუმბარა გაისროლეს ოლღას ქუჩაზე, „მო კოვის ნომრების“ ახლო; დაჭრილ იქნენ: სიმონ ალახვერბეკოვ მარჯვენა ფეხში, ასლან მახმუდ-ოღლი თავში (26 ივნისს გარდაიცვალა) მეეზოვე ვასილ ანტონოვი (იმავე დღეს გარდაიცვალა), პაველ ლებედინი—მარცხენა ხელში, ავგუსტინა ოქონოვი—მარცხენა ფეხში, ოქონოვი მარჯვენა მხარში, პატარა ქალი ოქონოვისა—ზურგში, ნიკ. ჰოპოვი—ზურგში, და დავით გილაშვილი მუცელში და მხარში. გარდა ამისა, ბევრი დაშავდა, მაგრამ სავადმყოფოში არ გაუგზავნიათ და თავიანთ სახლებში წავიდენ.

26 ივნისს პოლიციამ აღმოაჩინა ყუმბარების საკეთებელი და საწყობი ადგილი ქალაქის მე-10 ნაწილში. გარდა ამისა ამავე დღეს დაპატიმრებულ იქნა ერთი ახალგაზრდა ქალი, რომელსაც სამი ყუმბარა უპოვეს.

„ზარალი ანაზღაურებული იქნება მოძრაობაში მონაწილე სასოფლო საზოგადოებათა მიერ“.

(„მოგზაური“ № 25—1905 წ.).

ადგილობრივ გაზეთებში ამ დღეებში დაბეჭდილი იყო ამბავი, რომ კავკასიის ნამისტნიკს გენერალი ამილახვარი და ჰაეჰავაძე გაუგზავნია ტფილისის გუბერნიის იმ ადგილებში, სადაც გლეხების მოძრაობაა. ხსენებული გენერლები აღშურვილი არიან განსაკუთრებული უფლებებით, შეუძლიათ დაპატიმრონ საეჭვო პირები, ჩასვან ისინი ციხეში, რისთვისაც მათ თან გაჰყვებათ დრაგუნის პოლკის თითო ესკადრონი. იმათ დანიშნულებას შეადგენს ამასთანავე მოიწვიონ სოფლის ყრილობები და გამოუცხადონ გლეხებს ის ზომები, რომლებსაც მთავრობა ღებულობს გლეხების დღევანდელი მოძრაობის ჩასაქრობათ. გარდა ამისა, ისინი უკითხავენ და ავრცელებენ ხალხში ნამისტნიკის შემდეგ განცხადებას გლეხების მიმართ:

განცხადება კავკასიაში მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის მოადგილის გენერალ-ადიუტანტის გრაფის ვორონცოვ-დაშკოვისა.

როგორც კი ჩამოვედი ჩვენის ყოველად მოწყალე **ხელმწიფე იმპერატორის** ნებითა და ნდობით ჩემის გამგეობისადმი ღრმუნებულ ქვეყანაში, მწუხარებით შევიტყევ, რომ ზოგიერთს ადგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებში ბოროტგამზრახველ ხალხის მიერ წაქეზებით გლეხ-კაცობამ გაბედა თავის ნებითა და ძალადობით დაპატრონება კერძო მფლობელთა მიწებისა და ტყეებისა, დაეჭერა მათი კარმიდამო და დაეტაცა ქონება; ამასთანავე მაცნობეს სხვა და სხვა მოხსენება და მოთხოვნილება გლეხ-კაცთა მიერ სიტყვიერად და წერილობით გამოთქმული იმაზედ, თუ რა გაჭირვება ადგიათ მათ შინაურ და საზოგადო ცხოვრებაში.

ვაცხადებ კავკასიის ყველა გლეხ-კაცთათვის: კანონი მკაცრად დაიცავს ყოველ საკუთრებას და თუ ვინმე უკანონოთ იჩემებს, მეტადრე თუ ვინმე ძალადობას ხმარობს, დამნაშავე დაისჯება არა მარტო სასტიკად, არამედ ქონებრივ პასუხისგებაშიაც მიეცემა იმ ზარალისათვის, რომელიც მიუყენებია სხვისი საკუთრებისათვის.

ამიტომ ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესის ბრძანებით ამა 1905 წლის აპრილის 10-ს უმართებელესის სენატის სახელობაზე **უმაღლესად** ბრძანება ინება: დაარსდეს იმ მაზრებში, სადაც უწესობა მოხდა, განსაკუთრებული დროებითი კომისიები, რათა ცნობაში იქნას მოყვანილი, როგორც ის პირები, ვინც მიიღო გლეხთა უკანონო ყრილობაში მონაწილეობა, ისე მიყენებული ზარალის რაოდენობაც. ეს ზარალი ანაზღაურებული იქნება იმ სასოფლო საზოგადოებათა ქონებიდან, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ყრილობაში და რომელთაც დაარბიეს და გაძარცვეს სხვები. ასეთი კომისიები იქნება დანიშნული აგრეთვე ამიერ-კავკასიის იმ მაზრებშიაც, სადაც უწესობა მოხდა.

ყველა იმ თხოვნებში, რომელიც წარმოადგინეს სასოფლო საგლეხო საზოგადოებათ თავის საჭიროებისა და მოთხოვნილებისა გამო და რომელიც მე მომახსენეს, მე ვცნობ ყურადღების ღირსად მხოლოდ იმას, რაც შეეხება: დროებით ვალდებულ გლეხთა და მათ ყოფილ მებატონეთა ურთიერთობას; სანაგვ მიწების, საძოვარ ადგილებს და ტყეების უჭონლობას; ეხლანდელ სასოფლო საზოგადოების მოუწყობლობას და სოფლის მოხელე პირთა რჩენის სიძვირეს; სამღვდელო პირთა სასარგებლოთ გადასახადების სიმძიმეს და გამოურკვევლობას; ახლანდელის სასოფლო სკოლების უყარგისობას; სასოფლო საავადმყოფოების ხარჯის სიმძიმეს; სასოფლო საზოგადოებათა შორის გზის საკეთებელის და აგრეთვე მოხელეთათვის სამგზავრო ხარჯის უთანასწოროთ განაწილებას; სახაზინო, საერო და სასოფლო გადასახადებისა და ბეგარის აკრეფის წესრიგის უყარგისობას.

მე ვგრძნობ, რომ ყოველივე ეს საჭიროებანი დაუყონებლივ იქნას გამორკვეული თვითეულ შემთხვევაში სოფლის საზოგადოებათა მიერ მათ შორისვე არჩეულ წარმომადგენელთა მონაწილეობით. შემდეგ მე მივიღებ ყოველსავე ღონისძიებას, რათა, რაც შეიძლება ჩქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა დაკმაყოფილებულ იქნას კანონიერი მოთხოვნილება საოფლის საზოგადოებათა და მოსპობილ იქნას ის უწესოება, რომელიც ხელს უშლის გლეხთა კეთილდღეობის წარმატებას და მათი შორის ცხოვრების წესიერ და წყნარ მიმდინარეობას. მაგრამ ამასთანავე ვაფრთხილებ გლეხ-კაცობას, რომ არაფრის გულისათვის არ იქონიონ იმედი, რომ შეუმატონ რამე თავიანთ სანადელო მიწებს კერძო მესაკუთრეების ადგილ-მამულისაგან.

კანონი, რაკი იცავს გლეხთა საკუთრებას, აგრეთვე იცავს საზოგადოდ ყოველსავე კერძო საკუთრებას; ამიტომ თუ გლეხები მოინდომებენ სახნავ მიწების, საძოვარ ადგილების და ტყეების სარგებლობას, შეუძლიათ ისარგებლონ მხოლოდ ამ ადგილების პატრონებთან შეთანხმებით.

ხოლო მე მივიღებ ღონისძიებას, რათა დავაკმაყოფილო გლეხების საჭიროება და გადავსცე მათ შეღავათიანის პირობით სახაზინო მიწები და დავეხმარო გლეხებს, რომ საგლეხო საადგილ-მამულო ბანკის შემწეობით შეიძინონ ადგილები კერძო მესაკუთრეებისაგან.

დასასრულ მოვიწვევ გლეხებს, რომ გულდასმით შეუდგენ მუშაობას და არ დაუჯერონ ბოროტგამზრახველ პირთა რჩევას და ახსოვდეთ, რომ **ხელმწიფე იმპერატორმა** თავისი საბრძანებლის უმთავრეს საზრუნველ საქმედ დაისახა რიცხვ-მრავალ გლეხთა წოდების ყოფა-ცხოვრების საუკეთესოდ მოწყობა. გენერალ-ადიუტანტი **გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი**.

მთავრობის მიერ მოწყობილი ხოცვა-ჟლეტა ტფ. ქალაქის თვითმართველობის შენობაში.

I. 29 **აგვისტოს 1905 წ. ტფილისის ქალაქის საბჭოში დაჭრილთა და მიხეილის საავადმყოფოში მიყვანილთა სია, გაზ. „კავკაზში“ გამოქვეყნებული.**—კოკოშიძე ესტ. ქრისტეფორეს ძე, იტრიევი ალექსანდრე გრიგორის-ძე, ამირაჯიბი ალექსანდრე პეტრეს-ძე, ბიბეოსეული სანდრო ალექსის-ძე (გარდაიცვალა 1 სექტემბერს, 2 სექტემბერს დაასაფლავეს), ლობჟანიძე ისაკ ჭაიხოროს-ძე (გარდაიცვალა 30 აგვისტოს, დაასაფლავა პოლიციამ 31 აგვისტოს), ჯავახიშვილი სტეფანე ზურაბის-ძე, ეგაშვილი მიხეილ აბრამის-ძე, ჯავახიშვილი პავლე გრიგორის-ძე, კვირიკაძე კონსტანტინე დავითის-ძე, ტერ-გრიჭუროვი ავაკიმ მარტიროსის-ძე (გარდაიცვალა 30 აგვისტოს, დაასაფლავა პოლიციამ 31 აგვისტოს), აკოფოვი ოლანეს ემელიანის-ძე (გარდაიცვალა 29 აგვისტოს, იმ დღესვე დაასაფლავეს), გოგავა მიხეილ იოარიონის-ძე, თალაკვაძე პანტელეიმონ იასეს-ძე (გარდაიცვალა 2 სექტემბერს, დაასაფლავეს 5 სექტემბერს), ევსეევი სერგეი გაბრიელის-ძე, ბათასი ილიკო ლავრენტის-ძე, პოპოვი პრომორი პეტრეს-ძე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტელეგა ლუკა კარპეს-ძე, სოლოგრაფეესკი ანტონ ვლადიმერის-ძე (გარდაიცვალა 31 აგვისტოს, დაასაფლავეს 2 სექტემბერს), კევრიეი ქრისტეფორე კონსტანტინესძე უწერაული ივანე შიოს-ძე, ჯოხაძე პოლიკარპე ლუკას-ძე, მერაქსიანი არმენაკ მელიქსედის-ძე, ხორელიძე ვასილ პეტრეს-ძე, თვალჭრელიძე აკაკი ფილიპეს-ძე, დურგლიანცი სიმონ სტეფანეს ძე (გარდაიცვალა და დაასაფლავეს 30 აგვისტოს), გალუსტოვი ალექსანდრე ავეტისის-ძე, რევაზოვი ალექსანდრე არტემის-ძე, ლეკიშვილი გიორგი ალექსანდრეს ძე, პატკანიანი აკოფ გრიგოლის-ძე, მიხაილოვი ვლადიმერ ნიკოლოზის ძე, კონტეევიჩ პეტრე ბიკენტის ძე (გარდაიცვალა და დაასაფლავეს 29 აგვისტოს), კერეგელიძე ვასილი გიორგის ძე, ბაიანდუროვი ერევანდ ზაქარიას ძე (გარდაიცვალა 29 აგვისტოს და დაასაფლავა პოლიციამ 30 აგვისტოს), ბოგდაევიძე დავით დავითის ძე, ენუქიძე სოლომონ გიორგის ძე (გარდაიცვალა 29 აგვისტოს და დაასაფლავა პოლიციამ 30 აგვისტოს), მეიფარიანი პლატონ სოლომონის ძე, გოლეტიანი ანდრია გლახუას ძე, მირიმანოვისა ანნა მოსეს ასული. სულ 39, ამათ შორის 10 გარდაიცვალა.

II. **ხაამბულატორიო ავადმყოფები, რომლებიც დახჭრეს 29 აგვისტოს 1905 წ. ქალაქის საბჭოს შენობაში.** სურგულაძე სერგეი, პარკოსაძე სტეფანე, კლიბაჩევი სიმონ, ტოტეაძე პაველ, საგირაშვილი კონსტანტინე, ცარნელაძე ვანო, ხუდოშვილი გიორგი, ვლადიმიროვი მიხეილი, ტერ-სიდომონიანცი არამი, ლაშხი მიხეილი, ჩერნიაევი ვალენტინი, კულიკოვი ანდრია, ისრაელიანცი აკოფი, ხუსურაული ვანო, პილუკიძე სოლომონ, ხოროშველი გიორგი, პოლოსიანცი არსენი, მიკირტუმოვი სანდრო, ტოროტაძე ვლადიმერი, შერშოვი გრიგორი, გვენცაძე ეპიფანე, კოსოშვილი სამსონი, ქარცივაძე მიხეილ, ტოგოევი ილია. სულ 24.

III. **29 აგვსტოს მოკლულთა სია, რომლებიც მიხეილის სავადმყოფოში მიიყვანეს.** თაქთაქიშვილი ალექსი (31 აგვისტოს დაასაფლავეს), მელაძე ივანე (ჩააბარეს ჭირისუფალს და დაასაფლავეს 31 აგვისტოს), ლიპარტიანი მიხეილი (ჩააბარეს ჭირისუფალს და დაასაფლავეს 31 აგვისტოს), ისაევი სარქის (ჩააბარეს ჭირისუფალს და დაასაფლავეს 31 აგვისტოს), ვართანოვისა ბარბალე (ჩააბარეს ჭირისუფალს და დაასაფლავეს 31 აგვისტოს), ტყემელაშვილი ანტონ (ჩააბ. პატ. და დაასაფლავეს 31 აგვ.), შახნაზაროვი თამარ (ჩააბარეს ჭირისუფალს და დაასაფლავეს 31 აგვისტოს), პისკოვისა ევა (ჩააბარეს პატრონს და დაასაფლავეს 31 აგვისტოს), კუპლანოვისა ლორა (ჩააბარეს პატრონს და დაასაფლავეს 31 აგვისტოს), კოპრიანსკისა ევგენია (ჩააბარეს პატრ. და დაასაფლავეს 30 აგვ.), ზბუტოვიჩი ალექსანდრე (ჩააბარეს პატრონსა და დაასაფლავეს 30 აგვ.), კოკია-

შვილი ისაია (პოლიციამ დაასაფლავა 30 აგვ.), ჩიქვაიძე ვასო (პოლიციამ დაასაფლავა 30 აგვ.), ჭელიძე ნიკოლოზ (პოლიციამ დაასაფლავა 30 აგვ.), აგეტისიანცი არშაკ (პოლიციამ დაასაფლავა 30 აგვ.), გვაზავა კონსტანტინე (პოლიციამ დაასაფლავა 30 აგვ.), ჩოგნელიძე (პოლიციამ დაასაფ. 30 აგვ.), კახეთელიძე კირილე (პოლიციამ დაასაფ. 30 აგვ.), ერზინკიანცი არისტაკი (პოლიციამ დაასაფლავა 30 აგვისტოს). მირზოევი ივანე (პოლიციამ დაასაფ. 30 აგვისტოს), კორღანოვი ალექსანდრე (პოლიციამ დაასაფლავა 31 აგვისტოს), ტორმალიძე პავლე (პოლიციამ დაასაფლავა 31 აგვ.), დარახველიძე ხარიტონ (პოლიციამ დაასაფლავა 31 აგვისტოს), ვასილიევი ნიკოლოზ (პოლიციამ დაასაფ. 31 აგვისტოს), ორი მოკლული ვერ გამოიცნეს (პოლიციამ დაასაფლავა 31 აგვისტოს). მოკლულია 23 კაცი. სამიც გარდაიცვალა სანამ ექიმი მიეშველებოდა. სულ მოკლულია 26.

მთავრობა დამნაშავეებათ დახოცილ-დარბეულთ სთვლის.

„კავკაზ-“ში დაბეჭდილია პოლიციის უფროსის გენერალ შირინკინის შემდეგი წერილი: „რუს. ვედ“. მე 25ნ ნომერში „გაზეთ „ნოვოსტი“-დან გადმობეჭდილია დეპეშა იმის შესახებ, ვითომ „პოლიციის უფროსს გენერალ შირინკინს შუამდგომლობა აღეძრას, დაინიშნოს სასტიკი გამოძიება 29 აგვისტოს მომხდარ ამბისა, დამნაშავენი სამართალში იქნენ მიცემულნი და პრესასაც უფლება მიეცეს გამოაქვეყნოს საქმის მსვლელობაო“. ეს ამბავი დეპეშის გამგზავნელის ოცნების ნაყოფია და არავითარ სიმართლეს არ შეიცავს“.

ყაზახთა წინააღმდეგ.

25 სექტემბერს მომხდარ ამბების შესახებ დაბეჭდილია გაზ. „კავკაზ“-ში.

„ცვირას, 25 სექტემბერს, ქ. ტფილისში გაისროლეს 9 ყუმბარა. პირველი ყუმბარა ისროლეს საღამოს 7 საათზე და 20 წუთზე ორთაჭალაში პოლტავის ყაზახთა სოტნის ყაზარმებთან. ესროლეს ყაზახთა რაზმს. ყუმბარისაგან დაიჭრა ერთი ყაზახი და სამი სალდათი ტფილისის პოლკისა, ადგილობრივი კამანდისა და ნიკეგოროდის დრაგუნთა პოლკისა; დაიჭრა აგრეთვე რამდენიმე გარეშე კაცი, მათ შორის ავაქ არუშანოვი, რომელმაც ყუმბარა გაისროლა.

ყუმბარა გაისროლეს აგრეთვე ბროსსეს ქუჩაზე (მესამე საპოლიციო ნაწილი) აქ ოთხი ყუმბარა გასცდა. ბოროტმოქმედი მისულან ყაზახთა ნაწილის ყაზარმასთან, რომელიც საპაირის ბათალიონის ყაზარმის უკან არის და ალაყაფის კარებიდან ეზოში ზედ ოთხი ყუმბარა შეუგდიათ. გამსქდარი ყუმბარის ნატეხებით დაიჭრენ ყაზახები მაჭსიმ შელუტკო და კუზმა სერედა. ეს უკანასკნელი 25 სექტემბერს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამით საავადმყოფოში მოკვდა. ყაზახები გარეთ გავარდნენ და დაიდეგნენ გაქცეულთ, რომელთაც ეტლი უცდიდათ; ამასთან სროლაც დაუწყეს. თავის მხრივ ბოროტმოქმედებმა რევოლვერებიდან ასტეხეს სროლა. ყაზახებმა ერთი იქვე მოკლეს და უნახეს ყუმბარა, ორი კი ეტლში ჩაჯდა და გაიქცა. ამათ მსუბუქათ ხელში დაჭრეს ერთი ყაზახი. დენისა და სროლის დროს დაშავდენ შემთხვევით გამვლელნიც. სასიკვდილოთ დაიჭრა და მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა ლეიტენანთა ობერ-პასტორი მიულერი, მძიმეთ ზურგში დაიჭრა და წუხელ უკვე გარდაიცვალა სახაზინო თეატრის რეჟისორის თანაშეწყმე მიხეილ ბოიარსკი, რომელიც ქუჩას გადადიოდა სახაზინო თეატრთან. დაიჭრა აგრეთვე ქუჩაში მიმავალი ალექსანდრე ფარმაზანოვი, მსუბუქათ მუცელში—ზაჭარია კოკოლაშვილი და თავში—კარაპეტ გრიქუროვი. ესენი, ჭრილობის შეხვევის შემდეგ, შინ წავიდენ. ამას გარდა, ბროსსეს ქუჩაზე მოკლულ იქნა სამი უცნობი კაცი, რომელთა გვამებიც მიხეილის საავადმყოფოს საანატომიო განყოფილებაში წაიღეს. ნაშუადღევის პირველ საათზე ბროსსეს ქუჩაზე, ყაზახთა და სპაორის ბატალიონის ყაზარმებს შუა პოლიციამ იპოვნა გატენილი, მაგრამ არ გავარდნილი ყუმბარა.

ამ ორ ადგილის გარდა ყუმბარები გაისროლეს ერმოლოვის ქუჩაზედაც, სასახლის გვერდზე, იქ, სადაც ნამესტნიკის კონვოის ყაზახთა ყაზარმებია. როდესაც აქაურმა ყაზახებმა ბროსეს ქუჩიდან ყუმბარისა და სროლის ხმა გაიგეს, ერმოლოვის ქუჩაზე გამოცვივდენ, მაგრამ იმ დროს, როდესაც ყაზახები, ბრძანების თანაწმად, მოტრიალდენ, ზუგრი ნამესტნიკის ბაღს შეაქციეს და ყაზარმებისკენ გაემართნენ, გაეარდა ყუმბარა, რომლის ნამტვრევებისაგან იქვე მოკვდა ყაზახი ბურლიაევი და დაიჭრა 12 ყაზახი: შახოტინი, ვიხმანცევი, კურკინი, კორობი, ტკაჩევი, ლუცენკო, არტიუხი, სადილო, პახომოვი, რაზდოლსკი, გორნიენკო და კუზნეცოვი. ამათგან სამი მძიმეთ დაიჭრა, დანარჩენი მსუბუქად. შახოტინი, კორობი და ტკაჩოვი წაიყვანეს მიხეილის საავადმყოფოში, დანარჩენი—სამხედრო გოსპიტალში. როგორც ეტყობა, ბოროტ-მოქმედი უნდა დაჭრილი იყოს, რადგან სისხლის წვეთები მისდევს მის ადგილიდან, სადაც აფეთქება მოხდა პეტრე დიდის ქუჩასა და თავად-აზნაურთა კერძო გიმნაზიამდე პეტრე დიდის ქუჩიდან მიხეილის საავადმყოფოში მიიყვანეს ამ აფეთქების დროს დაჭრილი ოვაკიმ სოგომონიანცი.

ბროსსეს ქუჩაზე, ყუმბარის აფეთქების შემდეგ „ბრისტოლის“ სასტუმროდან, რომელიც სახაზინო თეატრის პირდაპირაა გოლოვინის პროსპექტზე, და აგრეთვე ანაროვის, დობრეანსკის და სხვათა სახლის სახურავებიდან ვიღაცებმა რევოლვერები დაუშინეს პატრულს. ამათაც სროლითვე გასცეს პასუხი, მაგრამ ამ სროლის დროს არავინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჭრილა. გოლოვინის პროსპექტზე ამ დროს ხალხი დასეირნობდა. ნაწილი კიდევ აქეთ-იქით გაიფანტა. წარმოდგენა სახაზინო თეატრში გადაიდო.

გუშინ, 26 სექტემბერს, მეორე პარალელის ქუჩასა და ლაბორატორიის ვიწრო ქუჩაზე იპოვნეს ორი უყმბარა. როგორც ეტყობა, ეს უყმბარები წინა ღამეს გაქცეულ ბოროტ-მოქმედთ დაუგდიათ ქუჩებში იმ დროს, როდესაც ამ უბანს ჯარი შემოერტყა".

გენ. შირინკინს რევოლიუციონერებმა სიკვდილი გადაუწყვიტეს.

1 აგვისტოს გაზეთ „კავკაზში" გამოცხადებული იყო შემდეგი „ოფიციალური ცნობა".

„გასულ თვის უკანასკნელ რიცხვებში შეამჩნიეს, რომ ვიღაცა საეჭვო კაცები ნამესტნიკის სასახლესთან ტრიალობდენ ხოლმე და მოხელე პირების სასახლეში შესვლა-გასვლას თვალს ადევნებდენ.

ამიტომ პოლიცია მათ თვალს ადევნებდა და ბოლოს შეიტყო, რომ მათ დაპროკლდებულება ქონდათ ბევრს სხვა ცნობილ არაკეთილსაიმედო კაცებთან. სხვათა შორის, პოლიციამ შეიტყო, რომ 28 ივლისს ერთმა მათგანმა მიშჩენკოს ფოტოგრაფიაში შეიძინა ფოტოგრაფიული სურათი კავკასიაში საერობო დაწესებულებათა შემოღების შესახებ კრებაზე მონაწილეობის მიმღებთა. პოლიციამ შეიტყო აგრეთვე, რომ ის უცნობნი, რომლებიც სასახლეს თვალ-ყურს ადევნებდენ, თავს იყრიდენ სასტუმრო „გრანდ-ოტელ"-ში და ამ ბოლო დროს შიგ მძიმე ბოხჩები შექონდათ. საიდუმლო გამოძიების შემდეგ გამოირკვა, რომ ეს უცნობნი ჩვეულებრივ 28 ნომერში იკრიბებოდენ. ეს ნომერი დაქირავებული ქონდა ერთ ქართველ ყმაწვილ კაცს, რომელიც თავის მოქმედებით ყველას ყურადღებას იქცევდა.

პოლიციამ გადაწყვიტა ყველა ეს პირები შეეპყრო.

31 ივლისს, შუადღისას, პოლიციის მოხელენი მივიდენ სასტუმრო „გრანდ-ოტელში" ამ პირების შესაპყრობად და უცბად შევიდენ 28 ნომერში. აქ იმათ ნახეს ოთხი კაცი, რომლებმაც ძალის ხმარება მოინდომეს და ცდილობდენ ბელში აეღოთ სტოლზე მდებარე რევოლვერი „ბრაუნინგის" სისტემისა. ამავე დროს ერთ მათგანს უნდოდა როგორმე ფეჩთან მისულიყო, სადაც, როგორც შემდეგში აღმოჩნდა, შენახული იყო გატენილი ყუმბარები, მაგრამ პოლიციის მოხელეებმა აღარ დააცალეს და ყველა დროზე შეიპყრეს,—ერთი მათგანი თავშიაც დასჭრეს.

მალე იმ ადგილს მივიდა გამომძიებელი და ტფილისის სამოსამართლო პალატის პროკურორი დოლნიკოვი, დაათვალიერეს მე-28 ნომერი და ფეჩში ნახეს შვიდი ყუმბარა, ეგრედ წოდებულ „მაკედონიის ტიპისა",—ზოგი დიდი, ზოგი პატარა. ორი მათგანი გატენილი

იყო. ამას გარდა აქვე ნახეს დინამიტი, ასაფეთქებელი ვერცხლის წყალი, ბიკფორდის პატრუქები და ფისტონები. იქვე იპოვნეს სურათები ნამესტნიკისა, პოლიციის უფროსის შირინკინისა და ტფილისის სოციალისტ-რევოლიუციონურ პარტიის განაჩენი, რომლითაც გუნ. შირინკინს სიკვდილი ჰქონდა გადაწყვეტილი.

მჭადისჯვარში გლეხებსა და ჯარს შორის შეტაკება მოხდა.

(ოფიციალური ცნობა, „კავკაზი" № 205)

გაზეთ „ნოვოე ობოზრენიე"-ს 170 ნომერში გადაბეჭდილი იყო „იევრეიდან" ცნობა იმის შესახებ, რომ სოფ. მჭადისჯვარში მომხდარ შეტაკების დროს მოკლულია 30 კაცი და დაჭრილია 40-ზე მეტიო. ეს რიცხვი გაზვიადებულია. მაზრის ადმინისტრაციის ცნობებით, პირველ დღეს აღმოაჩინეს 7 მოკლული და 12 დაჭრილი, მაგრამ, რადგანაც იმ დროს ყრილობაზე ბევრი სხვა სოფლიდანაც იყო მოსული, მათ შორის გორის მაზრიდანაც კი, დაჭრილები ცდილობდენ დამალულიყვნენ. შესაძლებელია, დაშავებულთა რიცხვი უფრო მეტი იყოს, მაგრამ ასე ბევრი კი არ იქნება. „იევრეის" მიერ გამოქვეყნებული და „ნოვოე ობოზრენიე"-საგან გადაბეჭდილი ცნობა ალბათ დამყარებულია შეუმოწმებელ ცნობებზე. ამიტომ ამ ორივე გაზეთის წინადადება ეძლევა ეს განმარტება გადაბეჭდონ.

სოფელ მჭადისჯვარში მომხდარ სამწუხარო შემთხვევის გარემოება შემდეგში მდგომარეობს: რადგანაც ამ სოფლის გლეხები ღალის მიცემაზე უარს ეუბნეოდენ თავ. ბაგრატიონ-მუხრანსკის, 31 ივლისს მაზრის უფროსმა გაგზავნა ამ სოფელში ბოქაული, რომელსაც დაევალა, სხვათა შორის, სამი გლეხის დატუსაღება, რომლებიც სოფელს აქეზებდენ, მემამულეს არაფერი მისცეთო... ეს გლეხები რომ დაეჭირეს, სოფელ მჭადის-ჯვარში გლეხებმა შეჰკრიბეს 300 კაცი და დატუსაღებულნი ძალით განთავისუფლეს. მაშინ სოფელში გაგზავნა ქვეითა ჯარის ნახევარი როტა და რამდენიმე კაზაკი, რომელთა დახმარებითაც გლეხებს გადაახდევინეს მემამულის კუთვნილი ღალა, მაგრამ ხალხის მიერ განთავისუფლებულმა სამმა გლეხმა დამალვა მოასწრო. ხალხმა თან წაიყვანა აგრეთვე მოსამსახურენი, ორის გარდა. 3 აგვისტოს მემამულის სახლთან ღილიდანვე შეიყარა თავი ხალხმა. სოფ. მჭადისჯვრის გარდა იქ იყვნენ არამც თუ დუშეთის მაზრის სოფლებიდან, გორის მაზრიდანაც კი.

შუადღისას მემამულის ალაყაფის კარებთან თავი მოიყარა ათას კაცზე მეტმა, რომლებიც თბილისობდენ წინა დღით წყლებულ ღალის დაბრუნებას, ამასთან ჰყვიროდენ და კეტებსა და ორთითებს ხელში ატრიალებდენ. პატარა ხანს უკან იმ ადგილას მივიდა მაზრის უფროსი. გლეხებმა მაზრის უფროსს კატეგორიულათ და უკმეხათ განუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხადეს, ჩვენ შევიყარენით, რომ წავართოვათ უკანვე მემამულეს ღალები, რადგან ამის შემდეგ მემამულეებს აღარაფერს მივცემთო. მაზრის უფროსი ბევრს ეცადა ხალხი დაემშვიდებინა, მაგრამ ვერაფერს გახდა და, როდესაც პოლკოვნიკმა ფონ—ბაუმ-გრანტენმა გააფრთხილა ხალხი: იძულებული ვიქნები იარაღი ვიხმაროო, ხალხი მას გარს შემოერტყა და მისი და პოჭაულის ცემა მოინდომა. მაშინ მაზრის უფროსმა წინადადება მისცა კაზაკების ოფიცერს ხალხი გაეფანტა, ოფიცერი უკაზაკოთ მიუხლოვდა ცხენით ხალხს და სამჯერ სთხოვა დაშლილიყვენ, მაგრამ პასუხათ ქვები დაუშინეს. ოფიცერი გამოტრიალდა, გაამწკრივა კაზაკები, უბრძანა, ხმლები ეშიშვლათ და ამგვარათ გაემართა ხალხისაკენ; ამ დროს ერთი გლეხი მივარდა ოფიცერს და ორთითით უნდოდა დაერტყა.—მაგრამ თავში ქვა მოხვდა და ცხენიდან გადმოვარდა. ოფიცერი წამოვარდა და პრძანება გასცა ხალხისთვის ესროლათ. 22 კაზაკის გარდა იქ იყო ქვეითა ჯარის ნახევარი როტა, პრაპორშჩიკის უფროსობით. ერთი ვზოდი და ოფიცერი მასთან გაგზავნილი იყო მემამულის სახლ-კარის დასაცავათ, დანარჩენები კი კაზაკებთან ერთად იყვენ. ქვეითა ჯარს სროლა არ დაუწყია. სროლის შემდეგ ხალხი გაიქცა. ამის შემდეგ ცნობები მოვიდა, 300 კაცზე მეტი მოვიბედან სოფელში მოდის გლეხების დასახმარებლათო. ოფიცერი კაზაკებით მათ წინ შეეგება და გაფანტა ისინი, ხალხმა ხარების რეკა ასტეხა და ამით უნდოდათ დასახმარებლათ ქ. დუშეთიდან ხალხი მოეკრიბათ, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. დაჭირეს ერთი, რომელიც ხალხს აღელვებდა.

შეტაკების დროს, როგორც ჯერ-ჯერობითაა გამორკვეული, გლეხებს შორის დაშავდა 19 კაცი. მოკლულია 8, დაჭრილია 12. ამასთან მოკლულია რიცხვში სოფელ მჭადის-ჯვარის მცხოვრები მხოლოდ სამია, მეორე მხრით ოფიცრის გარდა დაშავებულია ორი კაზაკი და დაჭრილია კაზაკების რამდენიმე ცხენი. დაშავებულთ პირველი დახმარება აღმოუჩინა კაზაკთა რაზმის ფერშალმა, ხოლო ღამე მოვიდა მაზრის ექიმი, რომელმაც ყველას ხელ-ახლა შეუხვია ჭრილობები.

7 აგვისტოს იმ ადგილას მივიდა გენერალ-ადიუტანტი თავადი ამილახვარი. რადგანაც გლეხები მემამულის სახლ-კარს განადგურებას უქადიან, იქ ჯარის ერთი რაზმია ჩაყენებული.

8 აგვისტოს დღისით, სოფელ მჭადის-ჯვარიდან სამი ვერსის მანძილზე მიმავალ ერთ სტრაჟნიკსა და ორ კაზაკს საფარიდან თოფები დაუშინეს. ერთი კაზაკი იქვე მოკლეს, მეორეს ცხენი დაუჭრეს.

10 აგვისტოს მჭადის-ჯვარის გზაზე ორი ტყვიით დაჭრეს თავ. ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკი.

რადგანაც გორის მაზრის თავად-აზნაურები აცხადებენ, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ მოკვლას უქადიან და ძალას ატანენ გაზეთებში გამოაცხადონ, რომ თავის ნებით გლეხებს უთმობენ სანადელო მიწებს და თანახმანი არიან საკუთარ მიწებში მეოთხედის მაგივრათ მეათედი მიიღონ, გორისა და დუშეთის მაზრებში ნამესტნიკის მიერ გაგზავნილი გენერალ-ადიუტანტი ოვ. ამილახვარი აცხადებს, რომ ამგვარ ცნობებს ყველა სიფრთხილით მოეპყრას.

მატარებელზე თავდასხმა სად. აბაშაში.

სად. აბაშიდან გაზეთ „კავკაზში“ (№ 227) დაბეჭდილია შემდეგი ამბავი: „კვირას, 4 სექტემბერს, როცა სამგზავრო მატარებელი № 16 მოვიდა, საღამოს 5 საათს და 25 წუთზე, მატარებელს დაეცა რამდენიმე ათასი კაცისაგან შემდგარი ხალხის ბრბო, რომელიც იარმარკ'ს გამო იყო აქ შეკრებილი. ასტყდა სროლა ერთი მხრით ხალხსა და მეორე მხრით აფიცერისა, 3 სალდათსა და 3 ჟანდარმის შორის. სროლის დროს უცნობმა პირებმა მოხსნეს ორთქლმავალი, რომელიც სამტრედიაში წავიდა, მატარებელი კი აბაშაშივე დარჩა მგზავრებითურთ. ხალხის მხრით რამდენიმე კაცი დაჭრილი და მოკლულია; ამ მატარებლით პოლიტიკური ტუსაღები მიყავდათ ქუთაისში. ხალხს სწორეთ იმათი განთავისუფლება სურდა.

ჯარების გადაჯგუფება.

(გაზ. „კავკაზიდან“).

— ოლქის ჯარების უფროსის ბრძანებით დაუყოვნებლივ უნდა გაიგზავნოს ქ. ოზურგეთში კურინის პოლკის ერთი ბათალიონი, ხოლო ახალ-სენაკში უნდა გაიგზავნოს მეორე ბათალიონი.

— ბორჩალოს მაზრის სოფ. შულავერში გაიგზავნა ჩერნომორის კაზაკთა პოლკის ერთი ასეული.

— განჯიდან ქ. შემახაში გაიგზავნა შემახის პოლკის ერთი როტა.

— დ. ბუგდიდიდან ქ. ოზურგეთში გაიგზავნა არდაგანის პოლკის ერთი როტა, აქედან ნახევარი როტა ჭობულეთს წავა.

გორისა და დუშეთის მაზრების გამოყოფა ტფილისის გუბერნიიდან.

(მთავრობის განკარგულება, „კავკაზი“ № 227)

რადგანაც ამ ჟამად მავნე აგიტაციის გავლენით გორისა და დუშეთის მაზრებში უწესოებანი ხდება, დარღვეულ წესების აღსადგენად საჭიროდ ვცანი ეს მაზრები ტფილისის გუბერნატორის განკარგულებიდან გამოვანაწილო და დავუქვემდებარო სამოქალაქო ნაწილის მხრივ მე 77 ტენგინის პოლკის უფროსს პოლკოვნიკ ალუანტს, რო-

მელსაც მინიჭებული აქვს საგანგებო უფლებანი და სამოქალაქო ნაწილის მხრის დასახმარებლათ ვნიშნავ ჩემთან მყოფ საგანგებო მინდობილობათა მოხელეს კოლეგსკი სოვეტნიკს თავ. გრუზინსკის. ნამესტნიკი, გენერალ-დიუტანტი გრაფი **ვორონცოვ-დაშკოვი.**

კიდევ ახალი დაპირებანი...

გაზეთ „კავკაზ"-ში (№ 224) დაბეჭდილია შემდეგი განცხადება კავკასიის ნამესტნიკის მიერ ხელმოწერილი: კავკასიის მცხოვრებთა მიმართ.

უკანასკნელ წლებში კავკასიაში, როგორც რუსეთის შიდა გუბერნიებში, დაარსდა მრავალი წრე საიდუმლო პარტიებისა და საზოგადოებისა, რომელნიც თავიანთ მიზნით და მოქმედებით ერთმანეთში განირჩევიან, მაგრამ ყველა ისინი ცდილობდენ არალეგალურ ბრძოლით შეეცვალათ სახელმწიფოს არსებული წესწყობილება.

ეს პარტიები, საზოგადოებანი და წრეები მოქმედობდენ მცხოვრებთა შორის და იარაღათ ხმარობდენ იმ საშუალებას, რომელთაც შესაფერი ნიადაგი ჰქონდათ.

მაგალითად, მუშათა შორის პროპაგანდას ეწეოდენ ქირის მომატებისა და საზოგადო მუშათა მდგომარეობის ნიადაგზე: გლეხებს უთითებდენ მათ გაჭირვებულ ცხოვრებაზე და სხვა და სხვა დაპირებით შეცდომაში შეჰყავთ, მაგალითად, კერძო საკუთრება გაუქმდება, მიწები მემამულეებს წაერთმევათ და სხვა.

პროპაგანდის უმთავრეს იარაღათ ისინი ხმარობდენ შემდეგ ხერხს: მცხოვრებთ არწმუნებდენ, რომ ხალხმა თვითონ უნდა მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, რადგან მათი საჭიროებანი მთავრობამ არ იცის და ხელმწიფესაც არას აგებინებსო.

იაპონიასთან ომმა, რომელმაც ამდენი მსხვერპლი შეიწირა, ეჭვი არაა, ხელი შეუწყო საიდუმლო საზოგადოებათა მოქმედებას.

ამგვარად, აგიტაციის შედეგს ჩვენ კარგად ვხედავთ, მისი დაფასება შეუძლია ყველას, მუშასაც და გლეხსაც: ოდესღაც აყვავებული ბათომი, რომელიც თავისი ფართო ვაჭრობით და ქარხნებით ლუკმა პურს აძლევდა რამდენიმე ათას მუშას, დღეს დაიღუპა; ქარხნებმა მუშაობა შესწყვიტეს და მექარხნეებს მოქმედება უცხო ქვეყნებში გადაეტანათ; ბაქოს ნავთის მრეწველობა დაეცა: აგიტაციით გატაცებულმა სოფლის გლეხებმა, იმის მაგივრათ, რომ მშვიდობიანათ ეშრომნათ, მემამულეთა სახლების ძარცვას მიჰყვეს ხელი, თავის ხელით სხვისი მიწები დახნეს და მემამულეებს აღარაფერს აძლევდენ.

ძარცვა-გლეჯათა და მემამულეთა ოჯახების დაქცევით, გლეხები არ გამდიდრებულან; სამაგიეროთ მათ მოაკლდათ ის, რასაც თავიანთი შრომით იძენდენ და ბოლოს ყველანაირი ზარალიც მათ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახდებათ. ხშირი გაფიცებებით ვერც მუშებმა შეიძინეს რამე: იმის მაგივრად, რომ ქირის ფასი მომატებოდათ, მრავალი ქარხანა დაიხურა და ამით ლუკმა პური მოაკლდათ. კარზე დარჩენილი აუარებელი მუშა მოედო სოფლებსა და ქალაქებს და სიმშილით გამწარებული, იძულებულია ძარცვა-გლეჯას მიჰყოს ხელი. ამასთან საპყრობილეები ივსება, ოჯახების მარჩენალი აკლდება და სისხლი, რომელიც სამშობლოს დასაცველად მტერთან ბრძოლაში უნდა იღვრებოდეს, ტყუილუბრალოდ იქცევა. საიდუმლო აგიტაციას მხვერპლად მრავალი მშვიდობიანი მცხოვრები ეწირება.

6 აგვისტოს უმაღლესი ბრძანებით სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მონაწილეობის მისაღებათ მოწვეულია მთელი იმპერიის მცხოვრებნი, რომელთა წარმომომადგენლებიც სახელ წიფო სათათბიროში კანონების შესადგენათ მუდმივ მონაწილეობას მიიღებენ.

პოლიციური ზომები... თუ სათანადო მთავრობა დაიმსახურებს მკვიდრთა ნდობას...

(ოფიციალური ცნობა, „კავკაზი“ № 246)

ნამესტნიკის თანხმობით კავკასიის პოლიციის უფროსმა დაუგზავნა ცირკულიარი გუბერნატორებს, ოლქის უფროსებს, გუბერნიის, ოლქის და რკინის გზის ჟანდარმთა გამგეობებს, პოლიციმეისტერებს, ოლქის და მაზრის უფროსებს. ამ ცირკულიარში მათ სახელმძღვანელოდ შემდეგი საფუძვლებია აღნიშნული.

მდგომარე წლის თებერვალში საჭიროდ დაინახეს კავკასიის ნამესტნიკის თანამდებობის აღდგენა სრულის უფლებით. როგორც ამის შესახებ გამოცემულ უმაღლეს რესკრიპტიდანა სჩანს, უმთავრეს საქმეთ სცნეს დაუყოვნებლივ წესიერების აღდგენა კავკასიაში, რათა ამ კუთხეშიაც შესაძლებელი ყოფილიყო შიდა რუსეთში განხორციელებულ რეფორმების შემოღება.

იმ განზრახვით, რომ უმჯობესად ყოფილიყო ასრულებული ეს მიზანი, სხვათა შორის, საჭიროდ ცნობილ იქნა დაარსება კავკასიის პოლიციის გამგის თანამდებობისა. ამ თანამდებობის შექმნით უნდა გაერთიანებულიყო მოქმედება სანამესტნიკოში პოლიციის სხვა და სხვა ორგანოთა მოქმედებისა. ამა წლისა 22 მაისს გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება სენატის მიმართ, რომელიც შეეხება ამ საგანს; ამასთანავე გამოცხადებულ იქნა დებულება კავკასიის პოლიციის გამგის შესახებ, რომელიც განსაზღვრავს ამ თანამდებობის სხვა და სხვა მოვალეობას. ამ დებულების მეორე მუხლის ძალით, პოლიციის გამგე ნამესტნიკის უმაღლეს ხელმძღვანელობით თვალ-ყურს იჭერს და ზრუნავს სახელმწიფო წყობილების და საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დასაცველად კავკასიის საზღვრებში.

ამგვარად, ნამესტნიკის დანიშნულებათა ასასრულებლად პირდაპირ იმას ექვემდებარება ერთ-ერთი აქტიური ორგანო, რომელიც თვალ ყურს ადევნებს ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებას, ვალდებულია დაიცვას სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესიერება.

უმაღლესი რესკრიპტი და უმაღლესი სახელობითი ბრძანებანი შეიცავენ უმაღლესის ნების გამოხატულებას იმის შესახებ, რომ საჭიროა დაარსდეს განსაკუთრებით უმაღლესი თანამდებობა კავკასიისთვის, აღჭურვილი ისეთის უფლებით, რომელიც შეძლებას მისცემენ დამოუკიდებლივ და საჩქაროდ გადასწყვიტოს ხოლმე ადგილობრივ ყველა საკითხი ამ ფართო და მდიდარ განაპირა ქვეყნის დაწყნარების შესახებ; ახალი თანამდებობის პირს ადგილობრივ უნდა შეესწავლა ქვეყნის დაწყნარების შესახებ; ახალი თანამდებობის პირს ადგილობრივ უნდა შეესწავლა ქვეყნის საჭიროებანი, თავის დროზე პასუხი უნდა გაეცა ხოლმე მცხოვრებლების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებით და მოესპო ყოველივე, რაც კი ხელს უშლიდა საზოგადოებრივ განვითარებას და ეკონომიურ აყვავებას.

ეჭვს გარეშეა, რომ ასეთი მძიმე საქმე კეთილად ასრულდება, თუ ნამესტნიკს დაეხმარებიან კავკასიის მცხოვრებნიც და იმის ხელქვეითი მოხელენი. ნამესტნიკმა არა ერთხელ გამოსთქვა თავის რწმენა, რომ ამ საქმეში მას დაეხმარება ყველა წოდება და ხალხთა გონიერი ელემენტები; იგივე იყო აღნიშნული ზემოაღნიშნულ უმაღლეს რესკრიპტშიაც; მოხელეთა შესახებ ნამესტნიკმა ეს გამოსთქვა შემდეგ დებეშაში: „დარწმუნებული ვარ, რომ ყველა მსახურნი მთავრობის დაწესებულებებში შეიგნებენ, რაოდენ საჭიროა ამ მძიმე დროს, ყოველი ძალ-ღონე ვიღონოთ და კავკასიაში კეთილდღეობა დავამყაროთ იმ სახით, რომელიც აღნიშნულია ხელმწიფე-იმპერატორის რესკრიპტში ჩემს სახელზე".

რაც შეეხება კავკასიაში საპოლიციო ნაწილის გამგის თანამდებობის დაწესებას, საჭიროა აღინიშნოს, რომ ამით უნდოდათ კავკასიაში სხვა და სხვა საპოლიციო დაწესებულებათა მოქმედების გაერთიანება. გაერთიანება არ შეიძლება იყოს მხოლოდ მექანიკური, ე. ი. შეთანხმება იმ პირთა და დაწესებულებათა, რომელთაც მინდობილი აქვთ პოლიტიკურ დანაშაულობათა დევნა და თავიდან აცილება, არამედ უნდა იყოს შეერთება და შეთანხმება ყველა დაწესებულებათა ენერგიულ საერთო მუშაობისთვის, რომელსაც საგნად უნდა ჰქონდეს საზოგადოებრივ წეს-რიგის დაცვა კავკასიაში, რისთვისაც საჭიროა შეგნებული შემოქმედებითი მუშაობა და არა უბრალო საპოლიციო ძიება. თუ იმას ვიქონიებთ მხედველობაში, რომ საზოგადოებრივ წესიერების დაცვა მარტო პოლიტიკურ მოღვაწეობას არ შეუძლია,

არამედ ამისთვის საჭიროა საზოგადოების კეთილგონიერ ელემენტთა დახმარება, მაშინ ჩემის აზრით, არც იმას უნდა ვიღიწყებდეთ, რომ საზოგადოება ასეთს დახმარებას მაშინ აღმოუჩენს მთავრობას, თუ ეჭნება იმისი ნდობა და პატივისცემა; ხოლო საზოგადოების ნდობისა და პატივისცემის მოპოვება მაშინ შეუძლია მთავრობას, როცა დაამტკიცებს, რომ მას მხოლოდ კანონიერების დაცვა სწადიან და რომ, მას საზრუნველ საგნად გაუხდია ყველა მცხოვრებთა კეთილდღეობა.

გავიცანი რა საერთო ხასიათი კავკასიის სათანადო უფროსთა მოქმედებისა, სამწუხაროთ, უნდა ვაღიარო, რომ მათი მოქმედების ხასიათი არ შეეფერება მათის სამსახურის მოთხოვნილებათ, საზოგადოებრივ უზრუნველყოფისა და სახელმწიფო წეს-წყობილების დაცვა მარტო მაშინ შეიძლება, თუ სათანადო მთავრობა დაინახურებს მკვიდრთა ნდობას და დარწმუნებული იქნება, რომ მთავრობის წარმომადგენელები მარტოდენ მკვიდრთა კეთილდღეობას ემსახურებიან, განურჩევლად კლასებისა და თავის სამსახურის აღსრულების დროს მოხელენი მტკიცე და შეურყეველნი იქნებიან.

ჩვენ დაავასახელებთ იმ გარემოებათ, რომელთაც ადგილი არ უნდა ჰქონოდა მოხელეთა მოქმედებაში და რომელთა თავიდან აცილება საჭიროა: 1) ჩვენ არა ერთხელ შეგვემჩნევია, რომ ადგილობრივ მთავრობის ორგანოთა წარმომადგენელნი ყოველივე მოძრაობის—მუშათა თუ აგრარულის—მიზეზთ ასახსნელებენ ბოროტ-გამზრახველთა აგიტაციას მათდამი რწმუნებულ რაიონებში და თხოულობენ ამ აგიტატორების გაძევებას, რის შემდეგაც ყოველივე მოძრაობა ვითომდა თავის თავად ჩაქრებაო. ჩვენ არას ვიტყვით იმის შესახებ, რომ ასეთი აზრი ცხოვრებაში არ მართლდება, ვინაიდან ბოროტ-გამზრახველთა გაძევებით არავითარი მოძრაობა არ ჩამქრალა, ვიტყვით მხოლოდ, რომ ასეთი აზრი თეორიულადაც მართალი არ არის. ყოველივე აგიტაცია მხოლოდ მაშინ გამოიღებს ხოლმე ნაყოფს, როდესაც მას ნიადაგი აქვს ხალხში. მაშასადამე, ჩვენ ვერ დავუჯერებთ ადგილობრივ დაწესებულებათა იმ უფროსებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ თუნდა, მაგალითად, სისტემატიური გაფიცვა ათასის და ათი-ათასის მუშისა. რომელი გაფიცვებიც ხშირად სამხედრო ძალის ხმარებას გვაიძულებენ ხოლმე და ამ ძალის ხმარებას ადამიანთა მსხვერპლიც მოსდევს, მარტო რამდენიმე ბოროტგამზრახველი აგიტაციის ნაყოფი იყოს. ასეთი მსუბუქი ახსნა-განმარტება ამ დიად მოვლენათა, სამწუხაროდ, მარტო იმას ამტკიცებს, რომ სათანადო მთავრობა გულგრილად ეკიდება თვის თანამდებობათა აღსრულებას და არა სცდილობს ყოველი მხრიდან გამოირკვიოს, შეისწავლოს ეს მოვლენა. უამისოთ კი მე არ შეიძლია ნამესტნიკს გავაცნო საქმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამდვილი ვითარება. ამასთანავე ჩემ მოხსენებაში ნამესტნიკისადმი ყოველთვის დავასახელებ ხოლმე იმ მოხელეთ, რომლებიც წინდაწინვე ჩვდმიწევნით გამაცნობენ საქმის გარემოებას და ამითი საშუალებას მოგვცემენ, რომ ჯეროვანისა და სათანადო ზომების მიღებით თავიდან ავიცილოთ მომავალი სამწუხარო შედეგი. 2) ვინაიდან სათანადო მთავრობას ასეთი ყალბი წარმოდგენა აქვს საზოგადოებრივსა და კლასობრივ მოძრაობის მიზეზებზე, შევამჩნიე ავრეთვე, რომ ძალიან ხშირათ თხოულობენ ხოლმე ამა თუ იმ ბოროტ აგიტატორის სამშობლოდან გაძევებას. უნდა ვსთქვა, რომ რადგანაც სისხლის სამართლის წესის 1035 მუხლის ძალით სახელმწიფო წესწყობილების მტერთა წინააღმდეგ მოქმედებისათვის, მე არ შემიძლია მხარი დაეუჭირო ფართო პრაქტიკას ადმინისტრატიულ დასჯისას. მე მგონია, რომ ამგვარი ბრძოლა სახელმწიფო წესწყობილების მტერთა წინააღმდეგ, რომელ მტერთა გამრავლებას შეიძლება ადმინისტრატიულმა რეპრესიებმაც შეუწყოს ხელი, არამც თუ სასარგებლო არ არის, არამედ პირდაპირ მავნებელიცაა ჩვენთვის, ვინაიდან ასეთი ხშირი და სასტიკი ზომები ხალხის თვალში მთავრობას აბრუს უტეხავს და ეჭვსა ჰბადებს მის სამართლიანობა-თანდათანობაში. ადმინისტრატიული რეპრესია მხოლოდ იშვიათად და უსაჭიროეს შემთხვევებში უნდა იხმარებოდეს. ხოლო როცა ეს რეპრესია საერთო წესადა ხდება და იხმარება არა იშვიათ შემთხვევაშიც კი, აღელვებს და აშფოთებს ხალხს, სთესავს შუღლს მთავრობის წარმომადგენელთა შორის და ხელს უწყობს მთავრობის მტერს, რომ ეს ზომები მთავრობის თვითნებობათ მონათლოს. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ ჟანდარმთა კორპუსის მოხელენიც მიმართავენ ხოლმე ამ ზომებს, ჟანდარმთა ოფიცრების უღონობას ამტკიცებს, რომ მათ არ ძალუძთ საქმის რიგიანი გამოძიება ან სათანადო დაფასება ამა თუ იმ აგიტატორის მოქმედებისა, რომელიც შეიძლება დასასჯელიც არ იყოს.

მაგალითად, დღეს მე ხელთა მაქვს მოხსენება ჟანდარმებისა იმ პირთა ადმინისტრატიულად დასჯის შესახებ, რომლებიც აგიტაციას ეწეოდენ მუშათა, მეეტლეთა და ლაქიათა შორის და ის კი არ არის ნათქვამი, რომ ეს პირნი სრულიადაც არ ეკუთვნიან რომელიმე აკრძალულ ორგანიზაციას და აგიტაციას მხოლოდ ეკონომიურ ნიადაგზე ეწეოდენ. ერთი მათგანის შესახებ ხომ საკმარისი საბუთებიც არ არის ნაჩვენები, მეორეს შესახებ კი არის. ეს მეორე 17 წლის ჰაბუკია და ისეთი საქციელიც ჩაუდენია, რომ იგი გასამართლებულ უნდა იქნას სისხლის სამართლის წესით და პასუხის გებაშიაც მიუციათ, მაგრამ არც ჟანდარმს და არც ბრალმდებელს საჭიროთ არ დაუნახავთ მისი წინასწარი დაპატიმრება, ვინაიდან საკმაო საფძველს ვერა

პოულობდენ. ვიმეორებ, რომ ფაქტიურად დაუსაბუთებელი მოხსენება არც კი უნდა წარმოეედგინათ. ამ ორ კაცს სულ სხვადასხვა დანაშაულის ჩადენა ბრალდებათ და მათთვის ერთსა და იმავე სასჯელის დადებას თხოულობენ. როდესაც ეს მოხსენება ნამესტნიკს წარუდგინე, ნამესტნიკმა მოისურვა მხოლოდ მეორეს დასჯა სისხლის სამართლის 1035 მუხლის ძალით და მიბრძანა ორიენტი გამეთავისუფლებინა და თან გამეფრთხილებინა, რომ თუ კიდევ ჩაიდენდნენ რაიმე დანაშაულს, მაშინ კი გადასახლებულ იქნებოდნენ.

მეორე შემთხვევა. საქმის გამოძიება პოლიციის ცნობებით ქალაქის გამგეობაში არა კეთილსაიმედო მოსამსახურეთა, რომლებიც გაიფიცნენ და ჯამაგირის მოპატებას თხოულობდნენ, მოაბრძინა ქანდარმთა კორპუსის ოფიცერმა. გამოძიება უმთავრესად დამყარებულია გაფიცვის პირობების გამოკვლევაზე, მაგრამ ძლიერ ნაკლები საბუთები კი აღმოჩნდა. სხვათა შორის ძნელი გამოსაძიებელი აღმოჩნდა ჩვენება რამდენიმე კაცისა ერთის შესახებ, რომელიც ვითომ აკრძალულ სარევოლიუციო წიგნაკებს აკითხებდა სხვებს. გამოძიებაში მოხსენებულია მეორე მოუსენარი კაცი, შეიძლება დამნაშავეც კი, მაგრამ ამის დასასკვნელად საკმაო საბუთები ვერ შეუკრებიათ. აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ ქანდარმთა ოფიცერი გამოძიების დროს ყალბ გზას დაადგა და გამოძიების საგნად თავის თავად უმნიშვნელო ფაქტი აირჩია,—გაფიცვა მოსამსახურეთა ჯამაგირის მოპატების მოთხოვნით—ფაქტი, რომელიც ან არავითარ ქანდარმთა გამოძიებას არ საჭიროებდა, ან ამ ოფიცერმა ვერ მოახერხა აღმოეჩინა ფაქტები ქალაქის გამგეობაში მოსამსახურეთა არა კეთილსაიმედობისა. ამ საქმის გამო კი ადგილობრივი მთავრობა რამდენიმე კაცის გადასახლებას თხოულობს, ამავე დროს საქმიდან სჩანს, რომ სამი ბრალდებულთაგანი დასჯილ უნდა იქნეს სისხლის სამართლის 1035 მუხლის ძალით, თუმცა არც ერთი მათგანი დატუსაღებული არ არის.

ეს მეორე საქმე თვალსაჩინოთა ყოფს, რომ მთავრობის ადგილობრივი წარმომადგენელნი სათანადო გულმოდგინებითა და დაკვირვებით არ ეპყრობიან თავის სამსახურის მოვალეობის აღსრულებას. სულ უბრალო საქმეა, 56 ფურცელი ქაღალდი კი გაუჭრელებიათ, თუ იმ მიწერ-მოწერას არ ვიანგარიშებთ, რომლებიც საქმეში არ არის ჩაკერებული და რომელიც წარედგინა ნამესტნიკის საბჭოს და ზედმეტი და უსარგებლო დროს დაკარგვა გამოიწვია, ვინაიდან სასტიკ რეპრესიულ ზომების მიღება იმ უმნიშვნელო გაფიცვის გამო, რომელიც გამგეობის კედლებს არ უნდა გასცილებოდა, არც თუ გაამწვავებდა იმ პირთ, რომელთაც ეს რეპრესია დაადგებოდათ, არამედ ააღელვებდა კიდეც მცხოვრებლ და აამხედრებდა მთავრობის წინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმდეგ, რადგანაც ამ რეპრესიების მისაღებად საჭირო საბუთები ხელთ არ გვეჭირა. 3) შევამჩნიე ავრეთვე, რომ ხშირად ატუსაღებენ ხოლმე სხვა და სხვა პირთ, თუმცა საამისოდ საკმაო საბუთები არა აქვთ. ასეთი ამბავიც მოხდა, რომ ჟანდარმის ოფიცერს დაუტუსაღებია კაცი და თავის გადაწყვეტილების პირველადმებელისათვის არ გაუგზავნია—რასაც კანონი სასტიკად თხოულობს—და არც თავი შეუწუხებია საქმის გამოძიებით. კაცი იგი ორ კვირაზე მეტი იჯდა ციხეში და განთავისუფლებულ იქნა მხოლოდ მაშინ, როცა ეს ბრალდებელმა მოითხოვა ამ ტუსაღის საჩივრის გამო. ამასთანავე აღმოჩნდა, რომ ეს კაცი სრულიად უდანაშაულო ყოფილა და ჟანდარმის ოფიცერს ცოტა თავი რომ შეეწუხებინა, დატუსაღების რამდენიმე საათის შემდეგ, სრულ სიმართლეს შეიტყობდა. უნდა ახსოვდეთ სათანადო მოხელეთ, რომ თავისუფლების წართმევა და კაცის მარტოდმარტო გამომწყვდევა ოთახში ისეთი დიდი სასჯელია, რომ სასტიკი ზომები უნდა იქნეს მიღებული იმათ წინააღმდეგ, რომლებიც ასეთ სასჯელს ვისმეს უსაბუთოდ მიაყენებენ. 4) თუ მთავრობის წარმომადგენელთა მიერ ჩადენილი თვითნებობა აბრუს უტეხავს ამ მთავრობას ხალხის თვალში და ხალხს სამართლიანად აღელვებს, არა ნაკლებ ასუსტებს და ამცირებს მთავრობას ის გარემოებაც, რომ მთავრობის წარმომადგენელნი გულგრილად ეკიდებიან თავის მოვალეობის ასრულებას და მთელი თავისი ძლიერებით არ გამოიჩენენ ხოლმე იმ უფლებათ, რომელიც მათ აქვთ მინიჭებული. სწორეთ ამ გარემოებით აიხსნება ის მოვლენა, რომ ხალხი, რომელიც აქამდე ემორჩილებოდა კანონიერ მთავრობას, ხედავს რა მთავრობის სისუსტეს, დღეს გადაუდგა მას და ემორჩილება საიდუმლო კომიტეტებს. ამგვარი მოვლენა აიხსნება მარტო იმით, რომ მთავრობის მოხელენი მთელი წლების განმავლობაში ყურადღებას არ აქცევდენ ხალხის მწუხარება-დალხინებას, გულ-გრილად ეკიდებოდენ თავის მოვალეობათა აღსრულებას და იმიტომაც მოულოდნელათ ხალხის გარეშე დარჩენ. ის ხალხი, რომელმაც დაინახა სისუსტე მთავრობის ორგანოთა, დაემორჩილა იმ საიდუმლო კომიტეტებს, რომლებიც ხალხსაც და თვით მთავრობასაც ტერორით უმკლავდებიან. ამგვარი უწესოება და ანარქია დიდათ მაზარალებელია სახელმწიფო წეს-წყობილებისათვის. ხოლო მთავრობის წარმომადგენლები თავის დროზე რომ დაკვირვებოდენ ხალხის გაჭირვებას, ან სავსებით შესდგომოდნენ მათდამი მინიჭებულ უფლებათა აღსრულებას, ამისთანა ამბავი არ მოხდებოდა. 5) სამწუხაროდ ასეთივე გულგრილობა მოსჩანს ხედამხედველ ორგანოების მოხელეთა მხრივ სარევოლიუციო მოქმედების აღმოფხვრის დროსაც. ეს მოხელენი გამოეკიდებიან ხოლმე ისეთ მოვლენებს, რომელთაც არავითარი სარევოლიუციო მიზანი

არა აქვს, ასტეხენ ხოლმე დაუსრულებელ მიწერ-მოწერას და თავისი პირდაპირი დანიშნულება კი—აღმოჩენა მთავრობის მოწინააღმდეგეთა და მათ მოქმედებათა, ავიწყდებათ. ამასობაში სახელმწიფო წესწყობილების მოწინააღმდეგენი ძალას იკრებენ, სარგებლობენ მთავრობის წარმომადგენელთა ცალმხრივ გატაცებით და თავის ქადაგებას ყველგან ავრცელებენ. კავკასიის ანდარმთა ერთ-ერთ სამმართველოს უფროსი მთელის წლის განმავლობაში გულმშვიდად ანიშნავდა ხოლმე იმ გარემოებას, რომ ჯარის ერთ-ერთ ნაწილში ვიღაცები სახელმწიფო წესწყობილების საწინააღმდეკო მოწოდებათ ავრცელებდენ და თან დასძენდა ხოლმე დამნაშავეთა აღმოჩენა ვერ მოხერხდაო. ასეთის გულგრილობის შედეგმა აღარ დაიგვიან. ახლა იგივე უფროსი იუწყება: ჯარის ამ ნაწილში შესამჩნევი მოძრაობა დაიწყო და თავის მთავრობას პირდაპირი უკმაყოფილებაც კი გამოუცხადა და „ცუდი საჭმელი" მოიმიზეზაო. ამგვარად, რევოლუციონერებმა იქაც კი მიაღწიეს, სადაც მათ ყოველგვარი გზა დაშხლილი უნდა ჭქონოდათ. 6) აქამდე აუსრულებელი რჩება კავკასიის პოლიციის უფროსისადმი ინსტრუქციის მე-13 ჯ, რომლის აუსრულებლობაც ძლიერ მიშლის ხელს. უმაღლესი მოხელენი მოვალენი არიან დაწვრილებით აუხსნან და განუმარტონ აღმასრულებელ ორგანოებს, თუ რა დროს უნდა მიმართონ იარაღს. ეჭვს გარეშეა, რომ კავკასიის ცხოვრების განსაკუთრებული პირობები დაუყონებლივ თხოულობს იარაღის ხმარებას იქ, სადაც საჭიროება მოითხოვს, მაგრამ ისიც ეჭვს გარეშეა, რომ იარაღის უადგილო ადგილას ხმარებაც მცხოვრებთა შორის დიდ უკმაყოფილებას და გულისწყრომას იწვევს და ხალხსა და მთავრობას შორის შუღლსა სთესავს, ამიტომ უფროსებმა უმცროსებს გადაჭრით უნდა განუმარტონ ხოლმე იარაღის ხმარების დრო. ვიმეორებ, იარაღი დაუყოვნებლივ უნდა იხმარებოდეს იქ, სადაც საჭიროა, მაგრამ თუ ამ საჭიროებამ განვლო, ან არ ყოფილა ისეთი საჭიროება—იარაღის ხმარება თვითნებობათ უნდა ჩაითვალოს. მაგალითად, დამნაშავის დაჭერის დროს საჭიროა იარაღის ხმარება, მაგრამ თუ დამნაშავე უკვე შეიპყრეს, შეპყრობილის ცემასა და ზედმეტ შევიწროვებას ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს.

მე თვითონ ხელს შევუწყობ იარაღის ხმარებას მაშინ, როდესაც საჭიროა, მაგრამ ამავე დროს სასტიკათ მოვეპყრობი თანამდებობის პირთ, თუ იმათ რაიმე თვითნებობა და ძალმომრეობა გამოჩნენს.

* * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

(საქართველოს რევოლიუციის მუშაობის მსვლელობიდან)

ტფილისის ქანდარმთა სამმართველოს უფროსი „სრულიად-საიდუმლოთ“ 1913 წლის დეკემბრის 30 ს თარიღით (№ 11,938) რაიონების და ქუთაისის ქანდარმთა სამმართველოს აცნობებს:

„ცნობები მოგვეპოვება, რომ სიქტემბრის უკანასკნელ რიცხვებიდან ოქტომბრის 15-მდე ჟენევაში მუშაობდა დაშნაკცუტიუნის პარტიის ყრილობა. ყრილობის მუშაობა ნაადრევად დამთავრდა იმის გამო, რომ მისი მონაწილენი კონსტანტინეპოლში გაემგზავრენ სიმონ ზავარიანის დაკრძალვაზე დასასწრებლათ.

დელეგატებათ იყვნენ: 1) **რუსეთიდან**: ალექსანდროპოლის მეშჩანინი ლიბრიკ ავედისიანი 32—33 წლისა, ტანად მაღალი, შავგვრემანი, მოკლედ შერეკილი წვერი აქვს; ტფილისის მეშჩანინი ლევონ არაქელიანი (30 წლისა, ტანად დაბალი, ქერა, ქერა ულვაშები, უწვერო, რუსეთში წვერს ატარებდა; მამა მისი ერევნელია) და ზორიანცი. 2) **ოსმალეთიდან**: ვაგან პაპაზიანი, არამ ვრამიანი, არუტიუნ შარიკიანი და არტამ აზარიანი, 3) **სპარსეთიდან**: მერსოპიანი და ხანადიანი, 4) **ამერიკიდან**:—„აგნუნი“ (ბაჩატურ მალუმიანი, და 5) **ბალკანეთიდან**: (რუმინეთი, ბულგარეთი) დელეგატის ვინაობა გამორკვეული აო არის.

ყრილობაზე მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილებანი: 1) ვიყოთ კაუშირში პარტია „იტტიხადთან“, 2) ვიყოლოთ ოსმალეთის პარლამენტში 4 დეპუტატი-დაშნაკელი, 3) ოსმალეთის სომხეთში პოლიციისა და სასამართლო უწყების სამსახურში გაყვანილ იქნას მოსამსახურეებათ პარტიის წევრები, 4) მცირე აზიაში რეფორმების გატარებისა და ვილაეტებათ დაყოფის შემდეგ თვალყური ვადევნოთ ამ ვილაეტებში პოლიტიკურ მოღვაწეობას, 5) ბიუროს ნებადაურთველად ნება მიეცეს ოსმალეთისა და სპარსეთის კომიტეტეტების ყოველწლიური არჩევნებისა, 6) დაევალოს ყველა ცენტრალურ კომიტეტებს ყოველწლიურად წარმოადგინონ ჟენევაში პარტიული თანხების შემოსავალ-გასავალი, 7) ბიუროს ნება დაურთველად ცენტრალურ კომიტეტს უფლება წაერთვას ტერორის ხმარებისა, 8) დაწესებულ იქნას, რომ კერძო გაფიცვების გამოცხადება მხოლოდ ადგილობრივ შეუძლიათ კომიტეტებს, საერთო გაფიცვებისა კი, ბიუროს ბრძანებით, 9) დაევალოს ცენტრალურ კომიტეტებს წარმოადგინონ გადასათვალიერებლად ბიუროში იმ იარაღთა აღწერილობა, რომლებიც მათ განკარგულებაშია იმის აღნიშვნით, რამდენია ცეხებგაუზში და რამდენი ხელზე დარიგებული, 10) ხელახლა არჩეულ იქნას ცენტრალური და საოლქო კომიტეტთა წევრები და აგრეთვე ტერორის ხელმძღვანელნი, 11) თუ საჭიროება მოითხოვს, ვიმეშაოთ პარტია „ჰინჩაკთან“ შეთანხმებით ოსმალეთის სომხეთში თავდაცვის მოსაწყობად და ხელი შეუწყოთ იქ რეფორმების გატარებას, 12) რომ არ იქნეს გამოწვეული რუსეთის მთავრობის გაბრაზება სომხების წინააღმდეგ, რომელიც რეფორმების გატარებას უწყობს ხელს, არ მოხდეს არავითარი გამოსვლა რუსეთის წინააღმდეგ არც დამოუკიდებლად, არც სოციალისტ-რევოლიუციონერების

პარტიასთან ერთად, არ გაეწიოს ამ პარტიას და „მუშათა კავშირებს“ დახმარება გაფიცვების დროს, 13) გადაყვანილ იქნას ყველა ზინვორები კავკასიიდან ოსპალეთის სომხეთში, 14) ოსმალეთის სომხეთში რეფორმის გატარებამდე ზედამხედველით უნდა ვადევნოთ თვალყური პოლიტიკურ ცხოვრებას რუსეთში, მაგრამ პარტიულმა ორგანიზაციებმა ეს მუშაობა უნდა შეასრულონ კონსპირატიულად, 15) მე-12 პუნქტში მოყვანილი გადაწყვეტილების თანახმად გავლენა მოვახდინოთ რუსულ პარტიებზე—სოციალისტ რევოლიუციონერებზე, სოციალ-დემოკრატებზე და ანარქისტებზე, რომ მათ არ განიზრახონ ტერორის მოწყობა ხელმწიფე იმპერატორის წინააღმდეგ, 16) გაიგზავნოს კავკასიაში თავისი კაცები, როგორც პანისლამისტთა ემისარები, რათა მათ პროპაგანდის საშუალებით ამხელორონ მუსულმანი მოსახლეობა რუსეთის წინააღმდეგ და ასე გამოვიწვიოთ აჯანყება, რასაც მოყვება რუსეთის მთავრობის მხრით რეპრესიები თავის შედეგით—მუსულმანი მასების დაუძლურებით, რის წყალობით „დაშნაკცუტიუნს“ დაბრკოლება არ გადაეღობება თავისი მომავალი მუშაობის დროს კავკასიაში: ამას გარდა, ასეთი მუშაობით აცილებული იქნება ის საშიშროება, რომელიც სომხებს მოელით კავკასიის მუსულმანების და ანატოლიის თურქთა გაერთიანებული მოქმედებით, 17) გახსნილ იქნას სკოლები რუსეთში, ოსმალეთში, სპარსეთში და ამერიკაში იმ ბავშვების აღსაზრდელათ, რომელთა უმრავლესობას არ შეუძლია მშობლიური ენაზე არა თუ წერა-კითხვა, არამედ ლაპარაკიც კი. მე 16 პუნქტში მოყვანილი გადაწყვეტილება მიღებული ავეტის ჰარონიანის წინადადებით.

გაცნობებთ რა ამას, გთხოვთ სერიოზული ყურადღება მიაქციოთ მე-16 მუხლში მოყვანილ ყრილობის დადგენილებას და ამ მიზნით გაძლიერებულ იქნას თვალყურის დევნება პანისლამისტურ მოძრაობისათვის, აგრეთვე თვალყური უნდა ადევნოთ კავკასიაში ემისარების შემოსვლას.

შედეგი მაცნობეთ.

პოლკოვნიკი **პასტრიულინი**.

აგრეთვე „სრულიად საიდუმლოთ“ ჭუთაისის ჯანდარმთა სამმართველოს უფროსი ამავე ცნობას უგზავნის (31 დეკემბერი 1913 წ. № 2150) თავის თანაშემწეს ბათუმის ოლქში შემდეგი წარწერით:

„გაცნობისა და ასლების გადაღების შემდეგ ამავე მიზნით მიწერ-მოწერა წარუგზავნეთ თანაშემწეს სოხუმის ოლქში, რომელიც აღსრულების შემდეგ წარმოადგენს სამმართველოში.

პანისლამისტურ მოძრაობისათვის თვალყურის დევნების შედეგის და კავკასიაში ემისარების შემოსვლის შესახებ მე მომახსენეთ“.

აქვე ეს დოკუმენტი მოგვყავს რუსულად:

НАЧАЛЬНИК
Тифлисского Жандармского
УПРАВЛЕНИЯ.
30 декабря 1913 г.
№ 11938
По району.

Совершенно-секретно.

Начальнику Кутаисск. Губернского Жандармского Управления.

По имеющимся сведениям, с последних чисел сентября по 15-ое октября сего года в Женеве происходил с'езд партии Дашнакцутюн, закончившийся преждевременно, в виду необходимости присутствования его участников в Константинополе на похоронах Семена Заваряна.

Делегатами были: 1) от России: Александропольский мещанин Либарик АВЕДИСЯН (32-33 лет, высокаго роста, брюнет, малая стриженная бородка), Тифлисский мещанин Левон АРАКЕЛЯНЦ (лет 30 низкого роста, шатен, светлые усы, без бороды, в России носил бороду; отец его родом из Эривани) и Зорянц, 2) от Турции: Ваган ПАПАЗЯН, Арам ВРАМЯН, Арутюн ШАРИКЯН и Арташ АЗАРЯН, 3) от Персии: МЕСРОПЯН и ХАНАДЯН, 4) от Америки „АГНУНИ" (Хачатур Малумьян) и 5) от Балкан (Румыния и Болгария) делегат не выяснен. На с'езде приняты следующие решения: 1) быть в союзе с партией „Иттигад", 2) иметь в оттоманском парламенте 4 депутатов-дашнакистов 3) в турецкой Армении провести членов партии на службу по полиции и судебному ведомству, 4) по проведении реформ в Малой Азии и разделении ее на вилайетов, следить за политической деятельностью в этих вилайетах, 5) допустить производство ежегодных выборов членов центральных комитетов Турции и Персии без разрешения бюро, 6) вменить в обязанность всем центральным комитетам ежегодно представлять в Женеву отчеты по приходу и расходу партийных денег, 7) лишить центральные комитеты права применять террор без разрешения бюро, 8) устанавить, что частичные забастовки могут об'являться на местах комитетами, обище же только по приказанию бюро, 9) обязать центральные комитеты пред'являть для обозрения бюро опись оружия, находящегося в распоряжении центральных комитетов, с указанием какое количество находится в цейхгаузах и какое на руках, 10) переизбрать членов центральных комитетов и областных комитетов, а также руководителей террора, 11) по соглашению с партией „Гнчак" работать в случае надобности по организацию самообороны в Турецкой Армении и содействовать проведению там реформ, 12) дабы не вызвать раздражения против армян русского правительства, содействующего проведению реформ,—не предпринимать никаких выступлений против России ни самостоятельно, ни совместно с партией социалистов-революционеров, не оказывать ей и „рабочим союзам" помощь во время забастовок, 13) перевести всех зинворов с Кавказа в Турецкую Армению, 14) до проведения реформ в последней тщательно следить за политической жизнью в России, при чем партийные органы должны осуществлять свою деятельность самым конспиративным образом, 15) с целью, изложенной в п. 12, воздействовать на русские партии социалистов-революционеров, социал-демократов и анархистов, дабы они не предпринимали террора против государя импе-

ратора, 16) послать своих людей на Кавказ под видом панисламистских эмиссаров, дабы путем пропаганды возбудить мусульманское население против России и поднять возстание, последствием чего будут репрессии со стороны русского правительства с их последствием—ослаблением мусульманских масс, а потому „Дашнакцутюн" не встретит сопротивления мусульман при своей будущей работе на Кавказе; кроме того минует опасность об'единенных действий против армян со стороны кавказских мусульман и турок в Анатолии, 17) открыть школы в России, Турции, Персии и Америке для обучения детей, многие из которых не знают не только родной грамоты, но и своего языка. Решение, изложенное в п. 16 предложено Аветисом АГОРОНЯНОМ.

Сообщая о сем, прошу обратить серьезное внимание на изложенное в п. 16-м постановление с'езда и с этою целью усилить наблюдение за панисламистским движением, а равно установить наблюдение за прибытием эмиссаров в пределы Кавказа.

О последующем прошу уведомить.

Полковник *Пастрюлин*.

Совершенно-секретно.

Помощнику моему в Батумской Области.

По ознакомлении и по снятии копии, переписку для той цели направить Помощнику в Сухумском округе, коему по миновании надобности, представить в Управление.

О результатах наблюдения за панисламистским движением и за прибытием эмиссаров в пределы Кавказа, донести мне.

Нач. Кут. Губ. Жанд. Упр-ия, Полковник *Трескин*.

31 декабря 1913 г.
№ 2150
г. Кутаис.

განყოფილება

III

მუზეუმები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. ჩხეიძე.

ჩემი მოგონებანი.

დასასრული, იხ. „რევ. მატ.“ № 1 (6).

ჩემი პირადობის გამორკვევა გაგრძელდა, რადგანაც სხვისი პასპორტით ვცხოვრობდი. როცა მე ბაქოში ჩავედი, ჩემი პასპორტი თან მქონდა, რადგანაც ჟანდარმებს დაებრუნებიათ ჩემი ცოლის-ლისთვის (ის ამ დროს ენფიანჯიანცის თამბაქოს ქარხანაში მუშაობდა დღეში სამ აბაზათ და ასე ინახავდა თავს და სამ შვილს). მე მინდოდა ჩემი პასპორტით მეცხოვრა, მაგრამ შაუმიანმა, ჯაფარიძემ ბაქოში და ვანომ არ ჰქნეს. გამიკეთეს პასპორტი სხვის სახელზედ, კახეთის შესხოვრებაზ მეჭაშვილის სახელზედ. ეს პასპორტი ზეპირად იყო შედგენილი. ჟანდარმებმა გაგზავნეს დეპეშა კახეთში, საიდანაც მოვიდა პასუხი,—მაგნაირი კაცი ჩვენ არ გვყავსო. ჟანდარმი მეუბნება: შენ მეჭაშვილი არა ხარ, თქვი ვინა ხარო. თქმა ნამდვილი გვარის აუცილებელია, მაგრამ პირობა თევზაძესთან, რომ ერთმანეთს არ გავცემთ!?

ვეუბნები—მე მეჭაშვილი ვარ და თქვენ როგორც გინდათ, ისე მოიქეცით მეთქი. რამდენიმე დღის შემდეგ ამხანაგებმა გადმომცეს თევზაძის წერილი იაკუტსკიდან გამოგზავნილი, საცა სწერდა, რომ ის ცხოვრობს იაკუტსკიდან შვიდ ვერსზედ სოფ. მარხში და აპირებს იქიდან გაქცევას. მოვახდინეთ თათბირი ბაქოში, ვანომ და მე. გადაწყდა მეთქვა ჩემი ნამდვილი გვარი, რადგანაც წერილის გამოგზავნის შემდეგ ოთხი თვე იყო გასული და ვიფიქრეთ, რომ თევზაძე გაქცეული იქნება იაკუტსკიდანო. გამვოუძახე განცხადებით „ჩემს“ ჟანდარმის კაპიტანს. ვუთხარი—მე ვარ გიორგი ჩხეიძე, ადმინისტრატიულად გადასახლებული „იაკუტსკის ოლქში“ ოთხი წლით; ვცხოვრობდი სოფ. მარხში და იქიდან გამოვიქეცი მეთქი. გაგზავნეს დეპეშა იაკუტსკში: „გიორგი ჩხეიძე აქ არის, არ გაქცეულა“. ჟანდარმი გაკვირვებით მაჩვენებს დეპეშას. ძალიან მეწყინა, რომ თევზაძე ისევ იქ იყო. ამით დაირღვა პირობა ჩემი მხრით, ის ჩემდა უნებურად გაცემული შეიქნა. რაღას ვიზამდი. „მე მე ვარ, ხოლო ის ვინ ჩხეიძეა მე არ ვიცი“ მეთქი. გაგზავნეს მეორე დეპეშა. როგორც შემდეგ მითხრა თევზაძემ, ის იქ დაეპატიმრებინათ. ყველაფერი დაწვრილებით ეთქვა ცოლ-შვილის, დედ-მამის, ერთი სიტყვით, ჩემი ბიოგრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფია დაწვრილებით იცოდა. ის გაეშვათ ციხიდან და აქ მიიღეს მეორე პასუხი: „Такой то здесь. А у вас там какой то самозванец"! —რას იზამ. მე ვამტკიცებ, რომ მე მე ვარ, იაკუტსკიდან მოსული საბუთები კი ამტკიცებენ, რომ მე, მე არა ვარ. გადასცეს ჩემი საქმე განსაკუთრებულ გამომძიებელს. გამომძიებელმა გამომიცხადა, თუ ნამდვილ შენს გვარს არ იტყვი, შენ „ბროდიაგა" ხარ და სასამართლო გადაგიწყვეტს ოთხი წლის „როტას" და შემდეგ გაგგზავნიან საუკუნოთ იაკუტსკშიო. გადამაცვეს „უგოლოვნის" ტანისამოსი და გადამგზავნეს ბაილოვის ციხიდან შუახინკის საკატორღო ციხეში, როგორც „ბროდიაგა", მაწანწალა.

ვანო და მისი მოყვარე გაუშვეს. ვანო წინად სხვის გვარზედ ცხოვრობდა, მას ამ გვარით ეძებდნენ, ახლა კი თავის გვარზედ იყო. გამოარკვიეს, რომ ის სწორედ ვანო სტურუა იყო და გაანთავისუფლეს. ხაჭროც ტფილისში წაიყვანეს რვა წლის კატორღის მისასჯელად. მე დამტანჯეს. დაეკითხნენ ტფილისში ცოლ-შვილს, ჯიხაიშში— დედ-მამას, დებს, მეზობლებს. ყველამ, რასაკვირველია, დაამტკიცა, რომ მე მე ვარ. აგრეთვე შეეკითხნენ ტფილისის დეპოს უფროსის თანაშემწეს მ. ა. სამახოლს. სამახოლის ჩვენება წამიკითხა გამომძიებელმა. ის აჩვენებდა ჩემზედ, როგორც პატიოსან კაცზედ, კეთილ სინდისიერ მომუშავეზე და ამბობდა, რომ იმან არაფერი არ იცოდა ჩემი სოციალისტობის, რევოლიუციონერობის, დაიჭერეს და რისთვის არ ვიცი და მის შემდეგ არაფერი გამიგიაო...

ყველაფერი ამტკიცებდა ჩემს ვინაობას, მაგრამ გამომძიებელს მაინც არ სჯეროდა, რომ მე ჩხეიძე ვიყავი. ბოლოს მე უთხარი შეკითხებოდეს პოლიციის დეპარტამენტს პეტერბურგში და აგრეთვე ტფილისში ჟანდარმებს, სადაც ჩემი სურათები ბლომათ იყო. ერთი წლის შემდეგ, როგორც იყო დარწმუნდენ, რომ მე ჩხეიძე ვიყავი. გადამცეს მომრიგებელ მოსამართლეს, როგორც გამოქცეული. მოსამართლემ შემიყვანა ცალკე ოთახში. მარტო მე და ის ვიყავით (მოსამართლე გერმანელი იყო, გვარი არ მახსოვს). როგორც ეტყობოდა მან ყველაფერი იცოდა. გაკვრით მკითხა, თუ გაუცვალე გვარი ვისმეს, მითხარიო. მაგრამ მე ჩემზე ვიდექი. გადამიწყვიტა ორი თვე გამოქცევისთვის, ორი კვირა სხვის პასპორტზე ცხოვრებისთვის. მას რომ შესძლებოდა ჩემი განთავისუფლება, ეტყობოდა, სულ გამანთავისუფლებდა. რომ გამოვედი გარეთ, დამხვდენ ჩემი ცოლი და გიორგი სტურუა. გავიგე, რომ სტურუა მოლაპარაკებოდა პირდათ ჩემზე მოსამართლეს, ყველაფერი დაწვრილებით ეამბნა ჩემი გამოქცევის შესახებ და მოემზადებინა ჩემდა სასარგებლოდ.

იმ დღესვე გადამგზავნეს ბაილოვის ციხეში, გამაყოლეს ციხის

Бакинское Губернское Жандармское Управленіе.







ОПИСАНІЕ ПРИМѢТЪ

Возрастъ по дар. книгѣ 35 - 37 Годъ и мѣс. рожденія

Ростъ 1 метр. 70 сант. Цвѣтъ волосъ Брюнет. Глаза Цвѣтъ бѣлка

1) Волосы: Цвѣтъ Густота Лысъ

2) Борода и усы: Цвѣтъ Форма Густота

3) Лицо: Цвѣтъ Выраженіе

4) Носъ: Высота Длина Корень Спинка Кончикъ Ноздри

5) Уши: Цвѣтъ Величина Форма

6) Глаза, какъ (обритъ) Величина Глубина

7) Губы: Цвѣтъ Толщина

8) Зубы: Цвѣтъ Полнота

9) Какія особыя примѣты

Эта. Алмазо Кьооо.

ორი ზედამხედველი. გადავწყვიტე გაქცევა. შევიყვანე ისინი ერთ ჩვენ ყოფილ ამხანაგის ტომარაძის დუქანში. ერთი ზედამხედველი ძალიან დაიფიცა, მეორემ არ დალია. ბევრი ეცადა ტომარაძე, რომ როგორმე გაექცეულიყავ, მაგრამ ვერ მოხერხდა. მიმიყვანეს ბაილოვის ციხეში. ჩამსვეს საეტაფო ეზოში და მეორე დღეს, რადგანაც ეტაფი უკვე მზად იყო, გამიყენეს გზას. როსტოვის ციხეში დამხვდა ციხის უფროსი ბირიუკოვი, ბაქოს ციხის უფროსის ყოფილი თანაშემწე, რომელთანაც შეტაკება მომიხდა ბაქოში. შეტაკება აქაც განმეორდა. მან გვიბრძანა მიღების დროს ქუდები მოგვეხადა. ჩვენ პოლიტიკურები, რასაკვირველია, არ დავთანხმდით. ამაზე ჯავრი იყარა და როსტოვის ციხეში დამტოვა ორი თვე. რამდენიმე ეტაფი წავიდა ციმბირისაკენ, მე კი მტოვებდა. ბირიუკოვს უნდოდა, რომ მე თხოვნით მიმემართა. მე კი თხოვნის მაგიერ სულ ვეჩხუბებოდი. როსტოვის ციხეში გამოატარეს ჭუთაისიდან ამხანაგები, რომელთა შორის იყვნენ კარპე ლორდკიპანიძე და ვანო შენგელია, დანარჩენების გვარი არ მახსოვს. კარპემ და ვანომ ჩხუბით თუ თხოვნით გამოგლიჯეს ჩემი თავი ბირიუკოვს და გაუდექით გზას ერთად. ეს ორი თვე როსტოვის ციხეში ჯოჯოხეთი იყო. მე ფული არ მქონდა. ციხეში კი აძლევდენ ტალახივით შავ პურს, რომელიც არ იჭმოდა. მაგრამ მე ესეც მენატრებოდა, რადგანაც გირვანქა-ნახევარს იძლეოდენ. ამას გარდა ხარის თავებიდან გაკეთებულ ბოროშს ჩაუსხამდენ ათ კაცს ერთად, ისე რომ, შიგ ცურაობა შეიძლებოდა, ხოლო საჭმელს კი ვერაფერს იპოვიდი შიგ. მე ბირიუკოვის წყალობით „უგოლოვნებაში“ ვიჯექი. ამ დროს რუსეთის ყველა ციხეებში საძაგელ საჭმელს აძლევდენ, გარდა ციმბირისა. კარპე მოდებაძე ხანდახან ორი დღეობით არაფერს სჭამდა, რადგან ციხის საძაგელ საჭმელს ვერ ეგუებოდა. მე სანამ იმათთან ვიყავი, არა მიშავდა რა, მათ ცოტა ფული ჰქონდათ და ერთად ვხარჯავდით. კრასნოიარსკის ციხიდან იმათაც დავშორდი, რადგანაც ისინი ენისეის გუბერნიაში იყვნენ გადასახლებულნი. მე ისევ ციხის კერძზე დავრჩი და მიხდებოდა „უგოლოვნებიანთ“ ერთ ჯამში ჭამა.

1905 წლამდე, როგორც პირველი ეტაფის დროს მქონდა მოხსენებული, პოლიტიკურებს თავაზიანად გვექცეოდენ; ხოლო 905 ს შემდეგ აურიეს პოლიტიკურები უგოლოვნებაში, ქურდ-ბაცაცებში. თუ კატორღელებთან მოგვიხდებოდა მოგზაურობა, ეს ბედნიერება იყო, რადგანაც მათში უფრო კეთილ-სინდისიერების ნახვა შეიძლებოდა. ბევრ ციხეში მოგვინდომეს ტუსაღებმა გაქურდვა, ერთმანეთს ეყარაულობდით და ამას გარდა, ჩვენი, კავკასიელების, ცოტა არ იყვეს, ეშინოდათ კიდეც. „კავკასიელებია, უსათუოდ დანა ექნებათ და მოგვკლავენო“ —ამბობდენ ისინი. მიმიყვანეს ირკუტსკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციხეში. იქიდან დამაბრუნეს ალექსანდროვის ციხეში ფეხით (ირკუტსკიდან 70 ვერსია), რკინის გზით კი შვიდი თუ რვა სადგურია ჩერემხოვომდე. მაგრამ რიღაცასთვის ეს ალექსანდროვში წასასვლელი პატიმრები მოუყვათ ირკუტსკში და იქიდან ფეხით მოყვათ 70 ვერსი. როგორც იყო, მივაღწიეთ ალექსანდროვის ციხეს. იქ მოვხვდი იმ კამერაში, საცა ისხდნენ ვლადიმერ მიხეილის ძე ზენზინოვი, ცნობილი ესერი. ამაზე უკვე გზაში ვიცოდი, რომ ის იჯდა ალექსანდროვის ციხეში. მასზედ ბევრს ლაპარაკობდენ. მასთან იყო ლიბერმანი, ვერებროგონი და კიდევ ორი სხვა ესერი. კამერა კომუნებათ იყო დაყოფილი. ზენზინოვის და ლიბერმანის კომუნა მდიდრულათ ცხოვრობდა, რადგანაც თვითონ ზენზინოვი შვილია ვისოცკის ჩაის პატრონის, ლიბერმანს ქვისლი ჰყავდა ირკუტსკში, ფრიზერი, რომელსაც დიდი ოქროს მადნები ჰქონდა, ფრიზერი ცნობილი კაპიტალისტია. მე, რასაკვირველია, იქაც მშიერი ვიყავი. ზენზინოვს და მის კამპანიას მე არ ვიცნობდი. ისინი უყურებდენ ჩემ გარემოებას. ვიღაცას კიდეც ეთქვა, რომ მე მესამედ მივდიოდი ციმბირში. ზენზინოვიც მეორეთ მოდიოდა, ისიც გამოქცეული იყო. მას აბრალებდენ აფთიაქის კულტუზე სტოლიპინის აფეთქებას. გამომიგზავნეს კაცი, რომ შევეროებოდი მათ კომუნას. მე უარი განვაცხადე, უგროშოთ ვიყავი. რამდენიმე დღის შემდეგ თვითონ ზენზინოვმა მომმართა ზრდილობიანათ შევერთებოდი, ერთად გვებარჯა და როცა ფულს მივიღებდი, მაშინ გავსწორებოდი. თუმცაღა იმან იცოდა, რომ მე ფულს ვერასოდეს ვერ მივიღებდი. ბოლოს მე დავეთანხმე და ალექსანდროვის ციხე გადაიქცა ჩემთვის სასტუმროდ. კამფეტებიც კი არ მაკლდა. აქ დავრჩით სამი თვე. გვალოდინებდენ მდინარე ლენის გახსნას. გაყინული იყო. ალექსანდროვის ციხეში „უგოლოვნი“ ტუსაღებიც დიდი პატივის ცემით მეპყრობოდენ, რადგანაც გაიგეს, რომ ციმბირში მესამეთ მგზავნიდენ. საზოგადოდ ჩვეულებაა ტუსაღებში, ციმბირიდან ან ციხიდან გაქცეულს პატივისცემით მოეკრნენ. ამნაირი ტუსაღი „უგოლოვნებში“ „ივანა“ არის, რომლის ყოველი ბრძანება ახალმა ტუსაღებმა უსათუოდ უნდა შეასრულონ. ალექსანდროვის ციხეში სამი თვის ჯდომის შემდეგ გაგვამგზავრეს იაკუტსკისკენ. ლენამდე სოფ. ჟიგალოვამდე 300 ვერსია. პატიმრები ფეხით მიდიან. ცხენებიც არის „ტარატაიკა“, რომელსაც ტუსაღები „лушегубка“-ს ეძახიან, რადგანაც ზედ მჯდომს სულ გულ-მუცელს უნგრევს თავის ჯანჯღარით. მივედით ჟიგალოვში. დიდი სოფელია. ირკუტსკიდან პირველი პორტია,—სადაც ლენის გემები იტვირთებიან და იცლებიან. იქ ჩაგვსვეს „პაუზკებში“. ეს უკანასკნელნი აშენებულია როგორც ხის სახლები. ასეთი „პაუზკა“ რამდენიმე იყო რადგანაც სამასზე მეტი კაცი იყო ეტაფში. მიგვცეს ლენის მიმდინარეობას და გავუდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქით გზას. რამდენიმე დღის მოგზაურობის შემდეგ გადავგსვეს გემებში და ასე ვიმგზავრეთ ჯგალოვიდან იაკუტსკამდე 23 დღე. ივნისის 20 ში, 1910 წელს, მივედით იაკუტსკში. როცა მოუახლოვდით ამ ჩვენთვის ახალ ქვეყანას, ღამე აღარ იყო.

მიგვიყვანეს იაკუტსკის ციხეში. ჩვეულებრივ გამოგვიძახეს თითო-თითოდ. მკითხეს ჩემი ვინაობა. მე ვუპასუხე ვინც ვიყავი. „მაგ ნაირი კაცი აქა გვყავს. შენ ვიღაც „ბროდიაგა ხარო"! მითხრეს და ჩემი საქმე დაიწყეს თავიდან...

ყველანი თავ-თავიანთ დანიშნულ ალაგებზე დაგზავნეს. დაგვტოვეს ციხეში მე და ზენზინოვი; ზენზინოვი—როგორც შორს გასაგზავნი, მე როგორც „ბროდიაგა". გადაიღეს ჩემი სურათი ხელებზე და თითებზე, „დაქტოლოსკოპიური" ამნაირი ჩემი სურათი მოსკოშიაც და ტფილისშიც ჰქონდათ. გაგზავნეს როგორც ტფილისში და ბაქოში, აგრეთვე პეტერბურგში. მანამ პასუხი მოვიდოდა, სამ თვემ გაიარა. იაკუტსკის ციხე ფიცრის კედლით ორად იყო გაყოფილი: ერთ მხარეზე მიყვანილი პატიმრები ისხდნენ, მეორეზე—ადგილობრივი. მიყვანის შემდეგ მეოთხე დღეს ერთმა ამხანაგმა მითხრა მეორე განყოფილებიდან ვიღაცა გეძახისო. ამან მე გამაკვირვა. იქ ჩემ ნაცნობს რა უნდოდა? მივედი, ვნახე, ჩემი კარპე თევზაძე. მისი პირველი კითხვა იყო: „ჩხეიძე შენა ხარ თუ ეღო?"—„ახლა შენ იყავ ჩხეიძეო"—მანვე მიპასუხა. დაიწყეს იმის გამოძიებაც, თუ ის ვინ იყო. პროკურორმა უთხრა: „შენ გამოჩეკული კატორღელი ხარ. მე შენ ბაიკალის იქით გაგახეთ!"

გავხდი ავად. ზენზინოვი რომ არა ყოფილიყო, საიქიოს გიახლებოდით. როგორც მატერიალურად, ისე ზნეობრივად ის იყო ჩემი დამხმარე. აგრეთვე გარედან მოდიოდა ჩემ სანახავად ციხეში ალექსანდრე დგებუაძე, ისიც ადმინისტრატიულად გადასახლებული იყო და ცხოვრობდა სოფ. მარხში.

ერთხელ ჩემი ავადმყოფობის დროს, მოვიდა ზენზინოვი და მითხრა: „ისეთ ახალ ამბავს გეტყვი, მორჩებიო". და მაჩვენა დეპეშა, საცა იყო ცნობა სტოლიპინის კიევის თეატრში დაჭრის შესახებ, მეორე დღეს კი—მისი სიკვდილი.

ასე იყო თუ ისე, სამი თვის იაკუტსკის ციხეში ყოფნის შემდეგ დაამტკიცეს, რომ მე ჩხეიძე ვიყავი და თევზაძე კიდევ კარპე თევზაძე. გადაგვცეს სასამართლოს. გვარების გაცვლისათვის გაგვასამართლეს. ბევრი ეცადნენ, რომ თევზაძისთვის ეთქმევინებინათ, ვითომ მე ის მოვისყიდე, მაგრამ ამნაირი არაფერი ყოფილა, თევზაძემ, პირიქით, სთქვა: მე თითონ ვთხოვე, რომ გაეცვალაო. გადამიწყვიტეს ორი თვის ციხე მე და ორი კვირის კარპეს. განაჩენი ამბობდა: „ჩხეიძემ, როგორც უფრო შეგნებულმა, შეცდომაში შეიყვანა თევზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძე, ხოლო თევზაძე, როგორც ნაკლებათ განვითარებული, მოტყუებულაო". თევზაძე გაუშვეს ციხიდან, მე კი მალოდინებდენ დაზამორებას, რადგანაც ნიენი კოლიმსკში მგზავნიდენ და ზაფხულში კი გზა არ არის. ზენზინოვი თავდებით გაუშვეს მანამ გზა გაიხსნებოდა. როცა ის გავიდა, იმის საშუალებით ამხანაგებმა მეც გამიყვანეს ციხიდან გამგზავრებამდე.

იაკუტსკი უფრო დიდი სოფელია, ვიდრე საოლქო ქალაქი. სულ შვიდი ათასი მცხოვრებია. აქ ცხოვრობდა გუბერნატორი კრავტი. ერთი დიდი მონასტერიც იყო შიგ. ტფილისიდან ირკუტსკამდე რკინის გზით 7 ათასი ვერსია, ირკუტსკიდან იაკუტსკამდე 3 000 ვერსია, ხოლო იაკუტსკიდან კულემსკამდე კიდევ 3 ათასი ვერსი. როგორც ზემოთ ვსთქვი, მე უნდა წავსულიყავი კალიმსკში; ზენზინოვი—„რუსსკოე უსტიე"-ში, ისიც 3 ათასი ვერსზეა იაკუტსკიდან, მხოლოდ სხვა და სხვა მხრით. ორივე გაყინულ ზღვის (Ледовитый Океан) ნაპირას ძევს. იაკუტსკში მაშინ ბევრი გადასახლებულნი ცხოვრობდენ; მათ შორის ზენზინოვი, ლიბერმანი, სპერანსკი რომლის მამა ლეიბ დოქტორი იყო და მეფე ნიკოლოზის სასახლის ექიმი, იაკოვლევი და სხვები. თითქმის სულ ესერები იყვნენ. ზენზინოვი ამბობდა მაშინ, რომ ბოლშევიკებთან მუშაობა შეიძლება. თქვენ სოციალისტები ხართ. ერთად ერთი ლენინია, რომელთანაც ჩვენ, ესერებს შეთანხმება შეგვიძლიანო. მენშევიკები, ეს ბურჟუაზიის პარტიაო და სხვა. მაგრამ ჩვენ ბოლოს ვნახეთ როგორ შეუერთდა ზენზინოვი და მისი პარტია ლენინს!

დადგა სექტემბერი. გაიყინა ყველაფერი. ახლა ჩვენ უნდა გავემგზავროთო. მიველდით მე და ზინზინოვი გუბერნატორ კრავტთან და ვსთხოვეთ, რომ რადგანაც ჩვენ ჯანდაბას იქით გვგზავნით, ერთად გაგვგზავნეთ. „два беглеца вместе нельзя", მოგვცა პასუხი. მე გამგზავნეს კალიმსკში, ის—უსტიეში. ვერხოიანსკამდე ერთად ვიმგზავრეთ. იაკუტსკიდან 900 ვერსია. იქიდან ის ერთ მხარეს წავიდა, მე მეორეს. მივდივართ ორნი. თითოს თითო ყაზახი იაკუტი მოგვცეს, თითოც კუჭერი. ჩვენი მატარებელი შესდგებოდა თორმეტ-თოთხმეტ ირმისაგან. თითოს სამ სამი ნარტა მარხილი გვქონდა. თითო ნარტაზე ერთი კაცი თავსდება. როცა შეუდგები გზას, ზედ ტომარიები დაგაკრავენ, რომ გზაში არ გადმოვარდე. თუ გადმოვარდი, ადგომა შეუძლებელია, რადგანაც მგზავრი რაღაც ჯირკეს ჰგავს. ჯერ შიგნით გაცვია თბილი ტანისამოსი, მერმე შუბა, შუბის ზემოთ დოხი. ეს დოხი არის ცხენის, ირმის ან ძაღლის ტყავი, რომელსაც ორივე მხარეს ბეწვი აქვს და ამიტომ ძალიან თბილია. იაკუტსკში სიცივე 50° და მეტია, ხოლო რამდენსაც გასცილდებით მას, იმდენს სიცივე მატულობს. ვერხოიანსკი, ეს უმთავრესი სიციების წერტილია, სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცა სიცივე აღწევს 70°-1. ირმებს ნელა სიარული არ შეუძლიათ, მუდამ გარბიან. როცა დაიღლებიან, გადმოაგდებენ ნახევარ არშინ ენას, თან თოვლსა სჭამენ და თან გარბიან. მმართველ იაკუტს გრძელი ჯოკი უჭავია, რომლითაც მართავს. როცა ძალიან დაიქანცება ირემი, წაიცევა. იაკუტი სცემს და თუ მაინც ვერ ადგა, მიჯა, კუდზე უკბენს, კუდიდან სისხლი ამოასხამს, სიმწარით ისევ წამოხტება და გარბის. როდესაც ეს ხერხიც ვერა სჭირს, მაშინ იაკუტი გამოუშვებს ირემს და იქვე გაუშვებს ტყეში. ეკითხები—„ხომ დაიკარგა აქ რომ სტოვებ?"—„ის თავის ჯოგს იპოვნის"—იძლევა პასუხს. ნარტაში ებია ორი წყვილიდან ექვს წყვილამდე. ამ მიდიხართ სადგურიდან სადგურამდე, რომელთა შორისაც მანძილი 60—70 ვერსია. ისე გაიყინებით, თუმცა თბილათ ხართ ჩაცმული, რომ ვერაფერი ვერ გაგათბობათ. შეხვალთ იურტაში, თბილა. ჰაერი ისეთი დგას, რუსული ანდაზის არ იყოს, ნაჯახი რომ ჩამოკიდოთ, გაჩერდება ჰაერში. დალევთ ათ-თორმეტ ჭიქა ჩაის და მერმე იგრძნობთ გათბობას. ჩვენი ყარაული ყაზახი-იაკუტი მოსამსახურის როლს ასრულებს: შეუბადრხს გაგხდით, ჩაგაცმევთ, ჩაის ადიდუღებთ, ყარაულობა საჭირო არ არის. თვითონ ბუნება, ყინვა გყარაულობთ. სად გაიქცევი, გზა არ იცი და კვალი, რომ იცოდე კიდეც, რამდენიმე ვერსის გავლის შემდეგ გაგყინავთ უპატრონოდ. მიხვალ სადგურზე თუ არა, ირმებს უშვებენ ტყეში საძოვრათ. მისი საზრდო ხავსია, რაც ციმბირში აუარებელია. ირემი შემოკრავს ფეხს, თოვლს გადმოყოის, გამოაჩენს ხავსს და შეიქცევა. სადგურიდან სხვა ახალ ირმებს აბამენ. ვერხოვანსკამდე ირმებით ვიმოგზაურეთ. მერმე ირმები ძაღლებზე შესცვალეს. მორთულობა შესაბმელი ირმებისა და ძაღლების ერთნაირია. ტყავს, რომელსაც ხმალიით შემოკიდებენ კისერზე, გამოუტარებენ იღლიებში, გამოაბამენ მარხილის ნარტას და მორჩა: არც დიშლა უნდა და არც ხამუტი. ძაღლებიც ირმებივით სულ გარბიან. მოელენ თუ არა სადგურზე, გაყინულ თევზს აჭმევენ. კარგ პატრონის ძაღლებს ფეხებზედ ირმის ტყავები აცვიათ. გზა კარგია, როგორც ხელის გული, ირგვლივ ტყე ნაძვითა და ფიჭვით შემკობილი, ტყეში თოვლი, გზაში ირმები, ძაღლები, ნარტები და პატიმრები, შენი „კაპერ დინერი" ყაზახი და ძაღლ-ირმების პატრონი იაკუტი.

შესანიშნავი სურათია!

ორი სიტყვა იაკუტელ ყაზახებზედ. ყაზახები იქ ერმაკის დროიდან დარჩენილან. სახით რუსებს გვანან, თვით რუსეთზე კი წარმოდგენაც არა აქვთ. ყველანი ლაპარაკობენ იაკუტურად. რუსული იციან, მხოლოდ ხმარობენ იმ დროს, როცა მისულ ხალხთან უხდებათ ლაპარაკი, ზნე-ჩვეულება, ოჯახი, ლაპარაკი იაკუტურია. განირჩევიან სახით და არ ლოცულობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე, თვე ნახევარის შემდეგ ჩავედი კალიმაკში. კალიმაკში დიდხანს არ მიცხოვრია. ნიჭნი კალიმაკში სულ ექვსი კომლი მცხოვრებია. მომივიდა ერთი კვირის შემდეგ ვილიუისკში გადასვლის განკარგულება გუბერნატორისაგან. იაკუტსკში ყოფნის დროს ამხანაგებმა სთხოვეს გუბერნატორს, რომ მე ვიულიუისკში გადავეგზავნე, მაგრამ მაშინ არ დათანხმდა. როგორც ეტყობა, მერმე უნებებია ამ თხოვნის დაკმაყოფილება. ერთი კვირის შემდეგ გავემგზავრე ვილიუისკში, ასე რომ, კალიმაკის ცხოვრებიდან ძლიან ცოტა მახსოვს ამხანაგებით მგზავრობით მივედი ვილიუისკში.

ვილუისკი 900 ვერსით არის მოშორებული იაკუტსკს. მდინარე ვილუიზედ არის გაშენებული. 170 კომლი ცხოვრობს. ეს სამაზრო ქალაქია. მეტი წილი შავ ზემოხსენებული ყაზახები ცხოვრობენ. დაბინავდი ერთ იაკუტის სახლში ორი თვის მოგზაურობის შემდეგ. ბაქოდან გამოვედი თებერვალში და ვილუისკში მივედი ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში. აქ ადმინისტრატიულ-პოლიტიკური გადმოსახლებულები 70-მდე იყვნენ. ზოგი მართლა პოლიტიკურები იყვნენ და ზოგიც ალაბმა უშუის ვინ და რა იყვნენ! იქაც მეტი წილი ესერები იყვნენ. მათ შორის გროშოვი, ნარიჟნი, ტერენტიევი, იყო ერთი ქართველი გალდავაძე, ერთი სომეხი ასატური და სხვები იქვე იყო ახლა კარგად ცნობილი კომუნისტი სკრიპნიკი. სოციალ- დემოკრატი თითქმის ჩემსა და სკრიპნიკის გარდა არავინ ყოფილა იქ ერთ დედაბერს ჩერნიშევსკის სავარძელი ჰქონდა ჩერნიშევსკის სახლი, რომელიც მისთვის აეშენებინათ ვილუის ნაპირას. მდინარეს ჩამოურეცხავს ჩერნიშევსკის დროის დედაბერი გვეუბნებოდა: პოლიტიკური ჩერნიშევსკი იყო, მდიდარი, შუდამ ფულებს მაძლევდა, თქვენ რა პოლიტიკურები ხართ საჭველი გენატრებათ, ელოდებით ჯამაგირს როდის დაგირიგებენო.

ზემოთ დასახელებულ პირებს გარდა, გადმოსახლებულები არაფერს არ აკეთებდენ კარტის თამაშობისა და ლოთობის მეტს. კარტს ყოველი იაკუტელი თამაშობს და თუთუნს სწევს ხუთი წლიდან დაწყებული. იაკუტი დაიბადება და მოკვდება ისე, რომ აბანო არ იცის. სცხოვრობენ იურტებში, რომელსაც ყინულის ფანჯრები აქვს. ვილუისკში კარგი სახლებიც არის, რომელშიაც სამპირი ფანჯრები აქვთ მინებით ჩასმული.

ტანისამოსს ტყავისას ხმარობენ. არიან ისეთებიც, რომლებსაც ჩითეულები და ფარჩეულებიც აქვთ. ასეთები მდიდრებია. ხორცით და თევზით იკვებებიან; პურს არ ხმარობენ, რადგანაც არ მოდის. როცა იაკუტსკში ამხანაგები მაფრთხილებდენ, სუხარი ბევრი წაიღე, თორემ ვერც იქა და ვერც გზაში პურს ვერ იშოვნიო, მე ეს ვერ წარმომედგინა, რომ უპუროთ ცხოვრება შეიძლებოდა. მაგრამ როცა

გზაში იაკუტს სუხარი მივაწოდეთ, მან ყველა იაკუტებს დაუნაწილა როგორც შოკოლადი. ჩვენ თვეში 15 მანეთს გვაძლევდნენ. თვეში ათ გირვანქა ფქვილს ვყიდულობდით და ჩაიზედ ვხმარობდით. სადილს და ვახშამს უპუროდ გიახლებოდით. თუმცა ღა ვილუისკში ფქვილი ბევრი იშოვებოდა და არც ძვირა იყო, ფუთი 7-8 მანეთი ღირდა, მაგრამ იაკუტელები მას არ ყიდულობდენ, თუ არა ძალიან მდიდრები. მაგალითისთვის მოვიყვან ერთ გაიაკუტებულ ყაზახს, რასტორგუევს, რომელიც მდიდარი იყო, მას რამდენიმე გემი ჰყავდა ლენაზედ. მან სთქვა: „სულ ორი წელიწადია, რაც პურის ჭამას შეეჩვეიო".

მაშინ პური მოყავდათ ზემოდ ნახსენებ სოფ. მარხში სკაპცებს, რომლებიც გადმოსახლებულნი იყვნენ თავიანთი მახინჯი რწმენისთვის.

იაკუტის სახლი, იურტა, აშენებულია რგელათ. შიგ ბუხარი აქვთ, რომელშიაც დღე და ღამე გაუნელებელი ცეცხლი ანთია. ეს ბუხარია მათი მაცოცხლებული, როგორც სითბოთი, აგრე თვე მისი საშუალებით იურტის მთელი მოწმლული ჰაერი სითბოს გააქვს, რადგანაც ბუხარი არ იხურება და ჰაერი ბოლში განავალ სითბოს თან ჰყვება. ლოგინი მათ არა აქვთ, ტყავებზე ძინავთ ტიტელებს. ბალიშები კი ბლომათ აქვთ. სიტიტელე, მათი აზრით, იფარავს სიბინძურისაგან, გამეფებულ მკბენარებისაგან. შეშა ბევრია; ორ მანეთად მთელ საჭენს მოგიტანენ. ირმები ასობით და ათასობით ყავთ. ყავთ ძროხებიც და ცხენებიც. ცხენის ხორცი საუკეთესო საჭმელად ითვლება, როგორც იაკუტისათვის, ისე ყაზახებისთვის. ძროხები და ცხენები სამოც გრადუს ყინვაში გარეთ არიან. ღორი, ცხვარი და მწვანილეულობა არ არის. თითქმის ყველა იაკუტი ცინგით არის ავად. ექიმი ხახვს რეცეპტით უწერს. პირველი საჭმელი იაკუტის სტროგონინაა. ეს არის გაყინული ზუთხისაგან ბურბუშელასავით დათლილი თევზი. ღარიბ იაკუტის საზრდოს „კარასი" შეადგენს, რომელსაც ტბებში ას ფუთობით იჭერენ, თითო ბადის მოსმაზე.

ყველა იაკუტი ქალღლზე მართლმადიდებელია, დაჭორწინებისა და მონათვლის დროს ეკლესიაში მიდიან, დანარჩენ დროს „შამანზედ" ლოცულობენ. ეკლესიები ყოველ მოზრდილ სოფელშია, სკოლებიც აქვთ როგორც ამბობდენ, სწავლას ძალიან ეტანებიან. ერთ გადმოსახლებულს მათთვის ანბანიც კი მოუგონია, მისი გვარი არ მახსოვს.

თითქმის ყველა ნადირობით და თევზაობით ცხოვრობს. გაზაფხულზე, თუმცა იქ გაზაფხული არ არის, პირდაპირ ზაფხული იწყება: ტბები, მდინარეები, მინდვრები და ტყეები ყინულისაგან და თო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლისაგან თავისუფლდება ივლისის დასაწყისს. ამ დროს ყველა უკვე ზადება სანადიროდ: სწმენდენ თოფებს და ამზადებენ პატრონებს თითქოს საომრად ემზადებიანო. გალხენება ყინული თუ არა, იწყებს დენას იხვი და ბატი. იმდენი მოდის, რომ ვისაც თოფი აქვს და ფეხის გამოშლა შეუძლია, ყველა იმზადებს ზამთრის სამყოფ ხორცს. ნადირობა ბატებზე და იხვებზე სამი კვირა შეიძლება, რადგანაც მას შემდეგ, როგორც კი მოსუქდებიან, იმალებიან ჩალამ-ყალამში საბუდაროდ, რომელიც ციმბირში წარმოუდგენელი სიმრავლისაა. ყოველ ფეხის გადადგმაზე ტბებია, ტბებს გარშემო ჰაობები. ამ ჰაობებში ბუდობენ და ჩეკენ წიწილებს. აგვისტოში რომ ნახო ტბები, გადაშავებულია იხვისა და ბატის წიწილებით. აგვისტოს ნახევრიდან ისევ იწყება ნადირობა. ახლა იმდენია ნამრაელი, რომ მზეს ამწელებენ ხოლმე, როცა აფრინდებიან.

ზამთარი ათი თვეა, დანარჩენი—ზაფხული. ზამთრის ღამეები გაუთავებელია. ზამთარში საათის თერმომეტზე ჰორიზონტზედ დაინახავ წითელ ზარს, მზეს, რომელიც ორი საათის შემდეგ იმალება და ისევ ღამეა. სამაგიეროთ ორი თვე ღამე სრულებით არ არის. ღამე, წარმოიდგინეთ ჩვენებური ღრუბლიანი დღე, ეს იქნება იქაური ღამე ამ ხნის განმავლობაში. იქაური უბედურება ის არის, რომ ზამთარში ვერ გამოხვალთ გარეთ სიცივის გამო; ზაფხულში კიდევ კოღოს ვერ გადაურჩებით, თუ ბადე არა გაქვს ჩამოფარებული და ხელთათმანი ხელზე. ისე ვერ გამობრძანდები. ასე წარმოიდგინეთ, საქონლისთვის ნეხვს უკიდებენ ცეცხლს, საქონელიც მიუწვება ახლოს, რადგანაც ნეხვის ბოლოს ეშინია კოღოს და არ ეკარება ცეცხლთან მწოლარე ცხენს და ძროხას. ირემს კოღოსი არ ეშინია.

ირემი ზამთარში საუცხოოდაა გასუქებული, ჩვენებურ ნასუქ დოღის ბედაურებს გვანან. მაგრამ ზაფხულში კი საცოდავი სანახავებია. გაქცეულებული არიან მღინან ძაღლივით. ეს იმიტომ, რომ სიცხეს ვერ იტანენ და სიცხე კი კი ზაფხულობით 45°-დე ადის.

ზამთარში ნადირობენ მელებზე, პესცებზე და სხ.

რამდენიმე სიტყვას გეტყვით თევზაობაზე. მდინარეზე, ერთ რომელიმე შიძლებულს აქეს ბადე ას საკენი სიგძით და ორი არშინი სიგანით. შუაზე კუდივით აქვს თევზის შესასვლელი. ამას ხაზინას ეძახიან. აქ სულ ხუთი კაცი სჭირდება. ბადის პატრონი ორი კაცისას იღებს, ერთს თავისს და ერთიც ბადისას. ამნაირ ბადის პატრონთან ვიყავით ჩვენ ორი კაცი. ეს მებადური გვარად კართაგინი იყო, იქაური ყაზახი. განათლება ვეჭილის, იურისტის ჰქონდა. თავს სოციალისტად აღიარებდა და ჩვენც, სოციალისტები ამისთვის შეგვიამხანაგა. წვიდღიდით ნავით ათი თხუთმეტი ვერსის მანძილზე ვილუის აღმა. სათევზაო იქ იყო. აქ რამდენიმე მებადური იყრიდა

თავს. ასე 50—100 კაცამდე. თევზაობა იწყებოდა აგვისტოს ნახევარში და თავდებოდა პირველ სექტემბერში, რადგანაც მერმე მდინარე იყინებოდა. ბინაზე გავაჩაღებდით ღამე (უკვე ღამეა) დიდ ცეცხლს. ეს ცეცხლი იმათი აზრით ორ საქმეს აკეთებდა. ერთს, რომელზედაც ჩვენც ვეთანხმებოდით, გვათბობდა; მეორეს, როგორც ისინი ამბობდენ, ცეცხლის სინათლეზე თევზი მოდიოდა. ცეცხლიდან დავიწყებდით მორიგეობით ბადის ჩაშვებას. ეს ასე ხდებოდა: ოთხი კაცი ნავში ისხდა, ერთი საჭეზე (რულზე), ორი ნიჩბებს უსვამდა, ერთიც ბადეს ყრიდა წყალში. ერთს ნაპირას ბადის თავი ეჭირა ხელში თოკით და ნაპირ-ნაპირ მოყვებოდა მანამ ას საჟინან ბადეს მენავეები წყალში ჩაყრიდნენ. მერმე ცოტა ხნით მიუშვებდენ ნავს და მიმდინარეობას ნელ-ნელა მიჰქონდა. შემდეგ მოაბრუნებდენ ნავს და ნაპირისკენ გამოსწევდენ, ასე რომ ნაპირზე ორივე თავს ერთად მოაქცევდენ და ორივე თავს ბადისას თანასწორად მოაცურებენ ნაპირისკენ და როცა მოუახლოვდებოდა, თევზი, რაც ბადეში იყო, ნელ-ნელა შედიოდა ხაზინაში და თუ, რასაკვირველია, დიდი თევზი, მოინდომებდა ბადიდან არა ხაზინაში გადასვლას, შეცურებას, არამედ ბადიდან გადაბრძანებას, ამისთვის დახელოვნებული კაცი იდგა გრძელ ჯოხზედ წვმოგებულ რკინის ორთითით, რომლითაც თავხედ თევზს თავში უთავაზებდა. ძნელად თუ მათ გაექცეოდა თევზი, ისე იყენენ დახელოვნებულნი, და მე და შენ კი, მკითხველო, რომ აგველო ეს ორთითი და მისი დამორჩილება მოგვინდომებია, თევზი, რომელმაც ხაზინას აუხვია, მოხაროული იქნებოდა, რადგანაც ვერას დავაკლებდით. აქ იტრიალებ ზუთხს და ორაგულს. წვრილი თევზი ასი ფუთიც რომ ყოფილიყო, ამას დაჰერას არ ეძახდნენ. ყრიდენ იქვე ნაპირას და არავის არ მიჰქონდა. ესეოდა ყვავი, ყორანი, ჩაიკა და ისინი მირთმევდენ. რომ ვეტყოდით—წყალში მაინც ჩავყაროთ, რათ ვაფუჭებთო, იტყოდენ ხოლმე: „რათ გვინდა, მეორედ ტყვილად ბადეს დაგვიმძიმებსო"...

მერმე მეორე რიგი მოდიოდა, მესამე და ასე ბოლომდე. შემდეგ ისევ თავიდან ვიწყებდით. არც ერთი მებადური არ წამოვიდოდა, რომ რამდენიმე ფუთი არ წამოეღო. ამ ორაგულს და ზუთხს ამოიყვანდნენ თუ არა, იქვე თავში ჩასცხებდენ ჩაჭუჭს და სულს განთხევინებდენ უბედურებს. მიქონდათ სახლში, ყრიდნენ „ჩულანში", რომელიც ყველა იურტას აქვს მოდგმული, იქ იყინებოდა და ქვებივით ეყარა. როდესაც მეორე დღეს მოხარშავს მოინდომებდენ, წინა ღამეს შემოიტანდენ სახლში, იქ გალხვებოდა და ასე ზამთარში ყოველ დილით ახალი თევზი არის.

ტბები სექტემბრის პირველიდან იყინება. 5—6-დან იწყება ტბებში ყინულის ქვეშ კარასების ჭერა. ეს თევზი ორ გირვანქიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვიდ გირვანქამდეა. ტბის ბადე ცოტა უფრო სხვანაირია, უფრო განიერი და გრძელი. ტბაზე ჭრიან ყინულს ოთხკუთხედ ერთ საჟენის სიგანეზე. უშვებენ შიგ ბადის ერთ თავს. თითო-ოროლა საჟენზედ რკინის წვეტიან ჯოხით ხვრეტენ ყინულს, უყოფენ შიგ კავიან ჯოხს და ოსტატურად ეწევიან ბადეს. ამგვარად ჭიმავენ ყინულ ქვეშ ას საჟენიან და მეტ ბადეს. როცა ბადეს გაჭიმავენ, მერმე ალაგ-ალაგ იმავე წვეტიანი ჯოხით ხვრეტენ ყინულს, ურჩობენ გრძელ ჯოხებს. ამ ჯოხებს აჭრევენ ტბაში და ასე კარასს მირეკავენ ბადისკენ. მერმე იმავე ოსტატობით მოაქვთ ბადის ჩაშვებული თავი მეორე მხრით ამოჭრილთან და ორივე თავს ეწევიან ყინულს ზევით. იაკუტები ისე არიან შეჩვეულნი სიცივეს, რომ გაყინულ ბადეს შიშველი ხელებით ეწევიან. შენ დგებარ, უყურებ, ხელთათმანებით, შუბით და იყინები. ასე თითო ამოღებაზე ამოაქვთ ასი ფუთი და მეტი. „ხაზინა“ როცა ნაპირთან მოდის, ბადის პატრონი კალათით იღებს. დიდსა და პატარას კიდიათ ზურგზედ ტომრები და მოდიან; უმუშავნია მას, მიუღია რამე მონაწილეობა დაჭერაში თუ არა, სულ ერთია,—ყველა მოსულს უყოფენ თანასწორად. ბადის პატრონი და ისინი, ვინც ბადეს ეწეოდნენ წყლიდან, მეტს იღებენ.

ჩვენ, პოლიტიკურები, თუ კი მივიდოდით, იმდენს ჩაყრიდნენ ტომარში, რომ ვერ ვერეოდით. მოგაქვს სახლში, ყრი იმავე „ჩულანში“ და იქცევა ქვად, ინახება მთელი ზამთარი. დახოცილი იხვები და ბატებიც იქვე ყრია. იხვებსა და ბატებს, დამავიწყდა მეთქვა, ბადითაც იჭერენ. როცა ჭუკები იზრდება, ჯერ გაფრენა არ შეუძლიათ. ორი-სამი დღით ადრე გაფრენამდე, ეს დრო ძალიან კარგად იციან იქაურებმა, მიდიან—უშვებენ ტბაში ბადეს და ნავებით მირეკავენ მისკენ. თითო დაჭერაზე იჭერენ ასობით და ათასობითაც კი. ეს ალაგები უფრო მოშორებით არის. თხრიან აქვე ორმოს და შიგ ყრიან, რომ არ გაფუჭდეს, შემდეგ მიაქვთ მარხილებით. აქ პოლიტიკაზე და სოციალიზმზე ლაპარაკი ზედმეტია, რადგანაც თევზი და ხორცი ყველას აქვს საკმარისად. შეშა რამდენიც გინდათ. ერთი სიტყვით, პირველი მოთხოვნილების საგანი ყველას აქვს. თუმცა-ლა მდიდარი და ღარიბი მათშიც არის, მაგრამ ბრძოლის საგანი მათ შორის ჯერ-ჯერობით ცოტაა.

ასე ვცხოვრობდი თითქმის ოთხი წელიწადი. ზაფხულში ნადირობა თევზაობა და ზამთარში—წიგნების კითხვა და ზახმატი. წიგნები ვილუისკში ბევრი იყო, ძველი რევოლიუციონერების დატოვებული. აქ პირველათ ოთხი წლით ვიყავი გადასახლებული და გაქცევის შემდეგ ხუთი გამიხადეს. მაგრამ ერთი წელიწადი რომანოვების სამასი წლის არსებობის დღესასწაულზე მანიფესტით დამაკლეს.

გავათავე ყავლი 1914 წელს 4 აპრილს. იმ დღესვე გამოვსწიე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისისკენ. ჩამოვედი იაკუტსკში. დავრჩი იქ ივლისის ოცამდე, რადგანაც ლენა გაყინული იყო და პირველი გემი მხოლოდ ოც ივლისს მოდიოდა. ხშელეთით უკვე იაკუტსკიდან ირკუტსკამდე მოგზაურობა არ შეიძლებოდა, რადგანაც თოვლი დნებოდა, ჭაობები ტალახდებოდა და ზედ გადასვლა შეუძლებელი იყო. სამგზავრო ხარჯს მთავრობა გვაძლევდა. ტფილისში ჩამოვედი აგვისტოს გასულს 1914 წელს. ჩემი ცოლი თუმცაღა დაავათმყოფებულიყო თაბაქოს ქარხანაში მუშაობით და უჭმელობით, მაგრამ მაინც მუშაობდა, რადგანაც სხვა საღსარი არ იყო. დამხვდნენ სახლში შიშვლები, ტიტვლები, ერთ პატარა ნესტიან ოთახში. მე ისინი ორ ოთახში დავტოვე, მაგრამ მათთვის ორი ოთახის ქირის მიცემა შეუძლებელი იყო და ამისთვის ამ ჭოხში გადასულიყვნენ. სახლში ღამე მივედი. კარები რომ შევაღე, გულზე შემოშეყარა,—ცოლშვილი ნესტიან იატაკზე ეყარა, როგორც ზემოთ ვთქვი, ნახევრად ტიტვლები. ბავშვებმა ვერ მიცნეს, დედას ეკითხებოდენ: „ეს ძია ვინ არისო?" დილითევე ჰურის ფული მომთხოვეს. გული მომიკვდა. დეპოში რამდენიმე ამხანაგს ვთხოვე, რომ ერთ ათ კაცს ჩემთვის ათი თუმანი ესესხებია,—თითოს თითო თუმანი. მათ კი აბაზობით სულ ერთი თუმანი მოეგროვებიათ და მომიტანეს. მე ეს ფული არ მიმიღია, უკან გავატანე, რომ ისევ დაეგროვებიათ მათთვის. დეპოში, რასაკვირველია, არ მიმიღეს. დეპოს უფროსი სიამოვნებით მიღებდა, მხოლოდ ეანდარმებმა არ გამიშვეს. დაეწყე მუშაობა სახლებზედ. სამხატვრო საქმის ხუთი ამხანაგი ვიყავით: მე, ბიბილეიშვილი, ვაშაკიძე, ნარიმანოვი და სხ. დღეში 16 საათს ვმუშაობდით, თუ კი სამუშაოს ვიშოვნიდით. მაგრამ სამუშაო ძნელი საშოვნელი იყო. კვირაში ვაკეთებდი ხან სამ მანეთს და თუ კარგი მუშაობა გვჭონდა, 5—8 მანეთს.

ბავშვები სკოლის გარეთ იყვნენ დარჩენილი. უფროსი ვაჟი ვიღაც მედუქნესთან იყო თევში სამ მანეთად, იატაკს აწმენდინებდენ. ცოლი როცა ფაბრიკიდან მოვიდოდა, მშიერ-მწყურვალი, სხვის სარეცხს რეცხდა. პარტიას თვითონ არაფერი ჰქონდა, ჩემ ცოლშვილს რას მისცემდა.

ამ დროს კახეთის რკინის გზა შენდებოდა. ვასო ცაბაძის რჩევით მივმართე კახეთის რკინის გზის სამმართველოს, რომ სამხატვრო საქმე ჩემთვის მოეცა. დიმიტრი ბაქრაძის დახმარებით ეს საქმე მე მომცეს, მაგრამ რით გინდა იმუშაო: იარაღი მე არ მჭონდა და მასაღა. ეს ყველაფერი სამმართველომ მომცა იმ პირობით, მერე ნამუშევარიდან გამოერიცხათ. მე მხოლოდ ორგანიზაცია მომეწყო და მუშები მეშოვნა.

მეც დავტრიალდი, გავედი ბირჟაზე. არც ერთი ხელოსანი არ გამომყვა სამუშაოდ. არ ვიცით შენ ვინა ხარ, არ გიცნობთო. წინ და

წინ მომთხოვეს ფული. სამმართველომ ტეხნიკ ხარიტონოვის ხელით მომცა ათი თუმანი. ამით დავიჭირავე მუშები და დავიწყე მუშაობა. ყოველ ღონის ძიებას ვხმარობდი, რომ მუშებს თავის დროზე მიეღოთ ჯამაგირი და ერთი სიტყვით, ისინი სრული კამყოფილი ყოფილიყვნენ. ამ მიზანს მივაღწიე, მაგრამ ძვირად დამიჯდა. ჯერ მე თვითონ ვმუშაობდი დღეში 14—16 საათს. ხანდახან პაპანაქება სიცხეში დილიდან საღამომდე უჭმელი, ვსვამდი მარტო წყალს. ჯერ ფული არ იყო, თუ რამეს ვიღებდი სამმართველოდან, მუშებს ვაძლევდი და ფულიც რომ ყოფილიყო, გზაში რაიმე ხეირიანი საჭმელის შოვნა შეუძლებელი იყო. დამემართა ტიფი და ორ თვე ნახევარი ლოგინში უგრძნობლად ვიწექი. როცა ცოტა მოვკეთდი, წერილი მივიღე ხარიტონოვისაგან ჩქარა მოხედე საქმეს, თორემ საქმე ფუჭდება და იძულებული ვიქნებით სხვას გადავსცეთო. იქ თუმცაღა მყავდა ამხანაგი ბიბილეიშვილი, მაგრამ როგორც მერე გავიგე, თავს ვერ აბამდა საქმეს. მეც ჯოხ დაბჯენილი წავედი სამმართველოში, იქიდან პირდაპირ გამგზავნეს გზაში. აუცილებელია, უსათუოდ უნდა წახვიდეო. თუმცა არ შემეძლო, მაგრამ რას იზამ— „გაჩირვება მაჩვენე და გაქცევას გაჩვენებო“—ამბობს ქართული ანდაზა. მეც წავედი. ვნახე საქმე მართლა არეულ-დარეულია. მუშებს ჯამაგირი არ მიეღიათ. ჩემი პირველი ცდა იყო მათთვის ჯამაგირის მიცემა. შეეუდეჭი მუშაობას. ცოლშვილი შევმოსე, ბავშვები სკოლაში შევიყვანე. ისევ იმ ჭოხში ვიდექი. ოთახი ვერ ვიშოვნე. სახლი იყიდებოდა ხუთას თუმნათ ხუთ ოთახიანი. მეც ავიღე ვალი და ვიყიდე ეს სახლი. მენშეევიკებმა კინაღამ შემჭამეს: შენ „პოდრაჩიკობით“ სახლი შეიძინეო. ზოგი ჩემი პირადი მტრები ახლაც ამბობენ, ვითომ კახეთის გზაზედ „პოდრაჩიკობაში“ ფული მოვიგე და იმით სახლი შევიძინე. სახლში მიველი ხუთასი თუმანი, შემდეგ ეს სახლი ბანკში შევიტანე, რომ ვალები გადამეხადა და იქიდან შედასი თუმანი გამოვიტანე, რომელიც ახლაც მმართებს ბანკის. მართალია, კახეთის გზაზე სამხატერო საქმის მოჯარადრედ ვეწერე, მაგრამ სხვანაირად არ შეიძლებოდა, რადგანაც გურჯაანში ჟანდარმებმა უკვე მომიკითხეს და როცა ნახეს, რომ მოჯარადრედ ვეწერე, გაბრუნდენ უკან.

როცა ომი დაიწყო, მთელი წვრილი და მსხვილი ბურჟუაზია უსურვებდა და მოითხოვდა რუსეთის გამარჯვებას. მე, როგორც სოციალისტი, ჯერ ვიყავი ომის წინააღმდეგი და თუ ჩვენ, სოციალისტები, ომის ხელის შეშლას ვერ მოვახერხებდით, მაშინ ვიყავით რუსეთის მაშინდელი მთავრობის ამ ომში დამარცხების მომხრე და ვფიქრობდი, რომ ყველა სოციალისტი ასე ფიქრობდა. მაგრამ მოვტყუვდი. მაშინვე მჭონდა მე ლაპარაკი რამდენიმე ე. წ. სოციალის-

ტებთან. მე ჩემ აზრს ვადეჭი, მაგრამ ისინი მხარს უჭერდნენ ზემოთ მოყვანილ ბურჟუაზიის აზრს. მე მახსოვს, მხოლოდ ნესტორ ცერცვაძემ დამიჭირა მხარი. ვიფიქრე, ალბათ, ამათ არ ესმით სოციალისტური მოძღვრება მეთქი.

ჩემი გაკვირვება გამოიწვია რამდენიმე დღის შემდეგ ომის გამოცხადებიდან ჟორდანიას მოწინავე წერილმა, რომელშიაც ასაბუთებდა ბურჟუაზიის აზრს და ამტკიცებდა: „თუ ამ ომში რუსეთმა არ გაიმარჯვა, რუსეთის პროლეტარიატს, მუშა ხალხს დაღუპვა მოელისო!“ თუმცაღა ჟორდანიას გაელენისგან დიდი ხნის გამოსული ვიყავი, მაგრამ მას მე ვთვლიდი სოციალისტად და ამასთანავე დიდ განვითარებულ კაცად. მისი დიდი განვითარება ახლაც მრწამს, მაგრამ რაც შეეხება სოციალისტობას, აქისი კი რალა მოგახსენოთ. ამ წერილის შემდეგ მე ვეკითხებოდი ჩემს თავს: „ნუ თუ მე ვცდები“. მაშინ არ ვიცოდი არც ლენინის და არც სხვა რომელიმე გამოჩენილი ბოლშევიკის აზრი ამ ომის შესახებ. რასაკვირველია, წინათ, ომის დაწყებამდე ვიცოდი მათი აზრი, მაგრამ ამ აზრს ომის წინააღმდეგს ყველა სოციალისტი ეთანხმებოდა. და თუ ამათ შეიცვალეს, ვიფიქრე, შეიძლება ჩვენებმაც შეიცვალეს აზრი მეთქი. ჩემ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა წავიკითხე, რომ ყველა ბოლშევიკები ომის წინააღმდეგი არიან და თუ ომი გაგრძელდა, ნიკოლოზის დამარცხების ჰიმხრივ—ე. ი. „პროროკენცები“. თუმცაღა ზოგიერთი ძველი ბოლშევიკებიც იყვნენ „ობორონცები“. როცა აგიტაცია-პროპაგანდა გააჩაღეს ევდერველდე საზღვარ გარეთ და აგრეთვე პეტროგრადშიც (ომის დროს ევდერველდე პეტროგრადში ჩამოვიდა) ურჩევდა რუსეთის მუშებს ებრძოლათ გერმანიის მუშების წინააღმდეგ ვილგელმის დასამარცხებლად. ჩვენში ჟორდანია და კომპანია ამ აზრის იყვნენ. ერთი სიტყვით, ყველა მენშევიკები გახდნენ ობორონცები. ბოლშევიკები, წინააღმდეგ, პოროკენცები. ომში, მენშევიკების სურვილების წინააღმდეგ, რუსეთი დამარცხდა. ამან დააჩქარა რუსეთის რევოლიუცია, რომელიც მოხდა 1917 წლის თებერვალ-მარტის დღეებში. ამ რევოლიუციის სათავეში მოექცნენ—რუსეთში მენშევიკები და ესერები, ჩვენში კი—მენშევიკები.

მოხდა რევოლიუცია თუ არა, მე მაშინვე დავდექი დეპოში ჩემ ძველ ალაგს. მენშევიკებმა ცოტა ხანს საქმე გამიჭირვეს. არ უნდოდათ ჩემი დეპოში მოღება, როგორც ბოლშევიკის, მაგრამ ვერას გახდენ. (დეპოში ამ დროს პარტიული მუშაობის შესახებ იხილე „რევოლიუციის მატენეს“ მესამე ნომერი 55 გვერ. ჩემი წერილი). როდესაც ჩვენ უკვე ოფიციალურად ვიყავით მენშევიკებისაგან გამოყოფილი და ჩვენ ჩვენი სოციალ-დემოკრატიული ბოლშევიკური პარტია გვქონდა, მოხდა მენშევიკების ქალაქის თვითმართველობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩევნები. ჩვენ ჩვენი სია გვქონდა. ბოლშევიკური ნომერი 8. მენშევიკების მონოპოლიური პირველი ნომერი იყო. ამ არჩევნებში ჩვენის მხრით თვითმართველობაში შვიდი კაცი გავიდა. სახელდობრ,— ფილიპე მახარაძე, მიხა ცხაკაია, მალაქია ტოროშელიძე, დანიელ შავერდოვი, ათაბეგოვი, არაქელა ოქუაშვილი და მე. მივიღეთ 2,000-ზე მეტი ხმა. მმართველობის დიდ უმრავლესობას მენშევიკები შეადგენდენ. მათ შორის დაშნაკცაკანები, ესერები, ფედერალისტები და ნაციონალ დემოკრატები. ესენი ჩვენ გარდა ყველა ერთი ჯურის ხალხი იყო, ე. ი., ბურჟუაზიის მცველები. მათ ხანდახან მენშევიკებთან შეტაკება მოსდიოდათ ხოლმე, მაგრამ როცა ჩვენ წინააღმდეგ გამოდიოდა რომელიმე პარტია, (ეს კი მუდამ იყო) ყველა ერთად შეერთებული ძალით ჩვენ წინააღმდეგ იბრძოდენ. მაგალითად, ქალაქის თავის თანამდებობაზე წამოყენებული იყო ნიკო ელიავა, ამ დრომდე ბოლშევიკი, ახლა გამენშევიკებული. როცა კენჭი უყარეს, მხოლოდ ჩვენგან მიიღო შვიდი შავი. ჯიბლაძემ კიდეც შეგვნიშნა: „ნუ თუ ერთი მაინც არ შეიცდათო?" როდესაც რამე კითხვა წყდებოდა, ეს შვიდი ხმა ყოველთვის ჩანდა. ერთხელ მიხამ უბრალო კითხვა დააყენა: „დუმის წევრობა ეს ძველია, შეეცვალოთ ახალზედ, წევრებს დეპუტატები ვუწოდოთო" ამის წინააღმდეგაც გაილაშქრეს მენშევიკებმა და ერთხმათ, შეხმატკბილებული მივიღეთ შავები, შვიდის გარდა. და ამას შემდეგ წარმოიდგინეთ ჩვენი რაიმე სერიოზული კითხვის გათეთრება, რანაირად შეიძლებოდა?

დამოკიდებულება ჩვენსა და მენშევიკებს შორის, როგორც თვითმართველობაში, ისე გარედ, ძალიან გამწვავდა. მოხდა აგრეთვე ქალაქის მუშათა საბჭოს არჩევა. მენშევიკებმა ბევრი ხრიკი იხმარეს, არაფერი არ დაუზოგავთ: გინება, ლანძღვა, ციხე, ხიშტი, მაგრამ არაფერმა არ უშველა—ერთი მესამედი მაინც ჩვენ გავიდით. რა გაეწყობოდა, ფაქტის წინაშე დადგნენ. მაგრამ აქ ძალა იხმარეს და საბჭოს კრებაზე არ შეგვიშვეს. ფილიპე თავის ჯოხით ძალით შეჭარდა, სიტყვა წარმოსთქვას. რას გახდებოდა. თოფები და ხიშტები მენშევიკებს ჰქონდათ. იძულებული გავხდით თვითმართველობისათვისაც თავი დაგვეგნებინა და გადავედით იატაკ ქვეშ, არალეგალურ მუშაობაზე.

1918-ში დამიჭირეს ყაზბეგში. შემდეგ, როგორც წინა წერილში მქონდა მოხსენებული, გამომიშვეს დროებით შვილის ავადმყოფობის გამო. ამას შემდეგ ვიმალებოდი რვა თვე. მერმე ისევ კედიამ, თავის დაქაშებით, დამიჭირა სახლში, როცა ღამის გასათევად მივედი. 1920 გამომიშვეს და დავდექი რუსეთის მისიაში მომარაგების ნაწილის გამგეთ. ვიყავი იქ 1921 წლამდე. თებერვალში, 1921 წ. როცა ჩვენებმა შემოუტიეს, მისიაც მიანგრ-მოანგრიეს. დაიჭირეს

პირველად მისიაში ამბ. სერგო ქავთარაძე. ახლა ვიცოდით, რომ ჩვენც ეს ბედი მოგველოდა. მე და არაჭელას მიჰალეა გვინდოდა, მაგრამ მოვილაპარაკეთ და გადავწყვიტეთ, რომ ჩვენი პოსტებისთვის და შეიმანისთვის თავი არ დაგვენებებია, რადგანაც შეიმანი ძალიან შიშობდა. ამბობდა: „ჩემზედ პოგრომს მოახდენენ მენშევიკებიო!“ მაგრამ ჩვენ ვაიმედებდით ამაღამ ჩვენ დავწვებით შენს ოთახშიო. მაგრამ ეს ჩვენ არ დაგვაცალეს. საათის ათზედ მობრძანდნენ კედიას თანამშრომლები და დაგვაპატიმრეს მე და არაჭელა. შეიმანი ჯერ დატოვეს. მეც გადავეცი შეიმანს გასაღებები და გავსწიეთ კედიასთან. იქით საათის შემდეგ შეიმანიც დაატუსაღეს. იმ ღამესვე ჩაგვსვეს ვაგონებში და წაგვიყვანეს ქუთაისის ციხეში. სერგო ქავთარაძე და შეიმანი სასტუმროში წაიყვანეს, როგორც დიპლომატიური წარმომადგენლები. რამდენიმე დღის შემდეგ სერიოჟა მოიყვანეს ციხეში და ჩასვეს განსაკუთრებულ კამერაში, მარტოკა. დააყენეს თავზედ ხიშტიანი ჯარის კაცი და მასთან ახლოს არავის უშვებდენ, მაგრამ ნახვას მაინც ვახერხებდით. გავრცელდა ხმა, რომ ქავთარაძეს დაჭერეტას უპირებენო. ამან ჩვენ ცოტა შეგვაკრთო. დამარცხებით გაჯავრებულ მენშევიკებისაგან ყველაფერი მოსალოდნელი იყო. ამას ჩვენ ქავთარაძეს არ ვეუბნებოდით, მაგრამ თვითონაც გრძნობდა, რომ მას კარგს არაფერს უპირებდენ. ჩვენ ყურები მუდამ მისი კარებისკენ გვქონდა. როგორც სჩანდა, ეს ხმები მართალი იყო. მაგრამ ისინი ყოველ საათობით მარცხდებოდენ და შეფიქრდნენ. ყველა მენშევიკი ვერ გაეჭცეოდა ოქროებთან ერთად ევროპაში. ეს მათ ძალიან კარგად იცოდნენ და შეაყენა ისინი შურისძიების ბრაზმა. იმისი ჯავრი ჯალათებმა იყარეს ამბ. მარდალეიშვილზე და მეორეზედ, გვარი არ მახსოვს. მოიყვანეს ქუთაისის ციხიდან, ჯერ ჯალათურად მოკლეს და მერე დასწვეს.

როდესაც ქლობა თავისი ყაზახებით მამასონის უღელტეხილზე გადმოვიდა, ჩკინის გზითაც გვინახას გამოცდენ ჩვენები და მენშევიკების გვარდია დადნა შარშანდელი თოვლივით წითელი ჯარის შიშით, ჩვენც, პატიმრები მენშევიკებმა გადაგვიყვანეს ბათომის ციხეში. ჩვენ არ გვინდოდა ბათუმის ციხეში წასვლა, რადგანაც აქ ყოველ წუთს მოველოდით ჩვენების შემოსვლას და განთავისუფლებას, ბათომში გადაყვანით კი რამდენიმე დღით გეიგრძელდებოდა პატიმრობა. ამას, როგორც ჩვენ, ისე მენშევიკები გრძნობდენ. მათი ერთად-ერთი იმედი იყო ევროპის ბურჟუაზიული ჯარი, რომელსაც დღე და დღე მოელოდნენ ბათომზედ. ეს იმედი, როგორც ვიცით, მათ არ გაუმართლდა არა იმიტომ, რომ ეს ევროპის ბურჟუაზიას არ უნდოდა, არამედ ცოტა მასაც ეშინოდა წითელი ჯარის და თავისი ქვეყნის რევოლიუციის.

ქუთაისის სადგურზე ჩვენ პროტესტი განვაცხადეთ ბათომში გადაყვანის შესახებ. მერმე კიდევ არ ვჯდებოდით ცხენების ვაგონებში. ცოტა შეტაკებაც მოგვიხდა, სადაც მონაწილეობას იღებდა „გენერალ გუბერნატორი“ ჩხეკვიშვილი. გვიწოდა ქურდები, ყაჩაღები, ჯიბგირები და მშიშრები. ნეტა ვიცოდე ახლა სად არის და რომელ ბურუჟაზიის ეფარება კალთის ქვეშ ეს „გმირი“ ჩხეკვიშვილი, თავის „გმირ-ვაჟკაცებით“.

ჩაგვიყვანეს ბათომის ციხეში. ასი კაცის მოსათავსებელ ალაგას ჩაგვყარეს ექვსასი კაცი. ჯერ უსუფთაობით ვიხრჩობოდით და მერე შიმშილით. ბევრი ციხე მინახავს, ბევრ ციხეში ვმჯდარვარ, შიმშილიც მინახავს, მაგრამ ამნაირი არაფერი, როგორიც იყო მენშევიკების ბათომის ციხე. გვაძლევდენ გირვანქა მჭადს. ჩვენი პატრონებიც არსად იყვნენ, რომ რაიმე მოეწოდებიათ. წარმოიდგინეთ, ციხეში რომ მიგედით, ნარის ქვეშ რაღაც ეგდო, ვერავინ გამოიცნო, თუ ის რა იყო, ნაჯერ საპონს გავდა. რამდენიმე დღის შემდეგ ეს ნაჯერი გამოვიღეთ, გამოდგა მჭადი. გავასუფთავეთ და შევჭამეთ. ბევრჯერ დამიშირა ნიკოლოზის მთავრობამ მე, მაგრამ ჩემი ცოლისთვის ხელი არასოდეს არ უხლიათ და რამიშვილმა კი, რომელსაც ჩემი ცოლი არაერგალობის დროს მალავდა ხან სად და ხან სად, მას ის დაუპატიმრებია ჩემი ქუთაისის გამგზავრების შემდეგ და დაემწყვდია.

ორი კვირა ქუთაისის ციხეში დავრჩით და ორიც ბათუმისაში. კიდევ ამდენი რომ დავრჩენილიყავით, შიმშილით ამოვწყდებოდით. მაგრამ არ დასკლდათ მენშევიკებს. ტფილისიდან ჩვენ წამოგვიყვანეს 18 თებერვალს და სწორედ 18 მარტს მოვიდა წითელი ჯარი ბათუმში. ეტყობა, რომ მენშევიკები იქიდან გამოქცეულან, თორემ ბრძოლა რომ შესძლებოდათ სადმე მაინც შეაჩერებდენ და ასე ჩქარა მთელ მენშევიკურ სახელმწიფოს წითელი ჯარი ვერ აიღებდა.

სწორედ 18 მარტს ღამე ქავთარაძე წაიყვანეს ციხიდან ჟორდანიასთან. მიზეზი იყო ჟორდანია თავისი დამჭაშებით გემში უნდა გადამსხდარიყო და ეშინოდა თავის ხალხის, რომ არაფერი აიტეხათ მისთვის, ბათომში მოგროვილ მის მიერ მოტყუებულებულ მენშევიკებს. ჟორდანიას მიემართა ქავთარაძისთვის: „ჩვენ მივდივართ და მენშევიკებს, რომლებიც რჩებიან, თქვენი ეშინიათ და უთხარი რაშეო“. სერგომ მიუგო: „გზა მშვიდობისა. მხოლოდ მე მათ ვერაფერს ვეტყვი. თუ გინდა შენც დარჩი. არას დაგიშავებთო“. დილით ადრე, 19 მარტს, ქავთარაძემ ეს ამბავი გვახარა, ციხიდან გამოვედით. ციხის უფროსად დროებით სამა თუმანოვი ავირჩიეთ. გარეთ გამოსვლისას ვნახეთ მენშევიკების უკრუხო წიწილებსავით დაბნეული ჯარისკაცები, გვარდიელები და ზოგი მათი ოფიცერი.

ისინი სულ იმას კითხულობდენ ხომ არ დაგვხვრეტავთო და აგინებდენ თავიანთ გაქცეულ წინამძოლებს და ხელმძღვანელებს,

მოგვატყვევესო. თვითონ მთელი საქართველოს სიმდიდრე მოიტაცეს და ჩვენ ასე დაგვყარესო და სხვ.

მეორე დღესვე ჩვენ წამოვედით ტფილისში. გზაში თითქმის ყველა ხიდებში აღდგენილი იყო, გარდა საჯვეთხოსა. ყველა ხიდებზე გაცხარებული მუშაობა იყო. ჩვენთან მენშევიკების მუშა გვარდიელებიც მოდიოდნენ და რომ ნახეს მთელი მატარებლები მოძრავ სახელოსნოებით გამართული, იძახდნენ: „ჩვენ მარტო ეს დაგვამარცხებდა, გვატყუილებდნენ, თორემ მაგათ წინააღმდეგ ბრძოლა როგორ შეგვეძლო, ან საბრძოლველი რა გვქონდაო!“.

ჩამოვედი ტფილისში. ავათ გავხდი მენშევიკების ციხეში შიმშილობის შემდეგ და ჩავწექი ლოგინად. ორი დღის შემდეგ მოვიდა ჩემთან ამბ. მიშა ოკუჯავა ებრალიძის თანხლებით და გამომიცხადა, რომ შიშნილი მოგველის—ეხლავე უნდა ადგე და წახვიდე ვლადიკავკაზში. იქ მზად არის 100,000 ფუთი სიმინდი და როგორც გინდა მოაწყვე, დაიქირავე ურმები და სხვა და გადმოგზავნეო. მეც დავემორჩილე და გავემგზავრე სერაფიონ ლომიძის თანხლებით. მომცეს რწმუნებულის მანდატი სასურსათო კომისარიატიდან. ჩავედით კავკაზში. 100,000 ფუთი კი არა, ერთი ფუთიც არ იყო მზად. იქ მაშინ მთავრობის თავმჯდომარედ სიმონ თაქოევი იყო. ყოველ ღონის ძიებას ხმარობდა, რომ მოგვეხერხებია სიმინდის გამოგზავნა. ჩვენც დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ სამიოდე ათასი ფუთის გამოგზავნა მოვახერხეთ. მერე დამწინწნეს საგანგებო რწმუნებულად ჩრდილოეთ კავკასიაში. იქ ავად გავხდი და კინაღამ სული ამომძვრა. ამის შემდეგ დამწინწნეს უზენაეს რევტრიბუნალის წევრათ. ამავე დროს მომივიდა მოწერილობა სასურსათო კომისარიატიდან დანიშნული ხარ რკინის გზის სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარედ, მიიღე საქმეო, მაგრამ ეს საქმე მე არ მომიღია, რადგანაც გამგზავნეს უზენაეს ტრიბუნალში. იქ თითქმის ერთი წელიწადი ვასრულებდი უზენაეს რევტრიბუნალის თავმჯდომარის მოადგილეობას. მერე დამწინწნეს აღმოსავლეთ საქართველოს ტრიბუნალის თავმჯდომარეთ. ამის შემდეგ, როცა აბასთუმანში ვიყავი საექიმოთ, ვეერიე ამიერ კავკასიის გზის ყრილობას ამავე გზის კომიტეტის, დორპროფსოჟის თავმჯდომარედ, სრულიად რუსეთის საბჭოთა რკინის გზის მეიქსე ყრილობაზედ ამირჩიეს ცენტრალურ რკინის გზის კომიტეტის წევრათ. მერე მექანიკურათ შევდიოდი ამიერ კავკასის სრულიად რუსეთის პროფესიონალურ ბიუროს (Закбюро В. Ц. С. П. С.) წევრათ. აგრეთვე შევდიოდი ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ მექრთამეობის წინააღმდეგ საბრძოლველად სამეულში. ვიყავი არჩეული მუშათა საბჭოს მერე და მესამე შემადგენლობაში (პირველში არ ვყოფილვარ). აგრეთვე ვარ არჩეული ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში ბაქოში პირველ ყრილობაზედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ. ცინცაძე.

ჩემი მოგონებანი

1903 წ. 1920 წლამდე.

იხ. „რევ. მატ.“ № 1 (6)

1915 წელში კომიტეტის კრებებს ხშირ ხშირად ვაწყობდით. ვანაწილებდით ძალებს წრეებში სამეცადინოთ. უმთავრესად თ. კალანდაძის ჩამოსვლამდის მე მიხდებოდა წრეებში სიარული, რადგან სხვა ამხანაგები უფრო ორგანიზატორები იყვნენ, ვიდრე პროპაგანდისტები. შეუდექით სტამბის მოწყობას, მაგრამ ფული არ იყო. შევკრიბეთ კომიტეტი და გადავწყვიტეთ ფული შეგვეგროვებია თვით ამხანაგებში, განსაკუთრებით ისეთ ამხანაგებში, რომლებიც მსახურებდენ და ჯამაგირები ჰქონდათ, მხოლოდ ორგანიზაციაში არ მუშაობდენ. ფულის შეკრება არუსიაკას მივანდეთ, რომელიც მთელი დღეობით დადიოდა ამხანაგებში და აგროვებდა სტამბისთვის სპეციალურ ფონდს. ბევრი ამხანაგი არ აძლევდა ფულს, რადგან ისინი ამ პირობებში თითქო წინააღმდეგი იყვნენ მუშაობის. ბევრი აძლევდა—ზოგი მანეთს, ზოგი ათ კ. და ასე. შევაგროვეთ რამოდენიმე ასი მანეთი.

ეს მთელი სიმდიდრე იყო იმ დროს. ერთმა ამხანაგმა, როცა ფულისთვის მივიდა კომიტეტის სახელით, ასე უთხრა ჩვენს წარმომადგენელს: „რომ შემეძლოს შენს თავს დავაჭერინებდიო, რა დროს მუშაობაა, ეს ავანტიურა არისო, გპრჩევ მაგ სისულელეს თავი დაანებოვო“ და სხვა. ამ ფულით შევუდექით სტამბის მოწყობას. დაუძახე ასოთ-ამწყობ დათიკო პეშტმალდიანცს და მოვურიგდი. თვიურად 25 მანეთი უნდა მიგვეცა. ისიც დათანხმდა. საჭირო იყო შრიფტის და ამერიკანკის (საბეჭდავი მანქანის) შეძენა. შრიფტი სხვადასხვა სტამბიდან მოვიპარეთ. ყველა სტამბაში თითო-ოროლა ასოთ-ამწყობი იყო ჩვენი ამხანაგი. მოვიპარეთ ორ ფუთამდის რუსულ-ქართულ-სომხური შრიფტი. ამ „ქურდობის“ ორგანიზაცია მივანდეთ ლ. სუხიშვილს და არუსიაკას. ამ დროს სიღნაღში ცხოვრობდა მ. ვარამაშვილი, რომელიც ჩამოვიდა და გვითხრა, რომ სიღნაღში არის დარჩენილი 5—6 ფუთი შრიფტი ძველი არალეგალური სტამბიდანო. ჩვენ მაშინვე დავავალეთ მას ეს შრიფტი ჩამოეტანა ტფილისში. მან შეასრულა ეს დავალება. შრიფტი უკვე საკმაოა. დათი-

კოს ვაყიდვინეთ მადერის მაღაზიაში ამერიკანკა. ყველაფერი ტეხნიკური მოწყობილება მზათ არის, მაგრამ ვერ ვიშოვნეთ შესაფერი ბინა. ის ბინა კი, რომელიც გვქონდა, არ იყო სავსებით გამოსადეგი. ტფილისში თითქმის შეუძლებელი დარჩა ბინის შოვნა, მით უმეტეს, როდ მოსაწყობი ფულიც ცოტა გვაქვს, ამიტომ გადავწყვიტეთ სტამბის განჯაში მოწყობა. ერთი მხრით ეს უკეთესი იყო, რადგან ქანდარმერიას აზრათ არ მოუვიდოდა, რომ ტფილისის კომიტეტის სტამბა განჯაში იქნებოდა მოწყობილი. პროკლამაციებს კი ვაწერდით: „ტფილისის კომიტეტის სტამბა“. გადავტანეთ ყველაფერი განჯაში. თან დათიკოც იქ გადავიყვანეთ. უმთავრესი როლი განჯაში სტამბის გადატანაში და იქ დადგმაში ამბ. ვალდია (მიხა) ხუტუნაშვილს უნდა შეესრულებინა, რომელიც იმ დროს ახალ გამოქცეული იყო ხარკოვის „არესტანტსკი როტიდან“ და რომელმაც მხურვალეთ მიიღო მონაწილეობა საიდუმლო მუშაობაში. სტამბა დავდგით. საჭირო იყო მუშაობისათვის უფრო ფართო ხასიათი მიგვეცა. ამიტომ განვიზრახეთ ბაქოსთან და ქუთაისთან კავშირის აღდგენა. ბაქოში გამგზავნეს მე. იქ იმ დროს მუშაობდა სტეფანე შაუმიანი, ვანია ფიალეტოვი, ამბ. „პაელე“ და სხვები. სტეფანეს ძლიერ გაუხარდა, რომ საშუალება მიეცა ჩვენთან კავშირის აღდგენის. ბაქოში მუშაობა მუდამ იყო, მხოლოდ ფრიად ადგილობრივი ხასიათის იყო და თან სტამბა არ ქონდათ. როდესაც სტეფანეს ვუთხარი, სტამბა გვაქვს მეთქი, ძლიერ გაუხარდა. შეიკრიბა ბაქოს კომიტეტი რამდენიმე პასუხისმგებელი ამხანაგების თანდასწრებით. გადავწყვიტეთ მოგვეწვია კონფერენცია, რომელზედაც გამოვიმუშავებდით ჩვენი ბრძოლის ტაქტიკას, მიმდინარე დაფასებას, ორგანიზაციულ მუშაობის ხაზს და სხვა და ავირჩევდით კავკასიის ბოლშევიკების ბიუროს. ამ მოსდობილებით გამოვბრუნდი ტფილისში. ორი წარმომადგენელი ტფილისს უნდა მიეცა, ერთი ქუთაისს და დანარჩენები ბაქოს. აგრეთვე თუ მოვახერხებდით ჩრდილოეთ-კავკასიიდანაც უნდა მოგვეწვია ვინმე. ტფილისის ამხანაგები აღფრთოვანებით შეხვდა ამ გადაწყვეტილებას. მე გამამგზავრეს ქუთაისში კავშირის აღსადგენათ და ორგანიზაციის მოსაწყობათ. ქუთაისში ამ დროს მუშაობდენ ამხ. ფ. მახარაძე, მიშა ოკუჯავა, დათიკო ლორთქიფანიძე, ილია მაჭავარიანი და სხვები. მხოლოდ ორგანიზაციული ფორმა მუშაობას არ ჰქონებია.

ქუთაისში მგზავრობის დროს ერთ ინციდენტს ჰქონდა ადგილი, რომელიც შემდეგში პრავოკატორის გამორკვევის საშუალებად გახდა. ტფილისიდან ფრიად კონსპირატიულად წავედი. ბილეთი წინდაწინ ავაღებინე. ამხ. შალიკო ასკურავა სადგურთან ახლოს სცხოვრობდა და მის ბინაზე გადავედი. უმთავრესად კი საცხოვრებელი

და კომიტეტის თავმჯდომარე ბინა იყო ამხ. ანიკო ლაზარიაშვილის (თომა ჩუბინიძის ცოლის) ბინა. დაუფასებელი იყო იმ დროს ამხ. ანიკოს დახმარება ჩვენი ორგანიზაციისადმი, მაგრამ, საუბედუროდ დღეს კი ვერავითარ ყურადღებას ვაქცევთ მას. ტფილისიდან ჩემი გასვლის დღე იცოდა მხოლოდ სამმა: შ. ასკურავამ, ვალოდია კოპალეიშვილმა და არუსიაკამ, რომელმაც ბილეთი აიღო და ლიტერატურა ვაგონში შეიტანა. აქედან ღამის მატარებლით გავედი. საზოგადოდ ღამის მატარებლებს უფრო ვენდობოდით, ვიდრე დღისას, რადგან ღამით უფრო ადვილად ვახერხებდით ჯაშუშების გვერდის ავლას. რიონის სადგურზე, სადაც ქუთაისის მატარებელში უნდა გადავჯდე, დილის 5 საათზე მივედი. ზაფხულის დილა იყო და უკვე კარგად გათენდა. არ მინდოდა, რომ მატარებლის გასვლამდის სადგურის პლატფორმაზე ან ბუფეტში გავჩერებულიყავ, რადგან იქ მუდამ ჯაშუშები ტრიალებდნენ. ამიტომ უშუალოდ მატარებლიდან მატარებელში მოვინდომე გადაჯდომა. როცა რიონის სადგურს მიუახლოვდი, ავიღე ჩემი პატარა ჩემოდანი ლიტერატურით და გავედი ვაგონის კარიდორში და კიბესთან გავჩერდი. მხოლოდ არა სადგურის მხრით, არამედ მეორე მხარეზე. მატარებლის გაჩერების დროს სწორედ ამ მეორე მხარეზე იმ დროს, როცა უკანასკნელ საფეხურზე ვდგევარ და მინდა ჩამოვხტე, თვალი შევასწარ ერთ ჟანდარმს, რომელმაც შემომხედა თუ არა, განზე გაიხედა. შევამჩნიე, რომ მას უნდოდა ჩემთვის თვალი აეხვია. თითქო ჩემთან არაფერი საქმე არ ჰქონდა. მხოლოდ მე მის შეხედვაში და განზე გახედვაში ვიგრძენი, რომ ის სწორედ ჩემთვის იყო იქ გაჩერებული.

ძნელია იმ ფსიქოლოგიური მომენტის აღწერა, როდესაც მტერი მტერს შორიდან იცნობს და იგრძნობს, მხოლოდ არის ისეთი სახის გამომეტყველება, მიხვრა-მოხვრა, თავის დაჭერის ტეხნიკა, რომ ადვილად გრძნობ, თუ რას ფიქრობს და ან რისთვის აკეთებს მოწიწაღმდეგე სხვა და სხვა მოძრაობას სახისას, ტანისას, მიხვრა-მოხვრის და სხვა. მეც ვიგრძენი, რომ ჟანდარმმა მე მიცნო, საქმე ჩემთან აქვს, მაგრამ ისიც ვიგრძენი, რომ მას არ უნდა ეს შემემჩნია მე. არ ვიცი მან იგრძნო ის, რომ ყველაფერი ვიცი, მხოლოდ ფაქტი იყო ის, რომ მე ისინი გავაცურე. მე არ მივაქციე არავითარი ყურადღება მის საქციელს და ჩამოვხტი ვაგონიდან. მივედი ქუთაისის მატარებელში და ჩავჯექი. გავაღე ფანჯარა და გარეთ დავიწყე ცქერა. ამ დროს იმავე ჟანდარმმა ჩემს წინ გაიარა, მხოლოდ ვატყობ, რომ ჩემთვის კიდევ უნდა შემოხედვა, მაგრამ თავს ძალას ატანს და სხვაგან იყურება. კისერი მგელივით აქვს გაშეშებული. გამშორდა. არ გასულა ნ წუთი, იგივე ჟანდარმი, ერთი სხვა კიდევ და ქუთაისის ჟანდარმერიის განყოფილების უფროსი, ჟანდარმის პოლკოვნიკი, მოდიან და ჩემს წინ



ვანო კალანდაძე. სტეპკო ინწკირველი. კოტე ცინცაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა გაიარონ. პოლკოვნიკს ეტყობა კარგ ხასიათზეა და პაპიროსის წევით, თავ აწეერილი, თავისუფალი მიმოხვრით მოუძღვება წინ მის თანაშრომლებს. მომიახლოვდა და შემომხედა ისე, სხვათა შორის, მაგრამ „მეთევზე მეთევზეს შორიდან იცნობს". მე ვიგრძენი, რომ ძალიანი საინტერესო ფიგურა ვარ მისთვის. გაიარეს ჩვეს წინ. შემდეგ გამობრუნდნენ და სწორედ იმ ვაგონში შემოვიდნენ სამივენი, რომელშიაც მე ვიყავი. ვაგონში თაროებზე მიიხედ-მოიხედეს. მე მოვიკრიბე მთელი ჩემი ნერვები და დინჯათ ვდგევარ, პაპიროსს ვეწევი. შეერთებული მეორე და პირველი კლასის ვაგონი იყო. პოლკოვნიკი თავის მხლებლებით პირველ კლასში გავიდა, გააღო ფანჯარა და იმანაც დაიწყო ცქერა გარეთ. მეც აქედან მიჭერებივარ. თავის გასართობად და ერთი მეორის განზრახვის დასამალად ორივენი პაპიროსებს ვეწევით და სქელ ნაფაზს ვუშვებთ პირიდან. განეიზრახე გაპარვა, მაგრამ არ შეიძლება, რადგან ვერსად ვერ გახვალ შეუჩნეველად. ისევ გადავსწყვიტე სცენა ბოლომდის ჩამეტარებინა.

მატარებელი დაიძრა. ჩვენ. არც ერთი ადგილას არ ვიყავით. ქუთაისში მივედით. მე მოვკიდე ჩემს ჩემოდანს ხელი და გაველ გარეთ. კიბეზე რომ ჩამოვდიოდი გავიხედე და ჩემა წინ სარებივით ორივე ჟანდარმია დასობილი. ჩამოვედი სხვებთან ერთად. ვეფიქრობ ხელს მტაცებენ, მაგრამ არა. ჯამიშვეს. მხოლოდ უტიფრად შემომცქეროდენ თვალებში. მეც უტიფრად შევსცქეროდი. ლიტერატურა არ დავტოვე მაინც. გავიარე პირველი კლასის ბუფეტი და გაველ სადგურის უკან. დავუძახე მეეტლეს, ჩავჯექი და გავსწი. ჩაჯდომის დროს უკან მოვიხედე. ორივე ჟანდარმები კიბეზე (სადგურის) არიან გაჩერებული. მე დავიძარი და წავედი. არ გამაჩერეს. ეხლა კი იქით შემეპარა. ვიფიქრე, რომ მე მეჩვენებოდა იმათი თვალ-ყურის დევნება. რომ ვეცნე, დამიჭერდენ თქვა.

მე ამბ. მიხა ოკუჯავას ბინაზე უნდა მივსულიყავი. ცხოვრობდა ქალაქ გარეთ. სცენას გათავებულად ვთვლიდი. ყურადღებას არაფერს ვაქცევდი. ვუახლოვდები მიშას ბინას. შევამჩნიე, რომ ჩემი მეეტლე რაღაც უკან იცქირება. რადგან ის წინ „კოზლაზე" იჯდა, კისერში მიეჩქარებოდი. მოიხედა ერთხელ, გადაკნინა თავი და მიდის. მოიხედა მეორე ჯერ, გადაკნინა თავი და მიდის, მოიხედა მესამე ჯერ, კიდევ მიაქნ-მოაქნია თავი და განაგრძო გზა. მოხუცებული მეეტლეა. მე დავინტერესდი: რაშია საქმე, რომ მეეტლე უკან იხედება, თავს აქნევს და მიდის. მეც მოვიხედე და დავინახე, რომ ერთ-ერთი იმ ჟანდარმთაგანი ეტლით უკან მოგვდევს. ალბად ჟანდარმის მეეტლე რაიმეს ანიშნებდა ჩემს მეეტლეს. ჩემი მეეტლე მიხვდა, რომ ჟანდარმი მე მომდევს და იფიქრა რაში ხათაბალას არ გადავიკიდოო და ამიტომ აკნევდა თავს. ეხლა უკვე დავრწმუნდი, რომ ჩემი გრძნობა მარ-

თალი იყო. ფრიად უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდი. არ ვიცი სად წავიდე. გავსწიო პირდაპირ ხონისკენ—დამიჭირავს. გადაუხვიო მიშასკენ,—მიშას ჩავაგდებ. ამ ფიქრში რომ ვიმყოფები, მივაღწიე იმ ქუჩის გადასახვევთან, რომელზედაც მიშა ცხოვრობდა. აქ უკვე ბევრი ფიქრის დრო აღარ იყო და მეეტლეს უთხარი შეუხვიე თქვა. შეუხვია. მესამე თუ მეოთხე სახლი მიშას ბინაა. მე გავაჩერე მეეტლე ქუჩაში პირველ სახლის წინ. ამოვიღე ფული და ვაძლევ მეეტლეს. ჟანდარმის ეტლმაც გადმოუხვია და გვერდით ჩამიკროლა. ფული მივეცი და ორი ფეხის ნაბტომით პირველ კარებში შევედი. ჩემმა მეეტლემ დამინახა, რომ პირველ სახლში შევედი. გაუჭრიტე ჟანდარმს, დავინახე, რომ მიდის წინ. ჯერ არ გაუჩერებია ეტლი. სასწრაფოდ გამოველ და თვალის დახამხამებაში მიშას ბინაზე შევედი. ყველას ეძინა. გავაღვიძე. გამოვიდა მიშა. ავუხსენი საქმის მდგომარეობა და ჩემოთხინი ლიტერატურით მივეცი დასამალავად. მე კი ვაპირებდი გამოსვლას და წასვლას, მხოლოდ ისე კი, რომ გამოსვლისას ჟანდარმს არ დავენახე. ფ-ნჯარაში გამოვიჭვრიტე.

დავინახე, რომ ჟანდარმი ჩაჯდა ისევ ეტლში და უკან გასწია. როდესაც ის მოეფარა, მე წამოველი და მიხვეულ-მოხვეულებით დათიკო ლორთქიფანიძესთან შევედი, დათიკოსაც უამბე რაში იყო საქმე. დათიკო ამბის გასაგებად წავიდა. ერთი საათის შემდეგ მოვიდა დათიკო და მოიტანა შემდეგი ამბავი: ჟანდარმი დაბრუნებულა სპოლიციო უბანში და წამოუყვანია პოლიცია იმ სახლის გასაჩრეკად, რომელშიაც პირველად შევედი. ეს კი ჩემი მეეტლისაგან გაუგიათ. იქ ვერაფინ ნახეს. დაიჭირეს მდგურები. შევიდნენ მეორე სახლში. იქაც ვერაფინ ნახეს. მესამე რიგში მიადგნენ მიშას ბინას. იმათ ეძინათ, ვითომ აქ არაფერია. გამოვიდა მიშა და ეკითხებიან სად იმყოფება აქ შემოსული კაცი. მიშა ეუბნება, რომ მას ეძინა, არ იცის ვინ შემოვიდა, შეიძლება კიდეც შემოვიდა ვინმე, მაგრამ მათ არ უნახავს და სხვა. რაღაი იქ მიშა აღმოაჩინეს, ცხადი იყო ჟანდარმებისათვის, რომ მე იქ შევედი, მაგრამ არავითარი საბუთი და კვალი ამის დასამტკიცებლად არ იყო. ამიტომ დაჰმაყოფილდნენ იმით, რომ მიშას ბინას ერთი თვის განმავლობაში ჯაშუში ედგა და თვალ-ყურს ადევნებდა.

ქუთაისში რაც იყო გასაკეთებელი, გავაკეთეთ. მე თავი შევიღებე და ღამით გვედი დათიკოს ბინიდან. მესხეთის ქუჩით სადგურ მუხიანში უნდა გავსულიყავი ფეხით და იქიდან დროებით გურიაში შემენახა თავი. დათიკოდან წასვლისას მომიტანეს შავი ულვაშები და გამიკეთეს. ულვაშები ძალზე გრძელები გამოდგა. გაკეთების ხანს ვერ შევამჩნიეთ, მაგრამ ქუჩაში რომ გამოვედი, ხალხმა მიაქცია ყურადღება. და მართლაც, ისე გრძელი იყო ულვაშებ. , რომ უკან კი-

სერში შეიძლებოდა შესკვნა. ვინც შემხედავდა მესხეთის ქუჩაზე ყველა იძახოდა ქალი თუ კაცი: „აი მესხის, ვა! რამოდენა ულვაშებიაო“ და სხვა. კინაღამ ამედევნა ბავშვები. ულვაშებმა კინაღამ პროვოკაცია გამიკეთა. გავშორდი თუ არა ქალაქს, მოვიგლეჯე და გადავაგდე. ჩაველი გურიაში. იქ ორი თუ სამი კვირა დავრჩი და გამოვემგზავრე ისევ ტფილისში. გურიაში იმ დროს მუშაობდა ვ. კალანდაძე, პარმენ ცინცაძე, საშა დარახველიძე, ნინა დიდიძე და სხვები. შედარებით სხვა პროვინციებთან გურიაში მაგარი ორგანიზაციები იყო და თან მუშაობა არას დროს არ შეწყვეტილა. სხვა ადგილებში კი, და თვით ტფილისშიაც, ხშირი იყო ისეთი დრო, როდ მუშაობა რამოდენიმე თვით სრულებით შესწყდებოდა ხოლმე.

ეს იმით აიხსნებოდა, რომ მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას რეპრესიების მხრით ბალშევიკებს. აქცევდა, რომელთაც არ ჰქონდა უფლება გაზეთის გამოშვებისაც კი, მაშინ, როდესაც მენშევიკები განუწყვეტლად უშვებდნენ გაზეთებს. მენშევიკებიც არ გვიბეჭდავდნენ წერილებს, რადგან ყველა მენშევიკი მაშინ ომის და კოალიციის გამარჯვების მომხრე იყო, გარდა უმნიშვნელო ჯგუფისა. ბოლშევიკები კი ომის შეწყვეტის და რუსეთის დამარცხების მომხრე. ეგოდენ წოდებული „პორაჟენცები“ ვიყავით.

მთელ ჩვენს ფრაქციაში ლიტერატურულ ძალას ამხ. ფილიპე მახარაძე წარმოადგენდა. აუარებელი მასალა იყო, მაგრამ ვერსად ვბეჭდავდით. მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტად, დრო გამოშვებით პროკლამაციებს უშვებდით, რომელსაც ამხ. ფილიპე გვიწერდა, მაგრამ ფილიპეს ერთ ადგილას არ ჰქონდეს, დიდი იყო თუ 2—3 თვე ერთ და იმავე ადგილას გაეჩერებინათ. ხან ბაქოში იყო, ხან ხარკოვში, ხან ტფილისში, ხან ქუთაისში, ხან ასტრახანში და ასე. როგორც კი მოცხლებოდა მუშაობა რომელიმე ადგილას, პირველად ფილიპეს „მიაბრძანებდნენ“ იმ ადგილიდან. უკანასკნელ ხანებში ის ქუთაისში ცხოვრობდა ნახევრად ლეგალურად.

აღარ მახსოვს რომელი რიცხვი იყო, ზაფხულზე, 1915 წელს, ბაქოში მოვახდინეთ თათბირი კავკასიის ორგანიზაციებისა. სისრულეში მოვიყვანეთ ბაქოს კომიტეტის და პასუხისმგებელი ამხანაგების გადაწყვეტილება. ტფილისიდან თათბირზე, რომელმაც კონფერენციის ხასიათი მიიღო, დელეგატებათ ამხ. სალავიანი, არუთინა და მე ამოგვარჩიეს. არ მახსოვს ვინ იყო ქუთაისიდან. დელეგატი ჩრდილო კავკასიიდანაც იყო, მხოლოდ აღარ მახსოვს ვინ იყო. თათბირი გაგრძელდა ორ დღეს, ოთხი გრძელი სხდომა მოვახდინეთ. თათბირმა გამოიმუშავა რეზოლიუციები მიმდინარე მომენტის შესახებ, ორგანიზაციულ საკითხებზე და სხვა. ამ თათბირის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ამ თათბირის რეზოლიუციების გარშემო შე-

მოიკრიბა ბოლშევიკების ყველა ორგანიზაციები. აღსანიშნავია ის, რომ ამ ხანაში ჩვენს ორგანიზაციას ერთგვარი არევ-დარევა ემჩნეოდა. ინსტრუქტიურად თითქმის ყველა ორგანიზაციები სწორ ხაზს ატარებდა ომის საკითხში, მაგრამ შემაერთებელი, შემაკავშირებელი, ხელმძღვანელი ცენტრი არ იყო ძლეს ფრიად უშლიდა ხელს ეწყობარად მუშაობას. რუსეთის ორგანიზაციასთანაც არავითარი კავშირი არ გვქონდა. ბაქოს თათბირზე ასეთი ცენტრი არჩეულ იქნა. ბოლშევიკების ორგანიზაციების „კავკასიის ბიუროში შედიოდნენ: ამხ. ამხ. სტეფანე შაუმიანი, „პავლე“ (ბაქოელი) მე (ტფილისი) და ფილიპე მახარაძე (ქუთაისი) (თუ მეხსიერება არ მღალატობს). კანდიდატები—ორი ბაქოდან, (გვარები აღარ მახსოვს—მგონი ვანია ფიალეტოვი იყო ერთად) და ერთი ტფილისიდან—ამხ. ა. სალაქიანი.

თათბირის რეზოლიუციები მეტად დღესვე დავბეჭდეთ განჯაში ჩვენს სტამბაში და ყველა ორგანიზაციებში დავგზავნეთ. უმთავრესად ჩვენვე ვატარებდით ლიტერატურას—ხან მე და ხან ვალოდია (მიხა ხუტულაიშვილი), რადგან ძლიერ ძნელი იყო სანდო ამხანაგების შოვნა იმ დროში. რეზოლიუციების დარიგებამ ცოტათი გამოაფხიზლა ადგილობრივი ამხანაგები. მათ იგრძნეს, რომ მუშაობა სწარმოებს, ორგანიზაცია სცოცხლობს.

რეზოლიუციების გარდა მოვუხშირეთ პროკლამაციების გამოშვებას ომის წ. ნაალმდეგ, რომლებსაც უმთავრესად ამხ. ფილიპე და სტეფანე შაუმიანი სწერდნენ. თითქმის ყველგან, ყველა ორგანიზაციებში ადგილობრივად გაჩაღდა მუშაობა. უმთავრესი ყურადღება ჩვენს ორგანიზაციას ომის საწინააღმდეგო კამპანიაზე ჰქონდა მიქცეული. ვახდენდით არალეგალურ კრებებს ფაბრიკებში, სახელოსნოებში, გვქონდა (ტფილისში მაგალითად) ვიწრო წრეები, უჯრედები, სადაც პოლიტიკურ ეკონომიას და მარქსისტულ ლიტერატურას გავდიოდით. მხოლოდ ერთი დიდი დეფექტი იყო. ეს ის, რომ პროვინციებთან,—მაზრებთან ან სულ არ გვქონდა კავშირი, ანდა ძლიერ სუსტი. მხოლოდ გურიაში იყო ცოცხალი და მაგარი ორგანიზაცია და კავშირიც მჭიდრო გვქონდა. შეიძლება ეს იმითაც კი აიხსნება, რომ გურიაში ბევრი ძველი ამხანაგები იმალებოდნენ და საერთოდ იქ მოძრაობაც მუდამ ძლიერი იყო. ყველა მალული ამხანაგებისათვის გურია საუკეთესო ადგილს წარმოადგენდა, რადგან იშვიათი იყო იქ პოლიტიკური მოღვაწეების გაცემა და ღალატი.

ძალიან რომ გაგვიჭირდებოდა ქალაქში ცხოვრება რეპრესიების გამო, გურიას მივაშურებდით.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ ამ არალეგალურ მუშაობის დროს აშკარად გამოირკვა ჩვენს ორგანიზაციაში ბევრი ამხანაგების რევოლიუციონური გულწრფელობა. ჩვენმა ინტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგენდა დიდი სისუსტე გამოიჩინა, გარდა თითო-ოროლა ამხანაგებისა. ზოგიერთები იქამდეც კი მიდიოდნენ, რომ ბინას არ გვაძლევდნენ თავის შესაფარებლად, ეშინოდათ. პირიქით, მუშებმა ამ შემთხვევაში ყოველ მოლოდინს გადააჭარბეს. ყველა გაჰვერებიდან ძველი მეზობები გამოგვეყვანა ხოლმე, როგორც მაგ. არაქელა, მიხა ჩოდრიშვილი, მიროტაძე, ალექსა ბენდიკიძე, რაჟდენ ჯღამაძე, სევასტი თალაკვაძე, რომელნიც დიდ დახმარებას გვიწევდენ კავშირის აღდგენაში მუშებთან, ბინების მოძებნაში და საზოგადოთ ყოველგვარ ორგანიზაციულ მუშაობაში. ბევრი კიდევ სხვა ამხანაგი მუშები. საშინელი იყო მაღული (არალეგალური) ამხანაგების ცხოვრება. თითქმის მთელი თვეებით, წლობით გვიხდებოდა დღითი მთელი დღე სახლში ჯდომა,—უმეტესად ნესტიან ოთახებში. მხოლოდ ღამ-ღამობით გამოვდიოდით და ისიც კრებებზე ანდა რაიმე ორგანიზაციული საქმისათვის.

ამ ხანაში საერთოდ მუშათა მოძრაობა ფართოვდებოდა, მაგრამ მეორე მხრით მთავრობის რეპრესიები სასტიკად ძლიერდებოდა მიუხედავათ ამისა, ყველა პარტიის წევრი სრული იმედით იყო გამსჭვალული, დღე დღეზე მოველოდით თვითმპყრობელობის დაცემას და თავისუფლად ამოსუნთქვას. ყოველი დამარცხება ფრონტზე რუსეთის ჯარისა ჩვენში წარმოუდგენელ სიხარულს იწვევდა.

ამ დროს მოგვივიდა ამბ. ლენინის ხელნაწერი ომის შესახებ, რომელმაც ძლიერი აღფრთოვანება გამოიწვია ყველა ამხანაგებში. ამ წერილში თითქმის მართლდებოდა ჩვენი ბაამბირის და საზოგადოდ ადგილობრივი ორგანიზაციების პოზიცია ომის საკითხში. ამხანაგ ლენინის წერილს მოყვა ციმერვალდის და კინტალის კონფერენციების რეზოლიუციები და მოწოდებები. ეს მგონი თუ არ ვცდები 1915 წლის ბოლო თვეებში და 1916 წლის პირველი თვეებში იყო. საჭირო იყო ამ მოწოდებების დაბეჭდვა და ფართო მშრომელთა მასებში გავრცელება. მენშევიკებმა არ მოისურვეს არც მთლიანათ დაბეჭდვა თავის ლეგალურ ორგანოში და არც ისე გავრცელება. ჩვენი სტამბით უნდა გვესარგებლა, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ იმ ხანებში სწორედ ეჭვი შეგვეპარა ასოთ-ამწყობ დათიკო პეშმალდიანცზე. სწორი იყო ჩვენი ეჭვები თუ არა, სხვა კითხვა იყო, მხოლოდ არალეგალურ მუშაობაში სულ უბრალო ეჭვები საკმარისია, რომ ფრთხილად მოიქცე და საქმის გამორკვევამდე მუშაობა შეანელო. კიდევ მეტი, ცოტა ეჭვები იწვევს სურვილს რაც შეიძლება ჩქარა მოიშოროთ თავიდან საეჭვო პირი. ასეთი სიფრთხილე მით უმეტეს სტამბის საქმეშია საჭირო. ამიტომ მე და მიხამ (ხუტუნაშვილმა) გადავწყვიტეთ როგორმე თავი დავაღწიოთ დათიკოს და უფრო გულ-დამშვიდებულად განვაგრძოთ მუშაობა. (დაწვრილებით

თუ რა ჰბადებდა ეჭვს იცის თვით ამბ. მიხა ხუტულა'შვილმა და ზედ მეტი არ იქნება მისი მოგონება). დავაწყეთ შემდეგი გეგმა: დათიკო უნდა დაგვეინტერესებინა უფრო დიდ საქმეში, ე. ი. დიდი სტამბის მოწყობაში. ერთ დღეს მე და მიხამ ერთმანეთში დავიწყეთ ფრიად სერიოზული ლაპარაკი, რომ საჭიროა დიდი და თან ლეგალური სტამბა მოვაწყოთ. მხოლოდ სტამბის პატრონი და ასოთა-ამწყობები სულ ჩვენი საუკეთესო და ძლიერ სანდო ამხანაგები უნდა ყოფილიყვნენ, რომ ამ საქმეში დაინტერესებულია რუსეთის ცეკა, რომლის წარმომადგენელი უკვე გამოსულია პიტერიდან და თან მოაქვს ფულიც ასეთი სტამბის მოსაწყობათ. ლაპარაკში ისიც ჩაერიეთ, რომ ტეხნიკურად ეს საქმე დათიკოს უნდა მიენდოს შესასრულებლად. ამ მუსაიფს დათიკოც ყურს უგდებდა, მხოლოდ დაწვრილებით ის ვერ გაიგებდა რაში იყო საქმე. მას ჩვენი ლაპარაკი მხოლოდ დაინტერესებდა. ეს ლაპარაკი განჯაში ხდებოდა. მე უნდა წამოვსულიყავი ტფილისში, უნდა მიმეცა დეპეშა დათიკოს წამოსვლის შესახებ, რომელიც თითქო აქ რუსეთიდან ჩამოსულ ამხანაგს უნდა შეხვედროდა სტამბის შესახებ მოსალაპარაკებლად. ჩვენ ვფიქრობდით, რომ თუ დათიკო პროვოკატორია, ასეთი დიდი პერსპექტივების წინაშე, სადაც თვით ცეკა არის ჩარეული და ამ უკანასკნელთან შეიძლება კავშირის გაბმა, დათიკო პატარა სტაბას არ გასცემდა და მოინდომებდა დიდი საქმის გაკეთებას. მართლაც ასე მოვიქეცით. მე ტფილისში გამოვემგზავრე. სამი დღის შემდეგ მივეცი მიხას დეპეშა დათიკოს წამოსვლის შესახებ. დეპეშის მიღების შემდეგ მიხას უფრო დაწვრილებით უნდა გაეცნო დათიკო ამ დიდი და სერიოზული საქმისათვის, უნდა დეინტერესებია ის დიდათ, დაეხატა მისთვის ეებერთელა პერსპექტივები. ის აგრეც მოიქცა. დათიკო გაბერა რამდენათაც შეიძლებოდა და გამოუშვა ჩემთან ტფილისში. აქ მე დათიკო უნდა დამებანდებაა 3-4 დღე. ყველაფერი ეს ითქმის იყო საჭირო, რომ მიხას დათიკოს ტფილისში ყოფნის დროს მოესწრო სტამბის განჯიდან გადმოტანა და მისი გურიაში ჩატანა, სადაც სტამბისთვის მომზადებული იყო ახალი ბინა: სხვათა შორის დათიკოს გაკერით უთხარით, რომ ეს პატარა სტამბა, როდესაც დიდს მოვაწყობდით, ალექსანდროპოლში უნდა მიგვეცა იქაური ამხანაგებისთვის სამხედრო ორგანიზაციისთვის. აქაც იყო პროვოკატორისათვის ერთნაირი პერსპექტივა. ცხადი იყო, რომ რაც უნდა გამოცდილი პროვოკატორი ყოფილიყო,—ასეთი მერმისის მომავლის წინაშე დადგებოდა და პატარა სტამბის გაცემით ხელს არ გაისყრიდა.

მთელი ჩვენი გეგმა სისრულეში მოვიყვანეთ მთლიანად. დათიკო ჩემთან ტფილისში ჩამოვედი, აქ ის დავაბანდე 3—4 დღე და მიხას საშუალება მივეცი ყველაფერი განჯიდან აუბარგა. ძნელი საქმე იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ დროს ერთი კაცისაგან—12—15 ფუთი სიმძიმის გადაჯანა ასეთ შორს მანძილზე, მაგრამ მიხამ დიდებულად შეასრულა ეს საქმე. როდესაც მე გავიგე, რომ სტამბა უკვე თავის ადგილას იყო—დათიკოს შეუთვალე, რომ პეტერბურგიდან წამოსული კაცი ჩავარდნილა გზაში თქვა და თავი მოვანებეთ. მხოლოდ შემდეგ, როდესაც გაიგო, თუ რაში იყო საქმე, მაშინ მიხამ ყველაფერი მე გადმომაბრალა განგებ, რომ თუ დათიკო ინტრიგებს შეუდგებოდა, მარტო ჩემთან ქონებოდა საქმე. შემდეგ კიდევ იყო დათიკოზე რამდენიმეჯერ იჭვები, მაგრამ აქამდე გამოურკვეველია ეს საქმე. ლანჩხუთში სტამბა ჯერ ჩემს მშობლებთან მივიტანეთ და ორი-სამი დღის შემდეგ გადავიტანეთ ივანე იმნაშვილის ძმის დაყრუებულ ფაცხაში. ივანე იმნაიშვილმა და პაოშენ ცინცაძემ იცოდნენ სტამბის ადგილი და დიდ დახმარებას გვიწევდნენ მუშაობაშიაც და შენახვაშიც.

აი, ამ ახალ ბინაზე წავიღეთ ზემოხსენებული ცომერვალდის და კენტალის რეზოლიუციები და მოწოდებები დასაბეჭდად.

თან სამაისო ფურცელიც იყო დასაბეჭდი, ფილიპე მახარაძის მიერ დაწერილი.

მაგრამ უბედურება ის იყო, რომ სანდო ასოთამწყობი ვერ ვიშოვნეთ. ამიტომ მე და მიხა შეუდექით აწყობასაც და დაბეჭდვასაც. მე უნდა ამეწყო, მიხას ებეჭდა. მე არას დროს ასოთ-ამწყობი არ ვყოფილვარ, არას დროს არ ამიწყვია, მხოლოდ დათიკოსთვის მიკერია როგორ აწყობდა. გავიხსენე თეორიაში ყველაფერი, რაც საჭირო იყო და შეუდექი აწყობას. მოვუნდი ათი დღე ყველა ფურცლების აწყობას რუსულ-ქართულ ენებზე. სხვათა შორის ერთხელ გამოუცდელობის მიზეზით მთელი აწყობილი ფურცელი დამეშალა. ამან ისეთი ნერვების აშლა გამოიწვია, რომ კინაღამ „პოგრომი“ მოვახდინეთ სტამბაში მე და მიხამ. დავიწყე და ხელმეორეთ ავაწყე მთელი ფურცელი. საბიზნარი პირობები იყო მუშაობის. ათი დღის განმავლობაში იმ პატარა გაპარტახებულ ფაცხიდან გარეთ არ გამოსულვართ, რადგან საკმარისი იყო ვინმეს თვალი მოეკრა და გაიგებდნენ რაში იყო საქმე, რადგან ყველა მეზობლები გვიცნობდნენ რა „ჯაი“ კაცები ვიყავით ჩვენ. საქმელ-სასმელი ივანე იმნაიშვილს მოჰქონდა ჩუმათ ჩვენთან. ივანე თან მუშაობაშიაც—ვალოკების ტრიალში გვეხმარებოდა. ფაცხა მიწური იყო. იდგა ერთი პატარა ვიწრო ტახტი, რომელზედაც მე და მიხას ერთად გვეძინა. წარმოიდგინეთ, როგორ მოვთავსდებოდით ზედ მე და მიხა ჩვენი კოპლექციით. მიხა თითქმის 1 ნახევ. საკენია სიმაღლით და წელს ქვევით მიწაზე ელაგა ფეხები. თუ ფეხებს მოლუნავდა, მე ვეღარ ვწვებოდი. გავამზადეთ ფურცლები რამოდენიმე ათასი ცალი ორივე ენაზე. როდესაც გამზადებულ ფურცლებს შევხედეთ, გაგვაჯიწყდა გამოვლილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანჯვა. გავაგზავნეთ თითქმის ყველა საქართველოს ორგანიზაციებში, სამხედრო ნაწილებში, სომხეთში და ბაქოში. ლიტერატურის გადამტანიც ჩვენ ვიყავით. რამდენიმე ადგილას ამბ. საშა დარახველიძეს და ნინა დიდიძეს გავატანეთ.

ჩვენ მიერ ციმერვალდის რეზოლიუციების და მოწოდებების გავრცელება გაიგეს მენშევიკებმა. შეიქნა ერთა აური-ზაური, ჩოჩქოლი. დაგვიბარეს მენშევიკებმა და გვითხრეს გრიშა ურატაძის პირით ლანჩხუთში, რომ ჩვენ თავი დაგვენებებია არა-ლეგალური მუშაობისათვის. ერთ სოფელში, აცანაში, მენშევიკებს ჩაეგდოთ ხელში 15—20 ეგზემპლიარი, ჩამოუტანეს ლანჩხუთში და დასწვეს ცეცხლში ურატაძის ბრძანებით, რევოლიუციონერებიც ასეთი უნდა! შეუდგნენ ძიებას, თუ სად იყო ჩვენი სტამბა, რომ წაერთმიათ ან მთავრობისათვის გადაეცათ. ჩვენ სიმწრის ოფლში ვიწურებოდით: დღე და ღამე არ გვძინავდა, რის ვაი-ვაგლახით მუშებისა და გლეხების ყურებამდის გვინდოდა მიგვეტანა ომის მიერ გამოწვეული ნგრევა, მისი ნამდვილი მიზეზები, გვინდოდა მასისათვის თვალი აგვეხილა, რევოლიუციისაკენ მოგვეწოდებინა, ძმათა სისხლის ღვრა შეგვეწყვიტა, ცარიზმი შეგვეძულებინა, ბურჟუაზიის ჯოჯოხეთური მოქმედება გამოგვემჟღავნებინა და ამ დროს მენშევიკები ფურცლებს და არალეგალურ ლიტერატურას სწვავენ, საიდუმლო სტამბის გასაგებად და აღმოსაჩენად გამოძიებას აწარმოებენ!? შეუძლიან ამის შემდეგ მაგათ მშრომელთა ინტერესებზე ილაპარაკონ? შეუძლიათ გაუწიოლებლად რევოლიუციაზე იფიქრონ?! ჯერ კიდევ, როდესაც სტამბისათვის ჩვენ ამხანაგებში ფულს ვაგროვებდით, მენშევიკმა რამაშვილმა (მენშევიკების გაზეთის რედაქტორი იყო) გამოიწვია ამბ. არუსიაკა ტერ-პეტროსოვი და უთხრა, რომ სტამბა არ მოაწყოთ, თორემ ჩვენ ხელი შეგვშლება ლეგალურ მუშაობაშიო. ჩვენ, რასაკვირველია, სიცილადაც არ გვყოფნია ასეთი წინადადება, მხოლოდ საინტერესოა ეს მენშევიკების დასახასიათებლად.

ფურცლების გავრცელების შემდეგ ისევ ტფილისს ვესტუმრე და აქ განვაგრძე მუშაობა. მუშაობის დროს ეტყობოდა, რომ პროფოკატორის ხელი თავის საქმეს აკეთებდა. იქა აქ შეეატყვეთ ჯაშუშების ამოქმედება. ამ დროს მუშაობდნენ: ამხანაგები მიროტაძე, მიხა ხუტულაშვილი, თედორე კალანდაძე, შალიკო ასკურავა, ასატური, კამარი, არუთინ სოლოვიანი, არუსიაკა ტერ-პეტროსოვი, ბაგრატ ბარიანი, ლადო სუხიშვილი, კარაკაში, ვ. კოპალეიშვილი, ლიუბა გოცირიძე, სევასტი თალაკვაძე, ალექსა ბენდუქიძე, მე და სხვები.

მუშაობა ორ ფრონტზე სწარმოებდა: არა ლეგალურზე და ლეგალურზე—სახალხო უნივერსიტეტის გარშემო. სახალხო უნივერსიტეტში მუშაობდენ უმთავრესად სევასტი თალაკვაძე, მიროტაძე და

სხვები. დაიწყო სამხედრო-საჴრწველო კომიტეტების გარშემო პოლიტიკური კამპანია. ჩვენმა ორგანიზაციამ მაშინვე უარყოფითი ხაზი დაიჭირა. მენშევიკები ჯერ აგვყვენ ჩვენ და ისინიც ბოიკოტის გზას კინაღამ დაადგნენ, მხოლოდ ადრე მიიღეს თავის ცენტრის დირექტივები და უცბად იცვალეს აზრი. ბოიკოტიდან მონაწილეობის მიღებაზე გადავიდნენ. ჩვენ რამოდენიმეჯერ მოვახდინეთ პასუხისმგებელი ამხანაგების კრება, სადაც თითქმის ერთხმად გამოვიტანეთ ბოიკოტის რეზოლიუციები. კითხვა მუშათა წრეში გადავიტანეთ, სადაც ყველგან თანაუგრძნობდნენ ჩვენს პოზიციას. არა თუ ჩვენი მუშაობის, არამედ უმრავლესობა მენშევიკების მუშებიც ბოიკოტის მომხრე იყო. საჭირო იყო იმათ კრებებზედაც დასწრება, რომ ჩვენი ხაზი გაგვეტარებინა.

პირველი კრება (ლეგალური) ამ კითხვის შესახებ მენშევიკებმა დანიშნეს პუშკინის ბიბლიოთეკის ოთახში, რომელზედაც მეც უნდა დავსწრებოდი. ამ კრებაზე მოწვეული მუშები იქნებოდნენ. კრება საღამოს 7 საათზე გაიხსნებოდა. წინა ღამით მეტეხის ახლოს ჩვენ მოვაწყეთ ფართე კრება კიდევ ამ კითხვის შესახებ. დაესწრენ ყველა ჩვენი მოწვეული ამხანაგები: თედორე კალანდაძე, ბაგრატა ბოროიანი, კამარი, სოლოვიანი, ალექსა ბენდიუძე, მე და სხვები. თითქმის 25—30 კაცამდის. აქაც ერთხმათ ბოიკოტის რეზოლიუცია გამოვიტანეთ. მენშევიკების კრებაზე დასასწრებლად ამირჩიეს მე. დავიშალეთ ღამის 12—1 საათზე. ჩვენი ეს კრება ასე თუ ისე შეუმჩნეველად მოხდა. წინა კრებები კი რამოდენჯერმე დავშალეთ, რადგან შეემჩნიეთ, რომ კრებების ბინებს თვალყურს ადევნებდა ჯაშუშები.

სანამ მეორე დღის მენშევიკების კრების შინაარსს ავწერდე, საჭიროა ერთი ინციდენტის მოთხრობა, რადგან ამ ინციდენტის შემდეგ პირველად გამიელვა აზრმა თავში ვ. კოპალეიშვილის პროვოკატორობაზე. როგორც მოვიხსენიე, იმ კრებიდან 12—1 საათზე დავიშალენით. ყველანი წავიდ წამოვიდნენ. მე, როგორც არალეგალური, —მუდამ ყველაზე ბოლოს გამოვდიოდი კრებიდან, რომ არავის დაენახა რომელ მხარეზე წავიდოდი ღამის გასათევად. იმ ღამეს უნდა წავსულიყავი სევასტი თალაკვაძესთან. ამიტომ სევასტი და მისი ცოლი დარჩნენ, რომ ერთად წავსულიყავით. ყველანი წავიდნენ. მე, სევასტი და სონია თალაკვაძეები გამოვეიდით ერთად. ვიწრო ბნელ ქუჩაში დაგვიხდა ვ. კოპალეიშვილი, რომელიც კარგა ხანი წასული გვეგონა, და მკითხა: „შენ სევასტისთან მიდიხარო?" მე თუმცა არავითარი იჭვი არ მეპარებოდა, ფრიად სანდო მოწვინავე ამხანაგათ ვთვლიდი, მაგრამ ჩვეულებისამებრ მაინც უთხარი, რომ სევასტი შემჩნეულია და იქ ვერ წავალ, სადმე, გადაღმა, ვერისკენ უნდა წავიდეთქვა, ამით დავშორდით ერთმანეთს. მე სევასტისთან წავედ. მთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღე სახლში ვიჯექი. საღამოს 6 საათზე, როცა შებნელდა, გამოველ —მენშევიკებთან, პუშკინის ბიბლიოთეკაში, კრებაზე წასასვლელად.

თან შემთხვევით ჩემთანვე გამოვიდნენ ქალაქში წამოსასვლელად სევასტი, სონია და ორი მისი ნათესავი. ნაუოლუდან მომავალ ტრამვაის უნდა დაეცადათ და ამიტომ მივედით ვაგონის გასაჩერებელ ალაგას. აქ იმ წამსვე გამოძვრა ორი უცხო პირი. დაგვინახეს თუ არა, მიუჩოჩდენ ერთმანეთს და ყურში რაღაც ჩასჩურჩულეს. მე უცბად ეჭვი ავიღე: ჯაშუშები ხომ არ არიან-თქვა. სევასტის და დინარჩენებს მეც წავჩურჩულე, რომ მენუღარ დამელაპარაკებიან და თავი შორს დაიჭირონ. მიუახლოვდი რამთ. ერთმა უთხრა მეორეს: „ეხლავე დავინახავთო“ და ტრამვაის ვაგონს შეეხედა. (сейчас посмотрим). მე რაღაც გულმა მიაზრა, რომ განათებული ვაგონი რომ მოვა, ჩემი შეხედვა უნდათ, რომ დარწმუნდენ ჩვენს ვინაობაში. მართლაც, მოვიდა თუ არა ვაგონი, ორივემ ერთად მე შემომხედეს. მათი სახე არ მომეწონა. ყველა ჯაშუშებს თითქმის სახეზე ვიცნობდით.

წასვლა არსად შეიძლებოდა. ვაგონში ჩავჯდი, ერთი წინ დამიჯდა, მეორე გვერდით. დავრწმუნდი, რომ მე მიდარაჯებდნენ და ეხლა კი მიმყვებიან. ვაგონშივე გამახსენდა ვალოდია კოპალეიშვილის შეხვედრა წინა ღამეს, მისი კითხვა, თუ სად მივდიოდი დასაწოლად და გულზე ლოდი მომაწვა. მინდოდა თავიდან მომეშორებინა ვალოდიაზე ფიქრი. არ მინდოდა, რომ ასეთ სანდო ამხანაგზე, მოწინავე მუშაზე ცუდი მეფიქრა, მაგრამ ფიქრები ვერ მოვიშორე, რამდენიმე წუთს სულ ვალოდია მიტრიალებდა ტვინში. მაგრამ დრო აღარ იყო. როგორმე ჯაშუშების „დათესვაზეც“ უნდა მეფიქრა, როგორმე უნდა მივმალულიყავი. ველოდები როდის წავა ტრამვაის ვაგონი ძალიან ჩქარა, რომ უცბათ გადავხტე სადმე ვიწრო ქუჩებში და მივიმალო. ამ ფიქრში რომ ვარ, მივ ღუბეთ მუხრანის ხიდთან. აქ ვაგონი ძლიერ სწრაფად დაეშვა და მეც ვანჭის ქუჩის პირდაპირ გადავხტი. ორივე ჯაშუშები თან გადმოხტა. მე მოვასწარ ერთ-ერთ ვიწრო ქუჩაში თავის შეფარება, აქ კ დელს აეეყუდე კუთხეში და ველოდები როდის გაირბენენ წინ, რომ მე შემდეგ უკან გავბრუნდე და სხვადასხვა გზებით პუშკინის ბიბლიოთეკაში მივიდე.

მართლაც, არ გაუელია რაღოდენიმე წამს, იმათ სირბილით გაირბინენ ჩემს გვერდით და გაიქცენ პირდაპირ იმ ქუჩაზე, რომელზედაც მათ ეგონათ მე გავრბოდი. ამგვარად, ისინი იმ ვიწრო ქუჩებში „დავთესე“ და მე კი ათასი მიხვეულ-მოხვეულებით კრებაზე მივედი. აქ დამიხვდენ: ალექსანდრე დგებუაძე, ზ. გურული და 25—30 მოწინავე მუშები. კრება გაიხსნა. მოხსენება ზ გურულმა გააკეთა (თუ არ მავიწყდება) მოხსენებაში დაასურათა სამხედრო სამრეწვე-

ლო კომიტეტების როლი ომის დროს და მოუწოდა მუშებს მონაწილეობის მისაღებად. მე ბოლშევიკების სახელით გავუთვალისწინე მუშებს სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების რეაქციონური მნიშვნელობა და მოვუწოდე ბოიკოტისაკენ. ალექსანდრე დგებუაძე, თუ არ მავიწყდება, ბოიკოტის მომხრე იყო. უმრავლესობა მუშების ბოიკოტისკენ გადაიხარა. შეატყო თუ არა ჯ. გურულმა ეს,—მაშინვე იხმარა ყოველივე საშუალება ამ კრებას რეზოლიუცია არ გამოეტანა და კითხვა პროფესიონალურ კავშირების კრებაზე გადაეტანა. ეს ხერხი გაუვიდა. მეორე დღეს საღამოს ეს კითხვა პროფ. კავშირებს უნდა გადაეწყვიტა საბოლოოდ. ამ კრებაზე სხვა ჩვენი ამხანაგი უნდა გამოსულიყო (მხოლოდ არ მახსოვს ვინ), რადგან კრება დღითი იყო და მე დღისით ქუჩაში გამოსვლა არ შემეძლო. თუ კრებას საღამომდის დაავიადნებოდნა, მეც წავიდოდი. ასეთი იყო გადაწყვეტილება. საღამოს წავედი, მაგრამ უკვე გათავებულიყო. ხმის უმეტესობით მენშევიკებმა გაიყვანეს მონაწილეობის მიღება. შემდეგ ეს გადაწყვეტილება მუშათა ფართო მასაში უნდა გაეტარებინათ. ფაბრიკა-ქარხნებში და თან არჩევნებიც მოეხდინათ. ფაბრიკა-ქარხნებში ბევრ ადგილას ვერ გაატარეს მენშევიკებმა, რადგან ჩვენი ორგანიზაცია დიდ წინააღმდეგობას უწევდა. ზოგან გაატარეს, მაერამ არა დიდის უმრავლესობით. მიუხედავად ამისა მუშათა უმრავლესობამ, რადგან ისინი მენშევიკების გავლენის ქვეშ იყვენ, მიიღო მონაწილეობა სამხედრო სამრეწველო კომიტეტებში, მაგრამ არავითარი როლი მუშათა წარმომადგენლებს აქ აღარ უთამაშიათ. რაღაც მკვდარი დაწესებულება გამოდგა. ამიტომ მენშევიკებმა თავისი ტაქტიკით სახელი გაიტეხეს მუშებში.

მიუხედავად საშინელი რეპრესიებისა ჩვენი ორგანიზაცია მუშაობას განაგრძობდა არალეგალურად: ახდენდა ფართო კრებებს სახელოსნოებში, ფაბრიკებში, ქარხნებში და სხვა. ეს ხანა საუკეთესო ხანად ჩაითვლება ჩვენი ორგანიზაციის მუშაობაში ტფილისში. ამ დროს მუშაობამ ბევრი ჩვენი ამხანაგების სულისკვეთება გამოამჟღავნა. ბევრი იყო ისეთი, რომ ახლოს არ გეკარებოდა. სხვადასხვა მიზეზები მოჰყვებოდათ თავის უმოქმედობის გასამართლებლათ. ზოგი დაღლილობას ბრალებდა, ზოგი ცოლშვილს, ზოგი ამბობდა, რომ ორგანიზაციაში პროვოკატორებია და გვეშინიან და სხვა.

ამავარად, 1916 წლის აგვისტომდის ფრიად ენერგიული მუშაობა სწარმოებდა. მჭიდრო კავშირი გვქონდა ბაქოსთან, ქუთაისთან, გურიასთან და სხვა. მხოლოდ ვატყობთ, რომ ხშირად ჩვენს ამხანაგებს, განსაკუთრებით ტფილისის კომიტეტის წევრებს დევნა დაუწყო ჟანდარმების ჯაშუშებმა, გამოედევნენ ხუტუნა შვილს, კინაღამ დაიჭირეს, ზოგიერთების ბინებს სდარაჯობენ; დაიჭირეს ბაგრატა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარიანი და ერთი კიდევ სხვა ამხანაგი, ორჯერ ჩემს ჯვალსაც მიაგნეს—ერთი ქუთაისში წასვლის დროს, მეორე სევასტისთან, რომ ვიყავი. ამან ერთგვარი დაღი დაასვა მუშაობას. საჭირო იყო მუშაობის გეგმა გამოგვეცვალა. უფრო ვიწრო წრეებში დაგვეწყო მუშაობა. თორემ სწორედ ვიწრო წრეშია პროვოკატორი ვაღოდია კოპალეიშვილის სახით. ჩვენ კი ეს, აბა რა ვიცოდით. მხოლოდ ერთხელ გამეელვა თავში აზრმა მისი არა საიმედობის შესახებ და ისიც გავქრით,—რამოდენიმე წამს, მაგრამ არავისთვის არ გამომეხელია, რადგან უსაბუთოდ ძალიან ძნელია და მძიმე ასეთი ხმების გავრცელება. ტფილისის კომიტეტში ამ დროს შედიოდნენ: ალექსი ბენდუქიძე, არუსიაკა, შალიკო ასკურავა, ლადო სუხიშვილი (თუ არ მავიწყდება) მე და სოლოვიანი. გადაეწყვიტეთ დროებით ორი ან სამი კვირით კრებების მოწვევა შეგვეჩერებინა და უფრო არალეგალური ლიტერატურის გავრცელებისთვის მიგვექცია ყურადღება. ზოგიერთი ამხანაგები შეგვეცვალა ახლებით. მე გადამიწყვიტეს დროებით ტფილისიდან გავსულიყავი და სადმე თავი შემეფარებინა. ამ დროს პეტერბურგიდან ს. ქავთარაძე ჩამოვიდა. იმას მივმართეთ ემუშავნა. მივმართეთ ფ. მახარაძეს, რომ მასაც ევლო წრეებში თუ საჭიროება მოითხოვდა. ორივენი დათანხმდნენ. მე დროებით წავედი სამხედრო გზაზე ყაზბეგში რაღაც საქმე გავიჩინე. ერთი თვე ყაზბეგში და კავკავში გავატარე. დავბრუნდი ტფილისში 18 აგვისტოს 1916 წელში. ვერსად ვერ ვიშოვნე საცხოვრებლად საიმედო ბინა. იყო ერთი ბინა, მაგრამ შორს და კრების შემდეგ შემეზარა წასვლა. ამიტომ მოვედი ღამის გასათევად ამბ. შ ასკურავასთან ყვირილას ქუჩაზე № 10. ის იყო გავიხადეთ და დასაწოლად გავემზადე, შემოვიდნენ ჟანდარმები, გამოირკვა, რომ ჟანდარმერიას გადაეწყვიტა ჩვენი ორგანიზაციის ლიკვიდაცია, როდესაც ეს უკანასკნელი ფრიად გაჩაღებულ მუშაობას ეწეოდა.

უნდა დაეჭირათ 15—20 კაცი მოწინავე მუშაკები. ყველანი ერთ ღამეს უნდა დაეჭირათ. ამათ შორის თურმე შ. ასკურავაზედაც იყო ორდერი გამოწერილი. მოვიდნენ მის დასაჭერად და მასთან ერთად „ყოველ შემთხვევისათვის“ მეც წამიყვანეს. როდესაც ჟანდარმერიაში მიმიყვანეს, იქ მაშინვე მიცნეს. დიდი სიხარული გამოიწვია ჟანდარმთა ბანაკში ჩემმა ბადეში ჯამმამ. ჟანდარმერიაში დამიხვდნენ: არუსიაკა, ჯაგაირა, სანდუქტა (სამივე კამოს დები) სევასტი თალაკვაძე. მოსე თალაკვაძე (ეს შემთხვევით აყო დაჭერილი), ს. ქავთარაძე, ვალიკო ჯუღელი, თედორე კალანდაძე და სხვები. მთელი სამი წლის არქივი არალეგალური უპოვეს არუსიაკა ტერ-პეტროსოვის (ცინცაძეს). მე შეუთვალე არუსიაკას, რომ ყველაფერი ჩემთვის გადმოგბრალებინათ, რადგან ჩემთვის სულ ერთი იყო, რადგან მაინც მო-

მელოდა ციმბირიდან გამოქცევის გამო. მეც ყველაფერი თავის თავზე ავიღე, მხოლოდ ძნელი დარჩა არუსიაკას დაჯერება იმაში, რომ საჭიროა ჩემზე გადმობრალება ორგანიზაციის ხელ-მძღვანელობის. მთელი არქივის პატრონათ ჩემი თავი გამოვაცხადე. ქანდარმები, რასაკვირველია, არსებითად არ იჯერებდნენ, მაგრამ ფორმალურად სასაჭართლოსთვის მნიშვნელობა ჰქონდა ამას. დანარჩენებისთვის არაფერი არ უნახავთ. 6 თვის ციხეში ჯდომის შემდეგ მე და არუსიაკა მიგვცეს სამხედრო სასამართლოში, რადგან სამხედრო წესები იყო იმ დროს, დანარჩენები მგონი ციმბირში გადაასახლეს ყველა, გარდა კამოს ერთი დისა, რომელიც გაუშვეს (სანდუხტა), მაგრამ არც იმათი გადასახლება და არც ჩვენი გასამართლება მთავრობას აღარ დასცალდა: 1917 წლის პირველმა რევოლიუციამ ციხიდან გაგვანთავისუფლა. 4 მარტს საღამოს ჩვენ ორივე ციხიდან გამოგვიშვეს.

საღამოს ექვს საათზე დანიშნული იყო მუშათა დეპუტატების საბჭოს კრება.

(შემდეგი იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. თოდრია

ალიონიდან გათენებამდე.

პირადი მოგონებანი*).

1915 წლის ზაფხულში ჩამოვედი პეტროგრადიდან საქართველოში, სადაც 1902 წლიდან მოკიდებული მხოლოთ რამდენჯერმე ვიყავი მოკლე ხნობით. ეს ზაფხული სოფელში, გურიაში გავატარე.

მსოფლიო ომის მსვლელობა ვითარდებოდა და თანდათან მკაცრ ხასიათს ღებულობდა. „ყველაფერი ომისათვის". —იყო ლოზუნგი მთავრობის წრეებიდან მოკიდებული ლიბერალურ საზოგადოებამდე. სოციალისტურ პარტიების ზოგი ჯგუფებიც იზიარებდენ ამ ლოზუნგს— თუ მთლიანათ არა, ნაწილობრივ მაინც.

საქართველოში კი ომის შესახებ იმ თავითვე თავისებური შეხედულება არსებობდა, რომელიც შემუშავებული იყო მენშევიკურ ინტელიგენტურ ზედა წრეებში და ჩანერგილი ჭვენა ფენების გონებაში. ეს თავისებურობა გამოიხატებოდა შემდეგში: იმ დროს, როდესაც სულით და გულით მომხრე იყვნენ რუსეთის ოსმალეთზე გამარჯვებისა, არამც და არამც არ სურდათ იმავე რუსეთის გერმანიაზე გამარჯვება. პირიქით, აშკარათ გამოსჩვიოდა ბეჭდვითი და ზეპირ სიტყვიერებაში გერმანიის რუსეთზე გამარჯვების სურვილი. ჩონგურ-გიტარაზე ამღერებდა ახალგაზრდობა: „გერმანია მოჩორავს" და სხვა ამგვარ ლექსებს. თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ოსმალეთი და გერმანია მოკავშირეები იყვნენ და ერთად იბრძოდენ რუსეთის წინააღმდეგ,—ზემოხსენებული შეხედულება ომზე ყოველივე ლოღიკას მოკლებული იყო. ომში გერმანია თამაშობდა პირველ როლს, და თუ ის გაიმარჯვებდა, ამით მისი ბოკავშირე ოსმალეთიც გამარჯვებული იქნებოდა. მაგრამ ჩვენებური მენშევიკები ამჯობინებდენ, რომ ოსმალეთს გერმანიის ხელით მიეღო გამარჯვების ნაყოფი და არა კავკასიის ფრონტზე—ისე რომ, საქართველოს არავითარი ვნება არ მოსულოდა მისგან. რა თქმა უნდა, ეს შეხედულობა გაეცნობილი იყო კუთხური ინტერესებით, მაგრამ მენშევიკები სხვანაირ საფეხელში ხვევდენ მას. თავის ულოღიკობის გასამართლებლათ ისინი ამბობდენ, რომ რუსეთის ოსმალეთზე გამარჯვება ნიშნავს უმა-

*) იხ. „რევ. მატ." № 1 (6).

ღლესი კულტურის უმდაბლესზე გამარჯვებას და გერმანიის რუსეთზე გამარჯვება აგრეთვე უმაღლესი კულტურის უმდაბლესზეო, რაც არ იყო სინამდვილეს მოკლებული, მაგრამ უმთავრესი ულოღიკობა მაინც შეურყეველი რჩებოდა.

მხოლოდ ნოე ჟორდანია გამოვიდა სხვა ქვეყნების სოციალისტ-თავდამცველებსავით თავისი ქვეყნის, ე. ი. რუსეთის სრული გამარჯვების მომხმარეთ და წერილი დაბეჭდა მენშევიკურ ლეგალურ გაზეთში, სადაც იცავდა ამ აზრს, მაგრამ ვერ მოიპოვა მიმდევრები და საქმე იქამდის მივიდა, რომ წერილის დაბოლოება აღარც კი დაიბეჭდა გაზეთში. ნ. ჟორდანიას წერილის არ დაბეჭდვა—ეს ხომ მიწიერ ღმერთის გმობა იყო, მაგრამ პირველების ულოღიკობა უფრო ძლიერი გამოდგა მეორისაზე!..

აღმოჩნდა ერთი ჯგუფი, რომელიც რუსეთის დამარცხების მომხრე იყო ოსმალეთის მიერაც კი. ეს ჯგუფი შესდგებოდა ფეოდალიზმის და ბატონყმობის მოტრფიალე თავად-აზნაურობისაგან, მარა ის მეტათ სუსტი იყო და არავითარი თანაგრძნობა არ ჰქონდა ხალხის ფენებში.

ზაფხულში სოფელში ორი-სამი თვის განმავლობაში მე არავინ მინახავს ბოლშევიკურათ მოაზრე, არამც თუ ომის შესახებ, არამედ საზოგადოდ, თუმცა ამბანათ უკვე საკმაოდ გამორკვეული იყო ბოლშევიკების დამარცხებითი თვალსაზრისი. არსებობდა თუ არა ბოლშევიკური ცალკე ორგანიზაცია თავისი უჯრედებით ამ დროს გურიაში,—არ ვიცი. ერთხელ დავესწარი უჯრედის კრებას, მარა ის მენშევიკური იყო. ამ უჯრედის სხდომაზე ირჩევდა ერთი ფრიად საყურადღებო საკითხი: რუსეთის ჯარი ამ დროს ღრმათ იყო შეჭრილი ოსმალეთის საზღვრებში. ჯარს უკან მოჰყვებოდენ გურია-სამეგრელოდან სოფლის ახალგაზრდობა სხვა და სხვა სამუშაოზე. მათ დაიწყეს მოტანა და გზავნა სოფელში ისეთი ნივთების, რომლებიც ეკუთვნოდათ ჯარის მიერ დაკავებულ აჭარის და ლაზისტანის მცხოვრებლებს. ამ ნივთებს ან თვითონ სტაცებდენ დარბეულ მცხოვრებლებს, ან და ჯარის კაცებიდან ყიდულობდენ მუქთა ფასებში. ამ გარემოებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ქართულ პრესაში, რადგან საქმე ეხებოდა გამაჰმადიანებულ ქართველებს—აჭარლებს და ლაზებს. ამის შემდეგ მართლაც შეწყდა მოტანებულ ნივთების მოტანა გურიაში.

ჯერ კიდევ 1911 წლის ზაფხულზე სოფელში ყოფნის დროს კავშირი გავაბი ერკეთის სოფლის მწერალ ჩხეიძესთან, რომელმაც სილ. ჯიბლაძისთვის მომცა ორ მანეთად ვიღაც ფირანე ბოლქვაძის სახელზე ბილეთი. ამ ბილეთით სილ. ჯიბლაძე ცხოვრობდა პეტროგრადში უცნებლად სამს წელიწადს ეხლა სილ. ჯიბლაძეს აღარ ესაჭიროებოდა ეს ბილეთი, რადგან თავის გვარით სცხოვრობდა თბილის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში. ამიტომ მე გამოვართვი იმავე ჩხიკვაძეს ამ ბოლქვაძეს სახელზე ახალი ბილეთი და შემოდგომაზე გავსწერე ისევ პეტროგრადისკენ. თბილისში გამოსვლის დროს მირჩიეს ზოგმა ამხანაგებმა აქ დარჩენა, მეც დავიჯერე ეს რჩევა და დავრჩი თბილისში. აქ დავიწყე მუშაობა შეფის მოადგილის სტამბაში გაზეთ „Кавказ“-ზე, რომელიც საწყობ მანქანაზე იწყობოდა. ორი თუ სამი თვე ვიმუშავე ამ გაზეთზე და ვერაფერი მადლიერი ვიყავი თბილისში დარჩენისა, რადგან 1900—2 წლიდან „ზავი ჰლვის მოაბების“ შემდეგ არ შემხვედრია ასეთ შავრაზმელ გაზეთზე მუშაობა.

ამ შავრაზმულ გაზეთში ბეჭდავდა ფელეტონებს დღეს ქართველ მწერალთა შორის ცნობილი გრ. რობაქიძე „კავკასიელის“ ფსევდონიმით. შინაარსი ამ ფელეტონების ახლა არ მაგონდება, მაგრამ კარგათ მახსოვს, თუ რა ბრაზი მომდიოდა გულზე, როდესაც მათ ვაწყობდი...

თბილისი ამ დროს წარმოადგენდა სამხედრო ფრონტის შორეულ ზურგს, სადაც დაგროვილი იყო აუარებელი ომის დაბზმარე ცოცხალი და სხვა მასალები. ომის დროს გაზეთების ტირაჟი საზოგადოთ ყოველთვის იზრდება. მენშევიკური ლეგალური გაზეთ „თანამედროვე აზრის“ ტირაჟიც იმდენად იყო აწეული, რომ ყოველიე ხარჯებს ფარავდა და საკუთარი სტამბის შეძენის საშუალებასაც იძლეოდა. მენშევიკებმა შეიძინეს საკუთარი სტამბა და ამ სტამბის გამგეთ სილ. ჯიბლაძის რეკომენდაციით ბიწვეული ვიყავი მე. სილ. ჯიბლაძე და მე, გარდა ნათესაობისა—დიდის ძის შვილები—პირადათაც დიდი მეგობრები ვიყავით პეტროგრადში სამი წლის ერთად ცხოვრების შემდეგ 1910—1903 წლებში. მას ძალიან სურდა ჩემი გამენშევიკება და ალბათ ამ მოსაზრებითვე მიმიწვია მათი სტამბის გამგეთ, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ პარტიის წევრებიც ბევრი მოიძებნებოდა, რომელიც ჩემზე არა ნაკლებ გაუძღვებოდა სტამბას.

ვანო ბოლქვაძის საშუალებით გავეცანი ბოლშევიკურ ჯგუფს, რაც ძალიან სუსტი იყო მაშინ თბილისში;—რაც იყო, ისიც ნაკლებ აქტივობას იჩენდა. ახალნაწიფო ათათბიროს ჩვენი ფრაქციის წევრი მალინოვსკის პროვოკატორობის გამოაშკარავების შემდეგ ძალიან უნდობლობა იყო ერთმანეთის და ურჩევდებს თავის მოყოს ძნელდებოდა. იმ ურჩევდში, რომელშიაც მე ვიპოვებოდი, შემოდგომა რამდენიმე ლატში ბალტიის მხრიდან. ისინი ნაწილების შემოსვლის შემდეგ ბალტიის მხარეში, გადმოხვწილ იყვნენ იქიდან. ერთხელ სალამოს უნდა შევკრებილიყვით ბრეშანის ბინაზე. სადღაც დავითის გორას ქვეშ. ყოველივე წინასწარ სიფრთხილის დაცვით, შევიკრიბეთ კიდევაც და ის იყო ხმის უნდა გაგვეხსნა, რომ მოვარდა ერთი ამხანაგი ლატიში, რომელიც ჰიშკართან დარაჯად იყო დაყენებული

და დაფეთებულმა მოგვაძახა:—არიქა, უშველეთ თავს, ჟანდარმები მოდიანო! გამოვცვივდით გარედ და მოვედით აღმართ-აღმართს უგზო უკვლოდ. შემდეგ გამოირკვა, რომ არავითარი ჟანდარმები არ ყოფილან არსად იმ არეზე, მაგრამ ამ შემთხვევამ მაინც ეჭვი დაბადა ჩვენში,—პროვოკატორობომ არავინ გვირევიაო. იჭვის ამძვრელი გარემოება კიდევ ის იყო, რომ უჯრედი შესდგებოდა სხვა და სხვა ეროვნების და მოსული პირებისაგან, რომლებსაც პირადათ ვერ ვიცნობდით დაახლოვებით.

მენშევიკური ორგანიზაციის უპირატესობა, მაგრამ იმავე დროს უდიდესი ნაკლი ის იყო, რომ მისი უჯრედები შესდგებოდენ ადგილობრივ მკვიდრთაგან და ერთი მეორეს ნაცნობ-მეგობრებისაგან. მათი ნაციონალური და ჩვენი ინტერნაციონალური თვისებები მაშინაც ადვილი დასანახი იყო ამ თითქოს უმნიშვნელო მოვლენაში.

გარდა ამისა, მენშევიკები, როგორც ლეგალური ორგანიზაციის მომხრენი, უფრო ღიათ მოქმედებდენ და თავიანთ მუშაობას ათავსებდენ ცენზურისა და პოლიციის ზედამხედველობის ფარგლებში. მუშჩანურ და წვრილ-ბურჟუაზიულ წრეებში ფართედ ქონდათ გადგმული ფესვები. ჩვენ-კი მუშა-პროლეტარულ წრეში ვიყავით მოქცეულნი და რადგან ეს უკანასკნელი არც ისე მრავალრიცხოვანი იყო ამიტომ ჩვენი ჯგუფიც არ შეადგენდა თვალსაჩინო რიცხვს. ვერც, რაიმე მოქმედების უნარს ვიჩენდით ამ დროს.

საზოგადოდ საქართველოში 1916 წელს ძალიან ნაკლები რევოლიუციონური სული ტრიალებდა. იმ დროს, როდესაც 1917 წლის დასაწყისში პეტროგრადში რევოლიუციონური ტალღები სულ უფრო და უფრო მძლავრად ბობოქრობდენ, ჩვენში არავინ არ ფიქრობდა, თუ ამ ტალღების მეცხრე შეხეთქება ასე ახლოს იყო. ამიტომ თითქმის ორ დღეს არავის არ სჯეროდა სინამდვილე იმ დეპეშისა, რომელიც მოსკოვიდან გოგიტა ფაღავამ,—იმ ფაღავამ, რომელიც შემდეგ სხვა მენშევიკების ხელმძღვანელებთან ერთად ინტერპარტიულ ცენტრში გადაბარგდა და ჩოლოყაშვილის ბანდების საშუალებით გვებრძოდა, რისთვისაც ეხლა „ჩეკას“ კედლებში იმყოფება,—გამოგზავნა გადატრიალების შესახებ. „მთავრობაძე მოკვდა,—შეატყობინეთ ნათესავთ და ნაცნობებს“-ო,—იწერებოდა ის იმ დეპეშაში. მაგრამ, რაც არ გვჯეროდა ჩვენ, კარგად ჰქონდათ გაგებული მთავრობის აქაურ წრეებში და მათი დაღერემილი სახეები ცხადყოფდენ იმას, რომ მათი საქმე ვერ იყო კარგათ.

სტამბის გამგეობის გამო მე დაახლოებული ვიყავი მენშევიკების ხელმძღვანელ წრეებთან და ამიტომ გადატრიალების პირველ დღეებში საშფალება მქონდა თვალყური მედევნებინა მათი სულიერი განწყობილებისთვის და ზოგი ნაბიჯებისთვის. მეტად ფრთხილი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუბედავი იყო ეს ნაბიჯები. მე დამჭირდა შებრძოლება, რომ გაზეთის გვერდები ცენზორთან აღარ გაგეგზავნა. აგრეთვე ცენზორ კაკაბაძესთან მომიხდა ლაპარაკი, როდესაც ის თითონ მოვიდა სტამბაში და მოინდომა მასალის გადახედვა.

ნოე ჟორდანია ამ დროს ლანჩხუთში იყო. გამოუძახეს დეპეშით. ჩამოვიდა და სილ. ჯიბლაძის ბინაზე შეუდგა გაზეთისთვის ლოზუნგების შედგენას. ამ დროს შემთხვევით მეც იქ ვიყავი. როცა წაგვიკითხა ლოზუნგები, მე ერთ მათგანს შენიშვნა მივეცი. „მოითხოვეთ დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსება“,—მომართავდა ლოზუნგი მუშებს. მე უთხარი, რომ ეს მოთხოვნილება ცოტა ნაგვიანევი არის, რადგან ფაქტიურად დემოკრატიული რესპუბლიკა უკვე არსებობს მეთქი.

„არიქა, ხო, გამოჭკარი ბოლშევიკური კვანტიო“ – სიცილით მითხრა სილიბისტრომ. არც სხვა ლოზუნგები მომდიოდენ ჭკუაში, მარა ამის შემდეგ აღარა მეთქმოდა, რადგან მომახსენეს, რომ ისინი მენშევიკებისთვის იწერებოდენ.

სამწუხაროდ, რიცხვების დამახსოვრებაში სუსტი ვარ და ამიტომ აღარ მახსოვს, თუ პეტროგრადში მომხდარ გადატრიალების ერამდენე დღეზე იყვნენ მიწველი მეფის მოადგილესთან ნ. ჟორდანია და ნ. რამიშვილი, რომლებმაც მიიღეს მისი ლოცვა-კურთხევა სამოქალაქო ძალაუფლების ხელში აღებაზე და უვნებლად გაისტუმრეს ის პეტროგრადში საგანგებო მატარებლით, იმის მაგიერ, რომ მეტეხში გაეგზავნებიათ, რისთვისაც საკმაო ძალა და შესაძლებლობა უკვე იყო რევოლიუციის მხარეზე.

არ მახსოვს აგრეთვე იმ დღის რიცხვი, თუ როდის შესდგა ვაკეში ის გრანდიოზული დემონსტრაცია, რომელზედაც მთელმა ტფილისის მცხოვრებლებმა მოიყარეს თითქმის თავი თავისუფლების სადღესასწაულოდ.

გადატრიალების პირველ ხანებში ჩვენ, ბოლშევიკებს, არავითარი ცალკე მოქმედება არ გამოგვიჩენია და სტიქიურად ყველაფერს მენშევიკებთან ერთად ვაკეთებდით, თითქოს ჩვენი ორგანიზაცია მთელი რუსეთის მასშტაბით ცალკე არც კი არსებობდა.

თებერვალის გადატრიალების რამდენიმე დღის შემდეგ მე ავათ გავხდი და ლოგინად ჩავწექი, რის გამოც არ დავსწრებივარ ჩვენ, ბოლშევიკების, პირველ სხდომას, რომელიც შემდგარიყო სახალხო სახლის ოთახში და რომლის შესახებ ამბავი მომიტანა ჩემმა ცოლმა. აგრეთვე არ მიმღია მონაწილეობა გაზ. „Кавказский Рабочий“-ს გამოსვლის მოწყობაში.

როცა ავდექი ლოგინიდან, უკვე ჩამოყალიბებული იყო განსაკუთრებული ჩვენი ბოლშევიკური ჯგუფი. რუსული გაზეთი აღარ იყო

მიჩნეული საქმაოდ და დაიბადა აზრი ქართული გაზეთის გამოცემის შესახებ. მე, როგორც სტამბის გამგემ, მოვინდომე გაზეთის ჩემს მიერ განაგებ სტამბაში დაბეჭდვა, მაგრამ ამაზე მენშევიკებისაგან ციცი ყარი მივიღე. ამის გამო მიეატოვე მენშევიკების სტამბის გამგებლობა და შევუდექი „ბრძოლისა"-თვის სტამბის ძებნას. ეს არც ადვილი საქმე იყო, რადგან ჩვენსა და მენშევიკებს შორის დამოკიდებულობა თანდათან მწვავდებოდა, ძალა-უფლება კი მათ ხელში იყო, ჩვენ საქმაო საღსარიც არ მოგვეპოებოდა გაზეთის გამოსაცემად.

მივმართეთ ისევ კომბინაციებს. მალაქია ტოროშელიძე მსახურობდა კოოპერატივთა კავშირში. მისი ხელმძღვანელობით გამოდიოდა კოოპერატიული ორკვირეული ჟურნალი, რომელიც იბეჭდებოდა ჩემ მიერ განაგებ მენშევიკების სტამბაში. როცა მივატოვე სტამბის გამგეობა, ეს ჟურნალი გადავატანე მალაქიას ხაჩატუროვის სტამბაში, სადაც ქართული ასოები არ იყო. შევაძენე ასოები კოოპერატივის ხარჯზე, აგრეთვე სხვა ზოგი მასალები, რაც საჭირო იყო ჟურნალის გამოსაცემად; ჩავარიცხვინე ჟურნალის ასოთ-ამწყობად ჩემი თავი, ვანო ბოლქვაძე და ლადო დუმბაძე. ამნაირად, კოოპერატიულ ჟურნალთან ერთად შეუდექით გაზ. „ბრძოლის" გამოცემასაც, რომელიც თითქმის ამ ჟურნალის ხარჯზე გამოდიოდა. მატერიალური მდგომარეობა ჩვენი უნუგეშო იყო. მუშებში იკრიბებოდა შემოწირულებანი გაზეთის სასარგებლოდ, თან იხ ამხანაგები, რომლებიც სადმე მსახურობდენ, თავიანთ ჯამაგირს ანახევრებდენ და ამით ფარავდენ გაზეთის ხარჯებს.

ერთხელ მენშევიკების გაზეთმა „ერთობამ" დაგვცინა, რომ „ბოლშევიკები აცოდვილებენ ყოველკვირეულ გაზეთ „ბრძოლასო". ეს დაცინვა სიმართლეს შეეფერებოდა. მართლაც რომ „ეაცოდვილებდით" გაზეთის გამოცემას. ერთი ჭირი მარგებელიაო,—ატყვიან. ჩემთვის გაზეთის გამოშვების ასეთი „ცოდვილი" სასარგებლო აღმოჩნდა. როდესაც გაზეთის მასალა არ გვყოფნოდა, მეც ძალას ვატანდი ჩემს თავს, რომ რამე დამეწერა. თურმე იუმორის ცოტაოდენი ნიჭი იყო ჩემში დაფარული, რომელსაც აქნობამდე ვერც კი ვამჩნევდი. მხოლოდ 1906 წელში მოსკოვში. ბუტირკის ციხეში რამდენიმე ამხანაგთან ერთად გამოვეცით იუმორისტული ციხის ჟურნალი და მაშინ მეუბნებოდენ, რომ შენ იუმორი გეტყობაო. მანამდე მხოლოდ ოთხი პროკლამაცია და ერთი პატარა სურათი „ეალი" მქონდა დაწერილი. პროკლამაციები ბათუმში და ბაქოში დაბეჭდა, „ეალი" კი არ დაბეჭდა 1900 წელში „ჯეჯილმა". ამნაირად „ბრძოლის" ცოდვილმა" ხელახლა მომაკიდებია კალამზე ხელი.

რუსული გაზეთი „Кавказский Рабочий"-ს საქმე უფრო კარგად მიდიოდა, რადგან მას ჯარის ნაწილებში ქონდა გასაყიდი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი ტიპაჟი „ბრძოლისაზე“ უფრო მეტი იყო. ის თავის ხარჯებსაც ფარავდა და ცოტას „ბრძოლასაც“ ეხმარებოდა.

მთელი ჩვენი მუშაობა გამოიხატებოდა ამ ორი გაზეთის გარშემო ბალშევიკური ელემენტების თავის მოყრაში და მათი საშვალებით ბალშევიზმის იდეის გავრცელებაში. პრაქტიკული ნაბიჯი ძალა-უფლებისკენ მხოლოდ ქალაქის გამგეობის არჩევნებში გადავდგით და გავიყვანეთ შვიდი ხმისანი. საბჭოებში სტიქიურად მოჰყვენ ჩვენი ამხანაგები და იქ ჩამოყალიბდენ, თუმცა ძალიან უმცირესობას შეადგენდით. ჯარისკაცთა შორის იყო უფრო მეტი ჩვენი გავლენა და ამიტომ ჯარის აღმასკომში, რომელიც ცალკე არსებობდა მუშათა საბჭოს აღმასკომიდან, მეტი ძალები მოგვეპოებოდა. რაიმე კანონიერად არჩეული პარტიული ცენტრი არ გვქონდა. იყო ვიწრო ჯგუფი ხელმძღვანელების, რომელიც ბუნებრივათ ითვლებოდა ცენტრალურ ორგანოდ. ამ ჯგუფში შედიოდენ: ფ. მახარაძე, მიხა ცხაკაია, სერგო ქავთარაძე, მალ. ტოროშელიძე, თ. კალანდაძე, ამ. ნაზარეტიანი, კასიანი, ხანოიანი, დან. შავერდოვი, რ. კალაძე, არაქელა, გ. ჩხეიძე, ლადო დუმბაძე, ვანო ბოლქვაძე, ს. თალაკვაძე, მე და კიდევ რამდენიმე სხვები, რომელთაც ვერ ვიგონებ ეხლა. სამხედრო აღმასკომში თამაშობდა როლს კუზნეცოვი. კ. ცინცაძე ბაქოში იყო. იქვე იყვნენ ალ. ჯაფარიძე და შაუმიანი.

ჩვენი მდგომარეობა თანდათან უმჯობესდებოდა და თავს ვუყრიდით გაზეთების გარშემო უფრო მეტ ფართე ფენებს მუშების, სალდათების და გლეხების წრეებიდან, მარა ივლისის დღეებმა პეტროგრადში აქაც იპოვეს გამოძახილი და მეტის-მეტად ცუდ დღეში ჩავცვინდით. შავრაზმელების საზიზღარ ხმებს აქაური მენშევიკებმა და ესებიც გამოეხმაურენ. „ერთობა“-მ დასწერა მოწინავე, რომელშიაც გამოსძახვამდა ორპოფიან აზრს, ვითომდა ლენინის გერმანელების მიერ მოყიდულობაზე. სულიერი განწყობილება შეიცვალა ჩვენს წინააღმდეგ ყოველთვის ჩვენი მომხრე ალექსანდრეს ბაღის მიტინგელებისაც კი. დიდი შრომა და თავგანწირვა დასჭირდათ ზოგ ამხანაგებს. მათ შორის უფრო თ. კალანდაძეს და ბოგდანოვს (ბაქოელ 26 კომისრებს შორის დახვრეტილი იქნა ესერების და ინგლისელების მიერ), რომ ამ მიტინგების კეთილგახწყობილება დაებრუნებია ჩვენი პარტიისთვის.

მეტის-მეტად ცუდი იყო ჩვენი მდგომარეობა იმ სტამბაშიც კი, სადაც „ბრძოლა“ და „Кавк. Раб.“ იბეჭდებოდა თვით ასოთამწყობებიც კი მტრული თვალით გვიყურებდენ. ჩვენ საქმეზე ერთიორად თხოულობდენ ხელფასს. „თქვენ ნემცების ფულები გაქვთ ხოლმე და რას ზოგავთო“,—გვეუბნებოდენ და ეს იმ დროს, როდესაც გაზეთისთვის ქალაღდის საყიდელი ფულიც კი არ გაგვაჩნდა.

მაშინ ჩვენს წინააღმდეგ ასე მტრულად განწყობილი მუშების ნაწილი ეხლა ჩვენს პარტიაშიაც კი შემოდიან და პირდაპირ ვერც კი შემოუხედავთ შეხვედრის დროს!..

მაგრამ ეს მტრული განწყობილება თან და თან განელდა და ისე დაგვიბრუნდა მასის თანაგრძნობა, განსაკუთრებით ჯარის ნაწილებში. მხოლოდ საერთო ჯარისგან გამოყოფილი ეროვნული ნაწილები არ იყვენ კეთილ-განწყობილი ჩვენდამი.

ომის წინააღმდეგ ჩვენს ქადაგებას ჯარში არ მოუხდენია ისეთი გახრწნა, როგორიც მოახდინა ამ ეროვნული ნაწილების გამოყოფამ. ისინი მოხსნილ იქვენ ფრონტიდან და თავიანთ ეროვნულ ტერიტორიაზე შინაურ წესრიგის დამცველ სამსახურს ეწეოდენ. ამან გამოიწვია უკმაყოფილება რუსეთის ჯარში. „ჩვენ ვიცავთ თქვენი ქვეყნების სამზღვრებს ოსმალეთიდან და თქვენ კი გვეშლებით მხარიდან და სახლში მირბიხართო",—ეუბნებოდენ ისინი ამ ეროვნულ ნაწილებს. მათი მიხედვით რუსეთის ჯარის ნაწილებმაც იწყეს მოხსნა და გამგზავრება სამშობლოსაკენ. ბრალი კი ჯარის ფრონტიდან მოხსნაში მთლიანად ჩვენ, ბალშევიკებს, გვედებოდა.

სექტემბრის ბოლო რიცხვებში შეიკრიბა ჩვენი ადგილობრივი ორგანიზაციების საერთო კონფერენცია ტფილისში და სხვა და სხვა საკითხების გარჩევის შემდეგ აირჩია საოლქო კომიტეტი.

საოლქო კომიტეტის არჩევის შემდეგ არ გასულა ორიოდე კვირა, რომ პეტერბურგში მოხდა გადატრიალება და ძალა-უფლება ბალშევიკების ხელში გადავიდა. საოლქო კომიტეტმა ვერც კი მოასწრო ასეთ მოკლე ხანში ადგილებთან კავშირის დაჭერა, ამიტომ მან ვერავითარი უნარი ვერ გამოიჩინა პეტროგრადის გადატრიალების მხარის დაჭერაში.

მენშევიკებმა კი ჯერ კიდევ მარტში თვით მეფის მოადგილის ხელიდან მიიღეს სამოქალაქო ძალა-უფლება. დროებით მთავრობის მიერ დანიშნული საგანგებო კომისრები: ჩხენკელი, ხარლამოვი და კიდევ ერთი, რომლის გვარი აღარ მახსოვს, არც კი სჩანდენ პოლიტიკურ ასპარეზზე.

მოხდა თუ არა პეტროგრადში გადატრიალება, მენშევიკები, დაშნაკცები, მუსავატისტები და ესერები საოცარი ერთსულოვნებით გაერთიანდენ და იმავე დღეს გამოატანეს ამ გადატრიალების საწინააღმდეგო რეზოლიუციები ჯარისკაცების და მუშათა საბჭოებს. შეიკრიბა აგრეთვე თათბირი საოლქო მთავრობის შედგენის შესახებ. ბალშევიკებს გარდა ყველა პარტიები ღებულობდენ მონაწილეობას ამ თათბირში. და აი, 15 ნოემბერს, ძველი რიცხვით, ე. ი. პეტერბურგში მომხდარ გადატრიალების ოცი დღის შემდეგ მენშევიკებიდან მოკიდებული უკანასკნელ მემარჯვენე ჯგუფებამდე ერთსულოვ-

ნად გაერთიანდენ ბალშევიკური მთავრობის საწინააღმდეგოდ და გამოაცხადეს დამოუკიდებელი ამიერ-კავკასიის კომისარიატის შექმნა.

ამ დღიდან იწყება დაუზოგველი ბრძოლა ერთი მხრით ბალშევიკებსა და მეორე მხრით გაერთიანებულ ყველა პარტიებს შორის მენშევიკების ხელმძღვანელობით.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. ვადაჭკორია

ლადო კეცხოველი.

(მოგონება)

მე ამ ხანად მინდა მხოლოდ პატარა მოგონება ვუძღვნა ჩემი მასწავლებელის ლადოს ხსოვნას.

ლადო კეცხოველი ახოვანი ტანისა იყო, ღონიერი და მაგარი აგებულებისა. შეხედულება მრისხანე კაცისა ჰქონდა, თუმცა მეტად გულნობიერი და სათუთი გულის პატრონი იყო. შუბლი ფართო და მაღალი ჰქონდა და ცოტათი წინ წამოწეული. დიდი თმა, მაღლა ავარცხნილი და უწესრიგოდ შუბლზე გადმოშვებული და თავის ნებაზე გაშვებული წვერ-ულვაში მას მართლა მრისხანე სახეს აძლევდა.

ტანთსაცმელს ლადო ყურადღებას ნაკლებად აქცევდა; ამაზე ხრუნვისთვის მას არ ეცალა, ამიტომ ხშირად ნახავდით მას დაგლეჯილ პიჯაკსა და ფეხსაცმელში.

ლადო გავიჯანი გაზეთ „ცნობის ფურცლის“ (ვ. გუნიას რედაქტორობით გამოდიოდა) რედაქციაში, როგორც მახსოვს, 1897 წელს. იგი თანამშრომლობდა ხსენებულ გაზეთში, მე კი, ვმუშაობდი, როგორც ასოთ-ამწყობი.

ლადომ პირველ შეხედვისთანავე მიიქცია ჩემი ყურადღება, თითონაც კარგად შემხედა და მაშინვე დამიწყო საუბარი და გამოკითხვა. ამავე გაზეთში თანამშრომლობდა სევერიანე ჯუღელი. მასთან დაახლოვებული ვიყავი და აღბად ლადოს მისგან ექნებოდა გაგონილი ჩემი ვინაობა. მას უნდოდა სტამბის მუშებთან დაახლოება, რომ მათი დახმარებით მოეწყო არალეგალური ლიტერატურის ბეჭდვის საქმე.

ამის შემდეგ ლადოს ხშირად ვხვდებოდი, ძალიანაც დავმეგობრდით, თუმცა მე ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვიყავი (17 წლისა), იგი კი 28—29 წლისა იქნებოდა. ბევრს მელაპარაკებოდა მუშათა მოძრაობაზე, სოციალისტობაზე და სხვა, მაგრამ რადგან მაშინ ასეთი ქადაგება თითქმის ახალი ხილი იყო, არც ასე ადვილად შედიოდა თავში. თან მთხოვა შემედგინა წერა ახალგაზრდა ამხანაგებისაგან, რაც შევასრულე კიდეც.

რადგან ლადოს არ ეხერხებოდა წერაში მეცადინეობა, ჩვენთან მეცადინეობდა სევერიანე ჯუღელი, ლადო უფრო „საეთერაკო-

საქმეებისაკენ მიისწრაფოდა—უნდოდა არალეგალური სტამბის მოწყობა და ამუშავება, რასაც წინ მრავალგვარი დაბრკოლება ეღობებოდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ლადომ მოახერხა ექვთიმე ხელაძის სტამბაში გამგედ დადგომა. რა თქმა უნდა, მას სტამბის საქმეები არ ადარდებდა, მას ჰქონდა თავისი მიზნები და უნდოდა ესარგებლა გარემოებით და რამდენიმე არალეგალური ბროშიურა გამოეშვა. მან ეგ შესძლო კიდეც.

ხსენებულ სტამბაში ამ დროს მუშაობდა ორი ახალგაზრდა ასოთა-ამწყობი: ვასო ურუშაძე და პაველ აბრამიშვილი. უმთავრესად ეს ორი ახალგაზრდა ეხმარებოდა ლადოს, თუმცა შორი-ახლო მუშაობას სხვებიც ეწეოდნენ. საქმე ამ მხრით უკვე დაწყებული იყო, როცა მე ამ სტამბაში მივედი სამუშაოდ.

სტამბის პატრონისაგან მეტად დიდი ნდობა დაიმსახურა ლადომ, ხოლო რას მიეწერება ეს მოვლენა, კარგად არ ვიცი: შიშსაც რომ ჰქონდა ადგილი, ეს კი იყო შენიშნული.

ლადო მუდამ მოლუშული და ჩაფიქრებული იყო. ისე ღრმად წავიდოდა ხანდახან ფიქრებში, რომ ვერც კი ამჩნევდა, რა ხდებოდა მის გარშემო. ერთ დღეს, დივანში ჩამჯდარს, ფეხები კანტორის საწერ მაგიდაზე დაეწყო და ფიქრებს ისე გაეტაცა, რომ სტამბის პატრონის შემოსვლა ვერც კი გაეგო. სტამბის პატრონს არ ესიამოვნა ასეთი სურათის ნახვა, მაგრამ რადგან თითონ ვერ გაუბედა რისამე თქმა, ერთი მომუშავეთაგანი მიუკვანა და შეუთვალა—კანტორაში ასე ჯდომა არ შეიძლებაო.

ხშირი იყო ასეთი შემთხვევაც: ჩაფიქრებულს ხელში მოხვდებოდა სამ, ხუთ ან ათ მანეთიანი: დაუწყებდა სრესას და რამდენიმე ხნის განმავლობაში ნამეცხეცებად აქცევდა და გადაჰყრიდა ხოლმე, შემდეგში კი ძებნას დაუწყებდა—ფული დამეკარგაო.

სტამბის პატრონს ჩვეულებად ჰქონდა—შემოვიდოდა თუ არა სტამბაში, მანქანასთან მივიდოდა და დახედავდა, თუ რა იბეჭდებოდა. ეს ლადომ უკვე იცოდა და როცა არალეგალურ ბროშიურას ბეჭდავდენ, მანქანას არ შორდებოდა.

ერთ დღეს მოდის მანქანასთან სტამბის პატრონი და კითხულობს: რა იბეჭდებაო. ამ დროს ლადოც იქვე დგას და აწრდება სულ სხვა ფურცლებს ქაღალდისას და თან ბეჯითად და დამარწმუნებლად ეუბნება—აი ეს იბეჭდებაო. ძალიან კარგიო, ამბობს სტამბის პატრონი და მიდის უკან, თითქოს მართლაც საიმისო არაფერი ყოფილიყოს...

ლადო კეცხოველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი საეკვო და ენატანია ასოთ-ამწყობი გვყავდა. ლადოს ნამეტანი ჯავრი მოსდიოდა მასზე და არ იცოდა, რა მოეხერხებია მისთვის. ერთ დღეს დილით ეს ასოთამწყობი ჩივის—თავის კანი მეწვის და თმებიც დაგლეჯილი მაქვსო. მას ღვინის სმა უყვარდა და ხშირად გადამეტებულადაც, გრძნობასაც ჭკარგავდა ხოლმე და აღარ ახსოვდა არაფერი. სწორედ წინა ღამით ლადო შეეჩეხა თურმე მას ასეთ მდგომარეობაში ხიდზე და კინაღამ მტკვარში გადააგდო. შემცოდვა და ისევ თმით ვათრიე კარგა მანძილზეო,—გაგვანდო ლადომ საიდუმლო. ამის შემდეგ ჩვენთვის ცხადი იყო, თუ რა იყო მიზეზი იმ ასოთ-ამწყობის თავის კანის ტკივილისა.

—

ლადოს ეანდარმერიის აგენტები უკვე კარგა ხნიდანვე ადევნებდენ თვალყურს. 1900 წლის დასაწყისს ის იძულებული იყო გასცლოდა სტამბას. იმ ხნის განმავლობაში, რაც ხსენებულ სტამბის გამგედ იყო, მან მოახერხა, ბეჭდვას გარდა, გაეტანა არა-ლეგალურ სტამბისათვის საჭირო მასალა.

—

შემდეგში ლადოს ისე ხშირად ვეღარ ვხედებოდი. მნახულობდა მხოლოდ მაშინ, როცა მას დასჭირდებოდა არა-ლეგალურ სტამბისათვის შრიფტი, ან ასოთ-ამწყობი და ან რაიმე სხვა მასალა. განსაკუთრებით ეს 1901 წლის დასაწყისში იყო, როცა იგი შეუდგა ბაქოში სტამბის მოწყობას და ქართული „ბრძოლის“ გამოცემას.

—

ეანდარმერიის ყურადღება მე 1900 წლიდან დავიმსახურე და აგენტებიც ამედევნენ. ეანდარმერიაშიაც ხშირად მიბარებდენ, ჩვენებას მართმევდენ და ხანს რას მაბრალებდენ და ხან რას. პირველად 1903 წლის ივლისში დამიჭირეს და ჩამსვეს მეტეხის ციხის ძველი შენობის მესამე სართულზე ცალკე საკანში. მიყვანისთანავე მეზობელ საკნიდან ვიღაც მეკითხება—ვინა ხარო. მე არ ვიყავ გამოცდილი და რადგან არ ვიცოდი ვინ იყო შემკითხველი, ვუპასუხე,—ჯერ თქვენ გამაგებინეთ თქვენი ვინაობა-თქო. მან ხმა-მაღლა დამიძახა—ლადო კეცხოველი ვარო. ამის შემდეგ მეც გავაგებინე ჩემი ვინაობა და სანამ ყველაფერი დაწვრილებით არ გამომკითხა, აღარ მომეშვა. როგორც ახლად მახეში გაბმული, მაინცა და მაინც კარგ გუნებაზე ვერ ვიყავი, მაგრამ მაინც ვუამბე ყველაფერი, რაც ვიცოდი და რისთვისაც ვიყავ დაჭერილი. იგი ყურადღებით მისმენდა, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო ჩვენს პირობებში და ბოლოს მეკითხება,—მართლა დაცოლშვილდით შენ და ეს და ეს პირიო? ჰო-თქო, რომ უპასუხე, შემომძახა,—შეგარცხვინათ ღმერთმა, რევოლიუციონერობა და ოჯახი

შეიძლება განაო? და შესწყვიტა კიდეც ჩემთან საუბარი, რა თქმა უნდა, დროებით.

—

ამ დროს ციხის ფანჯრებს მტკვრის მხრით ფიცრები ჰქონდა აფარებული და იყო მოთხოვნილი, რომ ჩამოეხსნათ, წინააღმდეგ შემთხვევაში თითონ პატიმრები ჩამოგლეჯდენ მას. იყო სხვა მოთხოვნილებაც, რომელთა შეუსრულებლობისთვის პატიმრები იმუქრებოდენ შიმშილის გამოცხადებით და სხ. ციხის ადმინისტრაციამ ფიცრები ჩამოხსნა, სხვა მოთხოვნილების შესრულებას კი არ აპირებდა. რადგან ნაწილი უკვე შეასრულა ადმინისტრაციამ, საკითხი ხელ-ახლა უნდა დასმულიყო პატიმრებში. ლადომ არ მოისურვა დაცდა და გამოაცხადა შიმშილი, საშველი უკანვე გადმოისროლა და თან დაუწყო მტერება ყველაფერს, რაც საკანში მოიპოვებოდა და გაბრაზებული საშინელის ხმით ყვიროდა. ციხის ადმინისტრაცია ფეხზე დადგა. დაამშვიდებლად მისულ ციხის უფროსს ლადომ მიაფთხა და ლანძღავდა. ლადოს დაწყნარება კარგა ხანს არ მოხერხდა. შემდეგ იგი კარცერში ჩასვეს შვიდი დღით. პატიმრებშიაც დიდი ალიაქოთი გამოიწვია ამ გარემოებამ,—მოითხოვეს პროკურორი, გააცნეს ყველაფერი და მოსთხოვეს. ლადო კარცელიდან გამოშვება, რაც დაკმაყოფილებული იქნა, მაგრამ თვითონ ლადომ აღარ ისურვა ჯადის გათავებამდე კარცერიდან გამოსვლა.

—

ლადოს ბაქოში უპოვნეს არალეგალური სტამბა, სადაც იბეჭდებოდა არალეგალური ლიტერატურა. საქმე ცხადი იყო, საბუთები ნაღდი... როცა ვინმე ახალშობული შეეკითხებოდა—რაზე ხარ დაპერილიო, ლადო ყველას დაწვრილებით უამბობდა—ბაქოში სტამბა მქონდა, ამდენი ცალი და ამდენი ფუთი ლიტერატურა დავამზადეო და სხ. და სხ.

—

კარცერიდან განთავისუფლების შემდეგ ლადო მეორე სართულში მოათავსეს, ჩემზე დაშორებით და ამიტომ ისე ადვილად ველარ ვსაუბრობდით. მისი ხმა მაინც მუდმივ მესმოდა ხან რომელ ამხანაგს ესაუბრებოდა და ხან რომელს, ისიც მეტად ხმა მაღლა, რაც, რა თქმა უნდა, აკრძალული იყო. ხანდახან ჯარისკაცსაც აუტეხდა ჩხუბს, თუ ის დაუშლიდა ლაპარაკს.

—

მე ჩქარა დავაბწიე მაშინ თავი ციხეს. როცა კანცელიარიიდან ქარებს მაცილებდენ, ამ დროს ლადო მოჰყავდა ორ მხლებელს სადგომოფოს შენობიდან, ეკიმთან უნდა ყოფილიყო. იგი მაშინვე ჩემსკენ გამოეშურა და გამარჯობის თქმით გადამეხვია. მხლებლები ჰირღია

დარჩენ, ისე უცბად მოხდა ჩვენი შეხვედრა და გამომშვიდობება. აბა რას წარმოვიდგენდი, რომ სამუდამოდ ვშორდებოდი ჩემს მასწავლებელს, მედგარ და თავდადებულ რევოლიუციონერს?

ერთი კვირა, მგონი, არც კი გასულა, რომ ლადოს დაუდგრომელი გული განგმირა უვიცი ჯარისკაცის ტყვიამ.

ლადოს მოკვლის ამბავი მაშინვე გავიგეთ და მივაშურეთ კიდეც მეტეხის ციხეს, მაგრამ რაღა იქნებოდა, რას ვუშველიდით ამ საშინელ უბედურებას!

ციხეს ჯარი ერტყა გარშემო. ლადოს გაცივებული გვამის ნახვაც აღარ მოხერხდა. იგი ღამით ჩუმად და მალულად მიაბარეს მიწას. მისი აღმოჩენა იმ ხანად ვერ შესძლეს. რამდენადაც მე ვიცი, დღესაც არ უნდა იყოს აღმოჩენილი ლადოს საფლავი...

13 აპრილი, 1924 წ.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. ჭ.

ამხ. კამო.

(ერევნის მოედანზე მომხდარი ექსპროპრიაცია).

1907 წლის ივნისის 13-ს ერევნის მოედანზე (ტფილისში) ამხ. კამოს მიერ მოწყობილი ექსპროპრიაცია ისეთი თვალსაჩინო რევოლუციონური აქტია, რომლის მსგავსი იშვიათად ახსოვს არა მარტო რუსეთს, არამედ—ევროპის რევოლიუციონურ მოძრაობას.

ფართო საზოგადოებამ და პარტიულმა წრეებმაც კი ამ აქტის შესახებ მხოლოდ ის იციან, რომ რამოდენიმე ყუმბარის გასროლის შემდეგ გატაცებულ იქნა 250 ათასი მანეთი ხაზინის ფული. დაწვრილებით ამ საქმის შესახებ როგორც ის ჩვენ გვეხატება ეანდარმერიისა და სასამართლოს გამოძიების მიხედვით, არაფერი ვიცით, ამ დოკუმენტებს ჯერ-ჯერობით არავინ შეხებია. ამ ეამად ჩვენი განზრახვაა, დაინტერესებულ პირთ მივაწოდოთ ამ საქმის შესახებ საჭირო მასალები. ეს სტატია იწერება პროკურატურის და ეანდარმერიის საქმეთა, (რომლებიც საქართველოს ცენტრო-არქივში ინახება) და ამ აქტის მონაწილე ცოცხალ პირების მოგონებათა მიხედვით.

სახელმწიფო ბანკის ფულების ექსპროპრიაცია, როცა ის ფოსტიდან ბანკის შენობაში გადაჰქონდათ (ფრეილინის ქუჩაზე) გადაწყვეტილი ჰქონდა ბოლშევიკების ფრაქციას; (ფრაქცია მაშინ რ. ს. დ. მ. პ. ტფილისის ორგანიზაციაში შედიოდა) საქმის სისრულეში მოყვანა მინდობილი ჰქონდა ამხ. კამოს. ამ ჯგუფში შედიოდენ შემდეგი ამხანაგები: კოტე ცინცაძე, ელისო ლომინაძე, ვანო კალანდაძე, ილია ებრალიძე, ილორჯ ჭაჭიაშვილი, თეოფილე ქაკრიაშვილი, დათიკო ჭიაბრიშვილი, ბაჭუა კუპრაშვილი, არკადი ელბაქიძე, სერაპიონ ლომძაძე, აკაკი დალაქიშვილი, ნიკოფორე ცინცაძე, ივანე შიშმანოვი და ვანო ინწკირველი. ჩამოთვლილ ამხანაგთაგან დაიღუპნენ ციხე-კატორღეებში ყველანი, გარდა კოტე ცინცაძისა, სერაპიონ ლომძისა და ბაჭუა კუპრაშვილისა.

ერევნის მოედანზე თავდასხმაში მონაწილეობა ვერ მიიღო ამხ. კოტე ცინცაძემ, რადგან წინა დღეებში მოულოდნელად დაპატიმრებულ იქნა ქუთაისში. საჭირო იყო სწორი ცნობების მიღება ბანკიდან იმის შესახებ, თუ როდის მიიღებდენ ფულს პეტროგრადიდან, როდის გადაიტანდენ ფოსტიდან ბანკში და სხვ. ამიტომ ჯგუფმა



ილ. ჯაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირი გააბა თანამგრძნობ ფოსტის მოხელე გიგო კასრაძესთან და კასრაძეც აძლევდა ყოველგვარ ცნობებს ორგანიზაციის. იმ დღისთვის, როცა თავდასხმა უნდა მომხდარიყო, ამხ. ვანო ინწკირველს დაევალა თვალყურის დევნა, თუ როგორ პირობებში მოხდებოდა ფულის გატანა, რომელ ეტლში იქნებოდა ფულიანი ტომრები, რადგანაც სხვა პაკეტებიც ბევრი იყო, თვალყური უნდა ედევნებია სახელმწიფო ბანკის მოლარე კიურდამიროვისა და მოანგარიშე გოლოვნიასთვის ფოსტა-ტელეგრაფში შესაცავლ კარების პირდაპირ გაჩერებულს. ამ ორ პირს უნდა გადაეტანა ფული, რა თქმა უნდა, დარაჯების თანხლებით სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში. ამხ. ვანოც შეუდგა დაკისრებული მოვალეობის შესრულებას და ყოველგვარ ცნობებს აწვდიდა ერევნის მოედანზე. ამ საქმეში მას შველოდენ ანა სულაქველიძე და ფაცია გალდავა. ერევნის მოედანზე საქმე ისე ჰქონდათ განაწილებული: ფულის გადამტანთათვის გზაში თავდამსხმელთ უნდა მოეწყოთ ორი სერიოზული დაბრკოლება. ვინაიდან ტფილისში მაშინ სამხედრო წესები იყო, ერევნის მოედანზე ცხენოსანი პატრულის სადარაჯო იყო ოთხი ყაზახისაგან შემდგარი; პატრული იდგა ქალაქის თვითმართველობის შესავალთან. მოედანზე მყოფი „გოროდოვოები“ ისე, როგორც მთელს ტფილისშიაც, შეიარაღებულნი იყვნენ თოფებით. ამ მუდმივი მცველების გარდა, რომელთა ჩამოშორება იყო საჭირო, თვით ფულს იცავდა ე ყაზახი, რომლებიც სასროლად მომზადებული თოფებით მიჰყვებოდენ ეტლებს. საჭირო იყო ამათი მოშორებაც.

კამო ოფიცრის ფორმაში გამოწყობილი ამ დროს ველიამინოვის ქუჩის კუთხეში ხაჭარია ხალნოვის ეტლით ელოდებოდა. დანარჩენი ამხანაგების საქმე იყო „კონვოისა“ და ყაზახების „პიკეტისთვის“ ყუმბარების სროლა. ყუმბარები დამზადებული იყო კამოს მიერ მოწყობილ ლაბორატორიაში და წინდაწინ მომარაგებული საიმედო ალაგას. ყუმბარების გადმოზიდვაში ენერგიული მონაწილეობა მიიღო კამოს დამ, არუსიაკამ, მაშინ ჯერ კიდევ 12 წლის გოგონამ. არუსიაკას ყუმბარები და სხვ. გადაჰქონდა კამოს ხელმძღვანელობით თავისი საწოგნეთი და უკეთუ დაიჭერდენ, უნდა ეთქვა, რომ ქუჩაში ვიპოვნე და არ ვიცი რა არისო. თავდამსხმელთა შორის ფუნქციები სასტიკად იყო განაწილებული. ყველამ ზედმიწევნით იცოდა თავისი ადგილი და დანიშნულება. კამო ყუმბარების სროლაში მონაწილეობას არ ღებულობდა და ვიდრე ველიამინოვის ქუჩის კუთხეში ეტლი გაჩერდებოდა, მან რამოდენჯერ აირ-ჩაიარა გავრილოვის მაღაზიის მახლობლად (სოლოლაკის ქუჩის კუთხე) და იქ მდგომი ხალხი გააფრთხილა, ურჩევდა დაშლილიყვნენ, რომ ასე აეცილებია ზედმეტი მსხვერპლი. ყუმბარების მსროლელთა ერთი ნაწილი ყაზახთა „პიკე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტის“ მახლობლად იყო თვითმართველობის შესავალ კარებთან, მეორე ნაწილი, რომელსაც „კონვოი“ უნდა ჩამოეშორებია ფულის ტრანსპორტს მოჰყებოდა გზადაგზა ტროტუარზე შტაბის სამხედრო შენობიდან დაწყებული სალაყაიას საკანდიტეროებდე. ერთი ამხანაგი, რომელიც რევოლვერით იყო შეიარაღებული, როცა დროს იხელთებდა, უნდა შეეყარდნილიყო იმ ეტლზე, რომელშიაც ფული იყო, დაეცლო ხელი ტომრისთვის და გადაეცა კამოსთვის; კამოს კი უნდა წაეღო ფული და საიმედო ალაგას შეენახა. ამაში მას ხელს უწყობდა გარეგნობა—აფიცრის ფორმა. იმ ხანებში აფიცერს თავისუფლად შეეძლო წასვლა-მოსვლა, ქუჩაში მას ხელს ვერავინ ახლებდა. მაგრამ ყუმბარების სროლის ხმამ ისე დააბრუა ეს ამხანაგი, რომ მან ვერ შესძლო დაკისრებული მოვალეობის შესრულება, მაგრამ ყუმბარის მსროლელმა ერთმა ამხანაგთაგანმა მყისვე შენიშნა ეს, დაატანა ხელი ფულიან ტომარას და კამოს მიუხედნინა. ყუმბარების სროლის ხმა მთელს ქალაქში ისმოდა.

მთავრობა დაიბნა. მენშევიკები—ექსისა და ტერორის მოწინააღმდეგენი, უკმაყოფილებას გამოსთქვამდენ.

მაგრამ მიემართოთ თვით ოფიციალურ დოკუმენტებს. აი რას მოახსენებს მეოთხე საპოლიციო უბნის (ახლა მესამე კომისარიატია) ბოქაული 13 ივნისის თარიღით საოლქო სასამართლოს პროკურორს: „დღეს დილის 11½ ს. ხაზინიდან სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში ბანკის მოლარეს და მოანგარიშეს ორი ეტლით გადაჰქონდათ 250 ათასი მანეთი. მათ თან ახლდა კონვოი ხუთი ყაზახი, ორი ჯარისკაცი და ბანკის დარაჯი. ერევნისა და სოლოლაკის ქუჩების მოსახვევში ბოროტ-მოქმედებმა მათ ესროლეს შვიდი ყუმბარა. ისარგებლეს რა არეულ-დარეული, თავდასხმელებმა გაიტაცეს ფული და მიიმალენ. მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი ჯერ გამორკვეული არ არის“. იმავე დღეს საოლქო სასამართლოს პროკურორმა მოახსენა სასამართლო პალატის პროკურორს და იუსტიციის მინისტრს შემდეგი: „დღეს, 11 საათზე, საფოსტო კანტორიდან დაბრუნებულ სახელმწიფო ბანკის მოლარეს—კურდიუმოვს, რომელსაც ფული მიჰქონდა, თავს დაესხნენ, ყუმბარები ესროლეს და წაართვეს 250 ათასი მ. ქაღალდის ფული. ეს არაჩვეულებრივი დანაშაული ასე მოხდა: ხსენებული თანხა ფოსტით იყო გამოგზავნილი პეტერბურგიდან სახელმწიფო ბანკის მიერ ტფილისის განყოფილების განკარგულებაში. ფულის მისაღებად ფოსტაში წავიდა მოლარე კურდიუმოვი. მას თან გაყვენ ბანკის ორი მოსამსახურე გოლოვნია, ქილიაევი და ბანკში მოდარაჯე მე-3 კავკასიის მსროლელთა ბათალიონის 2 ჯარისკაცი. ფოსტაში კურდიუმოვმა მიიღო ორი ტომარა ფული, ბანკის სახელოზაზე მიღებული საფოსტო პაკეტები და ახალციხის ხაზინის მიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოგზავნილი ამანათი, რომელშიაც იყო 9 ათასი მან. ძველი ასიგნაციები. 250 ათასი მან. მოლარემ ჩასდო ტილოს ტომარაში, პაკეტები და ძველი ასიგნაციები - ტყავის ჩანთაში. ზემოხსენებული პირების თანხლებით ამის შემდეგ კურდიუმოვი ფოსტიდან ქუჩაში გამოვიდა, იქირავა იქვე ფოსტასთან ორი ეტლი; პირველ ეტლში ჩააწყო ფულიანი ტომარა და ტყავის ჩანთა. ამავე ეტლში ჩასხდენ კურდიუმოვი და გოლოვნია, მეორე ეტლში—ქალიაევი და 2 ჯარისკაცი. ამის შემდეგ კურდიუმოვი ეცხენოსანი ყაზახის თანხლებით გაემგზავრა ბანკისაკენ. ერევნის მოედანზე, სადაც მრაელად იყრის ხალხი თავს და დარაჯობს ყაზახთა პატრული, „კონვოის" (ყაზახებს) ესროლეს ორი ყუმბარა, რომლებიც გასჭდა დიდის სიძლიერით და დაიჭრენ ყაზახები, მოსამსახურე ქილიაევი, ორივე ჯარისკაცი; თვით კურდიუმოვი და გოლოვნია ეტლიდან ჩამოვარდნენ. ამ დროს ქალაქის თვითმართველობის წინ მდგომი (პატრული) ყაზახები შეეცადენ ცხენებზე შესხდომას და იქით წასვლას, სადაც ყუმბარები გავარდა, მაგრამ აქაც გადაგდებულ იქნა ორი ყუმბარა, რომლითაც დაიჭრა სამი ყაზახი (სულ პატრული ოთხი ყაზახისაგან შესდგებოდა). დაბოლოს, მოედნის ორ ალაგას კიდევ გადაგდებულ იქნა სამი თუ ოთხი ყუმბარა. აფეთქება ისეთი ძლიერი იყო, ისეთმა პანიკამ მოიცო მთელი მოედანი, რომ დამსწრეთაგან ვერავინ შესძლო იმის გამოკვეთა, თუ რამდენი იყო თავდამსხმელი, ან საიდან გაისროლეს ყუმბარები, ან საით მიიმალენ ბოროტმოქმედნი. მაგრამ დამსწრეთა უმრავლესობის ჩვენებიდან ირკვევა, რომ ყუმბარები გადმოგდებულია ქალაქის თვითმართველობის მახლობლად მდებარე სახლების ფანჯრებიდან ან სახურავებიდან *).

ამ სახლებში მოხდენილ ჩხრეკას არავითარი დადებითი შედეგი არ მოჰყოლია. მოედანზე მყოფმა გადარჩენილ სამხედრო პირსა და პოლიციელთაგან მხოლოდ ერთმა ჯარისკაცმა მოასწრო უშედეგო გასროლა, ვინაიდან ვერც ერთმა მათგანმა ვერ მოასწრო ბოროტმოქმედის დანახვა. ფულის გატაცებაც შეუმჩნეველი დარჩა დამსწრეთათვის, მხოლოდ დაჭრილმა მოსამსახურე ქილიაევმა გამოძიების დროს აჩვენა, თუ როგორ დაინახა მან, როცა ეტლთან მივარდა ერთი ახალგაზრდა, დაავლო ხელი ფულიან ტომარს და სადღაც მიიმალა. ყუმბარამ მოჰკლა ერთი ყაზახი და ერთა „გოროდოვოი", დაიჭრა ხუთი ყაზახი და ორივე მეეტლე. ამათ გარდა კერძო პირთაგან მცირე ზიანი მოუვიდა 20-მდე კაცს. მომხდარი აფეთქების შემდეგ ორივე დაზიანებული ეტლი მოედანს მოშორდა და რამდენიმე ხნის შემდეგ იქნა აღმოჩენილი. გამოირკვა, რომ ორივე მეეტლე, როგორც დაჭრილნი, საავადმყოფოში იყვნენ მოთავსებული. ტყავის

*) ფაქტიურად ეს მართალი არ არის, ყუმბარების მსროლელნი ყველანი ქუჩაში იმყოფებოდნენ. დ. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩანთა პაკეტებითა და ძველი ფულებით აღმოაჩნდა მეეტლეს ბინაზე. და რადგანაც ის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენდა, ხელი არავის ეხლო მისთვის. ეს გარემოება იმის მაჩვენებელია, რომ ბოროტმომქმედთ სწორე ცნობები ჰქონიათ ბანკიდან გადასატანი ფულების შესახებ და თვით მოლარისათვისაც უდევნებიათ თვალყური, თუ როგორ მოათავსებდა ის ეტლში ფულსა და პაკეტებს. საერთოდ ბოროტმომქმედთა მუშაობა აშკარად ამტკიცებს, რომ მათ წინასწარ სცოდნიათ პეტერბურგიდან როდის მოვიდოდა ტფილისში ფული და ასე წინასწარ მოაწყვეს ფულის გატაცება. ეს იმითაც მტკიცდება, რომ რამდენიმე დღით ადრე, ფულის გატაცებამდე ქალაქში ლაპარაკობდენ, თუმცა გარკვეული არა, მაგრამ დაჟინებით, რომ 13 ივნისს უნდა მოხდეს რაღაც დიდი თავდასხმაო. ბანკის განყოფილების მმართველს ბეზობრაზოვს გადაჰკრილი ცნობები ჰქონდა, რომ ბანკს დაესხმიან თავსო. ამის შესახებ ბეზობრაზოვმა კიდეც განუცხადა კავკასიის პოლიციის ნაწილის საგანგებო განყოფილების უფროსს პოლკოვნიკ ბაბუშკინს; ამ უკანასკნელმა დამშვიდა ის და დაარწმუნა, რომ ეს ხმები უსაფუძვლოა, რომ მას არ მოეპოვება ამის შესახებ აგენტურის არავითარი ცნობები. ეჭვით პოლიციამ შეიპყრო რამდენიმე პირი როგორც მონაწილენი, მაგრამ არავითარი საბუთი არ არის იმის დასამტკიცებელი, რომ ისინი მონაწილეობას ღებულობდენ. კვლევა-ძიება გრძელდება".

თუ როგორ სწარმოებდა „ძიება", ამას ჩვენ შემდეგში დაეინახავთ. იმ დროს, როდესაც მთელმა ქალაქმა იცოდა, რომ ექსპროპრიაცია ამხ. კამოს მიერ იყო მოწყობილი, მხოლოდ პოლიცია და სასამართლოს უწყება იყო დაბნეული, იჭერდა ვინც ხელში მოხვდებოდა.

13 ივნისს ამ საქმის წინასწარი გამოძიება მიენდო საგანგებო საქმეთა გამომძიებელს მალინოვსკის. 14 ივნისს ბატონრებენ ახალგაზრდა ადა მეეტეოვსკაიას ქალს, რომელსაც ყუმბარების სროლის დროს ნერვები აშლოდა, საკომენდატო სამმართველოში მისულიყო და ეთქვა, თითქოს ერთი ყუმბარა მას ესროლოს ერევნის მოედანზე. ყველაფერი ამტკიცებდა, რომ ეს ქალი შერყეული იყო, აშკარად სჩანდა მისი ავადმყოფობა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მალინოვსკიმ ის მაინც დაპატიმრა და ეს შემლილი ქალი მეტეხის ციხეში გაგზავნა. ექიმების მიერ შემოწმების შემდეგ მეეტეოვსკის ქალი ციხიდან, მართალია, გაანთავისუფლეს რამდენიმე დღის შემდეგ, მაგრამ გამომძიებელს ამით მაინც თითქოს საბუთი ეძლეოდა, რომ ის მუშაობს, რომ უკვე ზოგიერთი მონაწილენი შეპყრობილია და სხ.

აქ ზედმეტი არ იქნება მოვიყვანოთ ზოგიერთი ადგილები სასამართლოს ბრალმდებელის მოხსენებიდან იუსტიციის მინისტრისად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მი. „ივნისის 14-ს საკომენდატოში გამოცხადდა ახალგაზრდა ქალი ადა მეცებოვსკაია და გამომძიებელ მალინოვსკის ჩემი თანადასწრებით განუცხადა, რომ წინა დღით ის ყუმბარების სროლაში მონაწილეობას იღებდა. მას, როგორც ბრალდებულს ჩვენება ჩამოართვეს, მაგრამ ისეთი ულოღიკო და ისეთი არეული, როგორიც შეუძლია მისცეს ჭკუაზე შეშლილმა. ციხეში მიყვანის შემდეგ ის შეამოწმა ექიმმა ფსიქიატორმა ორბელმა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მეცებოვსკაიას ქალი ნერვების აშლის ნიადაგზე ჭკუაზე შემცდარია, ამიტომ ის, როგორც უდანაშაულო, 18 ივნისს ციხიდან გახთავისუფლებული იქნა".

ხუთი დღის წინად კი იგივე პროკურორი იწონებდა გამომძიებელის დადგენილებას მეცებოვსკაიას ქალის ციხეში დამწყვდევის შესახებ.

დაპატიმრება შემდეგშიაც ასე უთავბოლოდ გაგრძელდა. მრეცხავმა ქალმა ან. ვოსტროვამ, რომელიც გამბაროვის სახლში სარეცხს რეცხავდა, აცნობა პოლიციას, რომ მან იცის როგორ ჩამოვიდა პეტერბურგიდან 14 სტუდენტი გამბაროვის შვილთან ერთად, როგორ საეჭვოდ ეჭირა თავი ამ სტუდენტებს, დადიოდენ სახლის სხვენზე და სხ. იმ დღეს, როცა ფული გაიტაცეს, ის გოლოვინის პროსპექტზე მიდიოდა და ყუმბარების აფეთქებისთანავე შეხვდა ხუთს სტუდენტს, რომელნიც ერევნის მოედნიდან გარბოდენ და რომელთაგან 4 პეტერბურგიდან გამბაროვისას ჩამოსულ სტუდენტთაგანი იყო. მეორე დღეს კი, როცა ის გამბაროვისას მივიდა ხსენებული სტუდენტები აღარ უნახავს. მიუხედავად იმისა, რომ მრეცხავი ქალის ეს ჩვენება სიცრუე იყო სასამართლოს გამომძიებელი მეფის მოადგილის ნებართვით ამ ქალს მაძებარი განყოფილების ევტუშკოვის თანხლებით აგზავნის პეტერბურგში და იქ ქუჩაში მისი ჩვენებით აპატიმრებენ 4 სტუდენტს (სრობიონინაცი, ესაეევი, მეხმანდროვი და თ-დი ბებუთოვი). დაპატიმრებულნი ჩამოჰყავთ ტფილისში და აქ ანთავისუფლებენ, როგორც უდანაშაულოთ. ორ მათგანს სრულიად ანთავისუფლებენ, ორს კი ხელწერილს ართმევენ, რომ პეტერბურგიდან არ წავიდნენ უნებართვოდ. ტფილისში ამ საქმეზე შეიპყრეს: ჩიტო სეხნიაშვილი, კვაჭალია ივანე, სულიკოვი ალექსანდრე, ანდრეასოვი მიხეილ, ენუქიძე ალექსანდრე და ნიკოლოზ, კასრაძე ნიკოლოზ და სერგო, ცინცაძე კალისტრატე, ურუშაძე რაჟდენ და ექვსი კიდევ სხვა, რომელნიც ადრე (16 აგვისტოს) გაანთავისუფლეს გარდა ცინცაძისა და ურუშაძისა. ესენი წინანდელი საქმეების გამო გენერალ-გუბერნატორმა გადაასახლა ჩრდილოეთის გუბერნიებში. ასეთ მდგომარეობაში იყო გამოძიების საქმე 1908 წლის დადგომამდე. მთელმა ტფილისმა იცოდა, რომ ექსპროპრიაცია კამოს მოწყობილი იყო, მთავრობა კი ღობე-ყურეს ედებოდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალშევიკების ფრაქციას კამომ დაუტოვა მხოლოდ 15 ათასი მანეთი, დანარჩენი კი წაიღო პეტერბურგში და როცა იქ დახურდავება ძნელი საქმე გახდა, გადაიტანა საზღვარგარეთ. მაგრამ ევროპაშიც ძნელი იყო ფულის დახურდავება, ვინაიდან სახელმწიფო ბანკმა საყოველთაოდ გამოაცხადა ხუთას მანეთიანების ნომრები (სერია AM 062.901 — 063 000 და 063.701 — 063.800 — სულ ორასი ცალი — ასი ათასი მანეთი. ამ ფულების დახურდავება ევროპაში მარცხით დამთავრდა: აი რას ატყობინებს მეფის მოადგილის კანცელარიის საგანგებო განყოფილება 1908 წლის 6 იანვრის თარიღით შიფრიანი დეპეშის საშვალებით პეტერბურგში საგანგებო ჟანდარმთა კორპუსის უფროსს და პოლიციის დეპარტამენტს. „დღეს მიუნხენის პოლიციის დირექტორის დილმანისაგან მიღებულია ორი დეპეშა: 1. დღეს დილით ბავარიის მიუნხენში ვიტებსკელ სტუდენტ ქალს, რომელმაც სთქვა სარა რავიჩი ვარო, სურდა დაეხურდავებია ხუთას მანეთიანი, სერია AM № 063791, რომელიც იმ 250 ათას მანეთს ეკუთვნის, რაც გატაცებულ იქნა ტფილისში 1907 წელს. რავიჩს აქვს პასპორტი ვინმე შეინინისა, მან განაცხადა, რომ ჟენევიდან მოვიდა. ხსენებული ფული უცნობისგან მიიღო. სხვა ჩვენების მოცემაზე უარს აცხადებს. გთხოვთ გვაცნობოთ ვიყოლიოთ დაპატიმრებული რავიჩი თუ არა? 2. ტფილისში მოხდარი ექსპროპრიაციის გამო კიდევ არიან დაპატიმრებულნი: რომელმაც თავს უწოდა ტიგრან ბაგდასარიანცი, სტუდენტი (თაქრიზიდან) და მიგრან ხოჯიმირიან (ზემო აკულისიდან), ესენი პარიჭიდან ჩამოვიდენ. მათ აღმოაჩნდათ 17 ხუთასმანეთიანი გატაცებული ფულიდან (აღნიშნულია №№).

რათა საქმემ არ მიიღოს პოლიტიკური ხასიათი და არ შეიქნას დაბრკოლება დამნაშავეთა გაცემის დროს, ორივე დეპეშა პირდაპირი პასუხის გასაცემად გადაეცა საოლქო სასამართლოს ბრალმდებელს, როგორც საერთო სისხლის სამართლის ხელისუფლებას.

მეორე დღესვე ოლქის სასამართლოს ბრალმდებელი მოახსენებს იუსტიციის მინისტრს: „საგამომძიებლო მასალა მეტად მრავალფეროვანია—უკვე სამ ტომამდე იქნება, მაგრამ ჯერ-ჯერობით არავითარი კვალისთვის არ მიუგნიათ. მასალა წინააღმდეგობით არის სავსე, დამადასტურებელი საბუთები ცოტაა და ამიტომ გამომძიებელს საშუალება არ ჰქონდა ერთ გარკვეულ გზას დასდგომოდა. ამ ჟამად ახალი საკმაოდ საყურადღებო მასალები აღმოჩნდა. აქვე ბრალმდებელი აცნობებს ზემო მოყვანილი მიუხედავად მიღებულ ორი დეპეშის შესახებ. იმავე დღეს ტფილისში მიღებული იქნა პოლიციის დეპარტამენტის შიფრიანი დეპეშა პარიჭში მეერ ვოლოხის დაპატიმრების შესახებ (ეს ვოლოხი ამბ. კამოს საზღვარ გარედ ჰყავდა აგენტად, რომელიც მას

ეროვნული ბიბლიოთეკა

იარაღის შეძენაში შველოდა). ვოლოხს თან აღმოაჩნდა 12 ხუთას მანეთიანი—ერევნის მოედანზე გატაცებული. იმავე ხანებში 500 მანეთიანების გადახურდავების დროს დაპატიმრებულ იქნენ: იაი მასტორი (სტოკჰოლმში), ტიუფეკჩიევი (ბოლგარეთი), კარპინსკი და სტრელოჩნიკოვი (ჟენევაში), ნიკოლოზ სომაშკო (8 იანვარს,—ჟენევაში). რუსეთის სასამართლოსთვის გადაცემის შესახებ აღძრული იყო სათანადო შუამდგომელობა, მაგრამ მეფის მთავრობას ყველგან ერთსულოვანი უარით ხვდებიან დასავლეთ ევროპის სახელმწიფონი. ისინი ექსპროპრიაციას პოლიტიკურ საქმედ სთვლიდენ.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ. ჯ.

მოგონებანი

პლატონ მიქაბერიძე.

ცნობილი ტერორისტი პლატონ მიქაბერიძე 1905 წლის რევოლიუციაში მეტად აქტიურ როლს თამაშობდა. ის იყო სოც.-რევ. პარტიის ქუთაისის ორგანიზაციის წევრი და მიიღო მონაწილეობა მრავალ ტერორისტულ აქტში. მან მოახდინა შემდეგი ტერორისტული აქტები: 1) ზუგდიდის მაზრის უფროს **კეგამოვზე**, 2) გენერალ **ალიხანოვზე** ქუთაისში; 3) პოლიციმეისტერ **მარტინოვზე** ტფილისში და სხვა.

პ. მიქაბერიძე იყო არაჩვეულებრივად მამაცი და მტკიცე ხასიათის ადამიანი. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა (20—25 წლის) ის ახდენდა მეტად სერიოზულ და ურყევი რწმენის ადამიანის შთაბეჭდილებას. გარეგნულ შეხედულებით იყო მაღალი და გამხდარი, იყო ღონიერი და მარდი.

1905 წლის რევოლიუციის პირველ დღეებში ის აქტიურად გამოვიდა და თავზარს სცემდა ქუთაისის პოლიცია-ჟანდარმებს. მის მიერ მოხდენილი ერთი პირველი აქტთაგანი იყო ზუგდიდის მაზრის უფროსზე—კეგამოვზე თავდასხმა და მისი მძიმედ დაჭრა.

კეგამოვი წინად იყო ერევნის ქალაქის თავად, სადაც დაიმსახურა საყოველთაო სიძულვილი. შემდეგ წავიდა პოლიციის სამსახურში და სახელი გაითქვა თავისი გაიძვერობით, პიუროკრატიული უხეშობით და სიჩლუნგით. პირველი რევოლიუციის ხანაში ის მოევლინა ზუგდიდის მაზრას.

როდესაც გენერალი ალიხანოვი ცეცხლითა და მახვილით შეუდგა იმერეთში რევოლიუციის შემუსვრას, კეგამოვი მასთან გამოცხადდა და განუცხადა, რომ ის ერთის დაკერით მოარჯულებს სამეგრელოს და სთხოვა კაზაკების საკმაო რიცხვი და საჭირო უფლებებით აღჭურვა. ალიხანოვმა მყისვე შეასრულა კეგამოვის მოთხოვნილება და გაგზავნა პლასტუნები. ზუგდიდში. ცინიკი კეგამოვი კაზაკების გამოწვევის მიზეზს ასე უხსნიდა მეგრელებს: „Я их вытребовал для обезчещения ваших жен и дочерей. კაზაკები შეუდგენ „წესიერების დამყარებას“ ჯერ ქ. ზუგდიდში და შემდეგ გაეშურნენ სოფლებისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უპირველეს ყოვლისა ეგზეკუცია ესტუმრა სოფელ მუხურს, სადაც ძლიერი იყო გლეხთა მოძრაობა, მამართული თავად დადიანების წინააღმდეგ. ეგზეკუციას წინ მიუძღოდა თვით ბ. კეგამოვი. მთელი სოფელი დარბეულ იქნა, მაღაზიები დალეწეს, სახლები გაძარცვეს. ეგზეკუციამ თავზარი დასცა სოფელს. დედა-კაცებმა თავი შეაფარეს მონასტერს, მაგრამ მათ დაედევნა რაზმი ოფიცრის მეთაურობით, კაზაკები შეიჭრენ მონასტერში და გააუპატიურეს იქ თავშეფარებული ქალები, არ დაინდეს მცირეწლოვანნი და მონაზნებიც კი. სამი დღე გრძელდებოდა ვაკხანალია, ცარცვა-გლეჯა და გაუპატიურება; ერთი მეორეს ცვლიდა.

ამ ბარბაროსობის შემდეგ კეგამოვი თვითკმაყოფილი ასე ახასიათებდა მისი ველურობით შექმნილ მდგომარეობას: «Не далее, как через год и несколько месяцев по деревням Мингрелии будут бегать маленькие казаченки».

აი, ამ „გმირზე“ მიიტანა პ. მიქაბერიძემ სასტიკი იერიში. ქ. ქუთაისში ის თავს დაესხა ეტლით მიმავალ კეგამოვს და რამდენიმეჯერ ესროლა რევოლვერი. კეგამოვი და მისი მცველები მძიმეთ დაიჭრენ, პლატონი არ მოეშვა მათ, ვიდრე კეგამოვი ეტლიდან არ ჩამოვარდა. პ. მიქაბერიძე სოცარის სიმარდით მიიმალა. ქალაქში ატყდა აურ-ზაური, დაიწყო ჩხრეკა და დაპატიმრება, მაგრამ ამაოთ: პოლიციამ ვერ მიაგნო მიქაბერიძის გზა-კვალს....

შემდეგი გმირული საქმე, რომელიც პ. მიქაბერიძემ შეასრულა იყო გენერალ ალიხანოვზე თავდასხმა ქ. ქუთაისში.

გენერალ ალიხანოვმა, როგორც ვიცით, თავს იდვა ცეცხლითა და მახვილით ქუთაისის გუბერნიის განადგურება და მასში რევოლიუციის საბოლოოდ დატუქსვა. მან მთელი გუბერნია, დაწყებული ქუთაისით ცეცხლის ალში გაახვია, დააკანონა გამოუძიებლად და გაუსამართლებლად რევოლიუციონერთა ხოცვა-ჟლეტა, აავსო ციხეები, არ ინდობდა დიდსა და პატარას. ამ მხეცის წინააღმდეგ მიიტანა იერიში პ. მიქაბერიძემ, რა თქმა უნდა, არა თავისი კერძო ინიციატივით, არამედ ორგანიზაციის დავალებით, რომელსაც იმ ხანებში ხელმძღვანელობდენ ვალოდია ოყუჯავა, მ. ჯუღელი, იოსებ ყიფშიძე, ი. გობეჩია, ვ. შავგულიძე და სხვ.

ქუთაისის ეკზალთან მიქაბერიძემ ესროლა ყუმბარა გენერალ ალიხანოვს. ყუმბარა გასქდა საშინელი სიძლიერით. მძიმეთ დაიჭრა ალიხანოვი და მისი რამდენიმე მცველი. ყუმბარამ აიფეთქა აგრეთვე რამდენიმე სახლი. ბევრს, ალბათ, ახსოვს ეს ნანგრევები, რომლებიც წლების განმავლობაში დემონსტრატიულად დაღადებდენ მომხდარ გმირულ რევოლიუციონურ აქტზე. პ. მიქაბერიძე აქაც სრულიად უცნებლად გადარჩა...

მიქაბერიძემ მოაწყო აგრეთვე თავდასხმა ქ. ტფილისში პოლიციმეისტერ მარტინოვზე, რომლის დროსაც დაიღუპა ცნობილი საზოგადო მოღვაწე, სოც. ფედ. პარტიის თვალსაჩინო წევრი, საიავადაზნაურო გიმნაზიის დირექტორი შ. ჩიტაძე.

ამ აქტების შემდეგ ჟანდარმერია—პოლიცია ფეხზე იქნა დაყენებული. ის ყოველ ზომას ხმარობდა, რათა პლ. მიქაბერიძე როგორმე დაეპატიმრებია.

ეს ის დრო იყო, როცა რეაქცია მთელს რუსეთში ძლიერდებოდა. პლატონის მდგომარეობა მეტად ძნელი შეიქნა, დამალვა შეუძლებელი ხდებოდა. ამხანაგებმა მისცეს პლატონს წინადადება საზღვარ გარეთ გასვლის შესახებ, ცოტა ფულიც უშოვეს, მაგრამ პლატონში იმდენათ ძლიერი იყო აქტიური მებრძოლის სული და სურვილი 1905 წლის რევოლიუციის მტარვალზე შურისძიებისა, რომ მან უკუაგდო ეს წინადადება და აქ დარჩენა, არალეგალური ცხოვრება და მუშაობა არჩია. ეს იყო უკვე 1907 წელში. ვინც ამ დროს ქუთაისში ცხოვრობდა და პოლიტიკურ ცხოვრებას თვალყურს ადევნებდა, იცის რამდენათ ძნელი იყო რევოლიუციონური მუშაობა. განსაკუთრებით აუტანელი შეიქნა მდგომარეობა ყოფილ წითელ რაზმელთა და ტერორისტთა. პარტიული ორგანიზაციები საშინელი რეპრესიების წყალობით განადგურებული იყო. აქტიურ მომუშავეთა ნაწილი პოლიციამ დაიპატიმრა და სპყრობილეებში დაამწყვდია, ნაწილი ჩამოახჩრო, ხოლო ვინც ყოველივე ამას გადაურჩა, საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა. ორგანიზაციებს არ ჰქონდათ საშუალება მისთვის საჭირო დახმარება აღმოეჩინათ, რადგან ისინი, როგორც ვთქვით, დაშლილ-დანგრეული იყვნენ. ტერორისტ-წითელ რაზმელნი დარჩენ თავის ძალების ამარა—ხშირად დღიურ ლუკმა პურს მოკლებულნი. აქედან წარმოიშვა სხვადასხვა ჯგუფები, რომელთა მიზანი იყო ექსპროპრიაციები, ძარცვა-გლეჯა და ხშირად შანტაჟიც კი! ყოველივე ეს პლატონს მეტად აწუხებდა, იგი განიცდიდა უკიდურეს ნივთიერ გაჭირვებას, ხშირად მთელი დღეები უჭმელი იყო, მაგრამ ის ყველაფერს იტანდა. პლატონი მეტად სპეტაკი ადამიანი იყო და ხშირად ამბობდა: „ამხანაგების დავალებით სახრჩობელაზე ავალ, მაგრამ შიმშილით რომ მოკვდე ჩემი პირადი საქმისთვის ვერავის შევაწუხებო“.

პლატონი სასტიკად ებრძოდა იმ ჯგუფებს, რომლებიც, თავისთვის „ექსებს“ და სხვა საქმეებს აწყობდნენ.

ბოლოს, როდესაც ქუთაისში დამალვა შეუძლებელი გახდა და თან უკანასკნელი კაპიკიც გამოელია, პლატონი გაეშურა თავის სოფლისაკენ, რათა დროებით მაინც იქ ნაცნობ-ნათესავებში შეეფარებინა თავი. ეს იყო 1907 წლის აგვისტოში. სოფელ ალპანაში პლატონს

ვიღაცამ უკაშაშუშა და მას დაედევნა ბოქაული კვიტაშვილი თავისი სტრაჟნიკებით. პლატონი ქვეითად იყო. მას გზაში შეხვდა ცხენოსანი გლეხი, რომელიც ქალაქისაკენ მიდიოდა. მყისვე ის პლატონმა ცხენიდან ჩამოაგდო და თვითონ მოახტა და გამალებით წინ გაჭენდა. ეს გაიგეს სტრაჟნიკებმაც და გზა გადაუჭრეს, მაშინ პლატონი ცხენიდან ჩამოხტა და ისევ ფეხით იწყო ბილიკებით სირბილი. სამი მხრიდან მას ცხენოსანმა სტრაჟნიკებმა გზა მოუჭრეს, ხოლო მეოთხე მხარეზე იყო რიონი. პლატონი რიონში გადახტა და როცა ის შუა მდინარეში იყო, სტრაჟნიკებმა ესროლეს და ფეხში დასჭრეს. მიუხედავათ ამისა ის მაინც მეორე ნაპირას მივიდა და ბუჩქებში მიიმალა. ბოქაულმა მთელი სოფელი შეყარა და მიქაბერიძეს დაადევნა. დიდი ძებნის შემდეგ მიაკვლიეს იმ ბუჩქს, სადაც პლატონი იყო. სტრაჟნიკები ბუჩქს შემოერტყნენ და ატეხეს სროლა. პლატონმა მიიღო ბრძოლა და მაუხერიდან მისცა პასუხი. სროლა მთელი საათი გრძელდებოდა. სასიკვდილოდ დაიჭრენ ურიადნიკი და რამდენიმე სტრაჟნიკი. ბოლოს პლატონს ტყვია გამოელია, სტრაჟნიკებმა მას ხელი სტაცეს, შეკრეს და ისე ქუთაისის სააგუბერნიო ციხეში წაიყვანეს. პლატონის საქმე გადაეცა სამხედრო სასამართლოს. პოლიციამ იცოდა ვინ იყო პლატონი, მაგრამ მას არ ჰქონდა უტყუარი საბუთები ზემომოყვანილ აქტებში პლატონის როლის შესახებ, ამიტომ მთავრობამ ხელი ჩასჭიდა იმ გარემოებას, რომ პლ. მიქაბერიძემ შეირაღებული წინააღმდეგობა გაუწია მთავრობას სამხედრო წესების არსებობის დროს. პლატონს მოელოდა უეჭველი ჩამოხჩობა. საჭირო იყო დაცვის მოწყობა. ორგანიზაციას არ ჰქონდა ფული, რომ ვექილებისათვის მიეცა, მივმართეთ ქუთაისში ბევრს ვექილს, მაგრამ ყველამ უარი გვითხრა,—საქმე უიმედოა, რა უნდა გავაკეთოთო, ამბობდენ. ნამდვილათ კი უარის მიზეზი იყო ის, რომ მათ იცოდენ ჩვენი ნივთიერი მდგომარეობა, იცოდენ, რომ ჩვენ მათ ფულს ვერ მივსცემდით. ბოლოს ერთს ცნობილ ვექილს კომპატეტის სახელით წერილი მივწერეთ. წერილში მივმართავდით მის მოქალაქობრივ შეგნებას და ვსთხოვდი გამოსულიყო დამცველად. მახსოვს, წერილში „მოქალაქე“ ვუწოდეთ. ეს სიტყვა „მოქალაქე“ ვექილს ძლიერ არ მოსწონებოდა. „კაკაი ია გრაჟდანინო“, ეუბნებოდა ის ჩვენს საერთო ნაცნობებს. წერილის შემდეგ მე და ერთმა ამხანაგმა ის საკუთარ ბინაზე ვინახულეთ, ბევრი ველაპარაკეთ. ბოლოს მან სიტყვა მოგვცა, რომ ამ საქმეში ის დამცველად გამოვიდოდა, თან საბრალმდებლო ოქმიც დაუტოვეთ. ტფილისიდან ჩამოვიდა საოლქო სამხედრო სასამართლოს სესია, რომელიც საქმეების გარჩევას ე. წ. ფოთის უჯარმებში შეუდგა. ჩვენ სრული იმედი გვქონდა, რომ პლატონს სერიოზული დამცველი ეყოლებოდა, ასეც უთვლიდით მას ციხეში.

პლატონის საქმის გარჩევის წინა საღამოს რამდენიმე ამხანაგი ქუთაისის ბულვარში შევხვდით ერთმანეთს. იმ ხანებში ქუთაისის ბულვარში ხშირად წყდებოდა პარტიული საქმეები და საკითხები. ამხანაგები მეტად ცუდ გუნებაზე იყვნენ, ვინაიდან ვიცოდით, რომ პლატონის დახსნა ძნელი იყო, თითქმის შეუძლებელი. ვეკილი იქნება თუ არაო,—იყო შეკითხვა. მე ვუპასუხე, რომ ერთმა ცნობილმა ვეკილმა მისი საქმე აიღო და უეჭველად გამოვა მეთქი. ამხანაგების რჩევით მე და ერთი ამხანაგი წავედით ვეკილის ბინაზე, რათა ერთხელ კიდევ გვეთხოვა მისთვის ამხანაგის დაცვა. მივედით, დიდ ხანს ვრეკეთ, ბოლოს ძლივს კარი გაგვიღეს, ვკითხეთ: ვეკილი სახლში ბრძანდება-თქო. გვიპასუხეს: ვეკილი სახლში არ არის, ის გუშინ ტფილისს წავიდა და ერთი კვირა დააგვიანდებაო. თავზარი დაგვეცა, გავშტერდით, არ ვიცოდით რა გვექნა. დილას საქმე ირჩეოდა, ვისთვის მიგვემართა, შუალამეზე ისიც უფულოდ!.. ეს ამბავი მაშინვე გადავეცით დანარჩენ ამხანაგებს, მათ აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. გადავწყვიტეთ რამენაირად გვეცნობებია პლატონისათვის, რაც დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ კიდეც შევძელით. მეორე დილას პლატონი სასამართლოში არ მოუყვანიათ. როგორც გავიგეთ, მან ავადმყოფობა მოიმიზეზა და მისი საქმე ერთი კვირით გადაიდო. კვლავ შეუდექით ვეკილებთან სიარულს და ხვეწნა-მუდარას, მაგრამ არავინ თანხმდებოდა, ახლა მიზეზად ის მოყავდათ, რომ დრო ცოტა იყო და საქმის გაცნობას ვერ მოვასწრებთო. ბოლოს როგორც იქნა დაგვთანხმდა ვეკილი იასონ ნიჟარაძე, რომელმაც მართლაც პირნათლად შეასრულა თავისი მოჭალაჭობრივი მოვალეობა, საქმის გაცნობას სასწრაფოდ შეუდგა და კიდევაც გამოვიდა სასამართლოში დამცველად პლატონს იცავდა აგრედვე სახაზინო დამცველი საკმაოდ სიმპატიური ახალგაზრდა ვინმე ვისოცკი. სასამართლოში პლატონს ჩინებულად ეჭირა თავი და სასიკვდილო განაჩენს (ჩამოხრჩობას) სრულიად დამშვიდებული შეხვდა.

საჭირო იყო საქმის კასაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში განაჩენი 24 საათში იქნებოდა სისრულეში მოყვანილი.

როგორც კი სიტყვა გაათავა, ბ. ნიჟარაძემ, წავიდა, რადგანაც სხვაგან სასწრაფო საქმე ჰქონდა და აი, აქ დადგა ჩვენთვის კრიტიკული მომენტი. საჭირო იყო კასაციის დასაბუთება, მაგრამ კაცი აღარ იყო დამწერი. მივმართეთ იქ მყოფ ერთს ცნობილ ვეკილს, მას იმ დღეს იქ საქმე ჰქონდა, მგონი კიდეც მოიგო. ვთხოვეთ: გვიშველეთ, კაცს ჩამოხრჩობა გამოუტანეს, თუ კასაცია დროზე არ მოესწრო, განაჩენს 24 საათში მოიყვანენ, მაგრამ ჩვენი მუდარა ამაო გამოდგა, ვეკილმა ცივი უარით გვიპასუხა. დავიღალე, ნერვები ამეშალა, ახლა კიდევ წერა სად შემიძლიანო. არას დროს არ დამა-

ვიწყდება ეს მომენტი. ჩვენს აღშფოთებას მით უფრო არ ჰქონდა საზღვარი, რომ ამ ვექილს დიდ საზოგადო მოღვაწედ და სოციალისტად მოჰქონდა თავი!..

როგორც იქნა კასაცია სახახინო ვექილმა ვისოცკიმ დასწერა. პლატონის საქმის თვალყურის დევნა მიენდო განსვენებულ პროფესორს, მაშინ პეტროვრადის უნივერსიტეტის სტუდენტს იოსებ ყიფშიძეს. პეტერბურგში საქმე დიდ ხანს არ გაჭერებულა, მთელი ნახევარი წელი პლატონი იჯდა ქუთაისის ციხეში სიკვდილით დასჯის მოლოდინში. ეს თვეები საშინელი იყო, ის ყოველ წუთს მოელოდა სახრჩობელაზე აყვანას, მაგრამ პლატონი ვერაფერმა გასტეხა. მტკიცე, ურყევი, სრულის შეგნებით და ვაჟკაცური სიმხნევით უცდიდა ის განაჩენს. დიდი ხნის მოლოდინის შემდეგ ეს უკანასკნელიც მოვიდა.

პლატონს სიკვდილით დასჯა შეუცვალეს სამუდამო კატორღად. მალე ის რუსეთში გადააგზავნეს. პლატონი აქაც არ ისვენებდა, მთელი მისი გულისყური იქითკენ იყო მიმართული, რომ ჯალათებისათვის რამერაირად თავი დაეღწია. პლატონმა კიდეც იხელთა დრო და საკატორღო ციხიდან გაქცევა დააპირა, მაგრამ მას აქ ბედმა უმტყუნა, ნიკოლოზის ჯალათებმა ის ამ გაქცევის დროს ვერაგულად მოჰკლეს. ასე მოუღო ბოლო თვითმპრობელობამ საქართველოს პირველი რევოლიუციის ერთს საუკეთესო წარმომადგენელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ. დავითაშვილი.

მოგონება

დასაწყისი რევოლიუციონური მოძრაობისა საქართველოში.

(გაგრძელება, იხ. „რევ. მატ.“ № 5)

1887 წ. ქართველ შეგნებულ საზოგადოების სურვილით, გადმოსვენებულ იქნა სტავროპოლიდან იქ ადმინისტრატიულის წესით გადასახლებულ და ვერაგულად მოკლულ დიმიტრი ყიფიანის ნეშთი. ამით ქართველ საზოგადოებას უნდოდა გამოეჩინა, ერთის მხრივ, თავისი მხურვალე პატივისცემა მცხოვან მწერალ-მოღვაწისადმი და, მეორე მხრივ, თავისი გულისწყრომა გამოეცხადებინა ექსარხოს პავლესა და მთავარმართებელ დონდუკოვ-კორსაკოვისადმი, რომელთაც ეს ავ-კაცობა ჩაიდინეს. გადაწყვეტილი იყო დ. ყიფიანის ნეშთი დაეკრძალათ მთაწმინდის გორაზე, სადაც განისვენებს რუსეთის დიდებული პოეტის გრიბოედოვის გვამი.

დანიშნულ დღეს ტფილისში თავმოყრილი იყო დეპუტაციები საქართველოს ყოველ კუთხიდან. დეპუტაციები, სამღვდელოება და აუარებელი ხალხი კუბოს ვერის განაპირას მიეგება. იქიდან მოყოლებული ოლას ქუჩა და გოლოვინის პროსპექტი სულ გაჭედილი იყო. რაც კი ტფილისში საუკეთესო ეტლები იყო, თითქმის სულ პროცესიას მოსდევდა. ამისთანა დიდებული პროცესია, რომელსაც ნამდვილი დემონსტრაციის ხასიათი ჰქონდა, ჯერ ტფილისს არ ენახა.

დონდუკოვ-კორსაკოვმა კარგად იცოდა, რას მოასწავებდა ასეთი დასაფლავება მიცვალებულის გვამისა ტფილისში და პროცესიას წინდაწინვე მარშრუტი განუწესა: გოლოვინის პროსპექტიდან, სახელმწიფო თეატრთან ჭავჭავაძის ქუჩაზე უნდა შეეხვია და იქიდან დავითის მთედანზე ასულიყო.

დემონსტრანტები არ დამორჩილდნენ და თეატრს გასცილდნენ. მაგრამ ცოტა იქით პოლიცია გადაეღობა, კრუზენშტერნის ქუჩაზე უნდა შეუხვიათო. დემონსტრანტები კიდევ არ დამორჩილდნენ. იმათ გადაწყვეტილი ჰქონდათ მთავარმართებლის სასახლის წინ გაეტარებინათ კუბო და დონდუკოვ-კორსაკოვისთვის დაენახვებინათ მისი მსხვერპლის სიდიადე და მოზღვავებული ხალხის მწუხარება.

პოლიცია გზას არ აძლევდა, დემონსტრანტები პოლიციის მარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრუტს უარყოფდნენ, შეჩერდა პროცესია. პოლიციმეისტერი და ჟანდარმები—ეტლებსა და ცხენებს დაჰყენებდნენ პროცესიასა და სასახლეს შორის მოსახსენებლად, მაგრამ არც ერთი მხარე არ უთმობდა და საქმეს ბოლო არ ეღებოდა.

მაშინ ალექსანდრე ეპიზკოპოზმა, რომელიც სამღვდელოების სათავეში უდგა, საქმე თვით გადასწყვიტა. მოიწვია მიცვალებულის ქვრივი და ჰკითხა: თქვენ მომიწვიეთ თქვენი მეუღლის დასაკრძალავად და თქვენ უნდა მიბრძანოთ, სად უნდა დაიმარხოს და რა გზით უნდა მივასვენოთ?

— პირდაპირ მიბრძანდით, მამა დავითის ეკლესიაში უნდა მივასვენოთ.

ეპისკოპოსმა უბრძანა სამღვდელოებას,—პირდაპირ წადითო. პროცესია დაიძრა. და შემოსილ სამღვდელოებას პოლიციელებმა ძალმომრეობით წინააღმდეგობა ვერ გაუბედეს. პროცესიამ სასახლის წინ გაიარა, ზოგი წყეული-კრულვას ხმამაღლა იძახდა, მაგრამ მთავარმართებელი არ გამოჩენილა. ამბობდნენ კი, მოფარდულ ფანჯრიდან იყურებოდაო. პროცესია სასახლის ქუჩით სოლოლაკის ქუჩაზე გავიდა და იქიდან ლაბორატორიის ქუჩით მამა-დავითის მოედანს შეუდგა. დაკრძალვის დროს, რა თქმა უნდა, მრავალი მხურვალე სიტყვა წარმოითქვა მოძალადეთა წინააღმდეგ,—ამისთანა შემთხვევაში თავდაჭერილ კაცსაც ენა აეხმაურებს. პროცესია ბინდისას დაიშალა.

ეს იყო პირველი აჯანყება გამოსვლა შეგნებულ ქართველ საზოგადოებისა მტარვალთა წინააღმდეგ. მას შემდეგ თითქმის ყოველი დაკრძალვა ქართველ საზოგადო მოღვაწისა დემონსტრაციის ხასიათს ღებულობდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ქართულმა აზროვნებამ ცალმხრივი, პატრიოტული მიმართულება მიიღო, რეაქციონური მოძრაობა კი, სამწუხაროდ, ჩაჭრა. თითო-ოროლა ნაცნობი, ერთმანეთს რომ შეხვდებოდა შინ თუ გარედ, თავის ახალგაზრდულ მისწრაფებას იგონებდა და უშედეგოდ თავს გააქებდა, თუმცა ზოგი არ ჰკარგავდა რწმენას, რომ ოდესმე სოციალიზმი აუცილებლად უნდა გამეფდეს.

1887—1888 წწ. დაბრუნდნენ სამშობლოში კატორგელები და ადმინისტრატიულის წესით გადასახლებულნი გ. ზდანოვიჩი, ივ. ჯაბადარი, მ. ყიფიანი, ს. ჯორჯაძეილი, ა. ნანეიშვილი და სხვ. მაგრამ იმთავაც ვერ შესძლეს შემოეკრიბათ თავის გარშემო დაჩაქსული რეაქციონური ძალები და თვით ისინიც ამ მხრივ წინანდელ ენერგიას ვეღარ იჩენდნენ.

ახალგაზდობა, სტუდენტობა სულ ჩამოეცალა პოლიტიკას. რამდენადაც წინანდელი სტუდენტობა იგერებდა მთავრობის ზეკაკლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნას, გარეგნულ ფორმაში გამოწყობას, სტუდენტის ქუდისა თუ სხვა რამ ნიშნის ჩამოკონწიალებას, იმდენად ოთხმოციან წლების მეორე ნახევარის სტუდენტობა თითონ ძვრებოდა კოხტად შეკერილ მუნდირში, თუ შეძლება ჰქონდა, თორო ხელთათმანს ატარებდა და ჩინოვნიკურ შამფურს (შპაგა) იკონწიალებდა გვერდზე. ყოველივე გარეგნობას მოჰქონდა და ჰკუა-გონების განვითარებისა და ახალგაზდურ მისწრაფებას დრო აღარა რჩებოდა. ახალგაზდობის ამგვარ დაკნინებამ გაათამამა მთავრობა და სწორედ ამან გააბედვინა უკუღმართობის მოძღვარს, სახალხო განათლების მინისტრს დელიანოვს საისტორიო ცირკულიარები გამოეცა, იმის მაგვარი, რომ გიმნაზიებში დაბალ წოდებისა და „კუხარკის“ შვილები აღარ მიეღოთ. სამშუხაროდ ხანა დადგა, ახალგაზრდობა არავითარ ნუგეშს აღარ იძლეოდა. რეაქციონერი აზროვნება თითქო დიდი ხნით იყო განდევნილი.

ოთხმოციან წლების მეორე ნახევარშიც-კი შუა-ხალხის მდგომარეობა ტუალისში აუტანელი იყო. მოქარავეს სურვილზე იყო დამოკიდებული მოჯამაგირის ყოფნა-არყოფნა. უნდოდა სამუშაოს მისცემდა, უნდოდა დაითხოვდა. ხელფასსაც არ აწესებდა. ამ შემთხვევაში ტფილისის ქალაქის გამგეობა, რომელიც უმთავრესად „სოლოლაკელ მამებისაგან“ შესდგებოდა, გამონაკლისს არ შეადგენდა. მუშაკაცი იმასაც დაჩაგრული ჰყავდა. ამ ნიადაგზე, მახსოვს, ერთმა მომუშავემ, ნესტორ წერეთელმა, ხელით შეურაცყოფა მიაყენა ქალაქის გამგეობის წევრს ჰოპოვს და საშინელი აურზაური გამოიწვია არა მარტო ბურჟუაზიაში, არამედ ლიბერალურ მწერლობაშიც-კი. ამხ. ცერცვაძე სწორედ დაგეშილ ჭოფაკებით დევნილ ნადირს წარმოადგენდა. მასთან მეგობრობა კი არა, ნაცნობობაც სახიფათო იყო, მასთან ერთად უკუღტურო ადამიანად ჩაგთვლიდენ. დევნილ ნადირად დარჩა იგი, ვგონებ, თვით რევოლიუციამდე.

მაშინდელი ხელოსნები ამქრებად იყვნენ დაყოფილნი. ოსტატები განუვითარებელნი იყვნენ, უმრავლესობამ წერა კითხვა არ იცოდა და ქარგალ შეგირდები დამონებული ჰყავდათ. სწორედ ბარბაროსული ექსპლოატაცია სწარმოებდა. შეგირდს უნდა ემსახურნა ოსტატთან მრავალ წლის განმავლობაში და მის ოჯახშიაც შინაური მოსამსახურეც ყოფილიყო. ოსტატი ცუდ-უბრალოდ სცემდა, მუშტითა თუ ჯოხით, ცხვირ-პირს ამტვრევდა და ამით ვითომ ჰკუასა და ხელობას ასწავლიდა. როდესაც მშიერ-მწყურვალი შეგირდი წამოიზრდებოდა, თუ რომ კიდევ შერჩებოდა ცოტაოდენი ადამიანური გონება და მისწრაფება, ოსტატს შეეძლო ქარგალის კანდიდატად ამქრის უსტაბაშისათვის წარედგინა მისი ნამუშევარის ნიმუში. თუ ნიმუში უსტაბაშის გემოვნებას შეეფერებოდა, მაშინ შეგირდი ქარგლად უნდა დაელო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცათ. ჩვეულებრივ, ყოველი ამქარი მაისის განმავლობაში სადმე ბაღში, ქალაქის განაპირას, სამღვთოს მართავდა და მთელი დღე ქეიფობდა. ამ დროს დასალოცავ შეგირდებს წამოაყენებდნენ, ოსტატი ქარგ სილას უთავაზებდა და აკოცებდა; შეგირდი კი ხელზე ეამბორებოდა. დალოცვის წესი ეს იყო. შემდეგ ნაშეგირდალ ქარგალს რამდენიმე წელიწადი ოსტატის სახელოსნოში უნდა ემუშავნა, რომ ოსტატობის ხარისხამდე მიეღწია. ოსტატად დალოცვის წესიც ივივე იყო, იმავ ამქრის სამღვთოზე, ხოლო აქ ოსტატი ქარგალს სილას აღარ აკმევდა. დასალოც ქარგალს ოსტატისთვის რაიმე საოსტატო უნდა ეძღვნა. უძღვნიდ ქარგალს არც ამქრის უსტაბაში გააოსტატებდა. დაულოცველ ქარგალს, ძალიან კარგადაც რომ ჰქონოდა თავის ხელობა შესწავლილი, არ შეეძლო ოსტატად რაიმე საქმე აეღო და შეესრულებინა.

ხელფასი ოსტატისა თუ ქარგლისა და შეტადრე დღიური მუშისა მეტად მცირე იყო. მეცხრამეტე საუკუნის მიწურულშიც-კი, როდესაც შომუშავე ცოტაოდნად მაინც გამოფხიზლდა, ხელფასმა შესამჩნევად ვერ იმატა. მაგ., კალატოზს ეძლეოდა დღეში 1 მან. — 1 მ. 50 კაპ., დურგალს 80 კ.—1 მ. 50 კ. მუშაობა კი გაზაფხულ-ზაფხულის დღეში სწორმოებდა მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე, მთელი 12 საათი. დღიური მუშა იღებდა 30—50 კაპ. დღეში. ამასთანავე უნდა გავიხსენოთ, რომ დურგალ-კალატოზსა და დღიურ მუშას ხშირად გაზაფხულ-ზაფხულში ჰქონდა სამუშაო და ამ დროს იმდენი უნდა ეშოვა, რომ შემოდგომა-ზამთარშიც გამოეკვება ცოლ-შვილი.

ბინის საკითხი არავის აფიქრებდა. მუშა ხალხი თავის ოჯახობით ეყარა რაღაც შორიან-ნესტიან უჯაერო ქოხმახ-სარდაფებში. მეტად გამწვავდა ბინის საკითხი ტფილის-ბაქოს რკინის გზის დასრულების შემდეგ, როდესაც აქაურ სახელოსნოებს მრავალი მომუშავე მოაწყდა. მუშებს არავითარი ერთობა არ ჰქონდათ მაშინ და ყოველი მათგანი განცალკევებული ინტერესებით ცხოვრობდა. ზამკს აზრად მოუვიდა თავისი, ავი თუ კარგი ბინა გაეჩინა სამუშაოს ახლო და თითო-ოროლა ქოხი გაჩნდა რკინის გზის ლიანდაგის იქით ქალაქის უკარგის მიწებზე. წახედვამ სხვებიც წაახალისა, ქოხების რიცხვმა აქა-იქ იმატა. ქალაქის თვითმართველობის აგენტებმა თვალი გაახილეს და მომუშავეთ დევნა დაუწყეს ადმინისტრატიულად და სამართლით ქალაქის მამულის უკანონოდ დასახლების გამო. ბევრი მომუშავეთა ოჯახი ააწიოკეს და ქოხები ააყრევინეს. იმ დროს გაზეთ „ივერიაში“ ვმუშაობდი. რამდენიმე მომუშავე მოიყვანა ჩემთან განსვენებულ მესტამბე გრიგოლ ჩარკვიანმა. განმიმარტეს მათი გაჭირვებული მდგომარეობა, რომ გაზეთით ხმა ამოგვეღო. მე მოვიარე დასახლებული ადგილები და საზარელი სურათები ვნახე. ბევრგან ნან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრეებში ფიქრებით წამოხურულ ქოხმახებში აკვნიანი დედა-კაცები უმწეოდ ისხდნენ და მწარედ სტიროდენ. ბინა ვერსად ეშოვათ და არც ჰქონდათ ღონე ნანგრევების მასალა გადაეზიდნათ, რომელიც მთელი მათი ავლა დიდება იყო. დაზარალებული მომუშავენი მხოლოდ ქართველები და რუსები იყვნენ. „ივერია"-მ ხმა ამოიღო. ქალაქის თვითმართველობას ეუბკიცებდით, რომ ქალაქის განაპირების გაშენება ბევრად სასარგებლოა, არამც თუ მუშებისათვის, რომლებიც სუფთა ჰაერით მაინც ისუნთქავდნენ, არამედ თვით მოქალაქეთა და ქალაქის სალაროსათვისაც: საწყალი ხალხი ქალაქს გარედ გაიხიზნებოდა და ქალაქის ეზო-ქუჩებს აღარ გააბინძურებდა; ამას გარდა ქალაქის უსარგებლო მიწები გაშენდებოდა და თანდათან შემოსავლიც წყაროდ გადაიქცეოდა. „ივერია" ურჩევდა ქალაქის მოღვაწეებს დაეგეგმათ ქალაქის განაპირა მიწები და თუ უფასოდ არა, მცირე იჯარით მაინც გაეცათ ნუშა-ხელოსნებისათვის. ქალაქის თვითმართველობამ არ შეიმჩნია და შეუბრალებელ დენას განაგრძობდა. ქალაქის მოღვაწენი პირადად სამდურავსაც კი უთვლიდენ „ივერია"-ს, რომ ქალაქის თვითმართველობის წინააღმდეგ ხმა ამოიღო, როდესაც ამ დაწესებულებას მთავრობა უმთისოდაც ალმაცერად უყურებდა. აღსანიშნავია, რომ იმ დროის რუსული ლიბერალური გაზეთები ხმა გაკმედილები იყვნენ და ამ საკითხის შესახებ კრინტი არ ამოუღიათ. საკითხი გამწვავდა, მუშა-ხალხმა დიდი ენერგია გამოიჩინა. ახალშენმა კი არ იკლო, თანდათან ფართოვდებოდა: დღისით დაქცეული ქოხი, მეორე დილით ისევ აღდგენილი იყო. ქალაქის თავმა იზმაილოვმა, წინად ლიბერალ-მწერალმა, ბევრი იბრაზა და ბოლოს იმით დამშვიდდა, რომ ახალშენი „ნახალოვკა"-დ მონათლა. „ივერია"-მ იმით ფაქსუბა, რომ იმავე ახალშენს ქართული სახელი გამოუნახა „ნაძალადევი", ე. ი. ძალით მოპოვებული. ბოლოს ქალაქის თვითმართველობა იძულებული იყო საქმე სხვაგვარად მოეწყო: დაგეგმა განაპირა ადგილები და იჯარით გასცა იმ პირობით, რომ დასახლებულებს შესძლებოდათ დაქერილ მიწების შესყიდვა და საფასური თანდათანობით გადაეხადათ. როგორც ვიცით, ახალშენი მალე მუშათა უბნად და შემდეგ მთელ ქალაქად გადაიქცა, რომელმაც რევოლიუციონურ მოძრაობის დროს თავი ისახელა, ფუმცა მრავალი მწარე დღეც იწვნია.*)

1888 წ. წელს ალექსანდე III-ის ამიერ-კავკასიაში გამოსვირნება განიზრახა. მეფის მოგზაურობა, რასაკვირველია, დიდის სიფრთხი-

*) როდესაც ქალაქის მოურავი იზმაილოვი გარდაიცვალა, „ნაძალადევის ზოგიერთი მუშებმა ქალაქის თვითმართველობას მიმართეს წინადადებით, „განსვენებულის ღვაწლის აღსანიშნავად, ნაძალადევისთვის „იზმაილოვკა" ეწოდებინათ. ეს წინადადება, რა თქმა უნდა, ირონია იყო და ქალაქის მოღვაწეებმა უარყყეს.

ზ. დ.

ლით იყო მოწყობილი. სადაც ის მიბრძანდებოდა, აქ საეკვო ელემენტების ხსენებაც არ უნდა ყოფილიყო. ტფილისშიც პოლიცია დაფაცურდა, დახელოვნებული საიდუმლო აგენტები დაიბარა პეტერბურგიდან და საეკვო პირების სიაც შეადგინა, ვითომ ყველანი ისეთ ადგილებში გადაესახლებინა, სადაც იმპერატორი მიბრძანებას არ ინებებდა და თვალყურის დევნაც ადვილი იყო. გადასასახლებელთა სიაში მეც მოვყევ. შემართე გუბერნატორს თ. ჭერაშიძეს, მასთან შუაძველის პოვნა ქართველებისთვის ადვილი იყო. მე არ შემიძლიან-რაო — მიპასუხა. მივმართე მთავარმართებელს. გუბერატორს შევეკითხებიო. წამოვედი ი'ივე გუბერნატორთან, აუხსენ ჩემი ოჯახური მდგომარეობა. იმან მითხრა, ქალაქის პოლიციმეისტერს გადაეცემ, შენ წადი და სთხოვე დამარწმუნოს, რომ შენი აქ დატოვება შესაძლებელიაო, ხოლო არ უთხრა, რომ მე მიგგზავნეო. პოლიციმეისტერად როსინსკი იყო, გამოქნილი პოლიკაი, რომელმაც პუშკინის სკვერი გააშენა და შემდეგ ძეგლის დადგმაც მოახერხა. პოლიციმეისტერი დათანხმდა და მართლაც ტფილისში დამტოვეს, თუმცა პოლიციის თვალყურის დევნა უფრო გამძაფრდა. პირდაპირ ვამჩნევდი, რომ ვიღაც უცნობები ამედევნებოდნენ და ბინამდე მაცილებდნენ.

ტფილისში ხშირად ვხვდებოდი ზაქარია ჭიჭინაძეს, რომელიც იმ დროს ქართულ წიგნებისა და, სხვათა შორის, ანტონ ფურცელაძის ნაწარმოებთა გამოცემას შესდგომოდა. ზაქარიას წინადვე ვიცნობდი, მაგრამ ეხლა უფრო დაუუახლოვდი. არაღეგაური ლიტერატურა ალარ მოგვეპოვებოდა, სამაგიეროდ ზაქარიას მრავალი აკრძალული რუსული წიგნები ჰქონდა 60—70 წლებისა. როგორც ბეჯინისტი, ამგვარ წიგნებს ადვილად შოულობდა და ახალგაზრდობაში ავრცელებდა, მეტადრე სემინარიელთა შორის. ეს ბევრმა იცოდა, მაგრამ ზაქარია მოხერხებულად მოქმედებდა. ერთხელ მახსოვს ბულვარზე, ბაღის წინ სემინარიის ცნობილმა ქართველმა მასწავლებელმა შეაჩერა ზაქარია და ყვირილით მუქარი დაუწყო,—სემინარიელებში აკრძალულ წიგნებს რად ავრცელებ, რადა რყვნი ახალგაზრდობას, იცოდე, მაგისთვის ადრე თუ გვიან კარგა მოგხვდებაო.

ტფილისში, ანტონ ფურცელაძისა და გრ. ყიფშიძის გარდა, სხვა მწერლები და არტისტებაც გავიცანი: აკაკის, „დროების" რედაქტორ ვანო მაჩაბელსა და სხვებს დავუუახლოვდი და თანდათან შეუმჩნეველად მწერლობაში ჩავეთრიე.

1889 წლის დასასრულს ისპობოდა ყოველკვირეული ქართული ჟურნალი „თეატრი", რომელიც პატარა-პატარა უფერულ რვეულებად თვეში ერთხელ გამოდიოდა. ეს ჟურნალი დააარსა არტისტმა ვასო აბაშიძემ და შემდეგ გადასცა არტის'ს ვალერიან გუნიას. ესენი თავის დროის შესაფერად ჟურნალს რიგიანად აწარმოებდენ. შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. გუნიამ ჟურნალი ალ. ნებიერიძეს გადასცა. ნებიერიძე ახლად იყო რუსეთიდან ჩამოსული და ცოტაოდენი ფულიც მეოპოვებოდა. იმან ქართულ არტისტთა დასის ანტრეპრენიორობა იკისრა და შემდეგ ჟურნალის გამოცემა მოინდომა. როდესაც ფული შემოაკლდა, ყველაფერს თავი გაანება და თვით არტისტობდა. როდესაც გავიგე, რომ „თეატრი“ ისპობა, მივედი იმ ჯგუფთან, რომელიც მას აწარმოებდა და შევეკითხე,—მართალია ხმები, თუ არა. იმათ მითხრეს მართალიაო. მაშ, მე გადმომეცით გამომცემლობა, ჰქნება გამოვაყენო როგორმე, თუ არა და თქვენ ხომ არას ჰკარგავთ-მეთქი. სიამოვნებით დათანხმდენ, ხოლო ა. ნებიერიძემ მცირე საფასური მაინც მოითხოვა. გამომცემლობის უფლების გადმოცემა ნოტარიუსის წესით შეესრულეთ და განცხადება ბეჭდვითი სიტყვის მთავარ-მართველობას გაუგზავნეთ პეტერბურგში. მაშინდელი კანონით მხოლოდ რედაქტორი უნდა დაემტკიცებინა მთავრობას, გამომცემელი კი მხოლოდ განაცხადებდა თავის განზრახვას. რადგან ვიცოდი, რომ მთავრობა რედაქტორად არ დამამტკიცებდა, როგორც პოლიტიკურად არა საიმედო პირს, დროებით რედაქტორად ისევ ა. ნებიერიძე უნდა ყოფილიყო, ვიდრე სხვას გამოვნახავდი.

1890 წ. 1 იანვრიდან ჟურნალი „თეატრი“ საკვირაო გაზეთად გადავაკეთე. თანამშრომლობდნენ აკაკი, ანტონი, ვანო ჯაბადარი რომანოზ ფანცხავა და სხ. პირველ ხანებშივე გაზეთმა პროგრესიულად მოაზრე საზოგადოების ყურადღება მოიპოვა, მემარცხენე ახალგაზრდობისა მეტადრე. თუმცა პოლემიკას ადგილი არა ჰქონდა გაზეთში, მაგრამ ეტყობოდა, რომ „ოვერიის“ მოწინააღმდეგე უნდა ყოფილიყო.

ერთხელ ახალგაზრდა სემინარიელმა უცნობი ავტორის ნაწარმოები მომიტანა. აი წერილის შინაარსი სიტყვა-სიტყვით:

„გაზეთ „თეატრის“ რედაქციას. ამისთანაც გიგზავნით ჩემ მიერ დაწერილ მოთხრობას „საახალწლო ჰურ-ღვინო“-ს და გთხოვთ დაბეჭდოთ თქვენი პატივ-ცემული გაზეთი „თეატრი“-ს ნომერში. უკეთუ რამე მიზეზის გამო ჩემი მოთხრობა თქვენს გაზეთში დასაბეჭდად არ გამოდგეს, იმ შემთხვევაში გთხოვთ გადასცეთ ის სემინარიის მეექვსე კლასის მაგირდს ნოე ნიკოს-ძე ცირდანიას, როცა კი ამ უკანასკნელმა მოითხოვოს. თქვენი ერთგული **ეგნატე თომასძე ინგოროყვა**. 9 იანვარს 1890 წ. სოფ. ჩოჩხათი“.

მოთხრობა წავიკითხე და ძალიან მომეწონა, განახლებული რევოლიუციონური ჰანგი მომესმა. ჩემს მიმართულებასა და მიზანს შეეფერებოდა, სწორედ ამგვარ მწერლობისთვის ვიკისრე გაზეთის დაარსება, მაგრამ ცენზურამ შეშფოთიანა. დარწმუნებული ვიყავ, რომ ცენზურაში ვერ გაიელდა. პატარა ხერხს მივმართე. მოთხრობა შუაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაეყავი. ვიფიქრე იქნება ნაწყვეტებად შთაბეჭდილება შემემცირებინა და როგორმე გამეპარებინა.

მართლაც, პირველმა ნაწილმა მშვიდობიანად გაიარა. ბოლო-კი განსაცდელს ვერ ასცდა—ცენზორმა დაიჭირა. უცროს ცენზორად ქართულ მწერლობისა იყო ცნობილი პოეტი რაფიელ ერისთავი. გავეშურე მასთან. დამინახა თუ არა, თვითონვე დამასწრო:

ვიცი, ვიცი, რისთვის გარჯილხართ...

— ეს მარჯვენა უნდა მომეკეცოს (მარცხენა ხელი მარჯვენა მაჯაზე დაიკრა), რომ ამისთანა მოთხრობა დავკალი. მაგრამ სხვაფრივ არ შეიძლებოდა. მე რომ გამეშვა, იქ ისეთი უფროსები იყვნენ, რომ დიდს ალიაქოთს ასტეხავდნენ და არც თქვენთვის იყო კარგი.

მკითხველი მიხვდება, რომ ე. ინგოროყვა სახელოვანი მწერალი ეგნატე ნინოშვილია და მისი წერილის მომტანი—ცნობილი სოციალ-დემოკრატია.

ძალიან დამეწინა ეგნატეს ეს პირველი ნაწარმოები და დაუბეჭდავი ნახევარი დიდხანს მჭონდა შენახული. 1905 თუ 1906 წლის დასაწყისში ეს ნახევარი მოთხრობისა, როგორც ისტორიული დოკუმენტი, ჩემი ძმისწულის მამა დავითაშვილის (ბოლშევიკი) ხელით სოციალ-დემოკრატიულ გაზეთის „კვალი“ თუ „სხივის“ რედაქციას გავუგზავნე იმ იმედით, რომ მთელი მოთხრობა დაბეჭდებოდა. ეგნატეს წერილი-კი შენახული მაქვს, როგორც ჩემთვის ძვირფასი მოგონება.*)

გაზეთ „თეატრა“-ს ბედი უკუღმა დატრიალდა. ბეჭდვითი სიტყვის საქმეთა მთავარ სამმართველომ მაცნობა, რომ ალ. ნებიერიძეს გამომცემლობის უფლების გადაცემა არ შეეძლო, რადგან საცენზორო კომიტეტისთვის ხელწერილი ჰქონია მიცემული. რადგან მე არავითარი უფლება აღარ შემრჩა და ფიქტიური რედაქტორ-გამომცემელი სარედაქციო საქმეში ერეოდა, იძულებული ვიყავი გაზეთს ჩამოვშორებოდი. ა. ნებიერიძეს იმედი ჰქონდა, რაკი გაზეთს სიცოცხლე დაეტყო, ის თვითონ აწარმოებდა; მაგრამ ჩემს შემდეგ არც ერთი ნომერი აღარ გამოუცია. ჩემს ხელში გამოვიდა სულ ცამეტიოდე ნომერი.

თუმცა „ივერიის“ რედაქტორთან კარგი განწყობილება არ მჭონდა, მაგრამ რედაქციის მდივანი გრიგოლ ყიფშიძე ჩემი მეგობარი იყო, თანამშრომლობა დამაწყებინა. პატარა ფელეტონებსა ვსწერდი—„ნაბოლარა“-ს, ჩემი ფსევდონიმი მხოლოდ მდივანმა იცოდა. იმ დროს „ივერიის“ მფლმიე თანამშრომლებად იყვნენ მიხა ცხაკაია, ალ. ნიკიტინი და ნიკო კურდღელაშვილი. ამბ. მიხა ძალიან ჩემი

*) ამ დღეებში (თებერვალი, 1924 წ.) ამბ პეტრე გელეიშვილმა მაცნობა, რომ დაუბეჭდავი ნახევარი აღნიშნულ მოთხრობისა იმას ჰქონია. პირველი დაბეჭდილი ნახევარიც ორიგინალისა, ჩემის იმ დროინდელ სტილისტიურ შესწორებით, ამბ. გელეიშვილს გადაეცი. ამრიგად. პირველი ნაწარმოები უკვდავ აუტორისა აღდგენილ იქნება.

შ. დ.

იყო: ან სწერდა ან კითხულობდა. ჩვენ-კი ვცდილობდით აგველაპარაკებინა და განგებ ისეთ საგნებზე ავტეხდით ლაპარაკს, რომელიც იმას აინტერესებდა. ის რომ ხმას ამოიღებდა, ჩვენ ოპოზიციაში ჩავუდგებოდით და უფრო ვალაპარაკებდით. ბოლოს გაცხარდებოდა—ოპორტიუნისტები ხართო—და ისევ ჩაჩუმდებოდა.

სწორედ მაშინ მიხა ცხაკაიამ ეგნატე ნინოშვილი გამაცნო სადღაც მის თუ თავის ბინაზე, სადღაც სარდაფში მიხეილის ქუჩაზე. ეგნატეს მოელვარე სხივოსანი სხვილი თვალები ეხლაც თვალწინ მიდგა. მისმა აზროვნებამ და მოფიქრებულმა საუბარმა დიდი შთაბეჭდილება იქონია ჩემზე. მგონი მასთან ნოე ჟორდანიაც მინახავს. ესენი იყვნენ ახალი აღთქმის წინამორბედნი.

ამხ. მიხამ „ივერიის“ რედაქციაში ფეხი ვერ მოკიდა და მალე გამოეთხოვა. მეც აღარ მედგომებოდა, მით უმეტეს, რომ გრიგოლ ყიფშიძის ნაცვლად რედაქციის გამგებლობა ისეთ კაცს მიანდო რედაქტორმა, რომელიც სამწერლოდ სრულიად ირ იყო შემზადებული. ამის გამო მე ცალკე ბროშიურა დავბეჭდე—„ივერია და მეველე“, რომელშიაც ერთად-ერთ ქართულ გაზეთის ჯეჯგნვას ვეხებოდი.

(დასასრული იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. თალაკვაძე.

როგორ ჩავატარეთ პირველად „პრესის დღე“ ჩვენში.

(მოგონებიდან)

1914 წელს 22 აპრილს (ძველი სტილით) პეტერბურგის სოციალ-დემოკრატიულ (ბოლშევიკურ) გაზეთ „პრავდის“ ორი წლის შესრულების თავზე იზეიმეს „პრავდის“ გამოცემის დღე და იქიდანვე დაწესდა „პროლეტარულ პრესის დღე“-ც. ჩვენც, ტფილისელი ბოლშევიკებიც, ვემზადებოდით ამ დღისფვის. ჩვენმა ჯგუფმა, რომელშიაც შედიოდენ: 1918 წ. ჯალათურად მოკლული ალიოშა ჯაფარიძე, კასიანი, ლოლა წულუკიძე, ლევან მიროტაძე, თომა კამალოვი, შალიკო ასკურავა, არუსიაკი, გიორგი ყურულიშვილი, ტერ-ასატუროვი, მე და სხვები 22 აპრილისათვის ბლომათ გამოვიწერეთ გაზეთ „პრავდას“ ნომრები გასავრცელებლად.

ეს დღე აღინიშნა მრავალ სამრეწველო ქალაქებში იმით, რომ მუშები იყრიდენ თავს, ეცნობოდენ მუშათა რევოლიუციონურ პრესის დიად მნიშვნელობას, ეწეოდენ აგრეთვე აგიტაცია-პროპაგანდას პროლეტარულ პრესის ეგრეთ წოდებულ „რკინის ფონდის“ შესაქმნელად.

ეს იყო სწორედ მსოფლიო იმპერიალისტური ომის წინ დღეებში.

ამ დროს ტფილისში გამოდიოდა ერთად ერთი კვირეული გაზეთი „ფიქრი“ მენშევიკებისა, ლადო ახვლედიანის რედაქტორობით. ჩვენ, ბოლშევიკებს საკუთარი ორგანო არ გვქონია.

22 აპრილი შესანიშნავი მზიანი დღე იყო.

ყველა ჩვენი ამხანაგები და თანაგრძნობნი ქუჩაში ვიყავით დილიდანვე გამოფენილი და ამ დროსთვის მიღებულ „პრავდის“ მრავალ ეგზემპლიარებს ვავრცელებდით მუშათა რაიონებში და ვკრებდით თან ხელის მოწერით ამხანაგებისა და თანამგრძნობთაგან „პრავდის“ „რკინის ფონდისათვის“ შემოწირულებას: ვავრცელებდით აგრეთვე ჩვენ მიერ გამოცემულ პროკლამაციას—„პროლეტარულ პრესის დღის ზეიმის“ მნიშვნელობის შესახებ. ამ დღეს ჩვენ შევაგროვეთ საკმაო დიდი თანხა „რკინის ფონდისათვის“

აღსანიშნავია, რომ ამ „პროლეტარულ პრესის დღეში“ რომელსაც ჩვენთვის, ბოლშევიკებისათვის, თავისი განსაკუთრებული ისტორია ჰქონდა, მონაწილეობას ღებულობდნენ ადგილობრივი მენშე-

ვიკებიც, რომელთაც ცოტა ჰქონდათ საერთო სწორედ ამ დღეს. ისინი ისე აჩვენებდენ თავს თავიანთ გულუბრყვილო ამხანაგ მეგობრებს, რომ ეგონებოდათ თითქო ეს დღე მათი მოგონილი და დაწესებული ყოფილიყო იმ განსხვავებით, რომ თუ—ჩვენ „რკინის ფონდს“ ვაგროვებდით „პრავდისათვის“, ისინი მოუწოდებდნენ თავიანთ ადგილობრივ გაზეთ „ფიქრისათვის“. მახსოვს ამ სიგანაზე მე პირადათ სირიოზული შეჯახება მომიხდა ლ. ახმეტელაშვილთან და მეწმევიკ დათიკო საღირაშვილთან, რომლებიც „პრავდის“ „რკინის ფონდისთვის“ ჩემ მიერ მოგროვილ კარგა ბლომა ფულების შესახებ მიმტკიცებდენ, რომ მე თითქოს მორალური უფლება არ მქონდა ეს ფულები პეტერბურგში გამეგზავნა „პრავდის“ რედაქციისთვის იმ დროს, როცა აქ არსებობდა „აგრეთვე“ სოციალ-დემოკრატიული მუშათა გაზეთი „ფიქრი“, მატერიალურად მეტად გაჭირვებული. მე, რა თქმა უნდა, არ მივიღე მათი წინადადება და ფულიც დანიშნულებისამებრ გავგზავნეთ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი ჩვენი გულუბრყვილო ამხანაგები მაინც შეიყვანეს მათ შეცდომაში: „რკინის ფონდისათვის მოგროვილი ფული თავიანთ სასარგებლოდ დაიტოვეს.

საერთოდ ამ დღის ჩვენ მიერ კარგად ჩატარებამ ტფილისის პროლეტარიატში გამოცოცხლება შეიტანა.

ტფილისის ბოლშევიკების მიერ ჩატარებული „პრესის დღის“ ზეიმი არ დარჩა შეუმჩნეველი ქანდარმერიისაგან და მეორე—მესამე დღეს მრავალი შენიშნული ამხანაგები დაიჭირეს. დაჭერილთა შორის ბევრი გადაასახლეს, ბევრი კი მეტეხის ციხეში მოამწყვდიეს.

ამის შემდეგ არ გაუვლია დიდხანს, რომ იფეთქა მსოფლიო იმპერიალისტურმა ომმა.

დადგა მძაფრი რეაქცია, რასაც ხელი შეუწყეს, —თქმა არ უნდა, ეგრეთ წოდებულ „ობორონცებ“ მენშევიკ—ესერებმა.

დაიკეტა გაზეთი „პრავდა“, განადგურებულ იქნა რევოლიუციონური ორგანიზაციები, იივსო ციხეები პოლიტიკური ტუსაღებით.

ეს მაშინ, წარსულში...

შემდეგ კი,—რუსეთის გმირმა პროლეტარიატმა გადალახა ყოველივე ზღუდეები, დაამსხვრია მონარქიული მთავრობისა და ბურჟუაზიის მიერ შექმნილი მონობის ბორკილები, გაბატონდა პოლიტიკურად, აღადგინა, ააყვავა თავისი პრესა და ეხლა ეს პრესა თავზარდამცემია მთელი მსოფლიოს მტაცებლებისათვის.

დღეს თავისუფალი ვართ მათი შემწეობით ჩვენც, საქართველოს პროლეტარიატი, საქართველოს მშრომელი ხალხი; დღეს რუსეთის პროლეტარიატთან ერთად ჩვენც მოგვეპოვება თავისუფალი მუშათა პრესა არა მარტო ერთი, მრავალი, სხვა და სხვა ტიპისა და დარგისა, როგორიც არის „კომუნისტი“, „მიწის მუშა“, „მუშა“ და სხვა ..

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრესის დღე ქანდარმერიის არქივის მიხედვით

(საქართველოს რევოლიუციის მუზეუმის მასალებიდან)

1914 წლის აპრილის 9-ს თარიღით (№ 169303) პოლიციის დეპარტამენტი ასე მიმართავს „სანქარად, საიდუმლოდ, ცირკულიარულად"—საგუბერნიო ქანდარმთა სამმართველოების უფროსებს, საზოგადებრივი მშვიდობიანობისა და წესრიგის დამცველ განყოფილებებს, ქანდარმთა განსაკუთრებული კორპუსის ქანდარმებს. რომელნიც ძიების საქმეს აწარმოებენ: „პოლიციის დეპარტამენტში მიღებულია ცნობები იმის შესახებ, რომ ამა აპრილის 22-ს რუსეთის სოც. დემ. მუშათა პარტიის ბოლშევიკური მიმდინარეობის წევრებს განზრახვა აქვთ შეაგროვონ ფული იმ მიზნით, რომ შექმნან სპეციალური ფონდი მარქსისტული არალეგალური პრესისათვის, მისი ორი წლის არსებობის აღსანიშნავად და აგრეთვე იმ მიზნითაც, რომ ასე ხელი შეუწყონ შემდეგში ბოლშევიკური პრესის განვითარება-გავრცელებას.

„გაუწყებთ რა ამას, პოლიციის დეპარტამენტი გთხოვს მიიღოთ ზომები, რომ ხელი შეუშალოთ ხსენებული შემოწირულობის შეგროვების დროს და შედეგი გვაცნობოთ". ხელს აწერს: ვიცე-დირექტორის მოვალეობათა აღმასრულებელი **ვასილიევი**.

როგორც დავინახეთ, პოლიციის დეპარტამენტი ცირკულიარს გზავნის აპრილის 9-ს თარიღით, მაგრამ ტფილისის ქანდარმერიას ამ მხრით უკეთესად ჰქონია საქმე მოწყობილი. ის აპრილის 4 ს (№ 1878) უკვე ღებულობს სათანადო ზომებს, რა თქმა უნდა, „საიდუმლოდ". ტფილისის ქანდარმთა სამმართველოს უფროსი პოლკოვნიკი პასტრიოფინი რაიონებს ატყობინებს: „ჩემ მიერ აკრძალების საშუალებით შეკრებილ სარწმუნო ცნობებით ამა აპრილის 22-ს მთელს რუსეთში სოციალ-დემოკრატები ღიაწყობენ ფულის შეგროვებას მარქსისტული პრესის ეგრეთ წოდებულ რკინის ფონდისათვის, ამ პრესის არსებობის ორი წლის აღსანიშნავად. საიუბილეო დღეთ ითვლება აპრილის 22. ამ დღეს ლეგალური სოციალ-დემოკრატიულ გაზეთის „Путь Правды"-ს თანაეული ნომერი გაიყიდება 10 კაპ.

„ხსენებული ფონდის დანიშნულებაა" მომავალში ბეკეების (Бековской—ბოლშევიკების) გაზეთისთვის დახმარების აღმოჩენა.

„გაუწყებთ რა ამას ცნობად, გთხოვთ მიიღოთ ზომები, რომ ფულის შეგროვებას ხელი შეუშალოთ და შედეგი მაცნობოთ":

რუსულად ეს დოკუმენტი ასეა შედგენილი:

Начальник
Тифлисс Губерн.
Жандарм. Управл.
4 Апреля 1914 г.
№ 1878
г. Тифлис

„по району

Секретно.

По полученным мною достоверным агентурным сведениям, 22 сего апреля социал-демократами по всей России будет произведен денежный сбор на организацию так называемого железного фонда марксистской легальной печати, в ознаменование двухлетняго ея существования, 22 Апреля, при чем легальная соц. дем. газета „Путь правды“ в этот ден будет продаваться по 10 коп. за номер.

Назначение означеннаго фонда помощь для дальнейшаго развития бековской газеты.

Сообщая об изложенном для сведения, прошу принять меры к недопущению осуществления упомянутого сбора и о последующем меня уведомит.

Полковник Пастрюлин.

ქუთაისის საგუბერნიო ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი თავის თანაშემწეს ბათუმის ოლქში „საიდუმლოთ“ სწერს (23/V 1914 № 3321): „გიგზავნი რა ამასთანავე ჩართულიდან რუსულად გადმოთარგმნილ ასლს იმ შენიშვნისას, რომელიც მოთავსებული იყო ქუთაისურ გაზეთ „აზრის“-ს ამა 21 მაისის № 57, ვიგიწერ გამოარკვიო იმ პირთა ვინაობა, რომლებიც ფულს აგროვებდენ მუშათა გაზეთის საშველებათა გასაძლიერებლად ბათუმისა და ფოთის პოშტს შორის და აგრეთვე იმ პირთა ვინაობაც, რომელთაც ფულიანი ამანათები და დაზღვეული ბარათები გაგზავნეს გაზეთ „აზრისა“ და „Северная Рабочая Газета“-ს სახელზე. შედეგი მომახსენეთ“.

ჟანდარმერიის მიერ გადათარგმნილი „შენიშვნა“ შეიცავს ფსევდონიმების და ინიციალების სიას გაღებული ფულის აღნიშვნით, ამასთანავე თითეულ მეტ სახელს, ფსევდონიმს, თუ ინიციალებს წითელი ფანქარით აქვს წარწერა იმ სახელისა და გვარის, რომელიც, ჟანდარმერიის აზრით, ამ ფსევდონიმს ეფარება.

განყოფილება

= IV =

ავტობიოგრაფიები

ლ. ტროცკი

ავტობიოგრაფიული ცნობა

მე დავიბადე 1879 წლის ოქტომბრის 26-ს ხერსონის გუბერნიის ელისავეტგრადის მაზრის სოფელ იანოვკაში, მამა ჩემის პატარა მამულში. მამა ჩემი კოლონისტი—მიწათ მფლობელი იყო. 9 წლამდე მუდმივათ სოფელში ვცხოვრობდი. შემდეგ შემიყვანეს წმ. პავლეს სახელობის ადესის რეალურ სასწავლებელში, სადაც კერძო პინდიან დავედიოდი. სწავლაში დიდს ბეჯითობას ვიჩენდი—ყოველთვის პირველ მოწაფედ ვითვლებოდი. მეორე კლასიდან დროებით გამომხრიცხეს, რადგანაც მონაწილეობა მივიღე ფრანგული ენის მასწავლებლის საწინააღმდეგო „პროტესტის“ მოწყობის საქმეში. შესაძლებელია, ეს იყო წინასწარი დასახედი მომავალი ცუდი განწყობილებისა ჩვენი უახლოესი მოკავშირე ფრანგებისადმი... მეშვიდე კლასში გადასვლისას ქალაქ ნიკოლაევში გადავედი. იქ პირველად შევედი ფეხი რადიკალურ წრეში და რევოლიუციონურ იდეათა სფეროში. იმ დროს იქ ცხოვრობდა მებაღე ჩეხი—ფრანც ფრანცისძე შვიგოვსკი, მის გარშემო თავი მოეყარა ახალგაზრდობას ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი რადიკალური მიდრეკილებებით.

პირველ პერიოდში თავი უფრო მარქსიზმის მოწინააღმდეგეთ მიმაჩნდა, ვიდრე მარქსისტად. იმ დროს მეჩვიდმეტე წელში ვიყავი. რეალურ სასწავლებელის დასრულების შემდეგ ვცდილობდი თავისუფალ მსმენელად შევსულიყავ მათემატიკურ ფაკულტეტზე, ამასთანავე დავუახლოვდი ნიკოლაევის მუშებს, უმთავრესად რაციონალისტური მიმდინარეობის სექტანტებს. მათ შორის ხელმძღვანელის როლს ასრულებდა ივანე ანდრიასძე მუხინი; ის ახლაც არ ჩაითვლება ახალგაზრდათ, მაგრამ გამოწრთობილი რევოლიუციონერი მებრძოლი-ბოლშევიკია.

ნიკოლაევის მუშათა ორგანიზაცია ჩქარა გაიზარდა სამხრეთ რუსეთის მუშათა კავშირის სახელწოდებით. ებეჭდავდით გეკტოგრაფის საშვალებით დიდძალ პროკლამაციას და არა-ლეგალურ გაზეთს „ნაშე დელო“-ს. მაშინ ყველაფერი ეს ახალი საქმე იყო. ამავე დროს ამ ტიპის ორგანიზაცია მოეწყო ადესაში, ხშირად მიხდებოდა ადესიდან წიკოლაევში მოგზაურობა, ასე რომ, ღამეს გემზე ვატარებდი, დღეს კი—ერთ-ერთ ქალაქში რევოლიუციონური ლიტერატურის ძებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაში და აგიტაციაში. როდესაც მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო, (სამხრეთ-რუსეთის კავშირში, ნიკოლაევში, გაერთიანებული იყო 250-ზე მეტი მუშა, რომელნიც საწყვერო გადასახადს იხდიდენ) ნიკოლოზის მძინარა ჯანდარმერია თავს დაგვესხა და ორი პროვოკატორის დახმარებით თითქმის ყველანი შეგვიპყრო. მე 1898 წლის იანვრის 28-ს დამაპატიმრეს. დაიწყო ამის შემდეგ ციხის ეპოპეა. რამდენიმე ხანს ნიკოლაევის საპყრობილეში გამაჩერეს, შემდეგ გადამიყვანეს ხერსონში, სამი თვის შემდეგ ადესაში, სადაც გავატარე დაახლოებით ორი წელიწადი. შემდეგ ოთხი წლის ვადით ადმოსავლეთ ციმბირში გადასახლება მომისაჯეს, ხუთ თვემდე გავატარე მოსკოვის გადასაგზავნ ციხეში, დაახლოვებით სამი თვე გავატარე ირკუტსკისა და ალექსანდროვსკის გადასაგზავნ ციხეებში და სხ. სულ ციხეში გავატარე ორ წელიწად ნახევარზე მეტი.

ციხეში საბოლოოთ შევითვისე მარქსიზმის თვალსაზრისი, თუმცა უნდა ითქვას, რომ დაპატიმრებამდე,* რომელიც მოხდა 1899 წლის იანვარში, თავი მომქონდა სოციალ-დემოკრატად და მუშაობასაც კლასიური პროლეტარული ბრძოლის შინაარსით ვაწარმოებდი.

გადასახლებაში, ირკუტსკის გუბერნიის სოფელ უსტ-კუტში, გავატარე დაახლოვებით ორი წელი (4 წლიდან) და რევოლიუციონური მოძრაობის დაწყებისთანავე, 1902 წელს, გავიკეთე ყალბი პასპორტი ტროკის სახელზე და ირკუტსკით გავიპარე. აქედან წარმოდგა ჩემი ფსევდონიმი — ტროკი, რომელიც შემდეგში გახდა ჩემი ფაქტიური გვარი. ირკუტსკში დავუახლოვდი ციმბირის სოციალ-დემოკრატიულ კავშირს, რომელსაც პროკლამაციებს ეუწერდი; გადმოვედი სამარაში და იქ კავშირი გავაბი „ისკრას“ ადგილობრივ ჯგუფის ცენტრალურ ორგანიზაციასთან; ეს ჯგუფი იმ დროს თავს უყრიდა სოციალ-დემოკრატიის დაქსაულ რიგებს. სამარის ჯგუფის დავალებით არალეგალურად მომიხდა მოგზაურობა ხარკოვში, პოლტავაში, კიევში, ხოლო იქიდან საზღვარ გარეთ. არალეგალურად გადავედი საზღვარზე ავსტრიაში და ვენაში. პირველად გავეცანი ვიქტორ ადლერს და მის ვაჟს ფრიცს, ახლანდელი ომის გმირ ინტერნაციონალისტს. ციურიხითა და პარიზით გადავედი ლონდონში, სადაც იმ დროს „ისკრა“-ს რედაქცია იყო, რომელშიაც შედიოდენ ლენინი, მარტოვი და აგრეთვე სოციალ-დემოკრატიის ძველი ბელადები — პლეხანოვი, აქსელროდი და ზასულიჩი; ეს სამი პირი შეეცაიაში ცხოვრობდა.

1902 წლის ბოლოდან 1905 წლის თებერვლამდე დავრჩი საზღვარ-გარეთ „ისკრა“-ს მუშაკთა შემადგენლობაში, ვთანამშრომლობდი ამ გაზეთში, ვმოგზაურობდი ევროპის ქალაქებში, რომლებშიაც რუსი სტუდენტებისა და მუშების კოლონიები მოიპოვებოდა. იქ ვკითხულობდი რეფერატებს და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაში და აგიტაციაში. როდესაც მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო, (სამხრეთ-რუსეთის კავშირში, ნიკოლაევში, გაერთიანებული იყო 250-ზე მეტი მუშა, რომელნიც საწევრო გადასახადს იხდიდენ) ნიკოლოზის ძმინარა ჟანდარმერია თავს დაგვესხა და ორი პროვოკატორის დახმარებით თითქმის ყველანი შეგვიპყრო. მე 1898 წლის იანვრის 28-ს დამაპატიმრეს. დაიწყო ამის შემდეგ ციხის ეპოპეა. რამდენიმე ხანს ნიკოლაევის საპყრობილეში გამაჩერეს, შემდეგ გადამიყვანეს ხერსონში, სამი თვის შემდეგ ადესაში, სადაც გავატარე დაახლოვებით ორი წელიწადი. შემდეგ ოთხი წლის ვადით აღმოსავლეთ ციმბირში გადასახლება მომისაჯეს, ხუთ თვემდე გავატარე მოსკოვის გადასაგზავნ ციხეში, დაახლოვებით სამი თვე გავატარე ირკუტსკისა და ალექსანდროვსკის გადასაგზავნ ციხეებში და სხ. სულ ციხეში გავატარე ორ წელიწად ნახევარზე მეტი.

ციხეში საბოლოოთ შეეითვისე მარქსიზმის თვალსაზრისი, თუმცა უნდა ითქვას, რომ დაპატიმრებამდე," რომელიც მოხდა 1899 წლის იანვარში, თავი მომქონდა სოციალ-დემოკრატად და მუშათა-ბასაც კლასიური პროლეტარული ბრძოლის შინაარსით ვაწარმოებდი.

გადასახლებაში, ირკუტსკის გუბერნიის სოფელ უსტ-კუტში, გავატარე დაახლოვებით ორი წელი (4 წლიდან) და რევოლიუციონური მოძრაობის დაწყებისთანავე, 1902 წელს, გაეიკეთე ყალბი პასპორტი ტროკის სახელზე და ირკუტსკით გავიპარე. აქედან წარმოსდგა ჩემი ფსეუდონიმი — ტროკი, რომელიც შემდეგში გახდა ჩემი ვაქტიური გვარი. ირკუტსკში დაეუახლოვდი ციმბირის სოციალ-დემოკრატიულ კავშირს, რომელსაც პროკლამაციებს ეუწერდი; გადმოვედი სამარაში და იქ კავშირი გავაბი „ისკრას" ადგილობრივ ჯგუფის ცენტრალურ ორგანიზაციასთან: ეს ჯგუფი იმ დროს თავს უყრიდა სოციალ-დემოკრატიის დაჩსახულ რიგებს. სამარის ჯგუფის დავალებით არალეგალურად მომიხდა მოგზაურობა ხარკოვში, პოლტავაში, კიევში, ხოლო იქიდან საზღვარ გარეთ. არალეგალურად გადავედი საზღვარზე ავსტრიაში და ენებაში. პირველად გავეცანი ვიქტორ ადლერს და მის ვაჟს ფრიცს, ახლანდელი ომის გმირ ინტერნაციონალისტს. ციურიხითა და პარიზით გადავედი ლონდონში, სადაც იმ დროს „ისკრა"-ს რედაქცია იყო, რომელშიაც შედიოდენ ლენინი, მარტოვი და აგრეთვე სოციალ-დემოკრატიის ძველი ბელადები— პლეხანოვი, აქსელროდი და ზასულიჩი; ეს სამი პირი შეეიცარიაში ცხოვრობდა.

1902 წლის ბოლოდან 1905 წლის თებერვლამდე დავრჩი საზღვარ-გარეთ „ისკრა"-ს მუშაკთა შემადგენლობაში, ვთანამშრომლობდი ამ გაზეთში, ვმოგზაურობდი ევროპის ქალაქებში, რომლებშიაც რუსი სტუდენტებისა და მუშების კოლონიები მოიპოვებოდა. იქ ვკითხულობდი რეფერატებს და სხვ.

ნაში და აგიტაციაში. როდესაც მოძრაობამ ფართო ხასიათი მიიღო, (სამხრეთ-რუსეთის კავშირში, ნიკოლაევში, გაერთიანებული იყო 250-ზე მეტი მუშა, რომელნიც საწევრო გადასახადს იხდიდენ) ნიკოლოზის მძინარა ჟანდარმერია თავს დაგვესხა და ორი პროფაგიტატორის დახმარებით თითქმის ყველანი შეგვიპყრო. მე 1898 წლის იანვრის 28-ს დამაპატიმრეს. დაიწყო ამის შემდეგ ციხის ეპოპეა. რამდენიმე ხანს ნიკოლაევის საპყრობილეში გამაჩერეს, შემდეგ გადამიყვანეს ხერსონში, სამი თვის შემდეგ ადელაში, სადაც გავატარე დაახლოებით ორი წელიწადი. შემდეგ ოთხი წლის უდით აღმოსავლეთ ციმბირში გადასახლება მომისაჯეს, ხუთ თვემდე გავატარე მოსკოვის გადასაგზავნ ციხეში, დაახლოებით სამი თვე გავატარე ირკუტსკისა და ალექსანდროვსკის გადასაგზავნ ციხეებში და სხ. სულ ციხეში გავატარე ორ წელიწად ნახევარზე მეტი.

ციხეში საბოლოოთ შევითვისე მარქსიზმის თვალსაზრისი, თუმცა უნდა ითქვას, რომ დაპატიმრებამდე, რომელიც მოხდა 1899 წლის იანვარში, თავი მომქონდა სოციალ-დემოკრატად და მუშაობასაც კლასიური პროლეტარული ბრძოლის შინაარსით ვეწარმოებდი.

გადასახლებაში, ირკუტსკის გუბერნიის სოფელ უსტ-კუტში, გავატარე დაახლოებით ორი წელი (4 წლიდან) და რევოლიუციონური მოძრაობის დაწყებისთანავე, 1902 წელს, გავეცანით ყალბი პასპორტი ტროცკის სახელზე და ირკუტსკით გავემგზავრე. აქედან წარმოსდგა ჩემი ფსევდონიმი — ტროცკი, რომელიც შემდეგში გახდა ჩემი ეპიტეტური გვარი. ირკუტსკში დავუახლოვდი ციმბირის სოციალ-დემოკრატიულ კავშირს, რომელსაც პროკლამაციებს ვუწერდი; გადმოვედი სამარაში და იქ კავშირი გავები „ისკრას“ ადგილობრივ ჯგუფის ცენტრალურ ორგანიზაციასთან; ეს ჯგუფი იმ დროს თავს ფურიდა სოციალ-დემოკრატიის დაქსაულ რიგებს. სამარის ჯგუფის დავალებით არალეგალურად მომიხდა მოგზაურობა ხარკოვში, პოლტავაში, კიევში, ბოლო იქიდან საზღვარ გარეთ. არალეგალურად გადავედი საზღვარზე ავსტრიაში და ვენაში. პირველად გავეცანი ვიქტორ ადლერს და მის ვაჟს ფრიცს, ახლანდელი ომის გმირ ინტერნაციონალისტს. ციურიხითა და პარიზით გადავედი ლონდონში, სადაც იმ დროს „ისკრა“-ს რედაქცია იყო, რომელშიაც შედიოდენ ლენინი, მარტოვი და აგრეთვე სოციალ-დემოკრატიის ძველი ბელადები — პლეხანოვი, აქსელროდი და ზასულიჩი; ეს სამი პირი შეეიცარიაში ცხოვრობდა.

1902 წლის ბოლოდან 1905 წლის თებერვლამდე დავრჩი საზღვარ-გარეთ „ისკრა“-ს მუშაკთა შემადგენლობაში, ვთანამშრომლობდი ამ გაზეთში, ვმოგზაურობდი ევროპის ქალაქებში, რომლებშიაც რუსი სტუდენტებისა და მუშების კოლონიები მოიპოვებოდა. იქ ვკითხულობდი რეფერატებს და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიის მეორე ყრილობაზე, 1903 წლის ზაფხულში, დ-რ მანდელბერგთან ერთად წარმოვადგენდი კომბრის კავშირს. ყრილობაზე მოშხდარი რასკოლის შემდეგ უმრავლესობათ და უმცირესობათ, მივემხრე ოპორტუნიზმს, რომლისგანაც შემდეგში განვითარდა ეგრედ წოდებული „მენშევიზმი". მაშინ ენერგიით გამოველაპარაკე ბოლშევიკებს და ორივე ფრაქციის გარეშე დავდექი.

9 იანვრის შემდეგ; რუსეთში მასიური მოძრაობის დაწყებისას, ავსტრიით არალეგალურათ გავემგზავრე კიევში და პეტერბურგში; აქ უმთავრესად ლიტერატურულ შრომას ვეწეოდი, ვწერდა პროკლამაციებს, ფურცლებს და სხვ უმთავრესად ცენტრალური კომიტეტის სტამბისათვის. რაც შეეხებოდა რუსეთის რევოლიუციის პრობლემებს, დავიკავე ის პოზიცია, რომელიც სწორად მიმაჩნია ახლაც, ე. ი. ვალიარებდი, რომ რუსეთის სახოგადოების კლასობრივი ძალების განწყობილება რევოლიუციონური ეპოქის პირობებში მოგვიყვანს პროლეტარიატის პოლიტიკურ რეჟიმამდე; მუშათა კლასის ეს რეჟიმი, რომელიც დამყარებული იქნება მშრომელ გლეხთა მასებზე, არ შეიძლება შემოიფარგლოს ბურჟუაზიული რევოლიუციის ჩარჩოებით, არამედ, უეჭველად ის უნდა დაენგრიოს და იმის მიხედვით, თუ როგორ განვითარდება მოძრაობა დასავლეთში. ეს მდგომარეობა შესაძლოა ისე განვითარდეს, რომ გაიმალოს ნამდვილ სოციალისტურ რევოლიუციად.

1905 წლის სექტემბრისა და ოქტომბრის რევოლიუციების დროს პეტერბურგის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში მოვხდი. ხრუსტალიოვის დაპატიმრების შემდეგ ამირჩიეს პეტროგრადის საბჭოს თავმჯდომარედ.

ამ პერიოდში ძალიან დაახლოვებული ვიყავი პარვუსთან. ეს კაცი დიდი ცოდნის, გამოჩენილი პოლიტიკური და ლიტერატურული ნიჭის პატრონია. „ინტერნაციონალში" და რუსეთის პოლიტიკური ბრძოლის ფარგლებში ის მაშინ იცავდა წმინდა რევოლიუციონურ, კლასიურ თვალთა-ხედვის წერტილს, შეურიგებლად ებრძოდა ოპორტუნიზმს და უპირველესად ყოვლისა, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მარჯვენა ფრთის ოპორტუნიზმს. ჩვენ ერთად გამოვეცით პოპულიარული „რუსკაია გაზეტა", რომელიც მეტად გავრცელებული იყო 1905 წლის დეკემბერში—საბჭოების დარბევისა და რევოლიუციის ხანაში. პარვუსთან ერთად მიმართულებას ვაძლევდი დიდს, ყოველდღიურ გაზეთ „ნაჩალო"-ს, რომელშიაც მონაწილეობდენ მარტოვი და ზოგიერთი მისი მეგობრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1905 წლის 3 დეკემბერს პეტერბურგის საბჭო დაპატიმრებულ იქნა თავისუფალ-ეკონომიურ საზოგადოების შენობაში და ამით დაიწყო ღვიძრწახსნილი, სისხლიანი კონტრ-რევოლიუციის ეპოქა. რამდენიმე ხანს „კრესტ"-ში ვიყავი გამომწყვდეული, შემდეგ—პეტრე-პავლეს ციხეში, წინასწარ დაპატიმრების სახლში, დაბოლოს, გასამართლებისა და განაჩენის გამოტანის შემდეგ—გადასაგზავნ ციხეში. გასამართლება ერთი თვე გაგრძელდა და ერთი თვალსაჩინო პოლიტიკური პროცესთაგანი იყო, როგორც ბრალდებათა წამოყენებით, ისე სხვადასხვა პირთა რაოდენობით, რომლებიც მასში მონაწილეობდენ დამნაშავეთა თუ მოწმეთა სახით. მთავარ დამნაშავეთ მიესაჯა გადასახლება ყოველგვარი უფლება-უპირატესობის ჩამორთმევით. ციხეში ყოფნის დროს გამოვეცი, მთელი რიგი ბროშიურებისა, კრებული—„ჩვენი რევოლიუცია" და სხვა ამხანაგებთან ერთად—„პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭოს ისტორია".

1907 წლის თებერვალში ჩვენ გადავვიყვანეს ობდორსკში. რთული სტრატაგემის წყალობით, რომლის შესახებაც ბევრი ლაპარაკი არა ღირს, გზად მიმავალმა ბერეზოვოში მოვახერხე საავადმყოფოში დარჩენა, საიდანაც ექვსი დღის შემდეგ, გავიქეცი. ეს ჩემი გაქცევა ბერეზოვიდან ურალზე ირმებით თოვლიან უდაბნოში, დამრჩა ერთ საუკეთესო მოგონებათა ჩემს ცხოვრებაში. გზის მაჩვენებელი იყო ზირიანე, რომელიც რაღაც საიდუმლოებრივი ალღოთი არკვევდა გზის მიმართულებას, პოულობდა სამოედების სადგომებს და სხ. ურალზე წამოვედი აქციზის მოხელესთან ერთად ცხენით, თავი მოვჭონდა ბარონ ტოლის პოლიარული ექსპედიციის მონაწილე ინჟინერად. მეთერთმეტე დღეს მივაღწიე პეტერბურგს, სადაც სრულიად არ მიმელოდენ ამხანაგები. ამის შემდეგ, დაახლოვებით სამი თვე, გავატარე ფინლიანდიაში, გამოვეცი წიგნაკი ამ მოგზაურობის შესახებ, ხოლო იქიდან შვეციით გადავედი ლონდონში 1907 წელს, ზაფხულზე, ლონდონის ყრილობაში მონაწილეობის მისაღებათ. ყრილობაზე არ მივმხრობივარ არც მენშევიკებს, არც ბოლშევიკებს, რომელთაც არ ვეთანხმებოდი რუსეთის რევოლიუციის ზოგიერთ ძირითად საკითხებში. დავბინავდი ავსტრიაში—ვენაში, საიდანაც ხშირად ვმოგზაურობდი ბერლინში, მჭონდა მუდმივი დამოკიდებულება გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მარცხენა ფრთასთან. ვთანამშრომლობდი გერმანიის ს. დ. პარტიის ცენტრალურ ორგანოში და გერმანულ თეორეტიულ გამოცემებში „ნოიე ცეიტ"-ში და შემდეგ ვენაში გამოცემულ „კამპფ"-ში. არა ერთხელ მომივლია ევროპა, წამიკითხავს რეფერატები; ეს გარემოება ხელს მიწყობდა კავშირი მჭონდა რუს ამხანაგებთან და დასავლეთ ევროპის სოციალისტებთან. 1908 წლიდან ვენაში ამხანაგ იოფესთან და ყოფილ ამხანაგ სკობელევთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთად ვსცემდი პოპულიარულ გაზეთ „პრავდას“, რომელიც არალეგალურად შეჰქონდათ რუსეთში. ბალკანეთის ომის დროს სერბიაში და ბოლგარეთში ვიმყოფებოდი, როგორც კორესპონდენტი, შემდეგ —რუმინეთში—ბუქარესტის საზავო კონფერენციის დროს. ასე მოვახერხე ახლო გავსცნობოდი ბალკანეთის ქვეყნების სოციალისტურ პარტიებს. 1909 წელს გამოვეცი გერმანულ ენაზე წიგნი „რუსეთის რევოლუციის შესახებ“.

მსოფლიო ომის მოახლოვებისას ავსტრიაში ვცხოვრობდი, საიდანაც 1914 წლის აგვისტოს 3-ს, ახალის სტილით, იძულებული შევიქენი სამი საათის ვადაში ავმარგულიყავ ოჯახობით, რომ არ დავეპატიმრებიე. აქ ღვთის ანაბარად მივატოვე ჩემი წიგნები და ხელთნაწერები. პირველი თვეები გავატარე ციურიხში, სადაც გერმანულ ენაზე გამოვეცი წიგნაკი „ომი და ინტერნაციონალი“. ეს წიგნაკი არა ლეგალურად გადატანილ იქნა გერმანიაში, სადაც ის მთელი რიგ დაპატიმრებათა და პროცესის მიზეზი გახდა; ავტორსაც დაუსწრებლათ რამდენიმე თვით საპყრობილეში გამომწყვდევა მიესაჯა. „კიეფსკაია მისლ“-ის კონესპონდენტის სახით გადავედი საფრანგეთში, სადაც თითქმის ორი წელიწადი გავატარე. ამ ხნის განმავლობაში მჭიდრო კავშირი მქონდა საფრანგეთის სოციალიზმის და სინდიკალიზმის მარცხენა ფრთასთან. მემარცხენე ფრანგებთან ერთად 1915 წლის აგვისტოში მონაწილეობა მივიღე ციმერვალდის ცნობილ კონფერენციაში. რუს მეგობრებთან ერთად პარიზში ვსცემდი პატარა ყოველდღიურ გაზეთს რუსულ ენაზე, უმთავრესად ემიგრაციისათვის ეს გაზეთი „ნაშე სლოვო“, შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდა ზიმერვალდისა და მუშათა მოძრაობაში ოპორტიუნისტული მიმართულების წინააღმდეგ. ამიტომ გაზეთს სასტიკად სდევნიდა საფრანგეთის სამხედრო ცენზურა, სამჯერ იქნა დახურული და ყოველთვის ახალი სახელწოდებით გამოდიოდა.

1916 წლის გასულს საფრანგეთის პოლიციის აგენტების სასტიკი დევნის შემდეგ, ორი სპოლიციო ინსპექტორის თანხლებით საფრანგეთიდან ისპანიაში გადამიყვანეს. ამის გამო ციმერვალდის კონფერენციის მონაწილეთა პარიზის კომიტეტმა გამოაქვეყნა ჩემი ღია წერილი ყოფილ მინისტრ ჟიულ გედისადმი. საფრანგეთის პოლიციის დაბეზღებით ათი დღის შემდეგ ისპანიაში დაპატიმრეს, როგორც მავნე ავიტატორი და მოძათავსეს საპყრობილეში, საიდანაც პოლიციის აგენტების „კონვოის“ ქვეშ გადამგზავნეს კადიქსში; აქ, დაახლოვებით ორი თვე ვიმყოფებოდი პოლიციის მხედველობაში, ბოლოსაჯეს ისპანიიდან გადასახლება ამერიკის ერთ-ერთ რესპუბლიკაში, ვახაიდან არც ინგლისს, არც იტალიას, რაც შეეცადნიან არ სურდა სტუმართმოყვარეობა გამოეჩინა რუსი პოლიტიკურ ინტერნაციონა-

ლისტ-ემიგრანტისადმი. დეკემბრის გასულს ბარსელონიდან ოჯახობით გავემგზავრე ვემით და იანვრის დასაწყისში მივედი ნიუ-იორკში. იქ ვმუშაობდი სოციალისტურ პარტიაში, უმთავრესად მის რუსულ და გერმანულ განყოფილებებში, ბრძოლას ვაწარმოებდი, რომ შეერთებულ შტატებს მონაწილეობა არ მიეღო ომში, ვთანამშრომლობდი ამერიკულ პრესაში.

ცნობამ რუსეთის რევოლიუციის შესახებ ჩამომაშორა ამ მოღვაწეობას. ნორვეგიის საზოგადოების პირველად გამოსული გემით გამოვემგზავრე ოჯახობით ევროპაში. მაგრამ გალიფაქსში (კანადის პორტი), სადაც ყველა გემებს რევიზიას უშვერება ინგლისის სამხედრო მთავრობა, დამაპატიმრეს ხუთ ჩემს ამხანაგთან ერთად, გამაგზავნეს სამხედრო ტყვეთა კანადის ბანაკში, როგორც „მოკავშირეთა საქმისათვის საშიშარი“ აგიტატორი. ამ ბანაკში ერთი თვე გავატარე, აქ იყვნენ გერმანელი მუშები და მეზღვაურები. გამანთავისუფლეს პეტერბურგის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მოთხოვნით, რაც გადმოცემული იყო მაშინდელ დროებითი მთავრობის მიერ საგარეო საქმეთა მინისტრ მილიუკოვის საშუალებით. რუსეთში დაბრუნებისას შევედი „გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატ ინტერნაციონალისტების“ ორგანიზაციაში იმ მიზნით, რომ ხელი შემეწყო ბოლშევიკებთან გაერთიანებისათვის, ვინაიდან ამ ხანებში ყოველგვარი უთანხმოება მოსპობილი იყო და ერთად მუშაობა საჭიროდ ჩანდა.

ივლისის დღეების შემდეგ კერენსკი—წერეთელი—სკობელევის მთავრობამ დამაპატიმრა: ბრალს მდებდენ სახელმწიფო ღალატში და დაახლოებით ორი თვე გავატარე „კრესტში“.

შემდეგი ჩემი ცხოვრება უკვე ცნობილია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისა ჩოდრიშვილი

ჩემი თავგადასავალი

გაგრძელება, იხ. „რევ. მატ.“ № 1 (6).

ტფილისში ჩამოსვლა.

ერთს მშვენიერ ზაფხულის დღეს, (კვირა დღე იყო) შინაურ საქმეს რომ ბოლო მოუღე, ჩაველ ჩვენს სახელოსნოში და კარებთან დავჯექ, აქეთ-იქით ვიყურებოდი, რადგან ოსტატისგან ნაბძანები მქონდა, რომ ვინიცობაა, კუბოს მუშტარი თუ მოვა ვინმე, შემატყობინეო.

ამ დროს დავინახე ჩემ პირდაპირ მომავალი ერთი ჩემი ტოლი ბიჭი ქალაქიდან მოსული, ლამაზად ჩაცმული. შავი შალის ჩაქანი ეხურა, სატინის გულ-ამოჭრილ ახალუხს ქვეშ წითელ აბრეშუმის პერანგზე, ბუზმენტ შემოვლებული და საკინძის ვერცხლის ღილებით შეკრული ამშვენებდენ მის წითლად გავარვალებულს სახეს და. გიშერივით თვალები-წარბები, მოხდენილად ამშვენებდენ მის ტანადობას, შუათანა ტანის კაცისას, როგორც შეჰფერის 14-15 წლის ახალგაზრდა ყმაწვილ კაცს. ლურჯი ქუდი ჰხურამს თავზე კალმუხ *) ჩაკეცილი; ჩოხას ზემოდან, ჭრელი აბრეშუმის სარტყელი არტყია, და დაკეცილი ყელიანი ჩუსტები აცვია ფეხზედ, ჩქარი და ცოცხალი მოძრაობა, თითქო ფეხებს მიწაზედ არ აკარებსო, აგერ კიდეც მოიახლოვდა და დავინახე თუ არა, ვიცანი და ერთბაშად, რაღაც სიხარული ვიგრძენ გულში და ისე წამოვხტი ფეხზე, თითქო, ავფრინდი მეთქი; გადავეხვიეთ, გადავკოცნეთ ერთმანეთი,—ეს იყო ჩემი ბიძაშვილი ისაკო; მერე გამოვკითხეთ ჩვენ ავ-კარგიანობა ერთმანეთს, ჩემი ამბავი რომ გაიგო, მირჩია წამოდი ტფილისშიო. მე ძალიან მომეწონა მისი ქებით ტფილისი და კიდეც გადავწყვიტე გავყოლოდი; შევეკითხე ჩქარა წახვალ მეთქი:

პასუხი: ერთი კვირის შემდეგაო.

მე ცოტა ჩავფიქრდი მის სიტყვაზე.

რას ჩაფიქრდიო, მკითხა.

ჯერ ერთი წელიწადი კიდე მაკლია ვადის გათავებამდის და ოსტატი რომ არ გამიშვებს, რა ვქნა მეთქი.

ეგ არაფერია, რაც ხანი მაგასთან ხარ, აბა, რა ისწავლე? და

*) კალმუხს „ჩაკეცილ“ ქუდის წვერს ეძახდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქში რომ წამოხვიდე, ისეთ ალაგზე დაგაყენებ, რომ კაცი გამოხვიდე, ჰამ ჯამაგირს აიღებ და ჰამ, ვაჭრობას ისწავლი, მეტადრე როგორაც შენ ამბობ, შენი ოსტატის ხელში, ბიჭოჯან, ვერას ისწავლი.

მისი ლაპარაკი ჰკვაში დამიჯდა და მაინც კიდევ შევეკითხე: შენ რა ხელობაში ხარ, სისაკოჯან,—ამ კითხვაზე უსიამოვნოდ გაიღიმა და მითხრა, ვაა! შე, შე ტუტუცო რო გეუბნები ვაჭრობაზე მეთქი! ვერ გაიგე! ბაყლობაზე, რაღაა! ვააა!..

თაბახს ვატარებ ხილით ქუჩა-ქუჩა და ვყიდი, და დღეში ჯამაგირის გარდა, ხან ორი და ხან სამი აბაზი „დახოდიცა" მაქვს მააააშ, გაგძელა სიტყვა. ეგ „დახოდი" რაღაა შევეკითხე (დახოდი, მეტად გაყიდულ ხილში რასაც აიღებ შენი იქნება) მაინც კვალად შევეკითხე, გაოცებით,—ვაა! შე ტუტუცო როგორ ვერ გაიგე, „დახოდი" რა არი? აი რა. ხაზეინი ორი მანეთის ხილს გატანს გასაყიდათ, მე სამ მანეთად ვასაღებ ხოლმე, ორ მანეთს ხაზეინს მიუტან და ერთ მანეთს კი მე ჩემთვის ვინახამ, გაიგე?

ცნობის მოყვარეობამ გამიტაცა და მაინც დაწვრილებით მინდოდა გამეგო და შევეკითხე:

კარგი და ხაზეინმა რომ გაგიგოს, ხო გცემს და ტუსაღანაშიაც ჩაგსვამენ; მან მომიგო რათაო. ბიჭოს, რათა და იმიტომ, რომ ეგ მოპარვაა, სამ მანეთად ყიდი ხაზეინის ხილსა და მანეთს შენთვის იტოვებ; ამ სიტყვაზედ მომიახლოვდა, მითომ და ჩუმად მითხრა. იცი რას ეშვრები, მუშტარს ხან წონაში ნაკლებს ვაძლევ და ხან ხაზეინის ფას დადებულზე მეტად ვყიდი, და აი, ის ერთი მანეთი იქიდან მრჩება, ბაშა! შენ როგორა გგონია ბიჭოჯან, კინტოები სულ ასე შვრებიან ხოლმე, ერთი წამოდი ქალაქში და ნახამ რაღა!

ისაკოს ის სიტყვა, რომ მუშტარს წონაში ნაკლებს ვაძლევ და ხაზეინთანაც მანეთი ნაკლები მიმაქვსო,—მე არ მომეწონა და როგორღაც მჭვალივით გულში გამირბინა. დავფიქრდი: არა მეთქი, აქ დავრჩები და თუ ქალაქს წამოვალ მხოლოდ იმ პირობით, რომ ხელობას თავს არ დავანებებთქო.

იმიტომ, რომ ხელობა რო დავასრულო, დღეში ერთ მანეთს და ხან მეტსაც, მოჯპარავად ავიღებ და ვაჭრობაში კი მუდამ უნდა ვატყუო მუშტარი და ხაზეინიც, ამ ბოროტებაში კი ერთხელაც რაა შემნიშნავენ შემიტყობს, ვინმე და თავს ზედ მიმაგვლევინებს.*)

1866 წელს შემოდგომა იყო, ღვინობისთვე, ტფილისში რომ ჩამოვედით. ღამე იყო, მაგრამ ისეთი განათებული იყო ტფილისი,

*) ესე იგი მიმახლევინებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ვინმემ კვდელზე თავი მიგაბლევინოს.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

სანთელ-ფარნებით, რომ ჩვენ სიღნაღში, მგონი, დღისითაც არ არი ისეთი სინათლე, როგორიც ტფილისში ღამეა.

აელაბრის მეიდნიდან სირაჯხანის დაღმართზე რომ დავეშვით ფურგუნით და ქალაქს რომ გადმოვხედე (პირველი იყო აქ ჩემი ჩამოსვლა) შევნიშნე თითქო ციდან ვარსკვლავები ჩამოსულანო, ისე მეჩვენა გაჩირაღდნებული ქალაქის არე-მარე.

ჩამოვიარეთ სირაჯხანა და გამოვედით რიყეზე, ცოტა ხანი ვიარეთ და გავედით კუკიაში, ვარანცოვის გასწვრივ, ავჭალის ქუჩის მოსახვევში და ფურგუნიც დააყენეს. მინამ ბარგს გადმოვალაგებდით, ყბა დაღებული ვიდექ და გავყურებდი, ვარანცოვის ძეგლის გარშემო გაჩაღებულ ფარნებს.

ბარგი რომ შეეალაგეთ სახლში, ცოტა შევნაყრდით და როგორც ნამ ზავრებმა, მოვისვენეთ.

ჩემი ბიძაშვილი ისაკო, მეორე დღეს წავიდა თავის საქმეზედ, მე ერთი კვირა დავრჩი ძალუა ჩემის ბინაზე, ერთი კვირის შემდეგ კი ძალუა ჩემმა გამომიცხადა, რომ ეხლა შენთვის საქმე და ბინა მონახეო, ერთი კვირა შეგინახე, ეს ქალაქია, აქ ყველაფერი ყიდვით არი შეიძლო, მეც ერთი ქვრივ-ობერი დედა-კაცი ვარ და მარტო ჩემი ხელით ვირჩენ თავს დღიურად და აბა მე სად შემიმწილიან, რომ შენც გარჩინო, ხო ხედავ, რომ ჩემი შვილებიც სხვასთან მსახურობენ და ისე ირჩენენ თავს, შენც ეგრე ნახე სადმე საქმე და შენს თავს მოუარე: ქალი ხომ არა ხარ, შინ იჯდე, აგერ თითქმის 13—14 წლის ბიჭი ხარ.

— ჰოო, ძალუა ჩემო, ეგ მართალია, მაგრამ რა უყო, რომ აქ არავის ვიცნობ და არც ქუჩები ვიცი, საით წავიდე და ვის მივმართო?

და მივმართე, ძალუა ჩემს, მოდი ერთი სიკეთე მიყავი და დამაყენე სადმე მოჯამაგირეთ, შენ უფრო გეცნობება ვინმე.

— მე რა გიყო შვილო, ხომ გითხარი, ჩემი საქმე მაქვს მეთქი, და რომ შენ ხელი დაგიჭირო და აგყვე-ქუჩა, მე რაღამ მაცხოვროს, პირობით ხომ არ ჩამოგიყვანე, რომ საქმეც მე გიპოვნო, წადი, ქალაქია, გაიარ-გამოიარე, დუქნებია, სახლებია, იკითხე სახლში ან დუქანში და დაუდექ ვისმე მოჯამაგირეთ.

— ისაკოს მაინც უთხარ ძალო, იქნებ, იმან იცოდეს ვინმე და დამაყენოს ვისთანმე:

— ბიჭო, შენ არ გეყურება, რომ არც მე და არც ისაკოს არა გვცალიანო. ეეი—ქაა! რას ჩამაცივდი ცოტ-ცხელებასავით, შენი ხომ არა მართებს რა შვილო და დედავ, მამაშენი და ჩემი ქმარი, დიდი ხანია რაც გაიყარნენ.

— მაინც კიდევ დავეღრიჯე ძალუას და ვთხოვდი, ოღონდ და მაყენე ვისთანმე და ერთს წელიწადს რა ჯამაგირსაც მომცემენ, შენ აიღე მეთქი, მაგრამ ამაზედ ძალუა დიდათ გამბრისხდა და შემომძახა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

იიჭ, თვალებიც გამოგხეთქია შენცა და შენ ჯამაგირსაც, ეე ქაა, მადლი ქენ მატლათ გადაგექცევაო, მამშორდი და ნუ მელრიჯუები უხეირო გლახასავითო, და მამშორდა,

---

ძალუა ჩემის ასეთმა ქცევამ გული მწარედ დამიფორიაქა და სატირლად გული ამიკორკოტდა. გულ-ამომჯდარმა ვეღარაფერი ვთქვი და გამოველ ქუჩაში; ცილა იყო მზიანი, 8 საათი იქნებოდა, რომ გამოველ ქუჩაში. ვიდექი და დიდხანს ვფიქრობდი და ვეკითხებოდი ჩემ თავს: ჰა, რა ვქნა, საით წავიდე, ამ ზღვით ოდენა ქალაქში, ეს ჩემთვის უცნობი ქვეყანაა და არც არაფინა მყავს აქ ნაცნობ-ნათესავი. ვის მივადგე კარზეთ თქო, და დიდი ფიქრის შემდეგ, გულ ამღრღრეულმა ისევ გადავწყიტე, რომ წავსულიყავ ავლაბრისკენ, რიყის გზით, რადგან ეს გზა უფრო ნაცნობი იყო ჩემთვის, და ავლაბარშიც იმიტომ, რომ იქნება შემხვდეს ვინმე ჩვენებური და უკანეე წავალ მოტყუებული მეთქი, მაგრამ, მეორე ფიქრმა გამირბინა გულში და უცბათ შევეკითხე ჩემს თავს, მერე ნაცნობები, ნათესავები ან და ჩემი ოსტატი და დედ მამა, რას მეტყვის მეთქი. ამ მწარე ფიქრებმა უფრო დამაღონეს და გამამწარეს, მაგრამ გულის თქმას დავძლივე და უკანასკნელად გადავწყვიტე: ეჰ, რაც მამიეა, მამივა, უნდა დავრჩე ტფილისში, და რა საქმეც შემხვდება, იმას მოვკიდებ ხელს მეთქი. და ამ ფიქრით გაუდექი რიყის გზას. მანამ ავლაბრის ხიდთან მივიდოდი, შაბათის გლახასავით ერთი დუჩანიც არ დამრჩენია, რომ არ მეკითხოს, მოკამაგირე ხომ არ გინდათ მეთქი, მაგრამ ი კაი კაცებმა ყველამ უარი მითხრა, თითქო პირი მიუციათო.

გაველ ავლაბრის ხიდით, ფქვილის მოედანზედ და იქ დიდხანს დავხეტიალობდი, ვათვალიერებდი იქაურობას, თითქო ჩემთვის მიენდოთ მოედნის მეთვალყურეობაო.

და აგერ კიდეც დავინახე შუა მოედანზედ, მაღალი ჭრელი ბოძი, რომელზედაც წითელი ბაირაღი იყო ჩამოკიდებული, ამ ბოძის ძირში დიდი (ყაფანი) სასწორია, სადაც ბუზიცით ირეოდა ხალხი — ზოგი ფქვილს საცალოებით სწონამდა და ზოგი მარილსა და სხვა და სხვა საქონელს.

და ზედ მოედანზე ვეებერთელა მთა-მიკეცული ფქვილით სავსე ტომრებით გაჩენილი იყო, რომ ნემსი არ ჩავარდებოდა, აგრეთვე სავსე იყო მოედანი მრავალი სხვა და სხვა სანოვაგით. მოედანს სამი მხრიდან, ვარანცოვის ქუჩიდან და ორივ ხიდით გზებიდან შემოსავალი გზა ქონდა, საიდანაც აქლემებით და ურმებით აუარებელი საქონელი შემოდიოდა.

მოედანს დასავლეთის მხარეს მიუდის ორი გზა: ერთი, რომელ-

საც ეძახიან პატარა სირაჯხანას და მეორე კი შუა ბაზრისკენ გადის და უერთდება სიონის ქუჩას, აი ამ ორ ღობესავით დახურულ ბაზარს ეძახიან და ორივ მხრიდან გაჭიმულია მრავალნაირი საქონლით.

და ამ მრავალ მუშათა ნაშრომს დაპატრონებია ორიოდე ჩასუქებული ლიპებიანი და გამვლელ-გამომვლელს ეძახიან აქეთ მობძანდით ჩვენ გვაქვს რაც გნებავთო. და ვაი იმათი ბრალი, ვინც ჩაუვარდებათ ხელში, და როგორც ობობა ბუზს ისე გააბამენ ქსელში და როგორც უნდათ ისე სწოწნიან მყიდველს სისხლს და ჯიბე-ფულს უცარიელებენ. ერთი სიტყვით, რა უნდა თვალს და გულს, რომ ამ მოედნის არე მარეში ვერ იშოვნოს ადამიანმა; ამ მოედანზე დიდ ხანს დავდიოდი, შუადღის ზარბაზანიც გავარდა და მოედანს ბაირაღიც ჩამოიღეს, მე მაინც მოვაპრე დუქნებს აუელ-ჩაუელიდი ხოლმე და მოვაჭრეების სადილობას ვათვალიერებდი და ათასნაირი საშმელების სუნი რომ მესმოდენ, პირ-წყალი მომდიოდა და ჩქარ-ჩქარა ნერწყვს ვყლაპამდი.

რო გადამიღალდა თვალ-გული, აქეთ-იქით ცქერით და შიმშილით, მივმართე სადილზე მსხდომ მედუქნეებს და ვეკითხებოდი, მოკამაგრე ხომ არ გინდათ მეთქი, მაგრამ ყურიც არავინ მათხუეს, და ისინი იფ-იიფის ძახილით შეექცეოდენ სადილს, და თანაც თითებს ილოკმიდენ. ეტყობოდათ, რომ გემრიელ საშმელს მიირთმევდენ და ზოგიერთი თუ ალმაცერათ გადმომხედამდა, იგინიც—ვნა ვორიო (გასწი დაიკარგეო) ჩემ შეკითხვაზე მეუბნებოდენ; ასეთ გამოუსვალ მდგომარეობაში ვიყავი: აქვე მოედანზედ, ჯვარის-მამის ნაზუქ-ნაზუქი პურები უწყვიათ ხონჩაზე მეპურეებს გასაყიდათ და ყვირიან ჰაი აქეთ კარგი პურიო, მიველი ახლოს მეპურეებთან, ხან აქეთ და ხან იქით აუარ-ჩაუარე, ეგებ გაიგონ, რომ მშიან, მაგრამ ამაოა ჩემი ფიქრი, ისინი მეკითხებიან აქეთ იქიდან, რამდენისა გინდა, რამდენისაო. მე კი ვეუბნები—არა, არ მინდა მეთქი, თუმცა კი მინდოდა, მაგრამ ფული არ მქონდა, რით მეყიდნა. თხოვნისაც მცხვენიან, გლახა ხომ არა ვარ, რომ ვითხოვო თქო. და ამ მდგომარეობაში ვიყავი ჩაფლული და აგერ მზეც ჩასვლაზე იყო საღამოს ზარებიც დარეკეს და მეც გამოვწიე შუა ბაზრისკენ. მივდივარ და ვფიქრობ ღამის გასათევ ბინაზე; ამ შუაბაზრის მედუქნეებსაც ვეკითხებოდი, რომ ავეყვანე ვისმე მოსამსახურეთ დუქანში ან სახლში, მაგრამ აქაც ყველამ უარით გამისტუმრა.

—

ამ დარდ-ვარამ-ფიქრებით, მოვდივარ და მეც არ ვიცი საით და ვისთან. აგერ მზეც ჩავიდა და მეც ვერ გავიგე, როგორ მოველ ჭაშუეთის ეკლესიასთან, გვერდზე რომ ბაღია და ბაღში დავინახე ვებერთელა შადრევანი, რომელიც ერთ საკნეზე წყალს ისროდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღლა და შადრევნის ირგვლივ მრავალი მოსეირნე ქალი და კაცი ზოგი იჯდა სკამებზედ და ზოგნი დასეირნობდენ, მეც მოვტრიალდი და კიბეებზედ ჩავირბინე და ჩაველ ბაღში, მეც ამ შადრევანს გარშემო მოუარე და დასავლეთის მხარეს ერთ გამარტოებულ სკამზედ იჯდა ერთი მოხუცი კაცი და მეც მიველ და ამ სკამზედ დავჯექ, რომელზედაც მოხუცი იჯდა.

მე შევყურებდი ამ მოხუცს, ეტყობოდა, რომ მუშა კაცი იყო, ალბათ, ამიტომ წელში მოხრილი და ძალაზედ თმა გათეთრებოდა, პირი სახე დალმეჭოდა სიბერისგან და კისერი დანაოჭებოდა, ნუშის გულათ დაგვირისტებულ ახალუხსა ჰგვანდა, ცხვირი გასწითლებოდა მგონი ბევრი ბურნუთის წევით და თეთრ წვერ ულვაშს დასტყობოდა სიყვითლე ბურნუთის თუ თამბაქოს წევით, წარბები ზედ თვალებზედ გადმოფაროდენ, ტანზედ ეცვა შავი მაუდის ძველებური ყურთ მაჯებიანი კაბა, თავის მწვანე სარტყელით, განიერ ტოტებ ჩაშვებული, ძველი მაუდის შალვარი, შავი ბუხრის ქუდი; ეტყობოდა, აქა იქ ფოლაქ-ფოლაქ ბეწვებ ამოგლეჯილი და ბეწვის მაგიერ მელნით შავათ შელებულია; ძველებურივე სირაჯური წაღები ეცვა. ჯობი ეპირა და მაზედ დაყრდნობილი დედამიწას დაჰყურებდა. ვინ იცის, რა ფიქრით, ისე კი ჩაეღუნა თავი, რომ თითქოს არავის დანახვა არ უნდაო, მხოლოდ დედამიწისთვის მიუნდეია თავისი გული ვარამი ფიქრი და ამისაგან მოელის პასუხსაო. ამ დროს თითქოს ვიღაცამ ყურში ჩასძახა და დედამიწიდან პასუხი მიიღოვო, ხელი უბეში ჩაიყავი ბურნუთის კოლობი ამოიღე, მოსწვიე და შენი დარდ-ვარამიანი ფიქრიც მაგას გააყოლეო. მართლაც, თავი მაღლა აიღო, ჯობი ლაჯგებში ჩაიდო, ბურნუთის კოლოფი უბიდან ამოიღო, მარცხენა ხელის მაჩვენებელი და სალოკი თითსა ცერს შუა დაიჭირა კოლოფი, ხუფს (სახურავს) მარჯვენა ხელის თითით „დააკაკუნა კოლოფს, მერე ხუფი აჭხადა და ერთი წება, ცერით და სალოკი თითით ამოიღო ბურნუთი; ჯერ შეისუნთქა, ცხვირის მარჯვენა ნესტოში და მერე მარცხენა ნესტოში; რომ შეისუნთქა მე მაშინ დამინახა, რადგან მარცხნივ სკამის ბოლოში ვიჯექი.

ამათვალიერ-ჩამათვალიერა და მგონი შემატყო, რომ დაღონებული ვიყავ და ამიტომაც მკითხა:

— ვისი ხარ პატარა ბიჭო, ამ დროს აქ რას ხიხარ შვილო: ან ოსტატი, ან დედმამა არა გყავს, რას გეტყვიან, ხომ გაგიჯავრდებიან. ეს რომ მითხრა, მამაგონდა მშობლები და ნათესავები, მაგრამ, რომ შორს იყვნენ, ჯავრით გული სატირლად ამომიჯდა და სლოკინით უამბე ჩემი სადაურობა, გულ ამომჯდარმა ტირილით მხოლოდ ესღა უთხარ, რომ ღამის გასათევი ბინა არსად მაქვს მეთქი; თან თვალებიდან თავის თავად ცრემლები გადმომდიოდნენ, რომ

გაიგო აქ არავინ მყვანდა და ასე ვწუხდი და ვნაღვლობდი, მითხრა—ნუ სწუხარ შვილო, ნუ სტირი, მე წაგიყვან ამალამ ჩემთან, შენოდენა შვილები მეცა მყვანან, ნუ გეშინიან, ტყეში ხომ არა ხარ, ქალაქში ხარ, აქაც არიან ადამიანები, რომელნიც უპატრონოს და უბინაოს ხელს გაუწვდიანო, და ადგა ზეზე, ჯოხი ხელში აიღო და მითხრა: წამოდი ჩემთან, ამალამ ჩემთან გიქნება ბინა და ხვალ ღმერთი მოწყალეაო, და ხვალე საქმესაც მე გიშოვნი, ნუ გეშინიან, მაგის დარდი ნუ გაქვს შენაო.

მე კი ამ მამა შვილურ ლაპარაკმა ისეთი გამახარა, რომ მთელი დღის შიმშილიც კი სულ დამავიწყდა, აბა იმ ღამეს ამაზე კარგ ალაგს სადღა ვიშოვნიდი; გამიძღვა ეს კურთხეულის შვილი ბერიკაცი და მეც გავყევი. შეუდექით მთაწმინდის აღმართს. მელაპარაკება მოხუცი რომელ ხელობაზედ ან ვაჭრობაზედ გინდა იმას გიშოვნიო. აბა მე რა მეთქმოდა იმის მეტი, რაც უნდა იყოს, ბიძია ოღონდ კი დამაყენე ვისთანმე და შენ გასამრჯელოს მოგართმევ თუ ვიშოვნე საქმე და დავდეგ ალაგზედ: ეხლა კი არაფერი მაქვს ძია და შენ სიკეთეს არ დავივიწყებ. ეს თითქო ითაკილა ჩემგან, და—კარგი, კარგიო, გამაწყვეტინა სიტყვა.

—მე შენი არაფერი არ მინდა, ოღონდ ვისთანაც დაგაყენო, რიგიანათ მოიქეცი, რაც დაგსაქმონ მარდათ და დაუზარებლათ შეასრულე, გულის ყური გაადევნე შენ საქმეს, ტყუილს, ცუღლუტობას, ან ხელ მბრუნდობა. ან დაუკითხავათ არა აიღო რა, თორემ ქურდობაში ჩამოგართმევენ და მეც შევრცხვები და შენც აღარავინ დაგიყენებს მოჯამაგირეთო.

ეტყობოდა ამ კურთხეულ მოხუცს, ალბათ თავისი შვილებიც ასე ტკბილათ და მშობლური გრძნობით დარიგებაში უნდა ჰყოლიყოს, რომ მეც ასე გულ მოდგინეთ და მამაშვილურად მარიგებდა.

—

თითქმის კარგად შებინდებული იყო, რომ თავის სახლში მიმიყვანა, სახლი დგას მამა დავითის დასავლეთის მხარეს და იმას ზევით სხვა სახლი აღარც იყო. გარდა ჩამონგრეული კლდისა, სახლი იყო ერთ სართულიანი თავის პატარა დერეფნით, ბანური ორი ფანჯრიანი და ერთი კარი ქონდა, და გადმოჰყურებდა ზევიდან ფანარი სანთლებით განათებულს ქალაქს. აგერ შორ-შორს მარჯვნივ და მარცხნიდანაც მოჩანან მრავალი სანთლების შუქი ვითა მკრთალი ვარსკვლავები ცის უფსკრულიდან.

—

ის იყო დიასახლისსაც სანთელი აენთო და მისჯდომოდა თავის ხელ საქმეს, რომ მოხუცმა გააღო კარები და შემიძღვა დარბაზში, შესვლის უმალვე მე კარებთან ავიტუზე, როგორც ოსტატის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლში ვიყავ ჩვეული და ვათვალიერებდი სახლის შინაგან მოწყობილებას. კარების პირდაპირ გამოჩანს ბუხარი, ბუხრის მარჯვენით და მარცხნივ მოჩანს, ორი განჯინა, რომლებიც იყვნენ თეთრი მიტკლის ფარდით ჩამოფარებული, ბუხარის თავზე გამოშვერილ აგურზე, იდგა თითბრის შანდანი ქონის სანთლით და მკრთალად ბეუტაედა, ბუხრის წინ ოთახს სამი კუთხე ეკავა ფიცრით შეკრულ ტახტებს, და ძველი ფარდაგ ხალიჩით იყო დაფენილი, სწორედ იმ კუთხეში იყო ოთახი მოწყობილი როგორც ჩემ ოსტატიანთან, მხოლოდ, ეს უფრო ღარიბულად, მაგრამ სუფთათ კი, როგორც შეჰფერის ქალაქში მცხოვრებ მუშა კაცის ოჯახს.

ბუხრის მარცხნით კედელზედ მიყუდებული იყო ისეთივე ჩალით გატენილი, ყაითნის საქსოვი გუდა, როგორიც ჩემ ოსტატის ჯალაბსა ჰქონდა, ეს კი ვიცან, რადგან ჩვენ სიღნაღის ქალების პირველს ხელ საქმეს შეადგენდა და ეტყობა აქ ქალაქშიაც მიღებული ყოფილა ასეთი ხელობა და ამიტომაც, სწრაფათ ისროდა აქეთ-იქით გუდაზე ჩამოკიდებულ გუგუთა ჯოხებს დიასახლისი და გართული იყო თავისი საქმიანობით, ამიტომ ჩვენ სახლში შესვლაზე ისე რიგად ყურიც არ გვათხოვა.

მხოლოდ მოხუცმა, რომ შემხედა ისევ ფეხზედ ვდგევარ, მითხრა: დაჯექ შვილო ტახტზე, ფეხზე რას დგეხარო.

ამ დროს დიასახლისმაც გადმომხედა და ჰკითხა მოხუცს:

— ვინ არი ქაა ე ყმაწვილიო, რა უნდა, რისთვის მოგიყვანიაო?

— მოხუცმა უამბო დიასახლისს ჩემი ამბავი და უთხრა: სალომე, თუ ღმერთი გწყალს გვაჭამე რამე, მთელი დღე დავწყდი მუხლებში სიარულით და ვერა ვიშოვნე რა და ეს ყმაწვილიც როგორც ამან მიამბო, მგონი ესეც მშიერია მთელი დღე და სალომემაც გადმომხედა და სიბრალულით თქვა, უი, დედასა შვილო, რა ძნელია შენოდენა პატარ ბიჭისთვის სხვა მხარეს და ქალაქში ყოფნა უპატრონოთო. უი ქაა: ეხლა იქნება ამის დედის გული; ან როგორ იმეტებდა, რომ ამ სიმორეზე გზავნიდა, იჰ, გეთაყვათ: ზოგი დედის გული და ჯიგარი რა არი ქაა: უი უწინამაც დღე გამიჭრეს, რომ ეხლა ჩემი გიორგი გავგზავნო სადმე, იი, ენაცვალოს დედა, კარგი იქნება თუ ავი, ისევ ჩემი თვალით რომ ვხედამ გულითაც მოსვენებული და დამშვიდებული ვარ, ქაა ან რა გამაძლებინებს, რომ ერთ ღამეს სახლში ვერა ვნახო ჩემი გიორგი, ისიც ეხლა ამოდენაა, არ ვიცი დედა მკვდარმა რათ დაიგვიანა ქაა. სალომეს კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, რომ მოხუცს სიტყვა არ გაეწყვიტებინა.

ეჰ, სალომე შენ არ იცი, რომ ჯერ ადამიანის ცხოვრება ასეა მოწყობილი, ნათქვამია ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასაო, და ასეც არი და ავრეც უნდა, ხომ გაგიგონია—შვი-

ლი მტრულად გაზარდე მოყვრულად გამოგადგებაო: ამის მშობლებსაც, ჩემზე მოუშვირა ხელი, ასე უფიქრიათ, დაეხსენ მიდგეს, მოდგეს და ყველაფერი გამოსცადოს, რომ თავისი გამოცდილებას, ბოლოს თითონვე გამოიყენებს და გამოადგება. სწორედ ამოდენა ბიჭობიდანვე უნდა დაიწყოს კაცმა ავისა და კარგის გამოცდა, რომ იწვნიოს კარგის, ნამდვილის გემო და ლაზათიც, და მერე მე შემომხედა მოხუცმა და მეც შემაჭო და გულს მიკეთებდა და სთქვა—ეს ისეთი ცოცხალი ბიჭი ჩანს სალომე, რომ ყველაფერს აიტანს და ბოლოს კარგი კაციც დადგება.

მოხუცს ჯერ სიტყვა არც კი გაეთავებინა, რომ კარები შემოიღო და შემოვიდა ჩემოდანა ბიჭი, შეკრული ხელცახოცით ხელში, შემოსვლის უმალვე დედამ მიაძახა შვილს, იჭ, შვილო სადა ხარ აქამდის, რად დაიგვიანე? მე კი გული გამიწყალდა შენ ლოდინში დავა! რათ დაიგვიანეო, დედა არ იცი, რომ დღეს შაბათია და მინამ შეგირდანოს აეიღებდი დამიგვიანდებოდა, მარა ხელცახოცი მიაწოდა დედას მწვანილით, სალომემ ამოიღო მწვანილი, დააწყო თეფშზე და სუფრაც გაშალა. მოუსხდით მწვანილსა და პურის ჭამას. ვახშამიც გავათავეთ და მოვისვენეთ.

—

მეორე დღეს, ჯერ მზე არ ამოსულიყო, რომ მოხუცი ამდგარიყო. ტანთ ჩაეცვა და ის იყო მე უნდა გავეღვიძებინე, მაგრამ მე უფრო ადრე გამეღვიძა და ჩაცმულიც ვიდექ დერეფნის ბოძზე მიყუდებული და აქედან გადმოყურებდი ქალაქს. აგერ მზეც, თავისი ოქროსავით ბჟყვროალა სხივებით მოეფინა პირველად მთაწმინდის არე-მარეს, ამ ამომავალი მზის დანახვაზედ გამახსენდა ჩვენი სიღნაღი და წარმომიდგა ნუკრიანი, საიდანაც, განსაკუთრებით ამისთანა ბრწყინვალე დილას გადმოვხედამდი ხოლმე, როცა დაღესტნის მთების იქიდან მზე ამოიღალპებდა და პირველად ნუკრიანის არე-მარეს მოაშუქებდა ხოლმე, და მეც კოკა მხარზე გადგმული, დავეშვებოდი თავგატეხილისკენ.

და თან სოფლებიდან ჩამომავალ, კაცსა და დედაკაცებს ვათვალიერებდი, რომელთაც ზოგს მხარზედ გადებულ ბოხჩით და ზოგს ხურჯინით და ზოგსაც წინ გაუდგია დაზვეპული სახედარი, კაცთა ჰირხანულით და შრომის ნაყოფით, მიეშურებიან სიღნაღის ბაზარ-მოედნისაკენ, სადაც ჩამწკრივდებიან მოედანზედ 5—6 პირად მომატებული წელად, უფრო ქალ რძალ, დედამთილი და უწყვიათ წინ გასაყიდათ რაც კი კაცის სულსა და გულსა უნდა.

პური-ღვინო, ხილი, ფრინველი, ოთხფეხი, მატყლი, ბამბა, აბრეშუმი, ხამი, მერდინი, (ჩესუნჩა), შალი, ნაბადი, წინდა-პაჭიჭი, რა უნდა თვალს, რომ ამ მოედნებზედ არ მოიპოვებოდეს, მაგრამ ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვითა და დაგვით მონაგარს, მშრომელთ ნაყოფს, დაესევიან ხოლმე სიღნაღის, ჩარჩ—ვაჭრები და მუქთა ჭამას დაჩვეული მცხოვრები და დამშეული მგლებივით იტაცებენ და აფორიაქებენ და სულ უბრალო ფასებში იგდებენ ხელში. და 'გლეხის რძალ დედამთილი კი, ამ ძვირ ფასიან და ყუათიან სანოვაგეში და საქონელში მხოლოდ იღებენ ვაჭრისაგან მოჭირ-ნახულები მხოლოდ უბრალო საგნებს ესე იგი, კევს, ლილას, კოჭას, გუნდას, ფერუმარილს, ნრიკას, ნემს, ქინძისთავს, და უბრალო ბრონძის ბეჭედს, საყურეს, მძივს და სხვა.

ამ ფიქრებში რომ ვიყავ გართული, სახლის კარები გააღო და ჩემ მოხუცს მიმოწვივა ჩაის დასალევათ, ჩაი რომ გავათავეთ,—მითხრა—აბა წავიდეთო.

აღექსანდრეს ბაღს, რომ გავცდით და ხიდის ყურზედ შევდექით, მარჯვნივ მხარეს, ერთ მეხილეს დუქანთან მიმიყვანა ჩემმა მოხუცმა, თითონ შიგნით შევიდა და ცოტა ხანს მეც დამიძახეს. შესვლის უმალვე მეხილემ მკითხა.

ბიჭო, შენ თაბახის ტარება შეგიძლიან. მე გაკვირვებით უპასუხე, ისეთი რა თაბახი უნდა იყოს, ვერ ვატარო მეთქი. ვიფიქრე ჩემ გულში, ამიტომ თამამად უპასუხე როგორ არა მეთქი.

მე აგრე მეგონა თაბახს, აქეთ იქით გამატანს ვისთანმე, და გინდა ორ სამსაც წავიღებ თქო. მერე ჩემ მოხუცმა და მეხილემ რაღაცა ილაპარაკეს სომხურად და შემდეგ მეხილემ მითხრა: მაშ, კარგი დარჩიო, მოხუცი გამოვიდა და რომ მოდიოდა, მომიბრუნდა და ესღა მითხრა, აბა ახლა შენ იცი როგორც მოიქცევი და გამომესალმა და წავიდა, ის დღეა და ეს დღეა, აღარ მინახავს ჩემი მოხუცი.

ორშაბათი დილა იყო, მეხილემ, ჩემმა აღამ, გეო ერქვა, ცალი თვალით ბრმა იყო, გაამსო ერთი თაბახი ლეღვით რაღაცა დამრგვალებული ტილო დამადო თავზე; მერე ლეღვით სავსე თაბახი დამადო თავზე, გირვანქები ჩამიწყო თაბახშივე. სასწორი მხარზედ გადამკიდა და მითხრა:

— აი ეს ლეღვი წაიღე, ქუჩა-ქუჩა ატარე და იყვირე: ჰაი კარგი კუმური ლეღვი თქო და გაყიდე გირვანქა ხუთ გროშად, ჰჰაა, გესმის. ჰო მეთქი, მაგრამ, ეს რომ მითხრა რაღაც სირცხვილმა ელდასავით გამირბინა გულში და ორი ხელით დაბღაკებული თაბახი კინაღამ ხელიდან არ გამივარდა.

— ვფიქრობდი და ჩემ თავს ვეკითხებოდი, ეს რა ღმერთი გამიწყრა მეთქი, რო ქუჩებიც არ ვიცი, საით წავიდე და როგორ გავყიდო მეთქი, მინდოდა უარი მეთქვა ჩემ აღისთვის, მაგრამ რა მექნა, სად წავსულვიყავი და ვისთან დამდგარვიყავ:

და მაინც გადავწყვიტე,—ეჰ ჯანი გავარდეს, რაც იქნება იქნება მეთქი და გავსწიე; ჩუღურეთისკენ, რადგან იმაზე მეტი გზა არ ვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოდი. და ყვირილიც მცხვენოდა. როცა წინ ან უკან ახლო ვერავის დავინახამდი, მაშინ კი ხმას ამოვიღებდი, ისიც ჩუმათ, რომ მარტო მე გამეგო. ამ სიარულით გამოველ ჩუღურეთში ნიკოლოზის ეკლესიასთან. აბანოს წინ მხერხავების გვერდზე გავდგი ლეღვით სავსე თაბახი და მეც გვერდზე მოვუჯექი.

საღამოს ზარების დარეკვამდის ამ მხერხავების მახლობლათ ვიჯექი და ექვსი შაურისა ძღივს გავყიდე, ჩემმა აღამ პური არ მომცა და არც მითხრა, დუქანში მისვლა სადილათ, ამიტომ ხან ვის ვეღრიჯებოდი და ხან ვის, იყიდეთ კუმური ლეღვი მეთქი. აგერ მზეც ჩავიდა და მხერხავებმაც სამუშაოს ხელი აუშვეს, ამ დროს ერთი მხერხავი მოვიდა ჩემთან და სულ ნარდათ მევაჭრებოდა ლეღვს, მომირიგდა ექვს შაურად და ფულიც ამოიღო ქისიდან და რო მაძლევდა ეს ამოდენა კაცი, თითქო ხელი ჰკრა ვინმეო, გადმოეშვა და ზედ კი დამეცა, მე და ჩემ თაბახს, მე როგორც იყო, გამოუძვერ ქვეშიდან და ლეღვი კი სულ დამიჟყლიტა, და ზედ თაბახზე იქიმებოდა, და ხან იკრუნჩხებოდა. მე რომ ტირილი დავიწყე, მუშის ამხანაგები ეწეოდნენ წაქცეულ კაცს, მაგრამ, რომ დაატყეს გაშავებულ და მკვდარს მაშინვე მორთეს ყვირილი: კვარტალი, კვარტალი და კვარტალ დესეტნიკი და ექიმი საიდაღაც გაჩნდენ.

ექიმმა და კვარტალმა რომ ნახეს კაცი მკვდარია, რაღაც დასწერეს, მკვდარი კი ფაიტონში ჩადეს და სადღაც გაატანეს დესეტნიკებს.

მერე კვარტალი მობრუნდა და კითხულობდა, ვისია ლეღვით თაბახიო, მე შევეტირე ჩემია კნიაზო მეთქი, ამ ჩემ თქმაზე ერთი სილა გამაწახუნა, რომ ყურებმა წუილი დამიწყო. დესეტნიკს უბრძანა კვარტალმა:

—წაალებინე ეს ლეღვი მტკვარში გადააყრევინე და ეს ბიჭი კი პოლიციაში წაიყვანეო. დაჟულეტილი ლეღვი, გირვანქები და გაყიდული ლეღვის გროშებიც შიგ ეწყო თაბახში, მე შიშით ველარა გავიგე რა და ნიკოლოზის ეკლესიის გვერდით გადამაყრევინეს მტკვარში. მხოლოდ სასწორით და თაბახით დესეტნიკმა წამიყვანა პოლიციაში. ხანდახან მუჯლუგუნებსაც მკრავდა ხოლმე გზაში დესეტნიკი, რადგან წასვლაზე უარს ვეუბნებოდი და როცა პოლიციაში მიმიყვანეს, გამომკითხეს და სადღაც ნოტიო ბნელ სარდაფში ჩამკეტეს. ეს პოლიცია იყო ელისაბედის და ნემეცის ქუჩის კუთხეში.

იმ ღამეს იქ გამაჩერეს და მეორე დილას 11 საათზე ამიყვანეს კანცელარიაში და ჩემი აღაც იქ დამიხვდა.

აღა რაღაცას ელაპარაკებოდა კვარტალს სომხურად და მერე შევიდენ ცალკე ოთახში და ერთი საათის შემდეგ გამოვიდა აღა და მეც წამიყვანა დუქანში სასწორ-თაბახით. აღას დუქნის უკან ჰქონდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ღრმა სარდაფი, სადაც ცარიელი ხილის გოდრები და იაშიკები ეყარა და ცოტა სამინდის ქვეჩეჩი და თივაც.

იმ ღამეს იქ გავათევე და მეორე დღეს აღამ რო დუქანი გააღო, დამიძახა და გამომიცხადა, რომ შენ ჩემთვის არ გამოდგები და საითაც გენებოს იქით მიბძანდიო, რაღაც სომხურათაც დაურთო: კორი შან ვურთიო (დაიკარგე ძაღლის შვილოვო).

ეს რომ გამომიცხადა აღამ, გულში ლახვარივით მომხვდა და იმ წამს სიკვდილი მერჩივნა სიცოცხლეს, მაგრამ რა მექნა, თუ კი ჩემ ბედშაობას, ეს ღნდა გადაჰედოდა, ალბათ ასეთი იყო ჩემი ბედი!

მეც ავდექ და გავშორდი მეხილეს, შეველ ალექსანდრეს ბაღში, სადაც ჩემსავით ქუჩის ღარიბ ღატაკი და უმუშავართ მრავლად მოეყარათ თავი და ზოგი სკამებზე ისხდენ და ზოგიც ისე დახეტიალობდა. შუადღემდის მეც იქ დავხეტიალობდი, მაგრამ ისეთი მოშშივდა, რომ გული შიმშილით მიწყალდებოდა, არც ფული მქონდა არც ნაცნობი ვინმე მყავდა, ისევ გაველი ბაღიდან და გავყე იარშეკის მედუქნეებს და ყველას ვეხვეწებოდი მოჯამაგირეთ დამიყენეთ მარტო პურის ფულში მეთქი, მაგრამ ყურადღებაც არავინ მომაქცია ბოლოს იპრიანა ჩემმა ბედმა და ერთ მეტრახტინემ ამიყვანა დუქნის მოსამსახურეთ, ჰუჰკინის ქუჩაზე, თამამშვევის ქარვასლის პირდაპირ ტრახტირი და ლეკორჩიკის (სასმელების) დუქანი ჰქონდა, გლახას ეძახდენ გვარი აღარ დამახსოვდა.

ტრახტირში ორი თვე ვიმსახურე, (1866 წ.) და ამ ორ თვეში სამზარეულოში ქვაბების და ჭურჭლის რეცხვამ ისე გამიხადეს ისეც ძველი ტანსაცმელი, რომ ჰუჰყისაგან კაცი ვერ გაარჩევდა, ჩითისა იყო, თუ ხამისა, და რადგანაც საცვლებიც არა მქონდა, საეჭვო მხეცებმა ხომ გამიჭირეს საქმე, რომ აღარც დღე და აღარც ღამე მოსვენება არ მქონდა, ისე ვიკაწრიდი და ვიფხანდი ტანს, რომ ძალიან შეეწუხდი. ერთ საღამოს გაუბედე და უთხარი აღას: აღავ შენი ჭირიმე, ჰუჰყისაგან მოსვენება აღარ მაქვს და თუ შეიძლება ერთი წყვილი საცვლები მიყიდე და ჯამაგირში მიიანგარიშე მეთქი, თორემ მუშტართან რომ კერძი მიმაქვს, სულ მლანძღამენ, შენ ნუ მოგაქვს კერძიო, ზიზღით მიყურებენ, ჰუჰყიანი ხარო. მზარეულს რომ ეუბნები, მუშტარი მებუზღუნება, ჰუჰყიანი ხარ და შენ ნუ მოგაქვს კერძიო, ისიც ცემას მიპირობს, აი იმ დღეს თქვენი საწყობის გამგე მობძანდა და ჩაი მოითხოვა, ჰიქით მივართვი, მაგრამ კინაღამ თავში არ დამარტყა, ერთი მწვავე სილა კი მტკიცა, შე მყრალო ტანსაცმელო, ვერ გამოიცვალეო.

მე უთხარი არა მაქვს და რა გამოვიცვალო მეთქი, მაგრამ კისტის (კინწის კერით) კვრით გამომაგდო, როგორ თუ სიტყვა შემომიბრუნეო. მერე ამაყად და ბრძანებით შემიტია კარგი და აქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არავინა გყავს ნათესავი, რომ ერთი ხელი საცეცები გიყიდოს, მა-
ნამ ვადას გაათავებ? რა ვქნა აღარ აქ თქვენს მეტი არავინა მყავს,
თორემ არ შეგაწუხებდით:

სიტყვა აღარ გამათავებინა და გაჯავრებით მითხრა:

— მე არ ვიცი, შენ აგიყვანე მოსამახურეთ, მზარეულის ხარჯ-
ზედ, და ეგ იმის საქმეა გიყიდის თუ არა, დაუძახა კიდეც მზა-
რეულს,—დანიელ (მზარეულის სახელი იყო).

მზარეული რომ გამოვიდა კუხნიდან, ჩემზედ მიუთითა აღამ, საზიზღრად დაღმენჭილმა და უთხრა დანიელს:

— ამ მაძაძაღს, რა უნდა ჩემგან, რას თხოულობს, მე შენთვის დავიჭირე სამზარეულოში მოსამსახურეთ და ამის ანგარიშიც შენ უნ-და იცოდე, განა საქმე აღარა გაქვს კუხნაში, რომ მოუცლია და მო-ურიდებლად პირში მელაპარაკება? ეს აღა გლახამ ისეთის გაკვირ-ვებით და თან საყვედურით უთხრა დანიელს, რომ მზარეული დანი-ელიც გაცეცხლებული და გამხეცებული გადასწვდა დახლში, ამოიღო მათრახი და დამიწყო ცემა უწყალოდ და თან ლანძღვა-გინებით მე-უბნებოდა: იქ კუხნაში ქვაბები და ჭურჭელი გასარეცხი გაგიშვია და შენ აქ პატიოსან კაცს აწუხებს? ერთი კიდეც შემომიკორთხა.

ამ დროს ამ საჩაიეში, ერთი რუსის ჩინოვნიკი ჩაის სვამ-და და ღმერთმა უშველოს იმან მიხსნა და რუსულად ჯავრობაც დაუწყო, (მაშინ მე რუსული არ მესმოდა) და ვერც გავიგე რას ეუ-ეუბნებოდა, ეს კი გავიგე რომ ეუბნებოდა: „ბაჩემ ბიოშ ნე ხარაშო“-ო თორემ ჯერ შოლტ ტყავს ამაძროობდა ზურგიდან.

რო დავებწივე ხელიდან, ჭურჭელს დაუწყე რეცხვა, დანიელი პოვერი, გამხეცებული, უშვერის პირით და უწმაწური სიტყვებით მაგანინებდა და მითომ თავის გასამართებლად გაიძახოდა—კაცო ეს რა ლაწირაკი რამე ყოფილა. ასე კიდე მე მომაბეზრა თავი, საჭმელს რომ მოითხოვს ვიმშე, მე არ მიუტანო გაიძახის, მუშტარი მლანძღავს, შენ ნუ მოგაქცსო, ჭუჭყიანი ხარო, ვაა! გაგიგონია, მაშ მე მიუტა-ნო? ეს ძაღლის წიწილი მაშ რიღასთვის მინდა, ჯამაგირი რისთვის ვაძლიო, თუ არ მოვისამსახურე, რო აღარ წყნარდებოდა მზარეუ-ლი, ამ დროს გლახას დახლიდარი, სქელი ლიპიანი ნიკოლოზა გამო-ესარჩლა მზარეულს და უთხრა:

— კაცო რა თავს იწუხებ, ამოჰკარ ჯიტლაყი და გააგდე. ცოტანი დაეთრევიან მშივრები ქუჩაში? პური რომ აჭამო და ამ სი-ცივეში აქ ბინა მისცე, კიდეც შეგეხვეწებიან, მაგას რა უნდა ელა-პარაკო, ლუპუსტაწია (გაფუჭებული) რომ არა სცხენიან, თავის ფუ-როსებს დაუდგება და პირდაპირ პასუხს აძლევს ყველას რაღა... და ამ უწნო ჩასუქებულმა და გაბღენძილმა დახლიდარ ნიკოლოსამ, მაინც თავისებურად უხდელი და უწნეო საქციელით, დაიწყო ჩემზედ და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოლვა. ვაა! ეგ ოხერი, ვისი შვილია, ვაა! დიდი რომ იყოს რალა! სწორედ ადვოკატად გამოდგება რაღა დანიელი უსიამოვნოდ იციების და ამბობს: ვაა, ღმერთმა ნუ ქნას თორემ ქვეყანას გადაატრიალებს და ეშვანთ რეიტერის *) შვილს ადვოკატს აჯობებს. საერთოდ ხარხარებდნენ, გლახა. დიდი ხაზეინი,—ალა გასპარა ნოჭარი (პრიკაშჩიკი), ნიკოლოსა დახლიდარი და დანიელი მზარეული.

მერე დაიწყეს თავიანთ ვაჭრობაზე ლაპარაკი, რადგან მუშტარიც მისწყდა და მათ ხელს ვერავინ შეუშლიდა. ღამის პირველ საათამაც დაჰკრა, დუქნის კარებიც დავხურეთ. მე კი დავიწყე ქვაბების ხეხვა და ჟურჟლების რეცხვა და ჩემ აღებსაც ყურს უკიდებდი, ჩემზე ხომ არ ლაპარაკობენ მეთქი. პრიკაშჩიკიც წვიდა, დარჩენ სამნი,— გლახა, ნიკოლოსა და დანიელი.

გლახა, სტოიკის შიგნით სკამზედ ზის, მის მარცხნივ გვერდზე სტოიკაზედ, ნიდაყვ დაყრდნობილი ნიკოლოსა და გაჩუმებული შეჰყურებს გლახას, დანიელიც სტოიკის გარეთ, მათ პირდაპირ სკამზედა ზის, და გლახა, დახლიდარს არიგებს.

ჩემო ნიკო, შენ კიდევ ვერ გაიწურთნე, მე რომ დახლიდარად ვიყავ იცი რაა, ბოთლებს და სტაქნებს ნაწურს. ტრედზე ოცი თუმნისას ვყიდდი და როცა მოქეიფე ბიჭები შემოვიდოდნენ დუქანში, მაშინ ხომ, ჩემი აღდგომა იყო რალა!

— ერთხელ ვნახოთ, სამი მოქეიფე ყარაჩოღელი ბიჭები შემოვიდნენ ჩემ დუქანში, მე მაშინვე ყურები ვაცქვიტე, აა, მე დავასწარი, გამარჯობა ყვავილებოჯან მეთქი, ერთმა კი მაშინვე მომაძახა: ყვავილები მე ვიცი, ბატანიკურ ბაღში ვართ მოკრეფილები აი, მეორემ დაუმატა ეეე, მამა გიცხონდა, რა დროს ყვავილებია, ამ ზამთარში, ერთი ორი ხელადა ღვინო მოიტანე, თუ დედი შენის სული გიყვარს, დაა! როცა შევხარხარდებით, ავჭიჭინდებით და მაშინ ბულბულებიც შეიჭიკჭიკებით ბიჭოჯან, არაა! და ყველანი ერთხმად შესძახებენ ვა, ვა, ვა.

— მესამემ—სამწვადები ხომ გაქვთ?

— მაშ, მაშ, შენი გულისა.

— თქვენისთანა ძმა-ბიჭებს, ჩიტის რძესაც უშოვნი, ჩემო სულის გვრიტებო!

— ჰო, შენ ხო გაზაფხულის ჭიკჭიკა მერცხალი ხარ, არა.

— ვაა, გამოიცან, გამოიცან, აჰა ჩონგურიცა გქონია, დაკვრა იცი ბიჭოჯან? ვაჭ, ვაჭ, ისე როშ მაისის ბულბულებივით ავალაპარაკებ მეთქი, ერთმა კიდე მომაძახა: მაშ სულ სუყველა გაქვს რალა; ჩონგური, გვრიტები, ბულბულები და ჩვენც ყვავები და სვავები ვიჭყნებით და მოუსხდნენ გაშლილ მაგიდას ღილინით და დასძახეს: „ისევ და ისევ ღვინითა, დრო გავატაროთ ლხინითა“, და მეც ჩემი ჩონგუ-

*) ცნობილი ადვოკატი იყო.

რით, მოუჯექ გვერდით და ერთი კარგი შარი-შურიც ჩამოვკარ ჩონგურს; მეც პატარა თვალში ჩინი მქონდა და პირველ სტაქანზედვე, პროშტი გავაჩაღეთ, მე კი დახლიდარს თვალს უშვებოდი ჰაა... ბიჭო, ღვინო მოიტა ჩქარა რაღა; მერე, ცოტად რომ შეხარხარშდენ ჩემი მუშტრები ღვინით და ჩონგურის ეშხით, ბიჭსაც მოაქვს ორი ხელადა, ორივ ნახევარ-ნახევარი, ესეც ჩემი აღდგომაა რაღა, მერე ამათში ერთი ნაცნობია და ორი კი უცნობი, მაგრამ მე კი ისე ვექცევი ყველას, თითქო ერთად შევზრდილიყოთ, მაშ!..

მერე ერთი მათში, რომელიც ჩემთვის უფრო უცობი იყო, განგებ მეგობრულად დაეემდურე და უთხარ კაცოჯან, რამდენი ხანია აღარ შემოსულხარ ჩემთან, განა ასე უნდა დავიწყება მეგობრისა; შენი საჯილი კიდეც დამავიწყდა დაა.

ვაა! გაკვირვებით, გეო კაცოჯან გეო, ბაყალ გეო ბიჭოჯან, ვაა, იმ დღესაც აქ არ ვიქეიფიო! მე, საქო, ყასაბ ბაღდო, ცხვიროა და ათოშვილი, ამ სამს კი ვიცნობ, მაგრამ ეგ ბაღდოა კი ველარ მომიგონია, გენაცვა, ვაა; აღარ გახსოვს რომელია, კაცოჯან, ბაღდოა, მაშ არ იცი, წინათ, რომ კინტოობდა, ეხლა კი ყასაბ აბრუასთან, სალახათ არი მააშ!..

— გლახა ცბიერებით, ჰო-ჰჰო, ახლა კი მივხვდი გენაცვა, ვიცნობ, ვიცნობ, ‹მდღეს თქვენ რომ აქ ღვინოს სვამდი და ის ბაღდოა კი მერე შემოვიდა, და ფართუკით ძროხის ენები შემოიტანა, აუაბნული არა!

ჰო, რა პირძაღლები ხართ ბიჭებო, რამდენი ვიცინეთ და ვიხუმრეთ ძროხის ენებზე და, მაგრამ ბოლოს კი, პაჟარი კამანდის სალდათებმა ჩააშხამეს ჰაა! მართლა და რამდენი ხანია, აღარ მინახავს, ავათ ხომ არ არის მეთქი, ვეკითხებოდი მოქეიფეებს განგებ და თან ბიჭს ვეძახდი მოიტა ღვინო მეთქი, და გეო კი გაიძახოდა—დაასხი ღვინო, ერთი მამა გიცნობდა, ხახა გამიშრა, რა დროს ეგები, ბაღდოა რაღა! ხომ იცით, ძაღლი კოპწლობით არ მოკვდება, მაგაან! ეს ორი თვეა, ვირის აბანოში, ციხეში იჯდა, და ეხლა გამოუშვიათ, და ახლა ერთი კარგი ლოქოც დაუჭერია, რაყაზე, ვა როგორ თუ ლოქო, ვკითხე მე, ახლა მეთევზობა დაეწყოთ თუ?

ახლა ეს ერთი თვეა რაც აბრუა ყასაბს იარმუკაზე, ამხანაგათ გაჰყოლივარ მაშ; გლახა, გლახა მერე თანხა საიდან იშოვნე? გეომ ხელი ჩაიქნია და სთქვა:—იცი რა არი ძმობილოჯან, ნამარდი*) კაცი ყველაფერს იზამს, მაშ, რო გეებნები, ლოქო დაიჭირა მეთქი არ გჯერა; განაგრძო გეომ, ამ ერთი თვის წინად, ვნახოთ შულავერის გლეხებს ღორები ჩამოურეკიათ გასაყიდათ, ერთიც ვნახოთ, ბაღდოც წინ დაუხვდება ღორების პატრონს და ებნება, (ეუბნება) იცით რაა ძმობილებო! მე გირჩევთ, ეგ ღორების ფეხდაფეხ გაყიდვით იმდენს

*) ნამარდს, მოღალატეს, უსინდისო კაცს ეძახიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ ისარგებლებთ, რამდენსაც თქვენე რომ დახოცოთ, ჯერ ერთი სარგებლობა იმაში გექნებათ, რომ საეჩინეს კაი ფასად გაჰყიდით, მეორეც, ჯამაგირი, ქონი თავ-ფეხი, ქუდი, ჯიგარი და სხვა ვაა! აზრ,—ყველა საქმეა რაღა.

ამ სიტყვებმა, მეღორეებზე დიდი გავლენა მოახდინა და დათანხმდენ. თითონ ბაღდოვე გაიხადეს წინამძღოლად და მასვე დაახოცინეს ღორები და მასვე გააყიდინეს მუშტრებზედ. ასე რომ, გლეხებმა ღორების პატრონებმა, ბაღდომ გახადეს მუშტრის თვალში ღორების პატრონად, მითომ და სულ ბაღდოს ჰყვანდეს ნაყიდი; ბაღდომაც დახოცა ღორები და დაურიგა მუშტრებს თავის სახელობაზედ, და თვითონვე შეჰკრიბა ფული ორას თუმნამდის; ღორის პატრონებს ორმოცი თუმანი მისცა და დანარჩენი თითონ ჩაიჯიბა, და საწყალი მეღორე გლეხები კი პირში ჩალა-გამოვლებული დანარჩუნა, გულდაწყვეტილმა გლეხებმა ბევრი იდავეს და იწვალეს, მაგრამ ვერას გახდენ, ამ ავაზაკ ბაღდოსთან, ბაღდომაც ამით ისარგებლა და ამ ფულით, შევიდა ამ თანხით აბრუა ყასაბთან. ეხლა ამხანაგები არიან—მაშ... გააგრძელეა სიტყვა.

— თათულა, აი მამა აცხონე იმისი; ძალიან ყოჩაღად მოქცეულა, ეგრე უნდა მაშ! და შეაქო ბაღდოა.

თათულა შემოსწრებულ იყო ამ სამ მოქეიფე ძმა ბიჭებთან, რომელიც აქამდის ყურს უგდებდა გეოს ლაპარაკს, და გლახას ლაპარაკს, და გლახამ ნიკოს და დანიელს შეჰხედა, მგონი თქვენც იცნობთ არა, აგლაბრელ ბაყაო თათულას, ვა როგორ არა, ვიცნობთ იმისთანა მოკრივე ბიჭი ერთიც არ იყო ავლაბრის მხრიდან.

— ჰო და დაიწყო თათულამ, მაშ ეგრე, ეგრე, რო არა ვქნათ, ძმობილებოჯან, საიდან მივცემთ ამოდენა პატენტი, დუქნის ქირა, პატარა ბიჭების კინტოების ჯამაგირები, ჩემი ხარჯი, პოლიციის ხათაბალა, აქ სკამი ნუ გიდვაო, იქ გოდორი და იაშიკები ნუ გიწყვიაო, მორწყე და რა ვიცი კიდევ რამდენი ზაჰრუმანი, ახლა ძმაბიჭებთან ქეიფი და სხვა, მერე კუპრაის ტკბილი დუდუკი, რომ ტანში ჭიანჭველასავით დაგიელის და თითქო ფრთები შეგესხაო, და ხელებ-ფეხები თავის თავად აგითამაშდება და ბაღდაგუნს რო დაუყენ ამას რა სჯობია: ახლა ჩვენც ადამიანები ვართ თუ არა, ვაა!

მაშ როგორ გაუსწორდეთ ამოდენა ხარჯ ბორჯს. ვაა! პოლიცია ხომ ერთი ჰაცა-ჰური *) ვინმეა რაღა; მოვა და შაფათის გლახასავით, დუქნის წინიდან აღარ მოგშორდება, ყასაბის ძაღლივით, სულ ხელში შემოგყურებს, აზრა, ახლა უნდა მიუგდო რამე თუ არა ვაა:

მაშ რო არავის მოვატყუეო, არ ვითვალთმაქცო, საიდან ვიცხოვრო: და ჩვენც ხო ადამიანები ვართ, და მე და ჩემმა ღმერთმა

*) ჰაცა-ჰურას მუქთა ყლაპიის ეძახიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაღდოასაც კარგად უქნია, მაშ რა ქნას კაცმა, ეს დრო თუ ასეთია; თუ აე-კაცობა ჩაიდინე, ბოროტი ხარო, სიმართლეს და კაი კაცობას მიჰყევი, სინათლეს გამოგბრწყეს და მშიერი მოჰკვდები, მაშ სიკვდილს ისევ სიცოცხლე არა სჯობია: და სიცოცხლის შესარჩენლად კი ცბიერება და აე კაცობა, ყოფილა რაღა!

აი თუნდა მე არ დაგიმალო იმ დღეს რიყეზე სოფლელ თიუ-ლებს ჩამოეტანათ 12 ფუთი კარაქი; აბა გამოიცანით როგორ ვიყი-დე: ამაში სულ მივეცი ოთხი თუმანი და ერთი მანეთი, თუმცა ხუთ თუმნათ და ერთ მანეთათ ვიყავ მორიგებული, მაგრამ ოთხი თუმნის სულ წვრილი ფული მივეცი და 51 მანეთათ მიუთვალე. გლეხებმა. ეს ვერ გაიგეს და მე კარაქი დუქანში წამოვიღე და თურმე ერთმა-ნეთში რომ გაიყვეს ფული 10 მანეთი დააკლდათ და მოვიდენ ჩემ-თან და დამიწყეს თხოვნა 10 მანეთისა. მე კი კინწის კვრით გავრეკე, ვნახოთ ცოტა ხნის შემდეგ პოლიცია თავზე დამაყენეს, პრისტავი გიბარებსო, ვა პრისტავიც რა ჯიჭვილია, მე და ის ესე ვართ აი და თან ორი სალოკი თითები ერთმანეთზედ მიადო, მერე პრისტავიც ვინ არი, ჩვენი ქალაქის ბიჭია რაღა: მელიქსიანცი, ესეც ჩემი კარგი ნაცნობია რაღა, მერე რამდენჯერ ერთად, ორთა-ჭალაშიც გვიქეიფ-ნია და აბა ხათრს არ შემინახამს; მე ხელად ჩიხა გადავიცვი და გა-ვქანდი პრისტავთან, შევედი თუ არა, მაშინვე შემომცინა და სომხუ-რად მითხრა, თათულ ეტ ინჩეს არეო (ეგ რა გიქნიაო), ვაა პარუმ ტიგრან, განა ჩემი ხასიეთი ეგრე იცი: და იმან სოფლელებს გაუ-ჯავრდა და უთხრა, დილას ამ კაცმა რომ ფული მოგცათ, თქვენ ნა-ხეთ, რომ სწორე იყო? რამდენიც უნდა მოეცათ თქვენთვის? გლეხი: რა ვიცი შენი ჭირიმე, ჩვენ მაგას ვენდევით სწორეაო, და მეც ეგრე დაკეცე დაკუჭული, ჩავიდე უბეში და მანდამდის ჩვენ საქმეს არ მოვრჩით და გასაყოფათ არ დავსხედით, უბიდან არ ამომიღია და როცა დავსხედით და ვიყოფდით, მაშინ ერთი თუმანი დაგვაკლდა და თუ ნაკლები არ მოგვცა, მაშინ უბიდან სად წავიდოდა:

— იქნებ ვერ გაიგეთ და დაჭკარგეთ სადმე, უთხრა პრისტავმა გლეხებს. აბა რა ბრძანებაა შენი ჭირიმე, დაკარგულიყო სუ დაიკარ-გებოდა, თუ არა და რაღა, ერთი თუმანი გამოძვრა და დანარჩენი კი ისევ—ისე დაკუჭული მედო უბეში.

— თათულა: პარუმ ტიგრან ესენი ხომ იცი, რეები არიან, მე დილას ფული მივეცი და წამოველ, იქნებ თავიც დაკარგონ, მე ხომ არ უზღამ რაღა; თუ აკლდათ, რატომ მაშინ არ მითხრეს: მეც არ დამიკურეს და დალალ გიყოს დაათვლევინეს, მაშინ სწორე იყო და ეხლა დააკლდათ, აზრ-ორჯერ ხომ არ მიცემ მეთქი; პრისტავი მო-უბრუნდა გლეხებს და უთხრა: თქვე დათვებო, რატო მაშინ სწორეთ არ გაშინჯეთ.

— რა ვიცოდით, თუ მოგვატყუილებდა შენი პირიმე. კაცი იყო და ადამიანი და როგორ ვერ უნდა ვნდობოდით:

— პრისტავი გაწყრა და უთხრა გლეხებს, მე თქვენი ვერა გამიგია რაღა, წადით და სუდში უჩივლეთ, და გაყარა ისინი, მერე პრისტავმა მე დამიძახა და (ვიგავარი) მითხრა: ბიჭო რამდენ ჯერ უნდა ჰქნა ასეთი საქმე, აზრ, სირცხვილი არაღი შენში, რომ ასე ატყუილებ გლეხებს, აბა ნაცნობი რომ არ იყო: თორემ, ერთ ხათაბალაში გაებმეოდი, მერე ვინც არ გინდა შენზედ მორბიან საჩივლელად: და ერთხელაც არი მახეში გაებმები და ხომ იცი ვირის აბანოში ამოჰყოფ თავს. იცი!

ვაა, პარუმ ტიგრანჯან, ეგეები არ იყოს ჰაა, მეც ჩემებურად ჰემეები ვქენი: გაუგორ-გამოუგორე სიტყვები, მაგრამ იმან კიდევ თავისას იძახის, და რომ საქმე გასჭირდა, ერთი 20 გირვანქა ერბო გაუგზავნე პრისტავს და ისე გაჩუმდა, თითქო აქ არაფერიაო: და რომ მეორე დღეს ჩამოიარაა: მალადეცაც მითხრა, კარგი ერბო გამოგიგზავნიაო, და აი ბიჭობაც ასე უნდა მააშ! ამისთანა ლაპარაკით და ღვინის სმით, რომ კარგად შექეიფდენ და კარგი დროც იყო გასული, ანგარიშიც მამთხოვეს,

— ახლა განაგრძო გლახამ თავის ოინბაზობა და თქვა:

— ეე! ჩემ გუნებაში ვიფიქრე, დამაცადეთ და როგორც უნდა მოტყუილება, გაჩვენებთ მეთქი; და რომ ჩოტკაზე მიდგა საქმე, სულ ორი საათის განმავლობაშიი: კარგი 11 მან. თვრამეტი შაური და სამი კაპეიკი ავწვაპნე.

მერე რაა! მთელი ვახშამი, მეკი სულ სამ მანეთად არ მიღირდა და თითქმის 9 მანეთამდის მოგება დამრჩა მაშ, ნათქვამია, ქურდის ქურდი ცხონებულიაო, ამათ თუ სხვას წაართვეს და მოპარეს, მეც რომ ამათ ავწვაპნო, აბა რა ცოდვაა ჰაა!

აი ასე უნდა ქნათ ჩემო ნიკოლოზ და დანიელ; რას იზამთ ძმავ, ქვეყანა ასეთია, და რომ სიმართლით მოვიქცეთ, აქ ბუთლები და ჩაბჩა ქაფქირიც კი აღარ დაგრჩება.

ამაზედ ნიკოლოსამ და დანიელმა აღარაფერი უპასუხეს, რადგან გლახამ თავისი ამბავი ისეც გააგრძელა და დროც გადასული იყო და თუნდაც დრო ყოფილიყო, ნიკოლოსას ძილი მოერივა და ამთქნარებდა, ეს ღა თქვა,—მაშინდელი დრო სხვა იყო და ეხლა სხვააო,

ამით გათავდა გლახას ჰექიათი,*) დუქანი დაკეტეთ და ჩემი ალებიც წავიდნენ სახლებში; მე კი შიგ დუქანში დაკეტილი დამტოვეს.

---

*) ჰექიათი არაკია, ანდაზაა.

თუმცა ქალაქში ჩამოსვლამდის ანბანი ზეპირად ვიცოდი, მაგრამ სიტყვების შეერთება და გამოთქმა მიძნელდებოდა. ამ შემთხვევაში ბელი შემიწყო, დუქნებზედ დიდრონ ასოებით (ვივესკებზედ) წარწერებმა და ქუჩებშივე გაკრულ აფიშებმა და ქუჩებშივე ნაპოვნ აფიშების ნაგლეჯებიც იყუნენ ჩემი სკოლა-უნივერსიტეტი და მასწავლებელიც.

რის მეოხებით წერა-კითხვაც ვისწავლე და ხელთ-ნაწერსაც კარგად ვარკვევდი, მაშინდელ ლიტერატურასაც ვკითხულობდი როგორიც იყო ყარამანიანი, ჟურნალი „ცისკარი", „გუთნის დედა" და სხვა.

მეორე დღეს დილით გლახამ მოიყვანა ორი დურგალი და დუქნის ერთი კუთხე პატარა ოთახებად დააყოფინა, მე-კი ისეთი გამიხარდა დურგლების ნახვა, რომ თითქო ჩემი ნათესავები არიან მეთქი: გამიხარდა იმიტომ, რომ მეც ცოტა ხანს დურგალთან ვსწავლობდი ცოტად-ვიცოდი და ნაცნობიც იყო ეს ხელობა ჩემთვის.

მეც ვშველოდი დურგლებს, გახერხვა-გათლაში: მაგრამ ისე კი, რომ ალებს არ დავენახე. ერთ დურგალმა თურმე მიაქცია ყურადღება ჩემს მუშაობას და მკითხა: პატარა ბიჭო, შენ დურგალთან ხომ არ ჰყოფილხარ შეგირდათ, დიახ, ოთხი წელიწადი ვმსახურობდი,—მერე აქ რა გინდა, რომ მზარეულთან დამდგარხარ, აქ რა უნდა ისწავლო ლაზღანდარობის მეტი; რატომ ისევ დურგალთან არ მიხვალ, რომ კაცი გამოხვიდე, ალალი ლუკმის მუშაელი, ეს ისეთი მამაშვილური დარიგება იყო ჩემთვის, რომ მეც გულახდილად უამბე ჩემი თავგადასავალი და სამზარეულოში ყოფნის მიზეზიც, ეს რომ მოისმინა დურგალმა ჩემგან, შემკითხა—რას გაძლევენ ჯამაგირსაო—წელიწადში ერთ თუმანს მეთქი.

ჩემთან წამოდი და წელიწადში ორ თუმანს და პურსაც გაჭმევ, ერთ ხელს ტანისამოს გიყიდი და ხელობასაც კარგად გასწავლიო, მე ეს ძლიერ გამიხარდა, რომ ისევ ჩემს ხელობაზე დადგომა მიხდება და პირობაც მივეცი და ვკითხე სად მოვიდე მეთქი.

დღეს აქ გავათავებ სამუშაოს და ხვალ ან ზეგ ხარფუხში, ნიკოლოზის ეკლესიის უკან მაქვს სახლი და იქ იკითხამ ალექსი დურგალის სახლს, ამ ახალი ხაზეინის დურგლის სახლიც ვიპოვნე და იმ ღამესაც იქ დავრჩი.

მეორე დილას, ჩემ ახალ ოსტატმა წამიყვანა მირზოევის საქსოვ ფაბრიკაში. იქ სადურგლო საქმეები ჰქონდა ალებული, საჭონლის ჩასაწყობ ყუთებს და საწყობებში თაბჩებს ვაკეთებდით.

მირზოევის ფაბრიკაში ყველა ეროვნების მუშები მუშაობდენ, —როგორც კაცები, ისე ქალები,—ოამოდენიმე ათეული. და მგონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეულიც. ქართველები სომხები, რუსები, ანგლიჩანიც და თათრებიც. მაშინების ჩარხები ახდილიან, ღიით მუშაობდენ და არავითარი გამაფრთხილებელი საფარი არა ჰქონდა, ამიტომ მაშინების განყოფილებაში ხშირად უბედურებაც ხდებოდა: ერთი ასეთი შემთხვევა მოხდა. ჩემ იქ მუშაობის დროს, 1867 წელს, როგორც მახსოვს, ზაფხული იყო, მირზოევის საქსოვ სართავ ფაბრიკაში მანქანამ ერთ მუშას მკლავი მოჰკლიჯა, ამ მუშას ხარფუხელს ეძახდენ, (გვარი არ მახსოვს) და ეს კლავ-მოგლეჯილი მუშა, ცოცხალ-მკვდარი, ფაბრიკის გამგემ, მაშინვე ეტლით საავადმყოფოში გაგზავნა და სხვა არაფერი. ეს დასახიჩრებული მუშა, მორჩენის შემდეგ, ქუჩის ანაბარა გახდა, და არამც თუ რაიმე დახმარება აღმოუჩინეს დასახიჩრებულ მუშას, არამედ ხაზეინმა ფაბრიკის კარებთანაც კი აღარ გაატარა: და ისიც მახსოვს, რომ ეს მუშა, კარ და კარ დადიოდა საჭყალოდ და გლახაობდა.

ამავე წელს ერთ მუშა ქალს და ერთ მაშინისტს, ანგლიჩანი*) იყო, მაშინამ თითები წააგლიჯა, და ამ ამბავმა კი, ძლიერ აალელვა მუშები. ანგლიჩანი ორი კვირის შემდეგ, ხელ ჩამოკიდებული მოვიდა ფაბრიკაში და ფაბრიკის გამგეს რუსულად და სხვა ენაზე რაღაცას მაღალი ხმით ელაპარაკებოდა, მე არც ერთი და არც მეორე ენა არ მესმოდა, სწორედ ამ დროს საყვირი (გუდოკი) დააყვირ ეს, 11 საათი იქნებოდა, თურმე ერთი მცირე წლოვანი მუშა, პატარა ბიჭი, მაშინებს ზეთს რომ სცხებდა, ამ დროს მაშინის ჩარხებს ბიჭის ფართუკი დაბეგოდა მაშინას და ბიჭი ჩაერია და მთლად ნაჭერ-ნაჭრად დაეგლიჯა: მაშინები გააჩერეს, მაგრამ ბიჭი უკვე დაგლეჯილი და მკვდარი იყო. ამ დროს მუშებიც გამოკვივდენ კანტორის ეზოში, შეკგუხდენ და ასტეხეს ყვირილი და ხმაურობა ზოგი კი შეკვივდენ მაშინაში და მოინდომეს დამტვრევ-დალეწვა, მაგრამ ამ დროს საიდანაც გაჩნდა პოლიცია და ჯარისკაცები და ბუნტოვშიკი (მაშინ ასე ეძახდენ) მუშები გაფანტეს და ზოგიც დაიპატიმრეს.

მაშინ არაფერი მესმოდა მუშათა ასეთი ბუნტის და მოძრაობისა, მაგრამ გულში კი რაღაცა საიდუმლო და უსიამოვნო გრძნობები და ზიზღიც მებადებოდა ხაზეინების წინააღმდეგ. დაინტერესებული აქეთ-იქით უფროს მუშებს ვეკითხებოდი,—თუ რაში იყო საქმე; შემდეგ გამოირკვა, რომ მაშინების ბორბლებს და ჩარჩარხებს, არავითარი გამაფრთხილებელი ღობე არ ჰქონდა, ამიტომაც ხდებოდა ხშირად უბედურება. თუმცა მუშებმა წინათაც ბევრჯერ მისცეს წინადადება ხაზეინს, რომ გაეკეთებინა მაშინებისთვის, მავთულით შემოწნული გამაფრთხილებელი ღობე, რომ უბედურება

*) ეს ანგლიჩანი შემდეგ ზეიცერთანაც მაშინისტათ მსახურობდა 1877—8 წლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღარ მომხდარიყო, მაგრამ ხაზეინი ხარჯებს ერიდებოდა და მუდამ უარობდა; და მიზეზიც ეს იყო, რომ ბუნტი გამოიწვია. თუმცა ეს ბუნტი, მაშინდელ მუშათა ცხოვრებაში სტიქიური იყო, მაგრამ მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მუშის ფიზიკურ არსებობას და ეკონომიურად მუშათა ცხოვრების გაუმჯობესებას ეხებოდა, ამიტომ მუშები ამ გამოსვლებითაც მოითხოვდენ, რომ მაშინის ბორბლებს გამაფრთხილებელი ღობე გაჰკეთებოდა და იმ დასახიჩრებულ მუშებსაც პენსია დანიშნოდათ. ზემოთ ხსენებულ შეჯგუფულ მუშებს შუა იდგენ ორი სამი უფრო კარგი მოლაპარაკე მუშები და რუსულ, ქართულ, სომხურ და თათრულ ენაზე უქადაგებდენ შეკრებილ მუშებს, რომ ნუ ვიმუშავებთ, სანამ ხაზეინი ჩვენ მოთხოვნას არ დააკმაყოფილებსო, მეც აქ ამ ჯგუფში ვიდექ და ცნობის მოყვარეობით ყურს უგდებდი და რაღაც გრძნობა მებადებოდა გულში. მაგრამ მეც არ ვიცოდი რაზე ვფიქრობდი და ამ დროს საიდანღაც გაჩნდა პოლიცია და ჯარისკაცები: შეგროვილი მუშები გაფანტ-გამოფანტეს, მეც ორიოდე წკეპლა მომართეს და მოკურცხლე.

ჯარი და პოლიცია მატომ ერევა საქმეში, რომ ხაზეინები სახოგადოთ მუშებისგან, ზედმეტ ნამუშავრის ანაყელეფს, პოლიციას და ჯარის კაცთა უფროსებსაც უნაწილებენ, მაგრამ მე მაინც ვერ გავიგე, თუ რათ ხდებოდა ასე და ცნობის სურვილმა გამიტაცა და შევეკითხე უფრო მუშას: ეს მუშები ხომ მუქთად არ მუშაობენ და ჯამაგირს იღებენ ხაზეინებიდან? მაშ, როგორღა აცლეფაფენ ხაზეინები მუშებს? კვლავ შევეკითხე. ახლა კი გაჯავრდა ჩემი მოსაუბრე უფროსი მუშა და მითხრა, ბიჭო შე სულელო ვებართველა ბიჭი ხარ და ნუ თუ არ გესმის, როგორ აცლეფაშენ ხაზეინები მუშებს? მაშ, კარგი და, ყური დამიგდე და გეტყვი, მაშ აბა მითხარი, ჯერ შემეკითხა უფროსი მუშა: რას გაძლევს შენი ოსტატი დღეში თუ თვეში:

წელიწადში 20 მანეთს და ერთ ხელ ტანისამოსს და პურასაც მაჭმევს მეთქი, კარგი და შენი ჯამაგირი რომ გავყოთ თვეებზე, თვეში მოგდის ჯამაგირი სულ 1 მ. და 50 კაპ. ტანისამოსისაც 1 მან —50 კაპ. პურის ფულიც—3 მან.

სულ ერთათ კი 6 მანეთი თვეში უჯდება შენი შენახვა შენს ოსტატს.

— ახლა მითხარ, შე რომ იაშიკებს აკეთებ, როგორა აქვს შენ ოსტატს აღებული და რას იღებს თითოში ხელფასს.

— თითო იაშიკის გაკეთებაში ხელფასათ იღებს 2 მან. და 40 კაპ.

— მერე შენ რამდენს აკეთებ თვეში;

— მე ვაკეთებ თვეში 12 ცალს, მაშასადამე, 12 ცალის ხელფასი სუმა სულ შეადგენს 28 მანეთს და 80 კაპეიკს!

შენი ყოველივე ხარჯი შენ ოსტატს უჯდება სულ 6 მან. თვეში და შენ ოსტატს კი, შენ გაკეთებულ საქმეში თვეში რჩება წმინ-

და მოგება 22 მან და 80 კაპ. აგრეთვე ჩვენი მეფაბრიკე მირზოევი და სხვა მეფაბრიკე ხაზეინები, რომელთაც ასობით მუშები ყავთ და თითო მუშაში რომ 22 მანეთების აიღებენ აი აქედან რამდენი ნილიონები ჩადის მეფაბრიკეს ჯიბეში, ეს კი სულ მუშების ზედ მეტ ნამუშავრიდან იქმნება, და აი, ამ მირზოევსაც ასევე აქვს მუშებისგან ანაყვლეფით სიმდიდრე შეძენილი; ახლა ხომ მიხვდი ჩემო ბიჭიკო, როგორ ყლეფამენ ხაზეინები მუშებს.

მივხვდი და მადლობელიც ვარ, რომ გამაგებინე. მე კი მეგონა, რომ მუშები ტყუოდენ და ტყუილათაც ბუნტობდენ თქო ეს კი მე ჩამრჩება გულში და ცხოვრებაშიც გამომადგება: და მეცოდინება, რომ ხაზეინები ტყუიან და არა მუშები თქო, უფროს მუშამ, მხარზე ხელი დამკრა და მითხრა: ყოჩაღ, რაც გითხარ დაიხსომეო და მერე შეძეკითხა წერა-კითხვა იცით?

ცოტად მეთქი, მაშ ეცადე, რომ წერა-კითხვა კარგად ისწავლო და უფრო კარგად გაიგებ ესოდენი ცხოვრების ავ კარგიანობასო, ასევე იცოდა სხვა მუშებთანაც ლაპარაკია—ამ უფროს მუშას, იოსებ გრიგორიჩს ეძახდენ და გვარს კი იშვიათად.—და მეც მისი გვარი მიტომ აღარ მახსომს. როგორც აქ ამბობდენ, ეს უფროსი მუშა, იოსებ გრიგორიჩი, მოსკოვ-პეტროგრადშიც ყოფილა და ზეინკლობაც იქ შეუსწავლია და აქ მირზოევის ფაბრიკაშიც, მაშინებზე საზეინკლო სამუშაოს ასრულებდა, როგორც ქართულად ისე რუსულადაც კარგად ლაპარაკობდა.

და ამ ერთი კვირის წინეთ, რომ ბუნტი იყო მირზოევის ფაბრიკაში და შეჯგუფულ მუშებში მოქადაგეთაგან, ერთ მათ შორის, იოსებ გრიგორიჩიც იყო, თუმცა მაშინ რაღაც შემთხვევით გადარჩა და არ დაუჭერიათ. იოსებ გრიგორიჩს უყვარდა შეჯგუფულ მუშებში საუბარი, და სადილის საყვირს რომ აუშვებდენ, უმრავლესი მუშებისა იქვე ფაბრიკის ეზოშივე სადილობდა ყველი და პურით ან და მწვანილით, ანუ ცარიელი პურით, იოსებიც ამ შეჯგუფულ მუშებში ჩაერეოდა ხოლმე და მათთან საუბრობდა, მუშათა ცხოვრების ავ კარგიანობაზე, ხშირად იცოდა ლაპარაკი მოსკოვ-პეტროგრადის ზავოდ-ფაბრიკებზედ და აქებდა იქაურ-ხელოსნებს. ურჩევდა, მეტადრე ახალ გაზრდა მუშებს, რომ ვისაც უნდა კარგი ხელობა შეისწავლოს, ის უნდა ყველა ღონისძიებით ეცადოს, რომ მოსკოვ-პეტროგრადის ზავოდ-ფაბრიკებს მოხვდესო, და ამ გვარი საუბრით კი იოსები უფროსი მუშა, თავისკენ იზიდავდა მუშებს ანდამატივით და მუშებიც. იოსებს ბუზებივით გარშემო ეხვეოდენ, და გულ-დასმითაც უსმენდენ, მაგრამ ერთ სამუშაო დღეს, პარასკევი იყო თუ შაბათი აღარ მახსომს, კანტორაში დაუძახეს იოსებს, რომ კვარტალი გეძახისო, კვარტალმა პოლიციაში წაიყვანა და აღარ დაბრუნებულა.

შემდეგ ჩვენც ამ მირზოევის ფაბრიკაში დიდ ხანს აღარ დავრჩენილვართ, რადგან ჩემ ოსტატმა აქ საქმე გაათავა და ვინაიდან სხვა სამუშაო ჰქონდა აღებული სოლოლაკში, რტიშევის ქუჩაზედ მიხ. ბებუთოვის სახლის გაკეთება, იქ წავედით სამუშაოდ. აქ ვმუშაობდი თითქმის ერთ წელიწადს და ბინაც აქავე მქონდა ლოგინ-ბალიშიც იყო ჩემი ბურბუშელა და ფიცრის იატაკი. 1868 წელს კვირა დღე იყო, კვირაობით ოსტატის სახლში მივდიოდი ხარფუხში, და ორშაბათობით კი ოსტატს მოვდევდი სამუშაოდ. შაბათამდის სამუშაო შენობაში ვრჩებოდი.

კვირა დღე იყო, დედაჩემისგან წერილი მივიღე და რომ გავხსენი პირველ სტრიქონებშივე ასე მწერდა დედა: ერთად ერთო სანუგეშებელო და საყვარელო შვილო, ეხლა შენ-ღა დამრჩი სანუგეშოდ, ჩემი და შენი პატარა და-ძმების შემნახველ პატრონ-მომვლელათ, აღარა გყავს მამა, (ეაი ჩემს თავსო) გადაიცვალა და შენი ჰირიც თან წაიღო შვილოვო.

ამ დროს წერილი ხელიდან გამვარდა და მოვრთე მაღალი ხმით ტირილი. ჩემ ტირილზე გამოცვივდენ მეზობლის დედაკაცები, (ოსტატიან კი სახლში არ იყვნენ), ერთი მათგანი დედაბერი მომიახლოვდა და მეკითხებოდა,—რა იყო შვილო, რა დაგემართა, მე კი გაურკვეველად და სლოკინით ძლივსღა ვაძლევდი პასუხს, სულ ვიმეორებდი, ამ დროს კი დედაბერი მამშვიდებდა, მოიცა შვილო რა გატირებს, მითხარ რა ამბავია შენ თავს, ხომ არა გაგიტყდა რა, ან ხომ არა დაჰკარგე რა და ოსტატი თუ გაგიწყრა; ამას კი ისე ალერსით და ტკბილი სიტყვებით მელაპარაკებოდა, რომ თითქო დედა ჩემია მეთქი.

და თითონვე აიღო ჩემ ხელიდან გავარდნილი წერილი და შეკითხა, ეს რა წერილიაო, მე რომ თავი ვეღარ შევიკავე ტირილისაგან—წერილზე თითი დავადე, დედაბერმა სათვალები გაიკეთა და რომ წაიკითხა, მიხვდა რაშიაც იყო საქმე და დამიწყო დამშვიდება, და მითხრა: აბა შვილო, ტირილით რაღას უშველი, მამა შენს ხომ ვეღარ გააცოცხლებ: ჰო და ახლა ტირილი აღარ შეგშვენის შვილო, აგერ დედა შენი, რომ გწერამს, შენღა ხარ ჩემი და შენი პატარა და-ძმების მარჩენელ შემნახველიო, ამას ანგარიში უნდა გაუწიო და დაეხმარო თითო ოროლა შაური მიაწოდე და თანდათან ღმერთი გაშველის და ოსტატიც კარგი გყავს და ესეც ხელს შეგიწყობს და ცოტა ხნის შემდეგ, იმთაც აქ ჩამოიყვან. ძმებს ზოგს ხელობაზედ და ზოგსაც ვაჭარს მიაბარებ და დედაც გააკეთებს რამეს და იოლათ წახვალთ. ზემოთ ხსენებულ დედაბერისამებრივ, რამდენიმე ხნის შემდეგ მეც ისე მოვიქეცი და ტფილისში ჩამოვიყვანე დედა, ძმები და დავიწყე ცხოვრება. კვირაცხოველის ქუჩაზე ერთი ბნელი

სარდაფი დავიქირავე 1 მ. 50 კაპეიკად და ორ-სამ წელიწადს იქა ვცხოვრობდი,

1868 წელს, მკათათვე იყო, ხარფუხის ოსტატს თავი დავანებე და სახელოსნო ქარხნებში და ფაბრიკებში დავიწყე მუშაობა და აღარ დამრჩენია, ბათუმიდან ბაქომდის ქარხანა და ფაბრიკა რომ არ მემუშავნოს.

1869 წელს, მარიამობისთვეში სამხედრო არსენალში დავიწყე მუშაობა. სამხედრო იარაღის საწყობ ყაზარმებზე, ერთ ფოდრაჩიკ დურგალთან, (პარუმ ოჰანეზას ეძახდენ) ამ ფოდრაჩიკთან ვმუშაობდი თითქმის ერთი წელიწადი, დღეში სამ აბაზად, მაგრამ აქაც სიყალბე და ავაზაკობის მეტი ვერა ვნახე რა. ერთის მხრივ ინჟინერი და მეორეს მხრივ ფოდრაჩიკი სკარცვამდენ ხაზინას და მუშებს, სადაც ათი ფიცარი უნდა ეხმარათ იწერებოდა 20 ფიცარი; სადაც 10 მუშა იმუშავებდა, იწერებოდა 20 მუშა და ამ ავაზაკურად ანაყვლეფს კი ინჟინერი და ფოდრაჩიკი იყოფდენ შუაზე, შემდეგ აქაც თავი დავანებე მუშაობას, შემდეგ ხაშურის დეპოში შევედ სამუშაოდ, მაგრამ აქაც დიდხანს არ დავრჩენილვარ, რადგან აქაც ცუდი პირობების გამო მუშებმა გაფიცვა მოაწყეს და ბევრ დათხოვნილებთან თან მიმაყოლეს.

ამავე წელს დავბრუნდი ტფილისში.

1870 წელს დავიწყე მუშაობა, მიხეილის ქუჩაზე ერთ გერმანელ მეფაბრიკე, ფრიდრიხ ზეიცერთან, რომელ ფაბრიკაშიაც კეთდებოდა ყოველგვარი სახლის ავეჯეულობა (მებელი) და პარკეტიც. ამ ფაბრიკას სივრცე ეკავა მიხეილის ქუჩიდან დიდი მთავრის ქუჩამდის და შეადგენდა ზეიცერის საკუთრებას. ერთი ნახევარი, მიხეილის ქუჩით, ეკავა ფაბრიკას და მეორე ნახევარი ზეიცერს მიქირავებული ჰქონდა სამასწავლებლო ინსტიტუტს. ფაბრიკაში მუშაობდა 100 ქარგალ-შეგირდი.

(შემდეგი იქნება).

განყოფილება

= V =

რევოლუციის მსხვერპლნი

პეტრე მონტინი.

1905 წლის დეკემბრის 6-ს ბაქოს ერთ-ერთ ქუჩაზე საღამოს 8 საათზე პროფოკატორებმა მოჰკლეს ამხ. პეტრე მონტინი.

რუს. სოც. დემ. მუშ. პარტიის კავკასიის კავშირის ორგანო—„ელისავეტპოლის უწყება“ (გამოდიოდა ტფილისში „კავკაზ რაბ. ლისტოკის“ დახურვის შემდეგ) მე-17 ნომერში (14 დეკემბერი) სწერდა:

„აღარ გვყავს მებრძოლი-რევოლიუციონერი, აღარ გვყავს ერთი იმათგანი, რომელიც პირველ რიგში იდგა, აღარ გვყავს ამხ. პეტრე.

ამხანაგი პეტრე მებრძოლი იყო.


მისი ენერგიული და დაუღალავი ბრძოლა მეფის მთავრობის წინააღმდეგ მუშათა კლასის გასანთავისუფლებლად, მისი გამოსვლები, ორგანიზატორული ნიჭი, ფართო პოპულიარობა მუშათა კლასში, დაუშრეტელი ენერგია და პოლიტიკური მოღვაწის—რევოლიუციონერის ფხა მოსვენებას არ აძლევდა თვითმპყრობელობის დამქაშებს. ბაქოს ადმინისტრაცია დიდი ხანია იცნობდა პეტრეს მოღვაწეობას და ამიტომ სასტიკად სდევნიდა მას. მოსყიდული პირების საშუალებითაც კი ცდილობდა პეტრეს თავიდან მოშორებას და აი, როცა ადმინისტრაციამ საწადელს მიაღწია, პეტრე მოჰკლეს, კონტრ-რევოლიუციის ზეიმობს.

სიკვდილი მკვლელებს! საუკუნო ხსენება მუშათა საქმისთვის თავდადებულ მებრძოლს!“

—

პეტრე დაიბადა ტფილისში 1883 წლის იანვრის 13-ს. მამა მისი სათადარიგო ჯარისკაცი იყო. ბავშვობიდანვე პეტრე ცელქი, საქმის მოყვარული იყო. 9 წლისა რომ შეიქნა, ის მშობლებმა პირველდაწყებით სჰალაჰო სასწავლებელში მიაბარეს, სადაც სწავლა დაასრულა 1895 წელს. აქედან ის შედის ალექსანდრეს სახელობის საოსტატო ინსტიტუტთან არსებულ საჰალაჰო სასწავლებელში, საიდანაც 3 კლასის გათავების შემდეგ ინსტიტუტში შესასვლელ გამოცდას აბარებს, მაგრამ სწავლის ფულის შეუტანლობისა და ფორმის ტანისამოსის უქონლობის გამო ის იძულებულია 1898 წელს ინსტიტუტი დატოვოს. ამის შემდეგ პეტრე შევიდა მიხეილის სახელობის სახელოსნო სასწავლებელში, სადაც დაჰყო ერთი წელი. აქ რამდენიმეთ შეისწავლა ხელობა და გადავიდა მუშად არსენალში, სადაც უახლოვდება მუშებს, ეცნობა მათ ჰირ-ვარამს. ცოტა ხანს იმუშავა პეტრემ არ-

სენალში, შემდეგ მას ჩვენ ვხედავთ რკინის გზაზე სამჭედლო ცეხში. აქ ის გაცხარებულ არალეგალურ მუშაობას ეწევა: ავრცელებს და კითხულობს არალეგალურ ფურცლებსა და წიგნებს, დადის წრეებში. დაუწყეს დევნა. პეტრე გადადის საქვაბე ცეხში და როცა აქაც არ მოასვენეს, აიღო შვებულება და დროებით სოფელში წავიდა მშობლებთან. აქ ის განაგრძობს თავის საყვარელ საქმეს: მუშაობს მინგრელის პოლკის ჯარისკაცებში. ქალაქში დაბრუნების შემდეგ დგება შემკრებ (სბორნი ცეხში). ამ ხანებში პეტრე ფართო პოლიტიკურ მოღვაწეობას ჰკიდებს ხელს: უახლოვდება სტუდენტებს (ლეგრანს და სხვ.). როცა ერთხელ პეტრე საცდელ ორთქლმავალზე იქნა დანიშნული, მას ბევრი პრობლამაციები, წიგნები და სხვა მიაქვს თან. ორთქლმავალი გაგზავნილ იქნა ყარსისკენ. და აი, გზაზე ბლომად ჩამოურიგა პეტრემ არალეგალური ლიტერატურა მუშებს. ტფილისში დაბრუნებისას პეტრე მეტად საეჭვო პირი შეიქნა პოლიციისათვის. მეეზოვის დაბეზღებით პოლიციამ პეტრეს ბინაზე პრობლამაციების საწყობი აღმოაჩინა და 1900 წელს 17 წლის პეტრეს აპატიმრებს. პეტრემ გაბედულად აღიარა, რომ ყველაფერი მას ეკუთვნოდა. რამდენიმე დღე გააჩერეს მე-10 საპოლიციო უბანში და შემდეგ გადაგზავნეს მეტეხის ციხეში, სადაც გაატარა 8 თვე. ციხიდან გამოსვლის შემდეგ პეტრე მუშაობს სპილენძის ქარხანაში და შემდეგ მიდის ბაქოში, სადაც ერთი ქარხნიდან მეორეში გადადის, მუშაობს დაუღალავად მუშებში. აქ პეტრე უკვე პარტიული მუშაკია ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ამ ხანებში პეტრეს გავლენა იმდენად დიდი იყო მუშებში, რომ პოლიციას თავბრუ დაესხა. 1903 წლის აპრილის 29-ს პეტრეს იჭერენ და გზავნიან ჯერ ლენკორანის, შემახის ციხეში და შემდეგ ისევ ბაქოსაში. ორჯერ სცადა პეტრემ ციხიდან გაქცევა, მაგრამ ორივეჯერ გაუგეს. ერთი გაქცევის შემდეგ ის შეიპყრეს ციხიდან 35 ვერსტის მოშორებით, მშიერი, არაქათ-გამოლეული. მხოლოდ 1904 წლის თებერვლის 24-ს იქნა ის განთავისუფლებული ბაქოს ციხიდან პოლიციის სასტიკი ზედეელობის ქვეშ. აწიტომ რევოლიუციონური მუშაობის წარმოება მისთვის ბაქოში შეუძლებელი შეიქნა და იძულებული გახდა ტფილისში გადმოსულიყო. როგორც ძველი, გამოცდილი პარტიული მუშაკი, ტფილისში პეტრე კოოპტაციით შეყვანილ იქნა კომიტეტში. ტფილისში თავისი მუშაობით მან საყოველთაო ნდობა დაიმსახურა, მაგრამ მიუხედავად ამისა, პეტრე ძაინც ბაქოში წასვლაზე ფიქრობდა, სადაც პირველად ჩაება ბრძოლაში. ის ჩქარა გაემგზავრა ბაქოში. აქ ის დაიპატიმრეს მენშევიკების საერთო სარაიონო კრებაზე 68 ამხანაგთან ერთად და გადაგზავნეს ქ. კუბის ციხეში, საიდანაც 3 თვის შემდეგ განთავისუფლებული იქნა და ისევ დაუბრუნდა თავის საყვარელ საქმეს—პარტიულ მუშაობას.



პეტრე მონტინი

*) 1917 წლ.მდე დახოცილ რევოლიუციონერთა ხსოვნისადმი მიძღვნილ „ალბომში“ ამბ. პეტრე მონტინის ნაცვლად შეცდომით მოთავსებული იყო მისი ძმის სურათი, რომელიც პეტრეს სურათისაგან ცალი გასარჩევია. ეს სურათი გადმოგვცა ამბ. მონტინის ცოლმა.

ამხ. მონტინი თავიდანვე ბოლშევიკურ ფრაქციას ეკუთვნოდა, ყოველთვის შეურიგებელ პოზიციას ადგა, მაგრამ თავისი გულწრფელობით საყოველთაო პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული. ამიტომ იყო, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორივე ფრთის საერთო სარაიონო კრებამ ბაქოში ის აირჩია გამაერთიანებელ აღმასრულებელ კომისიაში. ამხ. მონტინმა მონაწილეობა მიიღო ტფილისში მოწვეულ **რსდმპ** კავკასიის კავშირის კონფერენციაზე. ის აგრეთვე არჩეულ იქნა დელეგატად მეოთხე პარტიულ ყრილობაზე.

ბევრი დაიწერა ამხ. მოტინზე 1905 წელს, მის შემდეგაც, მაგრამ ჯერ ჯერობით, რამდენადაც ვიცით, იმდენი მასალა მაინც არ არის დაგროვილი, რომ შეიძლებოდეს ერთი მთლიანი შრომის დაწერა ამ თვალსაჩინო მუშა-რევოლიუციონერის შესახებ. შევეცადეთ ამხ. მონტინის დედისაგან მიგვეღო ზოგიერთი ცნობები. მოხუცი დიდა ამ ჟამად ტფილისში ცხოვრობს, რომელმაც გადმოგვცა პეტრეს ორი წერილი. როგორც გადმოგვცა, მას ჰქონია პეტრეს სხვა და სხვა წერილები და სხვა მასალებიც, რომლებიც ამხანაგებს წაულიათ (მაგ. ამხ. ლეგრანს და სხვ.). ერთ წერილში, რომელიც გამოგზავნილია ციხიდან, ის მიესალმება და ამშვიდებს მშობლებს—ურჩევს დროა შეურიგდეთ ამ მდგომარეობას (ჩემს ციხეში ყოფნასო) ნუ დარდობთ. ეს ჩვენი ცხოვრების აღიარებული ბიოგრაფიაა და სხ.

შემდეგ მოსწრონს ელენას (დის) საქციელი. ელენა ყოჩაღია. ის მილოცავს კიდეც ამ ახალ ბინაზე გადასახლებას. ეს მე მომწონსო.

Вас. Елена Монтина
она далее поздравляет
меня со новосельем,
это мне нравится.
Из время того показывает,
что она смотрит на это
дело глазами „новоселья".
Маленькое дело глазами
она смотрит и на это

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბოლოს ელენას სთხოვს—თუ დრო დაგირჩეს, წითელი სატინის ხალათი შეკერე და გამომიგზავნეო.

Пусть Елена если у нея есть время сошьет мне рубашку - красная сатина, книг перешли на почте. Пишешь ничего - на мое имя перешлите не медленно. Сейчас как карь напустите это книгу. Пишет часто. Отношение Марусе - я напишу ее видимость

საერთოდ წერილში ბევრს სწერს წიგნების გაგზავნის შესახებ—ბევრს ვმაცადინობ, კარგ ამხანაგებში ვარო და სხ.

წითელი ხალათი—როგორც სჩანს, დროშად სჭირდებოდა...

მეორე წერილში სწერს, რომ როგორც კიდეც მითქვამს თქვენთვის, ციხე ხშირად დასასვენებელ ადგილის მაგიერობას ეწევაო და დასძენს—ეს თქვენ შეიძლება ირონიათ მოგეჩვენესო და სხ.

აშკარად სჩანს, რომ თავისუფლად ყოფნის დროს ამბ. პეტრეს დრო არ ჩება წიგნების წასაკითხად, სამეცადინოთ და ამიტომაა, რომ რამდენიმე თვით ციხეში გამომწყვდევაზე არც იმდენად სწუხს...

Здравствуйте. Наконецъ получилъ Скельтъ и думаю, что не ошибусь, если напишу вамъ нѣсколько словъ. Когда мнѣ сказали, что вы уѣзжаете, было-бы по-крайней мѣрѣ хотелось возвратить Не теперь я спокоенъ. Успокоивать васъ я не буду, такъ какъ вижу, что вы отлично себя держите и пишете не такимъ слезливымъ тономъ, какъ раньше. Да и то сказать — время уже примирило со всѣмъ этимъ, да и какъ несчастливы, такъ какъ ясно, что это неизбѣжно по нашей жизни и отношения къ нему нельзя не плакать-отчаяваться, а вѣрнѣе не сокрушаться.

Здравствуйте Отец и Маша.
Мы оказались очень хорошо, что-бы не сказать больше. Я вам говорил, что тюрьма пастит бывает для нас отдыхом от всех забот и печалей нашей жизни. Но это конечно будет знать вам уроней и вы будете думать, что это лишь уроды, которые хотят чужого найти люди которые страдают. Но Маша, честные слова я прямо обрадовался когда арестовали и приговорь Генерал-Губернатора определить сюда. Знаешь Я вообще имею не плохие уроки жить

კვლავ მოვაგონებთ ამხანაგებს მოგვაწოდონ ყოველგვარი ცნობები ამხ. მონტინზე, მიწერ-მოწერა მასთან, მოგონებანი, სურათები და სხვ.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. სამუელ (ნოე) გიგოს-ძე გუაჩიძე.

ერთი საუკეთესო გმირი პროლეტარული რევოლიუციისა, რომელმაც მთელი თავისი ძალ-ღონე და ტანჯული სიცოცხლე საესებით შესწირა მშრომელთა განთავისუფლების და კომუნიზმის გამარჯვების საქმეს, იყო 6 წლის წინად მტრის ვერაგული ტყვიით გულ-განგმირული, თერგის ოლქის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე, ამხ. **სამუელ (ნოე) გიგოს-ძე ბუაჩიძე**.

მთელი ტრაგიკული ცხოვრება ამხ. სამუელისა იყო განუწყვეტელი ბრძოლა ყველა იმ შავბნელი ძალების წინააღმდეგ, რომლებიც წინ ეღობებოდენ რევოლიუციის გამარჯვების საქმეს, კაცობრიობის ახალი ცხოვრების დასაწყისს. სადაც არ უნდა ყოფილიყო ამხ. სამუელი—სკოლაში, თუ მიტინგზე, საქართველოში, თუ ოსმალეთში, ბოლგარეთში თუ შვეიცარიაში, ციხეში თუ ნათესავ-მეგობართა ოჯახში—ყველგან და ყოველთვის ის გამოდიოდა როგორც მოკიქული და მებრძოლი მუშათა კლასის და მთელი მშრომელი კაცობრიობის ოჯახყანებისა საუკეთესოებრივ მონობის ხეწდების დასამსხვრევად. ძნელია და თითქმის შეუძლებელია ამხ. სამუელის ცხოვრების მთლიანი სურათის გადმოშლა მით უმეტეს, რომ მუდმივი დევნის და სიკვდილით დასჯის საფრთხის გამო ის იძულებული იყო დიდი საიდუმლოების ქვეშ შეენახა თავისი ვინაობა, ნამდვილი გვარი და სახელი, ხშირად გამოეცვალა ბინადრობა, გარდახვეწილიყო ქალაქიდან ქალაქში, სახელმწიფოდან სახელმწიფოში, სანამ 1917 წ. თებერვლის რევოლიუციამ მას საშუალება არ მისცა დაბრუნებულიყო რუსეთში და ჩაბმულიყო აქტიურ რევოლიუციონურ ბრძოლაში.

ამხ. სამუელ გიგოსძე ბუაჩიძე დაიბადა 1884 წ. სოფელ ფარცხნალში, შორაპნის მაზრაში, ღარიბი გლეხის ოჯახში; გაჭირვება და სიღარიბე თავიდანვე მისი თანამგზავრი იყო, რამაც გამოწვეთნა, მოამზადა მასში ნიადაგი სოციალისტური უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლისთვის, მტკიცე რევოლიუციონური ნებისყოფის გამომუშავებისთვის. მრავალრიცხოვანი ოჯახით დატვირთულმა მამა-მისმა შესძლო მისი მიბარება დაბა ხარაგოულის პირველდაწყებით სასწავლებელში, რომელიც იმ დროს ერთად-ერთი იყო მთელ იმ რაიონში. ხალისიანი და ენერგიული სამუელი ნიჭიერ მოწაფედ ითვლება ხარაგოულის ორ-კლასიან სასწავლებელში და მას სრულებით არ ეძნელება სასწავლო საგნების შეთვისება, თუმცა სკოლიდან დაბრუნე-



სანდრო გუჯაბიძე

ბისას ოჯახშიც უხდება სხვა და სხვა ფიზიკური მუშაობა,—ხვნა-თესვა, საჭონლის მწყემსობა და სხვა.

სოფლის სკოლაშივე გამოჩნდება სამუელის პროტესტანტული სულისკვეთება, როდესაც ის ილაშქრებს და აწყობს მოწაფეთა გამოსვლებს სასკოლო ბიუროკრატიზმისა და უსამართლობის წინააღმდეგ. მოწაფეთა ასეთი საპროტესტო გამოსვლებში მეთაურობისთვის მას ხშირად სკოლიდან გაძევებაც მოელოდა და მხოლოდ მამა-მისის ხვეწნა-მუდარის და შუამდგომლობის გამო მას ეძლევა საშვალება დაამთავროს ხარაგოულის ორკლასიანი სასწავლებელი. სწავლის შემდეგი გაგრძელება იმ დროს ღარიბი გლეხის შვილისთვის თათქმის სრულებით მიუწდომელი იყო, მაგრამ სამუელი ბედს არ ემორჩილება, სცდილობს გადალახოს ყოველგვარი დაბრკოლება და გააგრძელოს სწავლა. დიდის ვაი-ვაგლახით ახერხებს შესვლას ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელში (ფერმა), რომელიც ამ ჟამად სამეურნეო ტეხნიკუმად არის გადაკეთებული, იმ დროს კი დაბალი ტიპის სამეურნეო სასწავლებელს წარმოადგენდა. ამ სკოლაში სწავლობდა უმთავრესად ღარიბი ოჯახებიდან გამოსული ახალგაზრდობა, რომელიც რევოლიუციის წინა წლებში ხარბად ეწაფებოდა არალეგალურ ლიტერატურას, ადვილად ითვისებდა მუშათა კლასის და მთელი მშრომელი კაცობრიობის განთავისუფლების იდეებს.

ამხ. სამუელიც მხურვალე მონაწილეობას იღებს მოსწაველეთა რევოლიუციონურ წრეებში, ხელმძღვანელობს მოწაფეთა ხელთნაწერ არალეგალურ ჟურნალს და სხვ. ამავე დროს სასკოლო საგნებსაც ჯარგად ითვისებს.

სკოლის დამთავრების შემდეგ ის აბარებს გამოცდას სახალხო მასწავლებლობაზე და მიდის მასწავლებლად რაჭის ერთ-ერთ სოფელში. მალე ის გადმოდის მასწავლებლად, იმავე ხარაგოულის სასწავლებელში, სადაც თვითონ მიიღო პირველდაწყებითი განათლება. სამუელი გატაცებით და დიდი სიყვარულით ემსახურება სახალხო განათლების საქმეს. ჯერ კიდევ სამეურნეო სასწავლებელში მოწაფეობის დროს ბევრ ახალგაზრდას უხსნის ის გზას სწავლა-განათლებისაკენ, აქეზებს, რჩევა-დარიგებას აძლევს მათ მშობლებს და სხვა. ამავე დროს ის ცდილობს გლეხობაში სამეურნეო ცოდნათა გავრცელებაზე. იმ დროს ქვემო იმერეთში სრულებით განადგურებული იყო ფილოქსერისაგან ვენახები და გლეხობა მეურნეობის ამ დარგზე ხელს იღებდა; გამოსავალი ამ მდგომარეობიდან ერთად-ერთი იყო: ამერიკულ საძირეზე ჩვენებური ჯიშების მყნობა და სამუელიც ყველას ურჩევს, მაგალითს უჩვენებს ვენახების ამ წესით გაშენებისას. ერთ დროს მან ხარაგოულის სასწავლებლის ეზოშიც მშვენიერი ბაღი გააშენა.

მაგრამ ამ წვრილმანებით სამუელის მოუსვენარი რევოლიუციონური ბუნება ვერ კმაყოფილდება. უმთავრესი საქმე, რომელსაც ის ემსახურება, არის რევოლიუციისთვის ნიადაგის მომზადება. მუშათა კლასში და მშრომელ გლეხობაში რევოლიუციონური თვითშეგნების შეტანა. ამ მიზნით ის აწყობს რევოლიუციონურ წრეებს რკინის გზის მუშებში, გლეხებში და სოფლის ინტელიგენციაში. დღისით ის სკოლაშია, ღამით კი საიდუმლო კრებებზე, ტყეში და მთებში. თავისი დაუღალავი რევოლიუციონური მუშაობით, მშრომელი ხალხის განთავისუფლების საქმისადმი სიყვარულით, ის დიდ შთაბეჭდილებას და გავლენას ახდენს ყველაზე, ვისაც კი ოდნავ მაინც შეეძლო გასცილებოდა თავის პირად ინტერესებს და ეფიქრა მთელი მშრომელი ხალხის კეთილდღეობაზე.

1905 წლის რევოლიუციის დროს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხარაგოულის ორგანიზაცია, რომელიც იმ თავითვე ბოლშევიკური იყო, ერთ უძლიერეს ორგანიზაციად ითვლება საქართველოში. ამაში უმთავრესი ღვაწლი გადაუმეტებლად ამხ. სამუელ ეკუთვნის. ის მოუსვენრად დადის ამ დროს სოფლიდან სოფელში, კრებიდან კრებაზე, რაზმავს გლეხობას, ამზადებს მათ გადამწყვეტი ბრძოლისთვის, აწარმოებს ნაყოფიერ მარქსისტულ აგიტაცია-პროპაგანდას. ყოველივე ამ მუშაობას ის პირველ ხანებში დიდი საიდუმლოების ქვეშ ასრულებს და იმავე დროს ასწრებს სკოლის გაკვეთილებზე მეცადინეობას. ამავე დროს ის არის გამგე ხარაგოულის წიგნსაცავ სამკითხველოსი, სადაც ნებადართულ წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებთან ერთად საკმაოდ მოიპოვება არალეგალური ლიტერატურა, ფურცლები, მოწოდებები და სხვა.

რევოლიუციონური მოძრაობის ტალღები თანდათან ზევით იწევენ. როგორც ქალაქი, ისე სოფელი გადამწყვეტი ბრძოლისთვის ემზადება, რომელმაც უნდა წალეკოს მეფის თვითმპყრობელობის ყოველგვარი ნაშთები ყველა გაბატონებულ კლასებთან ერთად. რევოლიუციონური მუშაობა გაასკეცებულ ენერგიას, გამბედაობას და ფაქიზვიწყებას მოითხოვს. სამუელმაც ამ დროს არც ერთი წუთი მოსვენება არ იცის, ის გატაცებულია რევოლიუციონური მოძრაობის გრანდიოზული სურათით, შეხარის მშრომელთა განთავისუფლების დღის მოახლოებას. ბრძოლა თანდათან უფრო მკაცრ ხასიათს ღებულობს, რევოლიუციას შეიარაღებული დამცველები ეჭირვება. სამუელიც შეუდგა რკინისგზელ მუშებიდან და ღარიბი გლეხებიდან შეიარაღებული რაზმის მოწყობას, რომლის საშუალებით მან შესძლო მთელი ხარაგოულის რაიონის კონტრ-რევოლიუციონერების ალაგმვა და განიარაღება. მალე მან ბორჯომის მამულის მფლობელ დიდი მთავრის მცველთა განიარაღებაც მოახერხა, რამაც საკმაოდ გააძლიერა მისი რაზმი.

ამ ხნის განმავლობაში შავ-ბნელი ძალები არა ერთხელ ცდილან ამხ. სამუელის თავიდან მოცილებას. ჩასაფრებული თავს ესხმიან მას, მაგრამ ის ყოველთვის უენებლად ახერხებს განსაცდელიდან თავის დაღწევას. აგვისტოს ბოლო რიცხვებში კი ავავაზაკებმა შესძლეს სამუელის ერთი საუკეთესო ამხანაგის და თანამებრძოლის ამხ. ვანო მაღრაძის მოკვლა, რამაც მწუხარებით აავსო ამხ. სამუელი და მოკლული ამხანაგის ს. ლილევანში გრანდიოზული დასაფლავების შემდეგ ის ცოტა ხნით, სულ რამდენიმე კვირით, იძულებულია გადავიდეს შულავერის მაზრაში. აქ ის ცხოვრობს თავის ბიძაშვილთან, რკინის გზის მოსამსახურესთან; დასვენებასთან ერთად ის ცდილობს თავის ცოდნათა გაფართოებას თვითგანვითარების გზით. ამ დროს იმ რაიონში სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტა მძინვარებდა. სამუელს არ შეეძლო დასვენებულს, გულხელდაკრებილი ეყურებია ასეთ საშინელი ამბებისთვის და ის აქტიურად ილაშქრება მეფის მთავრობის ავენტების საშინელი პროვოკაციის წინააღმდეგ, ცდილობს მოძმე ხალხთა შორის ძმურ ურთიერთობის აღდგენას.

მაგრამ მალე ის ისევ შორაპანის მაზრაში ბრუნდება. გამოცხადდა 17 ოქტომბრის მანიფესტიც, რომელმაც სრულებით ვერ დააკმაყოფილა მებრძოლი ძალები და რევოლიუციონური სტიქია კიდევ უფრო მეტად გაიზარდა. სამუელი ამ დროს საგუბერნიო კომიტეტის და სამხედრო შტაბის წევრია. დასავლეთ საქართველოს ყველა ადგილებიდან ხალხი განდევნა მთავრობის მოხელეები, გამოაცხადა თავისი ძალა-უფლება.

ყვირილაშიაც მოხდა მთელი პოლიციის განიარაღება და ჯერი მიდგა თენგინის პოლკის ნაწილების განიარაღებაზე.

სამუელმა სულ მცირე რაზმით შესძლო ხარაგოულში მდგომ როტის განიარაღება, რომლის დროსაც მოკლულ იქნა როტის უფროსი კაპიტანი დავიდოვი. წითელ რაზმელებიდან კი მსხვერპლი არ ყოფილა. სამუელი გაეშურა თავისი რაზმით წიფის გვირაბისაკენ, სადაც აგრეთვე იდგა თენგინის პოლკის ნაწილი. აქ მის რაზმს მოუხდა შეტაკება ყაზახთა ასეულთან, რომლის დროსაც მოკლულ იქნა რამოდენიმე ყაზახი, იყვნენ დაჭრილებიც. ყაზახები უკან დაბრუნდენ.

გამოირკვა, რომ ხაშურში დამსჯელი ექსპედიციის დიდი ძალებია თავმოყრილი გენერალ ალიხანოვ-ავარსკის მეთაურობით. რევოლიუციონერთა მცირე რაზმების წინააღმდეგ მტრის აუარებელი ძალები ემზადებოდნენ საბრძოლველად. სამუელის რაზმს მიემატა დამხმარე რაზმები ზესტაფონიდან, ჭიათურიდან და სხვა ადგილებიდან, მაგრამ რევოლიუციონური რაზმი მაინც მცირერიცხოვანი იყო და მოუმზადებელი, მტერი კი ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით იყო შეიარაღებული, მრავალი ზარბაზნებით და ტყვიის მფრქვეველებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლშევიკური ორგანიზაცია მაინც ენერგიულად ემზადებოდა ბრძოლისთვის, მაგრამ მენშევიკთა მერყეობამ აქაც იჩინა თავი, როგორც ეს აღნიშნა ამხ. კოტე ცინცაძემ, „რევოლიუციის მატიანეში“ გამოქვეყნებულ თავის მოგონებებში. ცენტრებში: მოსკოვში, პეტროგრადში და თვით ბაქო-ტფილისშიც რევოლიუცია ამ დროს დამარცხებული იყო და წიფის გვირაბთან ბრძოლაც აზრს ჰკარგავდა, რის გამოც რამოდენიმე დღის შემდეგ რაზმი მოხსნილ იქნა წიფის უღელტეხილიდან, რის შემდეგ დაუყოვნებლივ დაიძრა ქუთაისის გუბერნიისაკენ გენერალ ალიხანოვ-ავარსკის ჯარები და ყოველივეს ცეცხლით და მახვილით ანადგურებდა გზაზე.

სამუელი ემშვიდობება თავის რაზმელებს, მოუწოდებს მათ შეინახონ იარაღი ახალი აჯანყებისთვის, მომავალი ბრძოლისთვის და მიდის ქვემო-იმერეთისკენ. აქედან ის სამხრეთ-ოსეთის გზით გადადის კავკავში, სადაც დაუყოვნებლივ ანაღებს პარტიულ აგიტაცია-პროპაგანდას.

აქ, სხვათა შორის, ის რევოლიუციონერად იკავებს კავკავის ერთ-ერთ სტამბას და ბეჭდავს პირველი სახელმწიფო სათათბიროს მემარცხენე დეპუტატების მოწოდებას. პოლიციის რაზმის სტამბში მოსვლისას საქმე უკვე გათავებულია, სამუელის და მის თანამშრომელთა ხელში ჩაგდება შეუძლებელი გახდა.

მალე ის იძულებულია კავკავიდან რუსეთის სხვა ქალაქებში გადავიდეს. ერთ ხანს ის მოსკოვში ცხოვრობს და აწარმოებს იქ პარტიულ მუშაობას. ამ დროს მას გაფაცებით ეძებენ ქუთაისის გუბერნიაში, რასაც მას ატყობინებენ ძმები, ურჩევენ საზღვარ-გარეთ გასვლას, რომ თავი გადაირჩინოს სიკვდილით დასჯისაგან. მოსკოვის ჟანდარმერიაც ამჩნევს მასში საეჭვო და საშიშ რევოლიუციონერს და აპატიმრებს სწორედ იმ დროს, როდესაც ის საზღვარ-გარეთ წასასვლელად ემზადებოდა.

მოსკოვის ჟანდარმერია უგზავნის შეკითხვას სამუელის პიროვნების შესახებ ქურაისის გუბერნატორს, მაგრამ ქუთაისელი ამხანაგები ახერხებენ გუბერნატორის კანცელარიაში მასზე ცნობების მოპოვებას. ამნაირად, სამუელის პიროვნება გამოურკვეული დარჩა მეფის მთავრობის მოსამართლეებისთვის, მიუხედავად ამისა ისინი ამჩნევენ, რომ საქმე საშიშ რევოლიუციონერთან აქვთ და 4 წლის კატორღა მიუსაჯეს მას. ვოლოგდის საკატორღო ციხიდან სამუელი ცდილობს გამოქცევას, მაგრამ ისევ დაპატიმრებულ იქნა და შემდეგ კატორღის გათავებამდე მისთვის ბორკილი არ მოუცილებიათ. კატორღის გათავების შემდეგ ის გადაასახლეს ირკუტსკის გუბერნიაში, საიდანაც ის ახერხებს გამოქცევას, ჩამოდის ქუთაისში, საიდანაც, ამხანაგებისაგან საიდუმლოდ სათანადო საბუთების შოვნის შემდეგ მიდის ოსმალეთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოსმალეთში ის ერთ წუთსაც არ ივიწყებს რევოლიუციის საქმეს, რამოდენიმე ხნით ის მსახურობს სამსუნის ფრანგულ სკოლაში (გიმნაზიაში), რუსული ენის მასწავლებლის თანამდებობაზე; მაგრამ სამსუნში ის დიდი ხნით ვერ ახერხებს თავის დამაღვას, მიეშურება სტამბოლისაკენ—დიდ ქალაქ სტამბოლში უფრო ადვილი იყო რევოლიუციონური მუშაობის წარმოება, მაგრამ იწყება საერთაშორისო ომი. ოსმალეთის მთავრობა ემიგრანტებს წინადადებას აძლევს რუსეთის წინააღმდეგ მომქმედ რაზმში შესვლაზე. ამხ. სამუელს ლენინის ყალბი წერილიც კი უჩვენეს, მაგრამ ის არ უჯერის და მიდის ბოლგარეთში, სადაც ეწყობა დიდ თანამდებობაზე.—სახელმწიფო მამოქლების გამგედ. იმავე დროს თანამშრომლობს გაზეთებში და ილაშქრებს საერთაშორისო ხოცვა ჟლეტის წინააღმდეგ იქაურ ჟურნალ-გაზეთებში, ევროპიულ ენებზე და რუსულ ჟურნალ-გაზეთებშიც, მაგალ. „Современный мир"-ში თავსდებოდა ხანგამოშვებით მისი წერილები, ზოგიერთი მათგანის თარგმანი მოთავსებული იყო აგრეთვე ტფილისის გაზეთ „თანამედროვე აზრში"-ც.

მალე მას ბოლგარეთის პოლიციაც დაედევნა, თუმცა მისი ნამდვილი გვარი და რევოლიუციონური წარსული არავინ არ იცის. სამუელი გადაიცვამს ბერის ტანისამოსს და ცდილობს ბოლგარეთის საზღვრებზე გადასვლას. როგორც იქნა, მიაღწია შვეიცარიას, შედის ჟენევის უნივერსიტეტში ეკონომიურ ფაკულტეტზე და იწყებს ენერგიულ მეცადინეობას უმაღლესი სწავლის დასამთავრებლად. ამავე დროს ის მხურვალე მონაწილეობას იღებს საზღვარ გარეთელ ბოლშევიკურ წრეებში, უახლოვდება ამხ. ლენინს, რომელთანაც ერთხანს პირადად მიწერ-მოწერაც ჰქონდა.

1917 წლის თებერვლის რევოლიუციის შემდეგ ის ამხ. ლენინთან ერთად მიეშურება ლენინგრადისკენ. აქედან ის პირდაპირ ფრონტზე მიდის, აწარმოებს აგიტაციას ჯარისკაცებში, რომელებზედაც ის დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს თავისი რევოლიუციონური გატაცებით და მტკიცე ნებისყოფით.

1917 წლის ივნისში ის სამიოდე დღით ჩამოდის თავის სოფელ ფარცხნალში, ნახულობს მშობლებს და ნათესავებს, რომლებსაც ის მოწყვეტილი იყო 12 წლით. ამავე დროს მან მოასწრო ლექციების მოწყობა ქუთაისში, ჭიათურაში და ზოგიერთ სხვა ადგილებში; შემდეგ კი მიემგზავრება კავკასიისკენ, სადაც მას 1906 წელში მოუხდა რევოლიუციონური მუშაობა, შერჩა არალეგალური ნაცნობობა. კავკაზში ჩასვლისთანავე მას უხდება მუშაობა სხვა და სხვა სოციალისტებრივ თანამდებობაზე, მალე ის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ იქნა არჩეული. ძნელი იყო იმ დროს ჩრდილოეთ-კავკასიაში მუშაობა: ეროვნულ-კულტურული მრავალ-ფეროვა-

ნება, სოციალურ ინტერესთა სხვადასხვაობა, პროლეტარიატის სიმცირე, რევოლიუციონური ცენტრებისგან მოწყვეტილობა, მომზადებულ ამხანაგთა უყოლობა და მრავალი სხვა დაბრკოლება წინ ეღობებოდა ახლად გამოცხადებულ საბჭოთა ხელისუფლების მუშაობას. იმ დროს თერგის ოლქის მართვა-გამგეობის სათავეში ყოფნა უდრიდა მღელვარე და მოგუზგუზე ვულკანზე ჯდომას ყოველ წუთში მოსალოდნელი იყო კატასტროფა...

მაგრამ სამუელი არ უშინდება განსაცდელს, არ სჩვევია უკან დახევა და ის გაბედულად მიიმართება წინ, კომუნიზმის გამარჯვებისკენ. უიმედობა და სასოწარკვეთილება მან არ იცის და მიუხედავათ მისი ორგანიზმის დასუსტებისა, ის ყოველთვის იქ ჩნდება, სადაც უფრო მეტი საფრთხე მოელის პროლეტარიატის გამარჯვების საქმეს, სადაც უფრო მეტი თავგანწირვაა საჭირო. თავისი პირადი გავლენით და კონფლიქტების ადგილზე თავის დროზე გამოცხადებით ის ხშირად ახერხებს თერგის ოლქში მცხოვრებ ერთა შორას სისხლის ღვრის აცილებას. მისი პირადი სიცოცხლე ხშირად ეკიდა ბეწვზე, მაგრამ შიში მის გულს არ ეკარებოდა.

მეტად დამახასიათებელია მისი წერილი კავკაზიდან ამბ. მ. ცხაკაიასადმი, რომელიც გამოქვეყნებულია რუსეთის კომუნისტური პარტიის „ბიულეტენში" (1918 წ. 30 ივნისი) რუსულ ენაზე. მოვიყვან აქ ზოგიერთ ადგილებს: „მე საქმოდ დიდი ხანი ვიყავი გაჩუმებული, მიზეზი ჩემი ავადმყოფობა იყო. დამესხენ ერთად მუცლის ტიფი და ფილტვების ანთება. უნდოდათ ჩემი მოსპობა". მაგრამ, როგორც სჩანს წერილში, სამუელის ორგანიზმმა ეხლაც ისევე, როგორც ციხეში, სადაც მან გადიტანა პარტახტიანი ტიფი, შებრუნებითი ტიფი და ფილტვების ანთება. შესძლო ამ უმძიმესი ავადმყოფობის დაძლევა და ის ისევ ენერგიულად შეუდგა პარტიულ მუშაობას. „ერთხანს ძალიან ძნელი იყო", ხწერს ის ქვეით. „მრავალმა ამხანაგმა ავარდა სულმოკლეობა გამოიჩინა და სხვადასხვა მიზეზებით ყველა სტოვებდა ჩვენს მუშაობას, ხშირად მე მარტოდ ვრჩებოდი და წარმოიდგინეთ, ეს ძალას მაძლევდა და ენერგიას მიმატებდა".

ძნელი იყო ამ დროს გამოსვლა, მაგრამ სამუელი მაინც ახერხებდა ლექცია-მოხსენებებში ბოლშევიკური თვალსაზრისის გატარებას როგორც თვითონ სწერს იმავე წერილში.. შეიცვალა პირობები და მას ყოველ მხრიდან თხოულობენ, მოსვენებას არ აძლევენ და ისიც ცდილობს ყველგან მოასწროს, ყველას მისწვდეს. „რასაკვირველია, მეც დავდივარ, ვმოძრაობ, რაღაცას ვაკეთებ, ვანგრევ, ვანადგურებ, ვაშენებ და ვქმნი". ასე მღელვარედ მიდიოდა მთელი მისი ცხოვრება; იყო შემთხვევები, როდესაც ის ჩრდილოეთ კავკასიაში მოთარეშე კონტრ-რევოლიუციონურ ბანდიტებსაც უვარდებოდა ხელში, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც ეს მოხდა ქალ. პიატიგორსკში, სადაც ის „ნეკეევიასოველებს“ მთელი საათი ყავდათ ტყვედ შუბლთან რევოლვერ დაღერებული.

თავდასხმის და სიკვდილის აჩრდილი მას ყოველ წუთს თან დასდევდა, ის მაინც თავს არ უფრთხილდება და მუდამ ბრძოლის ცეცხლში ტრიალებდა და დიდი ხნობით არ ჩერდება მთავრობის თავმჯდომარის სამუშაო კაბინეტში, არამედ ყოველთვის ქუჩისკენ, მიტინგისკენ და შეხლა-შეტაკების ადგილისაკენ მიისწრაფის. აქ იყო მისი ბუნებრივი მოწოდება, სტიქია საუკეთესო სახალხო ტრიბუნისა, როგორც უწოდებს სამუელს ერთი მისი ამხანაგთაგანი ზევით ხსენებულ „ბიულეტენში“.

მაგრამ დაბოლოს შავბნელმა ძალებმა შესძლეს თავისი საწადელის შესრულება, მოახერხეს უშაშარი რევოლიუციონერის დაღუპვა ქურდულად გამოსროლილი ტყვიის საშვალებით. ეს მოხდა 1918 წლის 20 ივნისს. ამ დღეს მოხდა ინგუშების წინააღმდეგ ყაზახების გამოსვლა, რომლებმაც რამოდენიმე ზარბაზანიც გაიტაცეს. სამუელმა გასცა განკარგულება ზარბაზნების უკან დაბრუნების შესახებ და თითონაც გაეშურა შეტაკების ადგილზე... მან შესძლო აჯანყებულთა დაწყნარება, მაგრამ იქ შეკრებილ აუარებელ ხალხთა წრიდან მოულოდნელად გაისმა სროლა და სამუელიც უსუ-ლოდ დაეცა მიწაზე.

ძმებმა მისი ცხედარი წამოასვენეს საქართველოსკენ სოფელ ფარცხნალში დასაკრძალავად, მაგრამ ცოცხლად მრავალ ტანჯულ ამხანაგს მკვდარსაც არ ინდობენ ყაზბეგში შეკრებილ მენშევიკთა დამჯაბები. მენშევიკური რაზმის მეთაური ოფიცერი შეურაცყოფას აყენებს განსვენებულის ცხედარს და თერგშიც კი უპირებს ძას გადაგდებას. მაგრამ გონს მოსული ხალხი ხელს უშლის მის ამ განზრახვას და აძლევს საშუალებას ნაშუელის ძმებს წაასვენონ წამებული მებრძოლის ცხედარი სამშობლოსკენ.

ყაზბეგის აქეთ მცხეთამდე დუშეთის მაზრა ამ დროს ქონდათ დაკავებული აჯანყებულ გლეხებს, რომლებმაც მცხეთამდე საპატიო ყარაული გამოაყოლეს დაღუპულ მებრძოლის ცხედარს.

სამუელის დაკრძალვის დღეს მის ცხედართან საკმაოდ მრავალრიცხოვანი გლეხობა შეიკრიბა, მხოლოდ საოლქო კომიტეტის და ტფილისის მუშების დელეგაციას „დამოუკიდებელი მიზეზების გამო“ საშუალება არ მიეცა გამომშვიდობებოდა დაღუპულ ამხანაგის ცხედარს, როგორც ამას ატყობინებდა განსვენებულის მშობლებს ამხ. მიხა ცხაკაიას. დაესწრენ მხოლოდ ამხ. ნ. დ. კიკნაძე, ბ. ლომინაძე და რამოდენიმე პირადი მეგობრები ამხ. სამუელისა. ცხედარს ამკობდა ორმოცამდე გვირგვინი ჩრდილოეთ-კავკასიის რევოლიუციონურ ორგანიზაციებიდან და განსვენებულის მეგობრების სახელით.

ასეთი ტანჯვა-წამებით განვლო მთელი ცხოვრება ამხ. სამუელმა, შესწირა რა ყოველივე პროლეტარიატის და სოციალური რევოლიუციის გამარჯვების საქმეს. სამწუხაროდ, რომორც ზევით აღვნიშნე, მის ცხედარსაც მრავალი შეურაცყოფა მიაყენეს მუშათა კლასის მოღალატე მენშევიკებმა, რომლებმაც გამოსამშვიდობებლათაც არ მოუშვეს მასთან ამხანაგები.

მიმდინარე 1924 წლის 20 ივნისს შესრულდა 6 წელი სამუელის ტრაგიკულად დაღუპვის დღიდან, სამწუხაროდ მისი საფლავი დღესაც ვერ არის სათანადოდ მოვლილი; ვფიქრობ რომ განსვენებულის ხსოვნა მეტი ყურადღების ღირსია ამხანაგებისაგან და პარტიისაგან.

ი. ბ.

P. S. განსვენებულის შესახებ ცნობები მოიპოვება: „Терская Правда" 1918 წ. 22 ივნისის ნომერში და „Бюлетень Рос. Ком. Партии (б) 1918 წ. 30 ივნისი და ზოგიერთ სხვა ტურნალ-გაზეთებშიც.

ი. ბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. თომა ჩუგინიძე.

(მეტისახელი „საქული“)

1907 წელს ქუთაისის საგუბერნიო ციხეში ჩემი ყურადღება უნებლიეთ მიიპყრო მაღალმა, ეკუკაცური შეხედულების, ენერგიული გამომეტყველების, მეტად სიმპატიური სახის პატრონმა, შეხედულობით მუშამ. მას ფეხებზე ბორკილები ჰქონდა და საკუთარი ტანსაცმისი ეცვა. ეს იყო იმის ნიშანი, რომ ის სერიოზული პოლიტიკური პატიმარი იყო. ის ამხანაგი თომა ჩუგინიძე გახლდათ. 1907 წელი რეაქციის ბატონობის და მისი უმსგავსო თარეშის ხანა იყო.

მუშათა კლასის და გლეხების საუკეთესო შვილებს ან ჰხოცავდნენ, ან ციხეში აღპობდნენ.

ამხ. თომაც ერთი უბრალო, ფრიად ღარიბი გლეხის შვილი იყო შორაპნის მაზრიდან. ის სიღარიბის გამო სოფელს მოშორდა და ქალაქ ბათუმს მიაშურა საცხოვრებელი საღსარის მოსაპოვებლად. მუშათა მოძრაობის დაწყებისათანავე ბათუმში ეს თავდაიწყებით გადაეშვა რევოლიუციონურ მოძრაობის ტალღებში და ერთ-ერთ საუკეთესო მუშაკად ითვლებოდა ბათუმში. მოძრაობის გაღრმავებისა და გაძლიერების შემდეგ, 1905 წლის დასაწყისში, ის ესტუმრა თავის მაზრას, სოფელს, რომ აქ გლეხებშიაც შეეტანა რევოლიუციის ნაპერწკალი. (ამ დროს სოც.-დემოკრატიული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევდენ სოფელს დ მოწინავე მუშებს სოფელში სამუშაოდ გზავნიდნენ). შორაპნის მაზრაში მას უსწრებს რევოლიუციონური გამოსვლები იარაღით ხელში. ის პირველი ეწერება წითელ რაზმში, რომელსაც ამხ. აფრასიონ მერკვილაძე ხელმძღვანელობდა. ყველა შეიარაღებულ გამოსვლებში ამხ. თომა აქტიურ მონაწილეობას იღებდა. ჯერ კიდევ, სანამ რევოლიუციონური რაზმები ჯარების განიარაღებას შეუდგებოდნენ, ის სხვა რაზმელებთან ერთად შეუდგა თავად-აზნაურობის განიარაღებას და მათზე ტერორის გავრცელების შემდეგ მონაწილეობას იღებდა ჯარის ნაწილების (ტენგინის პოლკი) განიარაღებაში. ყვირილის რესპუბლიკის დამარცხების შემდეგ, რაც შედეგი იყო საერთოდ რევოლიუციის დამარცხების, ამხ. თომა, როგორც ნამდვილი მებრძოლი, თავის ადგილას რჩება. ის იარაღს არ აგდებს ხელიდან და აფრასიონ მერკვილაძის მიერ შედგენილ რაზმს უერთდება. მთელი 1906 წლის განმავლობაში ის ამ რაზმს მეთაურობდა აფრასიონთან ერთად. ამ რაზმის მოქმედება თავზარსა სცემდა ად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გილობრივ რეაქციის წარმომადგენლებს. 1906 წლის დასასრულში ეს რაზმი იშლება სოც.-დემოკ. ორგანიზაციის წინადადებით და ყველა რაზმელები სხვა და სხვა ადგილას თავის შესაფარებლად წავიდ-წამოვიდნენ. ამხ. თოშამაც თავის ნაცნობ ქალაქს მიაშურა, სადაც მან პირველი ნაბიჯები გადადგა რევოლიუციონურ ფრონტზე. აქ მას ატუსაღებენ და ქუთაისის ციხეში გადაიყვანებენ გასასამართლებლად.

აი სწორედ აქ მოხდა ჩემი მასთან გაცნობა. მისი ენერგიული სახე იმედებით სავსე იყო. ის სრულიადაც არ ფიქრობდა, რომ მეფის მთავრობას შეეძლო მისი ფიზიკური მოსპობა. მისი ფიქრი და უნარი ციხიდან გაქცევის მოწყობისაკენ იყო მიმართული. მართლაც, 1907 წელში ის ციხიდან გაიქცევა სხვებთან ერთად ხვრელის საშუალებით. ციხიდან გაქცევის შემდეგ ტფილისს გაემგზავრება თავის მესანახავად. ტფილისიდან კი — ბაქოში. აქ ამხ. ბუდუსთან ერთად მუშაობს 1908 წლის მაისამდის. მას ატყვევებენ თათრის ქუჩაზე სასტიკი შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ მაისურაძის გვარით. 2 ნახ. თვის შემდეგ ანხ. თომა აქედანაც გაიქცევა და ტფილისის მხარეზე მოდის საცხოვრებლად და სამუშაოდ.

1909 წელში მას ისევ ატყვევებენ ქ. გორში მაკაევის გვარით. ორი თუ სამი წლის გამოძიების ქვეშ ყოფნის შემდეგ მას ოთხი წლით „არესტანტსკი როტას" მიუსჯიან. შემდეგ ამისა მთავრობას ეშვი ეპარება, რომ ეს მაკაევი ბაქოს ციხიდან გაქცეული მაისურაძე უნდა იყოსო. იწყება ახალი გამოძიება 1917 წლამდე, რევოლიუციამდის. მარტის პირველ დღეებში მას ანთავისუფლებენ ციხიდან. 10 წლის განმავლობაში (1907—1917-მდის) ამხ. თომა ციხეში ატარებდა თავის სიცოცხლეს. გამოვიდა თუ არა ციხიდან, ის შეუდგა მუშაობას. დაუღალავად მუშაობდა, დაღლა და მოქანცვა მან არ იცოდა რა იყო. 1918 წელს ის ბაღშევიკური საოლქო კომიტეტის განკარგულებით დუშეთის მაზრაში მიემგზავრება სამუშაოდ. მას დავალება ჰქონდა აჯანყებისათვის ხალხი მოემზადებია. მან ზედმიწევნით შეასრულა დაავალება. ის იყო მთავარი ხელმძღვანელი დუშეთის გლეხების აჯანყებისა მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ. თვით აქტიურად, იარაღით ხელში, იღებდა მონაწილეობას ყველა გამოსვლებში. მაგრამ აჯანყების დამარცხების შემდეგ ის სოფ. ყაზბეგში სასიკვდილო ჭრილობას იღებს მენშევიკების ჯალათებისაგან. უყურადღებოთ, ჭაბალოთ მიგდებული სადღაც ჯოხში ის ვერ ერევა ჭრილობას და კვდება. ამხ. თომამ გადაიტანა მეფის მთავრობის ციხეები, მასთან საშინელი ბრძოლა, რამოდენიმეჯერ სიკვდილით დასჯას გადაურჩა, მოესწრო მშრომელთა განთავისუფლებას, და . . . . . „სოციალისტური" მთავრობის ჯალათების ხელით სიცოცხლეს ესალმება.

სტალინის ალბომიდან

მდიდარი იყო ამხ. თომას რევოლიუციონური მოღვაწეობა, მდიდარი იყო მისი სიცოცხლე, მდიდარია მისი სიკვდილიც. მის რევოლიუციონურ მუშაობას დაუფასებელი აღმზრდელობითი მნიშვნელობა უნდა დაურჩეს მუშათა ახალგაზრდობისათვის. მასში იყო შეერთებული ქალაქის მუშა და უღარიბესი გლეხის ტიპი. იშვიათი მხნეობის, გაბედულების და ენერგიის გამომხატველი იყო ამხ. თომა. სწორედ რომ საამაყო მუშაკი იყო მუშათა კლასისათვის: მჭერმეტყველი, მომხიბლავი მოლაპარაკე, მუშა-გლეხი ორატორი, უბრალო, მაგრამ ძლიერი ნების პატრონი, შეურიგებული რევოლიუციონერი დაჰკარგა საქართველოს მუშებმა და გლეხებმა ამხ. თომას სახით.

მუშათა კლასის გამარჯვება საუკეთესო ძეგლი იქნება მის სახსოვრად.

კოტე.

25 აპრილი.

ამხ. არკადი ელგაჯიძე.

(მეტისახელი „აგორდი").

ამხ. არკადი დაიბადა რაჭაში, სოფ. წესში. ის იყო უუღარიბესი გლეხის შვილი. ბავშვობიდანვე სიღარიბეში ადზრდილი, ის ადრეგაზრდობიდანვე დაუახლოვდა რევოლიუციონურ მოძრაობას, სანამ 18 წლის გახდებოდა, სოფელში მიწის მუშაობით ცხოვრობდა. გაჭირვებამ აიძულა სოფლისთვეთის თავი გაენებებინა და ხელფასის საშოვნელად ქალაქს მიშურებოდა. ამ მიზნით ის ტფილისს მიემგზავრება. მაგრამ ხელობის უცოდინარობის გამო იძულებული გახდა მზარეულობა შეესწავლა.

დიდი ხნის განმავლობაში მზარეულობით ცხოვრობდა. 1904 და 1905 წლის განმავლობაში ის ეცნობა რევოლიუციონურ მოძრაობას და შეძლებისდაგვარად მონაწილეობას იღებდა ამ მოძრაობაში. 1906 წელს ის სტოვებს თავის ხელობას და წევრი ხდება ბოლშევიკების სამხედრო ორგანიზაციის, მონაწილეობას იღებს თითქმის ყველა აქტიურ გამოსვლებში. 1909 წ. ატყვევებენ და რუსეთში ასახლებენ. რამდენიმე თვის შემდეგ თავის ნებით ბრუნდება და ტფილისში განაგრძნობს მუშაობას. 1910 წელს კვლავ აპატიმრებენ და ციმბირში ასახლებენ. იქიდანაც ჩქარა გამოიპარება. მთელ გზას ციმბირიდან მცხეთამდის ფეხით გაივლის. 1917 წელს რევოლიუციის შემდეგ სამშობლოში ბრუნდება და მენშევიკების წინააღმდეგ აწარმოებს ბრძოლას საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. 1918 წელს ამხ. არკადის მენშევიკები აპატიმრებენ და 9 დღის სიმძიმილობის შემდეგ თავს აღწევს მენშევიკების ციხეს. ჩამოდის კავკაზში და აგრძელებს მუშაობას. მთელი წლის განმავლობაში მუშაობდა თერგის ოლქის საგანგებო კომისიაში (ჩეკაში). დენიკინის გაბარჯვების შემდეგ 1919 წელს თებერვალში წითელ ლაშქართან ერთად ის იხევს საქართველოში. აქ ის ეწევა აქტიურ მუშაობას მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ. 1919 წლშივე სექტემბერში ის აქტიურ მონაწილეობას იღებს გენერალ ბარათოვის (დენიკინის წარმომადგენელი იყო საქართველოში) მოკვლის მიზნით თავდასხმაში. მაგრამ ამ აქტის დროს ძველ რევოლიუციონერს „ბედი" შეუბღალებს და მას მენშევიკების ჯალათები დაჭერის დროს ჭკლავენ.



ამბ. არქანდი ელბაციძე

ამხ. არკადის სახით მუშათა კლასმა დაჰკარგა ერთ-ერთი საუკეთესო, გულადი, ჩქარი და გულწრფელი რევოლიუციონერი-კომუნისტი.

კოტე.

მენშევიკების ახალი ღალატი *)

ამის წინეთ ქართველ მენშევიკების მთავრობამ დიდის ამბით მიიღო შავი რეაქციის მეთაურის—დენიკინის წარმომადგენელი—**გენ. ბარათოვი**. მენშევიკები და იმათი მთავრობა, ალბათ მალავენ, რომ დენიკინთან შესაძლებელია მორიგება და შეთანხმება. უკეთუ... უკეთუ მეფის გენ. მენშევიკებთან მოლაპარაკებას იკადრებს და მენშევიკების სასაცილო მინისტრებს ხელს არ ახლებს.

დენიკინელები უწინარეს ყოვლისა საქმის ხალხია, იმათთვის ლამაზ სიტყვებს მნიშვნელობა როდი აქვს. ასეთი სიტყვებით ფრონს გადიან მხოლოდ მენშევიკები.

დენიკინელებიც ამ ჩვენ საქართველოში თავის შავ საქმეს აწყობენ და მენშევიკების მინისტრებს ჯერ ხელს არ ახლებენ, ვინაიდან იმათ ანგარიშში ჯერ ეს არ შედის. ბარათოვი გამოგზავნილია ტფილისში ერთად ერთი მისიით, დანიშნულებით: მოაწყოს აქ დენიკინის შტაბი და თავი მოუყაროს დენიკინელ ოფიცრებს და გენერლებს. რაც ვერ მოახერხა გენ. ნათიშვილმა თავის უტაქტო მოქმედებით, იმას ასრულებს დღეს გენ. ბარათოვი თვით ბ.ბ. ჟორდანიას და გეგეჭკორის ლოცვა-კურთხევით. ბარათოვმა უკვე შექმნა თავისი შტაბი, გააბა ქსელი. მენშევიკების მთავრობა მას ყველაფერში ეხმარება და ხელს უწყობს, შესთავაზებს ავტომობილი და სხვა რამეები. დროითი-დროით გენერალი ნახულობს ბ. გეგეჭკორს,—ამ ყველა კონტრ-რევოლიუციონერების და იმპერიალისტების საჭირისს. და ამ უკანასკნელის შეკითხვაზე,—სცნობს მთხალისეთა ჯარის მეთაური დენიკინი საქართველოს დამოკიდებულებას თუ არა,—დენიკინის წარმომადგენელი წარბშეუხრელად დადებით პასუხს აძლევს, ვინაიდან სიტყვას მისთვის არავითარი ფასი არ აქვს. გეგეჭკორის კაბინეტიდან ბ-ნი ბარათოვი პირდაპირ თავის შტაბში მიდის, არა სიტყვებისთვის, რა თქმა უნდა, არამედ შავი რეაქციის საქმეების მოსაწყობათ.

ასეთი გზით ჩაიგდო ხელში დენიკინმა დაღესტანი, ასე უპირებს იგი დღეს აზერბეიჯანს, ამასვე უმზადებს იგი საქართველოსაც, აზერბეიჯანს—ხანების და ბეგების და საქართველოს—ქართველი მენშევიკების დახმარებით.

*) ეს წერილი ამოღებულია „მუშათა ბიულეტენი"-დან № 3—გვეგონება 17 წელი არ არის ალბშჭილი. ბიულეტენი გამოდიოდა ტფილისში ილეგალურად.

რ ე დ.

ასე და ამგვარად, ქართველი მენშევიკები, შეგნებულად სახიზღარ საქმეს აწყობენ. საქართველოში, რა თქმა უნდა, საკმარისად მოიპოვებიან დენიკინის აგენტები; გენ. ნათიევი და ბარათოვი, ალბათ, გამონაკლისს არ შეადგენენ. ქართველი მენშევიკები ამ ბნელ ძალებს აშკარად ეხმარებიან. ასეთია მენშევიკების საქმენი.

მაგრამ სიტყვით ეს ვაჭბატონები სულ სხვას ამბობენ და ეს არის სწორედ სამწუხარო მოვლენა, რომ ბევრ გულუბრყვილო მკითხველს ეს სიტყვები სჯერა. დროა, ამხანაგმა მუშებმა და გლეხებმა მენშევიკების სიტყვებს ნაკლები ყურადღება მიაქციონ და სამაგიეროდ მათი საქმენი განიხილონ. დროა, ამხანაგებო, სანამ ჯერ კიდევ მუხანათურათ დენიკინის ურდო ჩვენში არ შემოსულა. როგორც ეს მოხდა დაღესტანში მთიელთა მოღალატე მთავრობის მეოხებით, როგორც ეს ხდება დღეს, აზერბეიჯანში ქართველ მენშევიკების მოკავშირე ბეგების და ხანების წყალობით; ამხანაგებო, რაც შეიძლება მეტი სიფრთხილე, მეტი შეგნება და მეტი სიფხიზლე, მეტი შეგნება და მეტი გამბედაობა. მტერი ახლოსაა, იგი ჩვენ საბუდარშია შემოსული. თუ ჩვენ არ მოვასწარით და არ დავაჭირეთ ხელი ყელში, იგი მოგვასწრობს და ჩაგვცემს დანას. მაშინ გვიანღა იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. თომა კამალოვი.

დაიბადა 1890 წელს ტფილისში. სწავლობდა კომერციულ სასწავლებელში, რომელსაც 2—3 კლასის შემდეგ თავი გაანება და ექსტერნად გამოცდა ჩააბარა კადეტთა კორპუსში 8 კლასისა. 1910 წელს გაემგზავრა კიევს, სადაც თავისუფალ მსმენელად შევიდა საექიმო ფაკულტეტზე. 1911 წლიდან იწყება მისი რევოლიუციონური მოღვაწეობა. 1914 წლამდე ორჯერ იჯდა მეტეხის ციხეში. პირველად 3—4 თვე, მეორედ—6—8 თვე. 1914 წელს, ნიკოლოზ II ტფილისში მოსვლის წინა ხანებში მას აძევებენ კავკასიის საზღვრებიდან ქ. ხარკოვში. იქ ერთ ერთ უკრანიულ სოციალისტურ გაზეთს რედაქტორობდა და როცა ჟანდარმერიამ სასტიკი დევნა დაუწყო, გადასახლდა სოფელ „აფრიკა“-ში, სადაც მუშაობდა როგორც მეფუტკრეობის ინსტრუქტორი, ნამდვილად კი განაგრძობდა არალეგალურ მუშაობას. გაზეთებში მოთავსებული მთელი რიგი მისი სტატიების გამო ის იგზავნება სარატოვში, სადაც ამ დროს ეწყობოდა სამხედრო-სამრეწველო კომიტეტები. ამხ. კამალოვი გამოვიდა ერთ-ერთ კრებაზე და თავისი სიტყვა ასე დაათავა—„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“-ო. ეს იმ ხანებში დიდი ამბავი იყო. იქ ის ძლივს გაუსხლტა ჯაშუშებს ხელიდან სხვის ტანისამოსში გამოწყობილი, მხოლოდ მეორე დღეს შეიპყრეს ჟანდარმებმა საკუთარ ბინაზე. მთელი ათი თვე გაატარა სარატოვის საკატორღო ციხის ცალკე კამერაში. სასამართლოს წესით მოელოდა სასჯელი 1—2 წლამდე ციხე ან 3 წლით ციმბირში გადასახლება. 1917 წლის თებერვალში ორგანიზაციის დახმარებით ის თავდების ქვეშ გამოჰყავთ ციხიდან. თებერვლის რევოლიუციამ სრულიად გაანთავისუფლა და ისიც სამშობლოში, ტფილისში, დაბრუნდა. აქ ამხ. კამალოვი მენშევიკურმა მთავრობამ შეიპყრო 1918 თებერვალში და ერთი თვე ციხეში ყოფის შემდეგ გააძევა ჩრდილო კავკასიაში, სადაც კავკაზში აგვისტოში მოხდარი ამბების დროს დახვრეტილ იქნა პოლკოვნიკ ივანოვის და აფიცრების სოკოლოვის და ბეგიევის მიერ.

ამხ. კამალოვის დახვრეტა ასე მოხდა:

ამხ. კამალოვი იყო მუშათა დეპუტატების საბჭოს და რევტრიბუნალის თავმჯდომარე. 1918 წ. დაპატიმრებულ იქნენ ივანოვი, სოკოლოვი და ბეგიევი, რომელთაც დახვრეტა მიუსაჯეს. ამხ. კამალოვი ურჩევდა ამხანაგებს, რომ ისინი არ დაეხვრიტათ, ვინაიდან ისედაც

ბევრი სისხლი დაიღვარაო. ამას გარდა საბჭოთა ხელისუფლება იმდენად ძლიერია, რომ ეს პირები ვერავითარ ზიანს ვერ მოუტანენო. ამაზე ამხანაგები დასთანხმდენ და დაპატიმრებულნი გაანთავისუფლეს, რომელთაც განთავისუფლების შემდეგ მოაწყვეს რაზმები და წავიდენ კავკავზე. გაჩაღდა ბრძოლა. კავკავი ორად გაიყო: ერთ ნაწილში გამაგრებული იყვნენ ზემოხსენებული პირები თავიანთი რაზმებით, მეორეში საბჭოთა ხელისუფლება თავისი ჯარით; საბჭოთა ჯარი იძულებული შეიქნა დაეხია მთებში. წინადადება მისცეს ამხ. კამალოვს გაჰყოლოდა მათ, მაგრამ არ დასთანხმდა, არჩია კავკავში დარჩენა. მოიპარსა წვერ-ულვაში და ორი დღე სარდაფში იმალებოდა. ამ დროს იპერდენ ყველას, ამხ. კამალოვმაც ვერ მოითმინა და მალვას თავი დაანება—დეე, მეც ის მომივიდეს, რაც ჩემს ამხანაგებს მოუვაო და ამ გადაწყვეტილებით წავიდა პულკოვნიკ ივანოვთან, მაგრამ გზაში ოსებმა ის შეიპყრეს და ციხეში გაგზავნეს. 2—3 დღე ამხ. კამალოვმა იქ მშვიდად გაატარა იმ იმედით, რომ წითლები გაიმარჯვებენ ან ჩემ მიერ დახვრეტისაგან დახსნილი პირები დამიხმარებიან და არ დამხვრეტენო, მაგრამ ეს იმედი არ გაუმართლდა.

4—5 დღის შემდეგ, როცა წითლებმა გაიმარჯვეს და ქალაქი დაიბრუნეს, ამხ. კამალოვის გვამი ნახეს სრულიად დასახიჩრებული ერთ-ერთ თავლის მახლობლად. ის ტანისამოსით ძლივს იცნეს და სხვა დახოცილ ამხანაგებთან ერთად მიწას მიაბარეს ძმათა სასაფლაოზე.

საქართველოს ცენტრალურმა აღმასკომმა, როგორც სამოქალაქო ომის მსხვერპლი, ის დააჯილდოვა წითელი დროშის ორდენით.

სიცოცხლეში ამხანაგი კამალოვი ხშირად იტყოდა ხოლმე: „მე ოჯახობა არა მყავს, მე რევოლიუციას ვეკუთვნიო“. დახვრეტის წინ ამხანაგებს სთხოვდა—თუ ვინიცობაა თქვენ გადარჩებით ცოცხალი, აცნობეთ ჩემს მშობლებსა და ცოლს, რომ ჩემი მოვალეობა შევასრულე და არც შემეძლო სხვანაირად მოვქცეულიყავიო...



თომა კამალოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლია გაბუნიას ხსოვნას

(მოგონებანი)

ჩვენ ხელთ გვაქვს მთელ რიგ ტანჯულ-წამებულ ამხანაგების მოგონებები, რომელთა სახელიც წითელი ხოლიოთ არის გატარებული პროლეტარული რევოლიუციის ისტორიაში. მათ თავიანთი ენერგიული და დაუღალავი მრძოლით ხელი შეუწყეს მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დამკვიდრებას და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ოდნავ ძირს არ დაუხრიათ კომუნისტური პარტიის სიმაღე წითელი დროშა.

აი ასეთ დაღუპულ და წამებულთა ამხანაგების რიგებს ეკუთვნის ამხ. ოლია დავითის ასული გაბუნია, რომელიც მკრეხ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 28 ოქტომბერს 1919 წ.

რომ გავიგოთ, თუ ვინ იყო ამხ. ოლია, რას წარმოადგენდა ის ჩვენი პარტიის და საერთოდ განმათავისუფლებელ მოძრაობისათვის, ამიტომ საჭიროა გადავხედოთ 24 წლის წინეთ პარტიის ისტორიას ჩვენში, საქართველოში და აღვნიშნოთ მისი როლი განმათავისუფლებელ მოძრაობაში. მოგეხსენებათ, რომ მაშინ არამც თუ ქალები, არამედ მამაკაცებიც თითებზე იყვნენ ჩამოსათვლელნი. აი ამ დროს, 1900 წელს, ამხანაგი ოლია ადგენს წრეს საქალაქო ქალთა პროფესიონალურ სკოლაში და იმ დროიდან იწყება მისი აქტიური მონაწილეობა პარტიაში. ის არამც თუ სიტყვით, საქმითაც ატარებს მუშაობას, იღებს ყველა დემონსტრაციებში მონაწილეობას, პარტიის დადგენილებით 1903 წელს 23 თებერვალს პუშკინის ბაღიდან, სწორედ იმ ადგილს, სადაც დღეს ამხ. კამოა დაკრძალული. აი ამ დემონსტრაციაში ამხ. **ოლია გამოდის პირველი, როგორც ქალი წითელი დროშით** და მას გაშმაგებული ყაზახ-პოლიციელები წიხლ ქვეშ ჩაგდებით და „ნაგაიკების“ ცემით დასისხლიანებულს აპატიმრებენ და ათავსებენ მეტეხის ციხეში, საიდანაც ორი-სამი თვის შემდეგ ანთავისუფლებენ, მაგრამ როგორც ყველა რევოლიუციონერს სჩვევია, ამხ. ოლიაც გამოდის ციხიდან და გაასკეცებული ენერგიით განაგრძობს თავის საყვარელ რევოლიუციონურ მუშაობას. ისეთი ძნელი საქმე არაელეგარულ მუშაობაში არ ყოფილა, რომ მას არ გაეკეთებიოს, როგორც მაგ. ერთი რაიონიდან მეორეში ლიტერატურის და ასაფეთქებელ ნივთიერებათა გადატანა. ის ყოველთვის მზად იყო და ამხანაგებიც, რასაკვირველია, მას ანდობდნენ ასეთ საქმიანობას, რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგანაც ჭალს ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას აქცევდენ ნიკოლოზის ჯაშუშები. 1908 წ. პატიმრებენ მეშვიდე რაიონის კოლექტივს ვერაზე და სხვებთან ერთად მასაც იჭერენ, სადაც (კოლექტივში) იგი შედიოდა, როგორც ბოლშევიკური ფრაქციის წარმომადგენელი. მას ამ საქმეზე მიუსჯიან 4 წლის კატორღას, რომელსაც შემდეგ ორი წლის ციხით შეუცვლიან. ციხიდან მას ანთავისუფლებენ 1910 წ. ის იწყებს მუშაობას ჯარში, ახდენს კრებებს, ავრცელებს ფურცლებს, უკითხავს ჯარისკაცებს ბროშიურებს და სხ.

მახსოვს, როდესაც სამხედრო ციხეში ვიყავი დაპატიმრებული, ამხ. ოლია ხან პურში, ხან პაპიროსში, რომელსაც იგი ამზადებინებდა სპეციალურად ბოზარჯიანცის ქარხანაში, ფურცლებს შემომიგზავნიდა ხოლმე, რათა იქ დაპატიმრებულ „პოტიომკინის“ მატროსებისათვის და ლიახვის ყაზახებისთვის (სპარსეთში დაპატიმრებული) გადამეცა წასაკითხათ. ის იმდენად ენერგიული და იმდენათ დაუღალავი იყო, რომ რაიონიდან რაიონში, ციხიდან ციხეში დარბოდა და არავის არ აკლებდა, როგორც ის იტყოდა ხოლმე, ცხელ ცხელ ლავაშებს. მაგრამ მას მესამედ აპატიმრებენ 1912 წელს და გზავნიან შორეულ ციმბირში, სადაც თავის სულიერი მეგობარი ამხ. ე. არეშიძე ხვდება და საიდანაც ორივე სამი წლის შემდეგ „გამოპარვით, 1915 წელს, ჩამოდიან ტფილისში.

ამხ. ოლია ეწყობა ტფილისის ერთ-ერთ ლაზარეთში და აქაც განაგრძობს რევოლიუციონურ მუშაობას დაჭრილ და ავადმყოფ ჯარისკაცთა შორის მირსკისთან და სხვა ამხანაგებთან ერთად. აგიტაციაპროპაგანდით ამზადებენ ჯარისკაცებს ომის წინააღმდეგ, აწყობენ წრეებს-მიტინგებს და სხ.

ასეთ უანგარო წრფელი სულით და გულით მებრძოლმა ოლიამ ამდენ ტანჯვა-წვალებას, სულიერ ღელვას მენშევიკების ბატონობის დროს ვერ ეთმლო მისმა ტანჯვით დასუსტებულმა სუსტმა აგებულობამ და ეჭვსი თვის ავადმყოფობის შემდეგ „დალია სული სწორედ იმ დროს, როდესაც კავკასიონის კედელს უახლოვდებოდა წითელი ჯარი. ეს ისე ამოიოხრავდა, რომ მთელ სხეულს ამოტანდა და ეტყოდა მის ირგვლივ შეკრებილ ამხანაგებს: ოხ, როდის იქნება, როდის, რომ „ჰეტრე“ (ნ. რამიშვილს) თავის ამალით კუდით ქვას ვასროლინებთ, რომლებიც ასე უსინდისოთ ახრჩობენ ამიერ-კავკასიის პროლეტარიატს ერთმანეთის სასხლში, მაგრამ არა, მე ვგრძნობ, რომ ვეღარ მოვესწრები, ვინაიდან ეს ჩემი ნატვრის წუთები შორს აღარაა. ეი ასეთ ამოკვნესაში ამხ. ოლიამ თავისი ოცი წლის დაუღალავი რევოლიუციონურ ბრძოლაში დალია სული 1919 წ. 28 ოქტომბერს.

სანდალა ვერელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Тифлисское Губернское Жандармское Управ





нар. виду 45-94 рост. 1 метр. 5[illegible] сант. *Раса (если цвѣтнокожій)*

2. Носъ: Перенос. (глуб). Спинка Высота | Выст. «Шир.
Особ.

3. Губы: Выс.врх.губ. Выст. Бордюр. Толщина Особ.

4. Подб.Ротъ: «Велич.» «Особ.» Накл. Высота Особ.

5. Очер.проф.: Лобн.нос. Нижн.ч.л. Выс.черен. Особ.

Нач. Верх. Низ. Особ.
черт. Приросш. Поверхн. Высота Особ.
коз. Накл. Проф. Выпяч. Разм. выст. Особ.
ки: Низ. Верх. Форм.уха Оттоп. Рако... ос.

7. Борода.Ви.: Цв. Особ. Цв. Особ.

17. Усы: Цв. Особ.

9. Лобъ: Гориз. Отвѣсно

11. Глазницы:
12. Разст. между глаз.
Лобн.
Межбровн.
Прочія
14. Выраженіе

13. Морщ.

16. Цв.глаз.: Окраска Полнок. Особ.

8. Скляк. Фор.соб. слезн.

Шея: Дл. Шир. Особ.
Плечи: Накл. Шир.
Покъ

Глаза. 10. Бров. 9. Лобъ.

Возлѣ[illegible]

указательный

средній

ნიკოლოზ (კოლა) ლუარსაბის-ძე ფურცელაძე.

კოლა ფურცელაძე დაიბადა 1 სექტემბერს 1881 წელს სოფელ მეჯვრისხევში (გორის მაზრა). იგი იყო მეტად ღარიბი მუშის შვილი (წოდებით თუმცა აზნაური). კოლამ ბავშვობა ღატაკურ ცხოვრებაში გაატარა და რვა—ცხრა წლის ბავშვმა დაიწყო არსებობისათვის შრომა. ასეთ ცხოვრებას ეწეოდა იგი 10—11 წელს, ი. ე. ოც წლამდის; შემდეგ მუშაობდა რკინის გზაზე და სხვა ქარხნებში.

1902 წელს კოლა გორში ტფილისიდან მოსულ ს. დ. ჰ. წევრის საშუალებით ეცნობა მუშათა მოძრაობას. უნდა აღინიშნოს, რომ კოლამ პატარაობისას ერთ ზამთარს ძლივს იარა სოფლის სასწავლებელში და იქ ცოტათი წერა-კითხვა შეისწავლა. შემდეგში, როცა ის სოფლის ,ნასწავლ ხალხს ლუკმისთვის ემსახურებოდა, თავისუფალ დროს ეწეოდა მეცადინეობას, რის გამოც 20—22 წლის უკვე კარგი შეგნებული მუშა იყო; 1902 წელს ერთგულად მიჰყო ხელი რევოლიუციონურ მოძრაობას და 1904—1905 წ. ითვლებოდა საუკეთესო მუშაკათ გორის ს.-დ. ორგანიზაციაში; იყო საუკეთესო ორგანიზატორი მთელ გორის მაზრაში, ორატორი და გამოჩენილი ტერორისტი. 1904 წ. ტფილისიდან გორში გადმოასახლეს ს. დ. ჰ. წევრი გეგო თარხანოვი, რომელსაც ეცნობა კოლა და მასთან აწყობს გორში საბეჭდავ „გეკტოგრაფს“ პროკლამაციების საბეჭდავად და 1905 წლის დამდეგს აწყობს ფარულ სტამბას. 1905 წლიდან კოლას ბევრჯერ დაეცნენ ჟანდარმები, მაგრამ კოლა ყოველთვის გამარჯვებული რჩებოდა და მტერს აყენებდა ზიანს.

ერთხელ კოლა სოფლის ორგანიზაციიდან გორში მიდიოდა. პოლიციის მზვერავნი შეხვდენ, იცნეს და დაედევნენ მას. ბნელი ღამე იყო; კოლა გაიქცა, პოლიციელებმა სროლა დაუწყეს, კოლა გადახტა ტფილისის ქუჩაზე, კაპანაძის ეზოში, პოლიციელებმა ეს ვერ შენიშნეს, ამ დროს კოლამ ეზოდან დაუწყო ნაგანიდან სროლა და რამდენიმე პოლიციელი დასჭრა. როცა მდევრები გაიფანტენ, კოლა გადახტა სხვა ეზოში და ბაღებით გაიქცა. 1904 წ. კოლას დღისით შეხვდენ დაბურულ ბაზარში (გორში) პოლიციელები რევოლვერებით ხელში, უნდოდათ დაეპირათ იგი, მაგრამ მან იძრო თავისი მაუზერი, ყველას იარაღი აჰყარა და გაიქცა, თან წაიღო იმათი რევოლვერები. 1905 წ., მარტში, როდესაც გორში, რუსის მოედანზე დემონსტრაციის დროს ბოქაულმა ბარძიმ ავალოვმა დაახვრეტინა მუშები,

კოლას იქ დროშა ეჭირა ხელთ, მაგრამ თავის მამაცობით აქ გადარჩა. ერთხელ, 1905 წელს, კოლა ყაზახების „ობოდს“ შეხვდა, რომელთაც წინ ღძლოდა ბოქაული ჰიჰიკო ვარდოსანიძე. ეს მოხდა გორის ბაზრისათან გამოუდგენ კოლას, კოლამ სროლითვე უპასუხა და გაიქცა ალმოსავლეთით, სასაფლაოსკენ მინდვრად რომ გავიდა, დაინახა ცხენი მძოვარე. შეახტა ცხენს და გაიქცა უფლისციხისაკენ, იქ ცხენი გაუშვა, თითონ გაცურა მდ. მტკვარი და მატარებლით გორში ავიდა დასამალად. 1905 წ. ერთხელ კოლა საადგილაციოთ იყო გაგზავნილი გორიდან სოფელ ახალ-ქალაქში. ყაზახების ჯგუფი გაძოლდა მას, მაგრამ კოლამ მოასწრო ტყეში გაქცევა და იქ ერთ დიდ ქვას ამოეწვა და მაუხერხედან დაეწყო სროლა.

ყაზახებიც ესროდენ, მაგრამ ვერას ავნებდენ, კოლამ რამდენიმე ყაზახი მძიმედ დასჭრა. როცა ის იყო ტყვია ელეოდა, გაიქცა. ამ დროს ის ფიზმი დასჭრეს, მაგრამ მან მაინც შესძლო დამალვა ერთ მეცხვარესთან მთაში. შენდეგ დაჭრილი კოლა ტფილისში ჩამოაყვანეს მოსარჩენად. მალე მორჩა და შეუდგა თავის მუშაობას ისევ უშიშრად და ერთგულად. 1905 წ. კოლას დაუწყეს დევნა და იგი ათასნაირად იცვლიდა ტანისამოსს, რომ ვერ ეცნოთ. ხან კონტოს ტანისამოსს ჩაიცვამდა, ხან გლეხის, ხან ჩინოვნიკის ფორმასს და ისე დადიოდა არამც თუ ღამე, დღეც და ვერ სცნობდენ. როდესაც ერთხელ გორის ბაზრის უფროსი ვახვახოვი სასტიკად მოითხოვდა ბოქაულ ვარდოსანიძესაგან შეეპყრო მას კოლა, ან მოეკლა, ბოქაულმა უარი განაცხადა და სთხოვა უფროსს სამსახურიდან განთავისუფლება, რადგანაც მას შიშით ვერ გაებედა კოლას დაჭერა. კოლას ჯიბეებში ბომბები მუდამ უწყვიათ და მისი მიდგომა და შეპყრობა შეუძლებელი არისო—ამბობდა ბოქაული.

ასევე განაცხადეს გორის ბაზრის სხვა ბოქაულებმაც. მ. ვახვახოვმა ამის შესახებ მოახსენა ტფილისის სამხედრო გუბერნატორს 1905 წ. რომელმაც გაზეთში გამოაცხადა, რომ ვინც კოლა ფურცელაძეს დაიჭერს, მიეცემა ჯილდო სამასი მანეთი, ვინც მოჰკლავს,—200 მან. ამის შემდეგ კოლა იძულებული შეიქნა რუსეთში გაქცეულიყო დასამალად, საიდანაც შემდეგ დაბრუნდა მძიმე ავადმყოფი გორში ნოემბერში, 1905 წ. 17 ოქტომბერს მანიფესტის შემდეგ. მაგრამ რეაქციის გამარჯვების შემდეგ 1906 წელს კოლა ბოქაულმა გოთუამ შეიპყრო 5 იანვარს გორში, როცა ის ექიმთან მიდიოდა და გაგზავნა მეტეხის ციხეში. კოლას საქმე შემდეგ გაირჩა სამხედრო სასამართლოში და იმავე წელს გადაასახლეს ქალ. ვოლოგდაში 5 წლით, გაანთავისუფლეს მძიმე ავადმყოფობის (ჭლექი) გამო მხოლოდ 1908 წლის ბოლოს. გადაასახლეს მცირე სწავლით და მუშური შეგნებით, მაგრამ ვოლოგდაში ცოლის დახმარებით სწავლა განაგრძო. ცოლი



კოლა ფუჩიცელაძე

კოლამ ვოლოგდაში შეირთო (ფურმაზელის ასული) და 1909 წელს ქ. ჩორნი-ოაში (ასტრახანის გუბერნია) ჩაბარა გამოცდა 4 კლასიან სამოქალაქო სასწავლებელში. კოლა ვოლოგდაში ავად გახდა ანთებით და გაუჭნდა წყალმაკი ფილტვებში, რამაც აიძულა გამოქცეულიყო იგი ვოლოგდიდან და მალულად ეცხოვრა შავი ზღვის პირს—ხან ტუაფსეში, ხან სოხუმში, ხან გაგრაში. ასე კოლა იმალებოდა წელიწად-ნახევარი. ამ ფარულმა და გაჭირვებულმა ცხოვრებამ იძულებული გახადა კოლას ცოლი ეთხოვა ნამესტნიკისათვის როგორც ავადმყოფი გადაესახლებინა სადმე უფრო თბილ ადგილას. ნამესტნიკმა თხოვნა დააკმაყოფილა და კოლას მიუჩინა ასტრახანის გუბერნია, სადაც იცხოვრა 1908—1911 წლის ბოლომდე; შემდეგ თუმცა კოლა გაანთავისუფლეს, მაგრამ მაინც არ უშვებდენ მას ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში, რის გამოც კოლა იძულებული იყო, როგორც ქლეპანი, ეცხოვრა 1911—1913 წ. სოხუმში ზამთრობით და ზაფხულობით ხარკოვში, სადაც მან ჩააბარა 1912 წ. გაზაფხულზე გამოცდა სიმწიფის ატესტატზე. კოლა უმაღლეს სასწავლებელში აპირებდა სწავლის განგრძობას, მაგრამ ავადმყოფობამ ამისი ნება არ მისცა. 1908 წელს კოლას მეუღლე ასტრახანში ავად გაუხდა, რომელიც ნათესავებმა გაგზავნეს საექიმოდ შეეიცარიაში, მაგრამ არც კოლას, არც მის ცოლს არაფერი ეშველა და ორივენი დიდი ტანჯვით გარდაიცვალენ კოლა 1914 წ. 20 იანვარს გორში, მისი ცოლი—ვოლოგდაში 1914 წ. მარტის 25-ს.

კოლა საზღვარ-გარედან ყოველთვიურად იღებდა ხან 10, ხან 12 მანეთს და სიკვდილის წინად 25 მან. მოუვიდა. კოლა ფურცელაძე დავასაფლავეთ ქალაქ გორში 26 იანვარს 1914 წ. გორის მშრომელებმა პატივისცა კოლას ცხედარს, მაგრამ ვერც ერთმა მისმა ამხანაგმა ვერ გაბედა სიტყვის წარმოთქმა, ვერც ჭუჩაში, ვერც სასაფლაოზე, რადგანაც პროცესიას პოლიციელების ალყა ერტყა. ისევ მე გავბედე სიტყვის თქმა, მაგრამ მალე გამაჩუმეს ამხანაგებმა და ეტლით მომიტაცეს, მაგრამ შემდეგ დამიჭირეს და მასწავლებლობიდან დამითხოვეს.

ალექსანდრე ფურცელაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იასონ ღლონტი.

იასონი მე გავიცანი 1903 წ. ივლისში. მაშინ ის ჯარისკაცად მსახურობდა ქუთაისში—ჯარის იმ ნაწილში, სადაც უფროსად იყო ცნობილი რეაქციონერი ივანე დუმბაძე. ჯარში ის ითვლებოდა საუკეთესო მსროლელად, რისთვისაც დაჯილდოვებული იყო.

თუმცა იასონს სოფლის სკოლის სამი განყოფილების მეტი არ ქონდა გათავებული, მარა მუყაითობით გვარიანად შეისწავლა ქართულ-რუსული წერა-კითხვა და დაიმსახურა უფროსი ფელთფებლობა, შემდეგში ოფიცრობის გამოცდაც ჩააბარა და აგზავნიდენ რუსეთ-იაპონიის ომში, მაგრამ რადგანაც შემოდგომაზე სამსახურს ათავებდა, შინაურებმა არ დაანებეს ომში წასვლა. გათავდა თუ არა ჯარში სამსახური, 1903 წ. შემოდგომაზე, ის ჩამოდის ტფილისში და შედის სამსახურში რკინის გზაზე. ტფილისში ის პირველ ღღიდანვე მოხვდა შუშათა მოწინავე ჯგუფში; ეს ჯგუფი მაშინ აქტიურად მუშაობდა 1 რაიონში. რკინის გზაზე ის მიიღებს სამსახურში კონდუქტორად. სულ მცირე ხნის განმავლობაში, იასონი გახდა ჯგუფის საუკეთესო მომუშავე.

როგორც მან გადმომცა, პირველი მისი ტერორისტული აქტი იყო რკინის გზების უფროსის ინჟენერ ვედენეევის მოკვლა, რომელიც მეტად მკაცრად ეპყრობოდა მუშა-მოსამსახურეებს. ეს იყო 1903 თუ 1904 წ. ამ ტერორისტულმა აქტმა იასონს ამხანაგებში დიდი ნდობა და პატივი მოუხვეჭა.

რადგანაც ვედენეევი თავს ძალიან უფრთხილდებოდა, მისი მოკვლა ვერავინ მოახერხა; ბოლოს თურმე იასონმა იდვა თავს და კიდეც შეასრულა. ვედენეევი მოკლულ იქნა თავის საკუთარ ბინაზე, სახლის მეორე თუ მესამე სართულში, როდესაც ღია ფანჯარაზე იყო მომდგარი მოპირდაპირე სახლის სახურავიდან. ეს ისე მოხდა, რომ არავის შეუნიშნავს.

ამის შემდეგ იასონი გახდა აქტიური მომუშავე ტერორისტთა ჯგუფში, რომელსაც ავრეთვე მეთაურობდა. ტერორისტულ აქტებს მაშინ ახდენდენ კენჭის ყრით. იასონმა მოჰკლა მატარებელების რევიზორი თუმანოვი, რომელიც მეტად მკაცრად და ცუდათ ეპყრობოდა მოსამსახურეებს. ეს მკვლელობა მოხდა გზაზე ტფილისს-ავჭალას შუა, ბორჯომის მატარებელში. აქ რევიზორი თუმანოვი მეტად მხეცურად მოეპყრა იასონს; ის სამხედრო სასამართლოში იქნა მიცემული, მაგრამ სასამართლომ გაამართლა.



იასონ ღლონტი

თუმცა სასამართლომ გაამართლა, მარა რკინის გზის ადმინისტრაციამ და ჟანდარმერიამ სამსახურიდან დაითხოვა, რადგანაც თუმანოვის მკვლელობა პოლიტიკურ-ტერორისტულ აქტად ჩასთვალა.

იასონი შეუდგა არალეგალურ ცხოვრებას. ეს იყო 1905 წ. ზაფხულში.

გრიაზნოვის მოკვლა კენჭით შეხვდა არსენა ჯორჯიაშვილს და იასონ ღლონტს. მათ დავალება კიდეც მოიყვანეს სისრულეში, მაგრამ არსენა იქავე დაიჭირეს, იასონმა კი მოახერხა გაქცევა. თუმცა ჯორჯიაშვილი ბევრი აწამეს, რომ გაეცა მისი ამხანაგი, რადგანაც მთავრობამ იცოდა, რომ მარტო ჯორჯიაშვილი არ ყოფილა, მაგრამ არსენამ არ გასცა. პარტიამაც პროკლამაციებში გრიაზნოვის მკვლელად გამოაცხადა მარტო ჯორჯიაშვილი, რომ ამით მთავრობისთვის საშუალება მოესპო მკვლელის ძებნისა. იასონმა მოჰკლა აგრეთვე სადგურ ტფილისის უფროსი ტერპლოვსკი და რკინის გზის მოძრაობის უფროსი ბერდტი და ბევრი სხვა მავნე პირები, რომელთა გვარები არ მახსოვს, თუმცა კი მეტყოდა ხოლმე როდესაც მნახავდა და ან მისი ამხანაგები მეტყოდენ, რომლებიც კარგად მიცნობდენ.

1906 წ. ნოემბერში იასონი დაატუსაღეს ტფილისის სადგურზე 1 კლ. ბუფეტში იმ დროს, როდესაც ის იყო მატარებლით უნდა წასულიყო გურიაში. დაატუსაღეს თუ არა, იმავე ღამეს, ვითომ ციხეში მიჰყავდათ, გზაში, ორთაჭალაში, მოჰკლეს სალდათებმა, როგორც მახსოვს, აფიცერი ნარიკინის თანხლებით და ბრძანებით.

მიცვალებული, როგორც იყო, მოგვცეს. აქედან გავასვენეთ გურიაში და დავასაფლავეთ სოფ. დვაბზუში დიდის პატივისცემით, თანდასწრებით სამი საზოგადოებისა: დვაბზუს, ბახვის და შემოქმედის.

მისი მკვლელები სალდათები მთავრობამ მაშინათვე გაანთავისუფლა სამსახურიდან და სახლში გაუშვა რუსეთში, რადგანაც ეშინოდა, რომ აქ რეეოლიუციონერებს არ დაესაჯათ იგინი სიკვდილით. აგრეთვე აფიცერი წარმატებით გადაიყვანეს, მგონი, ერევანში.

ი. ხ—ლი.

განყოფილება

= V =

პარტიული არქივი

ამხ. ფილიპე მახარაძის ძველი წერილები

ამხ. გაგლოევის არქივში ამ დღეებში აღმოჩნდა ამხ. ფილიპე მახარაძის ძველი ხელთნაწერები, 1) „წერილი ჩვენი ცხოვრების შესახებ"—ფ. მახარაძის ხელმოწერით, თარიღი—ვარშავა. 31 დეკემბერი 1891 წ. ეს სტატია დაწერილია წერილად საშუალო ფორმატის ქაღალდის 24 გვერდზე; 2) „მწარე ფიქრები"—ფ. შემოქმედელისა, თარიღი—ვარშავა, 1893 წ. 5 თებერვალი. (ფოსტის ქაღალდის 24 გვერდი); 3) წერილი რედაქციის მიმართ—„უთავბოლობის ნაყოფი" (კრიტიკული შენიშვნები) ფ. შემოქმედელისა; თარიღი—ვარშავა, 1892 წ. ღვინობისთვე, (86 გვერდი ფოსტის ქაღალდი) და 4) ერთი კერძო წერილი (თარიღი—ვარშავა, 1893 წ. აპრილის 6) კოწიასადმი*) ზოგიერთი ნაწერების გამოცემის შესახებ.

ყველა ეს ნაწერები ძვირფას მასალას წარმოადგენენ იმის შესასწავლად, თუ როგორ წარმოიშვა ჩვენში პირველად მარქსიზმი.

წერილს ამ მასალების შესახებ და თვით მასალასაც მოვათავსებთ „რევ. მატ." შემდეგ ნომერში.

---

*) კოწია თავართქილაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნისტების მუშაობა საქართველოში მენშევიკების გატრუნების დროს

რუსეთის კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ამხანაგებო ბუშებო, გლეხებო და ჯალაქის ღარიბ-ღატაკნო!

თქვენი მტრები შეერთდენ და შეუთანხმდენ ერთმანეთს და გადასწყვეტეს სამუდამოთ გაჭედონ თქვენი მონობის ბორკილები. მათ გადასწყვიტეს ცბიერებით და მოტყუებით მოგისყიდონ თქვენ, რომ ეს თავისი საზიზღარი საქმე თქვენივე სახელით გააკეთონ, ამ ბოროტი მიზნის მისაღწევად ჯალათებისა და ჯანდარმების მთავრობა, მთავრობა წურბელებისა და ქურდ ბაცაცებისა იწვევს, ევროპელ წოდებულ დამფუძნებელ კრებას.

თუ თქვენ გინდათ, ამხანაგებო, უჩენოთ მთელ საერთაშორისო რევოლიუციონურ პროლეტარიატს, რომ თქვენ შეურყეველი რწმენით განაგრძობთ ყოფნას იმ მებრძოლთა რაზმებში, რომელნიც იბრძვიან მთელი ქვეყნის მშრომელთა განთავისუფლებისათვის, და რომ იმ საშინელმა რეაქციამ, რომელსაც იწვევენ და განსაკუთრებული ენერგიით აღორძიებენ გამცემები და მოღალატენი მენშევიკების მთავრობა და მათი პარტია, ამ რევოლიუციამ სრულიადაც ვერ ჩააკოლოს თქვენში თავისუფლების სული და განმანთავისუფლებელი ბრძოლის ცეცხლი, თქვენ უნდა ბოიკოტი გამოუცხადოთ ამ დამფუძნებელ კრებას.

თუ თქვენ არ გინდათ მიიღოთ სამარცხვინო მონაწილეობა იმაში, რომ განმტკიცდეს ძალა-უფლება თქვენი მტრებისა—კაპიტალისტებისა და მემამულეებისა და მათი ლაქიებისა, ყორდანია-რამიშვილებისა, რომლებიც ცდილობენ დამფუძნებელი კრების შემწეობით, „ხალხის სახელით“ დაადასტურონ თავისი აღვირ-ახსნილი ბატონობა, რომ საუკუნოთ დაგიმონონ თქვენ, გაყვლიფონ თქვენი შრომა, გასუქდენ თქვენი ოფლით, რომ უფრო მეტი შეუპოვრობით გაგყიდონ თქვენ და გაგხადონ მსხვერპლი შიმშილით და სიცივით სიკვდილისა, თქვენ არ უნდა მოასყიდვინოთ თქვენი თავი იმ „უფლებებით“, რომელიც კეთილ ინება და მოგანიჭა თქვენ მოღალატეების მთავრობამ მისი ბრმა იარაღის „პარლამენტის“ თანხმობით, არამედ

ბიზღით უნდა უარყოთ ეს უფლება. სანამ საარჩევნო ყუთებთან წავიდოდეთ, თქვენ უნდა მოიგონოთ თქვენივე ძმების, ტფილისის მუშების სისხლი, მოიგონოთ თქვენივე ძმების, დუშეთის, სამეგრელოს და სხვა ადგილების გლეხების სისხლი, უნდა მოიგონოთ ის სისხლის ნიაღერები, რომელიც დააყენეს ხალხის სისხლის მსმელმა ჯალათებმა მუქთახორა ვაჭრებისა და თავადების ინტერესების დასაცავად. თქვენ უნდა მოიგონოთ ის საშინელი სისხლის ღვრა, რომელზედაც მიერეკებოდენ თქვენს ძმებს მთავრობა და ყველა მისი მომხრე პარტიები თქვენთვის სრულიად უცხო ქვეყნების დასაპყრობად, სხვა ეროვნების ხალხთა დასამონავებლათ, უნდა მოიგონოთ ის აღმაშფოთებელი დევნა თქვენთან მეზობლათ მცხოვრებ ეროვნების მუშებისა და გლეხებისა, რომ გაეთიშათ ისინი თქვენგან და დაემონავებიათ თქვენ... თქვენ უნდა მოიგონოთ ყოველივე ეს და ხელი არ გაუწოდოთ არც ერთ სიას, რადგან ყველა მათგანი შეიცავს სისხლისა და ცრემლის წვეთს.

თქვენ, ამხანაგო მუშებო, კმაყოფილი არა ხართ სამუშაო დროს მაქსიმუმით, თქვენ ვერ გაკმაყოფილებთ საკატორღო შრომის დაცვა! შრომის პირობები კიდევ უფრო გაუარესდა, თქვენ არ გაგაჩნიათ თავისუფლება კავშირისა, გაფიცვის თავისუფლება, არა გაქვთ თავისუფლება კრებისა, სიტყვისა, ბეჭდვისა. თქვენ, ამხანაგო გლეხებო, დაკმაყოფილებული არა ხართ მიწით, ის ვერაც ახლა უზრუნველყოფს თქვენს ადამიანურ არსებობას, თქვენ განწირული ხართ მუდამ შიმშილის და სიცივის მსხვერპლი იყოთ თქვენ მოგისპეს უფლება თქვენს ჯარ-ვარამზე იღაპარაკოო. საკმარისია ღიდავი ეჭვი აიღოს, რომ თქვენ უარყოფით უყურებთ, სისხლით გათხუპნულ ცორდანიას და ჯალათ რამიშვილის მთავრობას, რომ თქვენ, ამხანაგებო მუშებო და გლეხებო, დაგატუსაღოს, ჩაგალპონ ციხეში და ან გაგაძევოს თავის საბრძანებლიდან.

და რომ თქვენივე სახელით დააკანონონ ეს თქვენი უუფლებობა, თქვენი ნახევრათ მშიერული ცხოვრება; რომ თქვენი სახელით დაადასტურონ მთელი თავისი უმსგავსოება, თვითნებობა და ძალადობა; რომ თქვენი სახელით ცამდე აიყვანონ ქებით თქვენი კლასობრივი შტრების ბატონობა; რომ თქვენივე სახელით წაგართვან თქვენ თვით თებერვლის რევოლიუციის მონაპოვარნი, სამუდამოდ ჩამოგაშორონ საერთაშორისო რევოლიუციონურ პროლეტარიატს, და ახლოს არ გაგაკაროს ოქტომბრის სოციალისტური რევოლიუციის მონაპოვარნი, აი ამ საზიზღარი საქმისთვის იწვევენ დამფუძნებელ კრებას.

ყველა პარტიები, დაწყებული მენშევიკებიდან ამ ქართველი ჩინოვნიკებიდან და ჟანდარმებიდან, პრისტავებიდან და გარადავეე-

ბიდან და გათავებული „რუსეთის“ სოციალდემოკრატიული პარტიით, ამ მოყიალე დამთხვეულების პარტიით, ყველა პარტიები ერთი მეორეს ეჯიბრებიან ტყუილების ოსტატობაში და მოგიწოდებენ თქვენ, ამხანაგებო, საარჩევნო ყუთებისაკენ, რომ მიიღონ თქვენი ხმები. შეგნებული მუშების და რევოლიუციონური გლეხების პარტია კი თქვენ მოგიწოდებთ საარჩევნო ყუთებისკენ იმისათვის, რომ შეაგნებინოთ მოტყუებით გატაცებულ მუშებს და გლეხებს არ მისცენ ხმა არც ერთ პარტიას.

თქვენი პროლეტარული ვალია ბოიკოტი გამოუცხადოთ არჩევნებს, თქვენი რევოლიუციონური მოვალეობაა გაავრცელოთ ბოიკოტის იდეა და ამის გულისთვის არაფრის წინ არ შეჩერდეთ.

ძირს დამფუძნებელი კრება!

გაუმარჯოს მუშების და გლეხების დეპუტატთა საბჭოებს!

ძირს ბურჟუაზიის დიქტატურა!

გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას!

კავკასიის სამხარეო კომიტეტი რუსეთის კომუნისტური პარტიისა (ბოლშევიკებისა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურიის მიწის მუშა გლეხკაცობას

ამხანაგებო სოფლის მშრომელნო ქალებო და ვაჟებო, დიდებო და მოზარდებო!

ძველი ქვეყანა ირღვევა და უსასტიკესი საშინელი სამოქალაქო ბრძოლა-ომით შობს ახალ ქვეყანას, ჭეშმარიტს ერთობას, სოციალისტურს,—კომუნისტურ ქვეყანას...

ეს განწირული დღევანდელი ძველი ქვეყანა კაპიტალიზმისა, იმპერიალიზმისა, თვით არის მემკვიდრე მასზე უფრო კიდევ ძველი ქვეყნისა—ბატონობა ფეოდალიზმისა (თავად-აზნაურობის,—მემამულეების ბატონობის) და ძველი მონობის დროისა...

ძველი მონობა, ბატონ-ყმობა და კაპიტალიზმი („თავისუფალი" დაქირავებული მუშისა და ბურჟუაზიის დრო)—ეს სამივე ხანა კაცობრიობის ისტორიაში პრინციპიალურად ერთგვარია,—სამივე კერძო საკუთრების,—ადამიანის ადამიანის მიერ ყვლეფა-ჩაგვრის სამეფოა...

სანამ მონობა გაჩნდებოდა, პირველყოფილი ადამიანები, თუმცაღა ისინი ძლიერ სუსტები იყვნენ ბუნების ცოდნით და რაიმე საწარმოვო (თუ ბუნებასთან საბრძოლველ) იარაღებით, ქეშმარიტ ერთობას, კომუნას ახორციელებდენ: მათი ყოველივე „ქონება" საერთო იყო და საერთო ძალ-ღონით ებრძოდენ ისინი ბუნებას და მით საწარმოვო ძალებს ავითარებდენ...

მარა შემდეგ ჩნდება სხვადასხვაობა ჯგუფები, წოდებები, კლასები... და მას აქეთ დღემდე კაცობრიობის ისტორია—მონობის ქვეშ თუ ბატონობის, ან თანამედროვე კაპიტალიზმის ბრძოლებში სულ მუდამ,—ხან ჩუმ, იდუმალ და ხან აშკარა მქუხარე, შინაგან ბრძოლა-ომს განიცდის: ებრძვიან ერთმანეთს მონა და მისი პატრონი, ყრმა და მისი ბატონი, ბურჟუა და მისი დაქირავებული მუშა...

შეერთებულნი დიდ თუ პატარა ტომ გვაროვნულ თემებად თუ ეგრეთ წოდებულ ნაცია—სახელმწიფოებად,—გაბატონებული კლასები როდი ჯერდებოდნენ თავიანთ სოფლის და ქალაქის მუშებს ყვლეფა-ჩაგვრით: ისინი ახლო მეზობელ თუ შორეულ სხვა ხალხებთან ომებს მართავდენ და შრომის შეილთ ერთმანეთს აჟლეტინებდენ, რომ შემდეგ ერთგვარათ ესარგებლნათ „თავიანთი" თუ სხვა ტომის მშრომელთა ძალღონით...

დღევანდელი იმპერიალიზმი და მთის ყველაზე უფრო ბუმბერაზი სახელმწიფოები როგორიცაა იაპონია, ამერიკა, ინგლისი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა—ვერ ეჩვევიან თავიანთ ვეება სამფლობელოებშიაც,—მათ მრუნდათ მთელი დედამიწის დაფლობა, გადანაწილება! ეს ბუნებრივი მისწრაფებაა უკანასკნელ ორი ათეულ წლების კაპიტალიზმისა—იმპერიალიზმისა...

აი, აწ უკვე თითქმის მოთავებული ომი იყო პირველი იმპერიალისტური ომი, რომელმაც ხუთი წლის განმავლობაში ძირიან-ბუდიანად აიფორიაქა მთელი დედამიწა და შავ მეწყრის წინ (კიდეს) დააყენა მთელი კაცობრიობა!..

მარა საშინლად მოსტყუვდნენ ბატონები ამა ქვეყნისა—კაპიტალისტ იმპერიალისტები, როცა ფიქრობდენ მათ მიერ დაწყებულ ქვეყნის დამგრეც ომს თავის სურვილისამებრ დაათავებდენ, ურთიერთ შორის საზავო ახალის ხელშეკრულობით, რომელიც ყველა ქვეყნის მშრომელ ხალხებს კიდევ უარეს მონობას უქადდა, ვინემ წინეთ იყო... დიახ, ანგარიშში მოსტყუვდენ ჩვენი სისხლის მსმელები: ომის ზარბაზნების ქუხილში იღვიძებენ კლასობრივად ხალხები და იმპერიალისტურ ომს სამოქალაქო ომად, იმპერიალისტების წინააღმდეგ ბრძოლად აქცევენ... ასეც მოხდა და ასეც ხდება დღეს..

ასე 1917 წელს თებერვალ-მარტში იფეთქა დიდმა რუსეთის რევოლიუციამ, რომელმაც იმავე წლის ოქტომბრის თვეში კომუნისტური ხასიათი მიიღო, ე. ი. მეფისა და მისი ამალა თავად-აზნაურობა ბიუროკრატიას თან გააყოლა ბურჟუაზიაც, კაპიტალის ბატონობაც—ყველა ექსპლოატატორების სახელმწიფო აპარატი მტვრად აქცია...

დიდი რუსეთი შესდგა სოციალისტურ რევოლიუციაში, მან კომენთათ გამოაცხადა მთელი ქვეყანა, ე. ი. მღშების, გლეხებისა, და ჯარისკაცების საბჭოთა ქვეყანად... და აგერ ჩქარა ორი წელი სრულდება, რაც ის ებრძვის შინაურ და გარეშე კონტრ რევოლიუციონერებს და ყველა ქვეყნის მშრომელ ხალხებს უხმობს, ჩქარა, ჩქარა გაყვენ ისინიც მის გზას, სოციალისტურ გზას კომუნისტური საზოგადოების შესამენლად... და მისი მოწოდება არ რჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“... მას გამოეხმაურა: ვენგრია, გერმანია, მთელი დასავლეთი ევროპა, იწყებს გამოეხმაურებას აზია და მალე მთელი დედამიწის მშრომელი ხალხები ჩაებმიან საერთო კომუნისტურ რევოლიუციის ფერხულში...

მხოლოდ დიდი რუსეთიდან ძალად გამოყოფილ კუთხეებში, როგორიც აროს ჩვენი ქვეყანაც, ხალხი ამ გამაცხოველებელ ძალას კომუნისტურ რევოლიუციისას ჯერ ვერ განიცდის და ისევ ძველ ოპორტუნიზმ ბურჟუაზიის სპეკულიაციაში ექსპლოატაციის წუმპეშია ჩაფლობილი. ასე დღევანდელი ჩვენი გამგე პარტია, თუმცაღა სიტყვით დემოკრატიის სოციალისტურსაც-კი უწოდებს თავის-თავს, პა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ნამდვილად საქმით ბურჟუაზიის მოამაგეა, მისი ბატონობის მომწესრიგებელი და დამმაგრებელია...

სხვათა შორის, ყველაზედ უფრო ეს დაეტყობა მას, გამგე პარტიის ყოფილ სოციალისტურს, ყოფილს დემოკრატიულსაც კი მიწის საკითხში, რომელიც იყო მთავარი ღერძი რუსეთის დიდი რევოლიუციისა...

მაშინ, როცა ჩრდილოეთის (მოსკოვის) და უკრაინის მუშების და გლეხკაცების საბჭოებმა მიწები, როგორც ბევრი სხვა საწარმოო და სააღებ-მიცემო ძალები და დაწესებულებანი, საერთო საკუთრებად გამოაცხადეს და მით კერძო საკუთრებას საბოლოოდ ძირს უთხრიან, ჩვენი მენშევიკები—კერძო საკუთრებას ამაგრებენ, ბურჟუაზიულ წეს-წყობილებას საძირკველს უფართოვებენ და სპეკულიაციას ფრთებს ასხამენ...

ავიღოთ, მაგალითად თუნდაც ტყე. ის სოფლის მშრომელ ხალხს ისე სჭირია, როგორც ჰაერი, ბური და წყალი... მაშასადამე, ის მის განკარგულებაში უნდა იყოს, რომ აუცილებელი საჭიროება-მოთხოვნილებანი დაიკმაყოფილოს უბაჟოთ, უფასოთ. დღეს-კი ძველი მეფის ან თავადაზნაურების მაგიერ მენშევიკების სახელმწიფო დაპატრონებია მას და შიგ მხოლოდ ფულიანებს, სპეკულიანტებს აქვთ გზა ხსნილი...

აგრეთვე დასამუშავებელ მიწებზე დღემდე მოსაჭალის მეათედს ახდევინებდა მენშევიკების მთავრობა გლეხებს... ამას იქით გადაწყვეტილ ფასად ეძლევათ მათ მიწები მენშევიკებისაგან. მაშინ, როცა მრავალ წლების განმავლობაში, როცა ეს პარტია მეფის თვითმპყრობლობას ებრძოდა, გვპირდებოდენ,—„უფასოთ“ გადაეცემთ მშრომელ ხალხს ყველა მიწებსო.

ყველა მიწები და მათ შორის ტყეები ყველა მშრომელთა სრულ განკარგულებაში უნდა იყოს,—სოფლის გლეხკაცების საბჭოები და მათ-მიერ დროებით არჩეული საქმის კაცები უნდა აწესრიგებდენ მიწის საერთო მფლობელობას, მის საერთო დამუშავებას საუკეთესო მანჭანების შემწეობით და აგრონომის, მეცნიერების ხელმძღვანელობით.

ასეა დღეს საბჭოთა ქვეყანაში, დიდ რუსეთსა და უკრაინაში, ასე უნდა მოხდეს ჩვენშიაც...

მარა ამისათვის არ ვარგა დღევანდელი ჩვენი მთავრობა თავისი ბურჟუაზიულ ეროვნულ-დემოკრატიული პროგრამით....

ის ებრძვის ჩრდილოეთიდან მოწოლილ რეაქციას-კი არა, არამედ უფრო რევოლიუციას, რომელიც ბოლშევიკურ-კომუნისტურ საბჭოთა მთავრობის სახით ევლინება მთელ დედა-მიწას. ქართველი მენშევიკები ბალშევიკურ კომუნისტურ რევოლიუციის შიშით შარშან

თათრის ხვანთქარ-ფაშებს, გერმანიის იმპერიალისტებს და რუსეთის შავი რეაქციის გენერლებს დენიკინ-ალექსეევს „ემეგობრობდნენ“,— ელაქუცებოდენ.

ისინი რუსეთის რეაქცია—კონტრ-რევოლიუციას და სისხლის მსმელ ევროპიელ-ამერიკელ იმპერიალისტებს უფრო ენათესავებიან, ვინემ ჰეშმარიტ მუშათა ინტერნაციონალს—მის ბელადს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს და მის შემქმნელ მოსკოვის საბჭოთა მთავრობას, დიდი რუსეთის მუშების და გლეხკაცობის მთავრობას!..

მაშასადამე, თავის-თავად ცხადია, რომ ქართველი მენშევიკები, —როგორც სომხის ბურჟუა-დაშნაკცაკანები, ან აღერბეიჯანის ხანბეგების მთავრობა, ან ყოფილი მთიელთა რესპუბლიკის მთავრობა, რომელმაც ულალატა ჩეჩნებს და სხვა მთიელებს და შემოუშვა დენიკინი: გროზნაში, პეტროვსკში, დერბენტში და ტერმირ-ხანშურაში, ვიმეორებთ მათი მონათესავე ჩვენი მენშევიკები ვერ და არც შეებრძოლებიან დენიკინს, მით უფრო, როცა ბრძოლის დეთაურად გამოდის ბაქოს ინტერნაციონალური, კომუნისტური პროლეტარიატი...

ქართველ მენშევიკებს ეშინიათ რევოლიუციონურ პროლეტარიატისა, მათთან ერთად ვერ წავლენ საბრძოლველად; უფრო როგორც წარსულში, ისე დღესაც ბაქოს პროლეტარიატის წინააღმდეგ წავლენ ისინი დენიკინელებთან ერთად, თუ გარემოებამ, რასაკვირველია, ხელი შეუწყო მათ ამისათვის...

ქართველი მენშევიკები ბერნის ყვითელ ინტერნაციონალს ცნობენ, იმ ინტერნაციონალს, რომელიც მუშათა საქმეს და რევოლიუციას ღალატობს... ქართველი მენშევიკები, ჩვენი ქვეყნის გამგენი, თითქოს მუშათა და სოციალიზმის სახელით, ყველა ქვეყნის მშრომელ ხალხების სისხლის მსმელ იმპერიალისტებს—ვილსონებს, ჯორჯებს, კლემანსებს და ძმათა მათთა ემხრობიან და ელაქუცებიან. ეს იმპერიალისტები კი შეკრებილან პარიზში, ან სწორედ რომ ვსთქვათ, —პარიზის ახლოს მდებარე ძველ ისტორიულ კონტრ-რევოლიუციონერთა საბუდარში—**ვერსალში**, იმ ვერსალში, რომელიც 1871 წლის დადებული პარიზის კომუნის ჯალათი შეიქნა... ახლაც იმგვარივე როლის ასასრულებლათ შეგროვდენ აქ ქვეყნის მცარცველები, ყაჩაღ-იმპერიალისტების წარმომადგენლები: მხოლოდ ახლა მათ სურთ უფრო ფართედ, მთელ მსოფლიოს მშრომელ ხალხებს გაუწიონ ჯალათობა, თუ კი ისინი პარიზის კომუნარებს ან დღევანდელ ბალშევიკ კომუნისტებს მიბაძავენ და, როგორც რუსეთსა, ვენგრიასა და სხვაგან, ჩამოაგდებენ ბურჟუაზიის ბატონობას ტახტიდან და მის დიქტატურას პროლეტარიატის და ღარიბ გლეხკაცობის დიქტატურათ შეცვლიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიახ, ვერსალის ვითომდა საზარო კონფერენცია დღეს ნამდვილად გადაქცეულია სამხედრო შტაბათ საერთაშორისო იმპერიალიზმისა, რომელსაც სურს გაანადგუროს და ჩაახრჩოს სოციალიზმის და კომუნიზმის, ამ ჭეშმარიტი ერთობის კერა, ქვეყანა,—დიდი რუსეთის საბჭოთა მთავრობისა, სადაც პირველად ამოვიდა მზე მუშა ხალხის საქმისა, სადაც პირველად დაიწყო გამოჭედვა მუშა ხალხისა და მასთან მთელი კაცობრიობის ბედისა...

აქ—მოსკოვში იქნა ამ მოკლე დროში მოწვეული საერთაშორისო კონფერენცია **მესამე კომუნისტური ინტერნაციონალი**, ნამდვილი მებრძოლი მუშათა საქმისათვის და არა შემთანხმებელი, მოღალატე, როგორც ბერნის ყრილობა იყო... ამ ბელადს—მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს—და მის შემქმნელს მოსკოვის საბჭოთა მთავრობას—ებრძვის პარიზის „საზავო" კონფერენცია იმპერიალისტებისა.

აი, ვისი იარაღია, ვისი მოწინავე რაზმებია დღეს ამიერ-კავკასიის საზღვრებზედაც მომდგარი დენიკინის თეორ-გვარდიელთა აფიცრები და მათ-მიერ მოტყუებულ-დაქირავებული ჯაზაკები!...

ისინი ჩრდილოეთიდან დენიკინი საბჭოთა გმირ წითელ არმიელების მიერ, აქ ჩვენში ეძებენ საყუდელს და სამოქალაქო ომის ცოცხალ მასალებს!..

აღდექით, გამოიღვიძეთ, სოფლის და ქალაქების მშრომელნო ხალხნო! დაირაზმეთ თქვენი მოწინავე მოძმეთა გარშემო,—წითელ რევოლიუციონურ კომუნისტურ დროშის ქვეშ...

და ეკვეთენით კარზე მომდგარ შავ რეაქციას... და თან გაიყოლიეთ დღევანდელი გამგე ჩვენ ქვეყნისა მენშევიკები, თუ მართლა არა სიტყვით ძარტო, არამედ საქმითაც სურთ მათ დენიკინთან ბრძოლა; დაამტკიცონ მათ, რომ ამისთანა დიდ გაჭირვების დროს მაინც თავს ანებებენ ისინი ხალხის მტრებთან შეთანხმებას და მხარს დაუჭერენ საერთაშორისო სოციალისტურ რევოლიუციას, რომელსაც მოსკოვი და მესამე კომუნისტური ინტერნაციონალი ხელმძღვანელობს.

მოსცხეთ მენშევიკურ მთავრობასაც, თუ ის თან არ გამოგყვეთ და ღალატი შეამჩნიოთ.

გაუმარჯოს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას შავ რეაქციასთან, სხერთაშორისო იმპერიალისტებთან!

გაუმარჯოს საერთაშორისო კომუნისტურ რევოლიუციას!

ძირს იმპერიალისტები, ძირს კაპიტალიზმი!

გაუმარჯოს სოციალიზმს, კომუნიზმს!

გაუმარჯოს მუშათა და გლეხკაცების საბჭოთა მთავრობას ჩვენშიაც!

ბურიის ცენტრალური კომიტეტი რუსეთის კომუნისტური პარტიისა (ბოლშევიკების).

1919 წ. ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუს. სოც.-დემ. მუშ. პარტიის მოხსენება

ამსტერდამის საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესისადმი

(1904 წ. 14—20 აგვისტო)

(გაგრძელება, იხ. „რევ. მატ.". №№ 5, 1 (6).).

2. პროგრამა minimum-ი.

გადადის რა პრაქტიკულ მოთხოვნილებებზე, პროგრამა პირველ-ყოვლისა მიუთითებს კაპიტალიზმის წინა პერიოდის წესების იმ ნაშთებზე, რომლებიც ხელს უშლიან ეკონომიურ პროგრესს, აბრკოლებენ კლასობრივი ბრძოლის ყოველმხრივ განვითარებას რუსეთში და ხელს უწყობენ ექსპლოატაციის ბარბაროსული ფორმების განვითარებას და დაცვას.

ყველაზე დიდი ამ ნაშთებიდან და ყველაზე ძლიერი დასაყრდენი მთელი ამ ბარბაროსობის არის მეფის თვითმპყრობელობა. და ამიტომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია თავის უახლოეს პოლიტიკურ ამოცანად ისახავს **თვითმპყრობელობის დამხობას, დამფუძნებელი კრების** მოწვევას, რომელიც თავისუფლად იქნება არჩეული მთელი ხალხის მიერ და **დემოკრატიული რესპუბლიკის** დამყარებას. პროგრამა ერცლად ჩამოთვლის იმ დემოკრატიულ გარანტიებს, რომელთა საფუძველზე უნდა იქნას აგებული რესპუბლიკის კონსტიტუცია. უმთავრესია ამ გარანტიებიდან: მთელი უზენაესი სახელმწიფო ძალა-უფლების თავის მოყრა ერთპალატიანი სახალხო კრების ხელში, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული, აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება საკანონმდებლო კრებაში და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებში 20 წლის დედაკაცებისა და მამაკაცებისათვის; ფართე ადგილობრივი და საოლქო თვითმართველობა; პიროვნების ხელუხლებლობა; სინდისის პრესის, სიტყვის, კრებების, გაფიცვების და კავშირების თავისუფლება: საცხოვრებელი ადგილის და პროფესიის თავისუფლება; წოდებათა მოსპობა და სრული თანასწორობა ყველასთვის, განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა, რასისა და ეროვნებისა; თვითგამორკვევის უფლება ყველა ერებისათვის და ნაციონალური ენის ხმარება; მოხელეების პასუხისმგებლობა ნაფიც მსაჯულთა წინაშე; მსაჯულების არჩევა; მუდმივი ჯარის შეცვლა ხალხის საყოველთაო შეიარაღებით; ეკლესიის ჩამოშორება სახელმწიფოსაგან და სკოლის—ეკლესიისაგან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფასო საყოველთაო სწავლება, საერთო და პროფესიონალური, ყველა ბავშვებისთვის 16 წლის ჰასაკამდის და ღარიბი ბავშვების საჭმელით, ტანსაცმელით და სასწაულო ნივთებით უზრუნველყოფა სახელმწიფო ხარჯზე. პარტია მოითხოვს ყოველგვარი არაპირდაპირი გადასახადების გაუქმებას და პროგრესიული გადასახადის დაწესებას შემოსავალზე და მემკვიდრეობაზე.

პროგრამის ის ნაწილი, რომელიც შეეხება შრომის საკითხებს, ძლიერ ერცლად არის დამუშავებული. საფუძლად მას დადებული აქვს 8 საათის სამუშაო დღის მოთხოვნა ყველა დაქირავებული მუშებისათვის. ამას გარდა პროგრამა აყენებს შემდეგ მოთხოვნილებებს: ყოველკვირეული შეუწყვეტელი დასვენება არა ნაკლებ 42 საათისა; ზედმეტი მუშაობის და ღამის შრომის აკრძალვა (საღამოს 9 საათიდან დილის 6 საათამდე); ბავშვთა და ქალთა შრომის განსაკუთრებული დაცვა; მუშების სახელმწიფო დაზღვევა მოხუცებულობის და შრომის უნარის დაკარგვის დროს ყველა ხარჯების კაპიტალისტებისათვის დაკისრებით; ჯამაგირის საჭონლით მიცემის აკრძალვა და შრომის ბელფასის ყოველ-კვირაში დარიგება; ჯარიმების და სხვ. მოსპობა; სანგაბრიკო ინსპექციის სწორი ორგანიზაციის უზრუნველყოფა მუშებისა და მუშა-ქალების წარმომადგენელთა მონაწილეობით; ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების მეთვალყურეობა მუშების წარმომადგენელთა მონაწილეობით, კაპიტალისტების მიერ მუშებისათვის საცხოვრებლათ დათმობილ ბინების სანიტარული მდგომარეობისათვის; სანიტარული მეთვალყურეობა სახელოსნოებისათვის და უფასო საექიმო დახმარება მეპატრონეთა ხარჯზე; მწარმოებლებიხ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა შრომის დაცვის კანონების დარღვევისათვის; სამრეწველო სასამართლოები, შედგენილი მუშებისა და მწარმოებლების. წარმომადგენელთა თანასწორ რიცხვისაგან; ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების მიერ საშუამავლო კანტორების დაარსება მუშათა დასაქირავებლად მუშების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

ჩვენი პარტიის აგრარული პროგრამის და იმ პრინციპების შესახებ, რომლებიც მათ საფუძვლათ დაედვა, ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ სხვა ალაგას.

3. ტაქტიკური რეზოლიუციები.

ყრილობის მუშაობა პროგრამის მისაღებათ და საორგანიზაციო წესდების გამოსამუშავებლად, აგრეთვე ხანგრძლივმა კამათმა „ბუნდის“ ადგილის შესახებ პარტიაში, იმდენად დიდი დრო წაიღეს, რომ წინასწარ პროექტების. სახით გამომუშავებული ტაქტიკური რეზოლიუციები ვერ იქნენ განხილული ისე დეტალურად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორსაც მოითხოვდა მათში წამოყენებული თემების მნიშვნელობა. მოვიხსენიებთ მთავარს მიღებული რეზოლიუციებიდან.

პროფესიონალური ბრძოლის შესახებ, ყრილობამ საჭიროდ აღიარა, რომ პარტიამ თავის თავზე მიიღოს მისი ხელმძღვანელობა და შეეცადოს მუშების ცალკე ჯგუფების შეტაკებები გააერთიანოს კლასის მთლიან შეკავშირებულ ბრძოლაში. ამასთან ერთად ყრილობამ საჭიროდ სცნო შეურიგებელი ბრძოლის წარმოება „ზუბატოვშჩინის“ წინააღმდეგ.

კანონმა **საფაბრიკო მამასახლისების** შესახებ დღის წესრიგში დააყენა საკითხი ასე—ურჩიოს უნდა თუ არა ჩვენმა პარტიამ მუშებს მიიღონ მონაწილეობა ამ მამასახლისების არჩევაში. ამ საკითხის დადებითად გადაჭრის სასარგებლოდ ლაპარაკობდა უმთავრესად ის მოსაზრება, რომ „ზუბატოვის“ პოლიტიკის ყველა გამოხატულების მაგალითისამებრ ახალი თანამდებობას და მასთან დაკავშირებულ არჩევნებს შეუძლია სოციალ-დემოკრატიული აგიტაციისათვის კარგი გამოსავალი წერტილის და მდიდარი მასალის მოცემა. ასეთივე ხასიათის დადგენილება გამოიტანა ყრილობამაც, მაგრამ, თუმცა როგორც კი გამოქვეყნდა ყრილობის დადგენილება, მას დაემორჩილენ ის მუშებიც, რომლებიც (მაგ. ადესაში), პირველად სასტიკ აგიტაციას აწარმოებდენ არჩევნებში მონაწილეობის წინააღმდეგ,—მაინც საკითხი საფაბრიკო მამასახლისების შესახებ, დისკუსიის საგანს წარმოადგენს ჩვენი პარტიის რიგებში. მთავარ არგუმენტებად არჩევნებში მონაწილეობის წინააღმდეგ აყენებენ: 1) მთელი ამ დაწყების „ზუბატოვშჩინის“ ხასიათს და 2) იმ შეგნებული მუშების პოლიციის თვალყურის დევნების და დევნის ობიექტად გახდის საფრთხეს, რომლებიც თავისი კანდიდატურას აყენებენ მამასახლისის თანამდებობაზე.

ყრილობამ თავისი აზრი გამოსთქვა **დემონსტრაციების** საკითხის შესახებაც. რეზოლიუცია ახასიათებს დემონსტრაციებს, როგორც ერთ-ერთ „მნიშვნელოვან საშუალებას ხალხის ფართე მასების პოლიტიკურად აღსაზრდილათ და სოციალ-დემოკრატიის გავლენის გასაძაგრებლად“. ამას გარდა დემონსტრაციები წარმოადგენენ სახელმწიფო მექანიზმის სისტემატიური დეზორგანიზაციის საშუალებას და ამზადებენ მასებს აჯანყებისათვის არსებული წესწყობილების წინააღმდეგ. ამის გამო ყრილობამ ურჩია პარტიის ყველა კომიტეტებს ისარგებლონ ხელსაყრელი შემთხვევებით დემონსტრაციების მოსაწყობათ. აღიარებს რა პრაქტიკის ნაკლს, რეზოლიუცია ურჩევს: 1) დემონსტრაციების მომზადებას ფართე წინასწარი აგიტაციით; 2) დემონსტრაციისათვის მუშათა სულიერი განწყობილებისათვის შესაფერი მომენტის არჩევა; 3) მრავალრიცხოვანობის, წესრიგის და დე-

მონსტრანტების აქტიური წრის მომზადების უზრუნველყოფა; 4) ზომების მიღება დემონსტრანტების მიერ პოლიციის ურდოების თავდასხმის ღირსეულად მოსაგერიებლად; 5) ჯარისკაცების გაცნობა დემონსტრაციის ხასიათთან და მიზანთან და მათი სიმპათიების მიპყრობა დემონსტრანტებისაკენ. პარტიის ც კ. ყრილობამ დაავალა მთელ რუსეთში საერთო პოლიტიკურ დემონსტრაციების მოწყობა ერთი საერთო გეგმით.

ყრილობამ მიიღო აგრეთვე რეზოლიუცია სოციალ-დემოკრატიული პროპაგანდის დაყენების გაუმჯობესების, მოსწავლე ახალგაზრდობისადმი დამოკიდებულების, ანტი-ებრაული „პოგრომების", სექტანტებს შორის მუშაობის, დაკითხვის დროს ჩვენების მიცემის (პარტიის ყველა წევრებს ერჩიათ უარი სთქვან რაიმე ჩვენების მიცემაზე ჟანდარმების გამოძიების დროს) და ამსტერდამის კონგრესის შესახებ.

4) დამოკიდებულება სხვა პარტიებისადმი.

თანახმად პროგრამაში გამოთქმული პრინციპებისა, „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია მხარს უჭერს ყოველგვარ ოპოზიციონურ და რევოლიუციონურ მოძრაობას, რომელიც მიმართულია რუსეთში არსებული სახოგადოებრივი და პოლიტიკური წესების წინააღმდეგ და ამავე დროს გადაჭრით უარყოფს ყველა იმ რეფორმისტულ პროექტებს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მშრომელ კლასებზე პოლიციურ-მოხელური ოპეკის ყოველგვარ გაფართოებასთან ან განმტკიცებასთან".

ა) ლიბერალები.

ამ პრინციპების მიხედვით ყრილობამ ორი რეზოლიუციით გამოარკვია თავისი დამოკიდებულება ლიბერალებისადმი

პირველი რეზოლიუცია ემყარება რა ჩვენ მიერ ზემოდმოყვანილი პროგრამის პრინციპიალურ განცხადებას, ამბობს: „რ. ს.-დ. მ. პ., პროლეტარიატის დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტია — ..... არ ამბობს უარს შეუთანხმდეს და თუ ამას საჭიროება მოითხოვს, თავისი ცენტრალური დაწესებულებების სახით წავიდეს დროებით შეთანხმებაზე ლიბერალურ ან ლიბერალურ-დემოკრატიულ მიმდინარეობებთან, მხოლოდ ერთის პირობით: ა) რომ ეს მიმდინარეობები გარკვევით, არაორაზროვნულად განაცხადებენ, რომ თავის ბრძოლაში **თვითმპყრობელურ მთავრობასთან** ისინი გადაჭრით დგებიან რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მხარეზე; ბ) რომ ისინი არ წამოაყენებენ თავის პროგრამებში ისეთ მოთხოვნილებებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან მუშათა კლასის და დემოკრატიის ინტერესებს საერთოდ

ან და აბნელებენ მის შეგნებას და გ) რომ თავის ბრძოლის ლოზუნგებათ ისინი გაიხდიან საყოველთაო, თანასწორ, ფარულ და პირდაპირ საარჩევნო უფლებას".

ამავე დროს მეორე რეზოლიუცია ხაზს უსვამს რა „სოციალ-დემოკრატიის მოვალეობას გამოააშკარაოს პროლეტარიატის წინაშე ბურჟუაზიის განმათავისუფლებელი მოძრაობის შეზღუდულობა და აოსაკმაობა, ურჩევს „პროპაგანდის დროს მუშათა ყურადღების მიქცევას იმ მიმართულების ანტი-რევოლიუციონურ და ანტი პროლეტარულ ხასიათზე, რომლის ორგანოა „ოსვობოჟდენიე" (ბ. სტრუვე)

ბ) „სოციალისტ-რევოლიუციონერები".

ცოტა სხვანაირად უნდა დაეყენებია სოციალ-დემოკრატიულ ყრილობას საკითხი „სოციალისტ-რევოლიუციონერების" შესახებ. ბურჟუაზიული დემოკრატიის ეს ფრაქცია, რომელსაც არა აქვს მტკიცე პრინციპები და რომელიც თავის ბრძოლას არ უკავშირებს პროლეტარიატის ბრძოლას, იმავე დროს მოქმედობს „სოციალიზმის" (თუმცა უაღრესად ბუნდოვანი) დროშის ქვეშ და ამით აშკარა დეზორგანიზაციის ელემენტები შეაქვს მუშათა კლასის დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაციის და კლასობრივი შეგნების გაძლიერების იმ საქმეში, რომელიც სოციალ-დემოკრატიის მთავარ ამოცანას შეადგენენ? ზევით ჩვენ უკვე რამოდენიმე მაგალითი მოვიყვანეთ ასეთი დეზორგანიზაციის და მუშათა „კლასობრივად შეგნების დაბნელების". ადგილი საშუალებას არ გვაძლევს ჩვენ ვრცლად შევჩერდეთ „სოციალისტ-რევოლიუციონერების" მოღვაწეობის ისტორიაზე და ამიტომ დავკმაყოფილდებით ყრილობის მიერ ამ საკითხის გამო მიღებული ვრცელი დასაბუთებული რეზოლიუციის მოყვანით.

„იღებს რა მხედველობაში: ა) რომ რუსეთის პროლეტარიატის ინტერესები, საერთოდ და მისი განმათავისუფლებელი მოძრაობის განსაკუთრებით, მოითხოვენ, რომ თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში ის გამოვიდეს, როგორც სრულიად დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალა; ბ) რომ მხოლოდ ასეთი საქმიანობას, მიმართულს პროლეტარიატის ასეთ ძალათ გადაქცევისაკენ შეაქვს სოციალისტურ-რევოლიუციონური შინაარსი თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში; იღებს რა შემდეგ მხედველობაში: გ) რომ „სოციალისტ-რევოლიუციონერები" თეორეტიულად და პრაქტიკულად ხელს უშლიან სოციალ-დემოკრატების ღონისძიებებს მუშების დამოუკიდებელ პოლიტიკურ პარტიაში შესაკავშირებლად და, პირიქით, ცდილობენ დასტოვონ ისინი პოლიტიკურად ჩამოუყალიბებელი მასის მდგომარეობაში, რომელიც იქნება მხოლოდ იარაღი ლიბერალური ბურჟუაზიის ხელში; — ყრილობა აღიარებს, რომ „სოციალისტ-

რევოლიუციონერები“ წარმოადგენენ მხოლოდ ბურჟუაზიულ დემოკრატიულ ფრაქციას, რომლისადმი სოციალ-დემოკრატიის პრინციპიალური დამოკიდებულება არ შეიძლება იყოს სხვაგვარი, ვიდრე საერთოდ ბურჟუაზიის ლიბერალური წარმომადგენლებისადმი.

„ილებს რა შემდეგ მხედველობაში: ა) რომ თავის ბურჟუაზიულ ტენდენციებს „სოციალისტ-რევოლიუციონერები“ ისახავენ სოციალიზმის დროშის ქვეშ და ბ) რომ ამას გარდა, ან და სწორედ იმიტომ, როგორც ბურჟუაზიულ რევოლიუციონური ფრაქცია, სრულ უნიადაგობას წარმოადგენს, ყრილობა მათ მოღვაწეობას საზიანოდ თვლის არა მარტო პროლეტარიატის პოლიტიკური განვითარებისათვის, არამედ საერთო დემოკრატიული ბრძოლისათვისაც თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

„გამომდინარე ყველა ამიდან, ყრილობა გადაჭრით კიცხავს „სოციალისტ-რევოლიუციონერებსა“ და სოციალ-დემოკრატებს შორის უთანხმოების პრინციპიალური და პოლიტიკური მნიშვნელობის მიფუჩეჩების ყოველგვარ ცდებს. პირიქით, როგორც რუსეთის პროლეტარიატის პოლიტიკური დამოუკიდებლობის განვითარების, ისე თვითმპყრობელობის წინააღმდეგ განმათავისუფლებელი მოძრაობის სპეციალური ინტერესების სარგებლობისათვის, ის საჭიროდ თვლის რომ სოციალ-დემოკრატებმა გამოარკვიონ და ხაზი გაუსვან „სოციალისტ-რევოლიუციონერების“ ბურჟუაზიულ ტენდენციებს და მათ პრაქტიკულ უნიადაგობას საერთო დემოკრატიული თვალსაზრისით.

„ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებების გამო, ყრილობა გადაჭრით უარყოფს სოციალ-დემოკრატების „სოციალისტ რევოლიუციონერებთან“ გაერთიანების ყოველგვარ ცდას, შესაძლებლად აღიარებს მხოლოდ კერძო შეთანხმებებს მათთან თვითმპყრობელობასთან ბრძოლის ცალკე შემთხვევებში. ასეთი შეთანხმებების პირობების კონტროლი ეკუთვნის ცკ “.

დასაბუთება და რეზოლიუციის აზრი გვიჩვენებენ, თუ რატომ არ შეუძლია რუსეთის სოციალ-დემოკრატებს არ განაცხადონ პროტესტი ამ ბურჟუაზიული „სოციალისტების“ სოციალისტურ პარტიათა ოჯახში ჩარიცხვის წინააღმდეგ. რომელსაც სწადიან დასავლეთ-ევროპის ზოგიერთი ამხანაგები, რომლებიც კარგად არ იცნობენ ამ პარტიის ნამდვილ ხასიათს და საქმიანობას. ასეთი ჩარიცხვა, რომელიც ამაღლებს „სოციალისტ-რევოლიუციონერების“ „სოციალისტურ პრესტიჟს, რომლებიც ამავე დროს თავის ორგანოში აშკარად განაგრძობენ თავდასხმას საერთოშორისო (და არა მარტო რუსეთის) სოციალ-დემოკატიის თეორიტიულ პრინციპებზე და პოლიტიკურ ტაქტიკაზე, უსათუოდ ზიანს აყენებს რუსეთის პროლეტარიატის დამოუკიდებელი ორგანიზაციის და კლასობრივი განვითარების საქმეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ). ბუნდი და სხვა ნაციონალური ორგანიზაციები.

ებრაული მუშათა მოძრაობა თავისი წარმოშობის პირველი დღეებიდანვე ვითარდებოდა მტკიცე კავშირში მთელი რუსეთის პროლეტარიატის მოძრაობასთან. ჩვენი პარტიის დაარსების დროს „ებრაელთა საერთო მუშათა კავშირი რუსეთში და პოლონეთში“ შედიოდა მასში როგორც „ავტონომიური ორგანიზაცია, დამოუკიდებელი მხოლოდ იმ საკითხებში, რომლებიც სპეციალურად ებრაელ პროლეტარიატს შეეხებიან“.

დაშაჰავის და საერთო პარტიული ფართე მოღვაწეობის უქონლობის იმ ეპოქას, რომელიც ხასიათდება მხოლოდ თითქმის განსაკუთრებით პროფესიონალური ინტერესების ბატონობით, არ შეეძლო თავისი გაელენა არ მოეხდინა ბუნდის დამოკიდებულებაზედაც პარტიისადმი. თუ პარტიის ყველა ორგანიზაციები და ჯგუფები ამ პეროდში თავისი ახლობელი ინტერესების გარშემო საქმიანობდენ, მით უფრო ჰქონდა ადგილი ამას „ბუნდში“, რომელიც ცალკე ორგანიზაციას წარმოადგენდა, ჰქონდა მოქმედების ცალკე რაიონი, ებრაელთა ცხოვრების განსაკუთრებული პირობებით, რომლებიც გამოშინარეობდენ ებრაელების სამოქალაქო უთანასწორობისაგან და ცალკე ენით, რომლებზედაც სწარმოებდა აგიტაცია და პროპაგანდა. კარგავდა რა კავშირს და ცოცხალ ურთიერთობას პარტიასთან, „ბუნდი“ იზრდებოდა და მაგრდებოდა, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაცია.

ასეთი კარჩაკეტილობა იმ შედარებით პრიმიტიულ სოციალურ-პოლიტიკურ პირობებთან ერთად, რომელშიც მოქმედება უბედებოდა „ბუნდს“ (ხელსნური მრეწველობის და წინამრეწველობის ფორმების ბატონობა), საშვალებას აძლევდენ მას მდგარიყო განზე იმ კამათიდან „ეკონომისტებ“-თან, რომელიც თავის დროზე აღელვებდა რუსეთის მთელ სოციალ-დემოკრატიას. საკითხები, რომლებიც მთელი თავისი სიგრძე-სიგანით წამოაყენა რუსეთის სოციალ-დემოკრატიისათვის მისი ისტორიული ცხოვრების მთელმა მიმდინარეობამ, არ იღებენ „ბუნდისათვის“ ასეთ მწვავე ფორმაში. ნაციონალური ჩაგვრა კი, რომელიც საერთო მიზეზით და საერთო იმედებით აკავშირებდა ებრაელ პროლეტარიატს ებრაელ მოსახლეობის სხვა ფენებთან, ხელს უწყობდა „ბუნდის“ კარჩაკეტილობის ნიადაგზე, ნაციონალისტური გრძნობების აღმოცენების და რუსეთის სოციალ-დემოკრატიის გამაერთიანებელი მისწრაფებებში ზოგჯერ ის ხედავდა, როგორც ეს ჭრონია პოლონეთის სოციალისტურ პარტიასაც (P. P. S.), „ველიკოროსული შოვინიზმის“ გამოხატულებას.

თანდათანობით ბუნდმა პირველ რიგში დაიწყო ებრაელი

პროლეტარიატის იმ სპეციფიური ინტერესების წამოყენება, რომლებიც გამომდინარეობენ არა მისი პროლეტარული სოციალური მდგომარეობიდან, არამედ იმიდან, რომ ის ებრაელ ერს ეკუთვნის. რასაკვირველია, მთელი რუსეთის პროლეტარიატი, არა ნაკლებ ვიდრე ებრაელი, დაინტერესებულია ნაციონალური ჩაგვრის ყველა ფორმების მოსპობაში და ჩვენს პარტიას, რომლის რიგებში არა ერთი და ორი ამხანაგი და მუშა მოიძებნება, რომლებიც წინად „ბუნდის" რაიონში მუშაობდენ, არასოდეს არ დაუვიწყნია ეს. და თუ „ბუნდი" მაინც მოითხოვს, რომ პარტიის სხვა და სხვა ნაწილების ურთიერთობას და ორგანიზაციულ სტრუქტურას საფუძვლად დაედვას არა მთელი მუშათა კლასის გამაერთიანებელი და ყველა ბურჟუაზიული ჯგუფებისაგან განმასხვავებული სოციალ-დემოკრატიული ბრძოლის პრინციპი, რომელიც ყოფს მუშათა კლასს მთელ რიგ ცალკე ნაციონალურ განცალკევებული ინტერესებით და რომელიც, პირიქით, თითეულ ნაციონალურ ჯგუფს აკავშირებს ამ ნაციის სხვა არა პროლეტარულ ფენებთან, ასეთ მოთხოვნილებაში არ შეიძლება არ დავინახოთ სპეციფიურ ფორმაში მოძრაობის დემოკრატიული ინტერესების იგივე ჭარბობა სოციალისტურ ინტერესებზე, რომელიც სხვა ფორმებში არა ერთხელ გვხდებოდა ჩვენ, როგორც სოციალ-დემოკრატიის განვითარების ისტორიული პირობების აუცილებელი შედეგი.

რასაკვირველია, თუ ჩვენი პარტია ცდილობს ააგოს პარტიული ორგანიზაცია მთელი პროლეტარიატისათვის, რომელიც გაერთიანებულია სახელმწიფო-უფლებრივ პირობების ერთნაირობით, რა ერსაც არ უნდა ეკუთვნოდეს ის, ეს ამას არ ნიშნავს, რომ რ. ს. დ. მ. პ. არ სურს ანგარიში გაუწიოს ისტორიულად შექმნილი ორგანიზაციების არსებობას და ფიქრობდეს კალმის ერთი მოსმით ბოლო მოუღოს მათ არსებობას. ყველა ნაციონალურ ორგანიზაციების ერთმთლიანში შეერთების პროცესი, ავტონომიური ჯგუფების თითეული ადგილობრივი კომიტეტის და საერთო პარტიული ორგანიზაციის ფარგლებში, რამდენათაც ამას მოითხოვს ტექნიკური სარგებლობა და აგიტაციისა და პროპაგანდის საჭიროება, ეს პროცესი, რასაკვირველია, შეიძლება სწარმოებდეს მხოლოდ ნელ-ნელა და თანდათანობით. საჭირო იყო აგება, უფრო სწორად რომ ვსთქვათ, ორგანიზაციული ურთიერთობის დაცვა პარტიასა და „ბუნდს" შორის იმ სახით, რომ მათ შესძლონ დაუბრკოლებლათ განვითარება ნაჩვენებ მიმართულებით. ავტონომია თუ ფედერაცია ასე იყო დაყენებული საკითხი საორგანიზაციო დარგში. ამ ორგანიზაციულ დილემას კი საფუძვლათ ედო მეორე, უფრო ღრმა პრინციპიალური: უნდა იყოს თუ არა „ბუნდზე" სრულიად რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ნა-

წილი, რომელიც ისარგებლებს ყველა იმ ავტონომიური უფლებებით, რომლებიც საჭიროა ებრაელ მუშებს შორის მუშაობით გამოწვეულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, თუ „ბუნდი“ უნდა დარჩეს ერთადერთ ორგანიზაციად, ებრაელ პროლეტარიატის ერთად ერთ წარმომადგენელად? წმომადგენს თუ არა „ბუნდი“ საერთო სოციალ-დემოკრატიულ ინტერესებს ებრაელ მუშების წრეში თუ, პირიქით, არის რაღაც სპეციალურ ებრაელ პროლეტარულ ინტერესების წარმომადგენელი სხვა ავრეთვე ნაციონალურ მუშათა ჯგუფების წარმომადგენელთა კრებულში? რასაკვირველია, სოციალ-დემოკრატიის თვალსაზრისით ამ კითხვაზე პასუხი შეიძლება მხოლოდ ერთი იყოს: სოციალ-დემოკრატია ყოველთვის და ყოველგან წარმომადგენს მუშათა მოძრაობის ინტერესებს მთლიანად; მხოლოდ განსაკუთრებული სახელმწიფოებრივ-უფლებრივი პირობებები აქცევენ თითეული ქვეყნის სოციალ დემოკრატიას განსაკუთრებულ ერთეულად: „ნაციონალური“ ან „ტომობრივი“ წარმომადგენლობის პრინციპი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება საფუძვლად დაედოს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას.

ასე წყდებოდა საკითხი პრინციპიალურად. იმ გადაწყვეტილების პრაქტიკული უხერხულობა კი, რომელსაც მოითხოვდა „ბუნდი“, ნათელი იყო. თუ წინეთ „ბუნდის“ საქმიანობა სწარმოებდა მხოლოდ და მხოლოდ პოლონეთის, ლიტვის და ბელორუსიის რაიონებში, სადაც არ არსებობდენ საერთო პარტიული კომიტეტები (და სადაც, დაუმატებთ, ამის გამო არა ებრაელ მუშათა მოძრაობის ინტერესები ძლიერ ილახებოდენ, რასაც ბოლ.ის-და-ბოლოს არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა თვით ებრაელ მუშათა მოძრაობის მიმდინარეობაზე) ახლა „ბუნდი“, სთვლიდა რა თავის თავს ებრაელ პროლეტარიატის ერთად ერთ წარმომადგენელად, მოითხოვდა საკუთარი კომიტეტების შექმნას იმ ქალაქებშიც, სადაც ყველა ეროვნების მუშათა მოძრაობა სწარმოებდა უკვე პარტიის ერთიანი კომიტეტის ხელმძღვანელობის ქვეშ. ასეთ ქალაქებში, როგორც ოდესა, კიევი, ეკატერინოსლავი და სხვა, მრავალრიცხოვან ებრაელ მოსახლეობით, ებრაელი მუშები ძლიერ დასაყრდენს წარმოადგენდენ კომიტეტისათვის. და თუ ახლა „ბუნდი“ (ოდესაში და კიევში ეს მან თითქმის მოახერხა, ეკატერინოსლავში კი მისი ცდა სრული მარცხით დამთავრდა) მოითხოვდა ებრაელ მუშების გამოყოფას საერთო პარტიულ ორგანიზაციიდან, როგორ შეეძლო დაესაბუთებია მას ამ გამოყოფის აუცილებლობა, თუ არა მუშების განმაშორებელ ნაციონალური ზღუდეებისთვის ხაზის გასმით და იმ კლასობრივი ინტერესებით უკანა რიგში მოქცევით, რომლებიც ერთ კლასობრივ მოძრაობაში აერთებენ მთელ პროლეტარიატს და სპობენ ყველა მის განმაცალკევებელ ნაციონალურ პროფესიონალურ, ჯგუფურ და სხვა ზღუდეებს?

ეი რატომ არ შეეძლო ჩვენი პარტიის ყრილობას სოციალ-დემოკრატიული საქმის ინტერესების გაუწყრავათ დათანხმებულიყო ბუნდის ებრაელი პროლეტარიატის ერთად-ერთ წარმომადგენლად ცნობაზე. ბუნდისათვის ეს საკმაო იყო, რომ გამოსულიყო პარტიიდან. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ებრაელ მუშების სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის მომავალი განვითარება და გაძლიერება უჩვენებს ამხანაგებს ბუნდიდან ასეთი განცალკევების მთელ ზიანს, მოსპობს ახლა ხშირ ურთიერთ გაუგებრობას და მიიყვანს მათ უკან სრულიად რუსეთის პროლეტარიატის მთლიანი სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგებში.

სხვა ეროვნული ორგანიზაციების—პოლონეთის, ლატვიის, ლიტვის, სომხეთის—საკითხში პარტია საერთოდ იმავე თვალსაზრისზე დგას, როგორზედაც ბუნდის მიმართ და იმედი აქვს, რომ ყველა განცალკევებულ ორგანიზაციების ერთ მთლიან პარტიაში თავის მოყრის დღე შორს არ არის.

(დასასრული იქნება).

განყოფილება

= VI =

საქართველოს რევოლიუციის მუზეუმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რევოლიუციის მუზეუმი

(ქრონიკა).

ანკეტა. რევოლიუციის მუზეუმმა რამდენიმე ანკეტა დაამუშავა საქართველოს რევოლიუციონური მოძრაობის გამოსაკვლევად. ამ ანკეტაში საინტერესოა რევოლიუციონერთა ბიოგრაფიის, საგაზეთო, მიტინგებისა და პოლიტიკური პროცესების შესასწავლი ანკეტები. როგორც ვიცით, საქართველოში სრულიად არ არის შესწავლილი პოლიტიკური პროცესები. ამ ნაკლის შესავსებად მუზეუმმა გამოიმუშავა ანკეტა, რომლის შევსებით პროცესთა მონაწილეთაგან პირდაპირ მიიღებს საჭირო ცნობებს. ანკეტა, სხვათა შორის, შეიცავს შემდეგ კითხვებს: პროცესის სახელწოდება, ადგილი, დრო, ბრალდებულის გვარი და სახელი, წარდგენილი ბრალდების მთავარი შინაარსი; პროცესზე ჰქონდა თუ არა ადგილი დამნაშავეთა მხრით დემონსტრატიულ გამოსვლას, იყო თუ არა პროცესში გამცემლობისა და პროვოკაციის მაგალითი, გამცემთა და პროვოკატორთა სახელი და გვარები, როგორი განაჩენი იყო გამოტანილი და სხ.

ფოტოგრაფიული სურათები. რევოლიუციის მუზეუმმა ყოფ. ბაბალოვის ფოტოგრაფიაში აღმოაჩინა საინტერესო ფოტოგრაფიული სურათები და ნეგატივები მეფის დროინდელი მეტეხის ციხის პოლიტიკური ტუსაღებისა. როგორც გამოირკვა, ასეთი სურათები ბლომად ყოფილა, მაგრამ მათი დიდი ნაწილი საქართველოს გასაბჭოებამდე სადღაც დაკარგულა. ამნაირი სურათები, მუზეუმის აზრით, სხვა ფოტოგრაფებთანაც უნდა ინახებოდეს, რომელთა შესაძენად უკვე ძიებებულია ზომები.

მარკების კოლექცია. მუზეუმმა მიიღო რევოლიუციის დროის 20 ათასამდე საფოსტო მარკა (ქართული, სომხური და აზერბეიჯანული) 1917-ის და შემდეგ წლებისა, რამაც საკმაოდ შეავსო და გაამდიდრა მუზეუმში არსებული რევოლიუციის დროის მარკათა კოლექცია.

გამოცემათა რაოდენობა რევოლიუციის დროს. მუზეუმი ამ ჟამად იკვლევს გამოცემათა რაოდენობას საქართველოში რევოლიუციის დროს—რამდენი გამოსულა წიგნი, ჟურნალი, გაზეთი და სხ. გამოირკვა, რომ სულ გამოსულა 260 სახელწოდების სხვადასხვა გაზეთი, ქართულსა და რუსულ ენებზე. 700 სახელწოდების სხვადასხვა წიგნი ამავე ენებზე და 200 მდე ჟურნალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასალები 1905 წლის შესახებ. მუზეუმი მრავლად ღებულობს მასალებს 1905 წლის შესახებ - პროკლამაციებს, ფურცლებს, გაზეთებს, ბროშურებს, ბიოგრაფიებს და სხ. ყოველგვარი ზომებია მიღებული, რომ პირველი რევოლიუციის 20 წლისათვის შეკრებილ იქნას 1905 წლის შესახები ყველა მასალები.

1905 წლის დროშები. მუზეუმმა მიიღო სამტრედიის რაიონიდან პირველი რევოლიუციის (1905 წ.) დროინდელი სოც.-დემოკრატიული ორგანიზაციის დროშები. ბევრი მიტინგებისა და გამოსვლების მოწამენი არიან ეს დროშები, ამიტომ დროშები მეტად დაფლეთილია და წარწერებიც თითქმის წაშლილია. მუზეუმს იმედი აქვს კიდევ შეიძინოს რამდენიმე ძველ დროშას.

წითელი სიგელები. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით 1924 წლის 24 თებერვლისა წითელი დროშის ორდენით არიან დაჯილდოვებულნი რევოლიუციის შემდეგი გმირები, რომელნიც დაიღუპნენ სამოქალაქო ომში: არსენ ჯორჯიაშვილი, კამო, ნიკოლოზ ივანოვი, პაველ მარდალეიშვილი, მიშა გეგეჭკორი, ალექსანდრე ობოლაძე, პოლიკარპე სანიკიძე, ირაკლი ლორთქიფანიძე, დავით ჩუბინიშვილი, არკადი ელბაჭიძე, სანდრო მახარაძე, შალვა ასკურავა, აკაკი ონიგავა, თედო შოშიაშვილი, მიხა პაპუნაშვილი, თომა ჩუბინიძე, ბორის ძნელაძე კონსტანტინე ჯაჭვაძე და თომა კამალოვი. დალუპულ გმირთა სიგელები მათი დაჯილდოვების შესახებ გადაეცა მუზეუმს.

მუზეუმმა შეიძინა უკანასკნელ ხანებში დიდძალი მასალები, რომელთა შორის საინტერესოა: 1) რ. ს. დ. მ. პ. მეორე ყრილობის ოქმები (გამოკვმა არალეგალური), 2) საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ისტორია, 3) საქართველოს სოციალისტური ორგანიზაციების პირველი კონფერენცია პარიზში 1904 წ. (ოქმები), 4) საქ. ს. დ. მუშათა პარტიის მეორე არალეგალური კონფერენცია; 5) პროგრამა გლეხთა კავშირებისათვის; 6) საქართველოს საბჭოთა პირველი ყრილობა; 7) გაზეთები: „სხივი", „განთიადი", „ელვა", „ლამპარი" 1905—6 წლებისა, ჟურნალი: „კვალი" 1902 წ., „მოგზაური" 1905 წ., „მიწა" 1908 წ., „ეწმაკის მათრახი" 1908 წ., „თეატრი და ცხოვრება" 1908 წ., „სოციალ დემოკრატი" 1905 წ., „პროლეტარიატის პრძოლა" 1905 წ., თეატრი 1885 წ. „ახალი დროება" 1906 წ., „შრომა" 1906 წ., „ცნობის ფურცელი" 1904, 1905, 1906 წ., „ნიშადური" 1907—8 წ., „ეკალი" 1907 წ., „ახალი ქვეყანა" 1907 წ., „ყანა" 1909 წ. „თეატრი და ცხოვრება" 1910 წ., „საქართველო" 1908 წ., ალმანახი „ერთობა" 1909 წ., „ბურჯი" 1909 წ., „თეატრი" 1909 წ., „ნიავი" 1909 წ., „ჩვენი სალამური" 1909 წ. გრ. კონოვნიცინის

მკვლელის ანარქისტის სურათი, რსდმპ ბათუმის კომიტეტის პროკლამაცია 1914 წ., რ. ს. დ. მ. პ. პროკლამაცია 1914 წ., სტუდ. ი. აბაკელიას ციხის დღიური, ფოტოგრაფიული სურათების ალბომი, ს. დევდარიანის ჟურნალი «Мысль» 1919 წ., **Любош**—последние Романовы; **Бухаринъ**—от крушения царизма к падению буржуазии; **Богданович**—три последних самодержца; **Адоратский**—научный коммунизм К. Маркса; **В. Фигнер**—Запечатленный труд т. I, «Русский вопрос» в Английской внешней политике; **Ленин и Зиновьев**—за III Интернационал; жур. «Пролетарская Революция» 1924 г. №№ 1 и 2; Революция 1917 г. под редакцией Авдеева и Владимировой—т.т. I, II и III.; Путь к октябрю т.т. I, II; Записки Джемал Паши 1913—1919 г.; **Палеолог**, М.—Царская Россия накануне Революции; Революция и РКП т. I и II.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუს. კომპ. სკპას პარტისი

რ. კ. პ. (ბ) მე-XIII ყრილობის რეზოლიუცია პარტიის მუშაობის შესახებ.

„ყრილობა აღნიშნავს რა უდიდეს მოთხოვნილებას პარტიის ისტორიისა და ოქტომბრის რევოლიუციის მუშაობის საქმეში, ამ მუშაობის დიდს აღმზრდელობითი მნიშვნელობას და აუცილებელ ინტენსიურ შრომას მასალების შესაკრებად და დასამუშავებლად, რევოლიუციონურ მოძრაობათა ქრონოლოგიისა და კრესტომატიის შედგენას,—კერძოდ პირველი რუსეთის რევოლიუციის მოახლოვებული 20 წლის თავთან დაკავშირებით,—პარტიის მე-XIII ყრილობა საჭიროდ სცნობს მიექცეს პარტისის მუშაობას სერიოზული ყურადღება და მიღებულ იქნას ზომები მისი წარმატების უზრუნველსაყოფად (მუშაკების მიწოდება, მატერიალური დახმარება და სხ.)“.

პარტისთა წარმომადგენლების თათბირი.

ამას წინად შემდგარ ცკ პარტისის თათბირმა, რომელზედაც მონაწილეობდენ ადგილობრივ პარტისის განყოფილებათა წარმომადგენლები, მიიღო და გაარჩია შემდეგი დღის წესრიგი: 1 მოკლე მოხსენება პარტისის მუშაობის შესახებ,—თანამოხსენება ჟურ. „პროლეტარ. რევოლ.“ შესახებ. 2) არჩევის განყოფილების მოკლე მოხსენება, 3) სხვა ქალაქების განყოფილების მოკლე ანგარიში, 4) მოხსენებები ადგილებიდან. კამათი ზემომოყვანილი საკითხების შესახებ, 5) შემდეგი მუშაობის გეგმა და 1905 წლის რევოლიუციის 20 წლისთავისთვის მზადება, 6) მასალათა შეკრებისა და გადამუშავების მეთოდი, 7) ურთიერთობა არქივებიუროსა და პარტისს შორის.

დღის წესრიგში მოყვანილ პირველი ოთხი საკითხის შესახებ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„პარტისის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირმა მოისმინა რა მოხსენებანი ამხ. საველიევისა, ელიაზაროვს, რიაბინსკის და შტეინმანის და აგრეთვე მოისმინა მოხსენებები ადგილებიდან, იწრ ნებს პარტისის მუშაობის საერთო ხაზს როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივად და მიესალმება იმ გარემოებას, რომ ხდება პარტიის შესასწავლ მასალათა და დოკუმენტების დამუშავების გაღრმავება —სისტემატიზაცია, რაც გამოიხატა მთელ რიგ სერიოზულ მონოგრაფიების გამოცემაში, მათ შორის ჟურნალ „პროლეტ. რევოლ.“ სერიოზულ, მეცნიერულ ორგანოს ხასიათს ღებულობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თათბირი გამოსთქვამს სურვილს, რომ პარტისმა თავის მორიგ ამოცანად დაისახოს—რკპ-ის სრული მეცნიერული ისტორიის შედგენა, რაც მეტად ესაჭიროება ფართო პროლეტარულ მასებს.

აღნიშნავს რა, რომ ცკ პარტისის კავშირი ადგილებთან ძლიერდება, თათბირი საჭიროდ აღიარებს კვალიფიციური მოსიარულე ინსტრუქტორების კადრის შექმნას, აგრეთვე ცკ პარტისის მხრით ადგილობრივ განყოფილებათათვის გეგმითი ხელმძღვანელობის გაძლიერებას.

თათბირი საჭიროდ აღიარებს დაისვას საკითხი საკანონმდებლო წესით მსხვილ ქალაქებში რევოლიუციის მუზეუმების მოწყობის შესახებ.

რათა წარმატებით მიმდინარეობდეს ოქტომბრის რევოლიუციის და კომუნისტური პარტიის ისტორიის შესწავლა, თათბირი ხელახლა აღიარებს აუცილებლათ ადგილობრივ პარტისთა მუშაობის რაიონულად მოწყობას (районирование) იმ შემთხვევაში, სადაც ეს არ არის ისე, რომ ადგილობრივ პარტისებთან დამოკიდებულება რკპ ცკ პარტისს ჰქონდეს ისევე, როგორც ეს დამყარებულია რკპ ცკ სეკრეტარიატის სხვა განყოფილებათა მიმართ.

ლენინის გაწვევისა (призыв) და აგრეთვე იმ მიზნით, რომ პარტიის ისტორია და რევოლიუციონური მოძრაობა ფართოდ იქნას შესწავლილი, პარტისთა მუშაობა ღებულობს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რაც შესაძლებელია ჩატარებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაძლიერებული იქნება პარტისები კვალიფიციური მუშაკებით და მატერიალური საშვალებებით.

თათბირი აღნიშნავს იმავე დროს, რომ პარტიის მე-XII ყრილობის დადგენილებანი პარტისთა შესახებ არ ყოფილა ცხოვრებაში გატარებული, თათბირი საჭიროდ სცნობს საკითხის ხელ-ახლა დაყენებას ამ ჟამად მომუშავე მე-XIII ყრილობაზე ცკ პარტისის და ადგილობრივ პარტისის განყოფილებათა მუშაობის პირობათა გაუმჯობესების შესახებ.

ყველა ის შენიშვნები, რომლებიც მომავლის სამუშაო გეგმის და 1905 წლის რევოლიუციის 20 წლისთავის მოსამზადებელ და დღესასწაულის შესახებ გაკეთებული კამათით იყო გამოწვეული და თვით გეგმა-გადაწყვეტილია წერილის სახით დაეგზავნოს ადგილობრივად.

ამხ. ავდეევის მოხსენების შესახებ—სამეცნიერო მასალათა შეკრება-დამუშავება—კამათი არ გაიხსნება. გადაწყვეტილია თვით მოხსენება სტატიის სახით დაიბეჭდოს ჟურნ. „პროლ. რევოლ.“-ში.

უკანასკნელი მოხსენების—არქივებიუროსა და პარტისის განყოფილების ურთიერთობის შესახებ, ხანგრძლივი კამათის შემდეგ, მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: 1) აღიარებულ იქნას ერთ უპირ-

ველეს ამოცანად ადგილობრივი საარქივო დაწესებულებათა გაძლიერება პარტიული მუშაკების მხრით. 2) ყველა საგუბ. არქივების ბიუროთა სათავეში დაყენებულ იქნას რკპ წევრები, 3) საჭაროდ მოეწყოს ადგილობრივად საგუბ. არქ. ბიუროებთან პოლიტსექციები, რომელთა იდეური ხელმძღვანელობა პარტიისა განყოფილებათა ხელში უნდა დარჩეს, 4) მიღებულ იქნას ზომები და მოხდეს ფაქტიური კონცენტრაცია საისტორიო რევოლიუციონურ ხასიათის მასალათა საგუბ. საარქ. ბიუროს პოლიტსექციაში. საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნას შენახული პარტიული არქივები, დაამუშაოს პარტისმა ცენტროარქივის მონაწილეობით, 5) მიექცეს საგუბ. აღმასკომების ყურადღება, რათა გადიდებულ იქნას საგ. არქ. ბიუროს შტატები, გაძლიერებულ იქნას საშუალებანი სამეურნეო-საოპერაციო ხარჯებისთვის და მიეცეს საგანგებო შენობა საგუბერნიო ცენტრალური არქივის შესანახად, 6) აღიარებულ იქნას საჭიროდ ადგილობრივად წოთელი არქივისტების კადრის შექმნა.

განყოფილება

= VII =

ბიბლიოგრაფია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოგრაფია

ფ. მახარაძე.

თხზულებათა კრებული. ტომი I. „წერილები სხვა და სხვა საკითხებზე".—სახელგ. გამომც. ტფილისი. 1924 წ. 394 გვ. ფ. 2 მ. 50 კ. რედაქტორი სიმონ ჩიქოვანი.

1923 წ. ოქტომბერში საქ. კომუნისტიტურ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა ამხ. ფ. მახარაძის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემა და აი, ჩვენ ხელთ გვაქვს სახელგამის გამოცემა—I ტომი ამხ. ფ. მახარაძის თხზულებათა.

ამხ. ფ. მახარაძის ნაწერების გამოცემას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. არ არის არც ერთი მოსაზრება, რომელიც წინააღმდეგს ლაპარაკობდეს. ამხ. ფ. მახარაძე ერთი დიდი რევოლიუციონერთაგანია. რომელის თვალწინ და მისი აქტიური მონაწილეობით იშლებოდა და ვითარდებოდა, ერთის მხრივ საქართველოს მუშათა მოძრაობა, და მეორე მხრით ამ მოძრაობის მებაირახტრე მარქსისტული მსოფლმხედველობა.

მუშათა მოძრაობა საქართველოში ჯერ-ჯერობით შეუსწავლელია. ამხ. ფ. მახარაძის ნაწერები უდიდესი მასალაა საქართველოს მუშათა მოძრაობის შესასწავლად. ეს გარემოება მით უფრო მართლდება, რომ ამხ. ფ. მახარაძე დღიდან საქართველოს მუშათა მოძრაობის დაწყებისა, მისი აქტიური წევრი შეიქნა და ყოველი მომენტი ამ მოძრაობის ზრდა-განვითარების მასთან ორგანიულათაა დაკავშირებული. როგორ დაიწყო მუშათა მოძრაობა? რა იყო ამის მთავარი მიზეზები? როგორი გზით უნდა წასულიყო და წავიდა კიდეც ეს მოძრაობა,—აი საკითხები, რომელნიც არიან განსახილველი და შესასწავლი. ამხ. ფ. მახარაძეს, როგორც თვით შემქმნელს და ამ მოძრაობის მოკარნახეს მრავალი. შესანიშნავი წერილები აქვს ყველა ზემო დასახელებულ საკითხების გასარკვევად. მეორე გარემოება, რომელიც უდიდეს ღირებულებას ანიჭებს ამხ. ფ. მახარაძის ნაწერების გამოცემას, ეს მდგომარეობს მის დაუფასებელ მნიშვნელობაში მარქსიზმის შესასწავლად.

როგორც მუშათა მოძრაობა, ისე ქართული საზოგადოებრივი აზროვნება და განსაკუთრებით ამ აზროვნების ერთი უდიდესი მომენტი, მარქსიზმი, ჯერ-ჯერობით დაუფასებელია და შეუსწავლელი. მარქსიზმის, როგორც მსოფლ-მხედველობის შესწავლა, მისი სიდიდის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამო, მეტის-მეტად ძნელია. საქართველოში მარქსიზმი ისეთივე ნოცულობით და სიდიდით შემოვიდა, როგორიც ის თავის თავად იყო. მრავალი საკითხები, რომელნიც მაშინ ქართულ საზოგადოებრივ აზრს აღელვებდა, გაშუქებულ იქნა მარქსიზმის თვალსაზრისით: საკითხები მეტის-მეტად ძნელი და რთული. ვინც ოდნავ მაინც იცნობს მარქსიზმის ჩასახვას საქართველოში, მან უეჭველად ისიც იცის, რომ არ დარჩენილა არც ერთი საკითხი, რომელიც მარქსიზმის თვალსაზრისით არ გარჩეულიყოს და, ნათელი პასუხი არ გასცემოდა ყველა საჭირბოროტო საკითხებს. ყველა პასუხების ჯამი აძ საკითხებზე ჩვენ გვაძლევენ საქართველოში მარქსიზმის დასაწყისის და მის ბუნების გარკვევას.

ამხ. ფ. მახარაძე პირველი და მთავარი წევრთაგანია იმ თეორიული მოძრაობის, რომელსაც საქართველოში მარქსიზმის დასაწყისი ეწოდება. ყველა იმ მრავალ საკითხების გასარკვევად, რომელიც მაშინ იყვნენ წამოყენებული, ამხ. ფ. მახარაძეს აქვს მიძღვნილი შესანიშნავი წერილები, რომელთაც არა მარტო ისტორიული მნიშვნელობა აქვს, არამედ დღესაც დიდი სახელმძღვანელო მნიშვნელობის არიან.

ეროვნული საკითხი, აგრარული, მუშათა მოძრაობა, მარქსიზმის თეორიულად დასაბუთება, ეკონომიური საკითხები, – აი საჭირბოროტო საკითხები, რომელთა შესახებ საღი არგუმენტაციით დაწერილი წერილები აქვს ამხ. ფ. მახარაძეს. აქედან ცხადია, თუ რას ნიშნავს ამხ. ფ. მახარაძის ნაწერების სისტემატიურად დალაგებული გამოცემა.

რედაქციას უეჭველად თავისი მიზნისთვის მიუღწევია. თვით მეთოდი, რომელიც აურჩევია რედაქტორს თხზულებათა დალაგებისათვის, საუკეთესოა. ჩვეულებრივად ხმარობენ ქრონოლოგიურ წესს წერილების დალაგების დროს. ე. ი. აღებენ და რომელი წერილიც უფრო ადრე დაწერილა, მას პირველ ტომებში ათავსებენ. რედაქციას კი აუღია და წერილები დაულაგებია **ხასიათის** მიხედვით. რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი: მაგ. 1) აგრარული, 2) ნაციონალური, 3) მარქსიზმის დასაბუთება და სხვა გამოუყვია ცალკე ტომებად. ასეთ წესს უეჭველად უპირველესობა აქვს შედარებით ქრონოლოგიურ წესთან. ეს უპირატესობა უმთავრესად იმაში მდგომარეობს, რომ როდესაც მკითხველი ეცნობა ამა თუ იმ საკითხს, მას ხელთ აქვს ყველა წერილები, რომელიც ამ საკითხის გამოა დაწერილი, და მასზე მთლიანი შთაბეჭდილება იქმნება მკითხველისათვის.

როგორც რედაქცია აღნიშნავს, თხზულებანი უნდა გამოვიდეს ათ ტომად. ნაციონალური საკითხი, აგრარული, სიტყვა-კაზმული წერილობა და მისი კრიტიკა, მარქსიზმის დასაბუთება და დაცვა,

41 საქართველო

ეკონომიური საკითხები. დანარჩენი ხუთი ტომი კი სხვა და სხვა საკითხებზე, ქრონოლოგიური წესის მიხედვით.

პირველი ტომი არის ქრონოლოგიურად დაწყობილი და შეიცავს წერილებს სხვა და სხვა საკითხებზე.

პირველ ტომში მოთავსებულია აგრეთვე აბხ. ფ. მახარაძის სამი სურათი. პირველი გადაღებულია 1899 წ. მეორე—1914 წ. გადაღებულია ბაქოს ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოში, მესამე—უკანასკნელი სურათი. წერილებს—„როგორ გავხდი მარქსისტი"—და „კომუნისტური პარტიის ისტორიისათვის ამიერ-კავკასიაში"—უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვთ. შემდეგ მოთავსებულია 32 წერილი სხვა და სხვა საკითხზე. ზოგიერთი წერილები დღესაც და რამოდენიმე წლების შემდეგაც სიამოვნებით წაიკითხება. ასეთ წერილებს ეკუთვნის წერილი—„მეცნიერება გაკოტრდა თუ მეტაფიზიკა"? აქ გამოქვეყნებული მოსაზრებები ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიან, თითქოს წერილი დაწერილი იყოს დღეს.

სიამოვნებით ველოდებით მეორე ტომის გამოსვლას, რომელიც მეტის-მეტად საინტერესო ეროვნულ საკითხს ეხება.

მკითხველი.

საქართველოს
ბიბლიოთეკა

„პირველყოფილი კომუნიზმიდან-თანამედროვე კომუნიზმამდე".

პლაკატი. გამოცემა ს.ს.ს.რ. პოლიტგანყოფილების მთ. მმართველობისა. შედგენილი და შესრულებული მხატვრების ს. შილაკძის და დ. გველესიანის მიერ. პოლიტ-განყოფილების მთ. მმართველობის თავმჯდომარის ე. რუხაძის ხელმძღვანელობით. ფასი 2 მან. 1924 წ.

პლაკატს მიზნად აქვს დასახული თვალსაჩინო მეთოდის საშუალებით მუშებსა და გლეხებს გადასცეს კაცობრიობის განვითარების საფეხურები.

როგორც მიზანი, რომელიც დასახული, აქვს პლაკატს, აგრეთვე საშუალებაც მეთოდის გადაცემისა, უეჭველად საუკეთესო მეთოდთ უნდა ჩაითვალოს.

უპირველეს ყოვლისა მიზანი პლაკატისა ფრიად მიშვნელოვანია. ვისაც არსებითად აინტერესებს შესწავლა იმისა, თუ როგორ მოვიდა კაცობრიობა თანამედროვე კომუნიზმამდე, მისთვის აუცილებლად საჭიროა შესწავლა ყველა იმ საფეხურების, რომელიც კაცობრიობის ისტორიამ განვლო და რომლის ობიექტიურმა მსვლელობამ დღევანდელ ხანამდე მიგვიყვანა. თანამედროვე ეპოქის შესწავლა, მისი დღევანდელობის და მომავალი განვითარების გათვალისწინება შეუძლებელი ხდება თუ არ გავიგეთ მიზეზები მისი წარმოშობისა. ამიტომ ვისაც სურს იყოს აქტიური პიროვნება თანამედროვე კომუნისტური ეპოქის და მისი შეგნებული წევრი, მისთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მეცნიერულად შეისწავლოს წარსული და მით შესძლოს თანამედროვე ეპოქის პერსპექტივების გათვალისწინებაც.

მარქსიზმი, ისტორიული პროცესის შემსწავლელი და დამფასებელი, საუკეთესო იარაღია ისტორიულ ეპოქათა ობიექტიური შესწავლისათვის. რა არის იმის მიზეზი, რომ გარკვეულ ხანაში კაცობრიობის განვითარებისა ბატონობს ესა თუ ის წესწყობილება და მისი გამომხატველი კლასი?

ამ კითხვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ისტორიულ ეპოქათა მიუდგომელი შესწავლისთვის და რამდენადაც ეს ასეა, მარქსიზმი ერთად ერთი იარაღია, რომელიც გარკვეულად ამცნევებს და ხსნის ამა თუ იმ ისტორიული ხანის ასე თუ ისე არსებობას. ესა თუ ის ხანა, რომელიც განვლო კაცობრიობამ, შედეგი კი არ იყო სურვილების და მიზნების, რომელსაც ისახავდა ესა თუ ის პიროვნება, არა-

შედ მას ჰქონდა ღრმა ეკონომიური მიზეზები, რომელიც ისახებოდა იმ ეპოქაში, რომლის უარისყოფად ის მოგვევლინა.

კაპიტალიზმის წარმოშობის მიზეზად ის კი არ უნდა ჩაითვალოს, რომ კაპიტალისტებმა მოისურვეს დაქცევა ფეოდალური წესწყობილების და „დაარსეს"—ბურჟუაზიული ეპოქა, არამედ ის, რომ თვით ბურჟუაზიულ ეპოქაში ჩაისახა ის ელემენტები, რომლებმაც შემდეგ დააქციეს და გაანადგურეს ფეოდალური წესწყობილება. ჩანასახი ის კლასია, რომელიც ისახება კაპიტალისტურ წესწყობილებაში და რომელიც შემდეგ ამხობს კაპიტალიზმს და კომუნისტურ წესწყობილებას ამყარებს. ყველა ამ მოვლენებს თავისი განსაკუთრებული ეკონომიური მიზნები აქვს. მარქსიზმი ის თეორიაა, რომელიც ყველა ამ მოვლენებს სავსებით არკვევს და მეცნიერულად ასაბუთებს.

პლაკატიც ამ თვალსაზრისით ალაგებს კაცობრიობის განვითარების ყველა საფეხურებს: კომუნიზმი—ფეოდალიზმი—კაპიტალიზმი და კომუნიზმი. ეს საფეხურები გარკვეულად და ნათლად არიან აწერილი პლაკატზე. ყოველი საფეხური თავის მხრივ დაწერილებით აწერილია. კომუნიზმის დარღვევას მოჰყვა ორგვარი წყობილების დამყარება: ერთი მონურისა დასავლეთში და მეორე აზიურისა აღმოსავლეთში. პლაკატში გარკვეულია მიზეზები კომუნიზმის ნანგრევებზე ამ ორი წესწყობილების აღმოცენებისა. ასევე არის დალაგებული თითეული ეპოქა ფეოდალიზმის, კაპიტალიზმის დასხვა. ბურჟუაზიულ წესწყობილების დალაგებას და მის შესწავლას უფრო დიდი ადგილი აქვს დათმობილი. დაწერილებით არის აღნიშნული მიზეზები ბურჟუაზიულ წესწყობილების წარმოშობის, მის ზრდის და განვითარების. შემდეგ აღწერილია პროლეტარიატის მოძრაობის დაწყობა და ის თეორეტიული საბუთები, რომელიც ამ მოძრაობის შესწავლას ჰქონია მიზნად დასახული. გათვალისწინებულია ყველა მომენტები უტოპიური სოციალიზმიდან—ვიდრე კარლ მარქსის და ფრ ენგელსის მეცნიერულ სოციალიზმამდე.

მუშათა და ინტერნაციონალის მოძრაობას ფართო ადგილი აქვს დათმობილი. I ინტერნაციონალი. მე II ინტერნაციონალი. ომი 1914 წ. რუსეთის პროლეტარული რევოლიუცია და მისი შედეგი, კომუნისტური წესწყობილება, არსებითად შესწავლილია. განსაკუთრებით საინტერესოა მე III ინტერნაციონალის ჩასახვა და მისი ზრდა. ამასთან აღწერილია ის ღალატი მუშათა კლასისადმი, რომელიც ჩაიდინა მე II ინტერნაციონალმა და მისმა ბელადებმა.

ასეთია პლაკატის შინაარსი. შინაარსი მთლიან შთაბეჭდილებას იძლევა და წაკითხვის შემდეგ ნათელ და დასაბუთებულ წარმოდგენას სტოვებს მკითხველზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია კარგი, მაღალი ქართული ენა, რომლითაც დაწერილია პლაკატი. გაუგებარი მუშასა და გლეხკაცისთვის შინაარსის მხრივ არ არაფერია.

პლაკატის შინაარსს ახლავს სურათები—პირველყოფილ კომუნიზმიდან—თანამედროვე კომუნიზმამდე. აღვნიშნოთ ზოგიერთი მოსაზრებანი თვით მეთოდზე: მეთოდს, რომლითაც დალაგებულია პლაკატზე ყველა საფეხურები კაცობრიობის განვითარების, ეწოდება თვალსაჩინო მეთოდი. დღეს მეცნიერულად (ფსიქოლოგიური მეცნიერების მიერ) დამტკიცებულად ჩაითვლება ამ მეთოდის უდიდესი მნიშვნელობა. არამც თუ ისტორიულ ეპოქის აღნიშვნა, არამედ ისეთი განყენებული მეცნიერებანი, როგორიც არის მათემატიკა, ფსიქოლოგია და სხ. თვალსაჩინო (наглядное, образное) ცდით ცდილობს თავის დებულების დამტკიცებას. მკითხველისათვის ამას ის მნიშვნელობა აქვს, რომ საუკეთესოდ იმახსოვრებს ყველა იმას, რაც წაიკითხა, ამიტომ ეს პლაკატი უბრალო საპროპაგანდო პლაკატად არ ჩაითვლება. არამედ წმინდა მეცნიერულ პლაკატად, რომლის წაკითხვის შემდეგ ნათელი წარმოდგენა გრჩება იმის შესახებ, რაც მიზნად აქვს დასახული პლაკატს. ტეხნიკურად შესანიშნავად არის შესრულებული. საჭიროა ამ პლაკატის გლეხებსა და მუშებს შორის ფართო გავრცელება.

დ.—ი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილი რედაქციის მიმართ.

ამხ. რედაქტორო! საჭიროდ მიმაჩნია ჩემს „მოგონებაში“, რომელიც დაიბეჭდა „რევ. მატ.“ № 1 (6) გასწორდეს ის შეცდომები, რომლებიც დაშვებულია წერილის გასწორებისა თუ აწყობის დროს:

1) სახლის სახურავზე კი არა, „ჩერდაკში“ აგვყავდა ამხანაგები, სადაც მათ სროლას ვასწავლიდით.

2) მეურმე იყო გლეხი და არა ოსი.

3) მეურმისთვის მე არ დამიძახია. მას ძალათ შემოაყვანიეს ურემი. ის მიხვდა რაშიაც იყო საქმე, მაგრამ გვიანღა იყო. „ფოდრაჩიქმა“ დაუკლო 25 ფუთამდე. ასწონეს და არა ავწონეთ.

4) არალეგალური სამკითხველო ფეთხიანში არ ყოფილა. ის იყო ჩვენს ოთახში, წმ. ნინოს უბანში. ფურცლების გასანაწილებელი პუნქტიც იქ იყო.

5) სწერია წაუკიდეს ცეცხლიო, უნდა იყოს: ანა ენუქიძის ასულმა წაუკიდა ცეცხლი, სანამ სახლებში ჩხრეკა გათავდებოდა.

6) „ოხრანას“ ჩვენ არ დაუტოვებივართ, როგორც ეს სწერია, არამედ—ჩვენ გადაგვცეს ჯარისკაცებს წამოიყვანეთო და თითონ წავიდენ.

7) იმ ადგილას, სადაც სწერია—ქალალდი და კარანდაში დაგვჯდა სამი მანეთიო, უნდა დაემატოს: ამით მივაღწიეთ მიზანს და გადაგვიყვანეს საგუბერნიო ციხეში, სადაც დავყავით შვიდი თვე. ციხიდან გამოსვლის შემდეგ დავიწყე მუშაობა სახალხო უნივერსიტეტში.

ლ. მიროტაძე.

ამხ. დ. რუხაძის მოგონებაში, „რევ. მატ.“ № 1 (6), მე-277 გვ. პირველ სტრიქონში ზევიდან სწერია: საოლქო კომპარტიის განყოფილების, უნდა იყოს: საოლქო **კოოპერაციის** და სხ. იმავე მოგონებაში, გვ. 278 გვ., მე 5 სტრ. ქვევიდან სწერია: ბალშევიკების მოსელის დროს, უნდა იყოს: ბალშევიკების **გამოსვლის** დროს და სხ.

განყოფილება

= IX =

მრიბუნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიის წარსულის დასაცავად

(პასუხად ამხ. რ. კალაძეს).

ჩვენი პარტიის წარსულიდან საქართველოში ჩვენ მხოლოდ ნელი მასალები გვაქვს. პარტიის ისტორიის დაწერა კი მომავლის საქმეა. ჩვენი მიზანია ეს მოშავალი არც ისე შორეული იქნეს, თორემ სხვა რომ არა იყოს რა, მისი უქონლობა სირცხვილიც არის. პარტიას, რომელსაც ყავს ფ. მახარაძე, მ. ცხაკაია, რ. კალაძე და სხვები არა ერთი და ორი, როგორც მდიდარი და მრავალფეროვანი სიცოცხლე შეზრდილია და სამუდამოდ დაკავშირებული პარტიის დაბადებასთან, ზრდასთან და მომწიფებასთან—ასეთ პარტიას თავისი წერილობითი დამუშავებული ისტორია არ ქონდეს—სხვა რომ არა იყოს რა, ვიმეორებ, სირცხვილიც არის.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამხანაგები, რომელთაც ყველაზედ უფრო ეხერხებათ ამაზე შრომა—საქმეს ხელს მოკიდებენ...

ამხ. რ. კალაძე უკვე შესდგომია ამას. მან საკმაოდ ვრცელი და მრავალი ფაქტებით მდიდარი წერილები მოათავსა მუშათა ქართულ ჟურნალ-გაზეთის ისტორიიდან „რევოლიუციის ბატიანე"-ს ნომრებში. რასაკვირველია, ეს არ არის პარტიის ისტორია, მაგრამ ერთი მისი მხარე და, საკმაოდ მნიშვნელოვანი მხარე, მაინც არის. ცხადია, მუშათა ქართული ჟურნალ-გაზეთის ისტორია ძალიან მჭიდროთ დაკავშირებულია ჩვენი პარტიის ზრდა-განვითარებასთან და გამომხატველიც არის მისი.

ამ წერილებში, რომლებიც, ვიმეორებთ, შეიცავენ მეტად საინტერესო და ღირსშესანიშნავ ფაქტებს მუშათა ქართულ ჟურნალ-გაზეთის ისტორიიდან,—ჩვენ წავაწყდით ზოგიერთ ისეთ დებულებებს, ცნობებს და ფაქტებს,—რომლებიც, ჩვენის აზრით, სინამდვილეს არ შეეფერებიან, სიმართლეს არ შეიცავენ და მკითხველს ყალბ წარმოდგენას აძლევენ ჩვენი პარტიის არა ისედაც შორეულ წარსულზე, რადგან ეს ყალბი ფაქტები და ცნობები სწორედ რომ ამ არა შორეულ წარსულს ეკუთვნიან...

მიუხედავად ჩვენი უდიდესი პატივისცემისა ამხ. რ. კალაძისადმი და მის მეტად საპატივცემლო როლისადმი ჩვენი პარტიის ცხოვრებაში,—ჩვენ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ: **დახახელებულ ფაქტების და ცნობების მოცემაში და გამუქებაში ამხ. კალაძე ღალატობს არა მარტო ისტორიულ წარსულის სიმართლით გადმოცემას, არამედ—უნებლიედ იგი ამახინჯებს აგრეთვე ჩვენი პარტიის შინაარსსაც.**

ავიღოთ ზოგიერთი მომენტები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. „მკვდარი წერტილი“.

წერილში: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და მუშათა ქართული ჟურნალ-გაზეთის მდგომარეობა 1918—1920 წ.“— ამბ. რ. კალაძე ეხება და არკვევს ჩვენი პარტიის მდგომარეობას (მუშაობის მხრივ) ამ ხნის განმავლობაში და სწერს: „**უველაფრიდან ჩანს, რომ საქართველოს კომუნისტები საკუთარი ძალით ამ პერიოდში ისეთს ვერაფერს აწყობდნენ, რომ მკვდარ წერტილს გაშორებოდენ და მუშათა მასაში შეჰრილიყვნენ, რომ საქართველოს მუშათა მასა აემოძრავებინათ და ამ მოძრაობას დამყარებოდნენ**“. (კურსივი ავტორისაა—ვ. ბ.).

შემდეგ განაგრძობს: „ამ ხანაში ჩვენ ვიცით საქართველოს **მიყრუებულ** კუთხეების გლეხთა აჯანყებები, მარა არ ვიცით, თუ სადმე მუშებს ამ მთავრობის წინააღმდეგ რაიმე პროტესტი გამოეცხადებიოთ“. ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ, რომ ამბ. კალაძის მიერ ასეთი გაშუქება მაშინდელ მდგომარეობისა სრულებით არ შეეფერება სინამდვილეს, მეტი რომ არა ვთქვათ. ჩვენ არ ვიცით რატომ დასჭირდა ავტორს ასეთი არა სწორი გადმოცემა ჩვენი წარსულის ამ მომენტებისა; იმას კი კარგად ვგრძნობთ, რომ პარტიის ისტორიის სწორი გაგებისათვის ამის მსგავს ცნობებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

და მართლაც, ვინც კი ცოტათი მაინც იცნობს ჩვენი პარტიის მუშაობას და საქართველოს მაშინდელ მდგომარეობას, ის მხოლოდ გაოცებით წაიკითხავს ამბ. კალაძის ზევით მოყვანილ სიტყვებს. ეს ის დროა, როდესაც საქართველო წარმოადგენდა შეიარაღებულ ბანაკს, როდესაც არ დარჩენილა **არც ერთი კუთხე** (დიახ, ამბ. კალაძე — არც ერთი კუთხე!) ჩვენი ქვეყნისა, სადაც ქართველ მშრომელს არ დაეღვაროს თავისი **სისხლი** (დიახ. **სისხლი** ამბ. კალაძე და არა მარტო პროტესტის გამოცხადება) მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ!! არც ისე ხშირად შეხვდებით ისტორიაში ისეთ მასიურ, ნამდვილ ხალხურ ბრძოლებს არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ,—როგორსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში სწორედ რომ ამ დასახელებულ წლებში—1918—20 წ.წ.

ამბ. კალაძე ისეთი ტონით სწერს—„საქართველოს **მიყრუებულ** კუთხეებში“—თითქოს ამ ამბებს სადღაც ზემო-სვანეთის და აჭარის მთებში ჰქონდა ადგილი. როგორც მახსოვს, მგონი სწორედ რომ ასეთ „მიყრუებულ“ კუთხეებში არ ჰქონდა ადგილი მენშევიკურ მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ აჯანყებებს: იქ საკმაოდ ძტკიცედ გრძნობდენ თავს—მომენშევიკო ხუცები და „გასოციალისტებული“ „პრწყინვალენი“. საქართველოს მშრომელმა ხალხმა თავისი გმირული ბრძოლების ფურცლები დასწერა სწორედ საქართველოს ყველაზედ უფრო არა „მიყრუებულ“ კუთხეებში: აჯანყება სამეგრელოში, რო-

მელიც მოედო მთელ სენაკის და ზუგდიდის მაზრებს, აჯანყება იმერეთში—ხონის, სამტრედიის, ბაღდადის, ტყიბულის რაიონები და შორაპნის მაზრა, აჯანყება გორის მაზრაში, სამხრეთ-ოსეთში, ღუშეთის მაზრაში; გამარჯვებული მოძრაობა აფხაზეთში, რომელმაც კიდევაც დაარსა იქ საბჭოთა ხელისუფლება; ლეჩხუმის გლეხობის გმირული ბრძოლა, აჯანყება რაჭაში, აჯანყება გურიაში, განა ეს ხალხური ბრძოლები საქართველოს „მიყრუებული“ კუთხეებია?—როგორც ამას ამბობს კალაძე სწერს—და არა თვით მთელი საქართველო?!

და განა ყველა ამ მოძრაობა-აჯანყებებს მეთაურობას ჩვენი პარტია და ამ პარტიის პასუხისმგებელი პირები არ უწევდნენ?!.—ჩვენ გაოცებული ვართ რათ დასჭირდა ამბ. კალაძეს უარყოფა იმის, რასაც თვითონ ჯერ ელი სწერს თავის „დღიურში“!!.

რაც შეეხება „მუშათა მასებში შეჭრას“—ე. ი. ქალაქებში ჩვენი პარტიის გავლენას და იქ მუშაობას—აქაც ამბ. კალაძე გადაჭარბებული შავი საღებავებით გვიხატავს მდგომარეობას.—ტენდენციური პესიმიზმია და ფაქტების აშკარა დამახინჯებაა ამის თქმა: „არ ვიცით, რომ სადმე მუშებს ამ მთავრობის წინააღმდეგ რაიმე პროტესტი გამოეცხადებიოთ“-ო. საკვირველია: ამბ. კალაძე, როგორც ეს ჩვენ ვიცით, რამოდენიმე თვეების განმავლობაში გამომწყვდეული იყო მენშევიკების საპყრობილეებში და ნუ თუ მან იქ მაინც ვერ დაინახა, რომ მის გვერდით იქვე ისხდნენ რამოდენიმე ასეული საქართველოს მუშები—სწორედ ამ „პროტესტებისათვის“ მოთავსებულნი აქ... ქალ. ტყიბულის: მეტყვეთა კავშირი, მელითონელთა კავშირი, მბეჭდავთა კავშირი, ტფილისის მოსამსახურეთა გაფიცება 1919 წლის დამდეგში.—ნუ თუ ამბ. კალაძეს ასე ადრე დაავიწყდა ყოველივე ეს?! ჩვენ კი გვახსოვს ბევრი—სწორედ ამ მუშათა კლასის სხვადასხვა პროფესიონალური კავშირების ნამდვილი ბრძოლა: კონფერენციებზე, კრებებზე, თათბირებზე—მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ. ჩვენ ვიცით მაგალითები, როდესაც ეს კონფერენციები და თათბირები რევოლვერებით ირეკებოდა, არჩეული სრულებით „კანონიერად“ და „დემოკრატიულად“, კავშირის მთავარი ორგანოები მთელი შემადგენლობით მეტეხის და სხვა საპყრობილეთა კედლებს შუა თავსდებოდა... ჩვენ გვახსოვს ხელჩართული შეტაკებებიც სწორედ რომ მუშების ავტორიტეტიან კონფერენციებზე, როდესაც გამარჯვებული პარტია თავს კუდად გრძნობდა... ნუ თუ ამბ. კალაძეს არ ახსოვს ასეთი მაგალითები, თვით მენშევიკურ პროფკავშირთა ბელად ხელაძისაგან!!. და ყველა ეს ხდებოდა სწორედ რა.მ ქ. ტფილისში—სწორედ ჩვენი პარტიის—არალეგალური, ჭერ-ქვეშ შედგენილ, რომლის საუკეთესო მეთაურნი ათობით და ასობით, თვეობით და წლობით საპყრობილეებში იყვნენ მომწყვდეულნი.

შეიძლება ამხ. კალაძეს აინტერესებს ჩვენი ქვეყნის სხვა მუშური ადგილებიც: აბა გაიხსენოს მან ფოთის მუშები, განა არ იყო ჩვენი ორგანიზაცია იქ საკმაოდ ძლიერი, რომ მენშევიკების წინააღმდეგ დემონსტრაციებს ახდენდა?! ვის ხელში იყო მათთვის პროფესიონალური კავშირები? განა არა ჩვენი ორგანიზაციის გავლენას ქვეშ?!.

წარმოიდგინეთ ამხ. კალაძე, რომ სრულებით არა მუშური ქუთაისშიაც ხერხდებოდა ის, რომ იქაც მუშა-მოსამსახურენი გაფიცებს უწყობდენ ადგილობრივ მართველობას ჩვენი ამხანაგების ხელმძღვანელობით...

მერმეთ, რა პირობებში ხდებოდა ყოველივე ეს?! ნუ თუ ამხ. რ. კალაძეს დაავიწყდა ვ. ჯუღელის და ნ. რამიშვილის დიქტატურის მეთოდები, „ოსობი ოტრიადი" და გვარდიის შტაბებიც?!..

ასეთ პირობებში, ჩვენ ვფიქრობთ, საქართველოს მუშათა კლასის მნიშვნელოვანი ნაწილი კიდევ საკმაო და ხშირად გასაოცარ რევოლიუციონურ სიმტკიცეს და გაბედულებას იჩენდა წეს-წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ყოველივე ამას მეთაურობდა ამხ. კალაძის მიერ რატომღაც უსაბუთოდ ათვალწუნებული ჩვენი პარტია თავისი ორგანოების და ორგანიზაციების, თუ ცალკე პასუხისმგებელ მუშაკების სახით.

მენშევიკურ ხელისუფლების წ.წ.ნააღმდეგ ბრძოლაში ჩვენს პარტიას „მკვდარი წერტილები" არ ქონია. ამის მოწამე ისტორიაა და... თვით ამხ კალაძე.

2. „მაისის თათბირი" და „ახალი ტაქტიკა".

ეს თათბირი მოეწყო რუსეთთან ზავის ჩამოგდების შედეგათ— როდესაც დატუსაღებული კომუნისტები საპყრობილეებიდან გაანთავისუფლეს. ამხ. რ. კალაძე ფიქრობს, რომ ამ თათბირმა რაღაც „ახალი ტაქტიკა" შეიმუშავა!.. ტაქტიკა ლეგალური და არალეგალური მუშაობისა. ჩვენის აზრით აქ არაფერი „ახალი" არ იყო... ჩვენი პარტია—ამხ. კალაძე მას კარგად იცნობს—თავიდანვე ამ გზას ადგა. შექმნილ პირობების მიხედვით, თუ ეს პირობები შესაძლებლად ხდიდენ—ჩვენ ვმუშაობდით ლეგალურად, მაგ. 1917 და 1918 წლის დასაწყისი, როდესაც პირობები მუშაობისა შეიცვალა და გამარჯვებულმა მენშევიზმმა რბევა და დევნა დაუწყო ჩვენს ლეგალურ ორგანიზაციებს—ჩვენ პირველად ნახევრად ლეგალურ—შემდეგ მხოლოდ არა ლეგალურ მუშაობაზე გადაველით. ამხ. კალაძეს ალბათ ახსოვს, როდესაც „ბრძოლა"-ს გამოცემა შეუძლებელი შეიქნა ტფილისში, ის ჩვენ ქუთაისში გადავიტანეთ. გაზეთი ქუთაისში ლეგალური იყო.— მისი ხელმძღვანელი ამხ. ფ. მახარაძე კი ულაშებ და წვერებ გაპარსული მალულად მუშაობდა. ზოგიერთი ჩვენთაგანი მიტინგებზე და

ჯრებებზე აშკარად გამოდიოდენ, ზოგნი კი საიდანყო გეგმებს აწყობდენ და ტეხნიკურად ემზადებოდენ ამ გამოსვლებისთვის, რასაკვირველია, ფარულად. ყოველივე ეს ხდებოდა პარტიის ხაზის მიხედვით.

1919 წელშიაც ჩვენ გვახსოვს ერთი—მართალია ძალიან უდღეური თავისი ხანგრძლივობით, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი ცდა—ბაქოს მუშათა საბჭოს მოლაპარაკების დროს ტფილისთან—როდესაც ჩვენ ვცადეთ ლეგალური გაზეთის დაარსება. როგორც მახსოვს, ასეთი გაზეთი რამოდენიმე ნომერი კიდეც გამოვიდა. ამავე დროს—ცხადია არალეგალური მუშაობა სწარმოებდა და იყო. ბათომშიაც, სადაც ამის შესაძლებლობა არსებობდა ჩვენი ორგანიზაცია არალეგალურ მუშაობასთან ერთად (ტერორისტული აქტები და სხვა) ლეგალურ მუშაობასაც აწარმოებდა: ლეგალური პროფესიონალური საბჭოები და ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი—პროფკავშირთა „სახელის“ ქვეშ.

ყველა ამ მაგალითებით ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ გავრცელებული აზრი, ვითომც ჩვენ რუსეთის „კარნახით“ 1920 წელს რაღაც „ახალი“ „უცნობი“ ტაქტიკა მიგვეღოს, სამართლეს სრულებით არ შეესაბამება. და თუ კი ამხ. კალაძეს ამ მხრივ უნდა ახსნას ეს „ტაქტიკა“ მიღებული მაისის თათბირის მიერ—აქ ახალი არაფერი ყოფილა: მუშაობის პირობები შეიცვალა და ჩვენც შესაფერი სამუშაო გეგმა ვარჩიეთ. სხვა საკითხია, თუ რამდენად და როგორ გამოვიყენეთ ჩვენ ეს პირობები.. ჩვენ უკან არ მიგვაქვს ის აზრი, რომელსაც მაშინ გამოვთქვამდით და რომელიც ამხ. კალაძეს მოყავს დასახელებულ წერილში: „ჩვენმა ლეგალურმა მუშაობამ ამ 4 თვის განმავლობაში ვერ მოგვცა იმდენი ნაყოფი, რამდენიც უნდა მოეცა, შეეძლო მას მოეცა“.

3. „მთავარი შეცდომა“ პარტიის და მთავარი შეცდომა ამხ. კალაძის.

ამხ. კალაძეს საერთოდ ურდა დაამტკიცოს, რომ ჩვენი პარტია თავიდანვე მენშევიკებთან ბრძოლის საკითხში რაღაც რადიკალურად შემცდარ გზას დაადგა და ამ გზით სვლით ბევრი მარცხი ნახა.. ამისათვის სჭირდება ამხ კალაძეს ყურით ამოთრევა ისეთი ცნობების და ფაქტების, რომლებიც ან ყალბათ შეუქმნიათ მის მიერ, ან და სრულებით მახინჯდებიან. „მკვდარი წერტილიც“ და „ახალი ტაქტიკაც“ ამხ. კალაძეს უნდა იმისთვის, რომ დაამტკიცოს: პარტიას შემცდარი გზა ჰქონდა არჩეული და შესაფერი ნაყოფებიც მივიღეთო. რაში მდგომარეობს ეს შემცდარი გზა, ასე ვთქვათ, ჩვენი პარტიის მთავარი შეცდომა, ამხ. კალაძის აზრით?.. ამის შესახებ ის ჯერ კიდევ 1920 წ. სწერდა გაზეთ „კომუნისტში“ ამხ. მალაქიასა და ჩვენს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპასუხოდ: **„თვით საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობამ საბჭოთა რუსეთის მთავრობის მიერ ჩვენ მოგვითხოვა ამ შეცდომის** გამოსწორების გზაზე და ჩაგვაყენა ისეთ ბუნებრივ პირობებში, რომელსაც ჩვენ მსწრაფლ უნდა შევეგუოთ და მოელი ჩვენი ტაქტიკა „ორგანიზაცია“ „მოკემულ“ ადგილობრივ საფუძველზე ავაგოთ მეთქი“. მაშასადამე, მთავარი შეცდომა იმაში ყოფილა, რომ ჩვენმა პარტიამ თავიდანვე არ „იცნო“ მენშევიკური წესწყობილება. მენშევიკური დამოუკიდებლობა—ისევე როგორც ეს მოიმოქმედა საბჭოთა რუსეთმა 1920 წ. მაისში. მაშასადამე, ჩვენი მთავარი შეცდომა—ასე გამოდის—იმაში ყოფილა, რომ ჩვენ ბრძოლა გამოუცხადეთ 1918 წ. 26 მაისის აქტს—საქართველოს გამოყოფას რევოლიუციონურ რუსეთიდან. სხვაფრივ გაგება ამის არ შეიძლება და რომ ეს ასეა, ამას მოწმობს მეორე ადგილი ამხ. კალაძის ამავე წერილიდან: „ჩვენ რუსეთის დიდი რევოლიუციის მსვლელობაში „საზავო ხელშეკრულებით“ მეორედ (**პირველად 26 მაისის აქტის გამო**) მოგვეცა შემთხვევა, რომ ნამდვილი დამოუკიდებელი მასიური კომუნისტური პარტია გავმხდარიყავით“... რა გამოდის აქედან: ის, რომ თურმე 1918 წ. **26 მაისის აქტით ჩვენ მოგვეცა შემთხვევა გავმხდარიყავით ნამდვილი დამოუკიდებელი მასიური კომუნისტური პარტია.** აი სად არის გამოსავალი და საფუძველი ამხ. კალაძის მთავარი შეცდომისა—საქართველოს მენშევიკური დამოუკიდებლობის ცნობა და მიღება, შეგუება მასთან და ამ ნიადაგზე „მასიური დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის შექმნა“. როგორ მოხერხდებოდა ეს—თუ კი ჩვენ ჩვენი პარტიის შინაარსს არ შევცვლიდით? არ მოხერხდებოდა. ამიტომაც მოხდა, რომ ამხ. კალაძე კომუნისტურ პარტიის შინაარსის რევიზიაზიც გადავარდა: და რადგან მთავარი შეცდომა ნაციონალურ მომენტიდან იწყებოდა—რევიზიაც სწორედ იმ მხრივ დაუწყო ამხ. კალაძემ ჩვენი პარტიის შინაარსს: ამიტომაც ის ძალა-ფენებურად ასცდა სწორ ინტერნაციონალურ გზას. სხვაფრივ არც შეიძლებოდა. გამოსავალი წერტილი ამხ. კალაძისა იყო შემცდარი გაგება ნაციონალური მომენტისა და როდესაც ის ამით მიუდგა პარტიის შინაარსის რევიზიას—ეს რევიზია სწორედ ნაციონალურ საკითხით დაიწყო.—„მთავარი შეცდომა“, რომელსაც ამხ. კალაძე ხედავდა პარტიის ხაზში—იყო ნამდვილად მისი მთავარი შეცდომა. პარტიას სწორი, ნამდვილი ინტერნაციონალური გზა ჰქონდა—უმთავრესად ეს გამოიხატა 26 მაისის აქტისადმი დამოკიდებულებაში—და ამ მხრით მიდიოდა ის: პარტიას არ შეეძლო მიეღო და „იცნო“ 26 მაისის კონტრ-რევოლიუციონური და შოვინისტური აქტი. საბჭოთა რუსეთის მთავრობას კი შეეძლო ეს—ჩვენ პარტიას—არა.

ამ მთავარი შეცდომით ამხ. კალაძისა აიხსნება. ვიმეორებთ,

ის ტენდენციური გაშუქება ჩვენი პარტიის წარსულისა, რომელსაც ეწევა ამხ. კალაძე თავის დასახელებულ წერილებში. მას უნდა დაამტკიცოს, რომ პარტიის ხაზი დამღუპველი იყო პარტიისათვის და ამიტომ ყურით მოთრეული „ფაქტები“, ფანტასტიური დებულებანი მოყავს... რით უნდა აეხსნათ ჩვენ მისი შემდეგი სიტყვები, თუ არა ასეთი შემცდარი ტენდენციით: „ქართველ მასას ვერ დაუახლოვდით, ქართველი გლეხი და მუშა ჩვენს პარტიას ვერ დაუკავშირეთ, ჩვენი ენა მათთვის გასაგები ვერ გავხადეთ“... და სხვა.

კიდევ მეტი სხვა ამონაწერის მოყვანაც შეიძლებოდა აქ ამხ. კალაძის წერილებიდან იმის დასამტკიცებლად, თუ როგორ შემცდარათ გვიხატავს და გვიხსნის ჩვენ ამხ. კალაძე ჩვენი წარსულის, არც იმდენათ შორეულ წარსულის — ისტორიას, მაგრამ ვფიქრობ, რომ ნათქვამიდანაც ნათლად სჩანს, რომ ამხ. კალაძის მიერ დახატული სურათი ჩვენი წარსულისა უმთავრეს და მნიშვნელოვან ნაწილებში სწორად გადაღებული არ არის; აქედან გამომდინარე დასკვნებიც, ცხადია, მისაღები არ არის ჩვენი პარტიის შინაარსისთვის.

თუ კი ჩვენ საჭიროდ დავინახეთ ყოველივე ამაზე შევჩერებულიყავით ეს უმთავრესად იმიტომ, რომ ვიცით: წარსული ყოველთვის დაკავშირებულია დღევანდელთან. პირველის (წარსულის) სწორი სურათის დაცვა ხშირად მეორის (დღევანდელის) სისწორესაც იცავს...

ასეთ მიზანს უსახავთ ჩვენ ამ მოკლე წერილს.

ვ. ბახტაძე.
